114
1934

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5-6

შინაარსი

ლექსები

ვ. გაფრინდაშვილი
ა. პუშკინი (მთარგმნ. პ. იაშვილი)
ს. თავაძე
გრ. აბაშიძე
გრ. აროსია

პროზა

კ. გამსახურდია
აკ. გელიაშვილი
ს. შანშიაშვილი
ელ. კოლუმოდრევინოვი
მაქსიმ გორკი
ს. ჩანგა

წერილები

შ. რადიანი
ალ. ფეიშვილი
შ. ალხაზიშვილი
ალ. დუდუჩავა

მემუარი

ალ. ჯაბადარი

ბიბლიოგრაფია

პ. ცინცაძე, ვლ. ასათიანი

1 9 3 4

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის ყოველთვიური
სალიტერატურო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

1531

5–6

წელიწადი მეთერთმეტე

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

ბესარიონ-ლენინიზმის
ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА
Инст. Марксизма-Ленинизма

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელგამი 1934 ტფილისი

პ/მგ. რედაქტორი: **გიორგი ყურულაშვილი**

სარედაქციო კოლეგია:
ს. ეული, გრ. მუშიშვილი, შ. რადიანი, დ. სულიაშვილი, გალ. ტაბიძე, ტიც. ტაბიძე სიმ. ჩიქოვანი, პ. ჩხიკვაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ/მგ. მდივანი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 1 — ...
ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლ...

პანტორის მისამართი: ტფილისი, აღმასკომის ქ. № 7, პერიოდსექტორი.

სახელგამის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პროსპექტი № 91

მთავლ. რწმ. № ა — 2004. შეკვ. № 419. ტირაჟი 6000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი

ჩემი შეხვედრა ეგნატესთან

დიდო ეგნატე! შენ გვაოცებ შექსპირის სახით.
შეჰქმენ მრავალი სახეები, თუმც ხუთ წელიწადს
შენ სწერდი მხოლოდ — აგზნებული ჭლექის ცახცახით,
ბნელი წარსულის დასაგმობად და დასალეწად.

კარლ მოორივით შეგვაყვარე გლეხი-ფირალი,
პალიასტომით აწივლებდი ჭაბუკ ოცნებას.
შენი ქალები თვითმკვლელობით, კვნესით, ტირილით
თავის გათელილს მოითხოვენ პატიოსნებას.

აღმოაჩინე შენი კალმით მთელი გურია:
ჯანყით, ვაებით, სილარიბით და კრიმანჭულით.
შენი უკვდავი მეამბოხე სიტყვა გვწყურია
და შენი სახე ლმობიერი, მკვეთრი, ტანჯული,

ჩემს ოცნებაში ხარ უსაზღვრო ღამის ველივით,
დღესაც ტფილისის იდუმალი ხარ მოქალაქე.
ხშირად მგონიხარ დაკარგული მაჩაბელივით,
მაგრამ სად არის შენი ყოფნის ხმა და ალაგი?

ჯანყის მედროშე — ბნელ ქუჩებში დაიარები...
ერთხელ ვერაზე დაგინახე — მტკვარის მზვერავი.
მინდოდა შენთან საუბარი მწველ იარებით
და უცაბედათ მიიმალე გულდამსერავი.

და კიდევ ერთხელ პირველ მაისს გნახე ირიბად:
ურიცხვ მსვლელობას ამშვენებდი გამხდარ პროფილით
მიწის მონები გადაიქცენ შრომის გმირებად,
მუშებს და გლეხებს მოუძღვოდი ხელაპყრობილი.

წინამორბედო! შენ გმირობის ველზე დაეცი,
რომ ბატონობის დაგემსხვრია მძიმე უღელი,
სოფლის ქვითინი, სისხლიანი შენი დაისი
დღეს აღმობრწყინდა გამარჯვებულ ხალხის ქუხილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრ პუშკინის ლექსები

თარგმანი პაოლო იაშვილის [1])

ანჩარი [2])

იქ, სადაც არი უდაბნო ველი
მარად მხურვალე მიწა ქვიშური.
ანჩარი, როგორც მრისხანე მცველი
სდგას მსოფლიოში გამოთიშული.

იგი მწყურვალე ველთა ბუნებას
ბოროტების დღეს გაუჩენია,
დაშხაპული რტო ძირს ეღუნება
და ავსებს ფესვებს გესლის გენია.

ქერქიდან წვეთად ეღვრება შხამი,
ადნობს შუადღის სხივები მზისა
და როცა შხამი, შეშრება ღამით
იქცევა სქელ და კრიალა ფისად.

მას ფრინველის ფრთა არ შეხებია
გაურბის ვეფხიც... გრიგალი მარტო
ამ სიკვდილის ნერგს შეჰხეთქებია,
რომ სასიკვდილო წაელო საზრდო.

როცა ღრუბელი ფოთლებს მძინარეს
უკვე დააჩენს შხეფების ნიშანს,
გესლად ქცეული წვიმის მდინარე
გადაეღვრება მხურვალე ქვიშას.

---

[1]) თარგმანის კრებულიდან, რომელსაც სცემს ტფილისის უნივერსიტეტთან არსებული ენისა და ხელოვნების ინსტიტუტი.

[2]) სიკვდილის ნერგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამიანს კი ადამიანი
ანჩართან წასვლას მრისხანედ ანდობს,
წავიდა მონა თავაზიანი
და დილით გესლი მოართვა ბატონს.

მან მოიტანა განწირვის ფისი
და თანაც ტოტი შემჭკნარის ფოთლით,
მაგრამ შუბლი და ღაწვები მისი
დაცვარულიყო სიმწარის ოფლით.

წაიქცა, თვალებს მოედო რული,
ველარ შეასწრო თავის ბინაში,
და განუტევა საბრალომ სული
დაუმარცხებელ სარდლის წინაშე.

მეფემ დაჟღენთა შხამის წვეთებით
თავის ისართა ჯარი ნაგეში
და ეს სიკვდილი გულგამეტებით
ჩამოარიგა მტრის ბანაკებში.

სონეტი

მრისხანე დანტემ არ უარჰყო სონეტის ჭედა,
პეტრარკამ აქვე სიყვარულის დაანთო ალი,
მაკბეტის ოსტატს მისი წყება უყვარდა მეტად
და კამოენსმა მწუხარებას აქ მისცა ძალი.

იგი ჩვენს დროში პოეტისთვის გამხდარა სვეტად,
ვორდსვორტმაც სონეტს დააკისრა მაღალი ვალი,
ოდეს მდაბიო ცხოვრებიდან გასულმა კენტად
დიდი ბუნების დაგვისახა ჩვენ იდეალი.

მთების ჩეროში შეხიზნულმა ლიტვის მგოსანმა
თავის სამშობლოს უკვდავების ხმით შემმოსავმა
მრავალ ოცნებას შემოავლო სონეტის რკალი.

ჯერ მისი ბგერა არ სმენიათ ჩვენებურ ქალებს,
როცა დელვიგმა გამოჰკვეთა იგი ვით ხმალი
და ჰეგზამეტრსაც უხუჭავდა ღვთაებრივ თვალებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამღრჩვალი

შემოცვივდა ქოხში ცეტი
დაფეთებულ ბავშვთა ჯარი: —
„მამა, მამა, ბადემ ერთი
მოათრია ვინმე მკვდარი“...
„სტყუით, სტყუით თქვე ჭინკებო“
ეტყვის ბავშვებს გულგამსკდარი,
და ბურტყუნით ამბობს მამა
„ვისი მკვდარი, რისი მკვდარი“.

„სასამართლო უმოწყალო
მოვა — უნდა ვივაგლახო!
მომახურე რამე ქალო —
იქნებ მართლაც — წავალ, ვნახო,
„აბა მკვდარი?“ — „აგერ გდია!“
მისდებია ქვიშას ნამი,
და ბადეზე თვალებ ღია
მკვდარი კაცის ჰგდია გვამი.

საშინელი ეგდო მარტო
გასივებულ, გალურსული,
რა ბედისგან უკულმართმა
წაიწყმინდა ასე სული.
მებადური არის კრული
თუ ვაჟკაცი ნალოთარი,
თუ შარაზედ გაქურდული
ვინმე ბრიყვი სოვდაგარი.

აბა გლეხის რა ცალია
გვამს ჩაავლო ფეხში ხელი
საყოყმანოდ არ სცალია
მოიმარჯვა ჯოხი გრძელი,
გადისროლა წყალში ხელად
და სახლისკენ მიდის ჩქარი.....
ცხედარი კი სცურავს ნელა
რომ სავანის ნახოს კარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვლავ შეუდგა ცხედარს წყალი
ტორტმანობდა საცოდავი,
გააყოლა გლეხმა თვალი
გაიქნია თანაც თავი.
უთხრა ბავშვებს „სახლში ჩქარა
დაგიცხვებათ თითო კვერი
ოღონდ სიტყვა არსად არა
თუ არ გინდათ გცემოთ ბევრი“.

ღამით დადგა ცუდი დარი
მდინარემაც დაიგმინა,
დაბჟუტულა გლეხის კვარი
ავსებულა კვამლით ბინა,
ბავშვებს სძინავთ, — ცოლი კვნესის
ეთვლიმება ტახტზე ქმარსა
ქარი ღმუის... გლეხს კი ესმის
ურახუნებს ვიღაც კარსა.

„ვინ ხარ?..“ — „ჰეი მასპინძელო“.
„რა წელკავი დაგმართია
რას დაბოგრავ კაინ — მკვლელო
რა ეშმაკმა მოგათრია.
ავი სული მოგიტანდა
სად მოვნახო ახლა კვარი“...
გადმოცურდა გლეხი ზანტად
და შეაღო ბინის კარი.

ღრუბელთ შორის მთვარე სცურავს
კარში მკვდარი სდგას საწყალი,
წვერსა წყალი დაუწურავს,
დარჩენია ღიად თვალი,
მდუმარება ირგვლივ აკრავს
ხელებიდან სწვეთავს წყალი
გასიებულ ხორცში მაგრად
ჩასჭედია კიბორჩხალი...

მიაჯახა გლეხმა კარი
მიაძახა — „გასკდი ბარემ!“
კარგად იცნო ის სტუმარი
მთელის ტანით მოზანზარემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერ მოვიდა თავის გონზე
აიტანა სიცივემა
და ესმოდა ალიონზე
ფანჯარის და ჭიშკრის ცემა.

ხმა გავარდა ხალხში ავი:
როცა წელსა შესცვლის წელი,
თურმე გლეხი საცოდავი
აღთქმულ დროზე სტუმარს ელის.
დღე იცვლება დილიდანვე
მოვარდება ღამით ბუქი,
და ჭიშკართან მთელი ღამე
ისმის მკვდარის რაკარუკი.

დელიბაში

თოფის სროლა წამდაწამი
ისმის ჩვენს და მტერთა ჯარში,
ახლო სერზე ქრის თამამი
და წითელი დელიბაში.

დელიბაშო! ეგებ გკლავენ
რომ ჯირითობ გაშლილ სერზე
შეიცოდე შენი თავი
აეგები შუბის წვერზე.

შენც კაზაკო! გქონდეს ჭკუა
მოარიდე მტერსა თვალი,
თორემ მალე გაგკვეთს შუა
დელიბაშის ბასრი ხმალი.

ჭრიან... შეხვდენ... კარგად არ ჩანს.
რომელია გამბედავი?
დელიბაში შუბზე გარჩა,
აღარც კაზაკს შერჩა თავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მოტაცება[1]

IX. არაგვია

სად ხართ ბუნების გულმეცნიერნო და იდუმალთა ჟანგის მიმთხრობნო? გვითხრათ ჭალიკონს რას ეტყვიან ჭანდრის ფოთლები. სად ხართ ფერწერის ოსტატებო. ეგ ტანხატული ჭანდრები რომ გამოსახოთ. მთლად ნორჩ ხის კანზე ქეცედ ქეცედად ამძვრალ ქერქის ტალები რომ ატყვია ჰიეროგლიფების მინაგვარი და საოცარი.

ეს სახეები, აეურები, არაბესკები, ნაშუქარის და ნაჩრდილევის ლაღი თამაში.

არაფერს ისე არ გაუოცებივარ ჩემს ბავშვობაში, როგორც ჭანდრების მოქარგულს ტანს.

ჯერ იყო და ასე მეგონა: ვიღაც უჩინარს ღამის მხატვარს უხატნიაო. მართლაც და რას არ აგონებს ადამიანს ეს ფიგურები! ზოგი ჩიტუნას გაშლილფრთებიანს, ზოგი ირმისთავს ქორბუდიანსა, ზოგიც შორეულ ზღვების კუნძულებს, ზოგზოგიც ვეშაპს ხახადაჩენილს, აიღებ ფანქარს გადმოხატვას რომ დააპირებ: არც ისე ადვილი აღმოჩნდება მათი ასახვა.

ასე ყოფილა, ალბად აწიც ასე იქნება: დიდოსტატობის ნახელავი, ოლი ხელით ნათამაშევს წააგავს მუდამ. როგორ ამშვიდებს ადამიანს ამ ჭანდრების ფოთლების შრიალი, როცა ჩეროებს მოგანატრებს მზე კოლხიდისა. გულს გაგიმრთელებს ამ მდევების თვალისშევლებაც. ძველ ეგვიპტელებს ჰყვარებიათ ტანკენარი ობელისკები, რადგან ობელისკი ხვატით გადარუჯული ქვეყნის ოცნებაა, ხისთვის ოცნება.

ეს არის მხოლოდ: ობელისკის ზესწრაფვა ცივია და მიწიერთან განრიდებული. ჭანდრის ტანკენარობაშიაც ობელისკური ცათატრფიალია მიჩქმალული. ამ ცათატრფიალს ხისაფურცლობის, სიმწვანისა და სიხალისის იერიც ზედ ერთვის ხოლმე. სწორედ ამიტომ ჰყვარებიათ ძველ ბერძნებსაც ჭანდრის ხეები.

თარაშ ემხვარის დღიურიდან ამონაწერი.

ზუგდიდის მთელი მოსახლეობა მარულას სამზადისით იყო დაინტერესებული. მოხუცები მხრებს იჩეჩდნენ, წარბებს ღუშავდნენ, იჭვნეულად ღიმებოდნენ:

---

[1]) იხ. „მნათობი“ № 4 — 1934 წ.

აბა რა სათქმელია!

მარულას დადიანები, შერვაშიძეები, ემხვარები და ჩიჩუები მართავდნენ თავის გასართობად. რა შვილია ბოლშევიკები რომ მარულას ვაგონმართავენ და მერმე ისიც ნააღდგომევს. ესაო და დახვრეტას გადარჩენილ აზნაურებს არ მოეწყინოთო?

არა, ჰმ!..

კინოოპერატორის ჩამოსვლამაც ხელი შეუწყო ამ იჭვების გახმიანებას. ალბად კინოსურათის გადაღებას ლამობენ, ხალხს მოიტყუებენ და მონაწილეობას მიაღებინებენ, რათა უკეთესი სურათი გამოუვიდეთ და მერმე ეს ყოველივე გაზეთებში დახატონო. ასე ამბობდნენ მოხუცები.

მარულას სპეციალური კომიტეტიც შესდგა. თავმჯდომარედ შარდინ ალშიბაია დანიშნეს. საქართველოს მიწსახკომის მიერ ტფილისიდან ჩამოყვანილ ცხენებს ისე დასდევდა ხალხი უკან, თითქოს ოპერის სახელგანთქმული მომღერლები ყოფილიყვნენ საგასტროლოდ აქ ჩამოსულნი.

უთენია, აზარის სიმღერით შემოდიოდნენ ზუგდიდში, აბხაზეთისა და ოდიშის უშორეს რაიონებიდან ჩამოსული ჩოხიანი ცხენოსნები.

ამაზრზენია და საოცარი აზარი...

ნაბდით შესუდრულ ცხენზე ბიჭი ზია წითელპერანგიანი, დიაცური, გულისწამლები ხმით ყივის და ცხენოსნები მოსდევდენ უკან, ბოხი ხმით მღერიან.

და აზარი სიმღერას როდი ჰგავს, არამედ მოზარეთა ხანდაზმულ ღიღინს. წითელპერანგიანი მოაქროლებს ცხენს და გაჰკივის, როგორც ჭინკა, ბედის საზღვარს გადაცდენილი. ცხენოსნები ზარს ამბობენ და დამბაჩებს ისვრიან.

ოჰ, მეც მსმენია ჩემს ბავშვობაში ეს აზარი.

თვალს ვუხუჭავ და ახლაც ვიგონებ ამ სტრიქონების დაწერისას.

ტანზე ბუსუსები გამოესხმება უთუოდ აზარის გამგონეს. ჟრუანტელი დაგივლის თხემიდან ტერფამდის და ცხენს, თურმე ცხენსაც გულს უხურებს აზარის გაგონება. ასე ამბობენ აბხაზები: „გულს უხურებსო“. ძველს დროში თითოეულს რაზმეულს ცხენოსნებისას დადიანი, შერვაშიძე, ემხვარი, ლიპარტიანი და ჩიჩუა მეთაურობდა.

ახლა ფიფიას, აგირბას, ესვანჯიას, მალაზონიას ან ჭკადუას მოჰყავდა ცხენიც და ცხენის ამალაც. აზნაურებიც ერივნენ აქა იქ, მაგრამ არა როგორც ცხენის პატრონი, არამედ როგორც ცხენის საქმის ოსტატი, ცხენის ქომაგი და მოსეირე. ამ აზნაურებს უთუოდ გაარჩევდა დაკვირვებული თვალი თავიანთი თავდაბლური ქცევისა და ბალთებშემოხეული ჩოხის მიხედვით.

ზუგდიდი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. შუკებსა და მოედნებზე ჩოხიანი ცხენოსნები ზიმზიმებდნენ.

ზუგდიდში თუ ყოფილხართ ჩემო მკითხველო?

არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ საქართველოს ულამაზესი დაბა არ გინახავთ.

დადიანისეული სასახლის გასწვრივ მიურატისეული სდგას, იგი ევროპული ვილლის გეგმაზეა აგებული.

ფეოდალის აასახლე და ერთქუჩიანი ქალაქი!

ამ მხრივ მეთვრამეტე საუკუნის ვაიმარს მოგვაგონებს ზუგდიდი. მიურატისეულ სასახლესთან, აწინდელ მუზეუმთან იწყება ზუგდიდის შესანიშნავი ჭანდრების ხეივანი. შუაში პატარა რუ მიწანწკარებს ბეტონის საწოლში ჩაკირული. გაზაფხულზე კიდევ მოისმის ამ რუს ლიკლიკი, მაგრამ შემოდგომით, როცა გაღმაგამოღმა ჩარაზმულ ჭანდრებიდან ცვენას იწყებენ ფოთლები, რუ მთლად დაილევა, და ამ ჩალისფერი აბრეშუმის საბნის ქვეშ ისე ღიმღამებს, როგორც ბალღის უვნებო სიზმარი.

ამ ჭანდრების ხეივნის გაღმაგამოღმა მიდის ეს ერთადერთი გამზირიც. სწორედ ამ გამზირის შუკების კუთხეებში ჯგუფჯგუფად იდგნენ დაქვეითებული ცხენოსნები. დაკეცილი მათრახები ეჭირათ ხელში და პირგამურულ ბიჭებს ფეხს აწმენდინებდნენ. პატარა ბიჭუნები ცხენებს დაატარებდნენ. ამ ცხენებს უსაქმური ბალღების მთელი ლეგეონი დასდევდა უკან. ცხენის სიყვარული თავს ვერ იოკებდა. ეპარებოდნენ ცხენებს, ხან გავაზე და ქეჩოზე ხელს წაუტატუნებდნენ, ხან ფაფარზე, ხანაც საოლავზე ეფერებოდნენ.

როცა მთელს ქალაქში მხოლოდ ერთი გამზირია, მაშინ ყოველი კაცი უმზერს თითოეულის საქმიანობას. სწორედ ამიტომაც მთელი ქალაქი ხედავდა, თუ როგორ დარბოდა დილიდანვე შარდინ ალშიბაია. მას უშველებელი წითელი ბანტი ჰქონდა საღილესთან მიკერებული, თვით აფიშების გაკვრასაც არვის ანდობდა. მაგალითის მისაცემად თავათაც ხელში ეჭირა ერთი, უკეთ რომ ვთქვათ, თავისი უშველებელი, კიდეებშემოცვეთილი პორტფელი (რომლითაც იგი წიგნების ნაცვლად სამსახურში მიღებულ ფარგებსა და კონსერვებს დაათრევდა ხოლმე), ამ დღეებშიაც თან დაჰქონდა და რაკი აფიშა შიგ ვერ ჩატეულიყო, პორტფელისათვის გარს შემოეხვია და შარდინ ალშიბაიას პორტფელზედაც კითხულობდა ხალხი ამ სიტყვებს: „ზუგდიდი: მაისის 3 — გრანდიოზული მარულა“ და სხვ. ასე რომ თავათ შარდინ ალშიბაია ქცეულიყო მოარულ რეკლამად.

*
* *

ჯერაც ქათმებიც ძირს არ იყვნენ ჩამოსული გადაზნექილი ალუჩის ხიდან, როცა ლუკაიამ არზაყანი გააღვიძა. ცხენი უნდა გაეყვანა არზაყანს ქალაქს გარედ და წესისამებრ ნამცვარევი ბალახი მოეძოვებინა. თვალების მოუფშვნეტავად ხელი წამოავლო არზაყანმა თავის აზიურ წაღებს. ვიწრო ყელში ძლივს ჩადიოდა საპნით გასლიპული ფეხი. კვნესოდა, ცალი მუხლით სოხანეზე წამოჩოქილი არზაყანი. წინაღამით ნაჯაფარი ფეხი ოდნავ წამოსივებოდა, ღამიან ჯაგნარებში ტოპვისაგან შაგრენის წაღები დასველებოდა, ჭრიჭინებდა ახალთახალი შაგრენის ტყავი, გაწითლებული არზა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყან თავის გუნებაში სწყევლიდა ოსტატს, ამ წაღების შემკერეს. ეგნესოდა, ორივე ხელით ჭინთავდა ყელს, ხანაც ტერფზე ისვამდა ხელის გულს, მაგრამ ამაოდ.

ეტკინა არზაყანს მუხლის თავი, ცალფეხად ხტომით მივიდა ლუკაიას რელიქვიების ზანდუკამდის და ზედ ჩამომჯდარი ორივე ხელით მოეჭიდა წაღის ყელს. ხვნეშოდა, თანაც ბლუზის სახელოთი იწმენდდა შუბლზე გამოსულ ოფლს.

კრიჭინებდა ახალი შაგრენის ტყავი, ჭრაჭუნებდა შეურაცხყოფილი წმინდანების ძვლებით გავსილი ზანდუკი.

დილიდანვე უგუნებობა წამოყვა არზაყანს, თანაც ჩქარობდა რაკი ხედავდა, რომ მოლზე გასვლა უგვიანდებოდა, ერთი გაიფიქრა: სატევარი გადმოელო, ოდნავ გაეჭრა წაღების ყელი, მაგრამ დაენანა ახალი წაღები. და ეს ვიწრო აზიურები ყოველ ჩაცმისა და გახდის ჟამს ასეთ ტანჯვას ჰგვრიდა არზაყანს, მაგრამ ასევე განუზომლად უყვარდა ფეხზე შემოსხეპილი წაღები, თავისი ხიზილალასფერი ფაფახი და ზარნიშიანი ქართული ქამარი.

ყოველ ახალ უძიროს და აზიურ წაღას საპნით იცვამდა არზაყან და მერმე მთელი კვირა ფეხზე გაუხდელად, წაღებიანად წვებოდა, რათა წაღები ფეხს შეჰგუებოდნენ.

ლუკაია იქვე დაცუცქულიყო. შესცქეროდა, სხვადასხვაგვარ თათბირს აწვდიდა.

ლუკაიას ქალამნები ჩაეცვა არზაყანს და ისე შემჯდარიყო თავის არაბიაზე? ეს აზრი ძალიან სასაცილოდ ეჩვენა. ვის გაუგონია: შარვალჩამოშვებული კაცი ცხენზე იჯდეს, ან თავის არაბიას როგორ ჰკადრებდა არზაყან ამას, ან თავის აბხაზობას და ვაჟკაცობას?

არზაყანს ტყეში ან მინდორში გასვლაც არ შეეძლო, თუ აზიურები არ ეცვა ფეხზე, წელზე ქამარი თუ არ უჭერდა და ბლუზის ღინკილოები თავიდან ბოლომდის თუ არ ექნებოდა შებნეული. რა უყოთ რომ ჩალმაზს არ მოსწონდა მისი უსაზღვრო სიყვარული არაბიასადმი, წაღებისა, საცვეთებისა და ხიზილალასფერ ფაფახისადმი. ჩალმაზ უფრო ორტოდოქსი კომუნისტი იყო. ეს ამბებიო, ეუბნებოდა არზაყანს იგი, ძველი ყოფის რეციდივებიაო, და თუ ყოველივე ეს არ მოიშალე, მუდამ ხანგადასული კომკავშირელი იქნებიო.

ლუკაიას ხულაშიაც შემოიხედა განთიადის ლილისფერმა ლიცლიცმა.

ლუკაია არზაყანზე მეტად ღელავდა. ცალკერძ იმისი ეშინოდა ზანდუკი არ ჩაემტვრია არზაყანს და წმინდანების ძვლები არ დაეზიანებინა, ცალკერძ იმის ჯავრი ჰქონდა: ვაჲ, თუ მზის ამოსვლამდის ცხენის მოძოვება ვერ მოესწრო არზაყანს. მართალია, გუშინდელი ამბების შემდეგ ოდნავ ნაწყენი იყო ლუკაია: არზაყანმა რომ არ დაუშალა კომკავშირელებს ღმერთის გაპამპულება, მაგრამ რა ექნა, არზაყან ხომ მისი მეგობრის კაც ზვამბაიას ვაჟი იყო მაინც.

თავათ არზაყანიც ჩქარობდა. მან კარგად იცოდა: ლუკაია ნახუცარს არას უმალავდა. ალბად ისიც ნათქვამი ექნებოდა: ნახუცარი თუ გცემსო, რომ მეეკითხა ლუკაიას. ცხადია, ისედაც აღრენილი ბაბუა ტარიელ უთუოდ აუგად ჩამოართმევდა ამ ამბავს არზაყანს. ნახუცარი ადრე დგებოდა და გზადგავლილს გესლიან სიტყვას ესროდა უთუოდ აივნიდან.

შაგრენის ჩექმების კრიჭინმა, წმინდანების სკივრის ჭრაჭუნმა, ლუკაიას ჩურჩულმა და არზაყანის ხვნეშამ კაც ზვამბაიაც გამოაღვიძა.

კაც ზვამბაია გულნაწყენი იყო, გუშინ აღდგომის ტრაპეზი მასთან ერთად არ გაიზიარა მისმა ვაჟმა. და რა კი ამგვარი საყვედური ბარე ორიოდე აღდგომის მეორე დღეს ჰქონდა არზაყანისათვის ნათქვამი, ახლა ეს უკმაყოფილება უმიზეზო ბუზღუნში იხატებოდა.

ქვეყანა გადაირიაო, სჩივოდა კაც, ახლანდელი არც მარულა ვარგაო, არც ცხენი და არც ცხენის პატრონი. ვის გაუგონია, სამარულე ცხენი ხელაღებით გაიყვანესო, სამარულე ცხენს ორი კვირა წყალში ვაყენებდითო, რათა ცხენს მუცლის ქონი ჭაჭებში გაუვიდესო, უთენია ნამცვარევი ბალახი უნდა აძოვოს და მთელი დღე ჩეროში უნდა იყოსო ცხენი დაბმული.

ეს ქადაგებაც ათასგზის ჰქონდა არზაყანს განაგონი, ისედაც, უყმურ გუნებაზე იყო წამომდგარი, არ უნდოდა მკვახედ შესიტყვებოდა მამას, ამიტომაც სდუმდა.

აბხაზეთსა და ოდიშში განსაკუთრებით დილაობით ერიდებიან ცუდი სიტყვის წარმოთქმას და დილით ოქროს გამოივლებენ პირში.

კაც ზვამბაია ღელავდა. მარულა კარზე მომდგარიყო. არზაყან ალბად უთუოდ მიიღებდა მონაწილეობას. კაცს აბხაზური ცხენოსნობის დიდოსტატის სახელი ჰოქნდა მოხვეჭილი და მერმე ისეთ დროში, როცა შერვაშიძეები და ემხვარები არც ასე იოლად უთმობდნენ ვინმეს კარგი ცხენოსანის სახელსაც. ახლა მისი ვაჟი უნდა გამოსულიყო დოღში მთელი ოდიშისა და აბხაზეთის თვალწინ და მისი კარგი სახელი შეერცხვინა. ხალხი იმას კი არ იტყოდა: ესაო და არზაყან კომკავშირელია და ამიტომაც აბხაზური ცხენოსნობის წესი ვერ შეითვისაო, არამედ ასე: კაც ზვამბაიას ვაჟმა მამას თავი მოსჭრაო.

გუშინ მთელი დღე უპატრონოდ იყო მიგდებული არაბია, თავათ არზაყან სადღაც დაბორიალობდა, კაც ზვამბაიას ნახუცარი და თარაში არ იშორებდნენ, ლუკაიას არ ეცალა და არაბია გამხმარ ჩალას ღეჭავდა თავლაში ძროხებთან ერთად.

ახლა ნანობდა კაც ზვამბაია თავისი უმრწემესი ვაჟი ქ ე ლ ე შ ი რომ არ წამოიყვანა. მერმე როგორ ეხვეწებოდა საწყალი ბიჭუნა! ქელეშ კომკავშირში არ ჩაწერილა, ამიტომაც იშვიათი ცხენოსანია. ქელეშ ყველაფერში მამას ჰგავს. ქელეშ მამასავით ტანმორჩილია და არზაყანზე უფრო მარდი და იგი, მხოლოდ იგი თუ ასახელებდა ამ მარულაში მამას. არზაყანმა პირიქით ყველგან სირცხვილი აჭამა კაც ზვამბაიას. პოლიტსამმართველოს დავალებით ყაჩაღებს სდევნის. ოდესღაც მთელი სააბხაზოს, საშურზაყანოს და ყაბარდოს ცხენის ჭურდები კაც ზვამბაიას სახლში იყრიდ-

ნენ თავს. არც კაც ზვამბაია და არც მისი სტუმრები მარტოდენ ანგარების გამო არ ეწეოდნენ ამ საქმეს. ცხენის ქურდობა იმ დროებში ვაჟკაცობის მაღალი მარკა იყო. და ახლა არზაყან თავათ [illegible] მამისა და სიყრმის მისის მეგობართა წინააღმდეგ. არზაყან მამ[illegible] „[illegible]ეხია“ და სხვა არაფერი. შვილმა მამის სახატეს ზურგი აქცია, შვილმა მამის პურმარილით მოგებულთ თოფის ლულა მიუშვირა.

და როგორც შებინდებისას წამოვა ხოლმე პონტოს ზღვიდან ამდგარი ლეგა ღრუბელი და მერმე უშველებელ ძერასავით აფხორილი გამოსწევს ქიანქიანით, გზადაგზა უფრო და უფრო გაზრქელდება და გაშავდება და ჩაწვება ოქუმის ახლოს, ანარიდან განაწევრებ ორ მომცრო მთას შორის, ისე ეშვებოდა მამასა და შვილს შუა გაბოროტება და ეს ყოველივე სავსებით უბრალო წვრიმალებში იჩენდა თავს.

ახლაც კაც ზვამბაია გუშინდელ ამბავს დაუბრუნდა. წინა ღამით ვერაფერი უთხრა ვაჟს, რადგან ლუკაიას ავად გახდომამ შეუშალა ხელი. ცხენი რად დაამშიეო, ასე თუ გინდოდა გუშინ სად დაეხეტებოდიო. სად დაბორიალობ თავათაც არ იციო და მოჰყვა თავისებურ ქადაგებას კაც ზვამბაია.

ის ის იყო არზაყანმა მეორე წალის ყელიც მაჯაგანით გადაიკეცა მუხლის თავზე, მათრახს ხელი წამოუსვა და უხმოდ გავიდა გარედ.

არაბია გულაჩვილებული ჭიხვინით შეეგება თავის პატრონს და ამ ჭიხვინში იგრძნო არზაყანმა უყურადღებოდ მიგდებული ცხოველის ჩივილი.

დამნაშავესავით დარცხვენილი შევიდა არზაყან თავლაში, პატარა, აცქვეტილ ყურებზე მოეფერა არაბიას, შეკრეჭილ ფაფარზე ხელი მოუსვა, ლოყა კისერზე მიადო და მიეხუტა ცხენს, თვალები ამოუწმინდა მზრუნველი ხელით, თუმცა ჯერ თავათაც რიგიანად არ მოეფშვნიტა თვალი.

არზაყანს გული დასეტყვილი ჰქონდა თამარის უნახაობის გამო უმწეოდ ამრეზილს. ბუზღუნა მამისა და შლუ ლუკაიას ამარა დარჩენილი ისეთ უჩვეულო მარტოობას შეეპყრო მისი სული, ასე ეგონა მთელი ქვეყანა უდაბნოდ ქცეულიყო, თითქოს არსად მიწაზე ერთი ადამიანიც არ ეგულებოდა ისეთი, ქრთილის ოდენა სიყვარული რომ შემოენახა მისთვის. და ასეთ დროს განუზომელად იამა არაბიას შეხედვა, რადგან ცხოველის სიახლოვე ამშვიდებს ადამიანებზე ნაწყენსა და გულაცრუებულს.

არაბიას ავშარა წაეძრო როგორღაც და როცა არზაყანმა გავაზე ხელი წაუტატუნა, იგი ერთბაშად ხელიდან გაუძვრა არზაყანს, ქალაჩუნურად კისერი მოიღერა და შეიკუნტრუშა. შორიდან თავს უქნევდა, თითქოს ალერსიანად ემუქრებოდა: თავის პატრონს.

ამ წუთში არაბია ქალწულსა ჰგავდა, ნაფერებსა და დედის ერთას, როცა მას დედა გარდაეცვლება და მერმე მამა ჭარმაგი და დაქვრივებული შვილის ხათრითა და მორიდებით სხვა ცოლს ვეღარ შეირთავს. მერმე ამ ერთადერთს მიაკუთვნებს იმ სიყვარულსაც, რომელიც მას ეკუთვნის როგორც ქალიშვილს და იმასაც, ვნების წუთებში გარდაცვლილი ცოლისადმი რომ უგრძვნია მამას.

მიუახლოვდება არზაყან არაბიას, სადაცაა ხელი უნდა წაავლოს კისერზე, არაბია ჯერ ისევ გაიტრუნება და თავს მოიკატუნებს, თითქოს კარგად გახედნილი, მშვიდი ცხენი გამხდარიყოს და სიბრძნის კბილი ამოსვლოდეს. დღელამის მანძილზე, მერმე უცებ შეხტება, შეიკუნტრუტოს და გაქცევა-ღელავს არზაყან, თანაც ახარებს ამგვარი ლაღობა თავის საყვარელ ულაყთან. მერმე თავლის კარი ღია დასტოვა არზაყანმა, თავათ ფეხები დაუბაკუნა, ხელი ხელს შემოჰკრა „აჩუო", შესძახა და სვეტს ამოეფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის სინათლისა და ღია კარის დანახვით გახარებულმა არაბიამ დაიჭიხვინა და კარისაკენ გაემართა, მაგრამ არზაყანმა ისკუპა და ფოცხვერივით მოექცა ქეჩოში გატეტეჩებულ ულაყს და ლაშებში წასწვდა. და როცა არზაყანმა თავლიდან გამოიყვანა ცხენი, მწიფე ქლიავის ფერსა და დიდრონ თვალებში ჩაჰხედა და იგრძნო რატომღაც რომ არაბია თამარს წააგავდა.

თამარსავით გრძელი და ჯიშიანი ფეხები ჰქონდა არაბიას, მასავით ელასტიური სახსრები, თამარსავით ამაყი იყო არაბია, თავს მშვიდად და მოკრძალებულად მოაჩვენებდა კაცს, თავათ გულზვიადი და ამპარტავანი. მასავით საუკეთესო იყო და უმშვენიერესი თავის ჯიშში, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს არც კი იცისო რომ ლამაზია და პირმშვენიერი. არაბიაც თამარსავით გულფიცხი იყო და არზაყანიც ორივეს უთმენდა ამ გულფიცხობას, რადგან კარგად იცოდა, სიფიცხე ჯიშის უტყუარი ნიშატი რომ არის. და დაიძრა ამ მზგავსებისაგან არზაყან ზვამბაიას გულში მოზღვავებული სიყვარული, მივიდა არაბიასთან, ორივე ხელი მოჰხვია ცხენს გ ე დ ი ს კ ი ს ე რ ს ა ვ ი თ მ ო დ რ ე კ ი ლ ქ ე დ ზ ე და განუსაზღვრელი სიყვარულის დარდით გულაჩვილებულმა აკოცა არაბიას მადონასებურ დიდრონ და კრიალა თვალებში, შემდეგ კი, თვალის უპის ზემოდ ორივე თხემის რქაზე აკოცა სამგზის.

უკუდგა მყისვე და თავათ გაოცდა, რომ ამ ცხოველში გაერთიანდა ქალისა და ცხენისადმი უსაზღვრო ტრფიალი.

როცა ცხენს მოაჯდა და მათრახის მოწყვეტილი ტკაცანი გაისმა კაკლის ქვეშ, ამ მშვენიერი დილის ჰაერის პირისპირ და გაქანებული ცხენის რბენით გახარებულმა, გულის დარდის განუზომელად შემსუბუქება შეიგრნო.

ეზოდან გასვლამდის თვალი მოავლო თამარის ოთახის ფანჯარას, ფარდები დაშვებული იყო. თარაშ ემხვარის ნათქვამი მოაგონდა უნიბლიედ: მართლაც და უმშვენიერესი სახლი ისაა ამ ქვეყნად, რომელშიაც გულის შენის მიჯნურსა სძინავს.

გულმწუხარეთათვის ცხენზე ჯდომა შვებაა და, რა გაიარა მანძილი მცირე, ადრიანი დილის საამო სიგრილემაც გაახალისა არზაყან მყის.

მშველია ბეწვისაგან ნაკეთებ, მაღალტახტიან, ოდიშურ უნაგირზე ნებიერად მჯდარმა სასიცოცხლო ენერგის მოზღვავება იგრძნო, თითქოს იგი უკვე აღარ იყო მარტოხელა, თითქოს იმავე არზაყანს ამ ქუჩებზე არ ევლოს გუშინ და გუშინწინ დარდისაგან გულდაბინდულს.

ცხენოსანი ზევიდან უცქერის ქვეითსა, ისევე როგორც ავტომობილში მჯდარი ფეხით მავალს და ახლაც არზაყან ზვამბაია ხედავდეს თითქოს ცხადლივ მხრებდაშვებულს, ნაცემ მამალსავით მოფუფულ [illegible] ზვამბაიას, შელამებათა ბინდბუნდში ზუგდიდის დიდ პროსპექტზე [illegible].

ახლა მოტაბაკებულ თემშარაზე შეაგდო მან ცხენი, კიდევ მიხედა თამარის თეთრფარდიან ფანჯარას. ცალი სარკმელი ღია იყო, ვილაც მოეჩვენა, ვინ იცის ეგებ თამარი იყოს, უთვალთვალებდეს ეგების იდუმალ, თუ ვით მიაგელვებს არზაყან ზვამბია თავის არაბიას.

მერმე როგორ უყვარდა თამარ შერვაშიძეს ჯიშიანი ცხენების მზერა! თამარს მრავალი რამ ჰქონდა განაგონი არაბიას გამო, ეხვეწებოდა კიდევაც არზაყანს: ერთხელ ცხენით ჩამოდი, არაბია მაჩვენეო როგორმე.

განა არზაყანს არ უნდოდა, მაგრამ იგი ერიდებოდა აზნაურული შიკის გამოჩენას, მტრები აუარებელი ჰყავდა, მეგობრები აფრთხილებდენ: კომუნისტს არ შეშვენისო ამპარტავნულად ჩაცმა და წარამარა ჯირითი. მას უკვე ორჯერ ჰქონდა გაფრთხილება მიღებული.

როგორც იქნა თვითონაც ჩამოვიდა, არაბიაც ჩამოიყვანა და თამარი, თავათ თამარიც სანახავად სანატრელი გაუხდა.

არაბიას ყოველმხრიდან ესროდენ შურიან მზერას, ქალაქისაკენ მიმავალი მეკვერცხეები, მეურმეები. ჭების საქაჩებთან მიმდგარ ქალებს თოკი ხელში შეაცივდებოდათ, გაოცებულნი უჭვრეტდენ ტანწყობილ მხედარს და რაშივით ცხენს. ხარაზები, თერძები, ჭონები სადგისსა და ნემსს შეაჩერებდენ და არაბიას მიაშტერდებოდნენ.

არზაყან არაბიას მაგივრად გრძნობდა ამ მზერას. სამსახურში მიმავალი მოხელეები და ლამაზმანები გზაში ჩერდებოდნენ, ჯერ ცხენს შეხედავდნენ, მერმე თვით მხედარს გააყოლებდნენ მზერაა ალერსიანს, ხანაც შურნარევს.

ჭანდრების პროსპექტზე სკოლაში მიმავალმა მშველივით ლამაზმა გოგონამ ზედ ცხვირწინ გადურბინა არაბიას, ელდისაგან განაკრთობს ხელიდან წიგნები გაუცვივდა და შიშნარევი აღტაცებისაგან ისე კოხტად ზეასწია მარჯვენა ხელი, როგორც ეს ნაჩვენებია ხოლმე ძველ ბერძნულ ფრესკებზე, როცა მშვენიერი ფერია პანს შეეფეთება, ან ჩვენი დროის ალერინა ასწევს მარჯვენას ისეთ წუთებში, როცა გახელებულ მიჯნურს გაურბის სცენაზე.

ცნობილია; ჯიშიანი ცხენები გაცილებით უფრო ადრე იხვეჭენ სახელს ვიდრე უნიჭო მწერლები და მართლაც არაბიას ზუგდიდში ჩამოსვლამდისაც იცნობდნენ განაგონით, არა მარტო დაბაში, არამედ მთელს აბხაზეთსა და ოდიშში. და არაბია ცნობილი იყო განა მარტო სილამაზისა და ჯიშიანობის თვისის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მისი პირვანდელი პატრონი — ძველი ყაჩაღი ამ რაიონებს თავზარსა სცემდა ოდესღაც.

არაბია შეკრთა და როცა მხედარის მაგარმა ხელმა მარცხნისაკენ მოუღრიჯა კისერი, შენელებული, რიტმიანი როკვით ისევ გოგვაზე გადავიდა და, დაიფრუტუნა.

ასე მიროკავდა მშვენიერი, ძლიერი, ახლგაზრდა ცხოველი და ოქროს სხივებად დაფანჩული გაზაფხულის მზე კაშკაშებდა არაბიას ტალლაპა ბეწვზე. ბაზრის თავში, მოცვეთილ ხეებზე მიბმულმა, ბოდიალმარე ცხენებმა თვალი გაახილეს. რომელიღაც ჯაგლაგა და უჯიშო ბეჟანი ინატრა ალბად გულში ეს წმინდა სისხლის აჯილღა და გამწარებულად დაიჭიხვინა. ყურებაცქვეტილი არაბია მიგელავდა, მიროკავდა, მშვილდივით სდრეკდა კისერს, დუჟმორეული ღეჭავდა ლაგამს და თავისი გონიერი თვალებით. გასცქეროდა გზას, თითქოს ეს გზაც და ეს მშვენიერი ქვეყანაც მისდა სანავარდოდ ყოფილიყოს გაჩენილი.

ჭანდრების ქვეშ ორი მოხუცი ნათავადარი შენიშნა არზაყანმა: გუდუ ჩიქოვანი და გვანჯი აფაქიძე. გვანჯი აფაქიძე გველნაკბენსავით ზეწამოიჭრა, ვიწრო ბულვარი გადმოიარა და ის კაცი, რომელსაც დასანახავად ეზარებოდა ყოველი კომუნისტი და მით უფრო არაბიას პატრონი (რადგან სწორედ არზაყანმა შეიბყრო მისი ვაჟი ამი წლის წინად), ახლა ცბიერად მომღიმარე, შემოეგება:

„აბა ჰა, არზაყან, აბა ჰა, არზაყან, მბობდა გვანჯ, აბა შენ იცი სირცხვილს თუ არ გვაჭმევ ინგირსგალმელებს ზეგ. ხომ ხედავ ახალ დროშიაც ჭკუა ვერ ისწავლეს გამოლმელებმა, ჯვარში კაცი გაუგზავნიათ კიწი დადიანთან, შენ უკეთ იცი კიწი ძველი ცხენეჯია. გარდა ამისა, მიწსახკომის ცხენები ჩამოუყვანიათ ტფილისიდან. ისეთი, ისეთი შენ გაზდას, კაცის თვალი უკეთესს ვერას ინატრებს“.

თვითონ არზაყანსაც ჟამივით სძულდა გვანჯ აფაქიძე. ბოროტი, ჭორიკანა, ენამრავალი და ერთ წუთს არზაყანის ხსოვნაში უეცარმა მოგონებამ იელვა: წყლისფერ ჩოხით მორთული, მოოქროვილ ქამარსატევრით წელდამშვენებული გვანჯ აფაქიძე ცხენს მოაჯირითებდა ოქუმის თემშარაზე ერთხელ. თორმეტი წლის არზაყანს საფქვავი მიჰქონდა წისქვილში ტომარი თავზე ჰქონდა დადებული და ცალკერძ ჩამოწოლილი ტომარის უბე მზერას უბორკავდა არზაყანს. გვანჯ აფაქიძემ ზედ ცხვირწინ დაურჭო ცხენი.

„შე მამაძაღლო, გზა დროზე ვერ მიტიეო? შემოსძახა და მათრახის წვეტი უთავაზა. იმ დღიდან მორიელის ნაკბენსავით ახსოვდა არზაყანს ეს ამბავი.

ახლა კი, ყავისფერ ფაფახიანი, კოხტად მოკაზმული არზაყან ცხენიდან გადმოსცქეროდა ჩოხაშემოხეულ გვანჯ აფაქიძეს, და არზაყანის გული ისეთსავე დიდ სიამოვნებას გრძნობდა, როგორსაც გვანჯ აფაქიძე არაბიას შეხედვისას.

გვანჯს თვალში მოხვდა არზაყანის კოხტა აზიური წაღები, მუხლს ქვემოდ ვერცხლის ლეკვერთხები შენიშნა, სწორედ ისეთი, თავადები რომ ატარებდენ ძველად. შემდეგ კი ისევ ცხენზე გადაიტანა მზერა ნათავადარმა, ხოლო არზაყანმა გვანჯის პეწშემოცლილ ფაფახს, მოხარბულ კომშავით გაყვითლებულ ლოყას და ღვაწლისთავებზე ჯერ ნაზვივით ამოსულ თმას შეავლო თვალი.

გვანჯს ჩოხა ეცვა სატევრის მიერ საქამრესთან გამოცვეთილი, ჩოხის ზემოდან გარკაბა, ეგეც საკმაოდ გახუნებული, ხოლო გარკაბისთვის წითელი სარჩული დაედო, სწორედ ისეთი ნიკოლოზისეული-ანგარეულების მოსასხამებს რომ ამშვენებდა. და მუდამ კოკმაზურად მოთუნული გვანჯ აფაქიძეს ადამის ვაშლამდის სწვდებოდა გაცვეთილი ახალოხის საკინძედან გამოჩენილი სვეტერის საყელო. ხოლო ადამის ვაშლი მისი კისრისა მაჟალოს ჰგავდა, უჟამოდ დამჭკნარს.

თვალგაბრწყინვებული შესცქეროდა გვანჯ აფაქიძე არაბიას, მუშტრის თვალით ზომავდა და ათვალიერებდა ცხენს.

არაბია ცქმუტავდა, დაფეთებული თვალს უბრიალებდა ამ ახმახ კაცს, რომელსაც ცალი ხელი აღვირზე წაევლო მისთვის, ხოლო მეორეს ფაფარის ძირებზე უსვამდა და ეფერებოდა.

ერთბაშად ხელი უშვა აღვირს გვანჯ აფაქიძემ, მცირე მანძილზე უკუდგა, ჯერ თავს ცხენისას შეავლო თვალი, შემდეგ საძუისაკენ გაიხედა, დაუზარებლად, მარდად დაცუცქდა, მუცელზე ახედა და შემდეგ ისევ ცხენის ფეხებს შეაჩერდა და რა წინა ფეხების საოლავზე ფრთხილად შეავლო ხელი, მყის ატოკდა, აცქმუტდა არაბია და ურჩობა დაუწყო მხედარს. ოდნავ წინ გაჰქანდა, უხიაგი ფრუტუნი შექნა, მაგრამ აღვირისაგან დაოკებულმა ისევ ერთ ალაგას ცქმუტვა და ფეხების ბაკუნი დაიწყო.

თავდახრილი, გაშეშებული იდგა შორიახლო გვანჯ აფაქიძე, მარცხენა ხელის მჯიღი ნიკაპთან მიეტანა და ხმადაბლა ბუტბუტებდა, თითქოს ძველ ლოცვას იმეორებსო თავისთვის:

„აჰა, საოლავი მოკლე აქვს, კაია". ესა სთქვა და ცხენის თავს მიხედა მყისვე:

„კარგ ცხენს აქლემს უნდა მიუგავდეს სამი ასო: თავი აქლემისებრ ხმელი, ცხვირიც მასავით გრძელი, ლაშიც აქლემისებრ წაგრძელებული".

ესა სთქვა და ქვედა ლაშზე ჩამოჰკრა ცხენს თითი საჩვენებელი, ისევე როგორც ვირტუოზი პიანისტი დაჰკრავს ხოლმე პიანინოს ინსტრუმენტის ტემბრის გამოსაცნობად.

და ისევ განაგრძო: „ენა და ძუა გრძელი უნდა ჰქონდეა ჯიშიან ცხენს, კაცს კი ენა მოკლე.

„აფსუს, ძუა რომ მოგიჭრია არზაყან, ეს რისებს სჩვევიათ. რა გიქნია ბიჭო! და ეს „ბიჭო" სმენაში გაეხირა არზაყანს, მაგრამ მყისვე გაარჩია: ეს არ იყო მკვახედ, აგდებულად ნათქვამი, არამედ ალერსიანი და მოუფიქრებელი შეხუმრება.

ახლა ცხენის გავას გადახედა გვანჯ აფაქიძემ, თოქალთოს ქვეშ დაგებული ქეჩა ამოსწია და ისევ განაგრძო:

„გვერდის ძვალი სხვილი"... შემდეგ ისევ ცხენის თავს გაჰხედა: სხვილი თვალები... ჰა, ჯიმა აჯამი, ასეთი თვალები ჯერ არ მინახავსო ცხენის თავზე, ამბობდა გვანჯ აფაქიძე.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისევ მოჰყვა თავისებურ ბუტბუტს: „სამი ასოც ჯორს უნდა უგავდეს, ყური გრძელი, წაცქვეტილი, ბრჭალი შავი, კოხტად მომრგვალებული, ისეთივე როგორც ჯორსა აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კბილები“...

ესა სთქვა და ისევ თავს წასწვდა ცხენისას, ზემო ლაში ახადა ფრთხილად.

„კბილები ახლომახლო მიჯრილი“...

არაბიამ თავის კანტური დაიწყო, თითქოს არ უნდოდა თავისი მოყვითანო და ჩარაზმული კბილები ვინმეს ენახა თვალით.

გვანჯ უკუდგა თვალი გაუსწორა ყურებდაცქვეტილს და შუბლში შეხედა ცხენს.

შუბლიც ფართო აქვსო და ნესტოებიც.

ისევ შეუშვა სადავეს ხელი. ცოტა გაატარე და ისევ შეაყენეო, ეუბნებოდა იგი თითქმის ბრძანებითი კილოთი არზაყანს.

არზაყან მონუსხულსავით ყურს უგდებდა ცხენოსნობის დიდოსტატის ნათქვამს, ხალისიანად დასძრა კიდევაც ცხენი, მაგრამ გაბეზრებულ არაბიას კვლავ შეყენება არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

ქუჩაზე უშველებელი ბრბო მოგროვილიყო.

„არაბია, არაბია“ გასძახოდნენ ბიჭები ერთმანეთს.

მორბოდენ თავშიშველა, უქამრო ბიჭები, სამჭედურების, სადალაქოების, სამკერვალოების შეგირდები, სკოლებიდან გამოპარული მოწაფეები.

„არაბია, არაბია“, იმეორებდა ქალი და კაცი, საქმიანი და უსაქმური, დიდი და მცირე.

ყველას ენატრებოდა არაბიას ნახვა, ყველას თვალები უბრწყინავდა არაბიას დანახვისას.

თავათ არაბია კი, მიჯირითებდა, მიგელავდა, მიკუნტრუშებდა. სწყრებოდა არზაყან, მკაცრად ღუშავდა თავის წაბლისფერ წარბებს. ჯავრობდა: გამეტიჩრებული, არაბია რომ არ ისვენებდა, თითქოს მაქებართა ბრბომ თავი მოაბეზრაო და აზვავებულაო ტრიამელ ტრამალების მონატრული.

ჭალარა გვანჯ აფაქიძე ჯერ ძუნძულით მისდევდა უკან, მერმე არც აცივა და არც აცხელა, თავისი დახეული გარკაბის ბალთები ზეაიკრიბა და გარბოდა.

მისდევდენ არაბიას ბალღები, ვაჟები და მოსწავლე ქალები, მხურვალე ოვაციებს უმართავდენ ცხენს.

გზაჯვარედნიზე მაჯაგანით შეაყენა ცხენი არზაყანმა. გვანჯ აფაქიძეს ხვნეშა ავარდნოდა, ცალხელში ფაფახი ეჭირა, ცალი საგულეზე მიედო. მობაჯბაჯებდა, მოძუნძულებდა ძველი სახელოვანი ცხენოსანი, რომელიც ეკლესიაშიაც ცხენით დადიოდა ოდესღაც და გვანჯ ისე საოცრად მოხიბლულიყო ამ საოცარი ცხენის შეხედვისას, რომ თავისი გამწარებული სიბერეც დავიწყებოდა და გულის მანკიც.

უკან მოიხედა არზაყანმა და ფრთამოტეხილ ძერასავით მომბობლავ ნათავადარს რა თვალი ჰკიდა, გაეცინა, მაგრამ მყისვე შეიკავა ღიმილი საოცარიაო ფიქრობდა არზაყან, რას მოძუნძულებსო ეს სულკატიანი. მყისვე დაფიქრდა: ან რა უნდა დაეშავებინა უვნებლად გამწყალ ნათავადარს, ან არაბიასათვის ან მისი მხედარისათვის?

ვინ იცის, მსჯელობდა თავისთვის არზაყან, ეგებ ის ეგონოს მაგ გამოყრუებულს რომ არზაყან ამ ცხენს გაყიდის, მაგრამ არა, ისიც ხომ შესაძლებელი იყო, ბერიკაცს დიდი ხანია ჯიშიანი ცხენი არა ჰყავდა ნახული და უბრალო ინტერესის მეტი არაფერი ყოფილიყო საფიქრებელი. ცხადია, ძველ დროში ვინ შეარჩენდა არზაყან ზვამბაიას ასეთ ბედაურს? თვით გვანჯ აფაქიძეც იზრუნებდა ამისთვის, ძველად გვანჯს მთელ ოდიშში საკუთარი აგენტები ჰყავდა დაქსაქსული, როგორც კი სადმე გაიჭაჭანებდა ჯიშიანი ცხენი, მყისვე გააქრობდნენ.

ქვეყანამ იცოდა: ასეთ საქმეებში გვანჯ აფაქიძეს ხელი ერია, მაგრამ ბრმა იყო ძველი კანონი და ქურდი ის იყო, ვისაც ქურდობაზე მოუსწრებდნენ, ხოლო ქურდობის ხელმძღვანელნი რუსების მეფის კონვოის ოფიცრების ეპოლეტებს ეფარებოდენ.

გვანჯ ისევ ცხენის პირისპირ დამდგარიყო, სახე სულერთიანად გაწითლებოდა, ოფლში გაღვარულს. ახლა მის სახეს რბენისა და სიხარულისაგან, რაღაც უჩვეულო, ახალგაზრდული იერი მისცემოდა. იდგა აღტყინებული მოხუცი, მზერადქცეული უთვალთვალებდა არაბიას.

ძლიერ ახლოს მივიდა ცხენთან, ისევე, როგორც მებორნემ ენგურის პირად, მანაც ოთხივე თითი პრტყლად შეუყო წინა ფეხების ბაყვებში ცხენს, თავი გადააქნია, გარკაბის სახელურით ოფლი ჩამოიწმინდა, აბურძგვნილ, ხშირ წარბებზე ჩამოცვარული და არა უთქვამს რა. შემდეგ ამისა, რამოდენიმე ნაბიჯით უკუიქცა და განაგრძო:

„რახსი ცხენი ყოველი ფერისას სჯობია, ამას შუბლიც შავი ჰქონია, ეს კი უთუოდ ზადია, ფეხკავშა რომაა... ქაჩაჩები ამასაც შავი აქვს, ეს კაია, ეს კაია შენ გაზდას“.

ფეხკავშაო?

გულმა რეჩხი უყო არზაყანს, არ ესიამოვნა, თუნდაც ერთი წუნიც რომ გამოუძებნა არაბიას დიდოსტატმან ცხენოსნობისამან.

„მაშ ცხენს სითეთრე არსად უნდა ჰქონდეს ძია გვანჯ? შეეკითხა იგი მოხუცს, მაგრამ მყისვე ინანა ნათქვამი, რადგანაც მისი კითხვა უპასუხოდ დასტოვა გვანჯ აფაქიძემ. ეს ველარ გაეგო არზაყანს მხოლოდ: განზრახ არ აძლევდნენ პასუხს, თუ შორი ახლოს მოგროვილი ბავშვების ჟრიამულში გათქვეფილიყო მისი ნათქვამი. ისევ გამოერკვა ჩაფიქრებული მოხუცი, პირისპირ შეხედა არზაყანს სახეში.

„მოთეთროო? მოთეთრო არ უნდა ჰქონდეს კაი ცხენს მახარე. არის ერთგვარი ჭრელი, მოჭრელო ცხენიც, სპარსნი აშხამს უწოდებენ ამგვარ ცხენს ბიძი. ამგვარი ცხენის შენახვა სირცხვილად ითვლება ჩვენს დროში“.

„მაშ თქვენა გგონიათ არაბია აშხამია?“

„ჰმ, აშხამი? აშხამი კი არა...“ ესა სთქვა და გაიცინა გამოცდილი ჭაბუკის იჭვნეულობით გაკვირვებულმა აფაქიძემ.

„ასე უნდა ბიძი, ასე უნდა შენ გაზდას. მეც ასე ვიყავი შენ ხანობისას, ჩემი ცხენების აუგი ვინმეს რომ გაებედნა ჩემთვის, ან მე ვიქნებოდი ამ ქვეყანაზე, ან აუგისმთქმელი. მე გამოცხადებული მქონდა პირში ნურას მეტყვით, ნუმც მე და ნუმც ჩემს ცხენებს ჩემთან ნუ აგინებთ და ჩემს ზურგს უკან თუნდაც ჩემს ძაღლებსაც აგინეთ მეთქი. ეს ქვეყანა შურიანია ბიძი, ეს ასე იყო და ასე იქნება, ადამიანები კაის თვალს ვერ უსწორებენ, ჯიშიანს ყველა აგინებს მახარე, რადგან ყველას ის უნდა თავათ ჰყავდეს ჯიშიანი. თუ სხვისი ცხენების გინება გაიგონო, იცოდე ი ცხენები კაი ცხენებია ბიძი, თუ ვაჟკაცა ბევრს აგინებენ, ი ვაჟკაცი უთუოდ კაი ვაჟკაცია ბიძი.

აბა სად გინახავს ჯაგლაგებზე ბევრს რო ლაპარაკობდენ ბიძი, ჯაგლაგის საგინებლად ვინ დაშვრება. მე ამ ცხენზედაც ბევრი გინება გამიგონია და მიტომაც გამოვუდექი. ჩემს საუკეთესო ცხენებსაც აგინებდენ, პირში რო ეთქვათ იცოცხლე არ შევაწევდი, ახლა ცხენებს კი არა ყოველ დღე დიდი და პატარა პირში მაფურთხებთ, ბიძი, მარა ვითმენ, ვითმენ შვილო, რადგან ეს გაძაღლებული სული ტკბილი ყოფილა, ტკბილი“.

არზაყან შინაურობაშიც ჩვეული იყო კომუნისტების საყვედურს, იმასაც რომ ამ საყვედურს მისკენ მიმართავდნენ და ამიტომაც არ ეუცხოვა ბერიკაცია ნაჩურჩუტევი.

„დედის რძით არ უნდა იყოს ეს ცხენი გაზრდილი“, ამბობდა გვანჯ.

არზაყანს გაეცინა.

„რაში ატყობთ, რაო?“

„კაი მანძილზე ნავალია ე ცხენი, ამდენი ხანი უკან მოგდევდი, ვხედავდი ორჯერ გაგიჭენდა, მერე ისევ ჭენებით წამოხველი უკან, ისევ დაგიფეთდა, ისევე შემოაბრუნე. დედის რძით გაზრდილი რომ ყოფილიყო, უთუოდ გაოფლიანდებოდა. კაი ცხენს თხის რძით კვებავენ მახარე, სამაგიეროდ იგი გვიან დაცხენდება, გვიან გაოფლიანდება, გვიანაც დაბერდებაო. აი ხო ხედავ, კაი ბედაურს ასეთი შვილდისებური თავკისერი უნდა ჰქონდეს.

„ფაფარი... აფსუს, ფაფარი რომ შეგიკრეჭია, ფაფარი უთუოდ სწორი და გრძელი უნდა ჰქონდეს. კისერი თხელი, კისრის ძარღვები სხვილი და შემოტმასნული. მოიტა თითი, აგერ ყურის არეში დაადევი, ამას თხემის რქა ჰქვია მახარე. არაბნი გვასწავლიან იბნ რაშიტი და მისი შეგირდები: ასეთი თხემის რქა სანატრელად ქებულია, წარბებიც ასეთი დიდი უნდა ჰქონდეს დიდი და ზედჩამოფანჩული. თვალის უპეებიც ასეთი უნდა ვიწრო... თუმცა სულ ცოოოოტა, ტოოოტა უფრო ვიწრო რომ ჰქონოდა უფრო კაი იქნებოდა, გაგიხარია.

ჭალი კაი აქვს, ასევე გაშლილი ჭალი უნდა ჰქონდეს, ჭალზე ორი ძარღვი და ასევე ქარგაშლილი მკერდი, წვრილი, წვრილი მკერდისთავი“.

არზაყან გულმოდგინედ უსმენდა, ყოველი წვრილმანის გამო ელავდა, პირში შესცქეროდა გვანჯა იმ წუთშიაც, როცა იგი მჯიღის ნიკაპზე მიდებდა და რაიმე ახალი აზრის გამოთქმისათვის ემზადებოდა.

„მშვენიერი კვირისთავები აქვს შენ გაზდას...“

ესა სთქვა და ახალოხის ჯიბისაკენ წაიღო ხელი გვანჯ აფაქიძემ, დიდხანს ეძია, ხვნეშით ამოათრია კიდეშემოცვეთილი კოლოფი სათვალისა, ხელის კანკალით გახსნა, სათვალე ამოიღო შუაში გაბზარული. მაჯაგანით გაიკეთა.

„აქ მო, აქ, ეუბნება არზაყანს, ხელი ხელში წაავლო, თავათ დაცუცქდა და ყურადღებით მიაჩერდა ცხენის წინა ფეხებს.

„აი, აი, შეხე, შეხე, წვრილ წურბლებივით რომაა ძარღვები, ეს კაია, სანატრელად ქებულია შენ გაზდას. წინა ქაჩაჩის პირიც კაია აქ, ხედავ ი ქაჩაჩის პირი მაღალი უნდა, სწორედ ასეთი, სწორედ ასეთი. უკანა ფეხებიც ასეთივე გრძელი უნდა, გავა...

მარა უნდა გითხრა ბიძი, შენ ვერ ინახავ ამ ცხენს როგორც წესია, უკანა გავა ასევე მოკლე და განიერი ქებულია. ხორცმრავალი უნდა იყოს, გესმის, ამაზე უფრო ხორცმრავალი“.

ახლა ისევ წინიდან შემოუარა არაბიას გვანჯმა. არზაყან პირმოკუმული უსმენდა.

„დახე, დახე, ეგეც კაია, ბეჭის თავები დაფლული უნდა ჰქონდეს, ხორციანი უნდა იყოს, ბეური, ბეური ხორცი უნდა ჰქონდეს მახარე“.

არზაყანმა მზეს ახედა, საკმაოდ ამოწეულს. ხედავდა: ცვარის გაშრობამდის ვერ მიაღწევდა ტყის პირამდის. გვანჯ აფაქიძეს დიდი მადლობა გადაუხადა, თანაც გაოცება გამოსთქვა, რომ მას, გვანჯ აფაქიძეს კარგად რომ სცოდნია ცხენის ამბავი. ეგონა ამ გზით უფრო მალე დააღწევდა თავს.

„ეჰ, ბიძი“. ამბობდა გვანჯ, თანაც მკლავს ურბილავდა არზაყანს მარცხენას. „ცხენები ჩემდენი ვის ჰყოლია“... და დაიწყო მთელ ქვეყანაზე აღრენილმა ნათავადარმა თავისი ძველი ცხენების ქება. მაგარმაგარი საყვედურები მიართვა ჭაბუკს. მოურიდებლად კიცხავდა ბოლშევიკებს, რომ ამ „ქრისტეს ფეხის მკვნეტელებმა“ არც წისქვილები შეარჩინეს გვანჯ აფაქიძეს კოდორის მხარეში, არც ენგურის პირად მდებარე სახნავები და ეწერები, არც ცხენისა და თხის ჯოგები.

ისიც ახსენა, რომ მისი ცხენები მთელს სარუსეთოში ქებული რომ იყო, თავათ პრინცი მიურატი რომ მის გაზრდილ ცხენებზე იჯდა. არც ის დაუმალავს, პრინცი მიურატი მას ყოველ მეორე დღეს სადილად რომ პატიჟებდა. საოცარი ის იყო თავისი ცხენების ფერიც, სახელიც და აღნაგობაც რომ ახსოვდა, ყველას სათითაოდ იგონებდა და ისე გულმოკლული ლაპარაკობდა მათ შესახებ, როგორც დედა ახსენებს ხოლმე თავის ჩიცვალებულ შვილებს. და ისე მტკივნეულად სჩივოდა გვანჯ, თითქოს ეს გუშინ წაერთმიოთ მისთვის ბოლშევიკებს ენგურის ჭალები, კოდორის წისქვილები, ცხენებისა და თხის ჯოგები.

განსაკუთრებით დაღონებული მოსთქვამდა თავის დაღუპული ცხენის რაშიას ამბავს. რაშია ჯერ პოლიტსამმართველოს უფროსმა წამართვა, მერმე ღმასკომის მდივანს გადაულოცა, ღმასკომის მდივანმა მილიციის უფროსს მიაჩეჩაო. მერმე ერთბაშად ცხენი თვალიდან დაეკარგაო, ჯვარიდან ხმა მოვიდაო რაიკომის მდივანი დააჭენებსო, ცხენი ავადმყოფობსო.

„სულო ცოდვილო ერთი კი ვიფიქრე. ჯვარში წავალ, ჩემს საცოდავ რაშიას ვინახულებ მეთქი, მერე ის იყო, იქიდან ჩამოსულ მილიციელს ღვინო ჩავაცეცხლე, ამბავი გამოვკითხე გამომიტყდა: შენ ცხენს უკანა ფეხებზე კვერცხი გაუჩნდაო. ესა ვთქვი: ღმერთმა ნუ მაჩვენოს მეთქი, ჩემი რაშიას ავადმყოფობა მეთქი. თავი ვინუგეშე, კიდევ კაი ზუგდიდიდან რომ გადაკარგეს და ჩემი გულის გასახეთქად, აქ რომ არა ვხედავ მეთქი.

გუშინ შენ გაზდას, თვალიდან კურცხალი დამდინდა. ღმასკომიდან მოვდივარ, ქვიშისფერმა ცხენმა ჩამოიარა, დაღს შევხედე, აფაქიების დაღია, აფაქიების დაღი ხომ იცი: ეკლესია, ჯვრიანი ეკლესია. ვილაც ზღმურტლიანი ბიჭი იჯდა ჩემს ცხენზე. ვკითხე ვისია მეთქი ბიჭო ეს ცხენი?

„აფაქიების ნაოხარიაო“.

ნაოხარიაო? შევჭამე პასუხი, რა უნდა მეთქვა, რამე რომ აკადრო, მერმე სა მიხვალ? ცხენი გამხდარა, ოთხივე ფეხზე კვერცხი გასჩენია.

„ახლაო ამბობდა ი ბიჭი. ეგ ცხენი ტფილისში უნდა გადავგზავნოთო, ცხენების ინსტიტუტი არისო სადღაც, სისხლი უნდა ამოუღონ თურმე, ამ სისხლისაგან შრატს ნაკეთებანო.

„რა მოგცეს მერე იმ ცხენში?“ შეეკითხა არზაყან უინტერესოდ.

„მე რა მომცეს? ხვიტი. რას მომცემდნენ? ყველაფერი წაერთმიათ ჩემთვის, ყველაფერი. ოღონდ ჩემი რაშია შეერჩინათ ჩემი გამწარებული სიბერის ნუგეშად. ძროხის რძით მყავდა გაზრდილი ჩემი რაშია. წონა შაქარი შემიჭმევია, თვალისჩინივით ვუვლიდი, გაქნილი კვერცხის გულით ვბანდი და ახლა სისხლი უნდა ამოუღონ, შრატი უნდა გავაკეთოთო. თქვენ, ბოლშევიკები რომ არ მოიგონებთ, ისეთი რა იქნება თქვე, წყეულებო, თქვე წყეულებო“. ეს უთხრა და მწარე სიტყვის შესარბილებლად ღიმილიც თან დააყოლა ნაძალადევი და ცხენიდან გადმოწვდილ ხელს არზაყანისას მშრალად და უხალისოდ ხელი შეაგება.

როცა ჯუღეჯიანის ველისაკენ გაჭენებულ არაბიას თვალი წაატანა, გვანჯ აფაქიძე უკვე გამოერკვა, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაადგო იგი ცხენისადმი სიყვარულმა. საკუთარი საქმეები გადაავიწყა და ქალაქს გარედ გასდია, მერე ვის? „ღრანჭმოქცეულ“ კაც ზვამბაიას ბიჭს.

„ჰაი დედა შენს, შენ უნდა იჯდე მაგ ცხენზე და მე ფეხით დავძუნძულებდე ამ სიბერეში, ეს გაიფიქრა და ზუგდიდისაკენ გაუდგა გზას.

გული გაუსარკდა არზაყანს. ალარ ზოგავდა თავის საყვარელ ულაყს. ზეგ დოლი უნდა დაწყებულიყო, ცხენს არაფრად აწყენდა ჭენება. უხაროდა არზაყანს რომ გვანჯ აფაქიძესაც კი მოეწონა არაბია. [illegible] აფაქიძეს, მის მოსისხარ მტერს. მიჰქროდა არაბია, ეალერსებოდა [illegible] ყანს სახეზე, გამსჭვირვალე ეთერის ქროლვა და ამ თავაწყვეტილ ქროლვაში განქარდა წინა დღეების სიმძიმილი და გადაულახავი, ძლიერი, გაზულუქებული ახალგაზრდული ენერგია შეჰხაროდა აპრილის ვარვარა მზეს და სამარაგდისფერ ველების მშვენებას, ხოლო არაბიას იგი არ განიცდიდა ამ წუთში, როგორც რაიმეს, თავის გარეშე არსებულ სულიერს, არამედ როგორც დაუზოგველად მიმქროლავ, ფრთაშესხმულ სიჭაბუკის გაიუყრელ ნაწილს.

X. ᲘᲡᲘᲜᲓᲘ.

> პირველითგანვე სხვა არაფერი განრიგებულა ამ ქვეყნად, თუ არა და არარაისაგან რაიმეს გაჩენა, ქვემდგომთა ზემდგომად ქცევა, ხოლო ზემდგომთა დაქვეითება. ასე ხდებოდა არარაისაგან რაიმეს გაჩენა. ბრძენთაგანაც ასე ყოფილა თურმე დაწერილი: „პირველსაოცრებაზე უფრო დიდი — ეს უკანასკნელიაო“.
>
> **ზადიკი.**

თამარ და თარაში ჭანდრების ხეივანს მიჰყვებოდნენ. თარაშს სინგურის ფერი ჰომპსონის ფრენჩი ეცვა. საწვიმარი მკლავზე გადაეგდო. ფრენჩი ძალზე უჭერდა და ეს თვალსაჩინოს ხდიდა მის მოსხეპილ ტანადობას, ძვალმსხვილა მხარმკლავებს. კეპი ცალ ხელში ეჭირა, ოთხკუთხსახიანი ჰომპსონისავე ბრიტჩის ეცვა მუხლებს ქვემოდ მოყვითანო ფოლაქებით გაბნეული, ამავე ფერის საწვივე და ინგლისურივე სასპორტო ფეხსაცმელი.

შორიახლოდან გვერდით მისდევდა თამარს სწრაფი, რიტმიული სიარულით.

როგორც მთელი სხეულის მოძრაობა, ასევე გახამებულ მაღალ საყელოზე ამოწვდილი გრძელი კისერი, რაღაც სადღესასწაულო იერს აძლევდა სვლას მისას. ამ სიარულზედაც იოლად შეატყობდა დაკვირვებული თვალი: თავდაჭერა და ნაბიჯი გერმანულ სტუდენტთა კორპორაციაში, ან ინგლისურ კოლლეჯში უსწავლიაო.

თამარს თეთრი დარაიის თავშალი ირიბად გადაეგდო მხრებზე, ფირუზისფერი კაბა ემოსა საკმაოდ გრძელი; კაბა წვივებთან ზარისებურად იყო შემოქუბული, ტანისამოსის საერთო ფონი თვალთა სილურჯეს მისას აძლიერებდა; სამოსს პროვინციელი მკერვალის ხელი ეტყობოდა, მაგრამ ეს ვერას აკლებდა ტანწყობილებას მისას და ქამარი ერტყა თამარს, ჯახანასეული, მრუმე ცისფერი ქამარი, ძველებურ აბრეშუმზე ოქრომკედით

ნაკეთები, ოქროვანი კავურებით, გვიმრის ფოთლების დარად აქა იქ მალათინით ნაქარგი, ქამრის თავსა და ბოლოში ოქრომკედით გამოყვანილი იყო ორი მოკენწლავე ხოხობი, რომელნიც შესაკრავთან ნისკარტებით შებმოდნენ ურთიერთს. და ეს ძველებური ქამარი ოსტატად შემოდგომოდა უჩვეულოდ წერწეტა წელს. თამარი გაურბოდა თარაშ ემხვართან სიარულს დაბაში, რადგანაც იგი პირველივე დღიდან ამჩნევდა თუ როგორ ზვერავდნენ მათ პროვინციელების ცნობისმოყვარე თვალები. ხნიერი ქალები სავსებით მოურიდებლად ჩერდებოდენ, ლოყაზე საჩვენებელ თითს მიიბჯენდნენ, ჯერ თარაშს შეჰხედავდნენ, შემდეგ თამარს და რომელიმე მათგანს უთუოდ წამოსცდებოდა: რა მშვენიერი წყვილიაო.

მართლაც და მათ გვერდით გულგრილად გავლა შეუძლებელი რამ იყო. ისინი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, არა თვალწარბთა ფერისა, არც თუ სახის გამომეტყველებისა, არამედ მთელი აღნაგობისა და არსობის მიხედვით. და კაცს ასე ეგონებოდა ან ერთი დედის საშოდან გამოსულანო, ან არა და, ქვეყნის სხვადასხვა კიდიდან წამოსულანო, ერთი მეორე დიდხანს უძებნიათო, და მერმე ურთიერთს შეხვედრიანო ისე ბუნებრივად და ისე საამოდ, როგორც აპრილის დილას წამოვა ხოლმე მზე სამზეოდან და შეეყრება მთვარეს ღამენათევს მოლიბრო ცაზე, სადაც მხოლოდ აქა იქ გაბნეულია შორეულისათვის ოცნებასავით თეთრი, მარმარისფერი ღრუბელი.

დაბაში ყოველი კაცი ამჩნევდა ამას, ამიტომაც თამარი ისე დარცხვენილი მიდიოდა თარაშის გვერდით, რომ თვით ტანწყობილი და წელგამართული გოგონა უხერხულად აიწურავდა მხრებს და ისე ნერვიულად ნაბავდა თავის დიდრონსა და ცისფერ თვალებს, თითქოს ახლომხედველიაო.

და ეს საღამოც ისეთი ნაზი და მშვიდი იყო, ისე ტკბილი და აუმღვრეველი, როგორიც არა ერთია ხოლმე ზღვისპირა ქვეყნების გამოზაფხულზე, როცა ნაზამთრალი მიწა მზეს შეეფიცხება, ბუნებას საოცრად ზანტი ზმორება აიტანს და მწვანე გადმოსქდება ბუჩქების, ყლორტების და ხეების კლერტოებიდან.

ზუგდიდელი ჭანდრებიც გამოსულიყვნენ. კენწეროებში მოყვითანონეშო დაძრულიყო, ხოლო ჩრდილიან ოლეებში მომხვდარი ყლორტები და კლერტოები საოცრად გაფუებული უცდიდნენ წვიმების სინოყივრეს და ქათქათა აპრილის მზის მხურვალე ალერსს.

სიმწვანე და სიხალისე შეპარვოდა ჭრელად მოხატულ ტანებს ჭანდრებისას, ნაქერქალზე შიშველი და ხასხასა ტალები დატყობოდათ. იდგნენ გულამაყი ჭანდრები და იშმუშვნებოდნენ ამო ზეფირის ალერსით გულაჩვილებულნი.

ოდნავ დაწინაურებული მიდიოდა თამარი და მის ნესტოებს ახალი ნეშოსი და ძველი ფოთლების მიხრწნისაგან დამდგარი სუნი ესმოდათ... იგი გაბრუებული იყო ცალკერძ ამ სუნისაგან, ცალკერძ თარაშის სიახლოვისაგან. თამარს ხიბლავდა თარაშის თხრობა არა შინაარსის მიხედვით, არამედ მთელი მანერა მეტყველებისა.

თარაშ ემხვარ ხორხისმიერსა და ყელისმიერ ბგერებს ისე რბილად გამოსთქვამდა, როგორც დასავლეთის ბარის ენებზე აღზრდილებს სჩვევიათ ხოლმე. თარაშ ემხვარ უამბობდა, თუ როგორ [illegible] ერთხელ გაფიცვის გამო გაზაფხულის პირზე ნორვეგიის ერთ[illegible]ში.

ჩრდილოელები განუსაზღვრელის აღტყინებით ეგებებიანო გაზაფხულს, თითქოს არც მზე ენახოთო ოდესმე და გაზაფხულსაც პირველად განიცდიანო.

თამარი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, თავაზიანობის გამო თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ყურს უგდებსო, არსებითად არც კი ესმოდა მისი ნაუბარი; ბაღის ბილიკის გაღმა-გამოღმა ლეჩაქიანი ქალები და ჯერაც ყაბალახითა და ნაბდით შებურვილი მოხუცები ისხდნენ და განსაკუთრებულის ინტერესით ათვალიერებდენ მათ. ეს დაჟინებული მზერა ნაბიჯს უბორკავდა თამარს.

მთავარ პროსპექტზე უამრავი ხალხი მიდიოდა, ყველა ჯუღეჯიანის ველისკენ მიიჩქაროდა, რადგან ამ საღამოს უნდა გამართულიყო გერულაფა.

გერულაფას მარულის წინა დღით მოწყობილ საცდელ დოღს უწოდებენ ოდიშარები. ოდიშსა და აფხაზეთში დიდი წინასწარი სამზადისი ხდება დოღის დაწყებამდის. ორი კვირის „გამოხამების“ შემდეგ, მარულის წინა დღეს ცხენოსნები ველზე გაიყვანენ თავიანთ ტაიჭებს, აჯირითებენ, აჭენებენ, სხაპს აქნევინებენ.

გულს უხურვებენ.

თამარმა და თარაშმა პარკი გაიარეს და როცა მთავარ პროსპექტზე გავიდნენ, აქ უფრო საგრძნობი გახდა ცნობისმოყვარე თვალების მზერა. თარაშ ასეთ რამეს არ ეპუებოდა, მაგრამ მას ინსტიქტიურად თამარისაგან გადაედო დარცხვენა, რადგან სირცხვილიც ისევე გადამდებია, როგორც შიში და სიმშილი.

თამარს უკვე წართმევოდა საუბარის უნარი, ნაბიჯი უბორძიკებდა, სიარულის დროს მიწას დასჩერებოდა, სწორედ ისევე, როგორც ეს ახლოსმხედველს სჩვევია ხოლმე და ამ უხერხულობის გასაქარვებლად თარაშ ემხვარმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ განაახლა საუბარი.

„საოცარია, როგორი მოურიდებელი ჭვრეტა იციან ჩვენში და ალბად არსად ისე მოურიდებლად არ უცქერიან უცნობს, როგორც საქართველოში“.

ამბობდა თამარი.

„ფრანგებს ჩინებული თქმა აქვთ: „თქვენს თვალებს მოუარეთო“. რადგან შემოხედვა ზოგჯერ ისევე უადგილოა, როგორც უცნობთან გამოლაპარაკება“.

შენიშნა თარაშმა.

შესაძლოა ეს იმის ბრალი იყოსო განაგრძობდა თარაშ ემხვარ, ჩვენში თვით ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა სოფლებიდან ახლად ჩამოსულთაგან რომ შესდგებაო. ლონდონში რომაული ტოგა რომ გადაიცვა

და ჩალმითაც თავი შეიბურვო, ზედაც არავინ შემოგხედავსო, და იქიდან რაც უფრო მეტად ივლი აღმოსავლეთისაკენ, ამ ჩვეულებას უფრო მეტად შეამჩნევო.

ურიგო შემოხედვა სულს ამღვრევს და საიდუმლოებისა, განაგრძობდა თარაში. ადამიანის თვალი უმგვანო რამ მონაგონარი უნდა იყოსო, ამ მხრივ უკეთესს მდგომარეობაში ისინი არიანო, ვისაც ბუნებით წვრილი და უპეებში ღრმად ჩამჯდარი თვალები აქვთო.

„მერმე შენ რომ არ გიყვარს წვრილთვალება და მაღალღაწვიანი ხალხი?

„ჰო, ღორისთვალება ხალხი მართლაც არ მიყვარს, მაგრამ ქვეყნის გაჩენისას ებრაელების ღმერთს რომ მრჩევლად ავეყვანე, მაწინ ღორისთვალებას არც გავაჩენინებდი. და ჩვენ ასეთი თვალების არსებობის ამბავიც არ გვეცოდინებოდა.

— „ეჰე, დაიწყე ახლა შენებური პარადოქსები“.

„პარადოქსიო? უპარადოქსო აზროვნება უმარილო თევზსავით უგემურია. ბოლოდ მოსაწყენ ადამიანებს სჩვევიათ გატკეპნილ ჭეშმარიტებების ღეჭვა. მაგალითად: ყოველმა რეგვენმაც კარგად იცის წყალი რომ თავდაღმართს მიჰყვება, ან წვიმის მოსვლაში ქოლგებს რომ არავითარი ბრალი არ უდევთ“.

თამარმა გაიღიმა. ოდნავ წინ გაუსწრო თარაშს და რატომღაც ძაბული მოაგონდა.

სად დაიკარგა ნეტავ ძაბული? ფიქრობდა თამარი. აკი მეუბნებოდა გამოშიარეთ, შინ დაგიხვდებითო. შინ არ დაგვიხვდა, არც ამბავი დაუტოვებია. ეს გაიფიქრა და თარაშისაკენ გაიხედა. თარაში მას უმზერდა. მის თვალებში ამოეკითხა: სად გაპარულიყო იმ წუთში მისი ფიქრი?

ვის არ მოსვლია ასეთი რამ?

ადამიანი დაგესიზმრება, მეორე დღეს გამოხვალ ქუჩაში და წინ შემოგხვდება. ან არა და ქუჩაზე მოხეტიალე რომელიმე ნაცნობისათვის რაიმე ფიქრს გაივლებ გულში, გაიხედავ და იგი თვალწინ დაგიდგება.

ასე მოხდა ამ დღესაც.

იმავე წუთში ძაბულის ხმა შემოესმა თამარს. მან განზე გაიხედა, იქითკენ, სადაც ქალების მთელი ლაშქარი მიდიოდა პროსპექტზე, ძაბულის ზურგიდან მოევლო, მან მაჯაზე ხელი დაადო თამარს. ძაბული კისკისებდა, მისი სიცილი ჭინჭილიდან გადმოღვრილ ღვინის ლიკლიკს წააგავდა. ხასხასა და ბუნებრივად წითელ ბაგეპირიდან ოდნავ მომსხო, მაგრამ ლამაზი და კრიალა კბილები ჰკრთოდნენ, საერთოდ ფერმილეული და ოდნავ მოყვითანო ლოყები უეცარი სიხარულის ელდისგან შეფაკლულიყო.

იდგა ძაბული, ცალი ხელი თამარისათვის წაევლო წელზე და როცა თარაშ ემხვარ თავისებური თავაზიანობით მიეჭრა და მიესალმა, ძაბულიმ მეორე ხელიც გაინთავისუფლა და ძაბულის მომსხო, ოდნავ მოკლე რბილი ხელი თარაშ ემხვარის მარწუხივით მაგარ და მტკიცე თითებსა

და თითებს შორის დაილია თითქოს. და თარაშ ემხვარმა შენიშნა, რომ ამ წუთში, როცა მან მაგრად მოუჭირა ხელი ძაბულის მარჯვენას, ძაბულის მკლავი უნებლიედ გაიჭინთა და მისი მაღალი და ეხოჭირული ძუ-ძუ-მკერდი წინ გადმოიზნიქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაშ ემხვარმა ფრთხილად შეავლო თვალი თამარსა და ძაბულის. ისინი ურთიერთის ანტიპოდებად მოეჩვენა. თამარში გვაროვნული ჯიმი მეტად მოსჩანდა, ძაბულის აღნაგობაში მეტი სირბილე და ქალური უშვალობა.

სიცილი მაინც ისე ედებოდა სახეზე ძაბულის, როგორც მოწმენდილ ცას რიჟრაჟის ხელით შენაფრქვევი ვარდისა წყალი. თამარი-კი ისე ილიმებოდა, რომ სახის მისის ზემო ნაკვთები არც-კი შეტოკტებოდნენ. და ველარც სიცილი ჩქმალავდა იდუმალი დარდის იერს, რომელსაც წამწამების ნაჩრდილევში და თვალის უპეების ოლეში დაესადგურებინა.

თამარმა ამოისუნთქა, როცა ძაბული მათ შემოუერთდა, ახლა უკვე აღარ აწუხებდა მაჭვრეტალთა ჯიქური შემოხედვა, ხანაც ირიბულად ნატყორცნი მზერა.

და არაფერი ისე არ ახასიათებსო ადამიანს როგორც სიცილი. ფიქრობდა თარაშ ემხვარ.

მართლაც, როცა ძაბული იცინოდა უთუოდ იტყოდით: ამ სიცილის გადაღმა დამალული არაფერიაო და სიცილის დროს მჟღავნდებოდა მისი დიდი ბალღური სიკეთე.

ზოგიერთ ადამიანს ბალღობა სიჭაბუკეში გადაჰყვება, ხოლო სიჭაბუკე ჭარმაგობაში და ჭარმაგობა კი სიბერეში და ეს ყოველივე სახეზე გამოკრთის ხოლმე. ასეთი იყო ძაბულიც.

„როგორი დიდი ქალი გამხდარხართ? ეუბნებოდა თარაშ ემხვარ.

მე სულ პატარა ძაბული მახსოვხართ, ძალიან დაქალებულხართ“.

ძაბულის ეჩოთირა ეს ზედმეტი „თ“, მაგრამ საყვედური ვერ შეჰკადრა და მორცხვად შენიშნა:

„გახსოვთ ძაბულიას რომ მეძახდით თარაშ?“

განა მარტო ძაბულიას? კიდევ გერქვათ რაღაც სახელები? მოიცათ მოვიგონო.

ძაბული ისევ გაწითლდა, იგი იცინოდა და მისი სიცილი ახლაც ჭინჭილისებურ ლიკლიკში გადადიოდა.

„ძაბარს, დიას, სორდიას და კიდევ?..

„დიას არზაყანი მეძახდა.

„ძაბრას?

ისევ გაწითლდა ძაბული.

„ძაბრას თქვენ“.

თარაშმა ხმა მაღლა გაიცინა.

თამარი ილიმოდა და ოდნავ იჭვნეული შესცქეროდა სიყრმის მეგობრების ასეთ გრძნობიერ შეხვედრას.

„რატომ გეძახდა არზაყან დიას?“ შენიშნა თამარმა.

„დიას ხომ თარაშის ძიძას, არზაყანის დედას ვეძახოდით, თამაშობის დროს ვითომ მე ვიყავი დედა“.

თარაშს მოაგონდა: თარაშ და არზაყან ვითომ სულ პატარა ბალღები იყვნენ, ძაბული დედა. ბავშვები მოლზე დაწვებოდნენ, ვითომ აცივებდათ. მოვიდოდა „დედა“ ვითომდაც ძუძუს აწოვებდა ბალღებს.

ეს გაიფიქრა თარაშ ემხვარმა და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შეხედა ძაბულის ძუძუმკერდს და ოდნავი აღტყინება შეიგრძნო, რადგან არაფერი ისე არ აღელვებდა თარაშს, როგორც ქალის მკვრივი და მოხდენილი ძუძუ.

არზაყანის სახელის ხსენებაზე სულ მცირე ხანს დადუმდნენ სამნივე.

ძაბულის ელდასავით გაუარა სხეულში ამ სახელმა, თამარიც ოდნავ აიმღვრა, მან ინსტიქტიურად შეიცნო თარაშის ფარული ჭვრეტის შინაარსი. არზაყანისაკენ გაექცა ფიქრი, გულის სიღრმეში მან ოდნავი უხერხულობა იგრძნო არზაყანის მიმართ.

თარაშ ემხვარის დაბაში ჩამოსვლამდის იგი გაცილებით მეტი ყურადღებით ექცეოდა არზაყანს. ახლა ორი დღეა აქ არის არზაყან და მან, თამარმა არც კი მოინდომა დაბაში გასვლა. თუმცა იცოდა: არზაყან ბაბუა ტარიელს ერიდებოდა, ამიტომაც დღისით არ მოდიოდა და თამარი განზრახ გაურბოდა კიდევაც მასთან შეხვედრას და სიამოვნებით აფარებდა თავს იმ საფრთხობელას, რომელსაც მოხუცი მამა წარმოადგენდა არზაყანისათვის. წინად დიახაც აბრაზებდა თამარს ეს საფრთხობელა, ახლა კი ქალური დიპლომატიის საფარადაც გამოიყენა მან იგი.

თარაშმა მხარი იცვალა. მარჯვნიდან მოუარა თამარს, ძაბულისა და თამარის შორის ჩადგა, ორივეს იდაყვებთან წაავლო ხელი და ისე მიდიოდა მათ შორის. მომეტებულად ძაბულის ესაუბრებოდა, ბავშობის ამბებს იგონებდა:

ის როგორ იყოო ოქუმში, რომ ვბანაობდითო? ძაბული რომ კინალამ დაიღრჩო, მერმე არზაყანმა ყვინთით რომ გამოიყვანა, ან ენას როგორ იტეხდნენ ქართულის სწავლისას, ძაბული რომ ვეღარ ამბობდა:

საყდარშია თეთრი მტრედი.
ფრთა თეთრი და ფრთა ფარფატი.

ნაწნავებს როგორ უწეწავდნენ ძაბულის, დედოფალა რომ მოჰპარეს ერთხელ და ნიგვზის ხის ქვეშ როგორ დაუმარხეს, მერმე ძაბული რომ წამოიზარდა და მეზობლის კესას რომ მიეკედლა, „ქაჯურად“ ლაპარაკი რომ დაიწყეს ძაბულიმ და ცირუნიამ. მერმე ქაჯები როგორ შეარქვეს არზაყანმა და თარაშმა ძაბულის და კესას. სცემდნენ მერმე ამ „ქაჯებს“, ნაწნავებით დაითრევდნენ, აწვალებდნენ, ატირებდნენ. და თამარმა სა. შინელი მარტოობა და განკერძოება იგრძნო ამ წუთებში, მან ფრთხილად გაითავისუფლა ხელი თარაშის მკლავისაგან, რამოდენიმე ნაბიჯით ჩამოშორდა ორივეს, საოცარი გულისტკივილი შეიცნო. ამ წამში მან ხელისშემშლელ მესამე პირად იგრძნო თავი და შესაძლებელი რომ ყოფილიყო

ორივეს გაექცეოდა, იმ ჭრელ ბრბოში შეერეოდა და მარტო მარტო ივლიდა დალონებული და დარდიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაშმა უკანასკნელი წინადადება მოულოდნელად შესწყვიტა და ქუდი მოუხადა ვილაცას.

„ვაჲმე, შარდინ ალშიბაია!.. შენი მტერია, დაგვახრჩობს, წასჩურჩულა ძაბულიმ თამარს. შარდინ ალშიბაია პათეთიურად მიესალმა თარაშ ემხვარს, ვილაც ჩოხიანები მიატოვა, ჯიქურად წამოვიდა.

„ეს რა დაუხურავს მაგ დალუპულს“ წაუჩურჩულა ძაბულიმ თამარს. თამარმა და თარაშმა ერთბაშად მიიხედეს და ორივეს გულიანად გაეცინა. შარდინ ალშიბაიას თავზე ეხურა ინგლისური ნესვისებური ქუდი, რომელსაც იხურავენ ხოლმე აფრიკაში, ან ინდოეთში ინგლისელი პლანტატორები. ყავისფერი პიჯაკი ტანთ ეცვა და ჭრელი შარვალი, ხოლო ფეხზე მაღალ ყელიანი გამაშები. საერთოდ შარდინ ალშიბაიას ტანისამოსი მოგზაურის, აბანოში მიმავალის ან ჟოკეის ჩაცმულობის განსახიერებას წარმოადგენდა, ურთიერთში აღრეულს.

იგი წინასწარ მიხვდა რომ მას თარაშ ემხვარის სიახლოეს არავითარ ყურადღებას მიაქცევდნენ ეს ლამაზმანები, ამიტომაც ფრიად სერიოზული გამომეტყველებით აღჭურვილმა ჯერ თამარს ჩამოართვა ხელი, მერმე ძაბულის, შემდეგ ამისა ემხვარს და საქვეყნო საქმეებით დატვირთული კაცის მანერით ხელი გაუყარა თარაშს, განზე გასწია და სავსებით იდუმალის კილოთი ასეთი მოულოდნელი კითხვა მისცა:

„რას შვრება იაპონია?“

ჯერ იყო და თარაშ ემხვარს ეგონა: პატივცემული დირექტორი შერყეულაო, რადგანაც ვერც-კი გაეგო თუ რად მოაგონდა შარდინს სახელდობრ იაპონია? მერმე ოდნავ გამოერკვა.

„რაო, იაპონიაო?“

შარდინმა თვალი თვალში გაუყარა. ჯერ ასე ეგონა თარაში მცდისო. მერმე უნდობლობას მიაწერა და განუმარტა:

„მე რას მიმალავთ, შეგიძლიათ თამამად მენდოთ“.

თარაში უარესად დაიბნა.

„არ იცით? ეუბნება იგი მრავლისმეტყველის ტონით და მის კატისებრ თვალებში ეშმაკური ღიმის ანარეკლი აციაგდა.

„იაპონია? არაფერი ვიცი სწორედ მოგახსენოთ“.

„გაზეთებს არა ჰკითხულობ?“

„უკანასკნელ ხანებში მორიგი სამუშაოთი გართული ვარ... გარდა ამისა, ტფილისელი გაზეთებიც იგვიანებენ... ამიტომაც“...

„ოო, დიდი, დიდი ამბები ხდება. იაპონია არ ხუმრობს. გუშინდელ გაზეთში იაპონიის ნოტაა. ასე ამბობენ: სტალინი გულშემოყრილია, ეს ხუთი დღეა, რაც თავის კაბინეტში ჩაკეტილა, საპასუხო ნოტას სწერსო თურმე“.

თარაშ ემხვარს მორიდებული ღიმი გადაეკრა ბაგეზე.

„როგორ? თქვენა გგონიათ სტალინი ტვერის ქუჩაზე ტაეალობსო? იგი როგორც ყოველი დიდი საქმის კაცი ჩაკეტილი იქნება, აბა გარედ ხომ არ ირბენს?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარდინ ალშიბაიამ ეს უნდობლობად მიიღო და თარაშის მკლავში გაყრილი ხელი ნელნელა გამოაცოცა, თანაც დიპლომატიურ უკუქცევას შეუდგა: ხვალინდელი დღის ამბებზე გადავიდა, არზაყანის ცხენის ქება დაიწყო. შემდეგ ამისა დაბის კულტურულ მშენებლობის ამბებს გადასწვდა. სჩივოდა რომ მას არ უჯერებენ, ხელს უშლიან, თორემ ახლა ხუთი საშუალო სკოლის ნაცვლად რატომ ათიც არ იქნებოდა დაბაში. თარაშ ემხვარ მასთან შეკამათებას გაურბოდა და თავის ქნევით იგერიებდა დაჟინებულ მოსაუბრეს.

„არაბია!“ — წამოიძახეს თამარმა და ძაბულიმ თითქმის ერთხმად და ნავარდით მომქროლავი ცხენი ერთის დაკვრით მოსწყვიტა არზაყანმა სიარულს, დაქვეითდა და საერთო სალამი იკმარა. თამარი ოდნავ შეფაკლდა სახეზე და მოურიდებლად მიეჭრა ცხენს. არზაყანმა სადავე დაუმოკლა არაბიას და წინ დაუყენა თამარს, ძაბულიც დაწინაურდა და ქარგაშლილ მკერდზე დაუწყო ფერება.

თარაშ ემხვარს ცხენის ფეხებისაკენ წაუვიდა თვალი, რადგანაც ძას სჯეროდა ცხენოსანთა და მოარშიყეთა ურყევი რწმუნება: ქალსა და ცხენს ჯერ ფეხებში უნდა შეხედოო.

„ახლა შენი ცხენის ქებაში ვიყავი სწორედ“ ეუბნება შარდინ ალშიბაია და მასაც ასეთი რწმენა ჰქონდა: თუ გინდა ეს ცხოვრება იოლად გაათრიო, ყოველ კაცს ის უნდა უთხრა პირში, რაც მას ეამება, ხოლო რაც მას არ ეამება, ეს მის მტრებს უნდა შეატყობინოო.

ეს კარგად ჰქონდა შეთვისებული შარდინ ალშიბაიას, ამიტომაც ძველ დროში სამღვთო სჯულის გაკვეთილებს არავის ანებებდა, ხოლო ახალში დიალექტიურ მატერიალიზმისას.

არზაყანი ცალკერძ ცხენზე ჯდომისა და ცალკერძ თამარის და ძაბულის შემოხვდომისაგან ოდნავ შეწითლებულიყო სახეზე, ხოლო ყურები ბროწეულის ყვავილსავით შეფაკლოდა.

ფრთხილი და ირიბი მზერით ხან თამარს გასცქეროდა, ხანაც არაბიას, თითქოს ამოწმებდა დილინდელ შედარებას და უხაროდა კიდევაც მათ შორის რაღაც იდუმალსა და ხელშეუვლებ მსგავსებას რომ პოულობდა.

თამარს ხელის გულზე მონპასიე დაედო და ფრთხილად მიჰქონდა გაშლილი ხელის გული არაბიას ლაშებთან. ყურებ დაცქვეტილი არაბია თავის დიდრონი თვალებით შესცქეროდა თამარ შერვაშიძეს და ისე უთვალთვალებდა და აკვირდებოდა, თითქოს ოდესმე უნახავსო და ახლა ხელახლა გამოცნობას ლამობსო.

„იცი არზაყან, დიდებული ცხენია შენმა მზემ, მაგრამ ესაა, ფეხკავშაა“.

შენიშნა თარაშ ემხვარმა.

არზაყან თარაშ ემხვარზე ამრეზილი იყო ამ უკანასკნელ დღეებში და ამიტომ სიფიცხე წაეკიდა მის გულს, მაგრამ მაინც შეიკავა თავი და ხმა-დაბლა წაილუღლუღა: (ისე, რომ თვალებში არ შეუხედავს მისთვის):

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფეხკავშაო? რა უყოთ მერე... ეს გვანჯ აფაქიძემაც შენიშნა დღეს, მაგრამ თვით გვანჯმაც ალიარა: უეჭველი ჯიშიაო“.

„ჯიშიაო? გაგიხარია, რომ ჯიშია... ეს თუ ჯიში არაა, მაშინ ენგური ალმა მინავალა“. იხუმრა შარდინ ალშიბაიამ და იგიც ფეხებში მიაჩერდა ცხენს და დიდი ხოტბა შეასხა არაბიას.

შარდინ ალშიბაიას ცხენის ჯიშის ამბავი არც გაეგებოდა და არც აინტერესებდა, მაგრამ იგი ეკუთვნოდა ისეთ ადამიანების ჯილაგს, რომელთაც რცხვენიათ ყველაფრის არ ცოდნისა და ამიტომაც ასტრონომიიდან დაწყებული კომბოსტოს მოყვანამდის ყოველივეს შესახებ უთუოდ უნდა გამოსთქვან აზრი.

თარაშ ემხვარ და ძაბული წინ მიდიოდნენ, მათ თამარი და არზაყანი მიჰყვებოდათ, შარდინ ალშიბაია მარტო დარჩა, იგი ცოტა ხანს ცხენის გვერდით მიდიოდა და როცა შეხედა რომ სავსებით უჯუფთოდ დარჩა, მილიციის უფროსს თვალი ჰკიდა, მოაგონდა: რაღაც სათხოვარი რომ ჰქონდა მისდამი, ამიტომაც ნელნელა უკუიქცა და შეუმჩნევლად გაერია ბრბოში.

ყველაზე მეტად თარაშ ემხვარს აბრაზებდა შარდინ ალშიბაიას სიახლოვე, რადგან იგი ვერ იტანდა იმ გაუთავებელ დაკითხვას, რომელსაც შარდინ ალშიბაია ეწეოდა მის მიმართ და როცა უკან მოიხედა და შარდინ ალშიბაია ველარ ნახა, გულითადად გაიცინა. თარაშის სიცილი სხვებსაც გადაედო, ოთხივენი ერთ წყებაზე მიდიოდნენ, დასადავებული არაბია უკან მიჰყვებოდა და იცინოდნენ.

„არც ისე სასაცილო კაცია ეგ ალშიბაია, — ამბობდა თარაში, — საშუალოებას და უნიჭოებას უმაგრესი ნაგებობა ჰქონია ძუდამ. საერთოდ თქვენ თუ გაგიგონიათ ოდესმე, სულელი კაცი შიმშილისაგან მომკვდარიყოს სადმე? ისინი ძლიერი არიან თავიანთი შეგუების ნიჭის მეოხებით.

და უძლიერესი ნიჭი ამ ქვეყნად, ეს შეგუების უნარია, სხვა არაფერი. წარსულის მაგალითები განაგონი გექნებათ: გენიოსები და ტალანტიანები იხოცებოდნენ მუდამ შიმშილისაგან, რადგან ტალანტი ისეთი წყევლაა,— იგი შეგუების უნარს ართმევს ადამიანს. შორს ნუ მივდივართ, ცხოველთა სამეფოში გადავიხედოთ.

ყველაზე მშიშარანი კურდღელი და თაგვი ავიღოთ.

არც ერთი ცხოველი ისე საოცრად არ მრავლდება, როგორც კურდღელი და თაგვი. განსაკუთრებით თაგვების ამბავი გაგიგონიათ ალბად, ისინი თემურ ლენგის ურდოებსავით შეესევიან ხოლმე ყანებს და არც არავითარი ძალა არსებობს ამ ქვეყნად მათ შესამუსრავად. კურდღელი წელიწადის დროთა მიხედვით იცვლის ბეწვს. როცა გაზაფხულზე ჯაგები ამწვანდებიან, კურდღელი მომწვანოა, ზაფხულში იგი ოდნავ მოყვითანო

ფერს გადაიკრავს, ხოლო შემოდგომის მიწურულში, ფოლადის ფერი ხდება.

„ეს სწორია, ამბობდა არზაყან, რამდენჯერ გავცოცხეთ, გავწმინდეთ გავჯოხეთ შარდინ ალშიბაია. ხან მუშგლეხინში ჰქონდა საქმე—ხან კედლის გაზეთებში ვლანძღეთ, ხან წმენდაზე ვათრიეთ, მაგრამ იგი საითაც არ უნდა გადააგდო, კატასავით ფეხებზე დადგება მუდამ“.

ქალები იცინოდნენ და თარაშ ემხვარი განაგრძობდა:

„არის რაღაც საშინელი ძლიერება წყლისა და ჯინჭველის შეუმუსვრელობაში. ქსერქსესმა დარდანელი გააროზგვინა, მაგრამ მაინც ვერ მოერია წყალს და ჯინჭველები ლომებსა და დათვებს თამამად შეებმებიან.

ახლა ნახეთ ცხოველთა სამეფოში როგორ ემტერება ბუნება ჯიშს. მე ამას წინად ინდოეთში მოგზაურების მემუარებს ვკითხულობდი.

ხომ გადაწენდნენ წინა ისტორიული პერიოდის გიგანტური ცხოველები, მასტოდონტები, მამონტები, ჰიპოპოტამები და სხვა მისთანანი.

ახლა ვეფხებისა, სპილოებისა და ლომების ჯერი მოვიდა. შესაძლოა ერთ ასეულ წელში ეს ცხოველები აფრიკასა და ინდოეთშიაც ამოწყდნენ, რადგან მათ სწორედ ის შეგუების გრძნობა აკლიათ, თაგვს, კურდღელსა და შარდინ ალშიბაიას რომ მოეპოვებათ. თქვენ იცით, ქართველი საშუალო საუკუნის პოეტები ლომებსა და ვეფხებს რომ უმღეროდნენ, უთუოდ საქართველოშიაც ყოფილან ეს ცხოველები, მაგრამ ამოწყდნენ და მე მჯერა, ის უკანასკნელი ვეფხი ტფილისის კარებთან რომ მოჰკლეს ჩვენმა გლეხებმა, უთუოდ იმ ვეფხების უკანასკნელი ნაშიერი იყო, რუსთაველი რომ უმღეროდა თავის პოემაში.

გერულაფა უკვე დაწყებული იყო, როცა ჩვენმა გმირებმა ჯუღეჯიანის ველამდის მიაღწიეს.

არც თამარის, არც ძაბულის და არც თარაშის და არზაყანის მოსვლას იმდენი ყურადღება არ აღუძრავს, როგორც არაბიას გამოჩენამ გამოიწვია.

„არაბია, არაბია“, ჩურჩულებდნენ გარშემო და ამ სიტყვებმა ისე გადაირბინეს ბაგიდან ბაგეზე, როგორც კათოლიკური ლოცვანის ლექსმა მორწმუნეთა ტუჩებზე.

„არაბია, არაბია“, ასტეხეს ყიჟინი შორეულ ფარდულების სცხვენზე ამძვრალმა ბიჭებმა. დიდსა და მცირეს არაბიას სახელი ეკერა პირზე.

ასე ხვდება ხოლმე ხალხი დიდი ბელადის, ორატორის ან სიტყვის დიდი ოსტატის შემოსვლას დახურულ დარბაზში.

არზაყანს ზედ ლაგამთან ეჭირა ხელი, რადგან არაბია ხალხში ყოფნას ჩვეული არ იყო და დაფეთებული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

მომეტებულად გაფიცხდა იგი, როცა ცხენებმაც შეიცვნეს მისი მოახლოება და საქართველოს მიწსახკომის ჭაკებმა ჰისტერიული ჭიხვინი ასტეხეს. ცხენონსებს ერთი პირი უკვე გაეჯირითებიათ, გათქვირული ულაყები ცქმუტავდენ საკმაოდ შეხურვებულნი, ხოლო ჯიშიანი ჭაკები ლაგამებს ღრღნიდენ და, თრთოდნენ ვნებას აყოლილნი.

უსასოოდ ჭიხვინებდნენ და ხვიხვინებდნენ.

უამრავ ხალხს მოეყარა თავი ცხენოსანთა გარშემო. იქვე შორიახლო მეორე გუნდი იდგა: ხალხით შემორტყმულ წრეში ფორდის ვანჭარა მანქანა იდგა, შუაგულში ორი კაცი ღიმილით ესაუბრებოდა ერთმანეთს, ერთს მიხაკისფერი ტყავის ჯუბა ეცვა, მეორეს მდელოს ფერი ბლუზა და კავალერისტის შარვალი. პირველი რაიკომის მდივანი არენბა არლანი იყო, მეორე პოლიტსამმართველოს უფროსი; მათგან შორი-ახლოს რამოდენიმე ვარსკვლავიანი ახალგაზრდა ლაპარაკობდა. მათ გარშემო კიდევ წრე იყო და იქ ერივნენ ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომელნიც. ბავშვები ზედ აწყდებოდნენ ფორდის მანქანას.

ამ ახალ, პრიალა მანქანაზე უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა ბალღების წრეში, საპარადოდ მორთულ ლუკაიას გამოჩენა. ლუკაიას გენერალ ხეციასეული ნაცრისფერი პელერინა ეხურა. ეს პელერინა ისე გაცვეთილი და გახუნებული იყო როგორც გენერლის სახსენებელი ჩვენს დროში. საყელოსთან მას დაცრეცილი გალონები ჰქონდა, ხოლო მკერდის გასწვრივ აუარებელი ჭრელჭრელი ლენტები, წმ. გიორგის, ვლადიმირის და ანნას ორდენებისაგან შერჩენილი. თავათ ორდენები კი ზოგზოგი თავის დროზე ბიჭებმა წაჰგლიჯეს ლუკაიას, ზოგიც თავის წმინდანების ზანდუკში ჰქონდა ჩაკეტილი.

უფრო სასაცილო იყო ლუკაიას დაბალი, გრძელბეწვიანი, მგლის ფერი ფაფახი, რომელიც დროთა ვითარებისაგან ისე გაწეწილი და გაბურძგვნილი იყო, იგი ყვავის ბუდეს უფრო წააგავდა ვიდრე ფაფახს. ხელში ბზის ყავარჯენი ეჭირა ლუკაიას ჭყონდიდის ეპისკოპოსის მიერ ნაჩუქარი.

„ლუკაია, ლუკაია... ააა... ლუკაია... ხატები რა უყავი, ხატები?...“

ხითხითებენ ავტომობილის უკან მიჩქმალული კვიმატები.

„აურიე ლუკაია, აურიე... აური... აური...

გადადიოდა ძახილი წრიდან წრეში.

„რა იყო ბიჭო, რა მოგვიდა, შენი დედის სულს გაფიცებ, მომასვენე ცოტა,“... იხვეწებოდა ლუკაია და დიდის ყურადღებით ათვალიერებდა ავტოს, რადგან მას ასეთი ახალი და კარგი ავტომობილი არ ოდეს ენახა ახლოს.

„აურიე ლუკაია, აური... არ ისვენებდენ ყმაწვილები. „გაჩე ბიჭო, გაჩე, დედის სული ნუ წაგიწყდება“.

ბავშვები უფროდაუფრო დაჟინებით აცივდებოდნენ ლუკაიას. რაიკომის მდივანმა მის დალეულ და საცოდავ სახეს თვალი შეავლო, შეეცოდა, მაგრამ მაინც გაეღიმა და ალერსიანად მიმართა:

„რა ქენი ლუკაია, მიურატის ხმალი კიდევ ვერ ნახე?“

ლუკაიას გაეხარდა ეს თავაზიანი გამოლაპარაკება, მას აღელვებისას ენა ეჩლიქებოდა ოდნავ და ამ დროს ნერვიულად მაღლა ეწეოდა წარბები და წამწამები ხანგრძლივად უპარპალებდა.

„დედის სულს... გეფიცები ვნახე მმიურატის ხმალი... ზვინში უნახავთ ბიჭებს...

ხეციას კნეინამ მომიტანა თავისი ხელით...

რაიკომის მდივანი გაეცალა ლუკაიას და თავის ამალით იქითკენ გაემართა, სადაც ცხენოსნების მოზრდილი რაზმეული იდგა.

ავტომობილთან დარჩენილი ბავშვების ხროვაც ყოველ მხრიდან მოგროვდა და შეიქმნა სტვენა და ყიჟინი:

„აური ლუკაია, აური... ბავშვები უკვე აღარ ეპუებოდნენ ეპისკოპოსისეულ ყავარჯენს და პელერინის ბალთებზე ახლებდნენ ხელს.

ლუკაია ხან ილანძღებოდა, ხან ყავარჯენს აქნევდა, ხანაც დედის სულს აფიცებდა ბავშვებს, მაგრამ ბავშვების განგაში მხოლოდ მაშინ შესწყდა, როცა თამარი, თარაში, ძაბული და არზაყანი გამოჩნდნენ, ლუკაიამ იმარჯვა, პელერინის ბალთები აიკრიბა და გაიქცა, წელზე მოეხვია თარაშ ემხვარს.

„ნუ გეშინია ლუკაია, შე საცოდავო, რას მოდიოდი... ან სად დაიკარგე? მამა გამწარებული დაგეძებს მთელი დღე“.

ეუბნებოდა თამარი, შესცქეროდა ჭირის ოფლით დაცვარულ შუბლს ლუკაიასას.

არზაყანმა თვალები დაუბრიალა ბიჭებს, ახალგაზრდებმა ერთი გაიშლიგინეს ბრბოში და გაუჩინარდნენ.

რაიკომის მდივანს ყოველმხრიდან გარს მოდგომოდნენ უცხენოთა და ცხენოსანთა წრეები. წრის გარშემო წრე იყო, იმის იქით კიდევ სხვა წრე, მოშორებით მდგარი, სხვა რაიონიდან მოსული გლეხები კისერს იგრძელებდნენ. ცხენების ჭიხვინისა და ბრბოს ზიმზიმის გამო ატეხილ გნიასოში ველარ არჩევდნენ თუ რას ამბობდნენ ისინი, ვინაც მთავრობის კაცებს ეხვიათ გარს. გლეხებს მოსავლის, თესვის და ახალი მანქანების ამბების გაგონება უფრო აინტერესებდათ ვიდრე ცხენებისა და ხვალინდელი დოღის ამბები, ამიტომ ცალ ხელს ყურზე იჩრდილავდნენ და ასე უსმენდნენ ცერებზე შემდგარნი. და ახალ ახალი ამბები პირიდან პირზე გადადიოდა. მომეტებულ ინტერესს იჩენდნენ ისეთ პროვინციებიდან ჩამოსულნი, სადაც გაზეთი ან სულ ვერ მიდის, ან ერთი-ორი კვირის შემდეგ.

შეძლებული, ბობოლა გლეხები უკვე ველარ მალავდნენ თავიანთ აღშფოთებას კოლექტივის შემოღების გამო. ისინი ყრუდ ბუზღუნებდნენ და იგინებოდნენ, მაგრამ ისე ხმა-დაბლა, რომ არც პოლიტსამმართველოს უფროსს და არც რაიკომის მდივანს ეს ბუზღუნი არ მისწვდებოდა.

ისეთი გულუბრყვილონიც ერივნენ მათ შორის, ვისაც ეგონა: მთავრობამ ეს დოღი განზრახ მოაწყო, რათა მთლიანი კოლექტივიზაციის ამბები საამური გართობის ჟამს ამცნოსო გლეხობას.

ამ გლეხების უკან უშორეს კუთხეებიდან ჩამოსული ყოფილი აზნაურები და ნათავადარებიც ერივნენ. ისინი მთავრობის თავკაცების სიახლოეს დგომას ერიდებოდნენ და ხანდახან ჩოხის სახელოში წასწვდებოდნენ გლეხებსა და კოლმეურნეებს, „რა თქვა, რა თქვაო?“ ეკითხებოდნენ.

ნათავადარებს და ყოფილ აზნაურებს ფრიად თავმოდრეკილად ეჭირათ თავი, მაგრამ ზოგჯერ ენის წვერზე იჭერდნენ წაცდენილ გესლიან

სიტყვას. მათაც გლეხებსავით ჩოხა ეცვათ მაგრამ უსატევროდ შემოეჭირათ ძვლის სამკაულებიანი, სადა ქამრები. ზოგ მათგანს შნოს გულისათვის რევოლვერის ცარიელი ბუდე ეკიდა, ზოგსაც [illegible] მათარა შერჩენოდათ წელზე კიდევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაში გაფაციცებით ათვალიერებდა ხალხის ჩაცმულობას, რადგანაც მას სჯეროდა რომ არაფერში ისე მკაფიოდ არა სჩანსო კაცობრიობის კულტურის მრავალსახიერი საპირე, როგორც კოსტიუმების ისტორიაში. ხალხების ზნენი და ჩვევანი მათ ტანისამოსით განიზომებაო ეუბნებოდა იგი თამარს და ძაბულის.

ზოგის მათარაზე ვერცხლის რგვალი ჟეტონი მოსჩანდა. ამ ჟეტონებზე გამოხატული იყო ირმის ძუძუს მწოველი ნუკრი, ზოგსაც რაღაც ირაციონალური სამკაულები უმშვენებდა ქამარს, დამწვარ ვერცხლზე იშვიათის ხელოვნებით ნაქანდაკევი.

აქ იყვნენ ოდიშისა და აფხაზეთის უშორესს პროვინციებიდან ჩამოსული გლეხებიც, გრძელწვერიანნი ბეჭგანიერნი. თავზე უზარმაზარი წოწოლიკა ფაფახები ეხურათ, ფეხებზე პაჭიჭები ეცვათ, კოჭების გასწვრივ ოდესღაც ფერადი, აწ უკვე გახუნებული წითელი, ან სინგურის ფერი ნაჭრებით მორთული, მუხლს ქვემოდ ვერცხლის ლეკვერთხები ერტყათ. და თუმცა საკმაოდ ტფილოდა, მაგრამ უმეტესათ ოქროსფერ ფოჩვიანი ჩაბალახებით თავი ჰქონდათ გაკრული და მხრებზე ირიბულად გადაეგდოთ გრძელბეწვიანი, მხრებგანიერი ნაბდები.

შეძლებულნიც მათ შორის გულარხეინად ბუმრობდნენ და სასეირო განწყობილებას არ იფუჭებდნენ, რადგანაც განაგონი ჰქონდათ: კოლექტივს მთიან ადგილებში არ შემოიღებენო.

სახისა, ჩაცმულობისა და მიხვრა-მოხვრის ნიშატით არჩევდა თარაშ ემხვარ ბარელებისაგან მთებიდან ჩამოსულ მაღალფაფახიან, გრძელ-სატევრიან გლეხებს, მათ ბეწვიანი ნაბდის პაჭიჭები და ყურებიანი ქართული ქალამნები ეცვათ. ამგვარ გრძელწვერიან და მხარბეჭიან გლეხებს მიაწერსო ხალხური ზეპირსიტყვაობა ქაჯების მუსვრას — ამბობდა თარაშ ემხვარ.

თამარმა მოიხედა და ძაბული და არზაყან ველარ იპოვნა.

მამაკაცების ერთი ჯგუფი მწვანეზე ფეხმორთხმული იჯდა, დოქები წინ დაედგათ და ჩოხიანი, გრძელწვეროსანი მამაკაცები მათარებით სვამდნენ ღვინოს, ხმამაღლა იცინოდნენ და მღეროდნენ.

„ეს ჯვარელებია, უჩურჩულა თამარს თარაშმა. ცნობილი არიან თავიანთი სიტლანქით, ოდიშში მოიანდაზებენ: ჯვარელსავით დააბოტებს, ან ჯვარელსავით როშავსო.

შარშან ვიყავი ჯვარში, მათი დიალექტი მაინტერესებდა. ხალხის უკეთ გასაცნობად დათვზე ნადირობა მოვიმიზეზე. შენა გგონია შორს მიხდებოდა წასვლა? ყოველ კაცს საკუთარ კარმიდამოში აქვს დათვზე სანადირო. შემოდგომაზე როცა სიმინდი დატაროვდება, მთელ სოფელში

ცეცხლის კოცონები გიზგიზებს დათვის მოლოდინში. ძაღლების, ყეფითა და მამაკაცების ყიჟინით გაყრუებულია შემოგარენი. ქალები ნაქურცვენს აფცქვნიან ტაროს, ოჯახის ცირა ჩონგურს [illegible], ასეთ დროს ჩვენ კაკლის ნამორებში ჩავსაფრდებოდით და [illegible] ვუცდიდით.

თარაშ ემხვარ ყურადღებით ათვალიერებდა ჯვარელების ვერცხლის მასრებს, პრტყელსა და გრძელ სატევრებს, ქართული და ლეკური აწ გადასული ოქრომჭედლობის იშვიათ ნიმუშებს ამჩნევდა აქა-იქ. მათი ქამრებიც მოსწონდა თარაშს, მრავალთავიანი ენებით, საქონეებით, საწამლეებით დამშვენებული. ზოგს კიდევ შერჩენოდა წელზე ძველებური მათარები. ზოგიერთ მათარას ვერცხლის ჟეტონები ახლდა ირმის ძუძუს მწოველი ნუკრით დამშვენებული. ზოგიერთ მოხუცებულს ვერცხლით მოზიკული ზარნიშიანი დამბაჩები ზურგს უკან გაერჭო. მართალია, ბიჭები დასცინოდნენ კიდევაც ამგვარი დონკიხოტური შეჭურვილებით დაბაში ჩამოსულთ, მაგრამ ისინი არაფრად აგდებდნენ ამას.

ერთს ჩოფურა მოხუცებულს ოქროს ქამარ-ხანჯალი უმშვენებდა წელს. მასრებიც ოქროთი მოსევადებული ჰქონდა, მსხვილი და სავსებით ძველებური. თარაშმა ბოდიში მოიხადა, მოხუცმა ერთი ახედა უცხოურად მორთულ ახალგაზრდას, მაგრამ რა დარწმუნდა, მას არ დასცინოდნენ, წელიდან მოუხსნელად მიუშვირა სატევარი.

თამარმა ვიღაც ტანწყობილ მოხუცებულისაკენ მიახედა თარაში. სატევრის ქარქაშის ზედაპირზე გასაოცარის ოსტატობით ამოკვეთილი იყო ოდნავ შესამჩნევი მინიატიურების დარად ვაზის ფოთლების, ვაზის კლერტოების, პწკალების ჩუქურთმები; ხოლო ქამრის ენებისა და საქონეების კიდურებზე ნახევარი მთვარე.

თარაშმა ფრთხილად თავაზიანად გამოჰკითხა ბერიკაცს ამ ქამარ-სატევრის ამბავი.

გამოირკვა: იგი რომელიღაც დადიანისაგან შეუსყიდნია თურმე აწინდელ პატრონს.

„რად გინდოდა მერმე ეს ქამარ-ხანჯალი ჩვენს დროში?“

შეეკითხა თარაშ ემხვარ.

მე ახალგაზრდობაში ვნატრობდი ასეთ ქამარსატევარს, მაგრამ არ მეღირსა, ახლა სიბერემ მომისწრო, მაინც კარგია „საგარიოდ“ წასულს წელს დამიმშვენებსო ამბობდა მოხუცი.

„იცი თამარ, როგორი ურყევი ძალა მოეპოვებათ ამ უსულო საგნებს: ისინი საუკუნოების ულევ მეწყერებს გადარჩენილნი ზღვის კიმილებსავით ჩარჩებიან ხოლმე ალაგ ალაგ და ისე მუნჯად ინახავენ უხსოვარ დროთა გარდასულ სურნელებას. მე თავბრუ მესხმის როცა მოვიგონებ თუ რა სიშორიდან მოდის ეს ოქროთი და ვერცხლით წელის დამშვენების ამბავი. ძველ ეგვიპტელებს უყვარდათ ეს.

ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე მოუნდომებიათ ამ ოქროს მინდატურულ ჩუქურთმების გამოყვანისათვის რომელიმე ლეკს, ან ტფილისელ ოსტატს. აწი აღარავინ მოიცლის მათ გასაკეთებლად".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე, ქვიშისფერ ჩაბალახით თავგაკრული გლეხი [illegible] ზედ არ წამომდგარა, ისე შეავლო თვალი თამარსა და თარაშს. თამარმა თვალი ჰკიდა მის ქამარსა და სატევარს. სატევარის ვადაც და ქარქაშიც სპილოს ძვლისაგან იყო ნაკეთები, ხოლო ქამრის სამკაულები ოქროთი დაფერილი სპილოსძვლისა. ვადა და ქარქაში იშვიათის ოსტატობით მოეოქვნა ოსტატს. ეს იყო მხოლოდ, სატევრის ვადა გაბზარულიყო და სირმით გაეკრა პატრონს.

საიდგანღაც ორსიმიანი აბხაზური ჭიანურის — აბხირცას ხმა მოესმა თარაშს. მუხის ნამორზე ღრმად მოხუცებული ჩოხიანი აბხაზი იჯდა, დალეული, ძველებური ფაფახი ეხურა მთლად გახუნებული, თითქმის სავსებით უქუთუთო თვალები ჰქონდა, მარღია კამეჩის თვალსავით თეთრი გუგები უჩანდა. იჯდა და უკრავდა აბხირცას ბერიკაცი. ჩაბალახით თავწაკრულმა ბლუზიანმა ბიჭუნამ თამარი და თარაში იცნო, თავაზიანად წამოდგა და თარაშ ემხვარს უთხრა: ერამხუტ ემხვარის ლექსს მღერისო ეს გალელი აბხაზი. თარაშს განაგონი ჰქონდა, სადღაც კიდევ ცოცხლობსო 120 წლის ბერიკაცი, რომელსაც ლექსები გამოუთქვამსო ერამხუტ ემხვარის შესახებ .ორიოდე სტროფი დაამახსოვრდა თარაშ ემხვარს.

შამილი და ერამხუტი
ეძგერენო თურმე რისებს,
ერამხუტის ძველი ხმალი
ელავდაო ვით ირისე.

გალმა იდგა ერმოლოვი
და გამოლმა იყო ფლატე,
შემოესმა: „ერამხუტო,
მეფეს რატომ ულალატე?"

გადასძახა ერამხუტმა
მთებმა რისხვით დაიგრგვინა:
„შენ და შენი რუსხენწიფე
ორივ ღმერთმა შეგარცხვინათ".

აბხაზს სიმი გაუწყდა, ლექსი ვეღარ დაათავა და მერმე გულისწამღები ჩხაკუნით აწყობა დაუწყო თავის ჭიანურს.

თარაშმა თამარს ხელი წაავლო და მოზღვავებული ხალხის ტევრში შეიყვანა. ზოგიერთ წრეში ჩონგურს უკრავდნენ; მოშორებით ცხენოსნების ირგვლივ მოგროვილი გლეხები კეისრულს მღეროდნენ.

თარაშს განუზომელად უყვარდა ამ მაღალ-პათეთიური ძველი სიმღერის სმენა, გარდა ამისა, თარაშს განაგონი ჰქონდა: ეს სიმღერა ძველ კოლხებს უმღერიათო თავდაპირველად.

ხალხი მხიარულად ზიმზიმებდა, ასე გამოდიოდა [illegible] ამ დღეს წინასწარ დათქმული ჯარობა გაუმართავთო, აწ გადასული აზნაურობის, გარდამავალი კოსტიუმების, სიმღერების, იარაღების და ცხენოსნობის საჩვენებლად.

არის ერთი დღე, ხანაც ერთი წელი საუკუნეთა უწყვეტელ მიჯნებზე, როცა ძველისა და ახალის შორის მზღვარის დასადებად, ადამიანები ან დიდ ომს გადაიხდიან, ან დიდ ზეიმს.

მე მგონია, სწორედ ასეთი იყო ის დღე, რომელსაც მე ავწერ ჩემს რომანში, სახელდობრ 1930 წლის მაისის სამს.

თარაშ ემხვარს მოხუცებულები გარს ეხვევოდნენ. ისინი დიდის სასოებით ეფერებოდნენ „ჯამსულ ემხვარის ვაჟს“, ლუკაია გვერდით მისდევდა თარაშს და როცა ბიჭებს დაინახავდა, თარაშს აეკვროდა გვერდით, ხანაც თამარს ხელს მოხვევდა წელზე როგორც ის ბალღი, რომელსაც ეშინია დედამ არ დამკარგოსო ბრბოში. როცა-კი თარაში ლაპარაკს დაიწყებდა, ისე მისჩერებოდა, როგორც სახატეს.

გვანჯ აფაქიძე, გუდუ ჩიქოვანი, ომარ მაან, შარდინ ალშიბაია, კაც ზვამბაია, ტატაშ მარშანია წამდაუწუმ აგონებდნენ თარაშ ემხვარს წინაპრების მისის სახელებს, მათ ჯირითს, ცხენეჯობისა და ვაჟკაცობის ამბებს.

„ჰაი გიდი, ამბობდა გვანჯ აფაქიძე, განსვენებული პაპა შენი თავის ამალით რომ მოიყვანდა თავის ჯიშიან ცხენებს. მე მახსოვს ჩიჩილაკივით თეთრი, ლოყებ-ლაჟლაჟა მოხუცი ყორნისფერ ულაყზე მჯდარი რომ შემოაგელვებდა ცხენს, ცხენის გავაზე ძიძაშვილი უდგა და ძიძაშვილი ისე მოჰკიოდა, ცას ვარსკვლავსა სწყვეტდა...

„ეს ამბავი მეც ქე მახსოვს, ჩაადო სიტყვა ლუკაიამ, მაგრამ არავინ გასცა ხმა. ერთმა ჯვარელმა ღრმად მოხუცებულმა ერამხუტ ემხვარი ახსენა.

თარაშ ემხვარმა ყური სცქვიტა ერამხუტის ხსენებისას. სწორედ იმ საბედისწერო წელს, უკანასკნელად რომ ემზადებოდა ჩერქეზეთს წასასვლელად, ერამხუტის ცხენმა მარულა მოიგოო.

თამარი კვლავინდებულად აწრიალდა როცა თარაშთან მარტოკა დარჩა.

არც ძაბული და არც არზაყან არსადა სჩანდნენ.

მხედრებს უკვე თავი მოეყარათ და თავკაცები ერთად მოგროვილ ხალხს აქეთ-იქით სწევდნენ, ქართას აკეთებდნენ. „ქართას“ ანუ „კარს“ უწოდებენ იმ არეს, რომელსაც ორ რაზმეულის შორის დასტოვებენ ბოლმე ისინდის გამართვისას.

„როგორ გადაბრუნდა დროება! ეუბნება გულდაწყვეტილი გვანჯ აფაქიძე თარაშ ემხვარს, ამ ორას მხედარში არც ერთი შერვაშიძე, არც

ემხვარი და არც დადიანი არ ურევია. თარაშ ემხვარს სავსებით არ აწუ-ხებდა ეს ამბავი და ამიტომაც ღიმმორეული ეკითხება გვანჯ აფაქიძეს:

„მაშ ვინაა ეს მხედრები?

„ვინ არ გინდა რომ აქ არ იყოს: ამიჭბა, აკირბა, ...ესვენ-ჯია, და ამგვარებს ზიზღმორეულად ახსენებდა გვანჯ აფაქიძე, — მა-ლაზონია, გვიჩია, ეგერ ხომ ხედავ შენი ძიძაშვილი არზაყან ზვამბაია.

არზაყანის ხსენებაზე თამარი, ცერებზე წამოდგა და მართლაც არზა-ყან და ძაბული დაინახა.

„მოდი, მახარია შენც მიიღე მონაწილეობა ისინდი არ გაინტერე-სებს?

თარაშ ემხვარს გაეცინა.

„აკი ეს ემხვარების დღე არაა...“

„სადღა არიან ძველი ემხვარები? ან რომელი მათგანი...

შენი საქმე სხვაა, შენ ბოლშევიკები ანგარიშს გიწევენ როგორც გა-ნათლებულ აბხაზს“.

ამასობაში ძაბულიმაც მოაწია. ძაბულის არზაყანის ჩაბალახი ეკიდა მკლავზე.

„მერმე, ცხენი სადაა?“ შეეკითხა თარაშ ემხვარ გვანჯ აფაქიძეს.

„ცხენს ახლავე გიშოვნი მახარია. ერთი ლაკირბაია ჩამოვიდა ოქუ-მიდან, იგი ენგურზე გასვლისას გაცივებულა და მე წამოვიყვანე მისი ცხენი, ჩემი შვილისშვილი ზის, იმას მოგგვრი. ესა სთქვა გვანჯ აფაქიძემ და ბრბოში გაერია.

თარაშ ბალღურმა სიხარულმა აიტანა ამ მოულოდნელი სურვილის აღძვრისაგან.

როგორც ქალები, ისე თანადამსწრე მოხუცები აღტაცებაში მოვიდ-ნენ „განათლებულ ემხვარს“ ისინდიში მონაწილეობა რომ უნდა მიე-ღო. მარტოოდენ შარდინ ალშიბაია არ იყო ამ ამბით სავსებით კმაყო-ფილი. იგი ცალყბად ილრიჭებოდა, განზე აწიტებდა, ფრთხილად, მაგ-რამ გარკვეულად ურჩევდა თარაშს ეს არ ჩაედინა. რა განათლებული კაცის საქმეაო, ამბობდა შარდინ ალშიბაია ხმა დაბლა, ცხენის ჯირითი და მერე ისინდში მონაწილეობის მიღება, როცა არც ერთი შენი ტოლი და კეთილშობილი დღეს ისინდში მონაწილეობას არ იღებსო. თარაშ ემხვარ არ შეჰკამათებია, მაგრამ მაინც უყურადღებოდ დასტოვა მისი ქადაგება.

ამასობაში გვანჯმა ლაკირბაიას ცხენი მოჰგვარა თარაშს. მან ფრენჩი გაიძრო, ლუკაიას მიაჩეჩა, არზაყანის ჩაბალახით წელი გაიკრა და სა-კმაოდ მარდად მოახტა ცხენს.

თამარი და ძაბული მუხის ნამორებზე შესდგნენ და აქედგან უთვალ-თვალებდენ ჯირითს.

ისინდი ჯერ არ დაწყებულიყო, თუმცა ცხენოსნები უკვე შუაში გა-ყოფილიყვნენ. ასიოდე ცხენოსანი დასავლეთისკენ იდგა, ამდენივე „ქარ-თის“ გადალმა ორმოციოდე ნაბიჯის მოშორებით. ორივე ჯგუფიდან

თითო მხედარი გამოაგელვებდა ცხენს. გვანჯ აფაქიძე თამარს გვერდით უდგა, შარდინ ალშიბაიას ძაბულის რბილ მკლავებაკენ გაეკარებინა ხელი, მას ისინდიზე მეტად ამ რბილი და ტფილი სხეულის სიახლოვე აინტერესებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საოცარია, ამბობდა ვილაც ჩაბალახიანი, ამ ნასწავლმა კაცმა საიდან ისწავლა ცხენოსნობა?“

„ცხონებულ მამამისს მთელი ჯოგი ჰყავდა“.

უპასუხა შავჩოხიანმა მოხუცმა, მის გვერდით მდგარმა.

თამარმა ეს გაიგონა, მაგრამ გაიტრუნა, იგი მღელვარებით სავსე თვალებით შესცქეროდა თუ რომელი გაასწრებდა: გუნტერი თუ არაბია?

არა ნაკლებ ღელავდა ძაბული. და ძაბულიმ კარგად იცოდა რომლის გასწრება უფრო გაახარებდა მას. მუხის ნამორებს ხალხი აწყდებოდა, შარდინ ალშიბაია ამ გარემოებას იყენებდა და უფრო მეტად ეკვროდა ძაბულის. ხოლო ძაბული ფრთხილად იცილებდა მკლავიდან მის ხელს, მაგრამ შეჰქანდებოდა თუ არა ნამორი, შარდინ ალშიბაია ისევ წაავლებდა ხელს მის ფაფუკ მკლავებს იდაყვის ზემოდან.

მას მღელვარებისაგან თვალისჩინი დაჰკარგვოდა და ამიტომ ველარც გუნტერს ხედავდა და ველარც არაბიას.

ყველაზე მეტად გვანჯ აფაქიძე ღელავდა, მისთვის უმთავრესი ეს იყო: გლეხი აჯობებდა თუ აზნაური? გუნტერი მას არაბიაზე უფრო ნაპატივები ეჩვენა, ამიტომაც დარწმუნებული იყო გუნტერი აჯობებდა. რაც შეეხება მხედარს, რა უყოთ რომ თარაში უცხოეთში იყო ნაზარდი, როგორ შეიძლებოდა ზვამბაიას ემხვარისათვის ეჯობნა თუნდაც ცხენოსნობაში, ამიტომაც გვანჯ აფაქიძე გაფაციცებით უჭვრეტდა დასავლეთისაკენ მიმქროლავ გუნტერს და არაბიას, გვანჯ თვალებზე ხელს იჩრდილავდა, ამჩნევდა რომ ორივე ცხენი თანაბარის სისწრაფით მოსწყდნენ და შორეულ ფარდულამდის ერთად მიაღწიეს.

გამოეყო რაზმეულს ლომისფერი ინგლისარაბი, მუხროვანელი ცხენსაშენის კვიცი დარდიანი. მასზე რომელიღაც ქართველი წითელი მეთაური იჯდა. მას გამოუდგა ტანმორჩილი თურქი მეჯინიბე აბდულაჰ რამაზ-ოღლი, შესანიშნავ ყაბარდოულზე მჯდარი, ყორნისფერ ჭაკს მესტებსავით ეტყობოდა თეთრი ტალები უკანა ფეხებზე. გაჭენებული ცხენების მიერ აყენებულ მტვერში გაეხვიენ ჩამავალი მზის ოქროვან ფარდისაკენ მიმქროლავი ცხენოსნები. უცებ ერთმა რაზმეულმა არზაყან ზვამბაია და მისი არაბია გამოუწვა, ხოლო მორემ თარაშ ემხვარ და გუნტერ — ლაკირბაიას კვიცი.

ეს კვიცი, ამბობდა, გვანჯ აფაქიძე, ვილჰელმ მეორის საჯინიბოდან გამოსული ჭაკის — უაიტ სტერის შვილია პრინც ოლდენბურგისსეული. მამა მისი ტფილისელი ცხენსაშენის ულაყი ფიქრია ყოფილა თურმე.

ამასობაში გუნტერ და არაბია გაუსწორდნენ ურთიერთს. ისინი მეტეორებსავით მიჰქროდნენ უკვე გალურჯებულ ტრიამელ ველზე.

გუნტერი ცეცხლისფერი და რახსი არაბია ისე ავსებდნენ და ამშვენებდნენ ურთიერთს, როგორც აპოლონის ეტლის დიოსკურები.

გუნტერი და არაბია ცოტა ხნის შემდეგ უკანვე გამობრუნდნენ ჩორთზე გადასულნი, თანაბრად მიდიოდნენ, გვანჯ დაღონდა, რაც ეს შენიშნა.

თარაშ ემხვარმა თავის რაზმეულს მიაშურა, ახლაც მის ნაცვლად იმავე რაზმიდან საქართველოს მიწსახკომის ნახევარსისხლიანზე მჯდარი ვინმე აშხვაცავა გამოუშვეს.

აშხვაცავამ აფხაზურად შესძახა არზაყანს და მერმე ორივემ მკვერდულით მიუშვეს ერთმანეთზე ცხენები.

მაგრამ აქაც არ დაანება არზაყანმა პირველობა მოპირდაპირეს. კაც ზვამბაია თავის ცირაზე იჯდა უძრავად. იგი დიდის მღელვარებით ადევნებდა თვალს თავის ვაჟისა და გაზრდილის ჯირითს, შემდეგ არზაყანისა და აშხვაცავას შეპაექრებას და გადაწყვეტილი ჰქონდა ვინმეს პირველობა რომ წაერთმია ზვამბაიას გვარისათვის, იმ წუთშივე გამოვიდოდა საასპარეზოდ.

გვანჯმა გააპო მჭიდროდ შეკრული რიგები, ცხენოსნების უახლოესს რაზმეულს მიაშურა:

„ნაბადი, ნაბადიო“ შესძახა და თავის ოდნავ გახუნებული ნაბადი გაჰფინა მოლზე.

აფაქიძეს თარაშ ემხვარის გამარჯვება უნდოდა, რაღაც ჩასჩურჩულა ცხენოსნების თავკაცებს, მათ ისევ გუნტერი და თარაშ ემხვარ გამოუშვეს. გუნტერ ევროპულ ტრენინგს იყო ჩვეული, თარაშმა მრავალგზის სცადა, მაგრამ ვერც ერთი ფიგურა ვერ გააკეთა ნაბადზე, რადგან გუნტერს საშინლად უდრეკი კისერი აღმოაჩნდა.

ახლა ისევ აშხვაცავა გამოუშვეს. აშხვაცავამ ორჯერ მიაგდო თავისი ცხენი ნაბადთან, მაგრამ შეხურვებულმა ცხენმა ორგზისვე გადალახა ნაბადი.

ახლა არზაყანის ჯერი მოდგა. არაბიაც ძალზე გაჯიქდა, ერთი დახედა ნაბადს, უხიაგად დაიფრუტუნა და განზე გაიტანა მხედარი. გაეხარდა გვანჯ აფაქიძეს ეს ამბავი, მაგრამ სახეზე არ დაიმჩნია ეს მოშინაური სიხარული.

სასტიკად დატუქსა არზაყანმა არაბია, გოგვით წამოიყვანა იგი და როცა მან ორივე უკანა ფეხი შეადგა ნაბადზე, მხედარმა ყალხზე შეაყენა არაბია, ორივე ხელით მაგრად ჩამოჰკრა სადავენი, ნაბდის მეორე კიდეზე წინა ფეხები დაადგმევინა. ისევ მოსწია ძლიერად სადავებს, ასე რომ უკანა ფეხები უკან გადაეზნიქა ცხენს და მაშინ მშვილდივით მოდრეკილს, შემოჰკრა ქუსლი არზაყანმა და რამოდენიმე მეტრის სიშორეზე გადაასკუპა. ჯირითჯირითით წაიყვანა გაქანებული და ისევ უკუიქცა.

გოგვით მოდიოდა დუჟმორეული არაბია, გააფთრებული აბრიალებდა თვალებს. ისე შეაგდო არზაყანმა იგი ნაბადზე და კიდევ ორჯერ აქნევინა სხაპი.

იგივეს შეეცადა აშხვაცავა, მაგრამ სავსებით ამაოდ და როცა არაბია და მისი პატრონი რაზმეულს დაუბრუნდნენ, ტაშის გრიალით შეეგებნენ ცხენსა და ცხენის პატრონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამოდენიმე ქალაქელი ცხენოსანიც გამოვიდა მოულოდნელად. მათ შორის ვინმე ვაჩნაძე, ერთიც დოლაბერიძე, მაგრამ ვერც ერთმა ნაბადზე ვერ ათამაშა ცხენი. გამოეყო რაზმეულს მალაზონია; მან იგივე ფიგურები გაიმეორა ნაბადზე, ასე რომ არზაყანს სადავოდ გაუხადა პირველობა.

მაშინ სავსებით მოულოდნელად იმავე რაზმეულიდან, სადაც თარაშ ემხვარ იდგა, თავისი ტანმორჩილი ცირა გამოაჯირითა კაც ზვამბაიამ. არზაყანის წინ სხვა მხედრები იდგნენ. უკვე ბინდი მოწეულიყო, ამიტომაც კარგად ვერ გაერჩია მისი სილუეტი.

მაგრამ ერთბაშად არზაყანის ყურამდის მოაღწია ხმაურმა:

„კაც... კაც... კაც"...

უსიამოდ შეკრთა არზაყანი.

როგორ?

მამას უნდა წაერთმია პირველობა მისთვის? აკი ამბობდა: ჯირითში მონაწილეობას არ მივიღებო?

ისინი, ვინც კაც ზვამბაიას როგორც დიდ ოსტატს ცხენოსნობისას სავსებით არ იცნობდნენ, იცინოდნენ: ეს მოხუცი სად მოაჩინდრიკებსო თავის კატასაებრ ცხენს.

და როგორც დიდი ორატორი აცლის ხოლმე სხვა წვრილფეხას, აყეფებს, ალაქლაქებს მათ, რათა რიგიანპირიანად თავი მოაძულონ ხალხს და მერმე ადგება, დარბაისლური ნაბიჯით ტრიბუნისაკენ გაემართება და სულ მცირე ხანში ააგრიალებს ტაშების ზღვას, ისე გამოვიდა კაც ზვამბაია, ქუსლი ჰკრა თავის ცირას, აჰააჰაიტ შესძახა აბხაზურად, ლანდის უსწრაფესად მტვერის ღრუბელში გაეხვია ცხენიცა და მხედარიც, მერმე ისევ ნაბადთან მოაგდო ცირა, ზედ მასრა დააგდო, სადავოდ შეიქნა მისი ნატყორცნი, რადგანაც იქვე მდგარმა მსაჯმა გვანჯ აფაქიძემ: არ მოხვედრიაო, წამოიძახა.

მაშინ დაიძრა აღმოსავლეთით მდგომთა რაზმეული, მწკრივად თანაბარის სისწრაფით მიუშვეს ცხენები და ისინი ამ წუთში ძველ ბერძენ მოისართა ესკადრონს წააგავდნენ.

გოგვითა და როკვით წამოვიდნენ და ერთობლივად ესროლეს თხილის ჯოხები მოპირდაპირე ბანაკს, შემოაბრუნეს ცხენები მყისვე და ისევ თავიანთ ნადგომს მიაშურეს.

დასავლეთელებმაც უეცრად მოსწყვიტეს ცხენები, ზოგმა ჰაერში დაიჭირა თხილის ჯოხი, ზოგი ცხენიდან გადმოვარდა, ძირს დავარდნილი თხილის ჯოხის ასატაცებლად უნაგირიდან გადახრილი. მიუვარდნენ დასავლეთელებს, თხილის ჯოხები დაუშინეს და კვლავ უკუიქცნენ. ისევ დაიძრნენ აღმოსავლელნი, ისევ მიაგდეს ცხენები დასავლეთელების ბანაკთან, ესროლეს თხილის ჯოხები „მტერს" და კვლავ მიაშურეს თავიანთ პოზიციებს.

და ასე გრძელდებოდა ისინდი, ვიდრემდის უზარმაზარი ურჩხულის დარი ღრუბელი არ დაიძრა პონტოს ზღვიდან და მრუმე ფერებისაგან არ დაიხშო დასავლეთში მოკიანთე ოქსინოს ცისკიდური.

ნელნელა გაშავდნენ ჯოლეჯიანის ველზე დარჩენილი ბალის ხეების მწვანე ქოლგები და მხედრების სილუეტებიც ისე დამუქდნენ, როგორც მსუბუქი ტუშით ნახატი ფიგურები. აღარ ცქმუტავდა მოუსვენრად უკვე საკმაოდ მოქანცული გუნტერი და თარაშ ემხვარ გარინდებული ყურს უგდებდა მხედრების მიერ წამოწყებულ კეისრულს.

აპრილის ღამემ თვალი დაადგა ველს, დასავლეთისკენ აკიანთდა ხალისიანი მარიხი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

შ ვ ი ლ ო ბ ი ლ ი

I

თვითაც არ იცის რომელ ნაპირით
ქალაქს მიენდო ბავშვი მშიერი, —
თითქო დაეძებს ბუნაგს ნადირი
და ირგვლივ ღელავს ტყე უსიერი.

არ იცის — რაა ალერსი დედის,
მზის გარდა ყველა მისი მტერია.
მხიარულ ხალხში შიშით ვერ შედის,
ენდობა უფრო ქუჩებს მტვერიანს.

დუქნის კარებთან დგას და კანკალებს,
ზვერავს — ვის მიაქვს ნაჭერი პური,
და მოკიაფე ცეცხლივით თვალებს
თან გააყოლებს ბრაზით და შურით.

ხედავს სახლები ივსება შუქით
და ცა ნისლივით აწვება ქალაქს;
ბავშვმა არ იცის თუ ეს ქარბუქი
სად დაუტოვებს მას მცირე ალაგს.

არ იცის ყველა ასე რად არის
მისთვის უცხო და მისთვის უთვისო.
და ფიქრობს მხოლოდ მიუსაფარი —
ყოველ კაცს გულში მხეცი უზისო.

და ერთხელ, როცა ნაგავის ყუთში
მცივან ლეკვივით მძიმედ ეძინა,
ხმა მოფერების ჩაესმა ყურში
და ტკბილ ნუგეშად გადაეფინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამოდი ძამო! — ესმის და მაინც
გული ობოლი შიშით უკრთება,
არ იცის საით მიჰყავს ამ რაინდს,
გზა რომ უცნაურ ელვით შუქდება...

II

მას შემდეგ წლები გავიდა თბილად,
აივსო შვებით სიცოცხლის თასი,
და ლეგიონმა შეიტკბო შვილად
ნაგავის ყუთში ნაპოვნი ბავშვი.

ამაყობს ახლა თვალთა კრიალით,
რომ მემუსიკე არის ნაქები.
დაჰკრავს დაფდაფებს, — ჰანგთა წკრიალით
მიაფრენს თითქო ზეცის თაღებში.

იცის, თუ საით მიჰქრის ეს ჟამი,
ნალმების ცეცხლით თვალგახელილი,
იმსხვრევა ძველი, როგორც ლელწამი
ქარტეხილებით გადათელილი.

ხედავს: მწვერვალი წვდება ცის ტატნობს
და მიჯნას რკალავს ვარსკვლავთა ჯარი,
აღტაცებით და რწმენით გულს აწრთობს
შრომის გმირების ნაამაგარი.

ხედავს მეორე ბანაკს გესლიანს,
მონობის ჯავშნებს, დარაზმულს შავად,
შხამიან ბრაზით წამს რომ ელიან
ვარსკვლავთა ქვეყნის შესამუსრავად.

იცის: აანთებს სივრცეს ცეცხლის ზღვა,
ცას მოტორები ააზუზუნებს;
მშენებელ ქვეყნის შვილთა ძლევის ხმა
მთელ მსოფლიოში გადიგუგუნებს.

ერთია ახლა მისი მიზანი,
მზიურ ოცნების იდუმლად ზიდვა:
ვოროშილოვის ჰქონდეს ნიშანი,
ხმალი — ბასრი, ვით სტალინის სიტყვა.

18/V — 34.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გელიაშვილი

ორი ეტიუდი

მეზობლები

მამისონის ულელტეხილი რომ გადმოლახეს ჭიორლებმა, პირველვარი გადაისახეს და იქვე ქვაზე ჩამოსხდენ.

ქანცმილეული, უკანა ფეხში თოკჩაბმული ღორი მძიმედ ქშინავდა და წინ მიიწევდა, მაგრამ ისმაილს მაგრად ჩაებღუჯა თოკი და ხელიდან არ უშვებდა.

— ისმაილ, ჩალის ფასად იყიდე მაგ ღორი. არ მეგონა თუ შემემუშტრებოდი.

— მე დაგირჩი, არ შეგმუშტრებივარ. შენ აღარ ყიდულობდი და ისევ მე ვიყიდე.

— ჩალის ფასადაა, ჩალის ფასად. ოცდახუთი მანეთი რა ფულია. მოპარული იყო და იმიტომ გაყიდეს ასე იაფად.

— ეჰ!

— ნაპოვნია, გეუბნები. ასე გული არ დამწყვეტია საქონელზე.

— შე კაცო, თუ ასე გული გწყდება, მომეცი რაც იმ კაცს მივეცი და წაიყვანე.

— მართალს ამბობ ისმაილ?

— მე დაგირჩი, მართალს. ერთი ხუთი მანათი მამიმატე და წაიყვანე.

— რატომ, შე კაცო.

— რატომ, შე კაცო და, ხუთი მანათი არ ღირს ამის ამოყვანა ალმართზე? გამტანჯა კაცი, ვერ ხედავდი?

მორიგდენ. ისმაილმა ფული ჯიბეში ჩაიდო და თოკი ბაგრატას გადასცა.

— შენი ილბალი ყოფილა და გყავდეს. მოგახმაროს ღმერთმა.

— აგაშენოს, ჩემო ისმაილ.

ისმაილი ჩაფიქრდა.

— ახლა მე მწყდება გული, ბაგრატო. გინდა დაიჯერე, გინდა არა.

— კაი, შე კაცო.

— მაგ ღორი ხუთი იმდენი ღირს. წავაგე, შენ ნუ მომიკვდები.

ღორმა სუნთქვა შეანელა და ჩაწვა.

— პირი გინდა მიტეხო?

— ერთი თუმანი მაინც უნდა დაგემატებია. მე ისინი მოვატყუე, მარა შენ რაზე უნდა მომატყუო? არა, ძმაო, თუმანი თუ არ მომატეე, ისე ვერ დაგითმობ. აჰა შენი ფული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე დაგირჩი, არ ღირს მაგდენი.

— არა, ძმაო, არ მინდა. ჩემი საქონელი დამიბრუნე.

— ისმაილ, ჩემისთანა მეზობელს მიტეხ პირს?

— რა პირის გატეხაა, შე კაცო! თუმანი სართი არ ღირს ამხელა აღმართში ღორის ამოყვანა? მერე სამ თუმნად ამხელა ღორი სად გაგონილა! აჰა, ძმაო, შენი ფული.

— მამეცი, ძმაო, მამეცი ჩემი ფული. წაიყვანე შენი ღორი. ჭიორელმა რომ პირი არ გიტეხოს, სად გაგონილა. — უთხრა ბაგრატამ და თოკი ისევ ისმაილს დაუბრუნა.

— მე დაგირჩი, თუ ინტერესი ჩამივარდა, თუ ამისთანა ღორში ხუთი თუმანი არ დაუმატო. შენ სადაც ხუთი მანათი დაუმატე, იქ ერთ ხუთ მანათსაც ველარ იმეტებ დასამატებლად?

ბაგრატა დაიწვა.

— მამიცია თუმანი მეტი. მოიტა.

თოკი ისევ ბაგრატას ხელში გადავიდა.

— შე კაცო, თუმნის გულისთვის როგორ ჰკარგავდი ამისთანა საქონელს?

ღორი ისევ იწვა და მძიმედ სუნთქავდა.

— შენ რატომ დაკარგე თუ კარგია?

— მე დაგირჩი, მგონია ისევ გადამვარდეს გულზე. რაცხა ვერ ვეგუები მაგის დაკარგვას თუმანში.

— ეჰ! დაიწყო!

— მე დაგირჩი! თუმანი რა ფულია? რა უნდა იყიდო თუმნად? თუმნის მარტო ჯაგარი ექნება ზურგზე. არა, ძმაო, მაგის სართი სწორეთ სამი თუმანია. აჰა შენი ფული და ჩემი ღორი მამეცი.

— ვე! მეორეჯერ მიტეხ პირს? ტყუილია, ახლა აღარ დაგანებებ.

— კარგია ერთი, შე კაცო! ჩემ საქონელს აღარ დამანებებ?

— შენი საიდანაა? ჩემია უკვე.

— აჰა, ძმაო, შენი ფული. არ ვყიდი ჩემ საქონელს რა გინდა.

თოკი ხელიდან გამოგლიჯა და ფული მუხლებში ჩაუგდო.

ბაგრატამ ფული აიღო და ბრაზიანი თვალებით დაუწყო ცქერა ისმაილს.

— ხომ აგრე ისმაილ?!

— იჰ! ჩემ საქონელს მემართლები?

— მეორეჯერ მიტეხე პირი, არა?

— გეხუმრე, შე კაცო, მართლა კი არ ვყიდი. ამას ათ თუმანზე ნაკლებ არ გავყიდი.

ცოტა ხანს ერთმანეთს უცქეროდენ, შემდეგ ნელა შეიბრუნეს პირი და ორივემ უნებურად შეხედა ღორს.

ღორი იწვა და აღარ სუნთქავდა.

— წავიდეთ ახლა. აღარ ძოდიხარ? — სთქვა ბაგრატმა ... წამოდგა.

ისმაილი ადგილიდან არ იძვროდა. ღორს უცქეროდა. შემდეგ ნელა წამოდგა და თოკი დაჭაჩა.

— აცე, შე დასაკლავო!

ღორი გაფართხალდა, მაგრამ ვეღარ ადგა.

— ვაიმე! — წამოიძახა ისმაილმა.

ბაგრატა სწრაფად მიუახლოვდა ღორს, დაიხარა და დააცქერდა. დრუნჩში ხელი წაავლო, შეარყია, შემდეგ წამოდგა, ღორს წიხლი ჰკრა და ისმაილს მოუბრუნდა.

— ისმაილ, არ გინდა სამი თუმნის დამატება შენ ჭირიან ღორში?

ისმაილი გაფითრდა.

— რავა ჭირიანში?

— კვდარია, ვერ ხედავ? ჭირიანი ყოფილა. მოატყუა ყმაწვილმა ბიჭები. მე დაგირჩი, ილბალი მე მქონია. რო პირი არ გეტეხა, არ დეევიღუპებოდი კაცი!

ისმაილი ერთ წუთს გაუნძრევლად იდგა. ათასნაირად სწყევლიდა თავის თავს გუნებაში. რა სულელურად მოიქცა! ორჯერ უტეხა პირი. რომ სცოდნოდა ჭირიანი ღორი მოჰყავდა... ეჰ! ახლა გვიანლაა ამაზე ფიქრი!

სწრაფად იძრო სამართებელივით ბასრი დანა და ღორს ყელი გამოლადრა.

— რას შვები, შე რჯულძაღლო, რად გინდა ჭირიან ღორს რო კლავ?

— იქნება გზაში გავყიდო სადმე.

— მერე, რავარც წესია ვერ დაკალი?

— სისხლი გამოუვა მეტი, ისე რო დამეკლა, იქნება სისხლი არც ქე გამოსვლოდა — უპასუხა საქმეში გართულმა ისმაილმა.

— კი, მარა გოუფუფქავ ღორს ვინ იყიდის? ვინ დაგიჯერებს რო ჭირიანი არ იყო?

— მაცადე, შე კაცო, მე ვიცი.

ისმაილმა ღორი გამოშიგნა, შემდეგ დიდი ქვა მოიტანა და ღორს თავზე დაახალა. როდესაც დარწმუნდა, რომ ღორს თავის ძვალი ჩაუტყდა, ფეხი გადუჩეჩქვა ქვით, მთელი ღორი სისხლში ამოსვარა და კმაყოფილი გაიმართა წელში.

— შე კაცო, კლდეზე გადამივარდა და დავკალი. არ დეიჯერებენ?

ბაგრატამ კისერი მოიქექა.

ისმაილმა სამფუთიანი ღორი წამოიკიდა და დაღმართზე დაეშვენ.

როდესაც ოსების სოფელ ღურშეფში შევიდენ, უკვე დაბინდდა. ერთ მოსახლეს მიადგენ და ისმაილმა დაიძახა:

— მაინძელო, უუ!

ქუჯამ, სქელმა და ღიპიანმა გლეხმა გარეთ გამოიხედა და იკითხა.

— ვინ არი?

— ჭიორლები ვართ, შენი ჭირიმე, და ღამეს ვერ გაგათენებ?

— მობრძანდით, სტუმრებო, რატომ ვერ გაგათენებ?..

ოთახი ჭრაქით იყო განათებული. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ისმაილმა ღორი სოხანეზე დააგდო და ზედ ხვნეშა დააყოლა.

— მამწყვიტა წელი ამ რჯულძაღლმა.

— რა არის კაცო ეს? — ჰკითხა ქუჯამ.

— ღორი ვიყიდე ჩემო... შენი სახელი? ქუჯა. ჩემო ქუჯა, ღორი ვიყიდე, მამისონთან კდეზე გადამივარდა და ძლივს მოვასწარი დანა. მამწყვიტა წელი ამისმა თრევამ. მუშტარი რომ მაშოვნია ნახევარ ფასში მივცემ. სად შემიძლია ჭიორამდი ამისი თრევა!

ბუხარს მიუსხდენ.

ქუჯამ ოჯახის წევრებთან ოსურად გააბა საუბარი. კარგა ხნის თათბირისა და შორიდან თვალიერების შემდეგ ღორი გულდასმით გაშინჯეს. ქუჯამ თავი უნახა, ფეხი მოუშინჯა და ისმაილს მოუბრუნდა.

— კაი ღორი ყოფილა. თავი სულ გასტეხია.

— აპა, შე კაცო! მამსწყვიტა წენი მაგისმა თრევამ. მე გადავვარდნილიყავი, ის მერჩია. შინისთვის მინდოდა. ფაფრიკაში ვიყიდე საჯიშედ.

ბაგრატა ისმაილს თვალს უშვრებოდა. მასპინძლებმა ისევ ითათბირეს.

— რას აფასებ? — მიუბრუნდა ქუჯა ისმაილს.

ისმაილი ფიცხლად წამოიჭრა ზეზე.

— რო თრევა არ მიჭირდეს, თრევა, ასე გამიწყდეს ცოლშვილი თუ მაგ გავყიდო. ამას შეხედე — გაფატრული მუცელი გადაუწია ღორს — შეხედე, ერთი ტკაველი ქონი აქვს.

— ჰო, კაცო, ვიცით. რას აფასებ?

— ქუჯა, პურმარილს და შენ მასპინძლობას გეფიცები, ერთი კაპეიკის მოგება არ მინდა. მასპინძელი კაცი ხარ და შენგან რავა ვიკადრებ ზედმეტის აღებას.

— რას აფასებ, კაცო, აღარ იტყვი?

— თუ ცხრა თუმან ნახევარი არ მიმეცეს მაგ ღორში, ასე გამიწყდეს ცოლშვილი — და ქუდი მიწაზე დაანარცხა.

ქუჯამ ბუხრისკენ იბრუნა პირი.

— ძვირია.

— ბაგრატო! შენ და შენი ღმერთი, რას ფასობდა ამისთანა ღორი ონში? თუ ძმა ხარ თქვი, რას ფასობდა. თორმეტი თუმანი არ ღირდა? ცოლშვილს გაფიცებ, მართალი თქვი.

— ცამეტათაც გაიყიდა — დაემოწმა ბაგრატა.

— ძვირია. — ისევ ჩაილაპარაკა ქუჯამ და ღორს შეხედა.

— შე კაცო, ძვირი რავაა! ამის ფელიკები წელიწადს გეყოფა. შეხედე. სულ ცოტა ხუთი ფუთი იქნება. წენი აღარ მივარგა მაგის თრევით. ამის შაშხი რად ეღირება!

ქუჯამ ისევ ოსურად გააბა თათბირი თავის ოჯახის წევრებთან. ბაგრატა ისმაილისკენ დაიხარა.

— სამი რომ მოგცეს, არ მისცემ? — წაუჩურჩულა ისმაილს.

ისმაილმა გეზად გადახედა.

— ხუთ თუმანს მოგცემ თუ გინდა — მოუბრუნდა ქუჯა ისმაილს და ისევ ბუხართან ჩამოჯდა.

ისმაილი ისევ ალაპარაკდა. ფიცით სულ ამოიბუგა სახლ-კარი, გაიწყვიტა ცოლშვილი, გააუპატიურა ყოველი თავის კეთილი და ბოლოს შვიდ თუმან ნახევრად მოურიგდა მასპინძელს.

როდესაც ფული დაითვალა, წითელი ჩითის ნაჭერში შეახვია და ფრთხილად ჩაიდო უბეში. ბაგრატამ შურის თვალით გადახედა და წაილაპარაკა.

— ძაღლის ილბალი გაქვს შე რჯულძაღლო, ძაღლის.

მასპინძლებმა სწრაფად აადუღეს წყალი, ღორი გაფუფქეს, შემდეგ ასო-ასო აჭრეს და ლურსმნებზე დაჭიდეს.

ისმაილი არხეინად იჯდა ბუხართან და მასპინძლების ფუსფუსს თვალს ადევნებდა.

ბუხარში ჩამოკიდულ ჯაჭვზე ქვაბი დაჭიდეს და შიგ ახლად ნაყიდი ღორის ნეკნები ჩაუშვეს.

ისმაილი უხერხულად შეიშმუშნა. ბაგრატა აიმრიზა.

— მაინძელო, თუ დაგვაწვენ, კარგი იქნება — მიმართა ისმაილმა ქუჯას — დაღლილი ვართ.

— არა შენი ჭირიმე, ვახშამი ჭამეთ და მოისვენეთ. ჩვენთან სტუმარს უვახშმოდ არ დავაწვენთ.

ორივეს შიმშილით კუჭი ეწოდა.

— არ გვინდა ვახშამი, ჩემო ქუჯა — აწრიალდა ისმაილი. — ძილი ყველაფერს გვირჩევნია. რავა იტყვი, ბაგრატო?

ბაგრატა ბრაზით სკდებოდა. ძალიან შიოდა და ახლა იძულებული იყო ვახშამზე უარი ეთქვა.

— დაწოლა გვირჩევნია. ისე მეძინება, რომ თვალებს ველარ ვახელ — დაემოწმა ბაგრატა.

— არა, შენი ჭირიმე. თქვენ რომ უვახშმოდ დარჩეთ, ჩვენი სირცხვილია. ახლავე იქნება ვახშამი. იმისთანა არაყი დაგალევიოთ რო...

ბაგრატა და ისმაილი ადგნენ, უხერხულად მიმოიხედეს, მაგრამ ვინაიდან მასპინძელმა დასაძინებელი ადგილი არ მიუჩინა, ისევ ბუხართან დასხდნენ.

— ჩვენ ასე ვიცით, შენი ჭირიმე, სტუმარს პატივი უნდა ვცეთ, ისე არ შეიძლება — განაგრძობდა ქუჯა.

სახლში ფუსფუსებდნენ. სუფრა მოიტანეს, ზედ პურები დააწყეს. შუაში ერთი პატარა ყანწი დადეს და განჯინიდან არყით სავსე დოქი გადმოიღეს.

ბაგრატამ თვალი ააყოლა დიასახლისს. მან ქვაბიდან ჩანგლით ხორცის ერთი ნაჭერი ამოათრია და დანით გაშინჯა, მოხარშულია თუ არაო.

— შენგან მჭირს ეს, ისმაილ — ველარ მოითმინა ბაგრატამ და ბუხარში ჩააწიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაი ერთი, შე კაცო. გაჩუმდი.

ბაგრატამ კბილები გააკრაჭუნა.

როდესაც ცხელი ხორცი დააწყეს სუფრაზე და სტუმრები მოიპატიჟეს, ისმაილმა დრო იხელთა და ერთი წუთით გარეთ გავიდა.

სუფრას მიუსხდენ. ქუჯამ არყით აავსო ყანწი და ბაგრატას მიაწოდა.

— მიირთვი, სტუმარო.

შემდეგ კარგა მოზრდილი ნაჭერი დაუდო წინ და ყველანი ჭამას შეუდგენ.

ბაგრატამ არაყი გადაჰკრა, შემდეგ ხორცი მოიჭრა, მაგრამ შეჭმას აგვიანებდა. საბრალო თვალებით გადახედა მასპინძლებს.

ყველანი მადიანად სჭამდენ. თითონაც ერთი ნაჭერი აიღო და პირში ჩაიდო.

მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

უკვე მეოთხე ნაჭერი ჰქონდა შეჭმული, რომ იმსაილი შემოვიდა.

— მობრძანდი, სტუმარო, აგერ დაბრძანდი — უთხრა ქუჯამ და თავის გვერდით ალაგი უჩვენა. — მიირთვი, კარგი ნაჭერია — და კარგა მოზრდილი ნაჭერი დაუდო წინ.

ისმაილმა ჭალარა წვერზე ხელი მოისვა, ჯერ არაყს გადასწვდა, ყანწი დაცალა და შემდეგ მარტო პურის ჭამას შეუდგა.

— ხორცი მიირთვი, სტუმარო...

— გმადლობთ, ქუჯა, მარა მარხვას არა ვჭამ და ხო იცი...

ბაგრატა გაშეშდა.

— უჰ! არ ვიცოდი კაცო — წამოიძახა ქუჯამ — თუმცა ახლა ვიცი ინახავს მარხვას!

— მოხუცებული კაცი ვარ, ქუჯა, და იმიტომ მივდევ ძველ რჯულს.

— ქალო, ლობიო მაინც მოართვი სტუმარს — უთხრა ქუჯამ ცოლს.

ისმაილს სამარხვო საჭმელი მოართვეს.

ბაგრატა შეიშმუშნა.

— ისმაილ!

— რა გინდა, ბაგრატ.

— ჩემი ფული აღარ გინდა რო მამცე?

ისმაილი მაშინვე მიხვდა, რომ ბაგრატა ცუდ საქმეს უპირებდა და მაშინვე მოისაზრა პასუხი:

— შე კაცო, ერთი ხუთი მანათ მმართებს შენი და ახლავე მოგცემ თუ გინდა.

ბაგრატამ ჩაიცინა.

— რა ხუთი მანათი, რას ლაპარაკობ! რვა თუმანს ხუთი მანათი აკლია.

— ჰა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე დაგირჩი. ფული სწორედ ახლა გაქვს ჯიბეში. ლორი გაყიდე და გასტუმრება თუ გინდა, ახლა მამეცი, თორემ...

— ღმერთი არ გწამს, ბაგრატო?

— შენ კი გწამს ღმერთი რომ მე ვიწამო?

მასპინძლებს არაფერი ესმოდათ ამ უცნაური საუბრის და გულმოდგინედ განაგრძობდენ ვახშმობას.

— ბაგრატო, მეზობლად აღარ გინდივარ?

— არა, ბიძია. ჩემი თავი ქვეყანას მირჩევნია. გირჩევ მამცე, თორემ...

— შუაზე მაინც გავჭრათ, ბიჭო.

— ერთ კაპიკსაც არ დაგიკლებ. რაზე შეინახე მარხვა? „სტრახის" ფულია მაგ, ხო იცი.

— ბაგრატო...

— ერთი უარი კიდევ თქვი და... რა კაი ხანჯალი გკიდია ქუჯა. ხარს ვერ დაკლავ მაგითი?

— ამ ხანჯალს ორი კაცი ჰყავს მოკლული — სთქვა ქუჯამ.

— ისმაილ...

— კაი, მერე მოვილაპარაკოთ. ეს ლუკმა შემარგე, შე რჯულძაღლო.

— ღმერთს სამება უყვარს, ხო იცი.

— ჰო და ეს მესამე ყანწი არ დაუცლია ისმაილს — სთქვა ქუჯამ და ისმაილს ყანწი მიაწოდა.

ისმაილმა ყანწი ჩამოართვა.

— იცოცხლე, ჩემო ქუჯა, გიცოცხლოს ცოლშვილი...

— ისმაილ...

— მაცალე, შე რჯულძაღლო, სადღეგრძელოს ვამბობ...

— ისმაილ...

— კაი კაცო, მოგცემ, გავათავოთ ვახშამი...

— ახლავე. მე ვახშმის გათავება არ ვიცი.

ისმაილმა მარცხენა ხელი ჩაიყო უბეში. ჩითის ნაჭერში გაკრული ფული ამოიღო და ბაგრატას გადასცა.

— ეგ არი. დათვლა არ უნდა. წეიღე ჩემი სული...

ბაგრატამ ჩაიცინა და ფული ჯიბეში იკრა.

ისმაილმა ყანწი დაცალა, ბაგრატას გადასცა და ქუჯას მიუბრუნდა:

— ქუჯა, წნეულს თქვენში კარგი მოსავალი იყო?

ნელა გაერთვენ საუბარში.

ივახშმეს. დასაძინებლად მოემზადენ. ვინაიდან ყველანი ერთ ოთახში უნდა დაწოლილიყვენ, ჯერ სტუმრები მოუსვენეს ბნელ კუნჭულში. ბაგრატა ხუმრობის გუნებაზე დადგა.

— ისმაილ, თუ გადავრჩი, არ ღირს მაგ ფასათ? რავა იტყვი?

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს. მასხრად მიგდებ?

— ისმაილ, შინ მაინც არ გაამხილო, თორემ... დაგეძინა ისმაილ?

— ასე დაიძინე შენ.

ჭრაქი დააქრეს, ბუხარში ცეცხლი შეახვიეს და ყველამ დაიძინა.

დილით რიჟრაჟზე ბაგრატამ გაიღვიძა და ისმაილს გადახედა.

ისმაილი იქ აღარ იყო.

ბაგრატამ მაშინვე ჯიბეზე მოისვა ხელი, მაგრამ როგორც კი იგრძნო ჩითის ნაჭერში გაკრული ფული, დამშვიდდა და არხეინად ამოისუნთქა.

ნახევარი საათი იგორავა ტახტზე. ისმაილი კი არსად ჩანდა.

ისევ იჭვმა გაჰკრა. ფეხზე წამოხტა, გარეთ გამოვიდა და მიმოიხედა. ისმაილი არსად იყო.

ჯიბეზე ხელი იკრა, ჩითის ნაჭერი გახსნა და ერთი ლაზათიანად შეიგინა.

ჩითის ნაჭერში შეკრული ძველის ძველი მოკითხვის წერილები აღმოჩნდა, ნაფლეთებად ქცეული რაღაც მოწმობა და დაკეცილი გაზეთი, რომელიც ალბათ თამბაქოს მოსაწევად მიჰქონდა ისმაილს.

. . . . . .

ამის შემდეგ ბაგრატა და ისმაილი ერთმანეთს ხმას აღარ სცემენ.

ქემეთ ქალდანი

მზე ჩავიდა და მთის გადაღმიდან, პროჟექტორის შუქის მაგვარი სხივები მარაოსავით გადაშალა ცაზე.

სოფელ სადმელის შარაზე გამოფენილიყვენ ახალგაზრდები და მხიარულათ მასლაათობდენ. სამი კეკლუცი ქალიშვილი განცალკევებით სეირნობდა. ისინი ტფილისიდან იყვენ ჩამოსულნი საზაფხულოთ თავის სოფელში და მეტის მეტათ თავმომწონეთ ეჭირათ თავი. ქალაქურათ იყვენ მორთულნი გრძელი ფერადი აბრეშუმის კაბებით და ყორესთან მომდგარ დედაბრებს რუსულის ცოდნით აკვირებდენ. სასაცილოთაც არ ყოფნიდათ სოფლის საბჭოს თავმჯდომარის და აგრონომის კავალრობა. ყოველ წამს რაღაცას უჩურჩულებდენ ხოლმე ერთმანეთს ყურში საიდუმლოთ, კისკისებდენ და აღმასკომის თავმჯდომარე ყოველ ასეთ სიცილზე კიბოსავით წითლდებოდა.

— თუ შეიძლებოდეს საიდუმლოები ნუ იქნება — გულმოსულათ ამბობდა აგრონომი.

იქვე ყორეზე ჩამომჯდარი ქემეთი მონდომებული თვალით უცქეროდა ამ ვნების აღმძვრელ ქალებს და მათი ტანის ყოველ შერხევას კატასავით აყოლებდა თვალს.

— რა გოგოებია! — აღტაცებით წაულაპარაკებდა ხოლმე თავის მეზობელ ბიმურზა ქალდანს ქემეთი.

— შენ რა მერე, — კარგი თუა. ხედავ როგორ ადევნებიან. ქალამნებით გინდა თავი მოაწონო.

ქემეთი მაინც ამ ქალებს უცქეროდა და ვერ ისვენებდა.

— თუ ვერ ვჯობივარ დამეჭიდონ ორივე ერთად და ვნახოთ.

— არა ძმაო, ლონეს ახლა რა ჭკუა აქვს, აი ქალაბნების მაგივრათ ჩექმები რო გეცვას და გალსტუკი გეკიდოს...

— ქალი ხომ არა ვარ. გალსტუკი რა ჩემი საქმეა.

შარაზე მოსეირნენი ნელა შეუყვენ ალმართს, მაღლობზე მდგარი ეკლესიისაკენ.

— წამო, წავიდეთ, ვნახოთ ის ვილაცა ფოკუზნიკი რო ჩამოსულა: ის ქალებიც იქ მიდიან — შეეპატიჟა ბიმურზას ქემეთი.

— წავიდეთ.

ორივენი ჩამოხტენ ყორიდან და შარას აუყვენ.

ეკლესიის ეზოში უკვე მოგროვილიყო ხალხი.

დიდი ეკლესიის კედლებზე, რომელშიდაც ახლა კლუბი იყო მოთავსებული, ეკიდა უზარმაზარი, ფერადებ აცვენილი და ნაპირებ მოცრეცილი პლაკატები.

ერთზე გამოხატული იყო ილიუზიონისტი ბისკაიო ინდუსური ჩალმით და გარშემო მფრინავი ათასგვარი ნივთებით. მეორე პლაკატზე ილიუზიონისტი ბისკაიო ყლაპავდა ბაყაყებს, სვამდა ალმოდებულ ნავთს, იყრიდა სხეულში ხმლებს, ძვრებოდა რაღაც უცნაურ ყუთში და სხვა.

ყველანი მისეოდენ პლაკატებს. ათვალიერებდენ, ოხუნჯობდენ, იცინოდენ და ბილეთის ყიდვას ჯერ არავინ არ ფიქრობდა.

პირველი მაყურებლები ისევ აგრონომი და ალმასკომის თავმჯდომარე ალმოჩნდენ. თავიანთ ბანოვანებისთვის პირველი რიგის ბილეთები აიღეს და მაშინვე შევიდენ დარბაზში.

ბიმურზამ და ქემეთმა დიდხანს ივაჭრეს. ათასჯერ იკითხეს ბილეთის ფასი. ბოლოს ყველაზე იაფ ფასიანი ბილეთი აიღეს და მაშინვე ეძგერენ კარებს. შესვლისთანავე პირველ რიგში გამოიჭიმენ.

კლუბი მალე გაივსო ხალხით.

ესტრადაზე გამწკრივებული იყო, სახლებში შეგროვილი ლამპები და შუა ეკლესიაში კანკელის ადგილას ეკიდა სასადილოდან მოტანილი ლამპა „Молния“.

ისმოდა მხიარული ჟრიამული. დავობდენ ადგილების შესახებ და ყბა ახვეული კლუბის გამგე გახელებული დარბოდა რიგებ შორის. მოურიდებლათ ყრიდა ადგილებიდან ცულლუტ გოგონებს და თავიანთ ადგილზე აჯენდა ბილეთის პატრონებს.

მხოლოთ ქემეთი ვერაფრით ვერ დაძრა დაჭერილ ადგილიდან. ბიმურზა მართალია ადგა და დაუთმო ადგილი ბილეთის პატრონს მაგრამ ქემეთი ადგილიდან არ იძროდა. ქალაქელ ლამაზ გოგოს გვერდით იჯდა და მრისხანეთ უბრიალებდა თვალებს კლუბის გამგეს.

— ადექი ამხანაგო — არ ეშვებოდა გამგე.

— რატომ ავდგე? ბილეთი ხომ ვიყიდე.

— მაჩვენე შენი ბილეთი.

— არ გაჩვენებ. რატომ გაჩვენო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაშ გაგიყვან აქედან.

— ბიჭი ხარ და გამიყვანე.

— გაგიყვან.

— ბიჭი ხარ და გამიყვანე.

ბანოვანებმა ქემეთისკენ მოიხედეს და სიცილი აუტყდათ. გამგემ ერთ ხანს, საჩხუბრათ გამზადებულ მამალივით უცქირა ქემეთს, შემდეგ ალმასკომის თავმჯდომარეს მიუბრუნდა და უთხრა.

— მოდი და ამისთანა ხალხში წესრიგი დაამყარე.

ხელი ჩაიქნია და წავიდა.

ესტრადაზე გამოვიდა ილლიუზიონისტი ბისკაიო.

წალხი ნელნელა მიწყნარდა.

— პატივცემულო საზოგადოებავ — დაიწყო ბისკაიომ — მე ვინახულე თქვენი სადმელი, თუმცა არ მაკლია სასმელ-საჭმელი, მთლათ დავლილი მაქვს უცხო ქვეყნები, სადაც უცნაურს ბევრს შეეყრებით, მე ვინახულე ინდოთ ქვეყანა, იქ, სადაც ხალხი ჯადოქრებს გვანან. სუყველამ იცის იქ ჯადოქრობა, მეც შემასწავლეს ესე ხელობა. ახლა გიჩვენებთ ჭკ ისეთ რამეს, როცა ხმალი კაცს ვერაფერს აკლებს.

პირველ რიგში დააკვირდა მაყურებლებს და აგრონომს მიმართა.

— გთხოვთ ესტრადაზე ამობრძანდეთ.

აგრონომი ღიმილით ავიდა სცენაზე.

ბისკაიომ რალაც უცნაური თავსახურიანი კალათი გამოიტანა, თავი ახადა და შიგ ჩაძვრა. კალათი იმდენათ მცირე იყო, რომ თვალთმაქცი ძლივს ძლივობით მოთავსდა შიგნით ოთხათ მოკეცილი და თავსახურავი გადაიხურა. შემდეგ კალათიდან აგრონომს გამოსძახა.

— მად მაგიდაზე ცამეტი ხმალი დევს, აიღეთ და სათითათოთ გაუყარეთ კალათში საგანგებოთ დატოვებულ ხვრელებში.

აგრონომმა აიღო ერთი ხმალი ზედ შუაგულ კალათზე დააყრდნო და ერთის დაკვრით გაუყარა კალათში.

კალათიდან მოისმა ბისკაიოს ხმა.

— ეგ ერთი. ახლა მეორე.

ხალხი აზრიალდა. ყოველი კუთხიდან უყვიროდენ აგრონომს და ასწავლიდენ თუ რომელი მხრიდან უნდა გაეყარათ ხმლები.

— ბოლოდან.

— თავიდან...

— გვერდებში, გვერდებში.

ბოლოს როდესაც აგრონომს ხმლები გამოელია გაჩერდა და აუდიტორიისკენ მოიხედა.

დარბაზში ერთი ჟრიამული იდგა.

— კაცო, ხო არ მომკვდარა, გაჩუმდით, გაგვაგონეთ რამე...

ხალხი უცბათ ჩაჩუმდა.

— ამოაძრეთ ხმლები — გაისმა ბისკაიოს ხმა.

— კაცო, ცოცხალია მაგ ოჯახ დასაქცევი? — იყვირა ვილაცამ და ხალხიც აყვირდა, აზრიალდა.

აგრონომმა ხმლები დააძრო და ბისკაიო მკვირცხლად ამოხტა კალათიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგრიალა ტაშმა.

ქემეთმა ტაში არ დაუკრა და ხმა მაღლა წამოიძახა.

— გვატყუებს.

გვერდზე მჯდომმა ქალიშვილმა ველარ მოითმინა და გადმოულაპარაკა.

— როგორ თუ გვატყუებს. რა არის აქ მოსატყუარი. ხომ ხედავდი.

ქემეთმა ვერ შესძლო მამხილებელი მოსაზრებით დაესაბუთებია ეს თვალთმაქცობა და უეცრათ ბრაზი მოერია.

— გვატყუებს მაშ! — უკმეხათ უპასუხა ქალს.

— როგორ გვატყუებს — აპილპილდა ქალაქელი ქალი. — რას ნიშნავს უკულტურობა. სოფელში ყველაფერი ტყუილი გონიათ — გადულაპარაკა ქალმა თავის კავალერს.

— გვატყუებს მაშ რა! — ისევ უკმეხათ უპასუხა ქემეთმა. — ცამეტი ხმალი რო მართლა გაუყარო კაცს, ის მართლა ცოცხალი გადარჩება!

ბისკაიომ ახალი თვალთმაქცური ოინის ჩვენება დაიწყო და ისევ მიიპყრო მოდავეთა ყურადღება.

ხალხი უფრო და უფრო მეტი ინტერესით ადევნებდა თვალს.

ბისკაიომ ახლა თოკით გააკოჭინა მაგრათ მთელი ტანი, ზევიდან დიდი ტილო გადააფარებინა, რომელიც იმ წამსვე გადააძრეს.

ბისკაიო სრულიად თავისუფლათ იდგა და თოკები ხელში ეჭირა.

ისევ იგრიალა ტაშმა.

ქემეთი უფრო მოიღრუბლა და დაურიდებლათ ჩაიბურდღუნა.

— გვატყუებს.

პირველი რიგის მაყურებლებმა ქემეთისკენ მოიხედეს და ბისკაიომაც შეამჩნია ეს ურწმუნო მაყურებელი, რომელიც საერთო აღტაცებაში მონაწილეობას არ ღებულობდა.

— ამ ამხანაგს როგორც ეტყობა არ სჯერა ჩემ მიერ შესრულებული ნომრები — ღიმილით მიმართა საზოგადოებას ბისკაიომ. — თუ ის დამიმტკიცებს რაიმე საბუთით ჩემ მიერ შესრულებულ ნომრების სიყალბეს, მე მას გადავუხდი ას მანეთს, თუ არა თვითონ შეასრულოს ის, რასაც მე აქ გავაკეთებ.

ატყდა ერთი ყაყანი. უკანა რიგების მაყურებლებმა ფეხზე წამოიწიეს, რომ დაენახათ ეს ურწმუნო მაყურებელი.

ბისკაიომ ცოცხალი ბაყაყები გამოიყვანა და ხალხში დაარიგა.

— ხომ ნამდვილი ბაყაყებია ამხანაგებო?

ყოველი კუთხიდან იყვირეს.

— ნამდვილია, ნამდვილი.

ქემეთმაც გაშინჯა. პატარა ბაყაყი-კუსავდა თვალებს და ხელიდან ხელში გადაცემის დროს ფეხებს პარჭყავდა.

ბაყაყები ბისკაიოს დაუბრუნეს, რომელმაც ისინი საფიფთალთ ჩაყლაპა.

ხალხში გაისმა.

— ფიჰ!

— რას შვება კაცო?

— გაამოს პურ-მარილი...

— ვახშამი უკეთესი ნიქვით!

— ვეუ! ამერია კაცო გული, შენი ოჯახი დააქცია ჩემმა გამჩენმა...

ბისკაიო იღიმებოდა.

— ამხანაგებო არ იფიქროთ, რომ მე ისინი პირში მყავდეს დამალული შეხედეთ — დააღო პირი ბისკაიომ — კარგათ დააკვირდით.

ყველამ კისერი წაიძაბა, რომ ბისკაიოს დაღებულ პირში ჩაეხედა, რომ ამ დროს დაღებულ პირიდან დაიწყეს ამოხტომა ცოცხალმა ბაყაყებმა, რომელთაც ბისკაიო სათითაოთ ისვრიდა წყალით სავსე ტაშტში.

მძაფრი ტაშის გრიალი სამ წუთს არ შეწყვეტილა.

თვალთმაქცი ღიმილით მიუბრუნდა ქემეთს.

— ან აუხსენით საზოგადოებას თუ როგორ ვატყუებ თქვენის აზრით ხალხს ან არა და გადაყლაპეთ ეს ბაყაყები.

გაისმა თავშეუკავებელი ხარხარი.

— უუუ... — აგუგუნდა დარბაზი.

— ე, ბიჭო, მართლა არ შეჭამოს.

— არ შეჭამს.

— მაგ მარტო მამალ ბაყაყებს ჭამს. ეგენი დედლებია.

ყველა რიგებზე წამოიშალენ ქემეთის დასანახავათ.

ბისკაიომ დამცინავი ღიმილით გადახედა საბოლოოთ დამარცხებულ ქემეთს და საზოგადოებას მიუბრუნდა.

— ამხანაგებო, ჩვენი საქმე განვაგრძოთ და ნომრების დამთავრების შემდეგ ამ ამხანაგისთვის უფრო გემრიელი საჭმელი მაქვს დამზადებული...

ხარხარმა დაასწრო და უკანასკნელი სიტყვები ვერავინ ვერ გაიგონა.

ყოველი ასეთი თვალთმაქცური ნომერის შესრულების შემდეგ ბისკაიო მიუბრუნდებოდა ხოლმე ქემეთს და ყველას გასაგონათ ოდნავი დამცინავი ღიმილით ეუბნებოდა.

— თუ შეიძლება აუხსენით საზოგადოებას ამ ფოკუსის საიდუმლოება.

ხალხი საოცრათ გამხიარულდა. ატყდა ერთი ღრიანცელი და ყველანი ცდილობდენ ქემეთის დანახვას.

— თუ ძმა ხარ დამანახვე ერთი ვინაა.

— სვანი ყოფილა კაცო ხა! ხა! ხა!

— სვანია, სვანი, ხა! ხა! ხა!..

და ეკლესიის ყოველ კუთხეში გრიალებდა დამცინავი ხარხარი.

ქემეთი დამარცხებული იჯდა და საშინლათ გაბრაზებული იყო ამ სულელებზე, რომელთაც ყველაფერი ეს სჯეროდათ, მაგრამ თავდაჭერით იჯდა და ხმა არ გაუღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ბისკაიომ გამოიტანა ფილთა თოფი, ტყვია-წამალი და დინჯათ მიმართა აუდიტორიას.

— მოქალაქენო! ვინაიდან ჩემს პრაქტიკაში არას დროს არ მქონია შემთხვევა, რომ აუდიტორიიდან თუნდაც ერთი მაყურებელი ყოფილიყოს ისეთი, რომ არ დაეჯერებიოს ჩემ მიერ შესრულებული ნომერი და მხოლოთ დღეს ვხედავ ასეთ შემთხვევას, ამიტომ მე გადავწყვიტე თვითმკვლელობა. აი ხომ ხედავთ ამ თოფს და ამ ტყვია-წამალს, რომ არავითარი ეჭვი არ შეგეპაროთ, ამაებს მე ვაძლევ სწორეთ ამ ურწმუნო ამხანაგს. დაე თითონ მან გასტენოს თავის ხელით ეს თოფი და მესროლოს.

ამ სიტყვებით გადასცა თოფი ქემეთს.

ხალხი ისევ წამოიშალა და აყაყანდა.

ქემეთს ხელში ეჭირა თოფი, დენთით სავსე ქისა და მრგვალი ტყვია. უხერხულათ იშმუშნებოდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

— გაშინჯე კაცო.

— ბიჭო, უკან არ გავარდეს.

— გატენე კაცო რაღას უცდი.

ბისკაიომ ხელი ასწია და იმ წამსვე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვისაც სუსტი ნერვები აქვს, ვთხოვ გარეთ გაბრძანდეს.

ხალხი ისევ აყაყანდა.

— არა არა.

— ქალებო ხომ არ გეშინიათ.

— ყურებზე ხელი დაიცავით და აღარ შეგეშინდებათ.

ქემეთი ისევ უხერხულათ იშმუშნებოდა.

— ჰაა! გატენე რაღას უცდი.

— ჯერ ნახე ნამდვილი თოფია თუ...

— გატენე, გატენე კაცო, თოფია აბა კომბალი კი არაა, ვერ ხედავთ?!

ქემეთმა გულდასმით გაშინჯა თოფი. ლულაში ცალი თვალით ჩახედა, ჩაბერა, თათი მოუშინჯა.

ქალაქელმა ქალიშვილმა კითხა.

— როგორია? ხომ ნამდვილი თოფია.

ქემეთის მაგივრათ საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა.

— ნამდვილია. სამაზვოდნია.

— გაწი კაცო იქით, ეშმაკმა არ გატენოს უცბათ და არ გავარდეს — იხუმრა ვილაცამ.

ქემეთმა თოფი დატენა, ჩახმახი შეაყენა და ძუძუზედ ფისტონი დააცვა. ბისკაიო ესტრადიდან ასწავლიდა თუ როგორ მოქცეულიყო.

— აი იქ ბოლოში გადი და იქიდან მესროლე. კარებთან დადექი აი იქ. ერთი ეს მითხარი სროლა ხომ კარგათ იცი?

ქემეთს გაეცინა. სროლა არ იცის? რამდენი ჯიხვი გადმოუშვია კლდიდან თავის ძველი დაზაირით. სროლა თუ არ იცის ახლა ნახავს.

ენერგიულათ გაარღვია ირგვლივ შემორკალული ხალხის წრე და უკანა რიგებში ჩადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი გაინაბა. ქალებმა ყურებში თითები დაიცვეს.

ქემეთმა გადმოიღო თოფი და ბისკაიოს დაუმიზნა, რომელიც ქანდაკებასავით იდგა ფარდის წინ.

— იცოდე, არ ამაცდინო, — გასძახა მან ქემეთს.

ყველანი ქემეთს უცქეროდენ.

ქემეთმა ნიშანი გაასწორა, თოფმა დაიჭექა და ხალხმა ბისკაიოსკენ მოიხედა.

ის ისევ ქანდაკებასავით იდგა ფარდის წინ და ხელში ქემეთის ნასროლი ტყვია ეჭირა.

იგრიალა ტაშმა.

ბისკაიომ ხალხს ყოველი კუთხით თავი დაუკრა და მოულოდნელათ სახე გაფითრებულმა ერთ წერტილზე შეაჩერა მზერა.

ხალხმა მზერის მიმართულებით უნებურათ მოიხედა უკან.

ქემეთს ხელში თავის ძველი კაჟიანი დამბაჩა გაემართა და ბისკაიოს უმიზნებდა.

— აბა ეს ტყვიაც დაიჭირე თუ კარგი ბიჭი ხარ.

დამბაჩამ ისე დაიჭექა, თითქო ეკლესიაში მეხი გავარდნილიყოს და როდესაც აზრიალებულმა ხალხმა ესტრადისკენ მოიხედა, ბისკაიო გულზე ხელ წავლებული ნელა წაიქცა და თავი ესტრადის ნაპირზე ჩამოეკიდა.

ღია თვალები ნელა აემღვრა და ჩაუქრა. ცივათ უცქეროდა დარბაზს.

ერთ წუთს გამარჯვებით აღტაცებულმა ქემეთმა, ვიდრე მოისაზრებდა თუ რა ჩაიდინა, გაბრწყინვებულ თვალებით შეხედა დამარცხებულ სცენის ოსტატს და მხიარულათ დაიჭექა თავის დამბაჩასავით.

— ჰაიტ! ახლაც იტყვით რომ არ გვატყუებდა....

. . . . . .

1934 წ. ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

ნამნი

VI. ორი ბანაკი

მეორე დღეს სოფლის ბობოლებს სამმართველოს წინ მოეყარათ თავი. ყველას აღშფოთებას შეატყობდით.

ანდრია დიდი ოჯახის პატრონი იყო, ბახუტოზე არა-ნაკლების შეძლებით განთქმული. მას იცნობდენ როგორც ერთს გულჩათხრობილთაგანს და ძნელად თუ ნახავდით გაჯავრებულს, ან ნაჩხუბარს.

თემში ისეთი ტალღა შემოიჭრა, რომ უძრავი ანდრიაც კი აამოძრავა.

ეს ტალღა იყო ბოლშევიკების მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხებში. მან თემის უმრავლესობა დარაზმა და პირისპირ შეაჯახა შეძლებულ გლეხობას.

თემი ორ სამტრო ბანაკად გაიყო. ერთ მხარეს იდგნენ შეძლებულები — ანუ, როგორც თვით გლეხები ეძახოდნენ: „ხარიანები", და მეორე მხარეს — ღარიბები, ანუ „უხაროები".

ხარიანები გრძნობდნენ, რომ ეს „ძმათა შორის შფოთი" გელაძ გააღრმავა, მაგრამ საწინააღმდეგო ლონისძიებას ვერ ხმარობდნენ, რადგან გელა მოხერხებულად მუშაობდა და მთავრობას ხელშესახებ საბუთს არ აძლევდა. ანდრია უამბობდა „თავის კბილის" ხალხს:

— კაცო, მიკვირს, რომ ყური მოგიყრუებიათ! იცით რა ჰხდება ჩვენს გარშემო? აღარც პატივი, აღარც მორიდება — ლაგამი აიშვეს! დაგიჟდნენ! წუხელ მუხიანთან კრებას წავაწყდი. ასამდე კაცი იქნებოდა. შუაში გელა ჩამდგარიყო და ჩვენს წინააღმდეგ, აი, ბახუტოს და სარდიონის წინააღმდეგ აღელვებდა ხალხს. ისეთ-ისეთებს ამბობდა, რომ ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი.

— შენ გგონია, ის მოთრეული სომეხი ნაკლებს სჩადის? — წაუნთო ცეცხლი დაბალმა, მხარბეჭიანმა გლეხმა, მეტ-სახელად კურკამ — ვითომც სადურგლოდ მოვსულვარო, მაგრამ ძირს გვითხრის!.. შუალამისას შევხვედრივარ, რაღაც მიჰქონებია, უთუოდ იარაღი იქნებოდა.

— ეგ ყველაფერი ვიცით, ანდრი, ვიცით — ჩაება ლაპარაკში ბახუტო.

---

[1]) დასასრული. იხ. „მნათობი" № 4.

— იცით და რატომ სარდიონს არ გავაფრთხილებთ?

— სარდიონი ჩვარია!

ბახუტოს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ ამ დროს ერთი ჭაღარა გლეხი, სახელად თომა შემოვარდა. სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. მოდიოდა და თან კვნესით იძახოდა: ადამიანები არა ხართ? განა ეს შეიძლება? ანდრი, ბახუტო განა ეს შეიძლება? ვაჰ! ვაჰ — კვნესოდა თომა.

ბახუტომ ეს საქმე იცოდა და ყური მიაყრუა.

— რა მეხი დაგეცა? — ჰკითხა ანდრიამ.

— შენმა ძმამ, შენმა სახლისკაცმა... აი, ამ ბახუტოს მეველემ მცემა... თავი გამიტეხა... განა ეს შეიძლება?

— მელას საქათმის კარზე გაუთენდება — სთქვა კურკამ. მან იცოდა, რომ თომა გელას „ავანჩავანი“ იყო და წაიმასხარავა:

— თომა, რბილში გცემდნენ, თუ მაგარში?

— მე აქ საჩივლელად მოველ და თქვენ ნიშნს მიგებთ? რათა შვილო, რათა? ამ ბახუტომ ხუთ ვერსზე არხი გაჭიმა, ბოლოში წისქვილი ჩადგა და ხუთი ვერსის მანძილზე ჩვენს მინდვრებს ხარწყავი მოუსპო... მე რომ ჩემი ჯერი მოვითხოვე, თავპირი ჩამამტვრიეს და თქვენ ნიშნს მიგებთ?

იქვე იდგა დაბალი ტანის ბობოლა — მეტ სახელად ცერო. თომას კისერში ხელი ჩაავლო, ჯერ ტკბილად და შემდეგ ზიზღით დაუწყო საუბარი:

— ცანცარ, ასე რომ გადმოაგდებ ენას: „ბახუტომ არხი გაჭიმა, მინდვრებს სარწყავი მოუსპო“ — უარესს გიზავენ! წადი დაიკარგე, შე...

უცბად ჰკრა ხელი და ნაცემი თომა ხელ-ახლად პირქვე დაამხო. გამწვავდა საბრალო თომა. ძლივს წამოდგა. ერთი კიდევ შეხედა თავის „კეთილის მყოფელებს“ და წაიბუტბუტა:

— აახმე!! მე ვიცი, სადაც წავალ, თქვე არამზადებო!.. მცარცველებო!.. ყაჩაღებო!..

რამდენიმე წლის წინათ ამ არხის გამო ბახუტომ აუარებელი ფული დახარჯა. ზოგს ქრთამი მისცა, ზოგს არაყი დაალევინა, ზოგსაც დაჰპირდა და სათემო წყალი, რომლით ბოსტნები, ვენახები, თამბაქო და ნათესობა გვალვიან წელიწადს ირწყვებოდა, ეს წყალი მოხერხებით გლეხების მიწებს დააცილა და საკუთარს წისქვილზე მიუგდო. რაკი წყალს წისქვილზე მიუგდებდნენ, ის წყალი კანონის ძალით, კერძო საკუთრებად ითვლებოდა. და მისი „სათავის“ მოშლის ნება აღარავის ჰქონდა. ნება არ ჰქონდა გლეხს წყლით ესარგებლნა და წისქვილი შეეჩერებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეს უნდა ეზღო მოცდენილ წისქვილის ზარალი.

ბახუტო კი ასეთს შემთხვევაში მოცდენილ წისქვილის ზარალს იმდენს უანგარიშებდა, რომ გლეხი მთელი ოჯახითაც გაყიდულიყო, მაინც ვერ ზღავდა.

ბოლო დროს გლეხებმა მოითხოვეს წყალზე თავისი უფლება. — რამდენჯერმე შეტაკება მოხდა და ბევრი თავგატეხილი დაბრუნდა შინ.

ბახუტო ქედს არავის უხრიდა. მას თემის უფროსიც უმაგრებდა ზურგს. თომამ გაბედა, წყალი გადმოუგდო, მაგრამ თავპირი ჩაამტვრიეს. ამ გარემოებამ სხვა გლეხები ფეხზე დააყენა. არხზე დიდი აურზაური იყო, ჩხუბი და კეტების ტრიალი. ბახუტოს მცველები [illegible] „პატრონის“ უფლებას. დედაბერი კონია აჯანყებულ გლეხებში იდგა და იძახოდა:

— არ დაინდოთ! ბახუტომ შეთქვლიფა, შეჭამა ქვეყანა...

სარდიონი ამ ამბავმა დიდად ჩააფიქრა, მაგრამ ვერაფერი მოეგვარებინა. გლეხობა მეტისმეტად გამწარებულიყო.

ბევრი დააპატიმრა, მაგრამ ეს საქმეს მაინც არ შველოდა. დაპატიმრებულების ცოლები ქმრებს აჭარბებდნენ და მეზობელ გლეხებს, რომლებიც „არც აქეთ იყვნენ და არც იქით“, — არცხვენდნენ და წინააღმდეგობის გასაწევად მოუწოდებდნენ. სწორედ ამ დღეს, როდესაც გლეხები არხზე იბრძოდნენ, თბილისიდან თემის უფროსს დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენელი ეწვია.

მილიციონერმა სარდიონს ამბავი მოუტანა: მთავრობის წარმომადგენელი მობრძანდაო. სარდიონი სახტად დარჩა. რამდენიმე ხანს ხმას ვერ იღებდა, თითქოს ენა ჩაუვარდა.

სქელი სარდიონი ოფლში იწურებოდა. მაშინვე სამმართველოსკენ გამოექანა, რომ თავისი ახლობელი „მრჩეველები“ ენახა. ქშენით მოვარდა ბობოლების კრებულთან.

— რა ვქნათ, კაცო, რა ვქნათ?

— რა უნდა ქვნათ, სუფრა და მისი ჯანი! ისეთი ჭაშნიკი დავალევინო, რომ ბუზი აქლემად მოეჩვენოს... — ეუბნებოდა ბახუტო.

— ეგრე შენი ჭირიმე, ეგრე! ვაი შენს სარდიონს! — შემდეგ მიუბრუნდა მილიციონერს და განკარგულება გასცა: — ბიჭო, ყველას შეატყობინე, მთავრობა მოდის-თქო! უნდა ზეიმით დავხვდეთ... ჰო! იმას გეუბნებოდი... წელან რომ ნაცემი თომა ვნახე, ის აქ არ მოუშვა, რამეს წამოროშავს... არც ის ბებერი კონია, დაწყევლოს ჩემმა გამჩენმა... აბა, ჩქარა!..

სარდიონი ხელსახოცით ოფლს იწმენდდა, თან ანდრიას, კურკას, ცეროს და ბახუტოს ეუბნებოდა:

— კაცებო, თქვენ რაღას გასჩერებულხართ? თქვენს ცოლს-შვილს, თქვენს მეზობლებს შეატყობინეთ... მთავრობა მოდის, უნდა დავხვდეთ. იქნებ საჭირო იყოს ხონჩით პურმარილი — რა ვიცი, ძველად ჩვენ ასე ვიცოდით, ჰა? რას იტყვით?

მოგროვდნენ ბობოლა ხალხის ნათესავები, მეზობლები ცოლებით და ქალიშვილებით, ცნობის მოყვარე ხალხიც ბევრი შეგროვდა. გამოჩნდა წარმომადგენელი და სარდიონს მუხლები აუკანკალდა, თვალები აუჭრელდა. რას ლაპარაკობდა, ეს არა თუ სხვას, თვითონაც არ ესმოდა. ქუდის მოხრით და დაბალი სალამით მიეგება სარდიონი.

ემისარს თან ის სქელი გვარდიელი ახლდა, რომელიც ყოველ წინადადების შემდეგ „შარი-შურის“ გაიძახოდა. ეს სქელი გვარდიელი უფრო იმ ინტერესით გამოჰყოლოდა, რომ მეორე დღეს [illegible] „ოპერაციები“ მოეხდინა და ემისარის თავისუფალ [illegible] „ამხანაგ გიგოლას“ დუქნისთვის „შეშუდი და სანოვაგე“ გადაეტვირთნა თბილისში. თავი კი ისე ეჭირა, თითქოს ის აქ ყოფილიყო და სულთანი — სტამბულში.

— მოდიან! მოდიან! — სთქვეს ქალებმა და წინ წადგნენ.

სარდიონი ჰბოდავდა. უკან მას მოკარნახე ბახუტი ედგა და სიტყვას წასჩურჩულებდა. ზოგჯერ სარდიონი სწორედ ვერ გაიგებდა და სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა.

— ჩემი მოსვლის მიზანი — სთქვა ემისარმა — არის აგრარული რეფორმის საბოლოოდ გადაჭრა.

— შარი შური... — წამოსცდა გვარდიელს, რის გამო ემისარმა შეუბღვირა.

— ჩვენი დემოკრატიული მთავრობა — განაგრძო ემისარმა — მიწების მუნიციპალიზაციით დიდს შეღავათს აძლევს მშრომელ მოსახლეობას...

ის-იყო სარდიონს ემისარი „ჭაშნიკზე“ უნდა მიეპატიჟნა, რომ ამ დროს აუარებელ ხალხის აღელვებული, არეული ყიჟინა, ყვირილი და მუქარა მოესმათ. არხიდან მილიციონერებს და შეიარაღებულ დარაჯებს აჯანყებული ხალხი დაერეკათ და ახლა ეს ხალხი სამმართველოსკენ მოდიოდა. სხვადასხვა უბნებიდან და ორლობეებიდან ხალხს ხალხი ემატებოდა. ელდინო თავპირჩამტვრეულ თომაზე უთითებდა და ხალხს არცხვენდა:

— ხალხო, შეხედეთ თომას, ბიძია თომას... სისხლი ჩამოსდის! განა თქვენს გულში შებრალება ამოიწვა? განა თქვენი გრძნობაც გვალვამ დააშრო? სცემდნენ თომას და თქვენ სეირს უცქეროდით? ვინ მიეშველა საბრალო თომას? რომელი თქვენგანი გამოესარჩლა და ნადირს ხელიდან გამოჰგლიჯა? ნუთუ ჭაღარის სისხლმა გული არ აგიღელათ? მაშ რად არ გამოჰგლიჯეთ ნადირს ხელიდან?

— დააჩუმეთ ეგ გომბიო! — დაიყვირა სარდიონმა, — აქ მთავრობის წარმომადგენელია...

ხალხი თანდათან მოზღვავდა. ყვიროდნენ, ჯოხებს იშვერდნენ; ბახუტს და სარდიონს ემუქრებოდნენ.

სქელი გვარდიელი ველარ იძახოდა „შარი-შურის“ და გაპარვასაც კი აპირობდა, მაგრამ რა ექნა ემისარისთვის? ხალხის ასეთი აურზაური გელას და ტექნიკ ვანოს გაეგოთ; ვანო ხალხში გამოჩენას არ შიშობდა, შით უმეტეს, რომ ემისარი მისი ნაცნობი იყო და იგი დარწმუნებულიც იყო, რომ ტექნიკი-ვანო ბოლშევიკების ორგანიზაციაში არ მუშაობდა. ამ აურზაურზე გელა და ვანოც მოვიდნენ; ხალხს ემისარი დასამშვიდებელ სიტყვას ეუბნებოდა:

— ხალხო, — ლაპარაკობდა ემოსარი — თუ ყველანი ერთბაშად აყვირდებით, ჭეშმარიტებას ვერ გამოვარკვევთ. მე მესმის თქვენი გაჭირვება. მიწას სჩივით! წყალს სჩივით! აი, მეც მაგიტომ მოვედ!, რომ გაუწყოთ ჩვენი დემოკრატიული მთავრობის ლონისძიებანი მიწის ნაკითხი. თითოეულ გლეხს უნდა მიეზომოს შვიდი დესეტინა მიწა სახნავად, ამდენივე ტყე, და უკეთუ რომელიმე თქვენგანი ინტენსიურს და კულტურულს მუშაობას აწარმოებს, არა ნაკლებ ოცდაათი დესეტინისა.

ენუქას ანდერძმა ხალხი ერთხანად გააბრუა, მაგრამ შემდეგ ზოგიერთები გონს მოვიდნენ და ჰკითხეს:

— როგორ? როგორ? ერთი გასაგებად გვითხარ!

— ვინც თავის მარჯვენით იშვიათ ნამყენს გააშენებს, ან არხს გაიყვანს, ან წისქვილს ააგებს, მას მშენებლობისთვის ნორმაზე ზევით კიდევ ოცდაათი დესეტინა მიეცემა და შეუძლიან „ნასყიდობითაც“ დაიმკვიდროს საშვილიშვილოდ...

— ვისაც არაფერი გააჩნია? — ჰკითხა ერთმა ბოგანო გლეხმა.

— ეცადოს მიწა კერძო საკუთრებად შეიძინოს.

ხალხი უცბად გონს მოვიდა. იძახოდნენ:

— არა! არა! არ გვინდა! არ გვინდა!

— საშვილიშვილოდ ბახუტოს, ანდრიას და სარდიონის ყმები ვყოფილვართ — არ გვინდა!

ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელსაც დაგლეჯილი ფარაჯა ეცვა, ყვიროდა:

— ხალხო, ნუთუ ამ ქვეყნად სამართალი არ არის?

ელდინო წინ წამოდგა:

— არის! არის! სამართალს ეძებთ? სამართალი თქვენს ხელშია! თქვენ კი მისჩერებიხართ სარდიონს და მაგისგან შველას და სამართალს ითხოვთ? მაგის სამართალი დარბევა და მათრახია!

— ხმა ჩაუწყვიტეთ მაგ გომბიოს! — ყვიროდა სარდიონი. როგორ უბედავ ხალხისაგან ამორჩეულ მთავრობას!..

ელდინო არ ჩუმდებოდა:

— თქვენა ხართ ხალხისგან ამორჩეული? ხალხს ოფლით გასუქებულხართ, მერე, რის მაქნისები? შენ ამ ბახუტოს ტიკინა ხარ! ნუთუ შენ უნდა გადასწყვიტო ხალხის ბედ-ილბალი, გასიებულო რუმბო!

სარდიონი გაშრა. უარესად დაიბნა. ეს რა უთხრა „გომბიომ?“ ბახუტომ ითმინა და ბოლოს ბრაზმორეულმა მიმართა პროვოკაციას და ხალხს უთხრა:

— ხალხო, გონს მოდით! ვისგან ხართ დაგეშილები? გელასაგან! ელდინოსაგან! და ამ მოთრეულ სომხისაგან? მერე იცით ეგ ვინ არის? დაშნაკების მთავრობის აგენტია! გელა და ელდინო კი მას თავის კალთას აფარებენ, ჩემზე გისევენ და ჩვენი წაკიდებით სომხების საქმეს აკეთებენ.

ერვანდმ ველარ მოითმინა და შეჰყვირა:

— ცრუობს, ხალხო, არ დაუჯეროთ!

ემისარს გაუხარდა, რომ მათ შორის სომეხი აღმოჩნდა: მიზეზი ჰპოვა ხალხის ყურადღება სულ სხვა საგანზე გადაეტანა. ერვანდის თვალებში აცქერდებოდა და მისკენ მიიწევდა, თითქოს უნდა ... — და შუა გაგლიჯოსო.

— ააა, თქვენს შორის სომეხია? ახლა კი მესმის, ხალხო, თქვენი გაბოროტება! დაშნაკების პარტია საქართველოს ედავება ლორსა და ბამბაკს! თბილისს! მცხეთას და ჩვენს მიწა-წყალს, სადაც ყოველი მტკაველი ჩვენი წინაპრების სისხლით არის გაჟღენთილი. იმის მაგიერ, რომ ეს გარეწრები ჩვენს ქვეყნიდან გავდევნოთ, თქვენ მის რჩევას აჰყოლიხართ და დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებას აწყობთ?!..

გელა აქამდე ჩუმად იდგა და მხოლოდ ამხანაგებს გადაჰხედავდა, თითქოს ამხნევებდა. ბოლოს ემისარის „პროვოკაციული სიტყვა“ ვეღარ მოითმინა და პირში შეუდგა:

— მოითმინე, ბატონო მთავრობის წარმომადგენელო! რაში ჰხედავ აქ ამბოხებას? ან შენ, ბახუტო, რისთვის დაგჭირდა ერვანდის აგენტობა? ხალხს თვალი აუბათ, მიწა წაართვათ, წყალი მოუსპოთ, და ეს თქვენ გსურთ ხალხის გაღიზიანებით და ეროვნულ შუღლით დაჰფაროთ? განა თბილისს, ლორს და ბამბაკს სომხეთის პროლეტარიატი გედავებათ? განა თქვენ თბილისის, ან საქართველოს ბედი გაწუხებთ? არა! თბილი ადგილები! არხი, წისქვილი — რომ ხალხმა ხელიდან არ გამოგტაცოთ და მშრალზე არ დაგსვათ! და რომ ხალხმა ეს დღესვე მოიმოქმედოს, განა ეს ერვანდის ბრალი იქნება?!

ბასიკომ თომა წინ გამოიყვანა და ხალხს მიმართა:

— აი, როგორ იცავენ ჩვენ მიწას, შეხედეთ თომას თავპირჩატვრეულს!

ხალხი აღელდა. ელდინომ დაიძახა:

— დაჰკარით ბარი, არხი თქვენია!

და ხალხმა არხს მიაშურა.

ოფლში გაწურულს სარდიონს ემისარი მისჩერებოდა, თითქოს ეუბნებოდა: ეს არის შენს თემში სიმშვიდე? ბოლშევიკებით ავსილაო!

— სარდიონ! — სთქვა ემისარმა — რასა ჰგავს ეს? მთავრობის სახელით გიბრძანებ ორ წუთში იქმნეს წესიერება აღდგენილი! არავინ დაზოგო და საეჭვოები თბილისში გადმოგზავნე!

— იქ ჩვენ გავუსწორდებით, შარი-შური-შუქურ-მაქო!.. სთქვა გვარდიელმა და თან ემისარს ანიშნებდა: წავიდეთო.

ემისარი „ჭაშნიკზე“ აღარ დარჩენილა. ბირდაპირ სადგურისკენ გასწია. უკან გრძელ-მაუზერიანი გვარდიელი მისდევდა.

VII. „გაცლა სჯობს“

ამის შემდეგ ორს დღესაც არ გაუვლია, მთელი სოფელი ლაპარაკობდა:

— ბასიკომ და მაგდანამ ქალი გადააგდეს! ვიღაც მოთრეულს მისცეს და ისიც სომეხსა...

გელასთან გულალი მოვიდა და შეატყობინა:

— გელა! საქმე ცუდად არის... წუხელ სია შეუდგენიათ ბაზრაში წარსადგენად... მდივანმა მიამბო... ყველას საფრთხე გველის, მაგრამ შენ და ერვანდის უფრო მეტად... ამხანაგებმა მოვილაპარაკეთ, უნდა წახვიდეთ. შენ რომ დაგიჭირონ, ბევრი რამ გაფუჭდება და საქმეც ... ჩვენ რას დაგვაკლებენ!

ელდინოს და ერვანდის ქორწილი ბოლშევიკების უკანასკნელი კრება იყო. ეჭვების გასაფანტავად გარეშეებიც დაჰპატიჟეს. ბახუტომ იცოდა, რომ ქორწილის დღეს გელას და ერევანდის შეიპყრობდნენ და ზეიმს ჩაამწარებდნენ.

ამ საღამოს ბახუტო წინასწარ განზრახვით დუქანში რამდენიმე ამხანაგთან საზანდრით ქეიფობდა. ამით ბრაზს იკლავდა. ყოველ წუთს მოელოდა გელას და ერვანდის შეპყრობის ამბავს, მაგრამ ამბავი არ მოდიოდა. ბოლოს სთქვა, მოდი მივალ საზანდრით და თავს მოვაჩვენებ, ვითომც ჩვენს შორის არაფერი მტრული არ ყოფილა! იმათ შეიპყრობენ და მე შიქასტით გავაცილებო! განთიადისას მართლაც მივიდა ბასიკოს ოჯახში, ვითომც მისალოცად.

ბასიკო ეზოში შეეგება და გადაეხვია:

— ჩემმა მზემ! მოსალოცად მოვდივარ! თქვენ საზანდარი არ გყავთ, აი ჩემის ხარჯით შეგაწიეთ...

შემდეგ მივიდა ერვანდისთან. გაუწოდა ხელი და უთხრა: სიძევ, ბედნიერი ხარ!

იმავე დილით, როდესაც სტუმრებმა საუზმე გაათავეს, გიორგიმ სამი შეკაზმული ცხენი მოიყვანა. მან წინასწარ იცოდა გულალისაგან, რომ ქორწილის შემდეგ გელას, ერვანდის და ელდინოს დარჩენა თემში აღარ შეიძლებოდა.

საზანდარი უდარდელ სიმღერებს უკრავდა. ბახუტომ გაიგო ცხენები რისთვისაც იყო და არ ესიამოვნა, გელას ეხვეწებოდა: შენ რომ სიმღერა იცი, ის იმღერეო. სიმღერას უფრო იმიტომ სთხოვდა, რომ წასვლა დაჰგვიანებოდათ, დრო გასულიყო და იქნებ ამ ხნის განმავლობაში თემის უფროსს მოესწრო. ბახუტო გულში ამბობდა:

— თემის უფროსი ძაღლია! იქნებ განგებაც იგვიანებს... ის არც მწვადს დასწვამს და არც შამფურს...

— იმღერე, თუ ძმა ხარ, გელა, იმღერე! აი, ეს სიმღერა! — და თვითონ წაიმღერა.

— არა, ხვალ, ესე იგი დღეს, ჩემთან დაპატიჟებულები ხართ — ამბობდა ბახუტო და თან ლაპარაკს აჭიანურებდა. მაგრამ სარდიონი მაინც არ სჩანდა.

ბახუტოს ბრაზით პირისახე ეგრიხებოდა, მაგრამ ცდილობდა საამო სიტყვები ეთქვა. მხოლოდ როცა მათ შეიპყრობდნენ, შხამს და ბალღამს მაშინ გადმოანთხევდა; ერთს თავის ამხანაგს ხელი გადაჰხვია და დაამღერა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც მინდოდა, ვერ ველირსე,
ჩემი გული მკვდარია.
მე ვარდისთვის ბაღში შეველ,
იქ კოკორიც მჭკნარია!

— იქნებ ჩემი მოსვლა გეწყინათ? — ჰბოდავდა ბახუტო — მთვრალი კაცი, კარგი კაცი! მე გულში წყენა არა მაქვს! მოველ მოგილოცოთ! ოსტატო ერვანდ! ბედნიერი ხარ, ხარ, ხარ, მაგრამ გულს შემდეგაც უნდა გაუხარდეს, გელა, შენ სივრცეს იქით იცქირები, თითქოს ვეფხი იყო.

— არა, მე სახუნდარიდან გამოგდებული ტახი ვარ, რომელსაც მეძებრები მოსდევენ...

ბახუტომ ველარაფერი უთხრა. მხოლოდ გულში სარდიონზე ჯავრობდა.

ელდინო სამგზავროდ მომზადებული გამოვიდა. ბახუტომ შეხედა და სიბრაზით ტუჩზე იკბინა. ელდინოს ქალ-ვაჟები მოაცილებდნენ. მაგდანას ხელში პატარა ყუთი ეჭირა. გახსნა და იქიდან ძვირფასი მძივი ამოიღო. ყველანი გაჩუმდნენ. მაგდანა ერვანდისთან მივიდა და უთხრა:

— შვილო, ჩვენს ღარიბს ოჯახს ამის მეტი სიმდიდრე არ მოეპოვება. ეს განძი დედიდან შვილზე გადმოდიოდა სახსოვრად. მეც დღეს ჩემს ელდინოს უნდა ვუსახსოვარო, მხოლოდ, ჩვენი ჩვეულების მიხედვით, ყელზე სიძემ უნდა ჩამოჰკიდოს.

— ჩამოჰკიდე! ჩამოჰკიდე და მორჩით თამაშს — იძახოდა გელა

ერვანდიმ მძივი ელდინოს ყელზე ჩამოჰკიდა. მეზობლებმა სიმღერა დასძახეს. ელდინოს დედა ეხვეოდა და ისე ეთხოვებოდა. ცხენებზე შესდგნენ: გელა, ელდინო და ერვანდი.

ბასიკომ ერვანდის ხელი ჩამოართვა და რაღაც მნიშვნელობით უთხრა:

— ერვანდი! შენ გაბარებ ჩემს ელდინოს! — შემდეგ მიბრუნდა და ცრემლი მოიწმინდა.

— ბასიკო! ცრემლით გვაცილებ? — ჰკითხა გელამ.

— არა, ისე, გული ამომიჯდა... მოიტათ გზა დავულოცო! გზად წარმავალს შინ მშვიდობით დაბრუნება!

სამივენი თვალს მოჰფარდნენ. ბახუტო მაგიდას იდაყვით დაყრდნობოდა და სახე მკლავებში ჩაემალნა.

ამ დროს ეზოში შემოვიდა თემის უფროსი სარდიონი თავის რაზმით. ბრაზმორეული და მთვრალი ბახუტო ხარხარებდა და იძახოდა:

— დროზე მოხველ, დროზე!

— სად არის გელა! ერვანდი? — კითხულობდა თემის უფროსი.

— ველარ დაეწევით! — ბრაზმორევით და თითქოს გულის მოსაკლავად ეუბნებოდა ბახუტო.

— ბასიკო, სად არის გელა?

— მე არც მოსვლას მეკითხებიან და არც წასვლას — იყო პასუხი ბასიკოსაგან.

— ბებერო ქოფაკო! შენ იცოდი და ჰფარავდი? — შეუყვირა სარდიონმა და მათრახი გადაჰკრა. ბასიკოს წარბი არ შეუხრია, იდგა გაჩუმებული და ეს სიჩუმე უფრო მეტს ლაპარაკობდა.

— წამოათრიეთ! — დაიყვირა სარდიონმა — პასუხს — ეგ[illegible] სარდიონმა შეამჩნია, გულალის მუშტები მოეკუმშა და ბასიკოს გამოსარჩლებას ლამობდა. სარდიონმა რაზმელებს უბრძანა: გულალიც შეიპყრეთო.

გულალი შეიპყრეს.

— სარდიონ! სარდიონ! — ეხვეწებოდა გულალი — შენი ჭირიმე, ნუ დამიჭერთ და ყველაფერს გეტყვით...

— ჰო, კარგი! სთქვი და გაპატიებ...

გულალი წამოდგა მძიმე-მძიმედ.

— გელამ დამაბარა, თქვენი დღეები დათვლილიაო. — უცბად იშიშვლა რევოლვერი და სარდიონს დაახალა, სხვებს შეუყვირა: — დაიწით უკან — და გულალი გადაეშვა სახლის უკან ღობეზე. როცა გონს მოვიდნენ, გულალის თოფის სროლით დაედევნენ, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ველარაფერი გაიგეს.

ბახუტომ უბრძანა, ბასიკოს სახლისთვის ცეცხლი მიეცათ. ჯერ ააწიოკეს ბასიკოს სახლი და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს. ამ ოროომტრიალში სად იყო, სად არა გაჩნდა კონია. ცეცხლი რომ დაინახა — ბახუტოს დაუწყო წყევლა. ეზოში დაინახა სარდიონის გვამი, აენთო თვალები და დაიძახა:

— სარდიონ! არ არის სამართალი? აი სამართალი! — და გულზე ფეხი დაადგა.

VIII. სომხეთის ტრაგედია

მგზავრობის მესამე დღეს დილით ჩვენი ნაცნობები გელა, ელდინო და ერვანდი მთიან ადგილს შეუდგნენ. ხევებიდან ისმოდა ცხენების თქარათქურის გამოძახილი.

— ახლა კი ახლოა ჩემი სოფელი! — ამბობდა ერვანდი.

მართლაც რამდენიმე მანძილის შემდეგ გამოჩნდა მთის ფერდოზე სოფელი ბანური სახლებით, წინ პატარა ეზოებით და ხილის ბაღით.

კიდევ მიუხვ-მოუხვიეს, ორღობე გაიარეს და ერთს ჭიშკარს მიადგნენ, რომლის იქით იდგა ახლად აშენებული სახლი.

— ოვანეს! — შესძახა ერვანდიმ.

ოვანესი ერვანდის მამა იყო. ძახილზე ძაღლმა დაჰყეფა და მგზავრებისკენ გამოექანა. ძაღლი მოუახლოვდა თუ არა, იცნო ერვანდი. დაიწყო წკმუტუნი და კუდის ქნევა. ერვანდი ცხენიდან გადმოხდა და ძაღლს გადაეხვია:

— ალმას! ჩემო ალმას!

სახლიდან ცქრიალა გოგომ გამოიხედა, მოირბინა, მგზავრები აათვალიერა და შემდეგ შეჰკივლა:

— ერვანდ! ერვანდ! — ეს იყო ერვანდის დაი ანუშ. სახლისკენ გაიქცა და თან იძახოდა: — მამა! დედა! ერვანდი მოვიდა! გამოეგება მამა ყავარჯენით ხელში და იძახოდა:

— შვილო! შვილო!

ერვანდის დედას რაჩეს — ალლოთი ეგრძნო შვილის დაბრუნება და მეზობლის ეზოდან მორბოდა. ხელში კვირისტავი და გორგალი ეჭირა. ხელიდან ისე გაუვარდა, რომ ვერ იგრძნო.

ერვანდიმ გააცნო გელა და ელდინო.

— ეს ჩემი ცოლი! ესეც მისი ბიძა!

ოვანესი წელში აიმართა და ქალს შეხედა, რომელიც აქამდე ვაჟი ეგონა ყაბალახ შემოხვეული და ნაბად წამოსხმული.

— შენი ცოლი? — გაკვირვებით იკითხა ოვანესმა.

— ქართველი ქალია, ესეც მისი ბიძაა გელა, ჩემი ამხანაგი. — გაუმეორა ერვანდიმ.

ოვანესი კიდევ გაშტერებული იდგა. გელა გაეხუმრა:

— მოხუცო, რა ენა დაგება? შენმა შვილმა მზეთუნახავი მოგვტაცა და უკან დავედევნე საჩივლელად. აბა, რა სამართალს მომცემ?

— ჩვენი ტანჯვა არიდოს! — ბოლოს წარმოსთქვა ოვანესმა. — კეთილი იყოს! ჩემ ჭერქვეშ იბედნიეროს! შვილებო! შვილებო! გაიხარეთ, როგორც მე გამახარეთ! — და შვილს კიდევ გადაეხვია.

რაჩე უკვე თავის რძალს ელდინოს ეხვეოდა.

ოვანესს გული ამოუჯდა. რა იფიქრა? რა გრძნობამ გაჰკრა? თვალები ცრემლით აევსო. ლურჯი ხელსახოცი ამოიღო და პირისახეზე მიიფარა.

— მამაშენი სიხარულისაგან ტირის და, ალბად, ტკივილისაგან იცინებს! — სთქვა გელამ და ცხენები ეზოს მეორე მხარეს წაიყვანა დასაბინავებლად.

მეზობლებმა გაიგეს ერვანდის დაბრუნება და პატარძლის მოყვანა... მოდიოდენ სანახავად და მისალოცად.

ყველა მოხიბლული იყო ელდინოს სილამაზით.

სამს დღემდე ოვანესის ოჯახში იყო მეზობელ-ნათესავების მისვლა-მოსვლა. პატიჟი და გადაპატიჟი.

ამის შემდეგ გელამ თავისი გზა ნახა — მხოლოდ კახეთში აღარ დაბრუნებულა.

როცა გელა ერვანდის ეთხოვებოდა, უთხრა:

— შენ აქ იმუშავე! მზად იყავ, ცნობას მიიღებ!!

„ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ?
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?
სადაურსა სად წაიყვან?
სად აღუფხვრი სადით ძირსა?“

ამის მთქმელს, ალბად, ბევრი განუცდია, ქვეყნის ბევრი ორმოტრიალი უნახავს და მრავალ ადამიანთა თავგადასავალი სცოდნია. სხვაფრივ, ასეთის გრძნობით ვერც დაიმღერებდა!

ადამიანი თითქოს გარემოების ნივთია და ისიც მსუბუქი საბამაშო.

ქვეყანა აზღვავდება, წამოვა ტალღა და ვინ იცის ვის ნავს სად მიამსხვრევს, ვინ სად გაიმარჯვებს, ვინ სად ჩაჰყრის თავის ძვლებს?!

რაც აქამდე გიამბეთ, ეს მოხდა თებერვლის რევოლუციის წლებში. ამის შემდეგ რუსეთში სხვა გრიგალმა და ცეცხლმა გადაირბინა. ლენინის თითოეული სიტყვა ანთებდა კოცონებს. ირღვეოდა საუკუნოების სიძველეში გახვეული ზნე, რწმენა, იდეალი და შეხედულება.

როგორც უენო საქონელი მიწისძვრის მოახლოვებას ჰგრძნობს და ზარდაცემული გარბის, ისე ჩვენ ვგრძნობდით, რომ ახალი ძალა ძველს ცხოვრებას დასჭიდებოდა, ყველაფერი ზანზარებდა; ვხედავდით, რომ ცხოვრება ძირიან-ფესვიანად იცვლებოდა და ახალი ერა, ახალი ეპოქა მყარდებოდა. სამოქალაქო ომში გაიწირა, ვინც ამ ძვრას და ტალღას წინ აღუდგა.

„ველარ გაუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას!“

სამოქალაქო ომის ტალღები ბაქოს მოაწვა.

ამ დროს რა დახლართული იყო სომხეთის ბედი!

წინა დღით ომი ოსმალებთან! ომი ქართველებთან! ყოველდღიურად შეხლა ადერბეიჯანთან და ყოველდღე სისხლი! სისხლი! სისხლი!

ყოველ კუთხიდან ლტოლვილები, შიშველ-ტიტველნი, მშიერნი. ულახლკარონი ყინვასიცივისაგან უთოფოდ იხოცებოდნენ შირაქის და არარატის ველმინდვრებში.

სომხეთში მთავრობა მთავრობაზე იცვლებოდა.

პატარა ერის ორიენტაცია ხან ერთის, ხან მეორის მხარეზე ყო, ქალაქებსა, მაზრებსა და სოფლებში ხალხი ერთმანეთს ეხლებოდა: რა ვქნათ? რა გზა მოვნახოთო?

ოვანესის სოფელშიაც გაემართათ ყრილობა. ხალხი ამ ყრილობიდან რაღაც ხსნას მოელოდა, მაგრამ როგორც სომხეთის ცენტრში, ისე აქაც იყო მხოლოდ აზრთა დაბნევა და შიში მძლავრის წინაშე.

ამ ყრილობაზე ხალხი ლაპარაკობდა, რომ საომრად ძალა აღარ შეგვწევს, სისხლით დავიცალენით, შიმშილი მუსრს გვავლებსო.

დაშნაკცაკანის მიმდევრები მოუწოდებდნენ:

— ომი! ომი! ცა ერთხელ გაგვეხსნა... ერთხელ ველირსენით საკუთარ სახელმწიფოს... ნუთუ ახლა უნდა გავუშვათ ხელიდან ჩვენი უფლება, სხვისი ქვეშევრდომები გავხდეთ და უღელი დავიდგათ?

მეორე ახალგაზრდა ამბობდა:

— ჩვენ მარტო არ ვართ, მთელი ევროპა ჩვენს მხარეს არის... ევროპა დაგვეხმარება!

ერთი გლეხი, სახელად გიკორი, ყურს უგდებდა და ბოლოს სთქვა:

— აბა, თუ ევროპა ჩვენს მხარეს არის, ამ ოსმალეთს რატომ არ შეაჩერებს? მე თუ მომკლავენ და მერე ევროპა საყვედურს ეტყვის რად იკადრე და საწყალ გიკორის სისხლი რად დაღვარეო.

ოსმალო ისეთი ზრდილობიანია, რომ მოიბოდიშებს და ეტყვის:

„გიკორის სიკვდილი არ მინდოდა, მაგრამ ჩემდა-უნებურად შემომაკვდაო“. მერე მე საფლავში — ან კი საფლავს ვინ [illegible] სადმე ჩაძაღლებულს რაღას მიშველიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი მაშინ იქნება „სომხეთი უსომხებოდ!“

— ზავი უნდა დავდოთ, ზავი!! — ყვიროდნენ.

ახალგაზრდა ჯავრობდა:

— განა ზავს გვეხვეწებიან და ჩვენ უარს ვამბობთ? ზავი თოფმა და ხიშტმა უნდა დაადებინოს... ჩვენ უნდა ყველამ იარაღი ავისხათ და ფრონტზე ძმებს მივეშველოთ! სომხებო, ნუთუ თქვენს მშობელს დედას თქვენვე ყელს გამოსჭრით?

ოვანესი ყავარჯენს დაყრდნობილი ქვაზე იჯდა. თავჩაღუნული ფიქრს მისცემოდა. შემდეგ მოხუცი წამოდგა და გამსჭვალავის ხმით სთქვა:

— შვილებო! ძმებო! რატომ ჩვენი მდგომარეობა ვერ გაგითვალისწინებიათ? ოსმალეთის ჯარმა ლორი და ბამბაკი აიღო. ლორთან და ბამბაკთან დახმარების მაგიერ ქართველები შემოიჭრენ. ადერბეიჯანის საზღვრებზე რუსეთის წითელი ჯარი მომდგარა. ოსმალეთისაგან წაქეზებულმა ბეგებმა თავი აიწვეს და გვარბევენ. დღე-დღეზე ჩვენს სხეულს დაფლეთა ელის. ამ დროს ჩვენ ერთ-ერთი ძალა უნდა ავირჩიოთ. ვინ არის ეს ძალა?

ოვანესი შეჩერდა. ხალხი სულგანაბული უსმენდა და ბოლოს დაიძახა:

— ვინ? ვინ? ოვანესს დააცათ! გვირჩიე! გვითხარ!

ოვანესმა განაგრძო:

— რუსეთში დღეს მშრომელ ხალხის მთავრობაა. — სთქვა ოვანესმა და ხალხი აირ-დაირია. ერთმანეთს აჩუმებდნენ. ოვანესმა განაგრძო:

— მე ბევრი მინახავს და ბევრი მთავრობაც გამომიცვლია! არც ერთს ჩვენთვის მალამო არ დაუდვია. ჩვენ გვიხნსის ისეთი მთავრობა, რომლის სათავეშიაც მუშა და გლეხია!

ოვანესმა ხალხი გადმოიბირა.

ოვანესის მოწინააღმდეგებს აღარ ალაპარაკებდნენ.

იყო აურზაური და ჩხუბი.

კრება რით დაბოლოვდა, ოვანესმა აღარ მოუცადა და შინ წამოვიდა.

მსხვერპლი ფანატიზმის

სასახლის წინ ცაცხვის ქვეშ, ხალიჩებით დაფენილ ტახტზე რაჯიდ ბეგი სპარსულ ყალიონს — ნარგილეს — ეწეოდა. სახე მოღრუბლული ჰქონდა, შუბლი შეკრული.

მის წინ წელში მოხრილი მოლლა იდგა და რაჯიდ-ბეგს თვალებში შესცქერდა.

იქვე იყო გაიძვერა ჰაჯი, რომელიც სულ ილიმებოდა, მაგრამ გულში გესლს აგროვებდა იმ შემთხვევისათვის, როცა მას ბატონი უბრძანებდა: მტერი მომისპეო.

ყველა ესენი ზიზღით მისჩერებოდნენ მუშა — აინ-ალის, რომელიც კარგახანია ბაქოდან დაბრუნებულიყო და სოფელში გლეხებთან ერთად მეურნეობას ეწეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეპყრობილ აინ-ალის აქეთ-იქიდან დარაჯები ეკვლებოდნენ.

რა დანაშაული მიუძღოდა აინ-ალის? ან რატომ იყო შეპყრობილი?

— შეგინებულ არს სახელი ალლაჰის! — ამბობდა ბოღმამორეული მოლლა. მას რაჯიდ-ბეგი ამშვიდებდა.

ჰაჯი მიუახლოვდა აინ-ალის და შემპარავად უთხრა:

— გამოტყდი აინ-ალი! მე ვარ თავდები სასჯელს ასცდები.

აინ-ალი ალბად მოღლილი იყო წამებით და ხმას აღარ იღებდა.

— მაშ ბაქოელი მუშა შენთან არ იყო? დაუყვირა რაჯიდ-ბეგმა.

— იყო!

— მერე?

— ბაქოში მასთან ერთად ვმუშაობდი. დიდიხანია აღარ მენახა. სტუმრად მოვიდა, მეც მივიღე.

— რამდენ ხანს დარჩა?

— არ მახსოვს.

— იმ ბაქოელ მუშას კიდევ ვისთან ჰქონდა კავშირი?

— არავისთან!

— ჯაფართან ერთად კრებას აწყობდით — ღიმილით უთხრა ჰაჯიმ — სთქვი და შეგინდობს ალლაჰი... უთხარ! ნუთუ იკისრო და გაბედე მთლიან ისლამის ოჯახის მოღალატე? სთქვი! სთქვი! ალლაჰი ჰხედავს, თუნდაც შენ არ გამოტყდე.

— დაე დაინახოს ალლაჰმა, რომ არც მე, არც იმ მუშას და არც ჯაფარს ხალხისთვის ცუდი არ გვინდა!

— ჯაფართან ერთად კრებას აწყობდით, შენ სთქვი წელან! იმ კრებას ვინ ესწრებოდა? — უბღვერდა რაჯიდ-ბეგი.

— არც მითქვამს, არც ვიცი!

რაჯიდ-ბეგი უფრო ბრაზზე მოდიოდა;

— როგორ? — შეუყვირა რაჯიდ-ბეგმა — შენი მეზობლები დაესწრენ, იქ ჩემი, მოლას და ჰაჯის ბედი გადასწყვიტეთ, რომ ჩვენი თავი მოგესპოთ და მათი სახელები არ იცი?

— არა, არ ვიცი!

— გაიყვათ! — უბრძანა რაჯიდ-ბეგმა მცველებს, სანამ არ გამოტყდეს. თქვენს საქმეს არ უმტყუნოთ!

როდესაც აინ-ალი მცველებს მიჰყავდათ რაჯიდ-ბეგის წინ შეჩერდა და თითქოს მუქარით უთხრა:

— რაჯიდ-ბეგ! თუ ალლაჰის აღარ გეშინიან, ხალხის გეშინოდეს!

რაჯიდ-ბეგი აენთო ასეთის სითამამისაგან.

— შენ გეშინოდა ალლაჰის, როცა ჩემს მყუდრო ქვეყანაში ვიღაც ბაქოელ მუშა-ბოლშევიკს შენს ბინაზე თავშესაფარი მიეცი და ჩემს წინააღმდეგ, მუსავატების წინააღმდეგ ხალხს ამხედრებდით? როცა მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეპყრობა მოვინდომეთ, შენ გააპარე! შენ მაშინ გეშინოდა ალლაჰის! გაიყვათ! იქ ყველაფერს გათქმევინებენ!

— დიდ არს ალლაჰი! — იძახოდა მოლლა.

ამ დროს ბაღის კარებთან ხალხის ხმაურობა მოისმა.

ჰაჯი გასაგებად წავიდა.

მცირე ხნის შემდეგ დაბრუნდა და მოახსენა:

— ჩვენი გლეხები არიან. ამბობენ, სოფელიდან ამორჩეულები ვართ, გვიჩვენეთ რაჯიდ-ბეგიო!

— სანდონი არიან?

— აქ არს იბრაჰიმ და მისი შვილი.

— ქერბალაი-რიზა? — იკითხა ბეგმა. და წაიდუდუნა:

— იბრაჰიმ დარბაისელია და მისი შვილი ჩემი ერთგული.

— მაგრამ მათთან სხვებიც არიან...

სთქვა ჰაჯიმ და დადუმდა. რაჯიდ-ბეგმა შეატყო რაღაც უნდოდა ეთქვა.

— სთქვი, კიდევ ვინ არის!

— ჩვენი ადათის, ჩვენი რჯულის შეურაცხმყოფელი ფატმა-ხანუმ.

ფატმა-ხანუმს იცნობდა რაჯიდ-ბეგი. მისი სილამაზით ერთ-დროს (და იქნებ დღესაც) მოხიბლული იყო და ხელიც სთხოვა. ყველაზე საკვირვლად რაჯიდ-ბეგს ის რჩებოდა, რომ ფატმა-ხანუმმა უარი სტკიცა. ვერ გასჭრა ვერც მუქარამ, ვერც ფატმა-ხანუმის ნათესავების დაყვავებამ, რომ რაჯიდ-ბეგს მეხუთე ცოლად გაჰყოლოდა.

— შემოუშვით! — სთქვა რაჯიდ-ბეგმა.

შემოვიდნენ ჭალარა იბრაჰიმ თავის ახალგაზრდა შვილით, კიდევ სამი გლეხი და ფატმა-ხანუმ.

რაჯიდ-ბეგი ფატმას დააცქერდა:

— შენც ამორჩეულებში, ფატმა-ხანუმ?

— და არა გამორჩეულებში.

— სად არის შენი ჩადრი?

— მზეს პირი ვუჩვენე.

რაჯიდ-ბეგს ეგონა, თუ მზედ მას გულისხმობდა და ესიამოვნა.

— მზეს? მომწონს! მომწონს! რას იტყვი მშვენიერო?

— აი, მოუსმინე დარბაისლებს და ჩემი ჯერიც დადგება.

წინ წამოდგა ჭალარა იბრაჰიმ ჰასსან ოღლი.

— რაჯიდ-ბეგ! ჩვენ ხალხი გვგზავნის და სათხოვნად მოვსულვართ. აინ-ალის ცოლწვილი ეღუპება! აბა, სად გაგონილა, ოჯახში სტუმარი მოვიდეს — ბაქოდან ძველი მეგობარი და შენ სტუმარს დაჭერა მოუნდომე. ის რომ მშვიდობით წავიდა, აინ-ალი დასაჯე. ეს ჩვენში არ ყოფილა, არც იქნება. ჩვენს ადათს ნუ გასტეხ. ხალხმა ეს დაგვავალა.

— ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სანამ აინ-ალის არ გაანთავისუფლებ — დააბოლოვა ფატმამ.

— ფატმა! არ ვიცოდი, თუ უჩადროდ ასე გაბადრული იქნებოდი. ჩადრი კვლავ დაიხურე, თორემ თვალს წაიტყუებ.

რაჯიდ-ბეგი განგებ ამასხრებდა ამორჩეულების [illegible] ფატმას სილამაზეს შეაქებდა. ეს ყველაზე მეტად ფატმას ეწყინა.

— შენ ყურით ისმენ, თუ თვალით? ჩემი ღირსება მე თვითონ ვიცი, შენ აინ-ალიზე გელაპარაკებიან ჩადრი კი ამ მოლლამ აიფაროს მახინჯ სახეზე.

— ღვთისნიერ კაცს შეურაცხყოფ? ფატმა, არ გაპატიებ!

— ეგ მოლლა განა ღვთისნიერია? ჯაშუშია! მაგან დააბეზღა შენთან აინ-ალი!

მოლლას ბრაზისაგან პირი მოეკუმა და თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. მოლას რაჯიდ-ბეგი ამშვიდებდა; ფატმას მეზობელი გლეხებიც ანიშნებდნენ საქმეს ნუ ამწვავებო, მაგრამ ფატმა პირში მთქმელი იყო და არც ვისმესი ერიდებოდა.

— ფატმა! — სთქვა რაჯიდ-ბეგმა — შენ იცი აინ-ალი რა კაცია?

ფატმამ გადიკასკასა.

— უი, რეგვენმა არ იცის რა კაცია აინ-ალი, თორემ მე ჩემი მეზობელი არ ვიცი? ის თავის შრომით ცხოვრობს. არავის ართმევს როგორც, აი, ესენი ართმევენ. — და ხელი ჰაჯიზე და მოლლაზე მიიშვირა.

— აინ-ალი ბოლშევიკია!

— იყოს, თუ კი ის მართალს ამბობს, თუ კი საწყალ ხალხს უშველის. ასეთი ბოლშევიკი მეც ვარ, ესეც, ისიც...

მოლლამ ველარ მოითმინა: აღაპყრო ხელები და შეღაღადა:

— ალლაჰ! ალლაჰ! წაწყდა ქვეყანა, მოიშხამა ჰაერი!

ფატმამ მოლას დააჯავრა:

— ალლაჰ! ალლაჰ! შენ მოშხამე ჰაერი, რომ შენი ბურტყუნი ალლაჰს ალარ ესმის.

რაჯიდ-ბეგს აზრმა გაუელვა, რომ სოფლის ამორჩეულებს არ აწყენინოს და ფატმას გულიც მოიგოს. ჰაჯის ყურში ჩასჩურჩულა: ჩემი ბრძანება უკეთესმა შეასრულეო. შემდეგ მიუბრუნდა იბრაჰიმს:

— იბრაჰიმ! თავდები შენ იქნები!?

— რის თავდები?

— რომ აინ-ალი სიტყვას ალარ დასძრავს.

— ტყუილს არ იტყვის და სიმართლე შენ რაღად უნდა დაუშალო?

რაჯიდ-ბეგმა უბრძანა ჰაჯის:

— გაანთავისუფლე აინ-ალი!

ამორჩეულებს სიხარული შეექმნათ. მოლამ არ იცოდა, რომ რაჯიდ-ბეგი თვალთმაქცობდა. იგი სასოწარკვეთილებას მოეცვა და გაქცევას ლამობდა. რაჯიდ-ბეგმა შეაჩერა:

— მოლლა! ეს ისე, თვალის ასახვევად! ახლა საქმის გამწვავება ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის:

ფატმას ყველაზე მეტად გაუხარდა. მეზობლებს ელაპარაკებოდა:

— აკი გითხარით, რაჯიდ-ბეგს კიდევ შერჩენია სინდისის ნატამალი.— შემდეგ თვით რაჯიდ-ბეგს მიმართა გულისმოსაგებად [illegible] გადასახდელად:

— აი, სჩანს შენც გეჯავრება ვილაც მუსავატელები არიან, რომ აინ-ალის ანთავისუფლებ! ისე შენ გაიხარე, მართალს გეუბნები, თურმე მუ-სავატი დაშნაკზე უარესი ყოფილა. ორივენი ჩვენი სისხლით და ოფლით იბერებიან. საკმარისია თითი წაჭერა და გასქდებიან.

რაჯიდ-ბეგმა შუბლი შეიკრა:

— წადი! უჩადროდ აღარ გნახო! ალლაჰს არ მოსწონს ასეთი ქცევა.

— სწორედ, შენც დაგიჯერებია და ალლაჰსაც ისე საქმე გამოლევია, რომ ჩემთვის საზვერად მოიცალოს. ამ მაიმუნებმა ბანჯგვლიანი სახეები გამოიჩინონ და ჩვენი ლამაზები დავმალოთ? უკაცრაოდ! პირიქით, მე ისე გამიგია, ალლაჰისაგან გაჩენილს ვინც დაჰფარავს, ეს სილამაზე იქნება, თუ სიმართლე — ის არის დამნაშავე!

რაჯიდ-ბეგი იბრაჰიმს მიუბრუნდა:

— იბრაჰიმ! შენის ხათრით და იმ გარემოებით, რომ დღეს სხვა უფრო მძიმე საქმე გვაწევს — ვანთავისუფლებ აინ-ალის. ახლა წადით ხოლო შენი შვილი ქერბალაი რიზა აქ დარჩეს. კარგი ვაჟკაცია მომწონს! იგი წამოვა ჩემთან ისლამის სადიდებლად!

იბრაჰიმს არაფერი ესმოდა, რას ელაპარაკებოდა რაჯიდ-ბეგი. აზრდა-ბნეული შვილს შესცქეროდა, თითქოს ეკითხებოდა:

რას ამბობს? რის ისლამის სადიდებლადო! რაჯიდ-ბეგმა განაგრძო:

— მართლმორწმუნე ოსმალეთი ჩაჰკეტავს ჩრდილოეთის კარებს. მო-დის სომხეთზე. ქერბალაი-რიზა თანახმაა!

— რის თანახმაა? — კითხულობდა იბრაჰიმი და ჰგრძნობდა რაღაც სა-შინელ ამბავს მოისმენდა. შემდეგ შვილს ჰკითხა:

— შვილო, რის თანახმა?

— მართალია, მამაჩემო... მეც თანახმა ვარ...

— ის წამოვა ჩემთან ალლაჰის სადიდებლად.

მოლამ და ჰაჯიმ მოწიწებით ხელები აღაპყრეს:

— ალლაჰის სადიდებლად!

— შვილო, არ მესმის რას ამბობენ?

მოლას მიეცა საშუალება შხამის გადმოსანთხევად და იბრაჰიმს ჩასისი-ნებდა:

— იბრაჰიმ! შენი პირველი შვილი მოჰკლეს უიარაღო. ქერბალაი-რიზამ შური უნდა იძიოს და სისხლი აიღოს, ალლაჰი ბრძანებს!

იბრაჰიმი გაბრუებული იდგა:

— ისევ სისხლი? ძველი ამბავი? არა! არა! ალლაჰი დიდია, მაგრამ შვილი ოჯახის დასაყრდენად მინდა. შური იძიოს? არა! არა!

— მოხუცო, — ეუბნებოდა რაჯიდ-ბეგი — აქ მარტო სისხლის აღება არ არის. ადერბეიჯანი უერთდება სამუსულმანოს და მზის ქვეყანა იქნება უზრუნველი. ყველგან დიდება მაჰმადის სახელს.

— ყველგან? სხვა ხალხი? რას ფიქრობს ქართველი? რას ფიქრობს სომეხი? ეგ ხომ ომს ნიშნავს?

— ომი გამოცხადებულია!

— სად არის მუფთის სათანადო ფეთვა?

— არის! სტამბოლში!

— სტამბოლში? მერე, ჩვენ განა სტამბოლში ვცხოვრობთ? რაჯიდ-ბეგ! ერიდე ანკესს!

— ჩვენ ასე გვსურს!

— ჭიასაც უფლება აქვს იცხოვროს! მრავალ ომს შევსწრებივარ! შამილის მოხალისედაც ვყოფილვარ მე ახალგაზრდობაში, მაგრამ უიარაღო ხალხის დარბევა ომი არ არის!

— ზღაპრებს თავი ანებე!

— მე არც მამაშენის ყმა ვყოფილვარ და არც შენ გეყმობი. დღეს მე ვარ ჩემი ოჯახის უფროსი. აი, ეს ჭაღარა ნებას არ გაძლევთ! ჩემს შვილს არ გავგზავნი სასაკლაოზე, ჩემს შვილს არ შევუსევ არც სომხეთს, არც საქართველოს. იქ მე მრავალი მეგობარი მყავს. რისთვის? რა გაქვთ გასაყოფი? ვრცელია ველი და მინდორი! გულუხვია ბუნება: ტყე, მთა, მდინარე! ყველა იცხოვრებს!

იბრაჰიმი შეჩერდა. რაჯიდ-ბეგს თვალებში ჩააცქერდა:

— დავლაზე მისდიხართ? საყაჩაღოდ? არა, ქერბალაი შენთან არ წამოვა!

— ჰბოდავ, მოხუცო!

— ბოდვა არ არის! ცხოვრების სიბრძნეა! ქერბალაის ნებას არ ვაძლევ! მოლლა ჩამოერია ლაპარაკში!

— შენ მაგით სცოდავ ალლაჰს!

— ალლაჰი ჩემს გულშია, მე ვაგებ პასუხს!

მოლამ ველარ მოითმინა და რომ მასზე გავლენა მოეხდინა, წყევლას და შეჩვენებას მიჰმართა. ისროდა სიტყვებს ქვესკნელისას. იბრაჰიმი ატყობდა, მოლლა შვილზე გავლენას ახდენდა და გულში ჩაიკრა, მოეხვია. მოლლა იძახოდა ხელებ აპყრობილი:

— წყეულიმც იყოს ისეთი გული, რომელსაც მაჰმადი მოუწოდებს და ყრუ არის! წყეულიმც იყოს სათავიდან ნაშიერამდე! წყეულიმც იყოს და შთანთქას ჯანდაბას უფსკრულში, როგორც ებულეჰებ!

ქერბალაი-რიზა მამას გამოუსხლტა. მიეპარდა მოლას:

— მოლლა! შეჩერდი! ალლაჰს შემავედრე! ჩვენ ხომ მაჰმადი მოგვიწოდებს?

— მაჰმადი!

— ყურანიც გვიბრძანებს?

— ყურანი, დაწერილი მეშვიდე ზეცას!

ქერბალაი მამას მოუბრუნდა:

— გესმის! მოგვიწოდებს! ჩვენ, ჩვენ იმათ აგვაწიოკებ. ჩვენ ძმები დაგვიხოცეს! საქორწილოდ გამზადებული ჩემი უფროსი ძმა — ფიარალო მოჰკლეს, როცა ეხვეწებოდა, ემუდარებოდა. ჩემი ბიძაც არ დაინდეს! არა! მე უნდა ვიძიო შური! მოვდივარ! იყოს ალლაჰი ჩემი შემწე!

როდესაც ქერბალაი-რიზა ჰაჯის მისდევდა, მამა მას ფეხთ ქვეშ ჩაუვარდა. ეხვეწებოდა ემუდარებოდა. მაგრამ ამაოდ. წამოდგა იბრაჰიმი, გულჩამკვდარი. მიიხედ-მოიხედა. რაჯიდ-ბეგს მივარდა ყელში. შეიბრძოლენ. რაჯიდ-ბეგმა ჭკრა მოხუცს ხელი და პირ-აღმა გადააქცია. უბრძანა და მცველებს აცემინა. შემდეგ შეიპყრეს და ხელები გაუკრეს.

როდესაც შეპყრობილი მიჰყავდათ, შვილს უძახოდა:

— შვილო ქერბალაი! აქ არის შენი მტერი!

მაგრამ შვილს ნაცემი მამის ხმა აღარ ესმოდა.

სისხლის ლაქა

კრებიდან დაბრუნებულ ოვანესს ელდინო ეზოში შეეგება:

— მამი, რა ამბავია? — ჰკითხა ელდინომ.

— უბედურება! ეს შვილო, ორი წელია ჩვენთან ხარ და ორი ბედნიერი დღე არ გინახავს!

— ბრძოლა თუ საჭიროა, ჩვენც ვიბრძოლოთ!

— ვის წინააღმდეგ?

— ოსმალეთის და ყოველგვარ კონტრრევოლუციის!

— რუსეთი?

— რუსეთი ჩვენი ძმაა! იქ შენი შვილია, ჩემი ქმარი! იქ ჩემი ბიძაა! იმათი დროშა ჩვენი დროშაა!

— აი, ეგ არ ესმით ჩვენს მეთაურებს! ნეტა შენი ჭკუის ნატამალი ჰქონდეთ! ჩვენი ქვეყანა ასე გაუბედურებული არ იქნებოდა.

ეზოში რაჩე ძროხას სწველიდა და ანუშოს უყვიროდა:

— გოგო! ხბო ბოსტანში გადასულა, ნამყენს გააფუჭებს!

— ნამყენს გააფუჭებს! — ბოლმიანათ ჩაილაპარაკა ოვანესმა. კაცს თავს სჭრიდნენ და მუწუკს ჩიოდა... ეს! — და შემდეგ ოვანესმა ცოლს დაუყვირა:

— ადამიანო! რა დროს ხბოა. რა დროს ნამყენი? შეჰკარ ბარგი!

— ბარგი რისთვის? — შემკრთალი ეკითხებოდა რაჩე.

— უნდა გავიხიზნოთ!

რაჩეს ხელიდან ქილა დაუვარდა, ქმარს მიაჩერდა.

— ნუ გეშინიანთ! მე ისე ვამბობ... სიფრთხილეს თავი არ ასტკივა! — ამშვიდებდა ისევ ოვანესი და განაგრძობდა:

— ოსმალებს ლორი და ბამბაკი აუღიათ... თუ კიდევ წინ წამოიწიეს... თუნდაც ჯარმა ჩვენ არაფერი დაგვიშავოს, მეზობელი თურქები ითარეშებენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუშომ ჩუმად ჩაიქვითინა.

მამამ შეუტია და უთხრა:

— მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ფრთხილად ვიყოთ!

— ჩუმად შვილო, ჩუმად! ნუ სტირი! — ანუგეშებდა დედა.

ოვანესმა ატირებული ანუშო გულში ჩაიკრა და ამბობდა:

— შენს თავს არავის დავანებებ! წახვალთ მთებში! შემდეგ სხვა ცხოვრება იქნება! აღარ იქნება ერთმანეთზე მისევა, მტრობა და შური!

ოვანესმა ზეცას შეხედა, ააპყრო ხელი და ხმამაღლა დაიძახა:

— ღმერთო, რად გვსჯი? ვის რა დავუშავეთ? თუ გაქვს სამართალი, რატომ ჩვენ მოგვისპე უფლება ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობს ყოველი უბრალო მწერი?? ნუთუ სომეხი მიტომ გააჩინე, რომ მისი სისხლით ირწყებოდეს დედამიწა? არ გაქვს სამართალი. არა!

ბავშვს შეეშინდა და ატირდა. ელდინომ დააჩუმა.

— გაჩერდი ანუშ: ჩვენ ხომ შენთან ვართ, რა გაშინებს? შემდეგ უბიდან ამოიღო წერილი:

— მამი აი, წერილი! ერვანდისაგან მივიღე.

— ერვანდიც გელასთან არის!!! მატყობინებს, მალე გნახავთო, ჩვენ რომ აქამდე მათი ამბავი არ ვიცოდით, თურმე წითელ ჯარში ყოფილა... ათასეულს გელა მეთაურობს...

— არა უშავს-რა... არა უშავს-რა... კარგია... მაგრამ არ ვიცი, რას იზავენ!

ამ დროს სოფლის ბოლოში ასტყდა წივილი და გადაღმა ხევი ხმაურს აძლევდა.

იძახოდნენ:

— გვიშველეთ! გვიშველეთ!

ოვანესს ჰსურდა გაეგო, თუ რა ხდებოდა სოფელში. ანუშოს უთხრა:

— ანუშ! აბა ბანზე ადი. მაღლობიდან გადაჰხედე, შენ თვალი კარგად გიჭრის, რა ჰხდება გაღმა?

ანუშო ბანზე ავიდა. ოვანესის გული სცემდა. ელოდებოდა გულუბრყვილო ბავშვი რას შეატყობინებდა. ბავშვი აცახცახდა.

— რას ჰხედავ, შვილო!?

— მამი! მამი! იქ ცეცხლი ედება სახლებს!

— ცეცხლი? ეგ არაფერია, იქნებ შემთხვევით წაეკიდა! სხვა რას ამჩნევ?

— მამი! ხალხი გამორბის... უკან... ვიღაც იარაღიანი, უცხოები...

— ნუ გინდა, შვილო, ნუ უცქერ! ჩამოდი დაბლა.

— მოსდევენ! ხოცავენ! სთქვა ანუშომ და აკივლებული მამისკენ გამოექანა.

ოვანესს სახე მოეღრუბლა. აჩქროლებული გრძნობით შემკრთალმა წარმოსთქვა:

— ნუ თუ დაიწყეს? ნუთუ შემოგვესივნენ? გარემოებით სარგებლობენ ველურები?..

— ჩქარა ტყისკენ — მთაში!

შეშინებული და დამფრთხალი ხალხი ოვანესის ეზოს მოაწყდა.

სოფელს მეზობელი თურქები დასცემოდენ რაჯიდ-ბეგის მეთაურობით.

მისი რაზმელები მცხოვრებლებს არბევდნენ და ჰხოცავდნენ.

არ იყო შებრალება არც დიდის, არც პატარის.

ხალხი ოვანესს გარს შემოეხვია, თითქოს ეს ჭაღარა რამე ძალას წარმოადგენდა.

— გვიშველე! გვიშველე!

ტიროდნენ და წიოდნენ.

ოვანესი გაჩერებულიყო და სანუგეშებელი სიტყვა ვერ მოეძებნა.

— შვილებო! უძლური ვარ თქვენს საშველად! წადით მთაში! წადით ტყეში!

მეზობლები წივილ-კივილით აქეთ-იქით გარბოდენ. ზოგი შვილის სახელს იძახოდა, ზოგი ძმის და მშობლის.

ოვანესი მარტო დარჩა ყავარჯენ დაყრდნობილი.

დამუნჯებული მიწას ჩასცქეროდა, რადგან ცის მიმართ იგი დიდიხანია გამწყრალი იყო. როცა აიხედა, თვის წინ დაინახა საბრალო გიქორ. იგი კანკალებდა. ჰსურდა რაღაც ეთქვა მაგრამ ვერ ახერხებდა — ენა ჩავარდნოდა.

— გიქორ: რა დაგემართა?

— მოდიან: — ძლივს წაილუღლუღა — მოდიან... წადით! თავს უშველეთ!

— შენ ჩემს ოჯახს უფრთხილდები, გიქორ? ეს, საბრალო, გიქორ!

ოვანესი დადუმდა. ფიქრს მიეცა. ის ხალხს ურჩევდა, გახიზნულიყვნენ მთაში:

— მაგრამ განა ნადირი მთაში კი ვერ მიაგნებს? ო, ხალხო უბედურო! ო, შვილებო! შვილებო!

ამ დროს სახლიდან გამზადებულები გამოვიდნენ რაჩე, ანუშ, და ელდინო. რაჩეს გამომცხვარი პური ბოხჩაში გაეხვია. გიქორიც მათ აედევნა უფრო იმ მოსაზრებით, რომ პატრონობა გაეწია.

— მამი, გიცდი! წავიდეთ!

ოვანესმა შეხედა ელდინოს:

— შვილო, რაჩეს გაჰყე! იმან იცის ბილიკები! არა ერთხელ შევფარებივარ მიუვალ მთას, სადაც ჩვენი ნათესავები ცხოვრობენ.

— შენ-ღა?

— მე?!! ჩემი ბებერი ძვლები მე თვითონ მომძულებია, მტერს რა შავ ქვად უნდა?

ოვანესს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ რაჩე და ანუშო გულგახეთქილები უკანვე შემობრუნდნენ.

— მოგვდევენ... აქეთ მორბიან!

ანუშო შეშებში დამალეს და ზევიდან სხვა ფიჩხიც დააყარეს. რაჩე გიჟივით ხან სახლში შევარდებოდა, ხან ისევ გამოვარდებოდა, თითქოს

რალაცას ეძებდა, მაგრამ არაფერი გაეგებოდა. ბოლოს ცულს ხელი წაძოავლო... ელდინო წინასწარ ერვანდის რევოლვრით შეიარაღებულიყო. გაამზადა რევოლვერი და სახლის წინ სვეტს ამოეფარა.

ელდინომ დაინახა, რომ ეზოში ხმალ ამოწვდილები შემოცვივდნენ ასკერები (ისინი ტყვიას აღარ ჰხარჯავდნენ, რადგან ტყვიას უფრთხილდებოდნენ), ხოლო ეზოს ცხენდაცხენ მოადგა მათი ბელადი რაჯიდ-ბეგი.

რაჯიდ-ბეგი ასკერებს ამხნევებდა.

— დახოცეთ, თუ გინდა მიიღოთ მაჰმადის ლოცვა!

— ქერბალაი! ამ სახლში ჩვენი დაუძინებელი მტერია... ყველაფერი მიწასთან!..

ოვანესმა ყავარჯენი გადააგდო და შებღავლა; მის ხმაში შეერთებული იყო ბრაზი და მუქარა. შიში სიკვდილის წინაშე ოჯახის წევრების მიმართ.

— რა გინდათ? რას გვერჩით? აი, ყავარჯენიც კი გადავაგდე!

— შენ ხარ მუსულმანის დაუძინებელი მტერი...

— ჩემი მტრობა არსად გაგონილა!

— შენ გინდა წითლები შემოვიდეს! ვიცით, შენი შვილი იმათ ჯარშია... ის მოუძღვის, მოდის, რომ ჩვენი სისხლი დალიოს...

— ის მშრომელ ხალხის საშველად მოდის!.. მაგრამ ვინც მეზობლებს შორის მტრობას სთესავს, ვინც აქეზებს მაჰმადის თუ ქრისტეს სახელით... მუსულმანია ის, სომეხი, თუ ქართველი... ის არის საერთო მტერი! რად გწყურიან სისხლი? ჩვენ შორის ძმური კავშირი იქნებოდა, მაგრამ შენ... შენ სთესავ მტრობას... სომხის და თურქის მუშას სამტრო არაფერი აქვს.

— მოჰკალით ეგ ძაღლი! — უბრძანა რაჯიდ-ბეგმა.

აქ მოხდა რაჯიდ-ბეგისთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი: როდესაც ის ბრძანებდა: დასწვით, დახოცეთო, მას აუმხედრდა ქერბალაი-რიზა და შეუძახა!

— არ გაბედოთ! ვესვრი, ვინც ამ უიარაღო ხალხის სისხლს დაღვრის!

რაჯიდ-ბეგი სახტად დარჩა, რომელზედაც უფრო მეტ იმედს ამყარებდა, მან ულალატა და „მტრებს“ იცავდა. უნდოდა თავის ხელით გაეგმირა მისთვის გული ასეთ გადადგომისათვის. კიდეც მოიმარჯვა თოფი. შეუძახა: „უჯიშო“, მაგრამ ამ დროს გავარდა ელდინოს მაუზერი. რაჯიდ-ბეგს თოფი დაუვარდა. გულზე ხელი იტაცა. შეტორტმანდა და ცხენიდან მიწაზე გაიშხლართა, ცხენი დაფრთხა. ასკერები დაიბნენ. აქეთ-იქით გაიფანტნენ, ჩასაფრდნენ, იწყეს უმიზნოდ სროლა. ელდინო იძახოდა:

— ჯარისკაცებო, ბელადი მოვკალ! თქვენ არას გერჩით.

ტყვია წივილით მოდიოდა. ელდინო სახლში შევარდა და იქიდან კიდევ გამოსძახა:

— ჯარისკაცებო, მე თქვენი ბელადი მოვკალ ჩვენი სისხლის მსმელი, თქვენ არაფერს გერჩით!

სახლს ალყა შემოარტყეს და უკანიდან ხის შენობას ცეცხლი წაუკიდეს.

ელდინო ცეცხლში დაიწვებოდა, მაგრამ იდროვა და ბოლო სხვენიდან ხეზე გადავიდა, შემდეგ ბალჩაში გადახტა.

— შესდექ! — შეუძახა ქერბალაიმ, რომელიც იქვე ბაღში ხესთან იდგა და გაურკვეველ ფიქრს მისცემოდა.

— ქალი ხარ! მტრულად არ მოგექცევი! — გაუმეორა ქერბალაიმ. ელდინოს შეეძლო მაუზერით ქერბალაიც იქვე მოეკლა, მაგრამ შეჩერდა, იქნებ იმ მოსაზრებით, რომ არ უნდოდა უბრალო ჯარისკაცის სისხლი დაექცია. ელდინომ უთხრა:

— შენ არას გერჩი! უბრალო ჯარისკაცი ხარ.

— არც მე გერჩი!

— მაშ ჩამომეცალე!

— კიზი, შეგიპყრობენ! კიზი შეჩერდი!

— ჩამომეცალე, რა გინდა ჩემგან?

— მტრობა არ მინდა!

— ჩამომეცალე, ბელადი ველარ გიბრძანებს!

— კიზი, შეგიპყრობენ, მოგკლავენ! ასკერები შეგიპყრობენ...

— მომკლან! არ დაგნებდები!

— დამიჯერე, მტრობა არ მინდა, კიზი!

— შენ ბრმა იარაღი ხარ!

— ძალას იხმარენ, კიზი! წამოდი ჩემთან... ჩქარა ჩემთან! მოეფარე! მოეფარე...

— არა, არ დაგნებდები!

ქერბალაის ელდინოს ხსნა უნდოდა, ჰსურდა გაეტაცნა ასკერებიდან მოშორებით. მაგრამ ელდინო არ ნებდებოდა. ბოლოს ქერბალაიმ იხელთა და რევოლვერი წაართვა. ელდინომ ეს სხვანაირად მიიღო. უცბად ქერბალაის ხანჯალი ამოსტაცა და გულში დაიცა.

ქერბალაის ხელები ქალის სისხლით შეიღება. გამწარებული კბილებს აღრჭენდა; ქალი რატომ არ მიენდო, მას ხომ კეთილი სურვილი ჰქონდა. მას ხომ ელდინოს ხსნა უნდოდა. და თუ საჭირო შეიქნებოდა თავის ამხანაგებს თვით შეებრძოლებოდა. ელდინო კვდებოდა და ძლივს ღა ამბობდა.

— დედა! დედა, მიშველე!

— კიზი! გადაგარჩენდი! რად ჰქენ, კიზი!

ქერბალაიმ გვამი დაბლა დაუშვა.

ელდინოს თვალები მას უცქეროდნენ.

— მოკვდა! მაინც მიცქერს. მე არ მინდოდა შენი სიკვდილი, კიზი! არ შემიძლიან! დახუჭე თვალები, კიზი!

ქერბალაი უაზროდ დასცქეროდა ელდინოს. ფიქრმა წაიღო.

კარგა ხანია საყვირის ხმა ისმოდა. ეს არ იყო უბრალო ნიშანი. ამ საყვირის ხმაზე ასკერები სოფლიდან უცბად გაიკრიფნენ. ტყეს შეეფარნენ.

ქერბალაი ისევ ელდინოს გვამთან იჯდა და სახე ხელებში ჩაემალა. ხმა შემოესმა, ასკერი უძახოდა.

— აჩქარდი, ქერბლაი, აჩქარდი! გზები მოუჭრიან! წითლების მოწინავე რაზმი შემოსულა! აჩქარდი!

ასკერი ელდინოს გვამს დააცქერდა და ყელზე მძივი შენიშნა.

ქერბალაიმ თვალი ჩეასწრო, რომ ასკერი ელდინოს მძივს აცლიდა.

— ისმაილ! გაუშვი ხელი!

— რას ამბობ, ქერბალაი! მძივია!

— გაუშვი, მკვდარს სცარცვავ, ძაღლო.

ასკერმა მძივი გაიტაცა. ქერბალაიმ ასკერს ესროლა, მოჰკლა და მძივი ააცალა.

იმ ღამეს სოფელში ძაღლებს პირი ცისკენ აეშვირათ და გულშემზარავად ყმუოდნენ.

ჭკვიანი პირუტყვები ადამიანის მხეცურს ნამოქმედარს დასტიროდნენ, თითქოს კაცს ამხელდნენ!

ახალი გარიჟრაჟი იყო. მზის პირველ სხივებს არარატის მწვერვალისთვის სისხლი გადაექცია. მთის დაბლა თეთრი ღრუბელი ადამიანის მსგავსად ამოხრილიყო, თითქოს რომელიღაც ბიბლიური ჭალარა სომხეთს დასტიროდა.

დამწვარ ბინასთან, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა, წითელარმიელი შეჩერდა.

ეს იყო ერვანდი.

ნაბიჯი წინ ველარ გადმოედგა.

მუხლები ეკვეთებოდა.

— მამა! — ხმას არავინ სცემდა.

— დედა! — ასევე იყო მკვდრული სიჩუმე.

დაინახა შეშების გვერდით თავის ძაღლი და ისიც ადგილიდან არ იძვროდა. ჩაცუცქებული ყმუოდა და ერვანდის გულს შუა აპობდა.

გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, ნახა დახოცილი მწყობლები და თვალთ დაუბნელდა, სიტყვა ვერ სთქვა და მხოლოდ კვნესა ამოხდა.

— ელდინო! ელდინო! ელდინო! — იძახდა ერვანდი.

ძაღლი მაშინ-ღა წამოდგა, დამწვარ სახლს მოუარა და ბაღჩაში დაიწყო ყმუილი.

ერვანდი ძაღლისკენ გაექანა.

ნახა გულაღმა გადაქცეული ელდინო.

წაბარბაცდა და მიწაზე დაეცა.

— ვისი ხელი იყო ასეთი დაუნდობელი!

ანუშომ იცნო ერვანდის ხმა და შეშებში ხმა-მაღლა ტირილი დაიწყო.

წამოვარდა ერვანდი. ფიჩხი გადმოყარა და ანუშო გაანთავისუფლა.

ერვანდიმ გოგონა გულში ჩაიკრა.

შემდეგ ისევ ელდინოს გვამს დაუბრუნდა.

— შენს სახეს სიკვდილი ჰფარავს... ჩემო ელდინო! შენი გული გაციებულია. ვინ იყო მტარვალი? ნუთუ მას არაოდეს ჰყვარებია?

ამ დროს სოფელში შემოვიდა წითელი ჯარის ნაწილი.

ამ ნაწილის კამანდირი იყო გელა.

ეზოში მოგროვდენ გადამალული მეზობლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეზობლებო! ადამიანი მხეცად ქცეულა! გული უგრძნობ ლოდად!

წითელმა ჯარმა დამწვარ სახლის უკან გაიარა, წითელი დროშებით. გელას ერვანდი გვამით შეხვდა.

— გელა! ელდინო სალამს ვეღარ გაძლევს! დამჭკნარა მშვენიერება! როდესაც ბასიკო გვაცილებდა, მითხრა: ჩემს ელდინოს შენ გაბარებო და, აი, როგორ გავუფრთხილდი!

გელა შუბლშეკრული, უკმეხი უსიტყვოდ იდგა.

ერვანდემ ელდინოს გვამი აიტაცა და ატირებულის ხმით სთქვა:

— ელდინო ჩემო! ქვეყანას შევძრავ და ვუამბობ საზარელ ამბავს! იქ ყოველ მამას, ყოველ დედას ავატირებ ჩემის ცრემლებით. ვინც კი მოისმენს, როგორ არ უნდა გარდაიქმნას ადამიანად?

— არა ნუგეში და არც ცრემლი! — სთქვა გელამ — დაე ამძლავრდეს ბოლმა, ამძლავრდეს რისხვა. წინ, საბჭოთა უფლებისთვის და ვაი ხალხის მტრებს!

ახალი ერა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რამდენიმე წელმა გაიარა.

ქერბალაის პირველ ხანებში ბოლშევიკის სახელს ვერ გააგონებდი.

რაჯიდ-ბეგმა ისე ჩააგონა, თითქოს ბოლშევიკი იყო რაღაც საშინელი არსება, ალლაჰისაგან დაწყევლილი და შაითანის ამხანაგი. თითქოს ბოლშევიკი ქვეყნად იმიტომ დადიოდა, რომ სომეხი მუსულმანის ბატონად „წამოესვა“.

თუ ქერბალაი შეეკითხებოდა, რატომ არის, რომ ბოლშევიკს ქართველიც ემხრობაო, რაჯიდ-ბეგი ასე განუმარტებდა:

— ქართველებიც მუსულმანების მტრები არიან, რადგან მათ მაჰომედი არ სწამთ! მუსულმანს მარტო მუსულმანი უნდა უყვარდეს და უფრო მეტად მაჰომედისაგან რჩეული ბეგები. ურჯულო ე. ი. გიაური უხდა მოკლას და მაჰომედის კურთხევა დაიმსახუროს. თუ ჩემი არ გჯერა, ალლაჰის წინაშე ცოდვას ნუ ჩაიდენ, წადი და ღვთის-კაცს, მოლლას, ჰკითხეო.

მოლლაც რაჯიდ-ბეგს კვერს დაუკრავდა და ეტყოდა:

— ყურანში სწერია და ყურანი ხომ მეშვიდე ზეცას არის დაწერილიო!

რაჯიდ-ბეგი უკვე მიწამ გამოხრა, მაგრამ ქერბალაის მისგან შთაგონებული ღრმად რძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.

საერთო ცხოვრების გარდატეხასთან ერთად, გარდატეხა ხდებოდა ქერბალაის ბუნებაშიაც, მაგრამ ძალიან მძიმედ.

არ ასვენებდა ერთი აზრი: წავიდნენ. დაარბიეს. დახოცეს. იქ ოაჯიდ-ბეგიც მოჰკლეს. მერე? ვინ რა შეიმატა? ლარიბი ქერბალაი ლარიბად დარჩა და მხოლოდ გულის წუხილი მოემატა, რომ [illegible] სიცოცხლეს გამოესალმა ლეილას მსგავსი ლამაზი ქალ[illegible] მუდამ ახსოვდა და მის მომაკვდავ თვალებს ველარ ივიწყებდა.

ერთხელ ქერბალაი კრებას დაესწრო.

პირველი შემთხვევა იყო და ძალიან განცვიფრებაში მოდიოდა, რომ ბოლშევიკი თათრულად, მისთვის გასაგებ ენაზე, ლაპარაკობდა.

— ვინ არის? — იკითხა ქერბალაიმ.

— მუსულმანი!

— ბოლშევიკი, მუსულმანი? განა ეგ შეიძლება? აკი მოლამ სთქვა რჯული ნებას არ გვაძლევს, რომ ბოლშევიკები ვიყოთო? ნუთუ ეს შეიძლება? — ეკითხებოდა თავის ნაცნობებს.

უფრო საკვირველებად ის დარჩა, რომ ამ კრებაზე პირველად გაიგო: მაჰომედი ჩვენსავით კაცი იყო.

— მაჰომედი? განა ღმერთის წინასწარმეტყველი კაცი ყოფილა? მაშ მოლა მატყუებდა?

წარმოიდგინე ყურანიც კაცის ხელით ყოფილა დაწერილი, აბუ-ბექარისგან, მაჰომედის სიმამრისგან! და არა მეშვიდე ცაში!

— აი, შაითან! ნუთუ ეს მართალია? მაშ მე მატყუებდნენ? მე ბრმა იარაღი ვიყავ? მე ძაღლი ვიყავ და მისევდნენ: დაგლიჯე, დაცოფე, შეჭამეო! საწყალი კიზი! არა, საწყალი შენ ხარ ქერბალაი! ის მკვდარია! არ ესმის! შენ ცოცხალი ხარ და იტანჯები!

ქერბალაი იმ დღესვე მოლას მიეჭრა და ჰკითხა:

— ვინ იყო მაჰომედი?

მოლამ შეატყო რაღაც აღელვება და უნდოდა პასუხი შორიდან დაეწყო.

— არა, მოკლედ! ვინ იყო მაჰომედი?

— ღმერთის წინასწარმეტყველი!

— მაშ ღმერთის წინასწარმეტყველს სიმამრი ჰყავდა აბუ-ბექარი? ყურანიც იმან დაუწერა?

მოლამ აჰხედა ქერბალაის და აღარაფერი უთხრა.

— მაჰომედი ისეთივე კაცი ყოფილა, როგორიც მე ვარ. იმას ომები ჰქონია, ხალხიც დაუხოცავს და ახლობლებიც. ცოლებიც ჰყოლია და ვინ იცის, იქნებ მძლავრიც იყო და სხვასაც ართმევდა. იმისი აზრები აბუ-ბექარს — მის სიმამრს — შეუკრებია! იმას ეძახი წმინდა ყურანს, შეუცდომელს, ღვთის სიტყვას, მეშვიდე ზეცას დაწერილს?

— ის არის წიგნი ღვთაებრივი!

— საიდგან ღვთაებრივი? მაჰომედი თუ კაცი იყო, კაცი ჭკვიანურსაც იტყვის, სულელურსაც! გუშინ კარგი, დღეს ცუდია. გუშინ ვსთქვი: ყაჩაღად წავალ, დღეს ვამბობ: ცუდია ყაჩაღობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლას უნდოდა ქერბალაი თავიდან მოეცილებინა, მაგრამ ქერბალაი არ შორდებოდა.

ამოიღო ჯიბიდან მძივი და მოლას უჩვენა:

— შენ იცი, რომ მე ეს მძივი არ მასვენებს? შენ იცი, რომ ვისაც ეს მძივი ჰქონდა, ის მოკვდა?

— მერე ვინ მოჰკლა?

— შენ! შენ ამბობდი, სომეხი მოჰკალ, სამოთხეში ჯილდო იქნებაო! შენ სთქვი, ყურანი ასე ამბობსო! ის არის წმინდა ყურანი? მიჩვენე, სად სწერია ყურანში??

მოლამ წასვლა დააპირა.

ქერბალაიმ კალთაში სტაცა ხელი და შეუყვირა:

— მიჩვენე, სად სწერია?

— შენ მაგით ალლაჰს სცოდავ!

— მიჩვენე-მეთქი!

— შენ შაითანს გაუგიჟებიხარ და ბოლშევიკების კერძი გამხდარხარ. — უთხრა ხმის აწევით მოლამ.

— მაშ მატყუებდი?!!... აი, ყალთაბანდ! დონლუზ!

ქერბალაიმ მოლას დაავლო ხელი და მეჩეთის მარმარილოს კიბიდან დააგორა.

გაიარა კიდევ რამდენიმე წელმა და ამიერკავკასია საამშენებლო ფერხულში ჩაება.

მფრინავი ლოზუნგები: ინდუსტრიალიზაციის გზით სოციალიზმისაკენ! სოფლის მეურნეობის გარდაქმნა კოლექტივიზაციის საფუძველზე! დავეწიოთ და გავუსწროთ! ხუთწლედი ოთხს წელში! — ამხნევებდა მშრომელ მასას.

ხუთწლიანმა გეგმამ არც ერთი კუთხე არ დასტოვა. არც დაწინაურებული და რაც ჩამორჩენილი, ყველგან შეიჭრა და ყველა აამოძრავა.

ჩქარის ტემპით შენდებოდა ქარხნები და ელექტრო-სადგურები. იბურღებოდა მთები და ითხრებოდა მინდვრები სარწყავ არხების გასაყვანად.

ერთი ისეთი არხიც გაჰყავდათ, სადაც მუშაობდა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკის კოლლექტივებიდან ორ-ორი მუშა-წარმოადგენელი. შეგროვდა სამიათასი გლეხი-მუშა, რომლებსაც მშენებლობაში ხელმძღვანელობდნენ ყველა ეროვნების სპეცი ინჟენრები და ტექნიკოსები.

ამ არხზე სამივე რესპუბლიკის საზღვრებთან შენდებოდა უდიდესი „ელექტრო ცენტრალი“, რომლის ძალა, გასანათებლად თუ ფაბრიკა-ქარხნებში სახმარებლად, ეყოფოდა მთელს ამიერ-კავკასიას.

ამ სადგურის ირგვლივ ერთს თვეში გაშენდა ქალაქი — ეს იყო მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინები.

აქ მუშაობდნენ გელა, ერვანდი და ბასიკო; ჭალარა ბასიკოს ასი მუშა მიწისმთხრელი ებარა.

ანუშო მასწავლებლობდა და მეხუთე ჯგუფში მუშის ბავშვებს ასწავლიდა.

მშენებლობის გამგე დირექტორი საქმეთა მმართველს საიდუმლოდ ელაპარაკებოდა და თან აქეთ-იქით იცქირებოდა, ვინ ხომ არავინ გვიგდებსო.

— ... და შენ წარმოგიდგენია, ეს გრანდიოზული საქმე გამარჯვებით დამთავრდეს — მაშინ ნაკლები იმედი ევროპიდან! ჩვენს ილუზიებს უნდა გამოვეთხოვოთ! მშენებლობა არის ფუძე, რომელზედაც მკვიდრად მყარდება საბჭოთა მომავალი. სამს ეროვნებას შეაკავშირებს უფრო მეტად, ვიდრე დღეს არის, როდესაც მის ნაყოფს მოიმკიან... ჩვენის ხელით ყელს გამოვიჭრით... მოვისპობთ იმ საშუალებას, რომლით ვიმედობდით რესტავრაციას... ამიტომ... მათ ვერ უნდა ნახონ გამარჯვება...

— წინად თუ ერთგულად ვმუშაობდით? ახლა რა მოხდა? — ეკითხებოდა დალეული ტანის, დაბალი, ქერა საქმის მძართველი.

— წინად იმედი იყო, ბოლშევიკები დაემხობოდნენ და ამ მშენებლობას სხვა პატრონი გამოუჩნდებოდა!

— დღეს რა არის საჭირო? — ეკითხებოდა საქმის მმართველი.

— განა ეს შენ თვითონ არ უნდა გესმოდეს?

— აგენტები ერთგულად მუშაობენ...

— მერე ნაყოფი? ნაყოფი რომ არ სჩანს?

— ცემენტის ნაცვლად ნაცრისფერი მიწა მივეცით.

— ის მიწა ერვანდიმ არ მიიღო.

— საძირკვლისთვის 15 მეტრის მაგიერ, 10 მეტრის გეგმა მივეც...

— მაგრამ გელამ მუშებს იქამდე ათხრევინა, სანამ ქვის ნიადაგს დაადგებოდნენ...

— მაშ მაგ ხალხთან ბრძოლა შეუძლებელი ყოფილა!

— არა!!! მისმინე! ბრძოლა შესაძლებელია, მაგრამ სხვა მეთოდებით. პირველი: „სადგური ცენტრალი“ ვისია, ან ვისთვის შენდება!

— მესმის!

— მეორე: დაწინაურებულ მუშების პრესტიჟი უნდა დაეცეს!

— გელას, ერვანდის და იმ „ვერზილას“ ე. ი. ქერბალაის, მუშებში დიდი სიყვარული აქვთ! მათი პრესტიჟი...

— ნუ მაწყვეტინებ!

— ბოდიში!

— მესამე: Divida et impera! უნდა ისეთი შუღლის ვაშლი გამონახო, რომ მეთაურები ერთმანეთს შეაჯახო... და მეოთხე: უნდა შეაჯახო ის მუშებიც, რომლებიც სოფლიდან მოვიდნენ.

— როგორ? მე ვერ წარმომიდგენია!

— წარმოიდგინე, ვითომც თითოეული მათგანი თავის კუთხის მუშას უპირატესობას აძლევს... სხვას ლუკმას სტაცებს... აქ საჭიროა ერთისთვის შეექმნას ხელოვნური კრიზისი! მეორისთვის მარაგის გულუხვობა! ერთისთვის აუტანელი მუშაობა, მეორესთვის შელავათი! სამი რესპუბლიკის

სამიათასს მუშას ისეთი პირობები უნდა შეექმნას, რომ ერთმანეთს არ ინდობდნენ, ან და დასტოვონ მუშაობა!

— მესმის!..

ამ დროს გამგეს კიდევ რალაც უნდა ეთქვა, რომ კაბინეტში შემოვიდა ერვანდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგემ ლაპარაკი შეატრიალა, თან ყურადღება, ერვანდისკენ ჰქონდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა.

— დიახ, საქმე წარმატებით წავა... — ამბობდა გამგე — მე ვერ წარმომიდგენია, ზოგიერთს სპეცს რამდენად ვიწრო ჭკუა უნდა ჰქონდეს, რომ მავნებლობაში იჭერენ! ნუთუ მათ ურჩევნიათ ძველი რეჟიმი? სასაცილოა, სამსონ! კომუნისტები დიაგნოზის დასმაში არ სცდებიან.

გამგე კვლავ ერვანდის გადახედავდა, ყურს მიგდებს, თუ არაო! ხმამაღლა ლაპარაკობდა.

— რამდენადაც წინ მიდის საბჭოთა კავშირი სოციალიზმისაკენ, მასიმდენად გამძაფრებით ებრძვის საერთაშორისო ბურჟუაზია და შიგნითაც რაზმავს წალეკილ კლასის ნაშთებს. ჩემის აზრით, ასეთს პასუხსაგებ მომენტში აღარც ერთი ნეიტრალური! აღარც ერთი აპოლიტიური! ყველა ერთს ფრონტზე საბჭოთა ხელისუფლებასთან!

ერვანდიმ ალმაცერად შეჰხედა „პატივცემულ“ გამგეს, მუდამ მასზე ეჭვი ჰქონდა და უხეშად ჰკითხა:

— მაგრამ ცემენტის ნაცვლად უბრალო ნაცრისფერი მიწა?

— მეც მანდ ვარ! დიახ! დიახ! პასუხი მოეთხოვოს ცემენტის ქარხანას!

— ეგ მას შემდეგ მოხდა, — სთქვა ირონიით საქმის მწარმოებელმა, — რაცხან იმ ქარხანაში წითელ დირექტორად „წამოწეული“ მუშა დანიშნეს...

— შეიძლება ის მუშაც შეცდომაში შეიყვანეს, წინასწარ განზრახვითხდება მაგნაირი რამ საზიზღრობა, რომელსაც ჰქვია მავნებლობა! — ერვანდის გულის მოსაგებად ამბობდა გამგე.

— ჩვენს მიზანს მაინც მივახწევთ! — სთქვა ერვანდიმ და საქმის მართველს ახლად მოსულ მუშების სია მოსთხოვა.

— სიას ვერ მოგცემ! — უთხრა საქმის მწარმოებელმა.

— რატომ?

— უფროსმა ინჟენერმა სურვილი გამოსთქვა, გელას გარდავცე, რადგან თურმე გელამ უკეთ იცის: ვინ სად ამუშავოს და ვის რა სამუშაო მიანდოს!! დიახ! ეს არ ნიშნავს ჩამოყენებას.

— მართალია! გელა უკეთესად შეასრულებს!

როდესაც ერვანდი გავიდა, საქმის მართველმა ჩაიხითხითა:

— ჩავაწვეთე!

გამგემ ბეჭებზე ხელი დაჰკრა:

— ევროპა დაგიფასებს!

— მაგათ მე თავბრუს დავხვევ... ხი, ხი, ხი!

ბასიკოს ასეულში მუშაობდა ახალგაზრდა ადერბეიჯანელი ქერბალაი, რომელიც საქმის მწარმოებელმა „ვერზილად“ მონათლა.

ქერბალაის ეტყობოდა, ახლად შესულიყო კოლექტივში და კამათის დროს ბევრი რამ მისთვის ახალი გაგება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაფრივ, ის იყო ცოცხალი, დაფიქრებული ადამიანი. და, რაც შეეხება „ვერზილობას“, ესეც სიცრუე იყო. ვერზილად საქმის მწარმოებელს მიტომ ეჩვენებოდა, რომ თვითონ იგი დალეული და კუსპარა იყო. მუცელიც უშნოდ ჰქონდა გადმობერილი.

სწორე პირისახე, გაშლილი შუბლი, მსხვილი შავი და ცეცხლის მფრქვევი თვალები, ახლად აშლილი ულვაში და, როცა გაიღიმებდა, ელვასავით გაანათებდნენ მისი მწყობრი და დაუზიანებელი კბილები. წელი წვრილი და მხარბეჭიანი — აი, როგორი იყო ქერბალაი?

ქერბალაი ძია-ბასიკომ თავის ასეულში სხვა ნაწილიდან უკანასკნელ დროს გადმოიყვანა, რადგან მას იცნობდა, როგორც იბრაჰიმთან ერთად მწყემსად ნამყოფს. ბასიკომ თათრული ენა კარგად იცოდა.

ძია-ბასიკოსაც ძალიან მოსწონდა გამრჯელი ქერბალაი, შვილივით დაიახლოვა.

ქერბალაიმაც გული მიანდო და თავის გაჭირვებას თუ სიხარულს, პირველად ბასიკოს უამბობდა.

ბასიკო მუშაობის დროს ეტყოდა ხოლმე:

— ქერბალაი, მე რომ შენი წლოვანება და შენი ჯანი მომცა, კიდევ ბევრს რამეს შევესწრებოდი! აი, გული მერჩის და მინდა ეს ლოდი მარტო მე ავწიო, ფეხში მოგაშოროთ, მაგრამ ჯანი რომ აღარ მომდევს!

ბასიკო მუშებს საქმის გასაკეთებლად იმნაირ სიტყვით გაამხნევებდა და წაახალისებდა, რომ ახალგაზრდები ერთმანეთს ეცილებოდნენ.

— შენ ლოდი რად უნდა გადააგდო, ძია-ბასიკო, აი, მე... ქერბალაი უშველებელ ქვას დაავლებდა ხელს და სამს მეტრზე გადაისროდა.

— აი, ერთხელ მოლა ასე გადავისროლე და არ მოკვდა ის შაითანი!

— როგორ თუ მოლა გადაისროლე?

— ო, გული ძალიან მტკიოდა, ახლაც მტკივა... ჯავრი ვიყარე... ჩვენი მოლები? სულ უნდა მეჩეთიდან გადმოჰყარო... ერთხელ მე ვუთხარ: მიჩვენე, ყურანში სად სწერია, ქრისტიანი მოჰკალ, სამოთხეში ჯილდოთ ქალები იქნება! იმან არ მიჩვენა. მე „დონლუზ“ ვუწოდე და კიბეზე დავაგორე... აი, შაითან! ჩვენში რჯული მაგარია, თავში ჭკუა ნაგავია!

— აი, ეს თქვენთვის შენდება, თქვენი შვილებისთვის... ეტყოდა-ხოლმე ბასიკო!

— მე შვილი არ მყავს, ძია-ბასიკო!

— ხომ გეყოლება?!

— მე არც ცოლი მყავს!

— მაშ აჩენილი გეყოლება. ვინმე ლამაზი გოგო... ერთს შეირთავ, თუ ორს? მაჰმადი ნებას გაძლევს...

ლამაზის გახსენებაზე ქერბალაი მოიღრუბლა:

— მე მაჰმადი გადავაგდე. მაჰმადის რჯულმა ბევრი კაცი მოკლა... მაჰმადი მოლას უბრძანებდა, მოლა ბეგებს... ბეგები ჩვენ... ამშინ თავში ჭკუა არ იყო, რადგან რჯული მაგარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქერბალაი წერაქვს დაეყრდნო.

ბასიკოს უცბად უთხრა:

— ძია-ბასიკო, შენთან რომ ქალია, ძალიან ლამაზია!

— მოგწონს?

— არა, მე გითხარ, ლამაზია!

ქერბალაიმ წერაქვს დაჭკრა და ისევ ბასიკოს მიუბრუნდა:

— ძია-ბასიკო, ჩვენი „ბალამ-ბალამ“ მუშაობაში არ ვარგა, თქვენი „ოდელია“ კარგია, მუშაობა კარგად მოდის. უთხარ იმღერონ, ხალისი შეტი მოვა.

და გუგუნებდა მწყობრი სიმღერა.

შემოვიდა ანუშო.

ქერბალაი ანუშოსკენ გამოექანა და სალამი მისცა.

— ანუშ-კიზი! სალამ-ალეიქ! შენ რომ დამპირდი ანგარიშს გასწავლიო...

— დაგპირდი და შენ კი არ მოხველ!

— მე ვიცი არაბული, მაგრამ მინდა ქართული და სომხური. მე ბევრი ანგარიშიც მინდა! მე მინდა ქვეყნიერების ამბავიც. ბრძოლა როგორ იყო... ადამიანი როგორ იყო... მერე მდიდარი და ღარიბი როგორ იყო... სულ მინდა ვიცოდე... ღმერთიც მინდა ვიცოდე...

— შენ ხომ ჩემთან დადიოდი, რად შესწყვიტე?

— ჯილდო ვერ მოგიტანე, დამეხათრა...

— ჯილდო? ხა, ხა, ხა! ქერბალაი, ჩვენ უფასოდ ვასწავლით!

— ძალიან კარგი ადამიანი და ჭკვიანი ქალი ხარ! ვალლა, ჩვენი ქალები ასეთები არ არიან... ძალიან ბედნიერი ქალი ხარ. შენი ძმა ერვანდ ჩემი ძმაც არის... კარგებს ლაპარაკობს... ისეთი გული მაქვს, რომ სიყვარულით სავსე... მე მინდა, რომ ყველგან სიყვარული იყოს...

— ჩემს გულშიც სიყვარულია! — უთხრა ღიმილით ანუშომ.

— მართლა? ვისი სიყვარული?

— ყველა ძმასავით მიყვარს და შენც!

— მართლა? შენ ძალიან ჭკვიანი ქალი ხარ... და რომ შენთან თამამად ვისწავლო, მე საჩუქარს მოგცემ... ძვირფას საჩუქარს.

ქერბალაიმ უბიდან მძივი ამოიღო და ანუშოს გაუწოდა.

— აი, ეს კარგად მოგიხდება! აი, რა ძვირფასია! შენი ყელი უფრო ლამაზი გახდება...

— ქერბალაი, ეგ როგორ შეიძლება?

— ვიცოდი, შენგან უარი იყო! ბევრჯელ მინდოდა ფეშქეში ყოფილიყო, მაგრამ გული სულ ტოკავდა, ანუშო უარს იტყვის. ანუშოს მუსულმანი ეჯავრება...

— არა, ჩემთვის ყველა ამხანაგი ერთია!

— მხოლოდ ქერბალაი ცუდია... შენ ძალიან ნასწავლი, ჭკვიანი, ლამაზი... მე ცუდი მუსულმანი...

ანუშო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

იგი რამდენიმე თვეა, ამჩნევდა, რომ როდესაც ქერბალაი შეხვდებოდა, ყმაწვილი კაცი წითლდებოდა, პირს არიდებდა, მაგრამ თუ შეხედავდა, მსხვილ თვალებს შეანათებდა და თითქოს ეუბნებოდა:

— ანუშ, კარგი ხარ!

ქერბალაიმ უთხრა:

— იყოს ჩემი სახსოვარი და თუ ყელზე ატარებ, ქერბალაი შენთვის კარგი კაცია, თუ არ ატარებ, შენთვის ცუდი კაცი ვარ.

მაშინ არც სწავლა მინდა...

ანუშომ გამოართვა მძივი და კისერზე იმის თვალწინვე ჩამოიკიდა.

— მიხდება? — კეკლუცად ჰკითხა ანუშომ. მცირე ხანს თვალი თვალში გაუყარა, გადაიკისკისა და გაიქცა.

რა იცოდა ანუშომ, ერთ დროს ამ მძივს ვინ ატარებდა? ან რომ მის ყელზე ნახოს ერვანდიმ, ან გელამ, ნეტა თუ იცნობენ? და თუ იცნეს, რას იზავენ?

— ვალლა, ძალიან ჭკვიანი და ლამაზი კიზი ხარ...

ქერბალაი სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა.

ამბობდა:

— ჩემს თვალწინ ყელზე გაიკეთა... მე მისთვის კარგი ვარ.

შემოვიდა გელა და რამდენიმე მუშა შემოიყვანა:

— ამხანაგებო, ამ ნაწილს მიწის სათხრელი გაუფუჭდათ, აბა, დაუარეთ!

უფროსმა ოსტატმა თავისი ბრიგადა მანქანას მიუსია.

ბასიკო ამ დროს გვერდზე მიწის მთხრელებთან მუშაობდა და სხვასაც ამხნევებდა; ქერბალაი ბასიკოს ეუბნებოდა:

— ძია-ბასიკო, შენ ბევრი ჯაფა არ გინდა, ჩვენ ვიცით ჯეილებმა, შენ უფროსი და ჭალარა — ცოტა, ცოტა!

ბასიკო ნიჩაბით მიწას ჰყრიდა და თან სიმღერით ამბობდა:

— თუ მეთაური არ ცდილობს,
სხვას გული რალად შესტკივა!

დაინახა მოსული მუშები, რომლებიც მიწის სათხრელს შემოხვეოდნენ და გასძახა:

— აბა, თქვენ მაჯას ვენაცვალე! მაგ რკინის ტახს დინგი მოეშალა და ჩვენც დაგვაღონა, მაგ სატიალომ!

— ბასიკო, მაინც ყოჩაღად გიმუშავნიათ! — უთხრა გელამ.

— ჰოჰო! შენ რომ იცოდე, რა მგელი ბიჭები მყავს; პირდაპირ ბელტოს ჰყლაპავენ...

მუშებმა გამოარკვიეს, რომ მანქანა განგებ იყო გაფუჭებული ხელის შესაშლელად. გელა საგონებელში ჩავარდა. ჰგრძნობდა, რომ მათს მშე-

ნებლობაში ორგანიზაციულად ვილაც მოქმედებდა და მავნებლობას სჩადიოდა.

— სოცშეჯიბრი მანქანას! — იძახოდა რომელიღაც მუშა!

ქერბალაი ყველაზე აფრთოვანებული იყო, სულ იღიმებოდა. ბედად იყო ყველას გადაჰხვეოდა. თვალწინ ანუშო ედგა, რომელმაც ძმივი ყელზე დაიკიდა...

— ვალლა, თამამია! ვალლა, ჭკვიანია!

— სოცშეჯიბრი მანქანას! — იძახოდა რომელნმინმიენმიხენმენმიხაერ

— ვისზე ამბობ? — ჰკითხა ბასიკომ.

ქერბალაის შერცხვა.

— ჩვენზე! ყველაზე! გელაზე! ვალლა, მინდა, მეც გელა ვიყო... შენი ნათესავებიც ყველა კარგია... შენი შვილიც...

ბასიკო ოდნავ ჩაფიქრდა, შვილის და ნათესავების ხსენებამ ჭალარა ბასიკო დააღონა. შემდეგ თანდათან სახე მოეღრუბლა. მოგონებამ წაიღო და ამოითხარა.

— ძია-ბასიკო, აი, შენ ხანდახან ძალიან დარდი იცი! რა გაწუხებს?

და აქ ბასიკომ უამბო თავის ქალიშვილის — ელდინოს ამბავი. ქერბალაი ყურს უგდებდა. ხან ფიქრდებოდა და ხან ჟრუანტელი უვლიდა.

მოაგონდა, რომ ერთს დროს იმასაც სომხეთში ასეთ-დაგვარი ამბავი შეემთხვა; დაარბიეს სომხის ოჯახი და ქალი მისი მიზეზით მოიკლა. შეაკანკალა. ცივი ოფლი მოიწმინდა.

— შენი ქალი იმ დროს სომხეთში იყო? ერვანდის მეუღლე? აბა მიამბე, როგორი სახე ჰქონდა... როგორი თმა, როგორი თვალები?

ბასიკო ლაპარაკობდა. ქერბალაის ყველაფერი ენიშნებოდა და ეს ვაჟკაცი ჩაკვდა...

უცბად შეჰყვირა:

— რჯულის ბრალია!

წერაქვი გადააგდო, გიჟივით დარბოდა და იძახოდა:

შემდეგ ბასიკოსთან მივარდა. მკლავი დაუჭირა და უნდოდა ეკითხნა: მძივი ჰქონდა? — მაგრამ ხმა ჩაუწყდა.

ბასიკოს რომ ეთქვა ჰქონდაო, მერე? არა, ქერბალაის არ ჰსურდა ამის გაგონება.

— ძია ბასიკო, ავად ვარ, წავალ...

ქერბალაი თხრილზე დაემხო და იძახოდა:

— არა! ის ქალი სხვა იქნებოდა! სხვა... ოო, ჩემი თავი როგორ მეზიზღება! რაჯიდ-ბეგ! ერთხელ კიდევ რომ გასცოცხლდე, ჩემი ხელით მეორედ მოგკლავდი! შენ იყავ მაშინ ჩემი ბელადი... რჯული! რჯული!

დაემხო პირქვე და ხელით მიწას ფხოჭნიდა, გულში ფიქრობდა: — თუ მართლა ის არის, როგორ შევხედო ძია-ბასიკოს, ერვანდის... წავალ, გადავიკარგები, მაგრამ განა გული მოისვენებს? ო, მომკალით... — სთქვა და სიმწარისაგან კბილები გააღრაჭუნა.

ქერბალაი ერთმა მუსულმანმა მუშა-გლეხმა გამოარკვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადექ, საქმე მაქვს — უთხრა მოსულმა.

ქერბალაი წამოდგა და წაბარბაცდა...

— შენ აქ მოგწამლავენ! ჩქარა წავიდეთ!

— სად? — ჰკითხა ქერბალაიმ.

— ადერბეიჯანში!

— განა მე იქ კი მოვისვენებ? გული მტკივა, იუსუფ, გული!

— ჩვენი ხალხი ჭაობში ჩაყარეს; ამბობენ: სომხები გამუშავებენ... ქარხანაც, არხიც იმათია... იმათ თეთრი პური, ჩვენ ტალახი... იმათ ხორცი, ჩვენ არაფერი... ყველანი აჯანყდნენ და ბარგი შეჰკრეს.

— რას ამბობ? — ქერბალაის ყველაფერი ესმოდა, მაგრამ თავის ყურებს არ უჯერიდა.

— ჩვენი ცოლშვილი გაჭირვებული, აქ სომხის არხს ვაკეთებთ...

— შენში რჯული მაგარია, ტვინი ცოტა...

— შენ აქ მოგკლავენ!

— ღირსიც ვიქნები!..

— ეს ნამდვილად ვიცი, რომ ერთ ღამეს ყველას ყელებს დაგვჭრიან... გუშინ დურსუნ მოჰკლეს გვირაბთან... დღეს სომეხიც მოჰკლეს... ამალამ ყელებს დაგვჭრიან...

ამ დროს მოისმა გვირაბის აფეთქების გრიალი.

გვირაბის ასაფეთქებლად საქმის მწარმოებელს გულმოდგინედ ემუშავნა. უმალვე ხმა გავრცელდა, რომ გვირაბი მუსულმანებმა ააფეთქეს, რადგან იქ სომხები მუშაობდნენო.

— გესმის სროლის ხმა — სთქვა იუსუფმა. — ალბად ჩვენებს ესვრიან!

— არა ეგ სხვანაირი ხმა იყო...

იუსუფი დაბეჯითებით სთხოვდა ქერბალაის, რათა გასცლოდნენ ამ ადგილს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ყელებს დასჭრიდნენ.

— მე მართალს გეუბნები, ქერბალაი, მართალს. ვიცი, მითხრეს.

ქერბალაი შეფიქრიანდა. მიხვდა, რომ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი.

- ვინ გითხრა, იუსუფ! — ჰკითხა ქერბალაიმ.

— პატარა კაცმა! ის ჩემი კარგი ყონაღია!

პატარა კაცი იყო საქმის მწარმოებელი, რომელმაც იმ ხანად თხრილთან გაიარა და ბრაზობდა: ვინ გითხრათ მანქანა შეაკეთეთო?! ქერბალაიმ უცბად რაღაც მოისაზრა და საქმის მწარმოებელს გაეკიდა. ამოიღო რევოლვერი და გულზე მიადო.

— სიცოცხლე შეგრჩება, თუ მეტყვი, ვინც ტყუის

— რას მიედ-მოედები??

— შენ უთხარ, ქარხანა სომხების არის! შენ უთხარ, ყელებს დაგვჭრიან. შენ უთხარ, სომხებს თეთრი პური, მუსულმანს ტალახი... თუ სხვამ თქო, შენ არ მოკვდები. ჩქარა! მესამეზე გავარდება! ერთი... ორი... არავის ვეტყვი... ორი, ორი... ქერბალაი ითვლიდა და აყოვნებდა, რომ სამ-

ს ონს ხმა ამოეღო.

— გაჩერდი! — გაფითრებული და აკანკალებული ეუბნებოდა ქერბალაის.

— გავარდება! — ყვიროდა ქერბალაი.

— მოიცა.. სთქვა საქმის მწარმოებელმა. უკან დაიხია ქერბალაი არ ეშვებოდა. უყვიროდა: სთქვი, თორემ მოგკალ! სთქვი, შენ არ გაგცემ, სთქვი!

ყველა ნაწილიდან მუშა-გლეხები დაძრულიყვნენ, იყო ერთმანეთში ჩხუბი და დავიდარაბა.

ერვანდი სომხებს ამშვიდებდა, გელა ქართველებს, თათრებში ბასიკო ჩამდგარიყო და თავის დამტვრეულ თათრულით ელაპარაკებოდა.

შემოვარდა ქერბალაი. თან კუსპარა საქმის მწარმოებელს მოათრევდა და იძახდა:

— ამხანაგებო! მე ვიცი თქვენი მტერი! ბურჟუების მოსყიდული. იმან ცემენტი ყალბი მოგვცა. კედელს ცუდი საძირკველი! იმან ჩააგდო ჩვენში ჩხუბი, რომ ჩვენი ცენტრალი მოშლილიყო... იმას ჩვენში აგენტები ჰყავს... იცით ვინ არის?

ხალხი პასუხს მოელოდა. ქერბალაიმ წინ გამოიყვანა საქმის მწარმოებელი:

— უთხარ, ვინ იყო! ნენი პირით უთხარ! — უყვიროდა სამსონს.

— ნუ მომკლავთ — გეტყვით — ცახცახებდა კუსპარა საქმის მწარმოებელი და ყველაფერი აღიარა.

სასწრაფოდ გამგე — დირექტორიც შემოიყვანეს. მას წინასწარ ეგრძნო, რომ მის თავს რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყო და მკვდარს დამსგავსებოდა.

— ბ-ნო დირექტორო! — მიჰმართა ღრმა ირონიით და ზიზღით გელამ — იქნებ თქვენმა მჭერმეტყველებამ დაგვიმტკიცოს, რომ თქვენ არაფერ შუა ბრძანდებით და ჩვენ სოციალისტურს მშენებლობას წინასწარ გეგმით ხელს არ უშლიდით? ვერა! ხაფანგში ხართ! თითოეული ჩვენთაგანი შიმშილს იტანდა, ოჯახში გაჭირვებას; თქვენ კი უზრუნველყოფილი იყავით ყველაფრით, როგორც სპეცი. წელზე ფეხს ვიდგამდით და ჩვენი მომჭირნეობით, მუშის გადარჩენილ ლუკმით გვეგონა, ეს პატიოსანი ძომავალს გვიშენებდა, მაგრამ თურმე ზურგში ხანჯალს გვცემდა...

ხალხი აღელდა, უნდოდათ თხრილში გადაეგდოთ, მაგრამ გელამ დაიძახა:

— არ მოჰკლათ! მაგას ფესვები სხვაგანაც ექნება. პროლეტარული სასამართლო მოსთხოვს პასუხს!

ამხანაგებს ანიშნა და გამგე წაიყვანეს.

— ხალხო, მტრებთან ჩვენ სასტიკნი ვართ! ხომ ნახეთ ვინ რევდა საქმეს.

— ეგ აქეზებდა დურსუნს, ისმაილს! — ამბობდა ქერბალაი და სახე გაბრწყინებოდა, რომ საერთო მტერი მან აღმოაჩინა. — ახლა ჩვენ ხელს ველარ შეგვიშლიან... დავკრათ ერთად!

— ქერბალაი! ქერბალაი! — განათლებული სახით გამორბოდა ქერ-ბალაისკენ ანუშო — დღეის შემდეგ შენს სახსოვარს ამაყად ვატარებ, კმა-ყოფილი ხარ? ერვანდიმ ანუშოს ყელზე მძივი რომ ბერნა — ითქოს გველმა უკბინა.

იცნო მძივი.

მივარდა ანუშოს, ჩაჰკიდა ხელი და უყვიროდა:

— ანუშ! ანუშ! — სიტყვებს ველარ პოულობდა, რომ ეკითხა მძივი ვინ მოგცა? სად ნახე? ყელზე რად ატარებო?

— ერვანდი, რა მოგდის? — ეკითხებოდა შემკრთალი ანუშო ძმას.

— ანუშ... ეგ მძივი... შენს ყელზე... საიდან?

ბასიკომაც და გელამაც იცნეს ელდინოს მძივი.

— ანუშ! ვინ მოგცა??

ქერბალაი უკვე გულში ღრმად დაკოდილი იყო. რის შიშიც ჰქონდა, ის გამართლდა! რა ეთქვა? რით ემართლნა თავი? ბოლოს სთქვა:

— მე მივეც მძივი!

— შენ? — ყვიროდა ერვანდი, — შენ? მკვლელი?

უნებურად რევოლვერზე იტაცა ხელი, მაგრამ იქვე გაუშეშდა. მხო-ლოდ ჩამკვდარი ხმით-ღა უთხრა:

— ნუთუ შენ, შენ გაიმეტე, ქერბალაი? ნუთუ შენ მოჰკალ მძივის პატრონი:

— ერვანდ, გელა, ამხანაგებო, ძია ბასიკო! მე არ ვარ დამნაშავე! მისი გადარჩენა მინდოდა. მას კი ეგონა, მტრულად მოვეპყრობოდი.

ბოლოს, როდესაც ხვეწნით ველარაფერი გავაწყე, წავართვი რევოლ-ვერი. მან კი ხანჯალი ამომტაცა, გულში დაიცა. როდესაც ასკერი სცარ-ცვავდა, ვერ მოვითმინე, ასკერი მოვკალ და მისი მძივი სახსოვრად, ჩემს სატანჯველად შევინახე. სინდისის გარდა სხვა მოწმე არავინ მყავს.

— გყავს! გყავს! — იძახდა ჭალარა მუშა, რომელსაც ცრემლით თვა-ლები ევსებოდა, ეს იყო გიკორ. წინ წამოდგა და ხალხს უამბო, თუ რო-გორ ჩაიმალა ბუჩქებში, როდესაც თავს დაესხნენ, იქიდან ჰხედავდა, რომ ელდინომ თვით მოიკლა თავი.

— ამხანაგებო, ამხსენით ბრალდება და სისხლის ლაქა! — იმუდარებოდა ქერბალაი. ერთხანად ერვანდის დააცქერდა, მაგრამ ერვანდი ცივად იდგა.

მათ მიუახლოვდა გელა. ორივეს მარჯვენა შეაერთა, თავისი ზევიდან დაადო ჯვარედინად და წარმოსთქვა:

— წარსული, ის შავი წარსული მიეცეს სამუდამო დავიწყებას...

ელდინო მოჰკლა იმან, ვინც ჩვენ ყველას სიცოცხლეს, მიზანს, იმედს და ადამიანობას გვიქელავდა, ჩვენთვის ახალი ცხოვრება ახლა იწყება! მტკიცე იქნება ჩვენი კავშირი, რადგან წარსულმა სისხლით შეგვადუღა. ვიბრძოლოთ უკეთეს მომავლისთვის!

— ვიბრძოლოთ! — იყო ერთხმად ამოძახილი.

1930 წ. ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

სიჭაბუკის გაზაფხული

ციდან ნელნელა
გაქრებიან ღამის მთევლები,
ელოდენ დიდხანს,
და იქნება ბედი ეღირსათ!...
ავდგები როგორც
ბედნიერი მანიქეველი —
მოხარკე მზის და
მადლიერი მთელი ქვეყნისა!

— დაწერე ჩვენზე....
მომძახიან ხის ტოტებიდან —
ჩვენ ჩიტები ვართ,
ჩვენც ამინდის მომღერლები ვართ...
— დაწერე ჩვენზე,
რტოები რომ იფრთლებიან...
— შრიალებს ხე და
მზეზე გაშლის რტოებს ნებივრად!

და ნაზამთრალი ატმის ხენი —
მყუდრო, შიშველი,
ბატონებივით აყვავილდენ
ღეროს ზემოდან...
— ჩემო ჩიტებო,
თქვენ გაზაფხულს უბოდიშებდით,
არწევდით რტოს და
შორს ნანინა შემომესმოდა!

ანდაზეული მომესმოდა
თქვენი სიმღერა:
ცხრა ძმამ თუ მართლა
ერთი თხილის გული გაიყო —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის გული ხომ
ცხრაჯერ მეტი მაინც იქნება
— ქალის გულისთვის
ქვეყანაზე შუღლი არ იყოს!!...“

და მაგონებდით
აშავებას პირველ ულვაშის —
თითქო სახეზე მახატავდენ
სხვების ნაფიქრალს,
თითქო ვილაცას
მტვერი დარჩა ნაფეხურებში
სახეზე;
— წვერი ქურდულად, რომ შემომაფინა!

შევალე კარი უნებურად,
არც კი დავფიქრდი,
ჩუმად დავჯექი სარკის წინ და
ჩემი ბავშვობა
წავიდა სადღაც,
თეთრად გაქრა საპნის ქაფივით,
წავიდა წყნარად
და ჩვიდმეტი წელი გამშორდა!

ასე მეგონა ადგა ხალხი
ჩემ საყურებლად,
სარკეებიდან სეირისთვის
შემოყვანილი —
შევახებ ხელს,
ჩემივ სახე მეხამუშება,
და ბაგეებთან დამრჩენია
გემო მარილის!

თურმე ზაფხულში
ხენი წვიმით გაცოცხლდებიან,
გადიღებს ცა —
კოკისპირულს, ნისლის საცრიანს,
დგებიან ხის ქვეშ,
დაარხევენ ცვარს ფოთლებიანს
და თამაშობენ
დარში წვიმის იმიტაციას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე რა ვიცოდი, რომ ბავშვობაც
წვიმა ყოფილა,
რომლის სანაცვლო
შემდეგ აღარ მოინახება,
და პოეზია — გაცოცხლება
იმ ბალღობისა,
როგორც მზიანში
ნაწვიმარი ფოთლის დარხევა!!

ასე წასულან:
წელიწადი, დღე და საათი,
ნამქერებივით უგზო უკვლოდ
გვიქარბუქნია....
— ერთად მოდიან:
რიჟრაჟიდან — მზე დასავლამდი
და გაზაფხული —
შეღერებულ სიჭაბუკიდან!!

1933 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ არაბსია

ინჟენერის სიყვარული

კუნთებ დარკინულ ვაჟკაცებს გიჟი მდინარე დაუბამთ.
ალბათ მკითხველებს ჰგონიათ ქალზე დაუწყებ საუბარს.
გავასალკლდევებ სტრიქონებს, ვჭედავ რითმების სამკაულს,
თქვენ მხოლოდ ნუ დაენდობით ზემოთ ნაჩვენებ სათაურს.
დიდრონ მთებ შუა დავყურებ, მდინარის ციხე — საგუბარს
მიმიხვდებოდით ვაპირებ ელექტროჩქერზე საუბარს.
ამ გულდიდმაგარ კლდის მკერდი ექსკავატორმა დაკბინა.
ამ ეპოქაში მძლავრია: — პარტია, მუშა და რკინა.
აგერ, რომ ხედავთ ჯებირებს ის მუშის მკლავმა გაღუნა.
მთას მოახლიჩა გვერდები აფეთქებულმა ლაღუმმა.
და ორთქლმავლებმა გრიალით მთებს ზურგზე გადაურბინეს
ჩამოზიდავენ ისინი იარაღებს და ტურბინებს.
დინამიტები კლდეს ხეთქენ, კლდე ბრაზით შეუყიჟინებს.
კლდე დააბრალებს დაღუპვას აქ მდგომ თმახუჭუჭ ინჟენერს.
ხევში დაფანტულ ნამსხვრევებს ნაძვნარი დაუხოცია,
ხრამში ჩალეწილ ნორჩ ხეებს ბროლის ცრემლები მოსცვივათ,
მდინარე გადარეულა, რისხვის ნიშანი ქაფია
მოზარდ ტექნიკებს დაუდგამთ ბილიკზე ასტროლაბია.
კაჟკუთხადების კედლები ზათქანით ერთურთს მოსცილდენ.
გრიალ-ზრიალი გრუხუნი შორს გაისმოდა ოცი დღე.
ირუჯებოდენ ხეები, ალი აღწევდა ცამდინა,
ბრჭყვიალა შრომის ორდენი დამკვრელმა მოიწადინა.
ასეთი გარდატეხანი კაცის თვალს არ უნახია,
გვინდა მადნების სიუხვე მთების გულში რომ მარხია
ეს პოლიტგანყოფილება მშრომელთა მტრების მახეა.
ასეთი აღმშენებლობა არავის არ უნახია
ჩაჩქანი, ტეხა, ტკაცუნი, მოხრუკვა ბარდნარ-დურღენის
თავისუფალი შრომაა, მშრომელს არ ადევს უღელი.
ლოდი გაკრული ქვაკუთხედს ძვირფას მეგობარს დაშორდა,
რომელიც მილიონ წლობით კოცნით მის ტუჩებს აშრობდა.
სოცშეჯიბრების ქარცეცხლი მოკიდებია ამ უბანს
მე ჩემ ინჟენერს გაუბამ მშენებლობაზე საუბარს.
ჩვენ ვლაპარაკობთ წყლის პირას, მწყემსი სალამურს დაუკრავს
მე განგებ მინდა გავიგო ჭაბუკს ამ ქვეყნად რა უყვარს.
მასჭურის დადუმებისას ნამი ბალახებს ასველებს,
ჩემს შეკითხვაზე ეს კაცი მძიმედ მპასუხობს ასევე:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— „მე მიყვარს ადამიანი
სოცმშენებლობის დამხმარე,
მე მიყვარს შრომა ხალასი,
რადგან ის მშრომელს ახარებს.
ვარსებობთ ყველა სულდგმულნი,
მივყვებით წელთა ვაგონებს.
მიყვარს მღელვარე ტალღები,
მე ის ქარიშხალს მაგონებს.
შენ, ქვანახშირის ქვეყანავ,
საკვირველებად იდიდე.
მახარებს ჩვენი დაზგების
ნაამაგარი სიმდიდრე.
ნავთის ქვეყანავ აენთე
და გაანათე მთლიანად.
მზის მომლოდინე ქვეყნები
თუ იქ მზემ დაიგვიანა.
მზე კომუნიზმის დაადნობს
გადაუდნობსაც შორიდან.
მიყვარს მდიდარი მინდვრები,
მიყვარს საბჭოთა ფლორიდა.
ჩვენ გვირაბებში შრომის დროს
ოფლი და სისხლი ჩავღვარეთ
მე მიყვარს ადამიანი,
სოცმშენებლობის დამხმარე.

* * *

მომწონს ინჟენრის ნათქვამი, ჩანს, რომ ჩვენია ნამდვილად,
რკინის ვაჟკაცებს ეერ მოდრეკს მოსისხლე მტერი ადვილად.
ამ ინჟენერის პორტრეტი ვიხილე წითელ დაფაზე.
უნდა იცნობდეს მწერალი პროექტებსა და ნახაზებს.
დახავსებული ცხოვრება გიჟმაჟ ტალღებმა გარიყეს
ბოლშევიკური გრძნობების ვაშენებთ დიად ფაბრიკებს.
ვენერატორის ღონე აქვს ეპოქის რჩეულ მომღერალს.
უყურებ მუშა გამომგონს მზიან დღესავით მომღიმარს
სათქმელის მოკლედ გადაჭრა ჯანმაგარ პოეტს წავბაძე,
ლექსში სიძუნწით ვიხმარე ბწკარები შავთვალწარბაზე.
ცემენტის სქელი კედლები მუშებმა კირით შელესეს.
აქ ჩემი მოსვლის მიზეზი ინჟენერს აინტერესებს.
დანაგუბარმა მდინარემ საგუბარს შემოუარა,
წყლის შხუილს გაყვენ სიტყვები: —
— გიყვარს
გოგონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ
არა!??
— „ამ გვარ უცნაურ შეკითხვას
მე შენგან არ მოველოდი.
ბოლოს და ბოლოს კაცნი ვართ
ქვა ხომ არა ვართ ან ლოდი?
ბუნების უტეხ კანონთა
ჩვენ ხომ არა ვართ მომგონი?!!
რომელს არ უყვარს გოგონა,
მაგრამ საქმეა როგორი!!!!
დადგა ეპოქა ახალი
და გრძნობაც უნდა ახალი.
ის მზენახული ქალია
და არა მზეთუნახავი.
ღარიბი გლეხის შვილი ვარ,
წინეთ საშინლად ვწვალობდი,
მე და ის ჩემი გოგონა
მუშფაკში ერთად ვსწავლობდით.
მისი სხეული მოსჩანს ვით
ფოლადი გამოკვეთილი.
მისი თვალები ცეცხლია,
მაგრამ მზერა აქვს კეთილი.
ძველი სამყარო დაინგრა,
ძველ ყოფას სული ამოხდა,
მისი სამოსი სადაა,
სუფთა უბრალო, და კოხტა.
დაკოჟრილი აქვს ხელები,
გმირობის გამომსახავი,
ის მზე ნახული ქალია
და არა მზეთუნახავი.
მზეთუნახავი ჩაკვდება,
ინდუსტრიალურ ხანაში,
ჩემი საცოლო გმირია —
მუშაობს ჩვენს ქარხანაში.
არის ეპოქა ახალი,
და სატრფოც მინდა ახალი.
ის მზენახული ქალია
და არა მზეთუნახავი.

მე მიყვარს ქალი, რომელიც სიძნელეს წელში მოღუნავს,
რომელიც თავმჯდომარეობს სამაგალითო კომუნას.
სამოქალაქო ომის დროს მინდვრები სისხლით შეღებეს,
მე მიყვარს ქალი, რომელიც გაზრდის მებრძოლს და მშენებელს.

ელ. პოლუმორდვინოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილვიძებენ მთები[1]

მეხუთე თავი

განთიადისას რამიზი ოთახიდან გამოვიდა, თვალებს ზევით ხელი შემოირკალა და ცას აჰხედა.

აცქერდებოდა აღმოსავლეთს, სამხრეთ-ჩრდილოეთს. ეძებდა სადმე ღრუბლის ნაგლეჯს. მზე ძალიან შორს იყო, შუა ცის დაბლა. დღეს განთიადობა ეტყობოდა.

რამიზმა სთქვა: „კოლექტივი დააარსეს. მე რას გავხდები. ჩემი საყანე და ბაღი თავის ადგილზეა. აქ რა საქმე მაქვს სხვა!..“ ცას ისე შესცქეროდა როგორც ხელის გულს და ასე ფიქრობდა: „ყველაზე ძალიან მე ის მომწონს, რომ მოწმენდილი ცა არის. ახლა ზღვაც ცისფერი იქნება. წამოსვლისას მირზა მეუბნებოდა: ახლა წასვლის დრო არ არის, ხამსა ქობულეთის მიდამოებისაკენ დაიძრაო, დელფინები აედევნენო. მართალიც არის. ზღვაზე ნადირობის დრო დაიწყო, მე კი რას ვაკეთებ აქ!?“.

რამიზი მეთევზეობით აცხოვრებდა ცოლშვილს და დედას. ასეთი ხელსაყრელი დღეების გაცდენა საზარალო იყო. გადასწყვიტა ქობულეთში დაბრუნებულიყო. ამხანაგები ალბათ კიდეც ელიან, ისინი უსათუოდ ემზადებიან ზღვაზე გასასვლელად.

რამდენი კვირა დაჰკარგა ტყვილა უბრალოდ!

სიმართლე ხომ გაიგო? დედამისმა დაუდასტურა, რომ მისი მამის მკვლელი ხაბაზია. რამიზმა გადასწყვიტა უსათუოდ აეღო მისი სისხლი, არ შეერჩინა მამის სიკვდილი, მაგრამ ახლა არა სცალიან, ამისათვის მერე მოიცლის. მისი გული და გონება ზღვისაკენ მიისწრაფება, ფიქრობს იუნუზებზე, ამხანაგებზე, ისინი დაემდურებიან გულგრილობისათვის, ხელსაყრელ დროის გაცდენისათვის.

რამიზა ფიქრი რომ შესწყვიტა, აივნიდან ძირს ეზოში ჩაირბინა... კარმიდამოს ათვალიერებდა. ეუცხოვებოდა. ნაბიჯს ისე სდგამდა, თითქოს ზღვაში შეცურებულ ნავზე იდგაო. ბოსელში შევიდა, ცხენი გამოყვანა. ზურგზე საოფლე შეაგდო, მერე ზედ უნაგირი შეადგა, პირში ლაგამი ამოსდო, მოსართავები მოუჭირა.

— ბესირე, ქობულეთში მივდივარ!.. — ხმამაღლა გასძახა კარის მიმართულებით.

---

[1]) იხ. „მნათობი“ № 4.

ოთახიდან თეთრ ფერჩე-შემოხვეული ქალი გამოვიდა. ფერჩეში შუბლიც და ნიკაპიც იფარებოდა.

— რა გეჩქარება, რა მოგეჩვენა ასე უცბად, რომ გადასწყვიტე წასვლა?..

— ხვალ იუნუზებზე სანადიროთ უნდა წავიდეთ. ხომ ატყობ, ცა მოწმენდილია. — მან კიდევ ერთხელ აჰხედა ცას.

მზე უკვე ამოსულიყო. თავის ირგვლივ რაღაც ბაც ვარდისფერ შუქსა სტოვებდა.

მოახტა ცხენს. ცხენს ერქვა „ჰასლანი“.

— ჰასლან, წევიდეთ!.. — ნელი ხმით უთხრა რამიზმა ცხენს.

ცხენმა ზურგზე სითბო იგრძნო, სითბოსაგან სიამოვნება. კარგად იცნობდა რამიზის ხმას, ხასიათს. იცოდა რა სისწრაფით უყვარდა რამიზს მგზავრობა. ფრუტუნი დაიწყო. მიწაზე ტორს აბაკუნებდა, სტკეპნიდა და ესიამოვნებოდა, როდესაც საკუთარი ნალების ხმა ესმოდა. ვიდრე აღვირი მოზიდული ეჭირა, რამიზი ხოჯაზე ფიქრობდა. რა უთხრას ხოჯას, რა გააკეთა, რომ ბრუნდება?.. სიტყვა ხომ მისცა? ხელიც ჩამოართვა. რამიზი სწუხდა და არ იცოდა რა აწუხებდა, მოვალეობა თუ სირცხვილი. რას იტყვიან ტაგიძე, ანანიძე? ხომ მხდალსა და ლაჩარს დაუძახებენ?

ჰასლანს ლოდინში მოუთმენლობა დაეტყო. მას გახტომა უნდოდა, აღვირი კი უკან ეზიდებოდა.

რა კარგია ის ცხენი, რომელიც მხედრის ფიქრებში ჩაერევა და დაეხმარება ფიქრების გაფანტვაში.

ჰასლანი ადგილზე ბაკუნით შემოტრიალდა და დაიხვიხვინა.

რამიზმა აღვირიანი ხელი სწრაფად ჩაიქნია და მოუთმენელ ცხენს რამდენჯერმე ბეჭებზე ხელი დაარტყა ალერსით.

ცხენი გაქროლდა. მხედარი თანდათან წერტილად გადაიქცა.

მეექვსე თავი

1918 წლამდე აქ სოფელი იყო.

ამ სოფელს რომანოვკა ერქვა. სოფელი ატარებდა დღენაკლული მეფის გვარს და აქ მოსახლეობდა რუსის ყაზახობა.

ეს ის ყაზახობა იყო, რომლის იმედითაც რომანოვები სამას წელიწადს გრეხდენ მათრახებს, აშენებდენ საპყრობილეებს, აგებდენ სახრჩობელებს და აწიოკებდენ რევოლუციონურ მოსახლობას.

ამ რომანოვკას, ისევე როგორც უკანასკნელ რომანოვს, უბედური ბედი ეწია.

სწორედ იმ წელს, როდესაც თვალთ დაუბნელდა ყოფილ მეფეს, ეს სოფელიც აილაგმა.

ეს იყო 1918 წელს.

მენშევიკური ხელისუფლება მოუსვენრად გრძნობდა თავს. ის ებრძოდა თავის მეზობლებს, სუსტს, ძლიერს, მოძმეს, მოსისხლეს.

და 1918 წელს ოსმალეთი წამოვიდა ბათომისკენ. ის ჰკარგავდა გზას, ჰკაფავდა ადამიანებს, იპყრობდა აჭარას.

ამ კუთხის მოსახლეობასაც მოსწყინდა ომი. ისინი ხუთი წლის განმავლობაში ბათომის ფორტებიდან ყნოსავდენ ზარბაზნების ყუმბარებს სუნს და ზღვის იქით გრძნობდენ შორეულ ცეცხლის ალს.

შესძაგდათ ომი, სისხლის ღვრა, რადგან ეს ხელს უშლიდა მათ მიწაზე ჩაის, მანდარინის, ბრინჯისა და სიმინდის მოყვანას, ხელს უშლიდა თავისუფალ ცხოვრებას, რომელიც ასე ძლიერ უყვარს ყოველ აჭარელს.

მსოფლიო იმპერიალისტური ომი დამთავრდა, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ თავს იდო გმირობა და შეებრძოლა გერმანიის მოკავშირეს, ოსმალეთს.

აჭარაში ოსმალეთი შემოვიდა.

შეშინებული სოფელი რომანოვკა აიყარა. მთელი სოფელი ბოშური ქარავანივით დაიძრა.

გამოვიდენ მაშინ მეზობელ სოფლების ძლიერნი და შეძლებულნი, გადაჰხედეს ამ დაცლილ მიდამოს და სთქვეს:

— ეს ჩვენი მამაპაპეული მიწები იყო. ალლაჰმაც ასე ინება და უკან დაგვიბრუნა...

რადგან ალლაჰმა ასე ინება, ღარიბი გლეხები, რომელთაც ერთი მტკაველი მიწაც არ გააჩნდათ, დუმილით შეხვდენ ასეთ განაჩენს.

ყველაზე მეტს ალლაჰის სახელით ატყუებდენ მათ.

* *

ამ განთიადზე ნასოფლარის ადგილებისკენ მიემართებიან მემედ ალი და სულეიმანი, მათ მიჰყვება აგრონომი ჩეჩელაშვილი და აგროტექნიკი, რომელნიც ათვალიერებენ და არჩევენ საკოლექტივო მიწას...

ფერდობზე საქონელი გაშლილა. ისინი მოსჩანან წითლად, თეთრად, ჭრელ ფერებად. ცხვრები თეთრი ბალიშებივით დაფანტულან და ბალახს სძოვენ.

— აქ ავაგებთ ბეღელს. აქ კოლექტივის კანტორას, აქ ახორს, — ამბობს მემედ ალი და აგრონომს ამორჩეულ ადგილებზე უთითებს.

— აქედან კიდევ ოცდაათი ჰექტარი გადავზომოთ, — განაგრძო მემედ ალიმ და ორი გაბრწყინებული თვალი, როგორც ორი ჩაუქრობელი სხივი, ათეულ ჰექტარს გადააფინა.

აგრონომი და აგრო-ტექნიკი შეუდგენ ზომვას. მიდიოდენ სულ წინ და თითოეულ ჰექტარს ცალკე აღნიშნავდენ. მემედ ალი და სულეიმანი ეხმარებოდენ. გული სიხარულით ევსებოდათ, სახე უბრწყინავდათ, სიცილში და მხიარულობაში გაჰყავდათ დღე.

ჰაერში მწვანე ბალახის საღი სურნელება იდგა.

— სულეიმან, ამ მიწაზე ტრაქტორს რომ ავაგუგუნებთ, ზოგიც მაშინ ნახე, რა ამბავი ატეხოს ჩვენმა დუშმანმა.

— ხუთმეტი ჰექტარია, ხუთმეტი!.. — მოისმა შორიდან ჩეჩელაშვილის ხმა. სულეიმანმა და მემედ ალიმ გაჰხედეს მას, შუა ველზე მდგარს. ის შორიდან მტკაველისოდენად მოსჩანდა. ორივენი აგრონომისკენ გაემართენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ დროს უფრო შორს, ვიდრე ჩეჩელაშვილი იდგა, პატარა მოძრავი საგანი გამოჩნდა, რომელიც თანდათან იზრდებოდა. სულ მალე გარკვევით გაისმა ხმაც, უფრო და უფრო გაიზარდა და ბოლოს ღრიალად გადაიქცა.

ჩეჩელაშვილმა და აგრო-ტექნიკმა მეთექვსმეტე ჰექტარში გადასდგეს ნაბიჯი. სახეზე სიცხისაგან ალმური ასდიოდათ. საყელო გადაეხსნათ, ქამარი შეეხსნათ და მკლავებ-დაკაპიწებულნი ზომავდენ მიწას.

ყვირილმა ჯერ მათ ყურამდე მიაღწია, მერე მემედ ალის და სულეიმანსაც შემოესმათ.

— ჩემ მამაპაპეულს არავის დავანებებ. აქ შრომობდენ ისინი, მეც აქ უნდა მოვკვდე! — ყვიროდა და მორბოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მეორეც გამოჩნდა. ისიც ისეთივე სიჩქარით მორბოდა.

მემედ ალიმ და სულეიმანმა ხმაზე იცნეს ვინც იყო და სწრაფი ნაბიჯით მიირბინეს ჩეჩელაშვილთან.

გაცეცხლებული ახმედ ტაგიძე მორბოდა. ხელში ნაჯახი ეჭირა, მისი თვალები ნაპერწკლებს ჰყრიდა, მისი ტუჩები ბრაზს ანთხევდა.

— ჩემს მიწას არავის დავანებებ! — გაიძახოდა:

და ამ სიტყვებში არა მარტო „ჩემი“, არამედ ბრაზი და ღვარძლი გაისმოდა იმ ძალისადმი, რომელიც ამ „ჩემს“ სპობდა.

მოახლოვდა მეორეს ხმაც.

ყვიროდა მემედ ანანიძე. ხელში მსხვილი ჯოხი ეჭირა.

— ვინ არის, ჩვენს საბალახოზე რომ შემოვიდა? — გაჰკიოდა ისიც და დაგეშილივით მოვარდა.

ნაჯახის მოქნევას მემედ ალის ძლიერმა მკლავებმა ძალა დაუკარგა. მაჯა გადაუგრიხა. ნაჯახი ძირს დააგდებინა: ცივი ოფლი გადმოასხა ახმედს სახეზე. საფეთქლები აუთამაშდა. ტუჩები აუძაგძაგდა. ვერც მოსულმა მემედმა მოიხმარა ოჯახი. ორივენი გაშეშდენ, დაუძლურდენ.

— მიწა სახელმწიფოა!..

— მიწა არ არის საკუთრება!..

თითქოს ერთმანეთთან შეთანხმებულად უპასუხა ორივემ და ნაჯახიც და ჯოხიც ფეხქვეშ დაიგდეს.

— ვიღაცის ზურგში თოფი იჭექებს... ვინც უკეთესია, ის მოკვდება, — ჩაილაპარაკა ახმედმა და თავის სახლ-კარისკენ წავიდა.

— მიწას მაინც მოვზომავთ, კოლექტივს მაინც დავაარსებთ, — მათ გასაგონად ხმამაღლა წარმოსთქვა მემედ ალიმ და ნაჯახიც და ჯოხიც ზურგში მიუგდო მიმავალს.

მიწის მოზომვა განაგრძეს.

ბინდისას, როდესაც მთიდან ნახირი ბრუნდებოდა, მეოცდაათე ჰექტარის ბოლოს უკვე ჩასმული იყო ხე, რომელზედაც ფიცარი ეკრა და ზედ უსწორმასწორო ასოებით ეწერა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„კოლექტივის მიწა“.

ამ წარწერის პირდაპირ იდგა ახმედ ტაგიძის სახლი.

მეშვიდე თავი.

კოლექტივის წევრები საგონებელში ჩავარდნენ. მათ ორი საკითხი აწუხებდათ: პირველი ის იყო, თუ რა დაეთესათ, მეორეც — გარშემორტყმული იყვნენ თავზე ხელაღებული კულაკებით და ყოველ ცისმარა დილას ახალ-ახალი მუქარა მოსდიოდათ:

— ჩვენს მიწაზე აშენებას ფიქრობენ!..

— ჩვენი მიწების გულისთვის ვილაცას ზურგი გაეხვრიტება...

იცოდა თითოეულმა აჭარელმა, რომ თუ ვინმეს მიზანში ამოიღებენ, ის მოკვდება კიდეც. იცოდა თითოეულმა აჭარელმა, რომ აჭარლის ტყვია მოულოდნელად გავარდებოდა და ზურგში მოხვდებოდა.

კოლექტივის წევრები თავიდანვე დაშინებული იყვნენ.

ეს არ აშინებდა მხოლოდ მემედ ალი ხაბაზს, რომელიც კოლექტივის თავმჯდომარედ აირჩიეს და ისიც მტკიცე, მოულუნავი ნებისყოფით ჩაუდგა სათავეში პირველ კოლექტივს.

კოლექტივს „საერთო შრომა“ დაარქვეს.

ხაბაზი ტანმსხვილი და მხარბეჭიანი ვაჟკაცი იყო. სიტყვა უყვარდა მოკლე და საქმიანი. ის მუშაობდა ისევე, როგორც კოლექტივის ყველა წევრი. მისი შემხედავი ზარმაცი თავის სიზანტეს ივიწყებდა. ურჩი და ჯიუტი საუკეთესო გამგონი და შრომის მოყვარული ხდებოდა. კოლექტივს სათავეში ჩაუდგა თუ არა, მაშინვე მთელი ყურადღება იმ კულაკებისაკენ მიმართა, ვინც წინააღმდეგობას უწევდა და ჩაეშალათ ახლად დაწყებული საქმე ცდილობდა.

წინააღმდეგობის დაძლევა უნდოდა. საჭირო იყო მთელი კოლექტივის ერთსულოვნობის შენარჩუნება, განმტკიცება და ღრმად ჩანერგვა თითოეული წევრის გონებაში იმ აზრისა, რომ კოლექტიური შრომა ეკონომიურად აძლიერებს მეურნეობას, პოლიტიკურად ამტკიცებს ღარიბსაშუალო გლეხობას და მოწინავე ადამიანებად ხდის ახალი სოფლის შენების დროს.

კულაკური პროვოკაცია კი მატლივით შეძვრებოდა ხოლმე კოლექტიველის გონებაში და ღრღნიდა შიგ ერთსულოვნების ჯანსაღ გრძნობას, სთესავდა ეჭვს, შიშსა და უნდობლობას.

ხშირად სმენია მემედ ალის:

— თუ აი კაცი არ მოვკალით, მთელს ჩვენს მიწებს წეიღებსო. — მაგრამ ის რკინის ბურჯივით იდგა და სულ იმას ფიქრობდა, საგაზაფხულო თესვა ჩაეტარებინა, პირველი ნაყოფი მიეღო, რომ კოლექტივის

წარმატებით და გამარჯვებით კულაკობა მშრალზე დაესვა. მისი ფიქრი, გრძნობა და საქმე ერთმანეთში ფოლადის ჯაჭვად იყო გადაბმული.

პირველი საკითხი, რომელიც მან კოლექტივში დასვა — ეს იყო: „რა დავთესოთ?..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტესობა სიმინდს ემხრობოდა, ზოგი ბრინჯს. ზოგი სიმინდსა და ბრინჯს. მაგრამ მემედ ალიმ სთქვა:

— ჩვენი მამა და პაპა სიმინდს სთესავდა. ბავშვები ფეხშიშველა დაუდიოდათ და იზრდებოდენ ამ გამხმარ ჭადზე, მერე ისინიც ყანებში იკაკვებოდენ და უხაროდათ, როდესაც მაღალტანიანი სიმინდი ამოსდიოდათ, მაგრამ სიმინდი მაინც სიმინდი იყო და მიდიოდა მათი სიცოცხლე სიმინდისა და ბრინჯის ერთფეროვან სილარიბეში. ხომ ყოფილხართ ქობულეთში, ოჩხამურში, ჩაქვში? თქვენ გინახავთ რა ლამაზი და მდიდარი ნათესებია ჩაის ბუჩქების, რანაირი მანდარინების ბაღებია? ჩვენი ქვეყანა თბილია, ნოყიერია ჩვენი მიწა, ხარობს ასეთი ძვირფასი მცენარეულობა და თქვენ კი გინდათ სიმინდით და ლობიოთი მოაცდინოთ მიწები. — მემედ ალიმ მრავალმნიშვნელოვანად გადაჰხედა კოლექტივის წევრებს ისინი ჩაძირული იყვნენ სიჩუმეში და გულმოდგინედ უსმენდენ. ერთ წამს თვითონაც გაჩუმდა. თითქოს საპასუხო სიტყვას ელოდა, მაგრამ თვალები მოლოდინით მისჩერებოდენ მას.

— აი ამხანაგებო, — განაგრძო მან და ჯიბიდან რვად გადაკეცილი გაზეთი ამოიღო.—ყური დაუგდეთ, რას ამბობს პარტია და მთავრობა ჩვენი ქვეყნის შესახებ. — და მემედ ალიმ უკვე დაძველებული და დაძენძილი გაზეთი გადაშალა. ერთ-ერთი წერილის ზოგიერთი სტრიქონები შავი მსხვილი ხაზებით გამოეყო. მან ამოიკითხა ეს სტრიქონები. „აჭარისტანი საბჭოთა კავშირში ტექნიკური კულტურების კუთხედ, საბჭოთა ცეილონად უნდა გადავაქციოთ, რადგან ამას ხელს უწყობს მისი მდიდარი ბუნება, თბილი ჰავა და წითელი მიწა. ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩაის სათესების ფართობი, შევქმნათ გიგანტური საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები, რომ საზღვარგარეთ ჩაისათვის აღარ გავიტანოთ ოქროს მანეთები“.

მშვიდად და დინჯად დაკეცა გაზეთი, ჯიბეში ჩაიდო და ისეთი სახით გადაჰხედა „საერთო შრომის“ წევრებს, რომ მათ ნათქვამისადმი სრული ნდობა იგრძნეს.

კოლექტივის წევრების ნაწილმა მტკიცედ შეიგნო ჩაის კულტურის მნიშვნელობა, მათ სჯეროდათ, რომ ჩაის ღირებულება სიმინდზე ათჯერ მეტი იყო. მათ ჰქონდათ ნანახი ჩაქვისა და სალიბაურის მეურნეობაში მწვანე ბუჩქებად გადაშლილი პლანტაციები. უნახავთ ჩაის კრეფა, უნახავთ ასეული ფუთობით მოკრეფილი ფოთლები, გოდრებითა და კალათებით რომ უზიდნიათ ფაბრიკისაკენ დასამუშავებლად. ზოგს თვითონაც უმუშავნია კრეფაზე დღიურ მუშად.

ზოგიერთები კი ოცნებაშიაც სიმინდის ყანებს ხედავდენ, მსხვილტაროებიანს, გრძელ წაბლისფერ-ფოჩიანს, რომელსაც მაღალტანიანი

ღეროები გადატეხვამდე გადაეღუნათ. ისინი ზლაზვნით ალაბარაკდენ ჩაიზე, მათ უნდოდათ სიმინდი, ბრინჯი, ლობიო. უნდოდათ ის, რაც კუჭს ამოუვსებდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი სურვილების გაძლიერებას ხელი შეუწყო ახალმა პროვოკაციამ, რომელიც შერჩეულ დროს გაავრცელეს:

— კოლექტივის წევრები აბდლები არიან... ჩაის ხომ არ დაუწყებენ ჭამას? მშივრები მოკვდებიან... მათი მშიერ-მწყურვალი ცოლშვილი კარდაკარ ივლის...

მემედ ალი, ჰუსეინი და სულეიმანი ებრძოდნენ ასეთ პროვოკაციას. ეს ხმები კოლექტივის ზოგიერთ წევრთა გონებაში ჩაიჭედებოდა ხოლმე და ძნელი ხდებოდა მისი ამოძრობა.

— ქობულეთის პურის საწყობში ათას ფუთობით აწყვია პური და სიმინდი. თუ ჩაის დავთესავთ კონტრაქტაციის წესით, იმდენ სიმინდს მოგვცემენ, რამდენიც დაგვჭირდება. — ამბობდა მემედ ალი, და დაარწმუნა კიდეც იმით, რომ რაიონულმა აღმასკომმა კონტრაქტაციის ანგარიშში ასი ფუთი სიმინდის ფქვილი გამოუგზავნა.

ხაბაზი კულაკობას ებრძოდა საქმით, თითოეულ პროვოკაციას გამტყუნებით, გაბათილებით.

სხვაგვარად იბრძოდა ჰუსეინ კვესეიშვილი. მთელ მის უჯრედში სულ შვიდი პარტიული იყო და ორი კანდიდატი. ყოველთვის დიდის რიხით გამოდიოდა ხოლმე მათი სახელით. მის გულს სისხლ-მორეული ბრაზი ანთებდა, მას უნდოდა ერთი ხელის შემოქნევით მოესპო მთელი წინააღმდეგობა. ის ხმამაღლა გაჰკიოდა კულაკების წინააღმდეგ. გაიძახოდა: კულაკები ბოროტ აზრებს სთესავენ, კოლექტივის წევრებს გულს უმღვრევენ, უცრუებენ და კულაკების მთლიან გადასახლებას, მთელი სოფლის კოლექტივიზაციას მოითხოვდა.

— ჰუსეინ, შენი სიტყვა არ მომწონს; ცოტა აზრს დაუკვირდი... — ეუბნებოდა მემედ ალი მას და ხანგრძლივად ესაუბრებოდა. უხსნიდა კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში სიფრთხილის აუცილებლობას.

— შენი მინდა დევიჯერო, მემედ ალი, მარა ისინიც ხომ გვებრძვიან. რა კაი იქნება, რომ მოვსპოთ!.. — ღვარძლიანად, მაგრამ დაბალი ხმით უპასუხებდა ჰუსეინი.

— მოვსპობთ, ჰუსეინ, აუცილებლად მოვსპობთ, მაგრამ, იცოდე, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, მაშინ მოვსპობთ, როდესაც მთელი სოფლები კოლექტიურ მეურნეობებად გადაიქცევა, როდესაც მთელი ღარიბ-საშუალო გლეხობა სოციალისტურ მეურნეობაში მოიყრის თავს.

— მაშინ კი... მარა ახლა მათმა პროვოკაციამ ყურები უნდა გაგვიხვრიტოს?.. არა, მაგათ იმ დღემდე არ მივიყვანდი. — არა ცხრებოდა ჰუსეინი, თუმცა ხაბაზის პატივისცემა ჰქონდა.

— პარტია არ ამბობს მაგას. მთელი სოფლის გლეხობას გადავიმტერებთ. ბრძოლა ისეთი უნდა, რომ ტყვიის გასროლაც თავის დროზე

იყოს და ნიშანიც სწორედ აღებული, — ეუბნებოდა ხოლმე ბოლაიდელი, მაგრამ მას ჰუსეინი ნაკლებად უგდებდა ყურს. ის ეტყოდა ხოლმე:

— შენ რბილძვალიანი კაცი ხარ. ბრძოლა გეძნელება, — მაგრამ ნოლაიდელისათვის პარტიის ხაზი მოქმედების იარაღი იყო. ის ეპრძოდა ყველას, ვინც პარტიის ხაზზე ბარბაცით დადოდა, ბორძიკობდა მარცხნივ თუ მარჯვნივ.

— კოლექტივს ისე ვერ განვამტკიცებთ. ხომ იცით, ჩვენ ამ რაიონში პირველნი ვართ! მთლიანობა და სიმტკიცეა საჭირო, — დასძენდა ხოლმე მემედ ალი და მხარზე ხელს დაარტყამდა ჰუსეინს.

მთელს კოლექტივში ერთი აზრი შემუშავდა: „საერთო შრომა“-ში უნდა მოეწყოს ჩაის კოლმეურნეობა.

ერთ დღეს კოლექტივის წევრები შეიკრიბნენ და მოისმინეს, რომ სათეს ფართობს თესვისათვის მომზადება სჭირდება. გადასწყვიტეს: დილიდან ძირკვა დაეწყოთ. მიწა, რომელზეც ათეული წლობით ეწერი იყო, ბალახთან ერთად სავსეა ჯირკებით, მოჭრილი ხეების ფესვებით, ეკალ-ბუჩქებით და ქვებით. ფართობი უნდა გაიწმინდოს, მოსუფთავდეს, რომ შემდეგ გუთანმა და კავმა გადაიაროს ზედ. მოიხნას, დაითესოს. ძირკვაზე ოჯახის წევრებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. კოლექტივის წევრები უნდა გამოვიდენ ცოლშვილით, წალდითა და ცულით, უნდა გამოვიდენ ერთად დიდი და პატარა და განთიადიდანვე შეუდგენ მუშაობას.

„ასერთო შრომის“ პირველი დილა გათენდა კიდეც.

ეს დილა იყო მზიანი, ნათელი, და კოლექტიველებს სიხარულით უძგერდათ გული. დედამიწას სიმსუქნისა და სინოყივრის სუნი ასდიოდა. ახლად აჯეჯილებული ბალახი საღსა და ჯანსაღ სურნელს ავრცელებდა თბილ ჰაერში, ცა კი ლურჯი და ღრმა მოსჩანდა.

კოლექტიველები ბრიგადებად დაიყვნენ.

ამუშავდა წერაქვები და წალდები მრავლად გაბნეულ ჯირკვებსა და ეკალ-ბუჩქებში და მხიარულ ღრიანცელში გაჩაღდა ძირკვა.

ის ბრიგადა, რომელშიც ქიცილა იყო, განსაკუთრებული ხალისით მუშაობდა, რადგან ქიცილა ხუმრობითა და ოხუნჯობით ართობდა ბრიგადის წევრებს. მუშაობის პირველ ხანებში მეტის-მეტი წარმატებით მიდიოდა ძირკვა, მაგრამ როდესაც ქიცილამ თავის შუბლზე ოფლის წვეთები შენიშნა, ამან, ცოტა არ იყოს მისი მუშაობის ტემპი შეანელა.

— პაწაი დევისვენოთ და ვილაპარაკოთ, — სთქვა ქიცილამ და ნიჩაბის ტარს დაეყრდნო. — უუჰ, ძალიან კი მიმუშავია. აქით მხარეზე რაც ჯირკვებია, სულ ჩემი მონაგლეჯია. — და ქიცილამ თვალი გადაავლო ასეულ ნაბიჯზე ამონაგლეჯ ჯირკვებს. ხელიც გაიშვირა, თითქოს თავის თავს თვითონვე უჩვენებდა, რაც გაეკეთებინა.

— ქიცილა, იმუშავე, ქიცილა...

— იმუშავე, თვარა მემედ ალის ვეტყვით რომე ქიცილა შრომის დეზერტირია-თქვა და შავს დაფაზე გაგაკრავთ.

— ამხანაგებო, რავა ფიქრობთ, არა ვმუშაობ?.. მაი არაა ლამაზი თქვენის მხრიდან, თვარა მე კიდო ბევრის გაკეთება შეშიძლია. აგი მხარე მე არ მოვძირკე? ბუჩქები რო ყრია ძირში ამონათხარე, მაი სულ ჩემი გაკეთებულია. რავარი ბუჩქებია მაი რო იცოდეთ. ჯერ ერთი ძალა ჰქონდა ფესვები გამდგარი მიწაში. მეორეც ერთ დროს მასეთები ბრევლი იყო ასთე ათი წლის წინათ. რამდონი კურდღელი იყო აქანე. — ალაპარაკდა ქიცილა, თითქოს საღერღელი აეშალაო. დანარჩენები კი ღიმილგადაკრულნი უსმენდენ, თანაც მუშაობდენ.

— ბევრხელ მინადირია კურდღლებზე. მხართან თოფი რო მიმიდვია და თვალები გამისწორებია, ერთხელაც არ ამიცდენია. — განაგრძობდა ლაპარაკს ქიცილა. — ვხოცავდი ასთე ბუჩქებში და მიმქონდა შინ. ჩემმა ულფედმა ისეთი საცივის გაკეთება იცის, რომ თითებს ჩაიკვნეტ შით. აწი სადღაა აქანე კურდღელი? თლათ ამოხოცეს. იმიზა მეიფიქრა თავრობამ კურდღლები მოვაშენოთო. მუშათა კლასს სჭირდება კურდღლებიო. მართლაც, ქე სჭირდება მუშათა კლასს, რავა, ვერ შეჭამს თუ?!. — ქიცილას ლაპარაკმა ბრიგადის წევრების სმენა მიიპყრო. ზოგიერთმა წერაქვი და ნიჩაბი დააწყო, ჩამოჯდა და უსმენდა. როდესაც ქიცილამ შენიშნა, რომ მას ყურს უგდებდენ, უფრო მოუმატა ლაპარაკის ხალისი.

— კურდღლების მოშენება კაია, მარა, რეიზა თქვა თავრობამ გზა მივცეთ კურდღელსაო. თუ კურდღელს გზას მისცემ, რალაფერ მოშენდება. სოფლის საბჭოს რაცხა ათიოდე კურდღელი ჰყავდა, მისცეს გზაი და ქე გაიქცენ იგინიც ტყეში.

მთელმა ბრიგადამ მიატოვა მუშაობა. მოუსხდენ ქიცილას და ყურს უგდებდენ მის ლაპარაკს. ისინი იცინოდენ, მაგრამ ქიცილა მართლა განიცდიდა თავის სიტყვის აზრს.

— ეს რა კრება გაგიმართავთ?.. ამხანაგებო, თქვენს სამუშაოს ვინ გააკეთებს?.. დროს რათა კარგავთ?.. — მიმართა მემედ ალიმ.

— აგერ ქიცილამ შეგვიყოლია. — უპასუხა ერთმა.

— მემედ ალი, კურდღელზე ველაპარაკები, მე აქანე ბევრჯერ დამიხოცნია კურდღლები. ახლა ჩაი უნდა გავაშენოთ. კაი საქმეა, მეტად კაი. ნამეტნავად მუშათა კლასისათვის. — ალაპარაკდა ქიცილა.

— შენ თუ მუშობას ხელი შეუშალე, კოლექტივსაც ზიანს მიაყენებ და მუშათა კლასსაც. აბა, აბა, იმუშავეთ!..

ბრიგადამ ისევ ხალისით განაგრძო მუშაობა.

მემედ ალი დანარჩენ ბრიგადებისაკენ გაემართა. ის მიდიოდა და ქიცილას შესახებ ფიქრობდა. მას სჯეროდა, რომ ქიცილა ღარიბ გლეხთაგანი იყო. კოლექტივისათვის ზრუნავდა კიდეც, მაგრამ მისი ლაპარაკის მუდმივი წყურვილის გამო მას შეეძლო სხვისი სამუშაო დროს გაცდენაც. ამ ფიქრებში მან გადასწყვიტა ქიცილა ისეთ ადგილას გადაეყვნა, რომ მის ლაპარაკს მუშაობის მსვლელობაზე არ ემოქმედნა.

ძირკვა კი გაცხოველებულად მიდიოდა. ეს ახალი კოლექტივი მთელ თავის ძალას და შესაძლებლობას იყენებდა. მაგრამ ამ პირველ დღეებში მეტისმეტად მცირე იყო მათი მუშაობის უნარიანობა, გამწევი ძალა ხომ უმნიშვნელო ჰყავდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუსეინმა თავისი უღელი ხარი შემოიყვანა კოლექტივში. პირველი მუშა საქონელი ეს მისი საყვარელი გილდიზა და გიშერაა. ერთი იყო შავი, ღამესავით ბნელი, სიშავიდან მხოლოდ მოყვითალო დაგრეხილი რქები და ტალახისფერი ჩლიქები მოუჩანდა. გილდიზა წითელი ფერის, თეთრ-რქიანი, ტანზე შიგადაშიგ, მუქი ყავისფერი ლაქები ჰქონდა. ეს ორი ხარი კოლექტივის მიწაზე ჭკვიანად და დაუზარელად მუშაობდა. ჯანღნად ეზიდებოდნენ მოგლეჯილ ბუჩქებს, ფესვებს, დაგროვილ ღორღსა და ქვებს.

ერთმა გლეხმაც ცალი ხარი შემოიყვანა, მაგრამ მეორე უღელი ვერ შეებათ, რადგან, არავინ ისურვა მეორე ხარიც შემოეყვანა. თუმცა თითო ხარი ბევრს კოლექტიველს ჰყავდა, მაგრამ რატომღაც ვერ გაემეტებიათ მის განზოგადოება.

ეს ერთი უღელი ხარი ტრიალებდა კოლექტივის მიწაზე. სუფთავდებოდა კოლექტივის მიწა, მზადდებოდა სახნავად. ნოლაიდელის და ჰუსეინის ბრიგადები თავგამოდებით დაესივნენ სამუშაოს და ლაწა-ლუწი გაჰქონდა ბუჩქებსა და ეკლებს მტვრევისა და გლეჯის დროს. სუფთავდებოდა ჰექტარი-ჰექტარზე. ბრიგადა ბრიგადას მხარდამხარ მიჰყვებოდა. შეჯიბრი და გულში ღიღინი სიმხნესა და სიხალისეს აძლევდა მათ. აქ იყო საერთო შრომისა და მიზნის აღფრთოვანება და ზეიმი.

ახმედ ტაგიძის აივნიდან კულაკური თვალები იცქირებოდენ. ეს თვალები შურისა და ღვარძლის გამო აბურძგნულ წარბების ქვეშ ჩაცვენილიყო.

— ერთი ამ მშიერ-ლატაკებს შეხედე, როგორ ჭიანჭველასავით ფუსფუსებენ. — წამოილაპარაკა ახმედმა და რამდენჯერმე გადაყლაპა ნერწყვი. მაგრამ დიდი ხნის ხმაამოუღებლივ ცქერის გამო ხახა გაშრობოდა და ნერწყვის მაგიერ ხორხში რაღაც მშრალმა და გამხმარმა ფურთხმა ჩაუარა.

დიდხანს იდგა და უცქეროდა.

კოლექტიველები ყიჟინით, ხმაურითა და ხალისით მოდიოდენ წინ.

— ეს სახლიც უნდა ამოვგლიჯოთ, — წამოიძახა ჰუსეინმა და ტაგიძის სახლისაკენ გაიშვირა ხელი. — ეს ისეთი დიდი და მავნე ჯირკვია, რომელიც ყველაზე მეტად დაუშლის ჩაის ბუჩქებს გახარებას.

ჰუსეინს ბრიგადელები სიცილითა და ხარხარით გამოეხმაურენ.

ტაგიძემ გარკვევით ვერ გაიგო ნათქვამი, მაგრამ მიხვდა, რომ ეს ხარხარი სწორედ მას დაეყარა როგორც სეტყვა, როგოც ტყვია.

ტაგიძე შეშფოთდა. შეძრწუნდა. ისე მჭიდროდ დახუჭა თვალები, რომ ჭუთუთოებ-გადაფარებულ თვალის გუგებში შავი დიდრონი წრეები დაე-

ხატა და თითქოს მასვე მძიმე სალტეებად შემოერკალა, თვალებ-გაუღებლივ შემოტრიალდა და აივნიდან ოთახში შეავარდა.

ყიჟინამ იმატა. ყიჟინა ზღვასავით ეხეთქებოდა ლურჯი შენობის კედლებს, ფანჯრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინდი გავრცელდა მაღლა მთებზე, დაქანებულ ფერდობებზე და მყუდრო მიწყნარებულ ჰაერშიც. და ამ ბინდში კოლექტიველებმა მუშაობა შესწყვიტეს. დაღლილ-დაქანცულები გაეშურენ სოფლისაკენ. საღამოს სიგრილეში მიდიოდენ კოლექტიველები და გარემო მყუდროებას სასიამოვნო სიმღერით აცხოველებდენ.

კმაყოფილი იყვნენ ხაბაზი, სულეიმანი, მურადი; კმაყოფილი იყვნენ ამ საერთო შრომის პირველი ნაბიჯით. თუმცა მათი ნამუშევარი ბევრი არ იყო, მაგრამ ის უხაროდათ, რომ სოფლის ღარიბი ნაწილის ერთი სურვილით ამოქმედება შესძლეს.

ასე ყოველ დილა მზის ამოსვლისას მიეშურებოდენ კოლექტიველები მოსახნავად გამზადებულ მიწებისაკენ და ერთად დაუზარელად მუშაობდენ.

მერვე თავი

— მაგათი ნაცვოდვილარი რა უნდა იყოს? იგიც თუ კოლექტივია და... ულელნახევარი ხარი ყავთ, იგიც ისთეა გამხმარი, რომე შეგეცოდება. პირმოცვეთილი ჯილღებით გაუტეხავ მიწას რავა დახნავენ?.. მე ვიცი, ტრაქტორები აქვენ თუ?!.

— მაი, ბ[illegible], კოლექტივი კი არა, რაცხა სხვაია. კოლექტივს უძახიან თავიანთ თავს, თვარა მე ვიცი მაგინიც სულ ტრაქტორით დახნავენ მიწას! რას მეუბნები, ბიძიავ, მაი ადგილი მწირი რო არ ყოფილიყო, ზედ ჩას მოყვანა რო შეძლებულიყო, ახმედა ისთე დატოვებდა? ისეთ ჩას გააშენებდა რომე, ჩაქვი და სალიბაური კი არა, კიტაელებისთვის ეჯობნა. შენ ეხუმრები ახმედას, ფული არ ქონდა თუ დეენანებოდა?

— მართალს უნობ, მართალს, ქე ვნახავთ ჩვენი ორთავე თვალით, რომე მაგ მიწას ისთევე მიაგდებენ. ყოვლი კაცი თავის გზაზე წავა და ისთევე თავის ყანას და ბოსტანს ჩაუკირკიტებს. სად გაგონილა მაქ ჩას ამოსვლა?!. პაპაჩემი, მემედ, სიმინდსა და ლობიას თესდა, ცოტა რაცხა ბრინჯსაც მეიყვანდა, ალლაჰს მადლობას ეტყოდა, ასთე იყო მამაჩემიც და აგინი ვინ გამეევიდენ ასეთი სოლომონ ბრძნები, რომე თელი ფართობი ჩა უნად დავთესოთო, აღარ მინდა სიმინდი და ლობიო, არ მა-კმა-ყო-ფილებსო!..

— როცხა გუუხმებათ კუჭი სიმშილით, ჩეიყარონ ი ჩა ცივ წყალში და მეიხარშონ, რავარც გაძღებიან, მაგასაც დევინახავთ.

— მართალია, მართალი შენი სიტყვა, ბილლაი, ასთეა!..

— შენიც მართალია, შენიც... ამას ლაპარაკი არ უნდა!

ასე საუბრობდენ ერთმანეთში მემედ ანანიძე და მამუდ გოგიტიძე. ისინი ერთმანეთს შეხვდენ მდინარე აჭყვას ხიდზე. გადმოდიოდენ ამ ხიდს,

შედიოდენ შიგ სოფელში და ერთმანეთს კვერს უკრავდენ, ადასტურებდენ იმ აზრების სისწორეს, რომელიც მათ გულში ბოლმასავით ტრიალებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

— სიცილის გუნებაზე ვდგები ხოლმე, როცა ვუცქერი ჭიანჭველებივით რომ ფუსფუსებენ. რა შეუძლიათ მაგინს? თვითონვე დეიშლებიან, თვითონვე.

— მაგას არ სჭირდება ბრეული მუსაიფი. რავა, მაგინი ააშენებენ ქვეყანას?

— სით გაგიწევია, მემედ?..

— აგერ, ზაფით გრძელიძესთან მივდივარ. ამას წინათ მითხრა, მუშა ხარს მოგყიდიო, და მინდა შევიძინო.

— რავა, მემედ, მაგდონი არ იცი, რომე დღეს საქონლის ყიდვა საბიფათოა. ნამეტნავათ შენიზა. საქონელი არა გყავს თუ? რა იცი რომე ხვალე არ ჩამოგართმევენ!

მემედმა გაიღიმა. აქეთ-იქით მიიხედა.

— ჩემო მამუდ, მაი უკვე ნაფიქრი მაქვს. სარფი არ მექნება, მარა აქ საქმე სხვაფერაა. ხარს რო ვიყიდი, რაცხას ვუზამ, ან ფეხს მოვტეხავ, ან თვალს დავუშავებ და დავკლავ, გავყიდი. ამას იმიზა ვშობი, რომე კოლექტივში არ შეიყვანოს. მუშა საქონელი კოლექტივს არ უნდა მეემატოს. მე თუ არ ვიყიდი, ხვალ ზეგ ზაფითი კოლექტივში შეიყვანს. ყველა კოლექტიველებმა რომ ასთე ქნას, კარგა გამაგრდებიან. ამას ხელი რო უნდა შევუშალოთ, აგი არ იცი?

— ჭკვიანი კაცი ხარ, მემედ, ჭკვიანი. მაგას მე ვერც მევიფიქრებდი.

— მამუდ, ამას სხვა ხო არავინ გეიგებს?..

— რავა გეკადრება. ჯერ თავი არ შემძულებია. მაგინმა არ დამიქციეს ოჯახი?.. ვინცხა ყაზილარ მოჯამაგირემ ქალი წამართვა. მოტყუებით წეიყვანა, თვარა ისთე რას გაჰყვებოდა.

სოფელში შევიდენ. ერთმანეთს დაშორდენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მემედი ზაფითის სახლის წინ იდგა და ხმამაღლა გასძახოდა.

— ზაფით! ერთ წამას გამოდი.

გამოჩნდა ზაფითი. მემედის დანახვაზე სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა. მისი დანახვა არ ესიამოვნა.

— რა გინდებიან?.. — შორიდანვე შეეკითხა ზაფითი.

— საქმე მაქვს, ზაფით ერ წამას მოდი აქ.

„ამ დილა ადრიანად კულაკი რომ მომდგომია კარზე, სოფელი რო დეინახავს, რას იტყვის? ამათი დამქაში ვეგონები“ — გაიფიქრა ზაფითმა და უგემურად გადააფურთხა. უხალისოდ გადმოსდგა ნაბიჯი, თანაც აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს ეშინოდა, მეზობლებს არ დაენახათ.

— რავა ზანტად ირჯები, ზაფით? შენი დამხრჩვალი ხარის საყიდლად მევედი, რომ მითხარი ვყიდიო. სარფიანი საქმეა, ზაფით. რას ვარგია ბენთეის იგი ხარი?

— რაო, მემედ, შენ არ იყავი ვარი რო მითხარი? ერთი თვის წინათ ხარის ყიდვა გთხოვე და ახლა მოგეპრიანა? არა, ბიძია, არა, აწი მე აღარ ვყიდი. მაგ ხარი მე მჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მეცალა, ზაფით, მიტომ დევიგვიანე. მაი სულ ... ?.. — და მემედმა უბეში ხელი ჩაიყო ამოაცურა ქაღალდის თუმნიანები, ჯერ დაუკეცავი და კრიალა. შეახედა ზაფითს, უნდოდა მადა გაეღვიძებინა.

ჩაფიქრდა ზაფითი. როდესაც ხარის გაყიდვა უნდოდა, მაშინ კოლექტივში შესული არ იყო. კარგად ახსოვს ზაფითს, რომ მემედმა უარი უთხრა. ახლა რამ მოაგონა მემედის ხარის საყიდლად გამოვლა?

„რაცხა ეშმაკობას მიწყობს აგი მე“ — გაიფიქრა ზაფითმა და ყვირილით უპასუხა:

— მა ფარას რო მიჩვენებ, დამახარბებ თუ?.. არა ვყიდი ხარს, ბიძავ, არა ვყიდი. ხარი ჩვენ გვინდებიან. კოლექტივში უნდა შევიყვანო. — და ზაფითი შეტრიალდა, ზურგი შეუქცია.

სახტად დარჩა მემედ. არ მოელოდა ასეთ შედეგს. გულში ბრაზის ჩაკვლით, და ლანძღვა-ბუზღუნით წავიდა. იმავე დღეს მთელს სოფელს ამცნო, რომ კოლექტიველი ზაფითი ხარის ყიდვას ეხვეწებოდა და ფასში ვერ მორიგდენ.

ზაფითი მოცილდა თუ არა მემედს, მაშინვე ბოსელში შევიდა. მიუახლოვდა თავის ცალუღელას და დაფიქრებული დიდხანს უცქეროდა. ვერ გადაეწყვიტა, შეეყვანა თუ არა კოლექტივში?.. გაემეტა თუ არა თავის ერთად-ერთი ქონება?.. რქებზე ხელი ჩასჭიდა, სახე თავისაკენ შეუტრიალა და თვალებში ჩახედა.

— მურეშა, მურეშა!.. მეუღლემ დაგაობლა. მარტო მოწყენილი ხარ. მემედის ხელში რავა ჩაგაგდებ?.. რა ვიცი, რას გიზამს? კოლექტივში წაგიყვან, ისევ ჩემთან იქნები.—წაელაპარაკა ტკბილი ხმით და ბოსელის კარებისკენ წამოიყვანა. უნდოდა კოლექტივში წაეყვანა კიდეც, მაგრამ კართან შეჩერდა შეყოყმანდა. ისევ თავის ადგილზე მიიყვანა. ოთახში შევიდა და ცოლს გაუზიარა თავის აზრი.

ცოლი ყუმბარასავით აფეთქდა:

— რავა, შენ რო შედი კოლექტივში იგი არ მეყოფა? ახლა ხარი მიგყავს?.. კაციც დავკარგო და ხარიც დავკარგო?.. დემექცა ოჯახი, დემექცა!..

არ ესიამოვნა ზაფითს ცოლის წინააღმდეგობა და ყვირილი. უფრო დაიჟინა ხარის წაყვანა და პასუხის გაუცმებლად ბოსლისკენ გაემართა.

— არ გაგატნებ, არ გაგატნებ!.. — მიჰყვიროდა ცოლი და სახეს ფრჩხილებით იგლეჯდა.

— რავა არ გამატნებ, შენი მონაგებია თუ?.. — გაჯიუტდა ზაფითი. თავის სიტყვის ასრულება გადაუხრელად უნდოდა.

ხარს ყელზე თოკი მოაბა, ხელი მოჰკიდა და ბოსლიდან გაიყვანა.

მისი ცოლი უფრო ხმამაღლა გაჰკივოდა, ხან კუდში ჰკიდებდა ხელს, ხან რქებში, მაგრამ ქმრის გადაწყვეტილებას ვერ აჩერებდა.

— კაციც დავკარგე და ხარიც. დემექცა ოჯახი, დემექცა!.. — ამ ხმამ გააცილა ზაფითი კარგა დიდ მანძილზე.

— საცა მე ვიქნები, აგიც იქინე უნდა მყავდეს, — ბუტბუტებდა ზაფითი და თანდათან მშვიდდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მემედ ალისთან მივიდა, ხარი მიიყვანა და თავის გადაწყვეტილება განუცხადა, კოლმეურნენი სიხარულითა და ტაშის ცემით შეეგებენ.

— აწი აღარაფერი გვიჭირს, ორი უღელი ხარი გვყავს. — წაილაპარაკა მემედ ალიმ და ფერდებჩაცვენილ პირუტყვს დააცქერდა, რომელსაც გავისა და მხრების ძვლები გამოსჩენოდა. ცოტა ხანს ჩაფიქრებული იდგა. მას მუშა საქონლის ასეთი სიგამხდრე აწუხებდა.

— საქონელს კარგათ უნდა მოუაროთ. ცოტა მოვაღონიეროთ, თვარა ასეთი ხარი არაფერს გაგვიკეთებს. ამას ერთ თვეს ნუ ამუშავებთ, საბალახოზე გაუშვით, მოსუქდეს, ფერდები ამეევსოს. — დაუმატა მანვე და ზაფითს მხარზე ხელის დარტყმით მიმართა.

— ბუძიევ, რა გიქნია აგი? აფერს აჭმევდი?.. გენანებოდა თუ?..

— მემედ ალი, სწორი კი არ ვქენი, მარა არაფერი გამაჩნდა. საბალახოზეც ვერ გავიყვანე, არ მეცალა. მერე კიდო ცალი ხარი რო მომიკვდა, გული გამიტყდა. აღარ მივხედე.—დარცხვენით უპასუხა ზაფითმა და ხარს რქაზე ხელი წაავლო. თავი ჩაქინდრა. გაჩუმდა. დანაშაული იგრძნო.

მ ე ც ხ რ ე თ ა ვ ი.

შეაღო თუ არა ოთახის კარი, შვილდიდან ასხლეტილ ისრებივით ეძგერა სულეიმანს ცოლის სიტყვები:

— თავს რათ კარგავ, კაცო, ჩვენ არ გეცოდებით? სახლკარს რომ თავი დავანებოთ, წელს ბოსტნისთვის არ მიგიხედია. ერთი მტკაველი საყანე გაქვს, ისიც მალე ხელიდან გამოგეცლება. — და ფერიდემ ორივე ხელით შავი აკრიალებულ გიშერივით ბზინვარე თმები გაიწეწა. სასოწარკვეთილი სახე მიიღო. მერე ორივე ხელი სახეში დაიშინა, ლოყებიდან შუბლამდე წითელი ლაქები დაემჩნა. სამფეხაზე ჩამოჯდა, ტახტზე მკლავები დააწყო და თავი შიგ ჩასდო.

— აღარც მიყურებ და აღარც გინდებვარ. კოლექტივია შენი ცოლი და შვილი. თლათ მოსპობილა ეგ თქვენი კოლექტივი, თლათ განადგურებულა, — დააყოლა გესლიანი ხმით და ტირილი ამოუშვა.

— კულაკებიც მაგას გაიძახიან, ფერიდე, შენ კი ნოღადიელის ცოლი ხარ... თუმცა ვისი შვილი ხარ?! — წაილაპარაკა სულეიმანმა დაბალი, მაგრამ მკაფიო გამოთქმით. მერე ხელი ჩაიქნია და შუაგულ ოთახში გავიდა. კუთხეში რვა წლის ალი იჯდა და დედმამას ფიქრიანი თვალებით შესცქეროდა. მისი პატარა და მოძრავი თვალები თითქოს მშობლებს ასამართლებდენ. თითქოს ცდილობდენ, გამოერკვიათ მართალი და მტყუანი.

სულეიმანი გაუნძრევლად იდგა. მისი სახის თითოეული ნაკვთი დაჭიმული იყო, თვალები დაგუბებული ელვარებით სავსე.

ეს რამდენიმე კვირაა, რაც თითქმის ყოველდღე ასე უხვდება ფერიდე ქმარს. სულეიმანი კი ითმენს, ჩუმად, უსიტყვოდ იტანს ცოლის თავდასხმას. ერიდება ჩხუბს, ერიდება გამწვავებას.

ალი რომ მოწყენილი და მარტო შენიშნა, ეწყინა. გულში მწარე ტკივილმა გაუელვა. შეეცადა მხიარული გამომეტყველება მიეღო და ბავშვს დაუძახა:

— ალი!..

ალიმ მამასთან მიირბინა. სულეიმანმა მკლავში ხელი ჩასჭიდა, ბავშვი ჰაერში აიტაცა და, როგორც ყოველთვის, ღიმილით შესძახა:

— ვაშენებთ კოლექტივს?..

— ვაშენებთ!.. — უპასუხა ალიმ.

— დაანებე თავი მაგ გიაურების მოგონილ ბუდეს. ეზიზღოდი კოლექტივიდან. დაინგრეს და მოისპოს ეგ თქვენი კოლექტივი!.. — კივილით მიაძახა ფერიდემ და ისევ ტირილი განაგრძო.

გულში ლახვარივით ხვდებოდა ეს სიტყვები, მაგრამ უხმოდ იტანდა. სულეიმანმა ფარაჯა გაიძრო. მივიდა ტახტთან. თავზე დაადგა ფერიდეს, რომელიც მღელვარებისგან თრთოდა. ფარაჯა ტახტზე მიაგდო. წელზე ბრაუნინგი ეკიდა. კისრიდან ტყავის თასმა მოიხსნა. ღვედზე დაკიდებული რევოლვერი მოიძრო. რევოლვერს ტუჩიდან მილში ჩახედა. ჩასცქეროდა დიდხანს და თანაც ხელში ატრიალებდა.

ფიქრობს სულეიმანი: „ნეტავი ერთი ისეთი ჯანსაღი სიტყვა მოვძებნო, რომ პასუხად გამოდგებოდეს და დააჯერებდეს, გააგებინებდეს იმ საქმის შინაარსს და ფასს, რომლისთვისაც სულეიმანი იბრძვის“.

თუ კი სულეიმანი ფერიდეს ეტყოდა: „მიყვარხარ, ფერიდე, შენი გულისთვის დავთმობ მთელ სოფელს, კოლექტივს, ყველას, ყველაფერს, ოღონდ შენს თვალებში ცრემლებს არა ვხედავდე“, — ფერიდე შველივით წამოხტებოდა, ჩამოეკიდებოდა კისერზე და კოცნაში გააქარწყლდა თავის ჯავრს. მაგრამ სულეიმანს ხმა ვერ ამოეღო. ოდესღაც მისთვის არ დაიშურებდა სისხლის უკანასკნელ წვეთს, უკანასკნელ სუნთქვას, მაგრამ ეს წინათ იყო, ათი წლის წინათ. შეიცვალა სულეიმანი. სულეიმანი კი არა, სოფელი შეიცვალა, ქვეყანა გადასხვაფერდა, და განა სასაცილო არ იქნება, რომ დღესაც სიყვარულს ისევე გამოჰხატავდეს, როგორც შეხვედრის პირველ თვეებში?!..

სულეიმანის გონებაში ფიქრები ისე მძიმედ დატრიალდა, როგორც დატვირთული ურმის თვლები.

„სიყვარული მონური გულის თვისებაა. სადაც სიყვარულია, იქ თავისუფლება შებოჭილია. ჩვენ მონობას ვსპობთ, მასთან ერთად ეს ავადმყოფური სიყვარულიც უნდა მოისპოს. ერთხელ ასე ქადაგებდენ: სიყვარულით მსოფლიო აშენდაო. ეს ხომ სიცრუეა. მსოფლიო მონებმა ააშენეს. დაკოჟრილი ხელებით, ოქროზე ნაყიდი ხელებით. არა, მე მჯერა სიყვა-

რულის, ოღონდ თავისუფლებას არ უნდა გვისპობდეს"... და ტრიალებდენ სულეიმანის ტვინში ფიქრები, დატვირთული ურმის თვლებივით მძიმედ, ჭრიჭინით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცბად სულეიმანის გაშტერებულ თვალებში მოძრავი სურათი ჩავარდა. გაშტერებულმა თვალებმა დაინახეს, როგორ მიირბინა ალიმ ტახტთან ბუდიდან რევოლვერი ამოიღო, თასმით კისერზე ჩამოიკიდა, ისეთივე სისწრაფით მიირბინა ფერიდესთან და რევოლვერის ტუჩი კისერზე დაადო.

გაშტერებულმა თვალებმა ათვისებული სურათი ტვინს გადასცეს. ტვინში კი ატრიალებული მძიმე ბორბალი ჩატყდა.

— ბაბა, ნენე კულაკია!?. — ბავშვური სერიოზულობით წამოიძახა ალიმ, პატარა სალოკი თითი კი ჩახმახზე ედო.

ფერიდემ კისერზე სიგრილე იგრძნო.

ფერიდე თავს მაღლა არ სწევდა და უკვირდა: ოთახში არ ცივა, რამ გაუყინა ბავშვს ტუჩები?!.

— გუშინ კოლექტივსა ვთამაშობდით და კულაკები მოვკალით. — წამოიძახა ალიმ და მამას მიაჩერდა.

არასოდეს არ უნახავს ალის მამის სახე ასე საშინელი და ასე უშნო. ამ სახემ შეაშინა ალი.

სულეიმანმა ხელები წინ წააგდო, თითქოს თვალებიც წინ გადისროლაო, მაღალი, მაგრამ ჩახლეჩილი ხმით შესძახა:

— ალი, რას შობი?!.

შეშინდა ალი, აცახცახდა, სახეზე მიწის ფერი დაედო. ხელები აუკანკალდა. გაუვარდა ხელიდან რევოლვერი, კისერზე ჩამოკიდებულ თასმას სასხლეტით დაეცა, რევოლვერის სიმძიმემ სასხლეტი დასწია და ყრუდ გავარდა. გასროლილი ტყვია ფილაქანს მოხვდა, აგურს ქიმი წააგლიჯა. მერე ალმაცერად გასრიალდა და კედლის ძირს ჩაესო.

ფერიდე დაფეთებული წამოხტა.

ხელებმა თავისთავად საკუთარი სხეული მოსინჯეს — ტანმა სადმე ჭრილობა ხომ არ მიიღო. რამდენიმე წამს ელოდა და თითქოს მთელ სხეულს უსმენდა, ტკივილს ხომ არ იგრძნობდა სადმე.

მწვანე ფერდგადაკრული, მუხლებჩაკეცილი დაეცა ალი.

სულეიმანი და ფერიდე ბავშვს მივარდენ, გულწასული ტახტზე დააწვინეს, საფეთქლებს და მაჯას უზელავდენ, წყალს აპკურებდენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ თვალი გაახილა. სახეზე ჩვეულებრივი ელფერი გადაეკრა. შეხედა დედას, მამას.

— კარგად ხარ, ალი?..

— არ გრცხვენია ნენე უნდა მოგეკლა?.. — შეეკითხენ მშობლები:

— ჩვენ გუშინ ახორში კულაკები მოვკალით. იცი, იგინმა კამეჩებს თვალები დასთხარეს. ყვიროდენ, კოლექტივი არ გვინდაო. ასე მარჯვედ არ გასროლილა. ახმედისა და უსუფას ბაღნებთან ვიყავი. მერე სათევზოდაც წავედით. — გამორკვევისთანავე ცოცხლად, განცვიფრებულად წაილაპარაკა ალიმ.

— ნამდვილი თოფი აი არი, ბაბა?..

— ხო, ალი, ეს არის.

შემთხვევით გასროლილ ტყვიას გადურჩა ფერიდე. მშრომელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. სიხარულის პატარა სხივმა „ბანდიტების" ბიბლიოთეკა ეთამაშებოდენ და ეხუმრებოდენ ალის, რომელიც უკვე წამოხტომას აპირებდა.

— სულეიმან!..

— რა, ფერიდე?..

— მითხარი, არ გინდებვარ?..

— ჩვენ რვა წელიწადი ერთად გვიცხოვრია, განა როდისმე გიკითხავს მაგი?..

— არასდროს...

— არც არის საჭირო... ხომ იცი...

— მაშ კოლექტივიდან გამოდი. მამაჩემი თავის ბაღის ნახევარს მოგვცემს, ერთხელ მითხრა კიდევაც. კარგად ვიცხოვრებთ, ყველაფერი გვექნება, — მომხიბვლელი ენით სთხოვა ფერიდემ, თანაც მხარზე ხელი გადაუსვა. მიუახლოვდა. მიეკრა. თითქოს ისეთი დრო იხელთაო, როდესაც სულეიმანს დაიყოლებდა და დაითანხმებდა. მაგრამ სულეიმანი ზეზე წამოხტა, სწრაფად და დაბეჯითებით გაიტარა გონებაში: „ეს კულაკური გეგმაა, ჩემის საშუალებით თავი უნდათ გადაირჩინონ, რვა წელიწადი გავიდა და მამუდს მიწის ნაგლეჯი არ მოუცია, ახლა რა მიზეზით იმეტებს?"

კართან მივიდა. გამოაღო და გადიხედა გორაკებისაკენ, საიდანაც შავი ხავერდივით მოსჩანდა კოლექტივის მოხნული მიწები.

ფერიდე პასუხს ელოდა.

სულეიმანმა ფარაჯა ჩაიცვა, გარეთ გავიდა და კარებთან ნერვიულად წარმოსთქვა:

— არა, კოლექტივს თავს არ დავანებებ!..

მეათე თავი

ამბავი გავარდა ქობულეთს:

„საერთო შრომა" ხვნას შესდგომია, იარაღი ნაკლებად აქვთ, დახმარება დასჭირდებათ. ოცდაათ ჰექტარს ასი კაცი ძლივს მოერევა, ოცდაათი რას უზამს? მათ გაიგეს ისიც, რომ ძირკვაში ეხმარებოდენ ბავშვებიც და რომ „საერთო შრომელები" ენტუზიაზმით შეუდგენ საქმეს.

ამბავი გავარდა ქობულეთს, რომ კოლექტიველებს დახმარება ესაჭიროებათ და, მართლაც, კომკავშირის რაიონულ კომიტეტში გადასწყვიტეს შაბათობა მოეწყოთ, ყველა კომკავშირელი დასახმარებლად წასულიყო.

მემედ ალი დიდი ხანია რაიონიდან ჩაის თესლს ელოდება დიდი ხანია რაც ხვნას შეუდგენ. მალე თესლიც დასჭირდებათ, მაგრამ ჯერ არ უგზავნიან, ჯერ არ მიუღიათ.

კოლექტივის ზოგიერთ წევრებში მითქმა-მოთქმაა:

— ეგება ტყვილაი ვნახავთ?..

— თესლი რომ არ გამოგვიგზავნონ, რალაი ვქნათ? არც ჩვენ შეგვიძენია რამე თესლეული...

— ბრინჯი მაინც დაგვეთესა, ან ლობიეი, ქალ-ბალღის საჭმელს მაინც მივიღებდით.

ამ მითქმა-მოთქმას პროვოკაციაც დაემატა ზედ:

„ჩას თესლი თლად გადამწვარა, ცუდათ მოუვლიათ და გაფუჭებულა“.

კოლექტივის წევრთა ნაწილს იმედი გაუცრუვდა. ისინი უგულოდ და ყურჩამოშვებული მუშაობდენ. ეგონათ — მათი მკლავი ამაოდ ხნავდა, ამაოდ ებრძოდა მრავალი წლის განმავლობაში დაუხნავ-გაუტეხავ მიწას.

მხოლოდ მემედ ალის სჯეროდა, სჯეროდა ჰუსეინს, სულეიმანს. მათ იცოდენ, რომ თესლს აუცილებლად გამოუგზავნიდენ. და რომ არც გამოგზავნონ, ისინი მაინც იბრძოლებენ თესლისათვის. საკითხს რაიონულ კომიტეტში დასვამენ, საოლქოში გადაიტანენ, მიმართავენ ცეკასაც და დამნაშავეს გამოამჟღავნებენ, გამოააშკარავებენ მას, ვინც კოლექტივში თესვას ხელს უშლიდა.

მემედ ალი ფიქრობს, რომ გაზაფხული ყველასათვის ერთნაირი არ არის, რომ ზოგი სტკბება უდარდელ ცხოვრებით, მზით, სითბოთი და ყვავილებით, ზოგი შრომითა და მუშაობით. ფიქრობდა მემედ ალი, რომ მისი კოლექტივისათვის ეს გაზაფხული ბოლშევიკური გაზაფხულია, აგრონომიული ბრძოლის გაზაფხულია. სწორედ ამიტომ მემედ ალი იქნება ულტობელი ყველას წინააღმდეგ, ვინც ამ ბრძოლაში აშკარა თუ ფარულ წინააღმდეგობას გაუწევს, წინააღმდეგობას კი მხოლოდ ისინი გაუწევენ, ვინც გაზაფხულში ხედავს მხოლოდ ამწვანებულ ბალჩა-ბაღებს, მზის ბრწყინვალეებით და სითბოთი მოფენილ ვარდ-ყვავილებს და ფრინველთა უზრუნველ ჭიკჭიკს.

სჯეროდა მას დაწყებული საქმის წარმატებით წაყვანა და მუშაობაში სიმარჯვე და სიხალისე შეჰქონდა.

როდესაც ჩაის დასათესად დაქანებულ ფერდობებზე არხებს სთხრიღენ, მათ თავი ბრძოლაში ეგონათ. წარმოდგენილი ჰქონდათ კლასობრივი მტრის საწინააღმდეგოდ სანგრების თხრა.

ერთ დღეს რიჟრაჟზე, როდესაც სოფელმა ის-ის იყო გაიღვიძა და წელზე ღვედს ირტყამდა, რომ მუშაობას შესდგომოდა, შორიდან გასაგონი ხმით სიმღერა მოისმა.

სწორედ ამ დროს მოდიოდენ სახნავებისაკენ „საერთო-შრომელებიც“ ზლაზვნით და ზანტად მოაბოტებდენ გილდიზა და მურეშა, იცოხნიდენ ლაყუჩებში გადმომსკდარ ქაფს და მოჰყვებოდენ საერთო ჟრიამულს ჭკვიანად, აუჩქარებლად. მათ წინ უძღოდა ქიცილა. მემედ ალიმ ქიცილა მეჩრედ გადაიყვანა. ვეღარ აცდენდა და ვერც აბეზრებდა თავს ლაპარაკით ხალხს. ის დღემუდამ თავის მუშა საქონელს უვლიდა. ის მათაც გულმოდგინედ ესაუბრებოდა, მაგრამ ისინი არა სცდებოდენ, თავიანთ საქმეს

მაინც აკეთებდენ. მოსწონდა კიდეც ქიცილას ეს თავისი ახალი სამუშაო.

შორი სიმღერა თანდათან გაიზარდა, ის ჰაერს აპობდა, როგორც მოგუგუნე ზარი და ეს სიმღერა სოფლისათვის უცნობი და ჯერ გაუგონარი, იშლებოდა ბარზე, თითქოს წვებოდა ბალახებში და ყუჩდებოდა, მაგრამ ბგერების ახალ-ახალი ტალღები განუწყვეტლივ მოდიოდა.

მალე სიტყვებიც გაირკვა:

„დედავ, გამიშვი აჭარაშია...
ჩემი გოგო გადმომდგარა ფანჯარაშია...
გული მიღელავს, როგორც ზღვაშია...
კოლექტივი დაწყობილა აჭარაშია...“

ეს სიტყვები გაისმა როგორც სიხარულისა და აღტაცების ხმა, ძლიერებისა და მხნეობისაკენ მომწოდებელი.

კოლექტიველების სხეულში ერუანტელმა დაირბინა. სახეგაუბრწყინდათ. ღიმილი გადაეკრათ ტუჩებზე, თვალებზე.

მემედ ალიმ ვეფხის ძალა იგრძნო სხეულში. სმენა მოიმარჯვა და გაჰყურა. ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა. თვალ და გულგაშტერებული ოცნების მაგვარმა ფიქრებმა შეიპყრეს. გვერდზე მდგომ სულეიმანს მხარში ხელი ჩასჭიდა და აღტაცებით წამოიძახა:

— სულეიმან, ისინი ჩვენთან მოდიან, გაჰხედე, კომკავშირელებია, თესლიც მოგვიტანეს.

სულეიმანი აუჩქარებელი მოძრაობით აჰყვა მის მკლავს და გაჰხედა თემშარას, სადაც უკვე უსწორმასწორო, მაგრამ მაინც დაწყობილი რიგებით მოაბიჯებდენ სოფლისაკენ. გაჰხედა უმოძრაო სახით და დაბალი ხმით უპასუხა:

— ვისთან მოვლიან თუ არა ჩვენთან?.. კომკავშირელები კულაკებს ხომ არ ესტუმრებიან? კარგია, მემედ ალი, რომ უფიქრიათ. კიდო გვიან არ არის, თვარა ბევრს გული უტყდებოდა. მე კი არა, არ გეგონოს ჩემს ფიქრებს ვამჟღავნებდე, მე შენთან ერთად-ერთიც რომ დავრჩე. გული მაინც მთელი მექნება,—ლაპარაკობდა სულეიმანი დაბალი და მოწყენილი ხმით. ის იხედებოდა პირდაპირ; თითქოს არც რამეს ხედავდა, არც ვინმეს. თვალები ჰქონდა გაყინული, მაგრამ წყლიანი.

— სულეიმან, შენს ხმას ვერ ვცნობილობ, დარდიანი ხარ?!. — შეუბრუნდა მემედ ალი პირსპირ და განცვიფრებით შეეკითხა. სულეიმანს ფიქრი დააცადა პასუხისათვის, მაგრამ მას ხმა არ ამოუღია. ისევ მემედ ალიმ განაგრძო:

— კოლექტივმა თუ გამოგცვალა? შენგნით მაინც მიკვირს. იქნებ არ მოგწონს ეს შეერთება? მაშ რამ შეგაწუხა?..

— არა, მემედ ალი, სულ სხვა არის. კოლექტივი მინდა ჩემი ოჯახი იყოს. მაგრამ ჯერ არ გამოდის. ჩემ კერიასთან რომ ოჯახი მაქვს, ჯერ-ჯერობით იმას ვყევარ მაგრად ჩაჭირული. ისიც ჯერ კიდევ ოჯახია. ჩვენგან ბევრ რამეს მოითხოვს, მეც მისგან...

— მერე, არ მესმის!..

— აი, მე რომ მინდა კოლექტივს გული და ძალა შევალიო, იქ ოჯახში-იქ სულ სხვაა... — აზრი ვერ დაამთავრა, თითქოს თვითონაც დაიბნა და ენაც აერია. ერთი კი ახედა მემედ ალის. მემედ ალისაც — რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სულეიმანმა ხელჩაქნევით წარმოსთქვა:

— არის, მემედ ალი, რაღაც... — და ამ სიტყვებთან ერთად რამდენიმე ნაბიჯით წინ წაასწრო.

მას არ შეეძლო გულმშვიდი ლაპარაკი. ფიქრობდა გულში:

„რა ცუდია როცა ყველაფრის თქმა ვერ ხერხდება". ბოლმა, რომელიც გულში ჰქონდა, ულრღნიდა ტვინს, ძარღვებს, სხეულს. გრძნობდა, რომ ეთქვა ვინმესთვის, უსათუოდ მდგომარეობა შეუმსუბუქდებოდა, თავისუფლად ამოისუნთქავდა. თვალწინ ედგა ფერიდე, რვა წლის მეგობარი, რომელსაც რვა წლის შრომა და სიყვარული შეალია და დღეს კი მათ შორის წინააღმდეგობა იკიდებდა ფეხს.

გამოჩნდა ალისფერი დროშა, ოქროსფრად წარწერილი ასოებით. შეწყდა სიმღერა ამ სიტყვებით:

„კოლექტივი იარსებებს აჭარაშია!.."

და მწყობრი შეჩერდა.

— ჰუსეინ, მიეგებე! — გადასძახა მემედ ალიმ ჰუსეინს, რომელიც თითქმის ყველაზე წინ წასულიყო.

შეტრიალდა ჰუსეინი, გამოჰხედა მემედ ალის და ჰკითხა:

— კომუჯრედის სახელით?..

— კომუჯრედის კი არა, კოლექტივის...

ჰუსეინის მოკლე სიტყვამ და რამდენიმე ვაშას ძახილმა მისალმება ამოსწურა. ყველა მოსულების ირგვლივ შეიკრიბა.

— სალამი, ხოშნეთ. ხომ მიცანი?.. — ხელი გაუწოდა მემედ ალიმ კომკავშირელთა შორის მდგარ ქალს.

ხელი ჩამოართვეს.

— როგორ არა, ხაბაზი ხართ... — უპასუხა ქალმა.

— თქვენ რიღასთვის?.. დახნავთ თუ?..

— არა, მე აღმასკომიდან ვარ.

— აბდული რას შვრება?..

— აბდული... ხო, აბდული მუშაობს. ხვნაზეა. იმას ხომ მიწა ბევრი აქვს. გაზაფხული არ არის?!. ყველა მუშაობს...

ხოშნეთი აილეწა. ცეცხლისფრად აუფერადდა უჩადრო სახე. აბდულის ხსენებამ შეაშფოთა. თეთრ პირსახეზე ხომ ადვილად გადარბენს ცეცხლის ალი. მას ვერ დაჰფარავს ისეთი შავი გადაწვენილი წარბებიც კი, როგორიც ხოშნეთს აქვს. ვერ ჩააქრობს ამ ალს ისეთი ვარდისფერი ტუჩების ღიმილი, ხოშნეთს რომ შეუძლია მოიმარჯვოს; ვერ დაჰფარავს მისი შავი, ხშირი თმა, ჩამოშლილი, უკან გადავარცხნილი.

— ქალთა კომიტეტმა თქვენს სოფელზე მომამაგრა ქალთა შორის მუშაობის ჩასატარებლად.

— კარგია!.. დიდი ხნით?.. — შეეკითხა მემედ ალი, რომელიც განცვიფრებული იყო მისი დაბნევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ექვსი თვით.

სულეიმანი ჩუმად უსმენდა. შესცქეროდა ხოშნეთს და უხაროდა, რომ აჭარელი ქალი უჩადროდ იდგა ამოდენა მამაკაცთა შორის. წარმოიდგინა ფერიდე, უსიამოვნება ჩადრის ახდის ნიადაგზე, და სულეიმანი შეჰნატრის ხოშნეთს, რომელსაც გადახსნია გონება და გონებასთან ერთად სახეც.

სულეიმანს ფერიდესთან ბრძოლა სჭირდება ჩადრის მოხდისათვის, მაგრამ არ იცის სულეიმანმა თუ რა ბრძოლა დასჭირდა ხოშნეთს ქმრის წინააღმდეგ, როდესაც ის ჩადრს იხდიდა.

ხოშნეთი რომ სადმე მიდიოდა, გარეთ გავიდოდა თუ არა, მაშინვე ჩადრს მოიხდიდა, მაგრამ ამბავს მოუტანდენ ქმარს და ქმარიც პატივის შელახვისათვის ეჩხუბებოდა და სცემდა ხოშნეთს. ის მაინც არ იშლიდა. დადიოდა ქალთა კრებებზე და ერკვეოდა მუსულმან ქალის მდგომარეობაში, ჩადრის ზედმეტობაში.

მოჰბეზრდა ხოშნეთს ჩადრის ყოველ გადახდაზე ქმრის მუშტები და წიხლები. ერთხელ კი, ეს იყო სამი თვის წინათ, გაბოროტებული ხოშნეთი შევარდა რაიონულ პარტკომში და შესჩივლა:

— თქვენ ამბობთ, რევოლუცია მოახდინეთ, ქალი გაათავისუფლეთ? აბა სად არის თავისუფლება? მე ჩადრის ტარება არ მინდა და ქმარი მცემს. მე თავისუფლად ჯამაათში გამოსვლა მინდა, მუშაობა მენატრება და სიკვდილისა კი მეშინია... ეს არის ქალთა განთავისუფლება?.. ეს არის გათანასწორება?..

მაშინ ხოშნეთი დააწყნარეს, აუხსნეს, რომ შეგნება არ შეიძლება ადამიანის ტვინში უცბად ჩასდო, ის თანდათანობით უნდა შეიჭრას გონებაში.

რა გარდატეხა მოხდა სამ თვეში!.. ვერ მიმხვდარიყო მემედ ალი და უკვირდა ხოშნეთის აქ ყოფნა. ის კარგად იცნობდა აბდულს, მის ქმარს. იცოდა, რომ ცოლს არ გამოუშვებდა ასეთ სამუშაოზე, მაგრამ შეკითხვას ვერა ჰბედავდა.

— კოლექტივის სახნავებში ხომ წამოხვალთ?.. ნახეთ, როგორ შეესევიან სამუშაოს ჩვენი ბიჭები...—შესცვალა ლაპარაკის საგანი მემედ ალიმ...

— კოლექტიველებსა და კომკავშირელებს შორის ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრი გაიშლება. ვნახოთ ვინ აჯობებს. — აღტაცებული ხმით უპასუხა ხოშნეთმა და მემედ ალის მხარში გაჰყვა.

კომკავშირელთა უკან ურემი იდგა. ურმებზე ჩაის თესლით დატენილი ტომრები ეწყო.

კოლექტიველებს გაეხარდათ, რომ მაზრამ უყურადღებოდ არ დასტოვა. თესლიც გამოუგზავნა, მუშა ხელიც.

გაემართენ ერთად სახნავებისაკენ და ერთმა მძლავრმა მოგუგუნე სიმღერამ მოიცვა არე. სიმღერა სოფელში, როგორც განახლების ქარიშხა-

ლი, ისე ეკვარდა, გააღვიძა მთელი სოფელი. კოლექტიური შრომის ამ ძლიერმა, კოლექტიურმა ხმამ საერთო შრომის მტრების გული ბოლმით ააგსო, ხოლო ახალ ცხოვრებისკენ აღმავალ ადამიანთა სახეებზე საერთო ბრძოლისა და გამარჯვების შუქი აანთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახნავებზე კი ეწერი მიწის მშრალი ბელტები ტრიალებდა.

მეთერთმეტე თავი

დაღამდა. ლურჯი თაღი ვარსკვლავებით მოიჭედა. გარკვევით მოსჩანდა ირმის ნახტომი და დათვის თანავარსკვლავები და საერთოდ ვარსკვლავები სეტყვასავით ეყარა ცაზე.

ჰაერი ლურჯად კამკამებდა.

ზღვა ამ დროს იყო წყნარი, მშვიდი, ჩუმი, მდორე მდინარეზე უფრო უხმო და უშფოთველი.

შუაღამიდან სანაპიროზე სამზადისი იყო.

რიჟრაჟიდან რამიზი ზღვის ღორებზე მიდიოდა სანადიროდ. მირზა და უსუფა ბრაზმორეულნი ეძებდენ რამიზს. თვითონ უკვე გაემზადებინათ ბარკასები, ბადეები, იარაღი და მხოლოდ ასეთ მშვიდსა და წყნარ ღამეს ელოდენ, რომ მზის ამოსვლისას ზღვაში გასულიყვნენ.

— ბადეები მზადა გაქვს? — შეეკითხა რამიზი თავის ამხანაგს.

— აბა მეტს რას ვაკეთებდით!

— თოფის წამალი?..

— საკმაოდ.

ქვები?..

— სავსეა ბარკასი.

— დანები?..

— ბევრი... საჭმელ-სასმელიც. იქნებ ზღვის სიცივემ დაგვკრას, არაყიც წამოვიღე. გაგვახურებს.

ღამე ძალიან დინჯად მიდიოდა. ვარსკვლავები თითქოს იფერფლებოდენ, ციმციმებდენ, ნაცრისფრად იცრიცებოდენ.

ძალიან დინჯად დნებოდა ღამე. მთვარეზე ლაპარაკი არ მინდოდა, მაგრამ რადგან ისიც დნება, ვიტყვი: ზედმეტი იყო მისი შუქი ამ ლურჯ გარიჟრაჟზე. ის არც ანათებდა და ანათებდა კიდეც. მე მგონია, უფრო თვით ცა ივსებოდა მზის სინათლით და ამ ცისკარიდან საცაა ცისმარა დილა გამოვიდოდა.

მეთევზეებმა ბარკასები ნაპირიდან ზღვაში შეაცურეს. იალქნები აუშვეს. ახედეს ცას, გადაჰხედეს ზღვასაც და გაემგზავრენ.

აქა-იქ უფერული და უფორმო ნიჟარები ჩნდებოდა. ცურავდენ ისე, როგორც ზღვის შინაგანი ტალღის ცემა უკარნახებდათ.

სივრცის ჰორიზონტი თანდათან ფართოვდებოდა. იშლებოდა ბინდის ბურუსი.

მოაპობდა ხუთი პატარა ბარკასი ზღვას, მიისწრაფოდენ ჰორიზონტისკენ, რომელიც თანდათანობით უფრო გარკვევით იხაზებოდა და შორდებოდა კიდეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენიმე კილომეტრი გასცურეს.

აქა-იქ თითო-ოროლად ხვდებოდენ ზღვის ღორებს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდენ. მათ უნდოდათ მიეგნოთ იმ ბუდისათვის, სადაც ათასობით იქნებოდენ თავმოყრილნი.

გათენდა. გამოჩნდა სისხლივით წითელი მზე. ზღვის ზედაპირი ტალღებად იმტვრეოდა. ცაზე ღრუბლის ნაფლეთებიც გამოჩნდა. ბარკასები კი მიცურავდენ შუაგულ ზღვაში. მეთევზეები ეძებდენ სანადირო ბუდეს.

ზღვის ნიავმა წაინავარდა. იალქნები შეარხია, ზღვის სისინი მიჰქროდა უსასრულო სივრცეზე.

რამიზმა ორთავე ხელი ბინოკლივით მოიმარჯვა თვალებთან, შორს შენიშნა ზღვის ღორები, ჯგუფ-ჯგუფად ჰყოფდენ ზღვიდან თავს და ისევ შიგ იძირებოდენ. ბარკასი იქით წამართა. რამდენიც შორს და კვალდაკვალ მიჰყვებოდა, იმდენად იზრდებოდა ეს ჯგუფები.

— ბადე აქ უნდა გადავაგდოთ... — გადასძახა რამიზმა ამხანაგებს, რომელნიც მის ბარკასს კვალდაკვალ მიჰყვებოდენ. იალქნები დაუშვეს. შეჩერდენ. უზარმაზარ ნახევარ კილომეტრიან ბადეს შემოეხვია ყველა.

გახსნეს, გაშალეს და გადაუშვეს. ბარკასებზე მიბმული იყო ხელნავები, რომლითაც ბადის ნაპირები გადასჭიმეს.

გადიშალა ბადე ფართედ, მთელ თავის სიგრძეზე, და ნელინელ შიგ ჩასძირა.

რამდენიმე ბარკასით შორიდან შემოუარეს ზღვის ღორების ჯგუფს და შუაში მოიმწყვდიეს: მოიმარჯვეს თოფები და ქვები. ამ შუაგულ ზღვაში უზრუნველად მოყურყუმალავე ცხოველებისათვის ატყდა საშინელი ყიჟინი და ღრიანცელი. მას ზედ დაემატა ცარიელ ვაზნებიანი თოფების სროლა, რომ მხოლოდ ხმა გაღებულიყო, დაებრუხოთ ეს ზღვის ცხოველთა ქარავანი და დაეძრათ ბადისაკენ. ესროდენ თითო-ოროლა ქვებს და თანდათანობით მართლაც ყველას ბადისაკენ მიერეკებოდენ.

დასავლეთიდან შავი ღრუბლები წამოიშალა, აღმოსავლეთით კი იალკალი შემოეპარა ცას, ასე რომ მზეს ღრუბლებში სჭირდებოდა ძრომა. აქამდე სარკესავით აკრიალებული ზღვის ზედაპირი გამუქდა, გაშავდა.

დაჰქროლა ქარმა. საიდანღაც აიშალა მთელი წყება მეთოვლიების გუნდებისა. მათ თეთრად დაფარეს ცა.

მეზღვაურები ერეკებოდენ ზღვის ღორებს. ზღვის ზედაპირი თეთრი ქაფით გადაიფარა ქვების ხშირი დაცემისა და ზღვის ღორების ამოხტომისაგან.

ბარკასები კვალდაკვალ მისდევდენ.

ქარმა ტალღები აამღვრია. ღრუბლები აიშალა და დაჰფარა მზე. მეთევზეებმა ცას აჰხედეს. მუქი თალი იცქირებოდა ზევიდან.

„დარმა გვიღალატა“... გაიფიქრეს ჯავრიანად და სიბრაზისაგან უფრო მოუხშირეს თოფის სროლას, ყიჟინს, ქვების სროლას, თითქოს ამით უნდოდათ წაეშალათ ეს ბუნების უსიამოვნო მოვლენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადეს მიუახლოვდენ. ზღვის ღორებმა გასცურეს ბადე. ნაწილი შიგ ჩარჩა, ნაწილი გასხლტა. მეთევზეები ეწევიან ამ უზარმაზარ ბადეს. ეზიდებიან ბარკასებისაკენ. ამოსწიეს. ამოიღეს. დააგდეს ბარკასზე. ხსნიან. შიგ მოყოლილია ათამდე ზღვის ღორი. ზოგი მათგანი შვიდრვა ფუთს აიწონის. გადმოატრიალეს ბადე, გადმოყარეს.

ამ დროს ჭყივილით, ტირილის მაგვარი ხმით, ნავებისაკენ მოისწრაფოდა პატარა დელფინი. ის პირდაპირ ნავზე ამოხტა. ერთ მოზრდილ დედა-ღორს მიეკრო.

მეთევზეები არასოდეს არ მოკლავენ პატარა დელფინს. ის უნდა გაიზარდოს ზღვაში.

მეთევზეებმა დანებით მუშაობა დაიწყეს. ალესილ პიოს ფრთის ძირში არტყავდენ. სისხლისაგან სცლიდენ, ჰკლავდენ.

ნავში ამომხტარი პატარა დელფინი უკანვე გადააგდეს. ის მხოლოდ წუთით ჩაიძირა შიგ, ისევ ამოჰყო თავი, ისევ მოცურავს ნავისკენ. შემოსტირის ქვევიდან, არა შორდება იმ ნავს, სადაც მისი დედა გდია. ნავში კი გამალებით სველდება დანები თევზების ფრთების ქვეშ. ნავში ფართხალია, სასოწარკვეთილი ხტომა, მაგრამ მეთევზეების ფეხი და მკლავი ძლიერია, მათ მარჯვენას ვერ გაუსხლტებიან.

ისევ ამოხტა პატარა დელფინი. დედას გარშემო უფართხალებს. თითქოს ეხვევა, შესტირის, ეგლასუნება, მაგრამ მისი ჯერიც მოვიდა. მისი დედის ფრთის ქვეშაც ჩაიძირა დანა. გამოასხა სისხლმა. კარგა ხანს ფართხალებდა, მერე გაშეშდა. ერთმა მეთევზემ პატარასაც ჩასჭიდა ხელი, ზღვაში უნდა გადაეტყორცნა, მაგრამ რამიზმა უთხრა:

— ჩაჰკარი მაგასაც ჭანგალი, სულ ერთია არ მოგვეშვება, ჭყვირილით აგვიკლებს!..

და, მართლაც, ვიდრე პატარა უწყლობით თვითონვე გაშეშდებოდა, გადაუწიეს პატარა ფრთა და მჭრელი სისხლიანი დანა ჩაჰკრეს. ისიც დედის გვერდით დაეგდო.

მეთევზეებმა გადაჰხედეს ნანადირევს. ეცოტავათ და ხელმეორედ გადააგდეს ბადე.

ხელმეორედ მოუარეს ზღვის ღორების ჯგუფებს და იწყეს ისევ სროლა ქვების, თოფების, ყიჟინა, ყვირილი, ხელმეორედ ერეკებოდენ ბადისაკენ. ახლა ატეხილი ქარის ღრიალიც, ამღვრეული ტალღებიც ეხმარებოდენ ხმაურში. ბარკასებმა ქანაობა დაიწყეს, შეირყა მათი სიმტკიცე.

მეთევზეები ჩაფიქრდენ. ეწეოდენ ბადეებს და ფიქრობდენ: „ამაოდ ხომ არ ვკარგვთ ძალღონეს?.. მერე რა დამძიმებულა ეს ბადე! რამდენი ლუნუზი იქნება შიგ?!“

მაგრამ უკვე ისეთი წუთი დადგა, როდესაც თავის შველაზე უნდა ეფიქრათ. რაც შეიძლება მალე უნდა მიეტოვებინათ ბადეც, დელფინებიც, ზღვაც, და ნაპირისკენ მოუსვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ნაპირისაკენ, თორემ ქარი მძლავრდება, ტალღებს და ტალღა მძლავრად ეხეთქება ბარკასებს, აქანავებს, არყევს.

მიატოვეს ბადე. აუშვეს იალქნები და მისცურავენ.

რამიზის გამოცდილი მკლავი ხელმძღვანელობდა იალქნებს. ის ხან ერთ მხარეს დაუშვებდა, ხან ორთავეს, რომ ქარს არ წაეღო ბარკასები. მათი გული და თვალი ელვასავით მიისწრაფოდა წინ, სიცოცხლის გადარჩენის წყურვილი ცეცხლივით ამღვრევდა მათ სისხლს, ბრაზს, თავგამეტებას.

მეიალქნეების გარდა ყველანი ნიჩბებით იდგნენ და ნავში შემოსხმულ წყალს უკანვე ღვრიდენ.

ტალღები ხელნავებს ნაფოტებივით ათამაშებენ, თითქო ზურგზე იგდებენო, ზევით ისვრიან და ისევ სწრაფად აქანებენ ქვეით.

ჯერ კარგა მანძილი იყო გასაცურავი ნაპირამდე. რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენად უცრუვდებოდათ გადარჩენის იმედი. ერთად-ერთი რამიზი იყო გაუტეხავი. ვიდრე წყლისაგან სუნთქვა არ შეეკვროდა, ვიდრე არ დაიხრჩობოდა, არ დაიჯერებდა ქარაშოტისგან დამარცხებას. მისი განკარგულებით ბარკასები ერთმანეთს შორი-ახლოს მიუყენეს, რომ ვინმეს განსაცდელის დროს შველა შესაძლებელი ყოფილიყო, ოღონდ არც ისე ახლოს, რომ ქარსა და ტალღებს ნავი ნავისათვის დაეჯახებინა და დაემსხვრია.

ბრძოლა გამწვავდა ისინი უკვე ოღრინებოდენ. ნიჩბები ხელებში ემტვრეოდათ.

აზიდა ერთი ბასკასი ტალღამ, თითქოს ყალხზე შეაყენაო, და მერე სწრაფად დაფერდილი დაუშვა დაბლა, ამ დროს ქარმაც დაუბერა და ბარკასი გადაატრიალა. გადმოცვივდენ შიგ მსხდომნი. ჩაეჭიდენ ნაპირებს, მაგრამ ბარკასი წყლით აივსო და ჩაძირვა დაიწყო. გადმოცვენილნი ამღვრეული თვალებით დანარჩენ ბარკასებსაკენ მიცურდენ და ზედ ავიდენ.

ამ დროს შორს ზღვაში შვილდისოდენი გემი გამოჩნდა.

— გემი, გემი! .. — წამოიძახეს თითქმის ერთდროულად.

სიხარულის ზღვა ჩაიღვარა მათ გულში და იმედის ნაპერწკალი დაენთო.

— რაფერ გავაგებიოთ, რომ გვიშველონ? — წამოიძახა უსუფმა ჩამშრალი და ჩახლეჩილი ხმით.

— რაც ფიშეკები გაქვთ, ყველა დასცალეთ, დეიძახეთ, იკივლეთ, გემი არც ისე შორს არის, დაგვინახავენ, ხმას გაიგებენ, მოგვეხმარებიან, — სთქვა რამიზმა და თოფებისაკენ გადაიხედა.

ამღვრეულ ზღვასა და ბუნებაში ასტყდა თოფების სროლა. ყველა გაჰკიოდა, რაც უნარი და ძალა ჰქონდათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვიშველეთ!.. აქეთ!..

გემს ბათომის მიმართულება ეჭირა. ბედზე ქარის მიმართულებაც იქით იყო. ეს ყიჟინა და ეს სროლის ხმა ქარმა გემთან მიიტანა.

მეთევზეებმა შენიშნეს, რომ გემი თითქო შეჩერდა, და პირი იბრუნა. თოფებს განუწყვეტლივ ისროდენ. გაჰკიოდენ.

ქარტეხილიც დატრიალდა და ჰაერში უკვე ტალღების სვეტებს ატრიალებდა.

ზოგმა სროლას მიანება თავი. ბარკასები წყლით ივსებოდა, ისევ ნიჩბებს მოჰკიდეს ხელი, ბარკასების დაცლას შეუდგენ.

გარკვევით გამოჩნდა — გემი მეთევზეებისაკენ მოცურავდა. თვალი უკვე კარგად ხედავდა გადარჩენის ერთად-ერთ იმედს, გულიც ნათლად გრძნობდა, რომ მისი ცემა არ შეწყდებდა.

კიდევ რამოდენიმე წუთიც უნდა გაუმკლავდენ, გაუძლონ და გემზე ავლენ. მაგრამ ყველაფერი ერთმანეთს დაეჯახა. დაიმტვრა. ბარკასები ივსებოდა წყლით. საცაა ჩაიძირებოდა. კიდეც მეთევზეებმა ზედმეტი ტანსაცმელი დაძირეს და ზღვაში გადახტენ.

გემი მოცურავდა. გადმოყარეს მაშველი წრეები.

კარგ მცურავს კარგა ხანს შეუძლია ებრძოლოს ზღვას, რაც უნდა ძლიერი იყოს ტალღები. ეს მეთევზეებიც გაიზარდენ ზღვაში თევზებივით.. ზღვის ღორებივით ჩაყურყუმალავება იციან, კარგი მცურავი ასე ადვილად არ დაიღუპება. ის კბილით დაგლეჯს, თვალით დალევს ტალღების მთელ ქარავანს და სიცოცხლეს ერთ ზედმეტ წუთს მაინც გამოგლეჯს.

რამიზმა წრეში შეჰყო თავი, წრის ზევით მკლავები ამოალაგა და ღრმად თავისუფლად ამოისუნთქა. ასევე ჩასჭიდეს დაძვალული, დაძარღვული და არსებობას დახარბებული ხელები და თითები მაშველ წრეებს და გემისაკენ გასცურეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეთევზეები ჩამოშვებულ თოკებზე ცოცდებოდენ და გემზე ადიოდენ.

როდესაც რამიზი ადიოდა გემზე, თვალი გადაავლო წარწერას:

„საქართველო“. იგივე ეწერა ფრანგულად და რუსულადაც.

თბომავალი „საქართველო“ ნაპირისკენ დაიძრა. ის ადესიდან მოდიოდა, გზაში მეთევზეებს შეხვდა. გადაარჩინა მათი სიცოცხლე და ამ აღშფოთებული ტალღების გათელვით, გაჭრით გაეშურა ბათომისაკენ.

მიდიოდა „საქართველო“ და მის ქიმიდან ხედავდენ მეთევზეები როგორ ათამაშებდა ზღვა ნაფოტებად ქცეულ მათ ნავებს.

ჩაიძირა მათი ბადეები, იარაღი, ზღვიდან ამოღებული მსუქანი, ქონით სავსე დელფინები და გემზე დარჩენ უიარაღო ხელოსნები, მწარე ფიქრებით დატვირთულნი.

მეთოთხმეტე თავი

ფერიდეს მამა დილიდანვე გაჯავრებული იყო. ის ძალიან ფარფაგგადაშლილ პატარა ტახტზე, ეწეოდა გრძელ სხვილთავიან ჩიბუხს და ხელ ტუჩებზე უცნაური ბუზღუნი უთამაშებდა. ჩიბუხიდან კვამლი ამოდიოდა ბაცი იისფერი, ამოსუნთქვის დროს კი, როგორც ბუხრიდან, ისე ამოუშვებდა ხოლმე პირიდან ბოლს და ამუქებდა თავის შეთეთრებულ წვერულვაშს.

ამ სხეულს, რომელიც ტახტზე ძევს, მამუდი ჰქვია. მას მრავალფეროვანი და მდიდარი წარსული აქვს. ახალგაზრდობა სტამბოლის ყავახანებში გაატარა, მერე ვაჭრობას მიჰყო ხელი და სტამბოლიდან საქონლის ზიდვით მთელი შავი ზღვის სანაპიროები გაიცნო. ცოტა რომ წლოვანებაში შევიდა, ხუცუბანში ცოლი შეირთო. მოჰქონდა ხოლმე მამუდს სავაჭროდან დაბრუნებისას ფარჩეული, ძვირფასი ნივთები და ჩადრის ქვეშ ამკობდა ცოლის თეთრ გულმკერდს, მკლავებს და ყელ-ყურს პატიოსანი ქვებით მოჭედილ გულქანდებით, საყურეებით და სამაჯურებით. ვაჭრობის დროს მამუდი ქალალდის ფულს უხასიათოდ იღებდა. მას უყვარდა ოქროს კრიალა და წკრიალა თუმნიანები, რომელსაც შინ მისვლისას დაუყრიდა ხოლმე ცოლს, თითონაც გვერდზე მოუჯდებოდა და ერთად ათ-ათ ცალს აწყობდენ. მერე მამუდი გააღებდა რკინებით შემოსარტყლულ დიდ სკივრს, რომლის გაღებაც მხოლოდ თვითონ იცოდა, და ჩაალაგებდა მზრუნველობით და გულმოდგინედ, სკივრში კი იზრდებოდა ოქროს სართულები, მამუდის გულისა და თვალის გასახარებლად.

მის ცოლს პირველად ქალი ეყოლა, მეორე ვაჟი, და მამუდი თავის სიცოცხლის დღეებს ცოლშვილში, ოქროებში და ვაჭრობაში აღამებდა.

როდესაც ყურბან ბაირამი დგებოდა, მამუდი მძიმე ჯავრიანი ფიქრით ითვლიდა თავის ქონების ღირებულებას; ალლაჰს ყურანში ნათქვამი აქვს, რომ ყოველი ორმოცი მანეთის ქონებაზე ერთი მანეთი ღარიბებისათვის უნდა გადიდოს და ბაირამობა დღეს დაურიგდეს, მაგრამ მამუდი ალლაჰს ყოველთვის ატყუებდა და ზანდუკში გამოკეტილ ოქროებს ანგარიშში არ აგდებდა.

ის სთვლიდა, ბუზღუნებდა, ჯავრობდა და საბოლოოდ რამოდენიმე მანეთს მიუგდებდა საწყლებს. საერთოდ კი მამუდს ყურანის ეს მუხლი არ მოსწონდა.

პირველმა რევოლუციამ ვერაფერი დააკლო. ვაჭრობას მაინც განაგრძობდა. მაშინ კი, როდესაც საქართველოში ოქტომბერი გათენდა, საზღვარგარეთთან მიმოსვლა გაუჭირდა. შეჩერდა სკივრშიც ოქროს სართულების ზრდა. პირიქით, თითქმის ყოველდღე თითო ოქროს იღებდა და ხარჯავდა. ერთხელ კონტრაბანდას მიჰყო ხელი, მაგრამ საქმე კარგად ვერ წაუვიდა.

ერთ ღამეს ორი შეიარაღებული უცნობი დაადგა თავზე. მხოლოდ ასი ოქრო მოსთხოვეს. მამუდი უარზე იდგა. უმტკიცებდა, რომ არ გააჩნდა, თუმცა გრძნობდა, რომ რევოლვერის ტუჩი კეფაზე ედო. ურჩობამ დიდხანს ვერ გასტანა. საკუთარი ხელით გადაუთვალა ასი ოქროიანი თუმნიანი.

მას შემდეგ მამუდს გული გაუტყდა. ვაჭრობას თავი მიანება. იყიდა მანდარინის ბაღი, საყანე მიწა, სამი უღელი ხარკამეჩი და დაქირავებული მუშა ხელის საშუალებით სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი.

ყოველ შემოდგომას გულის ფანცქალით ელოდა. სულ იმას ფიქრობდა, თუ როგორი მოსავალი ექნებოდა მის მანდარინის ბაღებს, მის სიმინდის ყანას.

ქალი ფერიდე თავისით გათხოვდა. არ დაემორჩილა მამის ნებასურვილს.

სულეიმან ნოღაიდელი ემინთან მუშაობდა. მანდარინის ბაღებს უვლიდა. იუკადრისა მან მოჯამაგირის დასიძება და ფერიდე ისე გაუშვა, რომ ერთი ოქროც არ დაახარჯა მის გათხოვებას.

სულეიმანის გახსენებაზე ყოველთვის სისხლი აწვებოდა ყელში. ბოლმა ულრღნიდა გულს, მაგრამ ამ დარდს ავიწყებდა კარგი მოსავალი, მანდარინის კარგი ფასი და, საერთოდ, კარგად მოხერხებული სავაჭრო საქმე.

ის ახლა ფარდაგგადაშლილ ზის ტახტზე. მალი-მალ ფანჯრის მინაში იცქირება. ეტყობა, რომ ღელავს.

გარეთ წვიმს. წვიმის წვეთები ეცემიან ფანჯრის მინებს და მოსრიალებენ, ავლებენ წყლის სუფთა ზოლს.

იმავე ფანჯრიდან მოსჩანს მაგნოლიის ხეები, მაღალი ჭანდრები, და ამ ხეებზე ჩამუქებულ ბალიშებივით გაშლილა ღრუბლები.

— მომატყუეს იმ ღორებმა, მომატყუეს!.. — წამოიძახა მამუდამ ბრაზით და ცოლს მიაჩერდა.

ცოლი ქევსირე შემოტრიალდა მისკენ. მასაც სიბრაზისაგან სახეზე ნაოჭები აუთამაშდა და მაღალი, მაგრამ წვრილი ხმით წამოიძახა:

— შენის აზრით ჩემი ძმა ღორია?! მაშ ისინი ვინ არიან, გუშინ რომ გალოდინეს და პასუხიც არ მოგცეს? ისინი ადამიანებია?!.

მამუდმა ტუჩებიდან ჩიბუხი გამოიძრო, რამდენჯერმე ხელის გულზე დაირტყა, თამბაქოს გამომწვარი ნაცარი გამოჰყარა, ნეკით ჩიბუხის ღრუ მოასუფთავა და უბეში ჩაიდო.

— ადამიანები კი არა, ღორებია, ღორები. ხარები წაიყვანეს, ფული არ მოაქვეს. ხარებს კი არა, სიცოცხლეს არ შევარჩენ! — დაიმუქრა მამუდი და ხელახლა ჩიბუხი ამოიღო; მას დაავიწყდა, რომ ახლახან მოათავა წევა, ახლახან გასწმინდა და შეინახა, ისევ ტუჩებში გაიმაგრა, ისევ ცეცხლი მოუკიდა.

— რაიზა არ მოათავებ მაგ ნაპარტლად დასარჩენს, ოდა ჭვარტლით აივსო! — შეჰყვირა ქევსირემ.

— შენ იცი ეს რა თუთუნია?.. იცი? სამსუნის თუთუნია. იცი ვინ მომიტანა? შენ არ იცი ვინ მომიტანა. ხოჯა ეფენდიმ მომცა, ცივაძემ. მას მუდამ მოსდის სტამბოლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხოჯა ეფენდი სად ნახე?

— ჯამეში. იცი რას, ამბობს ხოჯა ეფენდი?.. ის ნასწავლია, ყოლიფერი იცის. ასე თქვა, კოლექტივი რომ დაწყობილა, კაი საქმე არ არისო. ხალხი ერთმანეთს დაერევაო. კაცს ცოლს წაართმევენ, ცოლი ქმარს გაბატონდება. კაცი ხმას ვერ ამეიღებს. ჯამეს დახურავენ, გაგიგიაურებენ. თუ არ იბრძოლეთო, კოლექტივი შემოვა თქვენს ბაღებში, ყანებში, ოჯახშიო.

თვალგაშტერებით უსმენდა ქევსირე ქმარს. უკვირდა კოლექტივიც და ისიც, რომ მისმა ქმარმა ამდენი რამ იცის, რომ ის ხოჯა ეფენდის მახლობელი მეგობარია.

გარეთ შხაპუნა წვიმამ დაუშვა. შხუილის ხმა ოთახში შემოდიოდა. წვიმის ხშირი წვეთები მინებს ეცემოდა. ეზოში აქა-იქ გუბეები დადგა. ეზოდან მოისმა აყავყავებული ინდაურების ხმა. გაწუწულნი და ბუმბულგატკეცილნი მოპირდაპირე შენობის ქვეშ შეცვივდენ. ინდაურებს მიჰყვებოდა თავზე ტომარა-გადაფარებული ბიჭი. ის ოთახში შემოვიდა. ტომარა გვერდზე გადააგდო, ისე ჩამოჯდა კუთხეში, რომ მამისკენ არ მიუხედია.

— მუხამედს გავგზავნი, ან ფული მომიტანოს, ან ხარები გამომიგზავნონ, თორემ! — აღარ დაამთავრა სიტყვა მამუდმა; გულში რაღაც აზრი ჩაიტოვა.

მამუდი მოუსვენრად იჯდა, ცოლის ძმას უღელი ხარი გასაყიდად გაატანა, მაგრამ ფული მიუღებელი ჰქონდა. ხარები იმიტომ გაყიდა, რომ სოფელში ცუდი ხმები დაატრიალეს: კოლექტივები მუშა-საქონელს წაართმევენო, ვისაც ბევრი ხარ-კამეჩი ჰყავს, იმას კულაკად ჩასთვლიანო. ეზოში ვიღაც შემოვიდა სწრაფი ნაბიჯით. მამუდს გაეხარდა, ცოლის ძმა ეგონა, მაგრამ ოთახში ფერიდე შემოვიდა. მას ჩადრზე კიდევ დიდი შალი წამოესხა, რომელიც წვიმას დაელბო. გადიხსნა შალი, სკამზე გადაჰკიდა. გადიძრო ჩადრიც, აღელვებული ხმით მიესალმა მშობლებს. ძმა და დედა მიუახლოვდენ. მის სახეზე შეაჩერეს თვალები. უსიტყვოდ ეკითხებოდენ ასეთს ავდარში მოსვლის მიზეზს.

— აღარ შემიძლია ჩემ ქმართან ცხოვრება! — წამოიძახა და სკამზე ჩამოჯდა.

— რა მოხდა?.. გვითხარი, გაგვაგებიე, — დინჯად შეეკითხა მამა და წამოდგა. სახეზე სერიოზულობა დაეტყო. ტახტიდან გადმოვიდა. წინდების ამარა რბილი ნაბიჯებით მიუახლოვდა.

— ის ძალას მატანს, ჩარჩაპი მოიხადეო. მერე, ალი ჯამეში აღარ ატარო, ზედმეტიაო. თვითონ კოლექტივს გადაჰყვა, სახლკარი დაივიწყა. არც დღეა სახლში და არც ღამე. ალიც ყოველ დილა კოლექტივში და-

ჰყავს. ბავშვი რასაც იქ ხედავს, ისე იქცევა. ახლა მე მეუბნება: მუშები გვაკლიაო, შენც სამუშაოდ უნდა წამოხვიდეო. კრებამ გადაწყვიტაო. რა ვქნა, კოლექტივში ვინცხაები არიან შეყვანილნი, ჩემი რა ნათესავებია? პირი ვუჩვენო?.. თავი გავუყადრო?.. არც ხოჯა ეფენდი შორჩევს ამას!..

მშობლებმა თვალები ფართედ გაახილეს. კარგა ხანს ჩუმად შესცქეროდენ. საგონებელში ჩავარდენ. არ იცოდენ რა ეთქვათ, რა გადაეწყვიტათ. მერე მამუდმა მოულოდნელად ხმამაღლა წამოიყვირა:

— როგორ შეიძლება!.. როგორ შეიძლება!.. ჩემი შვილი!.. ემინ გოგიტიძის შვილი, ჩარჩაპ-გადახდილი... ფერჩეს არ ატარებდეს, ყაზახებთან ერთად სახნავებში მუშაობდეს?! ჩემი ბაბუაი ხოჯა იყო, სახელგანთქმული მუდერისი. ჩემი წინაპრები ალლაჰს ემსახურებოდენ. იასინი ზეპირად იცოდენ და ჩემი შვილი ჩარჩაპსაც არ უნდა ატარებდეს?!.

მან განსაკუთრებული აღფროთვანებით წარმოსთქვა: „ჩემი ბაბუაი ხოჯა იყო“ და თავის გვარსაც დიდ მნიშვნელოვნად გაუსვა ხაზი.

ლაპარაკის დროს ათრთოლდა, აძაგძაგდა. ასეთი მაღალი ხმით ყვიროდა, რომ ეს ხმა თვით მამუდსაც ზარივით ხვდებოდა ყურში. აკანკალებულ ტუჩებიდან ჩიბუხი გადმოვარდა, იატაკზე დაეცა და გატყდა. დავარდნის ხმამ ერთი წამით სიჩუმე ჩამოაგდო.

— ამისთანა სიძე არამც მყოლია, უგვაროა და უსისხლო!.. შენს თავს დააბრალე, შენს თავს, მაგისთანა ქმარი რად გინდა? — ყვიროდა მამუდი.

ფერიდე სდუმდა, ქევსირე გაშეშებული იდგა.

— ხოჯამ ტყვილა კი არა სთქვა, ოჯახშიაც შევა კოლექტივიო?!.

მამუდი კარგა ხანს დადიოდა ოთახში ყვირილით. მერე როგორც იყო დაწყნარდა, ავიდა ტახტზე და თავის ძველ ადგილზე ჩამოჯდა.

— დღესვე გადმოდი ჩემთან, დღესვე. მამუდ გოგიტიძეს იმდენი აქვს, რომ თავის შვილს ლუკმა აჭამოს, — დაბალი ხმით წარმოსთქვა და ფანჯარაში გაიხედა.

შხაპუნა წვიმას გადაეღო. თანდათანობით დნებოდა ცაში ამღვრეული ღრუბლები. ცა იწმინდებოდა, ლურჯდებოდა, ლილისფრად იღებებოდა.

მამუდის გულში სიხარული დატრიალდა. ახლა მთლად ბავშვივით მოუთმენელი გახდა.

ფერიდე წამოდგა. ცრემლები მოიწმინდა... მამამ ძალა და იმედი ჩაუნერგა გულში. უხაროდა ქმარზე გამარჯვება. მშობლები მიიღებდენ. მშობლები მის მხარეზე არიან. თუ ქმარს გაშორდება, გარეთ მაინც არ დარჩება და იმ ჭერ ქვეშ დაბრუნდება, სადაც გაიზარდა.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახის კარი გაიღო. შემოვიდა შუახნის კაცი, აბურძგვნილი, ძირს დაშვებული ულვაშებით, თვალები დიდრონი, თითქოს გადმოვარდნას აპირებენო. ყველაფერ ამას უმშვენებდა მაღალი, კეხიანი ცხვირი.

— საბახ ხეირ ოლსუნ.

— სელამ, სელამ. — გაბრწყინვებული იერით უპასუხა მამუდმა, — მე შენი ულვაში ლორის ჯაგარი მეგონა, შენ კი კაცი ყოფილხარ.

არ იწყინა ცოლის ძმამ, ხუმრობა. სიტყვა ამოუღებლივ გაიარა.

— ფარა მოგიტანე, — ძლივს ამოიღო ხმა.

ქევსირე ნიშნის მოგებით შესცქეროდა ქმარს. მას უნდოდა რამე მწარე სიტყვა ეთქვა ქმრისთვის, მაგრამ ვერ მოიგონა და ბუზღუნით ხელი ჩაიქნია.

ცოლის ძმამ უბიდან ქაღალდის შეკვრა ამოიღო, გახსნა, გადაშალა, და გადმოუთვალა... მამუდი ხარბად თვლიდა ფულს. მისი ხელები კანკალებდა, მისი თვალები დახტოდა თუმნიანიდან თუმნიანზე. სწორედ დაიწყო დაალაგა, შეახვია გაზეთში და თავის ზანდუკში ჩაკეტა.

— აბა კახვე! — ხელგაშლილად წამოიძახა მამუდმა.

ქევსირე ყავისთვის დატრიალდა. ფერიდე კი იდგა და უცქეროდა მამას. მამამ შვილის ცქერა დაიჭირა.

— ჩემთან გადმოდი, შვილო, ჩემთან გადმოდი, თავს ნუ გაუყადრებ ჩემო ფერიდე, ნურც ღირსებას შეალახვიებ. ოჯახში ბევრი რამ მოსავლელი გვაქვს. ძროხამ ხბო მოიგო. მოვლა უნდა. ქათმებიც და ინდაურებიც ბევრი გვყავს. ჩემთან გადმოდი, ნურაფერს იდარდებ. — ტკბილი, თბილი და წყნარი ხმით უთხრა შვილს.

ფერიდეს გული მოულბა, აუყუჩდა, ლამის ცრემლები გადმოსცვენოდა, მაგრამ თავი შეიკავა, გულში იმედი დაებადა.

ჩაფიქრებული სახით და ნელი ნაბიჯით გამოვიდა ოთახიდან. მოდიოდა შინისკენ და თვალ-წინ ედგა სულეიმანი. ფიქრობს: ხოჯა ეფენდიც განშორებას ურჩევს, მამაც, დედაც. უფროსებს რომ მეტი ჭკუა აქვს, ეს ბავშვობიდანვე იცის. მაგრამ სულეიმანი რომ რვა წლის განმავლობაში მისი ერთგული მეგობარი იყო?.. მუდამ მის სიხარულზე და ბედნიერებაზე ფიქრობდა? ნუ თუ შეიძლება?.. გულის რომელიღაც კუნჭულში ეჭვის მტანჯავი გრძნობა დაებადა, რომელიც ჩასძახოდა, რომ სულეიმანს აღარ უყვარს და იმიტომ ეჭცევა ასე უდიერად.

ფერიდეს მოაგონდა ის დღეები, თვეები, წლები, როდესაც ჩუმაღ მიიპარებოდა ბაღში, მონახავდა სულეიმანს, მანდარინის ხეების მძიმე ტოტებს ქვეშ სხდებოდენ და ერთმანეთის თვალებში ბედნიერებას სუნთქავდენ. ფერიდე იხდიდა ჩადრს, პირისახეს უჩვენებდა, ეალერსებოდა. ამდენ მამაკაცებში მხოლოდ სულეიმანი ხედავდა მისი სახის ქარგას, მის ღიმილს, მის იერს. მაშინ სულეიმანი ეუბნებოდა ფერიდეს:

— ფერჩე კარგად ჩამოიფარე, არავის თვალები არ მიეკაროს შენს სახეს!..

მაშინ ხომ უფრთხილდებოდა მისი სახისა და ჩადრის პატივს?.. ახლა რაღა დაემართა?..

მის გულში ზღვასავით აიმღვრა მწვანე გრძნობა „აღარ ვუყვარვარ“ და ბრაზიანი, კაპასი გადაწყვეტილებით მტკიცე ნაბიჯით შევიდა ოთახში.

მეცამეტე თავი

— ხედავ რა მიქნეს, ხედავ, ხედავ?!. — ბრაზიანად ამბობდა ახმედ ტაგიძე და ოთახში ბოლთასა სცემდა.

ყოველი ხუთი წუთის შემდეგ უახლოვდებოდა ფანჯარას, გადაიხედავდა და თვალები სისხლით ევსებოდა.

მისი სასახლკარო მიწა, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ ცხენის გასაჭენებლადაც გამოადგებოდა, დღეს უკვე შევიწროებული და დაპატარავებული იყო. გარდა ამისა კოლექტივებმა მიწის გაძრკვის შემდეგ ეს ოცდაათი ჰექტარი შემოლობეს, რომ საპლანტაციო ფართობი დაცული ყოფილიყო პირუტყვისაგან. ლობისათვის ამავე ფართობში მოყოლილი ნერგებით მიწას ახალი და ლამაზი ღობე შემოარტყეს.

ახმედს იმაზედაც მოსდიოდა ბრაზი, როდესაც ხედავდა ამ ტოტებმოჭრილ ხეებს. ის შარშანდელს აქეთ სულ იმას ფიქრობდა, რომ ან ნერგებს თვითონ გამოიყენებდა თავის მანდარინის ბაღის შემოსაღობად, მაგრამ დაასწრეს, მშრალზე დასვეს...

— მაგინს ტყვიით სიკვდილს არ ვაღირსებდი. — განაგრძობდა სიარულსა და ბრაზობას ახმედი. — ვალლაჰ და ბილლაჰ, სათითაულოდ ცხელ ტაფაზე შევწვავდი.

მას უსმენდა მისი ორმოცი წლის ცოლი, რომელსაც სრულიად ახალგაზრდა და სავსე სახე ჰქონდა. ის შესცქეროდა ქმარს პატარა რგვალი თვალებით და მისივე სიტყვით რომ გამოვთქვათ: „ცოდვით იწოდა ქმრის ასეთი გამწარების გამო“.

თვითონაც არა ნაკლებ გაჯავრებული იყო კოლექტივის წევრებზე. დღე და ღამ ალლაჰს და მის ცას თავზე ამტვრევდა, დღე და ღამ მუშტებს იქნევდა, იფურთხებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს უძლეური იყო, ეს საშუალება ვერ ასრულებდა მათ სურვილებს.

ვერ მოითმინა ახმედმა. კიბე ჩაირბინა. როგორც ოცი წლის ყმაწვილს, ისე მიჰქონდა ტანი. ღობესთან მიირბინა. ორივე ხელები ჩასჭიდა. ჯერ მძლავრად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეანჯღრია. თითქოს სარებს ამოგლეჯა დაუპირაო. ღობემ ლაწანი გაიღო, მაგრამ მტკიცე იყო ღობე, ისე ადვილად არ დაირღვეოდა. ახმედმა შორს გადასტყორცნა თვალები. შორით მძიმედ მოძრავი ჯგუფები მოსჩანდა. მგონი ხარ-კამეჩებიც, რომელნიც ახლად დაძირკვულ მიწაზე ბელტებს აბრუნებდენ.

— ყიზმეთ, ყურამა! — წამოიძახა ახმედმა და ეზოსაკენ შემოტრიალდა.

— აქ ზვინებია, აქ ბეღელი. ახორი რო ამაღებიეს, სად დავდგა?! იმდენი ადგილი არის?.. ჩემი საქონელი დაეტევა ამ პაწია ადგილზე?.. რომ არ დაეტევა?.. — ჰაერში ხელები უაზროდ გაიქნია და კიბისკენ გასწია. ახლა კი დინჯად, ნელი ნაბიჯით ავიდა კიბეზე. თან რაღაცას ფიქრობდა. ოთახში შევიდა წყნარად და სიტყვა-ამოღებლივ მოფარგულ კე-

დელთან რბილ სავარძელში ჩამოჯდა. ხელები სავარძლის მოაჯირზე დააწყო და თითონ ფიქრს განაგრძობდა.

— რამე უნდა ვიფიშმანო!.. — ბუტბუტით წაილაბარაკა — და თვალები ჰაერში ერთ წერტილს დააშტერა.

ამ დროს კარი გაიღო. შემოვიდა მემედ ანანიძე. შემოსვლისთანავე წარბებამდე ჩამოფარებული შავი ფაფახი უკან გადაიწია, მთელი შუბლი გამოიჩინა. გადაჰხედა ჯერ დიასახლისს, მერე ახმედს.

ახმედმა დაინახა თუ არა მემედი, მაშინვე წამოდგა და ორივე ხელი მისკენ გაიშვირა.

— მემედ, რამე უნდა ვიფიშმანოთ. ასე ხომ არ შეიძლება? მალე სახლკარსაც ჩამომართმევენ. ხომ ხედავ, ღობე სანამდის მოიტანეს. შენთვის არაფერი დაუკლიათ, მარა მალე შენთვისაც მეიცლიან. შინ შემოგვივარდებიან.

მემედ ანანიძე არა ნაკლებ გაჯავრებული იყო კოლექტიველებზე. სწორედ მისი მანდარინის ბაღთან აშენებდენ ბოსტანს. კოლექტივის მიწა მის ღობესაც, მის საკუთრებასაც ემუქრებოდა.

— ალლაჰი ჩვენსკენაა, ახმედ, ნურაფერი გადარდებს. შენ ხოჯა ეფენდი არ გინახია? მე ვნახე, მე ველაპარაკე. ის ისეთ საქმეს აწყობს, რომ შენ ვერ მეიფიქრებდი. — ცოტახანს გაჩუმდა. ოთახს თვალი მოავლო და, ახმედის ცოლი რომ დაინახა, უსიამოვნოდ აიმრიზა.

ახმედმა ცოლი გარეთ გაისტუმრა. მემედმა განაგრძო.

— ხოჯა ეფენდიმ ქობულეთიდან რამიზი ჩამეიყვანა. ჩააგონა, მამის სისხლი აიღოს. მალე მემედ ალი მოკვდება...

ახმედმა პირი ფართედ დააღო, თითქოს თვალებიც გაუგანიერდაო...

— როგორ, რეიზა?..

— რეიზა და იმიზა, რომ მისმა მამამ რამიზს მამა მოუკლა...

ახმედმა სალოკი თითი შუბლთან მიიტანა და ისე დიდხანს იდგა ჩაფიქრებული.

— სწორია... თუ აი კაცი არ მოკვდა, მთელ ჩვენს მიწებს წაიღებს.

— გარდა ამისა, — განაგრძო ახმედმა, — რამიზს იუნუზებზე ნადირობის დროს ქარიშხალი შემოსწრებია, ზღვა აღელვებულა, რაც ჰქონია, ყოლიფერი ნაპარტლად ქცეულა. თლად დაღუპულა. აფერი აღარ გააჩნია. ჩამოსულა სოფელში და ამბობს, მიწაზე უნდა ვიმუშაოო. პაწაი ქე აქს დარჩენილი რაცხა საყანე ალაგი და გაკოლექტივებას რომ მოუნდომებენ, აჰა, რას იზამს, ჯავრზე ჯავრი არ შემოეყრება?..

— მაი კია, სწორი!.. აქანე ფიშმანი ზედმეტია!.. — სთქვა ახმედმა და სახეზე ისეთი მხიარული ღიმილი გადაეკრა, რომელიც ბედნიერების ელფერს აძლევდა.

ამ დროს მოსხლეტილად გაიღო კარი და ოთახში ახმედის ცოლი შემოვარდა.

— მობრძანდით, მობრძანდით... — გაიძახოდა ზურგში მოხრილი ქალი და ფერჩეს პირზე გულმოდგინედ იფარებდა.

სკენდერ ცივაძემ არწივისებური თვალებით გადაჰხედა ოთახში მყოფთ. თეთრი, ოდნავ წითლად შეღებილი წვერი რამდენიმეჯერ თითებში მოიქცია და გაისწორა. მას თან შემოჰყვა რამიზი.

ხოჯამ ახმედისა და მემედისაგან თვალი რამიზზე გადაიტანა, დიდმნიშვნელოვნად შეაჩერა მასზე და შემდეგ მიუახლოვდა. ჩამოჯდა.

— მერჰება, ახმედ, მერჰები, მემედ. სათითაოდ მიესალმა.

ახმედიც და მემედიც სულ რამიზს შესცქეროდენ. მასში ხედავდენ იმ ძალასა და საშუალებას, რომელსაც უნდა ეხსნა ისინი საკუთრების დაკარგვისაგან.

ამიტომაც განსაკუთრებული სიყვარულით შესცქეროდენ მას. იქნება სხვა დროს, სხვა პირობებში ეზოშიც არ შემოეშვათ, ახლა კი მზად იყვნენ გულიც გაეხსნათ მისთვის.

— რა კაცი იყო ოსმანი, რა კაცი... — დაიწყო ახმედმა, — რავა ახლაც თვალწინ მიდგას მისი სახე, შრომა და გარჯა უყვარდა. მეზობელს ჭირშიც და ლხინშიც გამოადგებოდა. რა ქნა ხაბაზმა, რა კაცი მოკლა!..

— გაგიაურდა ხაბაზი, ღვინოს სვამდა, ლორს სჭამდა, აბა რას იქმდა?.. — დაუმატა მემედმა.

— ახლა მისი შვილი უპირებს სოფელს გადაგვარებას.

ყველა ეს სიტყვები რამიზს შხამის წვეთებად ესხმებოდა ყურში. უკვე თამდენიმე თევა, რაც ამას ჩასჩიჩინებენ და ამ ხნის განმავლობაში უფრო საფუძვლიანად მტკიცდება მის გონებაში სისხლის აღების წყურვილი. მას მხოლოდ ეს უკვირდა, რატომ აქამდე არავინ გაუმხილა მამის მკვლელობის შესახებ?

— რომელ აჭარელს შეურჩენია ვინმესთვის სისხლი, რომ მე შევარჩინო?.. ადრე თუ გვიან ის ჩემი ხელით მოკვდება. — ბაგების ძაგძაგით სთქვა რამიზმა.

ამ სიტყვებმა ყველა აღაფრთოვანა.

— აი, მესმის ვაჟკაცი!..

— მაჰმადის რჯულს, ჭეშმარიტად, შენ ატარებ! — რიგრიგობით მოუწონეს რამიზს სიტყვა.

ახმედი წამოდგა. სტუმრები მეორე ოთახში შეიპატიჟა. აქ უკვე ფეშუმზე იდგა უზარმაზარი სპილენძის სინი, რომელზედაც მოზრდილ სპილენძისავე ჯამებში ელაგა სხვადასხვა საჭმელი.

შემოუსხდენ გარშემო შემოწყობილ სედრებზე. უსიტყვოდ შეექცეოდენ და შესცქეროდენ ერთმანეთს. ელოდენ ვინმეს რამე ეთქვა, მაგრამ ლაპარაკს არავინ არ იწყებდა.

— მე შენთვის საჩუქარი მაქვს, — დაიწყო ახმედმა — ისეთი იარაღია, ას ნაბიჯზე რკინას სჭრის. კაცს არ უმტყუნებს. ერთმა ქართველმა მომყიდა. ორასი მანდარინა მივეცი.

ახმედი წამოდგა. მივიდა სკივრთან. უბიდან გასაღები ამოიღო, რამდენჯერმე ხან წინ, ხან უკან გადაატრიალა. გასაღებმა ორწამიანი მუსი-

კა დაუკრა და სკივრიც გაიღო. სკივრიდან ამოიღო ნაგანი და თავის სედრეს დაუბრუნდა.

კრიალა იარაღმა მოიტაცა რამიზის თვალი. ხელი წაიტანა, მაგრამ ახმედს ორივე ხელი მაგრად ჩაჭიდული ჰქონდა და იარაღს ხელიდან არ უშვებდა, განაგრძობდა წელან შეწყვეტილ სიტყვას:

— იცი რა იარაღია?.. დუშმანს არ გაახარებს... ჯერ მე კაცი არ მინახავს არც გამიგონია, რომ ამას ემტყუნოს. შვიდი ტყვია, შვიდივე ძმებივით მართალი!..

რამიზს ნაგანი მოეწონა. მის სახეს უკვე სულწასულობა დაემჩნია. მაგრამ ხელები ჰაერში ჰქონდა გაჩერებული. ახმედი არ უშვებდა ბრჭყალებივით ჩაჭიდულ თითებს.

ხოჯა ეფენდის სახეზე უსიამოვნება დაეხატა. მას არ მოეწონა ახმედის განზრახვა: იარაღის მიცემა აშკარა მონაწილედ გახდიდა მემედ ალის მკვლელობაში. ეს მას კარგად ესმოდა, მის ჭკვიან და გამჭრიახ გონებას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა შემდეგი მოჰყვებოდა ამ ნაგანით მკვლელობის ჩადენას. მას უნდოდა როგორმე მისი განზრახვა შეეჩერებინა და ჩაერია კიდეც ლაპარაკში.

— რამიზს უკთესი იარაღი აქვს. ვის უთქვამს რომ მაუზერი ნაგანზე გლახა�. აი, მე ახალგაზრდობისას ბევრჯერ მისროლია ერთიც და მეორეც. არც ერთს არ უმტყუნებია, — ლაპარაკობდა ხოჯა და თანაც ახმედს სახეში შესცქეროდა. სურდა მისი მზერა დაეჭირა, ენიშნებინა, რომ იარაღი არ ეჩუქებინა. კიდეც შეეხედეს ერთმანეთს. თვალი თვალს გაუყარეს. მიხვდა ახმედი ხოჯას ნააზრევს. უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი ნაგანს და სულ სხვა ხმით განაგრძო:

— ჩემი ამხანაგიც ეს არის. როცა გავმწარდები ხოლმე, ვიფიქრებ კარზე მომდგარ უბედურებაზე, მახსენდება იგი და გული მძლავრად დამიწყებს ცემას. თითქოს ასე ხელში მეჭიროს და დუშმანის სისხლს ვანთხევდე.

ახმედის მთელი სახე თითქოს მუგუზლად გადაიქცა. თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა. ზედ აყოლებდა ტუჩებიდან გადმომსკდარ დორბლიან ბრაზს. უცბად წამოდგა, იარაღი სკივრში ჩასდო და სახურავი მაგრად დაუკეტა.

რამიზის ხელი დაბლა დაეშვა. რომ უხერხულობა დაეფარა, იგივე ხელი ფლავის ჯამში ჩაუშვა და სამმა მოკაკულმა თითმა ქიშმიშნარევი თეთრი მარცვლები პირისაკენ გააქანა.

მოხერხებულად შეატრიალეს ლაპარაკი:

— კაი ფილავია, ბილლაი!.. — წაილაპარაკა მემედმა, თანაც ულვაშებში ღიმილი ჩამალა.

— ლობიეი ნაკლებია? — სთქვა ხოჯამ.

— ბრინჯიც და ლობიეც ჩემი მოყვანილია. კაი მარცვალი მევიდა შარშან. ბევრი გავყიდე, ბევრიც მაქვს.

— ერთი ეს გვითხარი, რამიზ, დაგელუპათ ბარკასები? ადრიანად ვერ გამოცურეთ ზღვიდან? — შეეკითხა მემედი.

— ბაშ, მაშ, მაი ხო თლაი უბედურებაა. — დაუმატა ბოლოს. — ნუ გეშინია რამიზ, თუ შენ უარს არ იტყვი, ბარკასებს მე თვით შეგაძენინებ. ბადეებსაც გიყიდით. ხოო, მემედ. ხოჯა ეფენდი დამემოწმება. — ლაპარაკობდა ახმედი, გულში კი თავის თავს ლანძღავდა. ნანობდა, რომ ვერ მოიქცა კარგად, მაგრამ გვიანღა იყო, შეცდომას ვერ გამოასწორებდა. უკვირდებოდა თავის საქციელს და სულ ახალ-ახალი წარმოდგენებით ევსებოდა გონება:

„რამიზი მოკლავდა მემედ ალის. დაიჭერდენ რამიზს. კოლექტივის წევრები ბრაზს გადმოანთხევდენ. დაიწყებდენ მკვლელის ამხანაგების ძებნას. გამოიძიებდენ, რომ იარაღი ახმედისაა და მაშინ სისხლის აღებას კი არ დააბრალებდენ მის სიკვდილს, დააბრალებდენ შურისძიებას, ჩამორთმეულ მიწების გამო, შეურაცხყოფილ ახმედისაგან სამაგიეროს გადახდას. არა, ის სხვანაირად უნდა მოკვდეს. — მტკიცე რწმენით გაიტარა გულში და თვალები უზარმაზარ სინზე დააგორა, სადაც ეწყო ფლავი, ლობიო, ხილი...

უხერხული მდგომარეობა ჩამოვარდა. თითქოს სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათო, ისე უსიტყვოდ შეექცეოდენ. თითოეული მათგანი ცდილობდა რამე მოეგონა, რამე ეთქვა, რომ მათ ჭამა-სმას ელფერი ბისცემოდა, მაგრამ კარგა ხანს ვერ ახერხებდენ.

მემედ ანანიძემ თავი მაღლა ასწია. უცბად სიხარული გადაეკრა სახეზე.

— არ იცით სოფელში რა მოხდა?.. — წამოიძახა მან...

ყველამ ყურები დაცქვიტა.

— იცით სოფელში რა მოხდა?.. ნოღაიდელის ოჯახში... ასეთი რამე პირველად მესმის. გამიგონია, კაცმა კაცი მოჰკლას, ჩხუბი ჰქონდეთ, ვერ მორიგდენ. ისიც გამიგონია, მოგვარემ სისხლი არ შეარჩინოს, მარა ის არ გამიგონია, ქმარმა ცოლს ლივერი ესროლოს, ჩადრი აიხადეო.

მემედმა მსხვილი მსუქანი თითები ჯამში ჩაჰყო და მთელი მუჭა ლობიო პირისაკენ გააქანა ისე, რომ სიტყვა უნებლიედ შესწყვიტა, მაგრამ სახით და თვალებით განაგრძობდა ლაპარაკს.

ისინი ვერ მიხვდენ ამბავს და ყველა სახეში შესცქეროდა. ელოდენ მემედს ლუკმა დაემთავრებინა და ლაპარაკი განეგრძო.

მემედმა ლუკმა გადაყლაპა, სული მოითქვა და განაგრძო:

— სულეიმან ნოღაიდელმა ფერიდეს ლივერი გულზე დაადო, ფერჩეიხადეო, პარტიამ ასე გადაწყვიტა და თელ დუნიაზე ნუ მარცხვენო. ფერიდე პატიოსანი ქალია, სახელიანი კაცის შვილი. უარზე იდგა. სულეიმანს უსროლია, ვერ მოხვედრია, ალბათ შეუშინებია. არა გჯერათ?.. ალლაჰ, მართალს ვამბობ. თითონ მამუდმა თქვა, გოგიტიძემ, სულეიმანის სიმამრმა. მამუდს ტყუილიც დაეჯერება, ისეთი სახელიანია.

— პარტიე, პარტიე! რას მიქვიან პარტიე, თუ ოჯახს დაანგრევენ? — წამოსთქვა ხოჯამ, — მაი მართალი იქნება, ფერიდემ მეც მთხოვა რჩევა. ჩადრს რავა ავახდევინებდი?.. ალლაჰს რავა შევსტრიბებდი?..

— მაი ანბები კი მოხთება კიდო. მაგენი ერთმანეთს შესჭამენ — ხთქვა ახმედმა და ისევ თავის ფიქრებში გაერთო. ფიქრში არ შორდებოდა ნაგანი, მკვლელობა, მისი აღმოჩენა, დაჭერა. თითქოს ცოდვას ინანიებდაო, ისე შეაწუხა ახმედი მისმა მოუფიქრებელმა საქციელმა.

— ფერიდე არ გაჩერდება სულეიმანთან. თითონ მამუდმა სთქვა, ქალი უკან უნდა წევიყვანოო. რავა დავლუპავ ვინცხა ნოლაიდელიზა შვილსაო. ერთ დროს კარზე არ ვიკარებდიო. — დაუმატა მემედმა და წამოდგომა დააპირა.

ჯამები მოწმინდეს. ლაპარაკში ვერც კი შეამჩნიეს, ისე მოათავეს საჭმელი. წამოდგენ, აივანზე გავიდენ.

მზე ჯერ კიდევ კარგა მაღლა იდგა. კოლექტივის მიწაზე რამდენიმე ათეული კაცი მოსჩანდა. იქ შრომა ჯერ არ შეწყვეტილიყო, ყველა უნებლიეთ იქით იცქირებოდა. ეს ის მხარე იყო, საიდანაც მოდიოდა ძლიერი წამლეკავი ტალღები, რომელშიც უნდა ჩაძირულიყო მამაპაპური საშვილიშვილო გრძნობა საკუთრებისა და თვით საკუთრებაც.

ახმედი შესცქეროდა ტოტებმომტვრეულ ნერგებს, შესცქეროდა სახლკარზე მომდგარ ღობეს და ისეთი გრძნობა ებადებოდა, თითქოს ყელში სისხლი აქვს მობჯენილიო.

კიბეზე გამოჩნდა ახმედის ცოლი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ეზო-კარს არ მოსცილებია...

— არავინ არა ყოფილა?.. — შეეკითხა ახმედი დაბალის ხმით.

— არავინ. — უპასუხა ცოლმა.

სტუმრებმა კმაყოფილება იგრძნეს.

„ვითომ არც ჩვენ ვყოფილვართ“ — გაიფიქრა ხოჯამ და კიბისაკენ გაემართა.

ერთმანეთს დაემშვიდობენ. სხვადასხვა გზით წავიდენ. ახმედი შესცქეროდა სამივე მიმავალს.

რამიზის მხარბეჭი განსაკუთრებულად მოსჩანდა. ახალგაზრდას ჯანლონითა და სიცოცხლით სავსე ტანი ახალგაზრდულად მიჰქონდა.

ახმედმა რამიზს რალაც ფარული წყურვილის ჩაკვრით გააყოლა თვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი

რუსული ზღაპრები [1)]

თარგმანი ივანე მაჭავარიანისა

10

ერთი გულუბრიყვილო კაცი იყო. იჯდა და ფიქრობდა, — რა ვქნა როგორ მოვიქცეო?

იფიქრა, იფიქრა და გადასწყვიტა:

— აღარავითარ წინააღმდეგობას არ გავუწევ ბოროტებას, მოთმინებით დავჯაბნიო.

თავის ნათქვამი კაცი იყო, სთქვა და აასრულა: ზის და ითმენს. იგემონს კი მრავალი ჯაშუში ჰყავდა და მაშინვე მოახსენეს: „საეჭვო მცხოვრებთა შორის არის ვინმე კაცი უძრავი და ხმის ამოუღებელი, რომელს ცხადად განუძრახავს ცდომილებაში შეიყვანოს მთავრობა, ვითომ აღარც კი არსებობს“.

გაჯავრდა, გაშმაგდა იგემონი:

— აღარ არსებობს? ვინ? მთავრობა? აქ მოათრიეთ, ის...

და, რომ მოათრიეს, უბრძანა:

— გაჩხრიკეთ!

გაჩხრიკეს, ჩამოართვეს, რაც ფასიანი ჰქონდა: საათი, ნიშნობის ბეჭედი ბაჯაღლო ოქროსი, ახალი წვივსაკრავი, კბილებიდან ოქრო ამოაცალეს, ღილები ჩამოარღვიეს და მოახსენეს:

— მზად გახლავთ, იგემონ.

— ხომ არაფერი აქვს?

— აღარაფერი. რაც მეტი ჰქონდა, ჩამოვართვით.

— თავში?

— თავშიც, მგონი აღარაფერი.

— მეახლოს!

შეიყვანეს მცხოვრებიც, როგორც კი თვალი გადაავლო იგემონმა, დაინახა, როგორ ეჭირა ხელით პერანგის ამხანაგი, მაშინვე დარწმუნდა, რომ ეს კაცი ხმის ამოუღებლივ დაემორჩილებოდა ყოველგვარ შემთხვევას ცხოვრებისას, მაგრამ უნდოდა სულის დამთრგუნავი შთაბეჭდილება მოეხდინა და მრისხანედ შეჰყვირა:

[1)] იხ. „მნათობი“ № 4.

აჰა, მიეთრიე!

— მთლად გიახელით, — უპასუხა წყნარად მცხოვრებმა.

— ეგ რა განგიძრახავს, შე!..

— მე, ბატონო. არაფერი. მინდა მოთმინებითა ჩემითა დავჯაბნო...

ჯაგარი აეშალა იგემონს, ბრდღვინვა დაიწყო:

— კიდევ?.. კიდევ დაჯაბნას იძახი?..

— ავის და ბოროტების დაჯაბნას...

— ჩუმად, შე!..

— მე ხომ თქვენ არ გგულისხმობთ.

იგემონს არა სჯერა:

— მე არა! მაშ ვის?

— ჩემს თავს!..

განცვიფრებულია იგემონი:

— მოითმინე... მაშ რაში არის ავი და ბოროტება?

— მის წინააღმდეგობაში.

— სტყუი!

— ღმერთი, რჯული, ჯვარი, ხატი...

ოფლი მოუვიდა იგემონს, — ნეტავ, რა უდევს გულში ამ კაცსაო? — ბოლოს ჰკითხა:

— ახლა რა გინდა?

— არაფერი.

— არაფერი, არაფერი?

— არაფერი; ნება მიბოძეთ, პირადი მაგალითით შთავაგონო ხალხს მოთმინება.

ჩაფიქრდა იგემონი, ულვაშს იკვნეტდა. ოცნებოვანი სულის კაცი იყო, უყვარდა აბანო და, ბეჭებს რომ უზელავდენ, სულ ტკბილად ყიყინებდა. უყვარდა უწყვეტლივ ტკბობა სიცოცხლის ნეტარებით და ჭირივით სძულდა წინააღმდეგობა და ურჩობა, რომელთ მოსასპობად ფრიად დამალობელ საშუალებას ხმარობდა: ფაფად გარდაჰქმნიდა ხოლმე ურჩების ხრტილსა და ძვალს. მოცლილობის დროს კი, მცხოვრებთა ლბობით რომ მოიღლებოდა, სულ იმას ოცნებობდა, — დამშვიდდეს ქვეყანა და ვიხსნათ სული ჩვენი წაწყმენდისაგანაო.

უყურა, უყურა იგემონმა და ჰკითხა:

— რა ვქნა? გუშინ არ იყო რომ... დღეს კი...

მერე გული მოულბა, ამოიოხრა:

— ერთი მითხარ, როგორ მოხდა, რომ?..

— ევოლიუცია, ბატონო.

— ეგრეა, ძმაო ეგრე, ეს არის ჩვენი ცხოვრება... ხან ასეო, ხან ისეო. რალაც ნაკლებულობა — ყველაფერში. ვტრიალებთ, ვბრუნავთ და არ ვიცით, რომელ გვერდზედ დავწვეთ... ძნელია ამორჩევა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ ამოიოხრა იგემონმა: მაინც ადამიანი იყო, სამშობლო ებრალებოდა, სამშობლოს წყალობით იყო მაძღარი... და დაერიგნენ იგემონს რაღაც საშინელი ფიქრები:

— საამო არის მცხოვრების მოლბობა და დაცხრომა, მართალია, ძალიან საამო არის... მაგრამ ერთიც ვნახოთ, გაგვიწყრა ღმერთი და ყველა დაცხრა. წინააღმდეგობას არავინ გვიწევს. ხომ შეგვიმცირეს მივლინების და გზის ფული. შეიძლება სულაც მოგვისპონ დაჯილდოვება... მაგრამ არა, ყოვლად შეუძლებელია, რომ მთლად ამომშრალიყოს... თვალს მიხვევს საძაგელი... ერთი გამოვცადო... რაში გამოვიყენო? პროვოკატორად? სახის გამომეტყველება ისეთი აქვს, რომ ვერავითარი ნიღაბი ვერ დაუმალავს უპირადობას, არც მჭერმეტყველობა ეტყობა. მართალი ადამიანია. ჯალათად? სუსტია...

ბოლოს გასცა ბრძანება:

მეხანძრეთა მესამე ნაწილში თავლის საწმენდად.

ჰგვის, სწმინდავს კაცი თავლას, უკმაყოფილება არა ეტყობა რა... იგემონი კი შეჰყურებს, გული ულბება მის შრომისმოყვარეობით და შოთმინებით და უფრო და უფრო უცხოველდება მის ნდობა.

ცოტა ხნის გამოცდის შემდეგ თავისამდე აამაღლა თავლის მწმინდავი და მისცა გადასაწერად თითონ მის მიერ შედგენილი ყალბი ანგარიში სხვადასხვა თანხების შემოსავალ-გასავლისა. გადასწერა მცხოვრებმა და იყო თავისთვის გაჩუმებული.

საბოლოოდ მოლბა იგემონი, ცრემლიც კი მოერია.

— არა, ძალიან სასარგებლო არსება ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი იცის.

მოიხმო წინაშე პირსა თავისსა და უბრძანა:

— მჯერა შენი. წადი და უქადაგე შენი ჭეშმარიტება, ოღონდ... გეყურება?.. ვაი შენი ბრალი, თუ!..

და წავიდა მცხოვრები. მოედანი, ბაზარი, ქალაქი, სოფელი — საცა ხალხს ნახავდა, ჰკითხავდა:

— რას შვრებით, ხალხო?

შეხედეს, — სანდო კაცი ჩანდა, წყნარი, მშვიდი, დარბაისელი. გადაეშალეს გული და უამბეს, ვის რა დაეშავებინა, ვის რა ენატრებოდა. ერთმა სთქვა. მინდა ვიქურდო და არ დავისაჯო; მეორემ — მინდა მოვატყუო, მესამემ — მინდა ცილი დავწამოო... და ყველანი ერთად, როგორც შეეფერება ნამდვილ რუსებს, იმას ნატრობდენ, რომ თავი დაეღწიათ ცხოვრების ყოველგვარ მოთხოვნილებიდან და მოესპოთ ყოველი ვალდებულება.

მოუსმინა მცხოვრებმა და უთხრა:

— ამაოება არის ეგ ყველაფერი, რადგან სწერია: ყოველი არსობა არის ტანჯვა. მაგრამ არსობა ტანჯვად ჩვენი სურვილისა გაშო ხდება, მაშასადამე მოვისპოთ სურვილი და მით მოვსპობთ თვით ტანჯვასაც. ასე!

ნულარას ისურვებთ და თავისთავად მოისპობა ყველაფერი, ღმერთმანი, მართლა.

გაიხარა ხალხმა, — უბრალო იყო და სრულიად [illegible] და სადაც ვინ იდგა, იქვე დაეშვნენ მიწაზედ... [illegible] ყველა, დამშვიდდა...

ცოტა ხანს იყო ასე, თუ დიდ ხანს, ნახა იგემონმა, რომ მეტის შეტი დუმილი მოედო ქვეყანას. ცოტა არ იყოს, შიშიც კი მოერია, მაგრამ გაიმაგრა გული:

— თავს იკატუნებენ არამზადები!

მარტო მწერი და მკბენარი-ღა განაგრძობდა თავის ბუნებრივ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, უცნაურად მრავლდებოდა და სულ მეტსა და მეტს შეუპოვრობას და თავხედობას იჩენდა.

— რა დუმილია! — ფიქრობდა იგემონი და თავსა და ტანს იფხანდა. ფხანით რომ ვერა გააწყო რა, კაცი დაიბარა მცხოვრებთაგანი.

— მომაშორე, რაც მეტია!

— არ შემიძლია.

— რაო?

— არ შემიძლია, რადგან, თუმცა გვაწუხებენ, მაგრამ ცოცხალი არსებანი გახლავან.

— ჰოო? მაშ შენ მოგკლავ!

— თქვენი ნებაა...

და ყველგან იგივე, ყველგან გაიძახიან, — თქვენი ნება არისო, და როშ უბრძანებს თავის ნების ასრულებას, ხელს არავინ ანძრევს. მიმკვდარებულია ყველაფერი. ინგრევა იგემონის სასახლე, ვირთაგვები ნავარდობენ შიგ, საქმეებს ღრღნიან და, მოწამლულნი, ზედვე აკვდებიან. თვით იგემონი უფრო და უფრო ღრმად იფლობა უსაქმურობაში, წევს მერხზედ და ოცნებობს წარსულზედ... რა ტკბილი იყო მაშინ სიცოცხლე: ხალხი ეწინააღმდეგებოდა ცირკულიარებს... ზოგი სიკვდილით უნდა დასჯილიყო და, აქედან, დიდებული ქელეხი ბლინებით და სასმელებით. ან არა და, შორს სადმე აღმოჩნდებოდა ურჩობა... უნდა წასულიყო, აღედგინა წესიერება და მიეღო მივლინების და გზის ფული! და სწერდა მოხსენებას, მიართმევდა, ვისაც ჯერ არს, რომ „ჩემდამი მონდობილ სივრცეში მოსპობილ არიან ყველა მცხოვრებნი... და აქედან დაჯილდოვება და დასასახლებლად ახლად გამოგზავნილი მცხოვრებნიო...

ოცნებობს იგემონი წარსულზედ... მეზობლები კი, სხვა ხალხების იგემონები, არიან თავისთვის „ძველ ფუძეებზედ“: მცხოვრებნი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, სად და რითაც კი შეუძლიათ, ყველგან ყვირილი და მოძრაობა... სასარგებლოც არის ქვეყნისთვის და საინტერესოც-

და უცბად მიხვდა იგემონი:

— ვაი, გამიწყრა ღმერთი! გამაბრიყვა იმ ეშმაკის კერძმა!

წამოვარდა, დაერია თავის სივრცეს, ხან ვის მივარდა, ხან ვის, წაჰკრა ხელი, წაუთაქა, უბრძანა:

— ადეგით, გაილვიძეთ!

მისწვდა ვილასაც საყელოში და საყელო კი უკვე დამბალი იყო.

— ადეგით, თქვე უქნარებო, მცონარებო! — ყვიროდა გაშმაგებული იგემონი, — რა დაგემართათ?.. რა ღმერთი გაგიწყრათ?.. გადაეხედეთ თქვენს მეზობლებს!.. აგერ, ჩინელებიც კი...

მიწას ჩაჰკვრიან და დუმან მცხოვრებნი.

— ღმერთო ძლიერო. — შეჰღაღადა იგემონმა, — რა ვქნა? რა წყალში გადავარდე?..

და სიცრუვეს მიმართა: დაიღუნა და შიგ ყურში ჩასძახა მწოლიარეებს.

— ეეი, მოქალაქევ! სამშობლო განსაცდელშია, დიდ განსაცდელშია, ღმერთს გეფიცები. ადეგ, ბრძოლაა საჭირო, წინააღმდეგობა... ამბობენ, ნება დართული იქნება მოქალაქეთა ყოველგვარი თვითმოქმედებაო.

ჰა, მოქალაქევ!

მოქალაქეს უკვე შავი მიწის გახრწნილება ერევოდა და უპასუხა:

— ჩემი სამშობლო ღმერთია...

ზოგნი კი ხმასაც არ იღებდენ, როგორადაც შეურაცხყოფილი მიცვალებულები.

— ფატალისტები არიან ეს ამოსაწყვეტები, — ყვიროდა იმედმიხდილი იგემონი, — ადეგით, ხალხო! ნება დართულია ყოველგვარი წინააღმდეგობა...

ერთმა წამოიწია მხოლოდ, ჩათუქესანმა მოკრივემ:

— რას უნდა ვეწინააღმდეგოთ, რომ ალარაფერია?

— მკბენარს მაინც...

— რა საჭიროა, მივეჩვივნეთ.

მთლად გადაირია იგემონი. შედგა თავის სივრცის ჭიპზედ და დაიწყო ყვირილი:

— ყველაფრის ნებას გაძლევთ, ხალხო ადეგით, თავს უშველეთ!

— ყველაფრის ნებას გაძლევთ, თუნდ დასჭამეთ ერთმანეთი!

დუმილი და სიჩუმე...

დარწმუნდა იგემონი, რომ დალუპული იყო საქმე.

ქვითინი მორთო, ცხარი ცრემლი იდინა, წვერი იგლიჯა და მოჰყვა ყვირილს:

— ჩემო საყვარელო მცხოვრებნო! რალა ვქნა მე უბედურმა? მე თითონ მოვაწყო რევოლუცია?.. ადეგით, ჭკუაზედ მოდით, ხომ იცით, რომ საჭირო არის ისტორიულად, აუცილებელი არის ეროვნულად. მარტო მე ხომ ვერ მოვახდენ რევოლუციას... პოლიციაც კი ალარა მყავს, მკბენარმა ამომიწყვიტა...

ხალხი კი ეყარა მიწაზედ, თვალს ახამხამებდა, ხმას არ ამოიღებდა, ზედაც რომ შემდგარიყო.

ასე ჩუმად დაიხოცნენ ყველანი და მათ შემდეგ სასოწარკვეთილი ოგემონი.

საიდანაც გამომდინარეობს დასკვნა, რომ თვით ლპობაშიაც კი ზომიერება უნდა იყოს დაცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11

და ბოლოს შეიკრიბნენ უუბრძენესნი მცხოვრებთაგანნი და აღძრეს კითხვა:

— რად არის, რომ საცა კი გაიხედავ, ყველგან თექვსმეტია?

საფუძვლიანად განიხილეს და დაადგინეს:

— ის იმიტომ, რომ არა გვყავს პიროვნება. საჭირო არის შევადგინოთ ცენტრალი მოაზროვნე დაწესებულება, სხვადასხვა დამოკიდებულებათაგან სრულიად თავისუფალი, რომ შეეძლოს აღმაღლდეს ყველაზედ ზევით და წინ უძღოდეს ყველას, აი, მაგალითად, როგორც თხა ცხვარის ფარაში.

ხმის ამოღება გაბედა ერთმა:

— განა არა კმარა, რაც ამდენ ხანს გადაგვხდა ცენტრალ პირთაგან. არ მოეწონათ;

— მაგას პოლიტიკის სუნი უდის და მოქალაქეობრივ ურვისა... ის კი თავისას გაიძახოდა:

— როგორ შეიძლება უპოლიტიკობა, როდესაც ყველგან პოლიტიკა ჰქმნის ცხოვრებას. მე, ეს რაღა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს, რომ საშინელი ვიწროობა არის საპატიმროში, ნემსი ველარ ჩაეტევა კატორგაში და მაშასადამე საჭირო არის გაფართოვება უფლებებისა...

მაინც სასტიკი შენიშვნა მისცეს:

— ეგ, ბატონო ჩემო, იდეოლოგია გახლავთ და დროა დაივიწყოთ... აქ საჭირო არის ახალი ადამიანი და სხვა არაფერი.

და შეუდგნენ ახალი ადამიანის გაჩენას იმგვარადვე, როგორც აღნიშნულია წმიდათა თქმულებაში: აფურთხებდენ მიწას, ატალახებდენ, ურევდენ, ყურთამდე ლაფში ისხდნენ, მაგრამ — შედეგი არავითარი. ისე რუდუნებდენ, რომ ფეხით გასთელეს საცა ძვირფასი ყვავილი იყო, მიწასთან გაასწორეს მარცვლოვანი მცენარე. სულ რუდუნებდენ, წელებზედ ფეხს იდგამდენ, ოფლში იწურებოდენ, მაგრამ ამაოდ. არა გამოდიოდა რა, გარდა ერთმანეთის ლანძღვისა: ერთმანეთს აბრალებდენ, — შენა ხარ უნაყოფო, შენ ვერაფერს გააჩენო... იქამდე მივიდნენ, რომ მოთმინებიდან გამოიყვანეს თვით ბუნება: საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ატყდა ჭექა-ქუხილი, ტკბილ ჟინის აღმძვრელი სიცხე ველარ აშრობდა მიწას, რადგან კოკისპირული წვიმა მოდიოდა, და ჰაერი გაჟღენთილი იყო მძიმე სუნით. — სუნთქვა ეკვროდა ადამიანს.

მაგრამ ხანდახან დამშვიდდებოდა ხოლმე აბობოქრებული ბუნება, მოიწმინდებოდა ზეცა და ჩნდებოდა ახალი პიროვნება...

აღიძროდა საზოგადო სიხარული და სწრაფად შეიცვლებოდა ხოლმე მძიმე გაუგებრობად, რადგან, თუ ახალი პიროვნება გლეხების მიწაზედ გაჩნდებოდა, მაშინვე ქლესა ვაჭრად ხდებოდა და, რა მოიკრებდა ძალას, ნაჭერნაჭერ ჰყიდდა სამშობლოს, — უცხოელ[illegible] ... ძლევდა ცხრა-ცხრა შაურად და უფრო ძვირადაც, და სულ იმის ცდაში იყო, რომ მთელი ოლქი გაეყიდა მთელ თავის ცოცხალ და მოაზროვნე ავლარით. თუ ვაჭრის მიწაზედ მოზილავდენ ახალ პიროვნებას, ან გადაგვარებული გამოვიდოდა, ან ბიუროკრატებში ცდილობდა შეძრომას, თავადაზნაურების მიწაზედ გაჩნდებოდა და, როგორც ყოველთვის უწინაც ხოლმე, იმისთანა უძღები მადის პატრონი გამოდგებოდა, რომ მთელ სახელმწიფოს შემოსავლის გადაყლაპვას ცდილობდა. მუშების მიწაზედ გაჩნდებოდა ვინმე, და ისიც ჩაერევოდა პროვოკატორების, ნიჰილისტების, პესიმისტების გუნდში, რომელიც ნარეკალივით მოსდებია ქვეყანას,

ყოველივე ეს საკმაოდ მოგვეპოვება, — აღიარეს ბრძნებმა, და ღრმად ჩაფიქრდენ.

— რაღაც შეცდომა შეგვეპარა გაჩენის ტექნიკაში, მაგრამ რა, რა შეცდომა?..

სხედან, ფიქრობენ და გარეშემო კი ზღვის ტალღასავით იძვრის ტალახი.

და ეკამათებიან ერთმანეთს...

— თქვენ, სელდერეი ლავროვიჩ, მეტად ბევრს აფურთხებთ ყოველ მხრივ...

— და თქვენ, კორნიშონ ლუკიჩ, ამის ვაჟკაცობაც არ გაგაჩნიათ.

ახლად გამოსული ნიჰილისტები კი, თითქო ვასკა ბუსლავევის მიერ იყვნენ დარიგებული, შეურაცყოფით შესცქრიან ყველაფერს და ღრიალებენ:

— თქვენ ეი, ბოლოკის თავებო! თქვენ კარგად მოიფიქრეთ და ფურთხვით კი — ჩვენ დავაფურთხებთ ყველაფერს.

და აფურთხებდენ, და აფურთხებდენ...

ერთმა პატარა ბიჭმა გაუარა გვერდით: გაკვეთილიდან გამოპარულიყო მიტკა კოროტიშკინი, მეტსახელით ფოლადის ბრჭყალად წოდებული, გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფე, სახელოვანი შემკრები უცხოურ მარკებისა. გაუკვირდა მიტკას: წუმპეში სხედან ვილაცანი, შიგვე აფურთხებენ და რაღასაც სსაზრავენ ღრმად ჩაფიქრებულნი.

— დიდრონები და ასე გასვრილები?.. — გაიკვირვა ბიჭმა ხნოვანების შესაფერ თავხედობით.

მერე კარგად გასინჯა, — მასწავლებელთაგანი ხომ არავინ არისო, — და რა დარწმუნდა, — არავინ იყო, ჰკითხა:

— რად ჩასულხართ, ძია, ტალახის გუბეში?

იწყინა ერთმა ბრძენმა, შეუტია:

— სადა ჰხედავ აქ ტალახს? ეს არის მსგავსება დროის წინანდელ ხაოსისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე მანდ რადა სხედხართ?

— ახალი ადამიანი გვინდა გავაჩინოთ... თავი მოგვაბეზრეს ემაგრე შენისთანებმა!

ცნობისმოყვარე ბიჭი იყო მიტკა:

— ვის მსგავსად უნდა გააჩინოთ?

— რაო? ვის მსგავსადაო? მსგავსის უყოლი გვინდა... წადი, გაიარე!

ბავშვი იყო, ჯერ არ იყო გაწრვთნილი ბუნების საიდუმლოებაში, და ძალიან გაეხარდა, რომ დაესწრებოდა ამისთანა დიად საქმეს, და გულუბრყვილოდ ურჩია:

— სამფეხა გააჩინეთ.

— ეგ რისთვის?

— რა სასაცილო იქნება იმისი სირბილი.

— მოგვშორდი, ბალღო!

— თუ არა და ფრთები შეასხით. რა კარგი იქნება! ფრთები შეასხით ღმერთმანი. დაე, სულ მოიტაცოს, რაც მასწავლებლებია... როგორც ორბი იტაცებდა „კაპიტან გრანტის შვილებში". თუმცა იქ ორბმა მასწავლებელი არ მოიტაცა, მაგრამ ეს ემჯობინება, სულ მასწავლებლები იტაცოს.

— კმარა!.. რომ არ იცი, რა სისულელესა როშავ, და ამისთანა, მავნებელს. გაიხსენე ლოცვა სწავლის დაწყების და გათავებისას...

მაგრამ მიტკა გატაცებული იყო ოცნებებით და უფრო და უფრო ცხადად ხედავდა ლანდს:

— მასწავლებელი გიმნაზიისაკენ მიბრძანდება და უცბად დააცხრა ორბი, წაუჭირა ბრჭყალები და მიაქროლებს ზევით და ზევით. ფეხებს იქნევს მასწავლებელი, ძირს ცვივა იმისი წიგნები, იმისთანა ლაფში ცვივა, რომ ამოღება აღარ შეიძლება...

— წადი, ბიჭო!.. ისწავლე უფროსების პატივისცემა...

— მიაქროლებს ორბი და ის კი ცოლს უყვირის ციდან:

— მშვიდობით. ავმაღლდები ცათა შინა, როგორც ილია და ენოხიოდგას საწყალი ქალი ქუჩაში დაჩოქილი და ეთხოვება:

— მშვიდობით, ჩემო პედაგოგუცავ!

ძალიან გაუჯავრდენ:

— მოგვშორდი, ბიჭო! სისულელეს მროშავი უშენოდაც ბევრი გვყავს. შენთვის კი ჯერ ადრეა.

და გააგდეს... ცოტა გაირბინა, გაჩერდა და ჰკითხა:

— მართლა უნდა გააჩინოთ?

— მართლა, მაშ...

— და არა ჩნდება?

ამოიოხრეს დაღვრემილმა ბრძენებმა და დაუყვირეს:

— არა!.. თავი დაგვანებე!

მაშინ საკმაოდ შორს გადგა მიტკა, ენა გამოუყო და დაუყვირა:

— მე კი ვიცი, რატომ არა ჩნდება. მე კი ვიცი!

წამოცვივდენ, დაედევნენ... მირბოდა ბიჭი, ბრძნები უკან მისდევდენ... ჩვეულნი იყვნენ ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბენას, დაეწივნენ, სტაცეს ხელი წაუთაქეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შე საძაგელო, შენა! აგრე უნდა აჯავრებდე უფროსებს...

მიტკამ ტირილი დაიწყო, შეევედრა:

— ძია, სუდანის მარკას მოგცემ... ორი მაქვს... კალმის დანას.

ისინი კი დირექტორით ემუქრებოდენ.

— ჩემს დღეში აღარ გაგაჯავრებთ, ღმერთმანი. მე მივხვდი, რატომ არ ჩნდება ახალი ადამიანი. რა ვქნა, რომ არა გჯერათ ჩემი?

— მიხვდი და სთქვი რაღა.

— ჯერ გამიშვით.

გაუშვეს, მაგრამ ხელი კი დაუჭირეს, და უთხრა მიტკამ:

— იმიტომ, ძია, რომ მიწა ის აღარ არის. აღარ ვარგა მიწა, ვფიცავ, აღარ ვარგა... ბევრიც რომ აფურთხო, არა გამოვა რა. ხომ იცით, ღმერთმა გააჩინა თავის სახედ და მსგავსად ადამი, მიწა არავისი იყო, და ახლა კი ვისიმე არის... და ამიტომ ადამიანიც ყოველთვის ვისიმე არის... საქმე ფურთხი კი არ არის...

განცვიფრდენ ბრძნები, ხელები დაუშვეს. ამით ისარგებლა მიტკამ, მოჰკურცხლა და შორიდან ყვირილი დაუწყო:

— თქვენ წითელკანიანებო. ირეკეზებო!

ისინი კი ჩასხდნენ ტალახში და ბრძანა ბრძენთა ბრძენმა:

— კოლლეგებო, განვაგრძოთ ჩვენი მეცადინეობა, დავივიწყოთ ის ბიჭი, რადგან, ეჰვი არ არის გადაცმული სოციალისტია, ის საზიზღარი, ისა!

ეჰ, ჩემო კარგო ბიჭიკო!

12

ღირსშესანიშნავი ხალხი იყო ივანიჩები. არაფერს გაიკვირვებდენ, რაც უნდა დამართოდათ.

ვიწრო შემოზღუდულები იყვნენ ბუნების კანონებისაგან სრულიად დამოუკიდებელ გარემოებებით, და რასაც მოისურვებდენ და შესძლებდენ, იმას უშვრებოდენ გარემოებები: შვიდ ტყავს გააძრობდენ ივანიჩებს და მრისხანედ დაუყვირებდენ:

— მერვე სადღა არის?

სულაც არ იუცხოვებდენ ამ ყვირილს ივანიჩები და უმორჩილესად მოახსენებდენ გარემოებებს:

— ჯერ არ ამოგვსვლია, თქვენო აღმატებულებავ... გვადროვეთ.

და გარემოებანი, — ამ ლოდინში, რომ მერვე ტყავი გავაძროთო, — იკვეხიდენ მეზობლებში სიტყვიერად და ნაწერით:

— მორჩილებით აღსავსე არის ხალხი. ჩვენებს რაც გინდა უყავ, არაფერს გაიკვირვებენ. ისე კი არ არიან, როგორც თქვენსა. აი, მაგალითად...

ასე ცხოვრობდენ ივანიჩები, — ცოტაოდნავად შრომობდენ, ხარჯსა და ბეგარას იხდიდენ, ქრთამს აძლევდენ, ვისაც რა ერგებოდა, და, თუ თავისუფალი დრო შეხვდებოდათ, ჩუმად შესჩივოდენ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაჭირდა ცხოვრება...

ვინც ჭკვიანი იყო, წინასწარ მეტყველებდა:

— ხვალ უარესი მოგველის.

ხანდახან გაბედავდა ვინმე და ორ-სამ სიტყვას კიდევ დაუმატებდა. ამისთანა კაცისას ღრმა პატივისცემით იძახდენ:

— ი-ს წერტილი დაასვა.

იმდენად გამხნევდენ ივანიჩები, რომ დიდი სახლი დაიქირავეს ბაღში და შიგ სპეციალ დანიშნულების კაცები დასხეს, რომ დღე და ღამ მჭერმეტყველებაში ევარჯიშათ და ი-ზედ წერტილი დაესვათ.

შეიკრიბებოდა ამ სახლში რამდენიმე ასი კაცი და შეჰყურებდენ თავიანთ ამორჩეულ ოთხ კაცს, რომლებიც ბუზებივით წერტილს ასვამდენ ი-ს. დაასვამდენ წერტილებს, რამდენის ნებასაც მისცემდა უბნის ბოქაული, ცარიელ ცნობის მოყვარეობით მისული, — და მერე თავის ქებას მოჰყვებოდენ საქვეყნოდ, — ისტორიას ჩვენა ვქმნითო...

უბნის ბოქაული კი შეჰყურებდა იმათ მეცადინეობას, როგორც სამარცხვინოს, და როგოც კი გაბედავდენ და სხვა ასოზედ მოინდომებდენ წერტილის დასმას, გადაჭრით უბრძანებდა:

— ანბანს ნუ წარყვნით. დაიშალენით!

ისინიც მიეხირებოდენ ხმის ამოუღებლივ, თან ნუგეშსა სცემდენ ერთმანეთს:

ეგ არაფერი. ისტორიაში ჩავწერთ ამ საზიზღრობას ამათ შესარცხვენად.

და ჩუმჩუმად იკრიბებოდენ ივანიჩები სადმე ფარულად, ორი-სამი კაცი და ჩურჩულებდნენ, თუმცა აღარა უკვირდათ რა:

— ჩვენს ამორჩეულთ კიდევ მოუსპეს ნიჭი სიტყვისა.

უფრო გამბედავნი და თავზედ ხალაღებულნი თავისას უმატებდენ:

— გარემოებათათვის კანონები არა სწერია.

ერთობ ძალიან უყვარდათ ივანიჩებს ანდაზებით ნუგეშის მოპოვება: ჩასვეს ვინმე ციხეში, რადგან შემთხვევისა გამო უთანხმოება გამოსჩენოდა გარემოებებთან. ანდაზებით დაამტკიცებდენ თავიანთ მშვიდ ფილოსოფიას:

— არა შეჯდა მწყერი ხესაო...

და ზოგი კი ავყიათ უმატებდა:

— რაც არ მერგება, არ შემერგებაო...

ასე ცხოვრობდენ ივანიჩები და მიაღწიეს იმ დროს ცხოვრებისას, როდესაც ი-ზედ ყველა წერტილები დაესვათ, ყველა უკლებლივ, და საქმე აღარა ჰქონდათ რა.

და თითონ გარემოებანიც დარწმუნდენ, რომ ამაო წყალის ნაყვა იყო ეს წერტილები, და გამოსცეს ბრძანება:

— გამოაცხადეთ მთელ ქვეყანაში სასტიკი კანონი:

„ამიერიდან ყველგან და ყველასთვის, გარდა ცენზორისა, აკრძალულია ი-ზედ წერტილს დასმა და აღარავითარი წერტილები არ უნდა მოიპოვებოდენ მცხოვრებთა სარგებლობაში... ამ კანონის დამრღვევი დამნაშავენი დასჯილ იქნებიან სისხლის სამართლის უმძვინვარეს მუხლით ძალით“.

გაშტერდნენ ივანიჩები. ახლა რაღა ქნან?

სხვა არა ესწავლათ რა... ერთად ერთი რამ ჰქონდათ სანუგეშო და ისიც აუკრძალეს.

შეკრბებოდენ ხოლმე ჩუმად ორი-სამი კაცი სადმე ბნელ კუნჭულში და დაიწყებდენ ჩურჩულს, როგორც პოშეხონელები — ანეკდოტები:

— ერთიც ვნახოთ, ივანიჩ, მოგვხედა ღმერთმა და...

— მერე რა?

— არა, მე ის კი არ მინდა... ღმერთმა დაგვიფაროს!

— ჰო და, რომელიცა რომა... რადგან... შენ კი იძახი...

— მე? ისე, სხვათა შორის...

და სხვა კი — ერთი სიტყვაც ველარ ეთქვათ.

13

ერთ მხარეს კუზმიჩები ცხოვრობდენ. მეორე მხარეს — ლუკიჩები, შუაზედ მდინარე ჩაუდიოდათ.

ქვეყანა ბუდეა ვიწროობისა და ადამიანი — ბუდეა სიხარბის და შურისა. ამიტომ არის ადამიანთა შორის ყოველ წვრილმანისა გამო ჩხუბი და მუდმივი ცემა-ტყეპა: არ მოეწონა რამე კაცს, — ურა! — და გაჰკრავს შიგ ყბაში!..

გაჰკრავდენ ხოლმე ერთმანეთს კუზმიჩები და ლუკიჩები, დაამარცხებდენ და დაიწყებდენ მოგების და ზარალის ანგარიშს. იანგარიშებდენ... დალახვრა ღმერთმა! თავგანწირვით, მედგრად იბრძოდენ, დაუნდობლად სცემდენ და ანგარიშით კი ზარალის მეტი არაფერი იყო...

ტიროდენ კუზმიჩები.

— ლუკიჩის ფასი ბევრი, ბევრი — შვიდი კაპეიკი, და იმის მოსაკლავად კი აბაზი დაგვიხარჯავს... რა ღმერთი გაგვიწყრა, ნეტავი?..

ლუკიჩებიც სთვლიდენ:

— ცოცხალი კუზმიჩი, თავის დაფასებითაც კი, გროშად არა ღირს, და იმის მოსაკლვაად კი ოთხაბაზ უზალთუნი დაგვხარჯვია... ღვთის რისხვაა, სწორედ!

და ერთმანეთის შიშით გამოჰქონდათ დადგენილება:

— საჭირო არის მეტი იარაღის შეძენა, ჯარის უკეთ აღჭურვა. მაშინ ომიც მალე გათავდება და მტერის ამოწყვეტაც იაფად დაგვიჯდება.

ვაჭრები კი ჯიბეს ივსებდენ და გაჰყვიროდენ:

— ბიჭებო, დაეხმარენით სამშობლოს!

მრავალი იარაღი მოამზადეს, ხელთ იგდეს შესაფერი დრო და მისცვივდენ ერთმანეთს ამოსაწყვეტად.

იომეს, იბრძოლეს, დაამარცხეს ერთმანეთი, გაძარცვეს და დაიწყეს მოგებისა და ზარალის ანგარიში... ღვთის წყრომა იყო, სწორედ!

რაღაც შეგვეშალა, — იძახდნენ კუზმიჩები,—ამას წინად რვა აბაზი დაგვიჯდა თითო ლუკიჩის მოკვლა, დღეს კი თითოზედ თექვსმეტი მანეთი დაგვიხარჯავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულსაკლავი ჭმუნვარება ერეოდათ...

ლუკიჩები უარეს ყოფაში იყვნენ:

— ცუდად არის ჩვენი საქმე! ისე ძვირად გვიჯდება ომი, რომ საშვილიშვილოდ ვიღუპებით!

მაგრამ კერპები იყვნენ და დაადგინეს:

— უნდა მოვიხმაროთ მტრის ამოსაჟლეტი მეცნიერული ტექნიკა.

ვაჭრები ჯიბეს იტენავდენ და გაჰყვიროდენ:

— ხალხო! სამშობლო განსაცდელშია!..

თითონ კი ნელნელა ფასს უმატებდენ ქალამანს.

ძალიან ისარგებლეს ლუკიჩებმა და კუზმიჩებმა თანამედროვე მეცნიერულ ტექნიკით, რომ აღჭურვილიყვნენ მტრის ამოსაჟლეტად იარაღით. დაამარცხეს ერთმანეთი, დაარბიეს, გაძარცვეს და დაიწყეს მოგებისა და ზარალის ანგარიში... საზარელი იყო მათი მდგომარეობა!

ცოცხალი ადამიანი გროშად არა ღირს და, განიძრახავ მის მოკვლას, ჯიბეს გამოიფხიკავ.

შერიგდებიან დროებით, დაზვავდებიან და ნესჩივიან ერთმანეთს:

— დავიღუპენით ამ ომებით! — მოსთქვამენ ლუკიჩები.

— გავლატაკდით! — ეთანხმებიან კუზმიჩები.

მაგრამ როგორღაც მოხდა, ვიღასაც იხვმა უწესურად ჩაიყურყუმალავა წყალში, და ატყდა ომი.

შვიდი წელიწადი იომეს კუზმიჩებმა და ლუკიჩებმა, ხოცავდენ ერთმანეთს, ქალაქებს უწვავდენ და უნგრევდენ, აფორიაქებდენ, იკლებდენ ხალხის ნაჭირნახულევს... ხუთი წლის ბავშვები დასხეს ტყვიის მფრქველებზედ და სროლა ასწავლეს. იქამდე გაუჭირდათ, რომ კუზმიჩებს ქალამანის მეტი აღარა დარჩათ რა, და ლუკიჩებს — მარტოდ მარტო ზორტები. დადიოდენ ასე შიშველ-ტიტვლები...

დაამარცხეს ერთმანეთი, დაარბიეს, მოგების და ზარალის ანგარიშს შეუდგენ და ხახამშრალი კი დარჩნენ კუზმიჩებიც და ლუკიჩებიც.

თავში იცემდენ და მოსთქვამდენ...

— არა, ხალხო, არა! მეტად ძვირად გვიღირს მტრის ამოწყვეტა... ამ ხარჯს ველარ გავუძლებთ და ჩვენც თან გადავყვებით. აი ნახეთ, ას მანეთად დაგვიჯდა თითო მოკლული კუზმიჩი... კმარა, სხვა რამ ღონისძიება უნდა ვიხმაროთ!..

მოილაპარაკეს და წყალისკენ წავიდნენ, ერთ ფარად ყველანი. წყალგალმა კი მტრები შეგროვილიყვნენ, ისინიც ერთ ფარად.

თვალს ვერ უსწორებდენ ერთმანეთს, რცხვენოდათ. იდგნენ, იზლაზნებოდენ და ბოლოს გასძახეს გალმელებს:

— რად მოგროვილხართ?

— ისე. თქვენა?

— ჩვენც ისე... სასეიროდ გამოვედით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენც სასეიროდ...

იდგნენ, შეჰყურებდენ ერთმანეთს, ზოგი კი ოხრავდა, ტკბებოდა, მერე კიდევ გასძახეს:

— თქვენ დიპლომატები გყავთ?

— გვყავს... თქვენა?

— ჩვენცა გვყავს.

— აი, თქვენ კი რა გითხრათ!

— თქვენა? თქვენ რაღადა გყავთ?

— ჩვენი რა ბრალია?

— არც ჩვენი!

მიუხვდენ ერთმანეთს, იქვე წყალში ჩაახრჩეს დიპლომატები და დაიწყეს მშვიდობიანი ბაასი.

— იცით, რად შევიკრიბენით?

— გვგონია, რომ ვიცით.

— აბა, რადა?

— რადა და, შერიგება გინდათ.

გაუკვირდათ კუზმიჩებს:

— როგორ მიხვდით?

სიცილი დაიწყეს ლუკიჩებმა:

— ჩვენც მაგისთვის გამოველით: ძალიან ძვირად გვიჯდება ომი.

— ძვირად და აგრე!..

— მართალია, სულ ჯიბგირები ხართ, მაგრამ, მოდით, მშვიდობიანად ვიცხოვროთ.

— თუმცა თქვენ სულ ქურდები ხართ, მაგრამ მიაინც მშვიდობიანობა სჯობია.

— ჰო, ჰო! მოდით, ძმურად ვიცხოვროთ. ომის ხარჯიც ჯიბეში დაგვრჩება.

— ძალიან კარგი.

კინალამ გაგიჟდენ სიხარულით. ხტოდენ, ცეკვავდენ, კოცონები აანთეს, ერთმანეთს ქალები მოსტაცეს, ცხენები მოჰპარეს... ეხვეოდენ ერთმანეთს და გაიძახოდენ.

— რა კარგია, ძმობა, ბიჭებო! მართალია, თქვენ... ასე ვთქვათ...

და კუზმიჩებიც თანხმებოდენ.

— ძმანი ვართ, ძმანი! ერთი სული და ერთი გული, თუმცა თქვენ... ასე ვთქვათ... მაგრამ...

და მას შემდეგ ძმურად, მშვიდობიანად, ცხოვრობდენ კუზმიჩები და ლუკიჩები. სამხედრო საქმე მთლად მიატოვეს და, თუ სძარცვავენ ერთმანეთს, ისე, ოდნავ, არა მხედრულად.

ვაჭრები კი, როგორც ყოველთვის, იღწვიან ღვთის ბრძანებისამებრ.

14

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიღალა მუშაობით კერპი გლეხი, მიწვა დერეფანში დასასვენებლად. მიუვარდა ბატონი ყვირილით:

— ადეგ, შე!..

— რა მოხდა, ბატონო?

— წამოდი მოსკოვის დასაცავად...

— რა დაემართა მოსკოვს?

— პოლონელები შემოესივნენ.

წავიდა გლეხი მოსკოვის დასაცავად და ქაჯი ბოლოტნიკოვი კი შიგ ყურში ჩასძახის:

— სულელო, სულელო! რად აკლავ თავს ბატონებს? რადა, რისთვის! რატომ არ დაფიქრდები?

— მე დაფიქრებას ჩვეული არა ვარ. ჩემს მაგივრად წმიდა მამანი — ბერები ფიქრობენ და ძალიან კარგადაც ფიქრობენ, — უპასუხა გლეხმა. მტერი განდევნა, დაბრუნდა სახლში და დანგრეული კი დახვდა დერეფანი.

ამოიოხრა:

— ბოძები მოუპარავთ იმ ქურდებს...

მარჯვენა გვერდზედ დაწვა, რომ უფრო ტკბილი სიზმარი ენახა. ორასი წელიწადი იწვა. მიუვარდა ბურმისტრი:

— ადეგ, გლეხო!

— რადა, რა მოხდა?

— რუსეთს მტერი შემოესია!

— ვინა?

— ბონაპარტი და თან თორმეტი სახელმწიფოს ლაშქარი.

— ის შეჩვენებული, ისა!

წავიდა გლეხი რუსეთის დასაცავად და ქაჯი ბონაპარტი კი შიგ ყურში ჩასძახის:

— რად შეალიე შენი ძალლონე მაგ ბატონებს? კმარა! განა დრო არ არის, რომ მოიხსნა ბატონ-ყმობის უღელი?

— თითონ მომხსნიან — უპასუხა გლეხმა. მტერი განდევნა, შინ მივიდა, შეჰხედა, სახლს ჭერი აღარა ჰქონდა.

ამოიოხრა:

— ის ძალლები, ისა! ძარცვა-გლეჯის მეტი არა ახსოვთ რა!

მივიდა ბატონთან და ჰკითხა:

— რუსეთიდან რომ მტერი განვდევნე, სამშობლო განსაცდელს გადავარჩინე, მე არა მერგება რა?

— მათრახი გინდა?!

— არა, გმადლობთ, არ მინდა.

ასი წელიწადი კიდევ იშრომა და იძინა, ძალიან საამო სიზმრებს ჰხედავდა, მაგრამ მშიერი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ფული, ჰქონდა სვამდა; თუ არა და, ნატრობდა:

— რა კარგი იქნება, ერთი კარგად გამოვითვრე.

მიუვარდა ჩაფარი, შეჰყვირა:

— ადეგ, გლეხო!

— რა არის? რა მოხდა?

— წამოდი ევროპის დასაცავად.

— რა ღმერთი გაუწყრა?

— გერმანელები შეესივნენ.

— საქმე არა ჰქონიათ, ღმერთმანი. ყოფილიყვნენ თავისთვის მშვიდად...

წავიდა ევროპის დასაცავად. გერმანელმა ფეხი მოსტეხა. მივიდა შინ, ცალფეხა. შეჰხედა, სახლი დანგრეულია, ბავშვები სიმშილით ამომწყდარან. იმისი ცოლი წყალს უზიდავს მეზობელს.

— დასწყევლა ჩემმა გამჩენმა! — წამოიძახა გლეხმა, ხელი აიწია კეფის მოსაფხანად და... თავი კი აღარა ჰქონდა...

15

ერთი კაცი იყო სახელოვან ქალაქ მიამლინში, სახელად მიკეშკა. უვიცად, უაზროდ ცხოვრობდა ჭუჩაში, სილარიბეში და უსაქმურობაში. საზიზღროების მდინარეები დიოდენ მის ირგვლივ, შიგ თავში სცემდა ყოველგვარი ძალი უწმინდური, და ის კი უშნო, უხეირო, უსაზღვრო გაუბედაობის მორევში მყოფი, არც თავს ივარცხნიდა არც ტანს იბანდა, მხეცურ ჯაგარით იმოსებოდა და ღმერთს შესჩივოდა:

— ღმერთო ძლიერო, ღმერთო დიდებულო! რა არის ჩემი სიცოცხლე?... მწიკვლი და ტურტლი! ღორებიც კი მე დამცინიან. რად გამწირე, ნეტავ, ღმერთო?

მოსთქვამდა, თავის უბედურებას დასტიროდა და... მოჰყვებოდა ოცნებას.

— სულ მცირეოდენი რეფორმა რამე მაინც მომანიჭოს უწმინდურმა ძალმა ჩემი თავმდაბლობის და მორჩილების ნაცვლად... ვიბანებდი, გავსუფთავდებოდი.

უწმინდური ძალი კი უფრო მეტად ჰქირდავდა, და ყველა ბუნებრივ კანონების ასრულება გადაადებინა მომავლისათვის, როდესაც „უკეთესი დრო“ დაგვიდგება. მანამ კი, დღე არ გავიდოდა, რომ ახალ-ახალი ცირკულიარებით არ გაეხარებინა მიკეშკა:

„ჩუმად! და თუ დაარღვია ვინმემ ეს ბრძანება, დასჯილი იქნება ადმინისტრატიულ აღმოფხვრით მეშვიდე თავობამდე ჩათვლით“.

ან კიდევ:

„გიბრძანებთ, გულწრფელად გიყვარდეთ მთავრობის მოხელენი. ამ ბრძანების დამრღვევნი დასჯილ იქნებიან“...

კითხულობდა მიკეშკა ცირკულიარებს, აქეთ-იქით იყურებოდა. შეჰხედა — მიამლინში ჩუმად არიან ყველანი, დრემოვში — მთავრობის მოხე-

ლენი უყვართ, ვორგოროდში — მცხოვრებნი ერთმანეთს ქალამნებს ჰპარავენ.

კვნესის მიკეშკა:

— ღმერთი არ გაქვს, ღმერთო?! რა არის ჩემი სიცოცხლე? ცოტა რამ მაინც მოხდეს!... და უცბად სალდათი კი მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ცნობილია, — სალდათს არავისი ეშინია. კუდით ქვა ასროლინა უწმინდურ ძალას, ზოგი ბნელ სარდაფში ჩაჰყარა, ზოგი ბნელ ჯურღმულში, ზოგი გაყინულ მდინარეში... ჩაიყო ხელი უბეში, ამოიღო მილიონი, — გულუხვია სალდათი. — ამოიღო მილიონი და კალთაში ჩაუყარა მიკეშკას.

— აჰა, — დაიჭი, უბადრუკო! აბანოში წადი, ტანთ ჩაიცვი, ადამიანს დაემსგავსე. მგონია, რომ დრო არის.

მისცა მილიონი და გაქრა, თითქოს არც კი ყოფილიყო.

გთხოვთ, არ დაივიწყოთ, რომ ზღაპარს მოგახსენებთ.

დარჩა მიკეშკა მილიონით ხელში. რა ჰქნას, როგორ მოიხმაროს? საქმეს ვერას მოახერხებდა, რადგან გადაჩვეული იყო ცირკულიარების გამო. ბედს უჩივოდა თავის დღენი, სხვა არა შეეძლო რა... მაგრამ მაინც გავიდა ბაზარში, ბაზაზისაგან კუმაჩი იყიდა საპერანგედ და იმის ამხანაგად... ჩაიცვა ახალი ტანისამოსი ტურტლიან ტანზედ და გავიდა ქუჩაში. დაყიალობდა დღე და ღამ ქუჩაში, აღარც უქმე გააჩნდა, აღარც სამუშაო დღე, დადიოდა, იბერებოდა, იბღინძებოდა, ქუდი გვერდზე მოჰქცევოდა, ტვინიც აგრეთვე, და ტრაბახობდა:

— წინადაც შემეძლო, მაგრამ არ მინდოდა! ჩვენ, მიამლინელები, დიდებული ხალხი ვართ! უწმინდურ ძალისა ისე არ გვეშინია, როგორაც რწყილისა! მოვინდომოთ თორემ!...

ისეირა ასე მიკეშკამ ერთი კვირა, ერთი თვე, სულ ყველა სთქვა, რაც სიმღერა იცოდა, „საუკუნო ხსენება“ და „წმიდათათანა განუსვენე“-ც — ზედ მიადევნა. მოსწყინდა ეს უქმობა და მუშაობა კი არ უნდოდა. და დაღონდა მიუჩვეველი, რადგან ისე აღარ იყო აღარაფერი: — პოლიციელი აღარსაიდ ჩანდა, მთავრობა ნამდვილი კი არა, მეზობლებთაგან იყვნენ ამორჩეული... აღარავინ იყო, რომ აეთრთოლებინა მიკეშკა...

ჩვეულებრივი აღარაფერი იყო, უვარგისი იყო ახალი.

ბუზღუნი დაიწყო მიკეშკამ:

— წინად, უწმინდურ ძალის დროს, უფრო მეტი წესიერება იყო. ქუჩებსაც დროისად ჰგვიდენ. მებოძირზედაც ყველგან პოლიციელი იდგა. მიდიხარ სადმე, ან ეტლს მიაქანებ, და ის კი გიბრძანებს: — მარჯვნივ წადი!.. ეხლა კი გინდა მარჯვნივ წადი, გინდა მარცხნივ, ვინ არის პატრონი? ემაგრე, მგონი, ქვეყნის კიდურამდე, მივალთ მალე... და კიდეც მივიდნენ ზოგნი.

მოწყენილია მიკეშკა. გული ერევა. შეჰყურებს მილიონს და ჯავრობს:

— რას მარგებს მილიონი. სხვებს უფრო მეტი აქვთ. მე რომ ერთბაშად მილიარდი მომცენ, ღვთის წყალობა გაქვთ, მე მაშინ... თორემ რა?

ერთი მილიონი! რას გავარიგებ მილიონით? დღეს ქათამიც კი არწივივით დადის, იმიტომ, რომ ქათმის ფასი თექვსმეტი მანეთია. მე კი მილიონის მეტი არა მაბადია რა!..

და გაიხარა მიკეშკამ, რადგან ჰპოვა მიზეზი ჩვეულებრივ მოთქმა-ტირილის გასამართლებლად. დადიოდა ტალახიან ქუჩებში და ეგაჰყვიროდა:

— მილიარდი მომეცით! ამით ვერას გავხდები! განა ეს სიცოცხლეა? ქუჩები დაუგველი, პოლიცია — აღარსად, ყველგან — უწესრიგობა! მომეცით მილიარდი, თორემ — სიცოცხლეც აღარ მინდა!

ამოძვრა მიწიდან თხუნელა და შეუტია:

— რა გაყვირებს, სულელო? ვინ უნდა მოგცეს? შენ თავსა სთხოვე.

მიკეშკა მაინც თავისას გაიძახის:

— მილიარდი მინდა! ქუჩები დაუგველია, ასანთი გაძვირდა, წესიერება აღარსად არის!..

ზღაპარი გათავებული არ არის, მაგრამ შემდეგი უცენზურო გახლავთ.

16

ერთი დედაკაცი იყო, სახელად, ვთქვათ, მატრონა. შრომობდა ერთ უცხო კაცისთვის, ვთქვათ ნიკიტასთვის, იმის ნათესავების და შინაყმათათვის.

დიდ გაჭირვებაში იყო მატრონა. ბიძია ნიკიტა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, თუმცა მეზობლებში თავი მოსწონდა და იკვეხიდა:

— ძალიან ვუყვარვარ ჩემ მატრონას, რაც მინდა, იმას ვუზამ. სამაგალითო ცხოველია. — ჩუმი, მორჩილი, ერთგული, როგორც ძაღლი.

და ბიძია ნიკიტას შინაყმანი კი გამოთვრებოდენ ლამაზად და სიცოცხლეს უმწარებდენ მატრონას.

ჰპარავდენ, თუ ჰქონდა რამე, სცემდენ, ამუშავებდენ, და თუ საქმე არა ჰქონდათ რა, აუპატიურებდენ. მაგრამ ერთმანეთში კი მაინც არ იშლიდენ იმის ქებას:

— ანგელოზია, ჩვენი მატრონა! იმისთანა კარგი რამ არის, რომ კიდეც გვებრალება ხანდახან.

ამ მავნებელთა გარდა მატრონას მრავალი სხვა ხალხი ეხვია, უსარგებლო, უქნისი. შეჰყურებდენ მატრონას. თანაუგრძნობდენ მის უსაზღვრო მოთმინებას და გულმტკივნეულად წუწუნებდენ:

— ჩვენო მრავალტანჯულო, წამებულო!

ზოგნი კი აღტაცებით აქებდენ:

— იმდენად დიდებული ხარ, მატრონა, რომ არშინითაც კი ვერ გაიზომები. შეუძლებელია შენი შეგნება გონებითაც კი... შენ გვწამხარ! სხვაფრივ არავის ძალუძს შენი ცნობა!

მატრონა კი დათვივით სჯობნიდა ყოველგვარ საქმეს. დაუღალავად მუშაობდა დღედაღამ მთელი საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ სიკეთე კი არაფერი ეტყობოდა: რაც უნდა დაემუშავებინა, დაეხვევოდენ ბიძია ნიკიტას ჩამომავალნი და მთლად წაართმევდენ. ლოთობა იყო ყველ-

გან, გარყვნილი ქალები და ყოველგვარი გახრწნილობა... სულ უგუბდებოდა ადამიანს.

ასე იყო მატრონა: მუშაობდა, ეძინა და, თუ წუთი გადარჩებოდა თავისუფალი, მწარედ მოსთქვამდა:

— აჰა ღმერთო! ყველას ვუყვარვარ, ყველას ვებრალებოდ ვაჟკაცი კი არსად არის, რომ... ნეტავი კი მოვიდეს ვინმე, მართლა ვაჟკაცი!.. მომხვიოს მძლავრი ხელი და გულით შემიყვაროს... იმისთანა შვილებს ვუშობავ, იმისთანას, ღმერთო!..

მოსთქვამდა მატრონა და სხვას კი ვერას ახერხებდა.

ერთი მჭედელი გადაეკიდა, მაგრამ არ მოეწონა მატრონას: საიმედოს არა ჰგავდა, თავით ფეხამდე ჭვარტლით იყო გამურული, თავხედი. თანაც გაუგებრად ლაპარაკობდა, თითქო თავს იწონებსო:

— მარტოოდენ ჩემთან იდეურ ერთობით შესძლებთ, მატრონა, კულტურის შემდეგ საფეხურზედ ასვლას...

მატრონამ კი მოკლედ მოუჭრა:

— რას, ამბობ, რავქნა? მე შენი ვერა გამიგია რა! და ეგეც რომ არ იყოს, მე დიდი ვარ და პოხიერი, ძალიან ნაყოფიერი და შენ კი მიწაზედ ძლივს ჩანხარ!

და დარჩა ძველებურად ბიძია ნიკიტას ხელში: ყველას ებრალებოდა, თითონაც ებრალებოდა თავისი თავი, მაგრამ სიბრალულით არა გამოდიოდა რა.

და ერთხელ უცბად მოვიდა გმირი. მოვიდა, პანლური ჰკრა ბიძია ნიკიტას და იმის შინაყმებს, და გამოუცხადა მატრონას:

— დღეიდან სრულიად თავისუფალი ხარ და მე, მე ვარ შენი მხსნელი, როგორც წმ. გიორგი ძველ კაპეიკზე.

მიიხედ-მოიხედა მატრონამ; მართლა თავისუფალი იყო. ცას დაეწია სიხარულით.

მაგრამ მჭედელმაც თავისი განაცხადა:

— მეც მხსნელი ვარ შენი!

— ეჭვიანობს და იმიტომ იძახის, — გაიფიქრა მატრონამ, — სიტყვით კი სხვა თქვა:

— ჰო, ჰო, შენც.

მხიარულად ცხოვრობდენ სამნი, სიამოვნებით და ქეიფით: ყოველდღე ქორწილი იყო სადმე, ქელეხი და ზეიმი. ბიძია ნიკიტას შინაყმამ მოკეიმ რესპუბლიკის მომხრედ გამოაცხადა თავი, — ურა!

იალუტოროვსკმა და ნარიმმა თავი შეერთებულ შტატებად გამოაცხადეს, — ურა!

ორი თვე გაატარეს ასე ტკბილად, კინალამ დაიხრჩვენ ნეტარების ზღვაში, როგორც ბუზები ბურახით სავსე სასმისში... მაგრამ უცბად, — ყველაფერი უცბად ხდება წმინდა რუსეთში, — უცბად მოიწყინა გმირმა.

დაჯდა მატრონას პირდაპირ და ჰკითხა:

— ვინ გიხსნა შენ მონობიდან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ, გენაცვალე, შენ.
— ჰო და აგრე!
— მე? — ჰკითხა მჭედელმა.
— შენც, შენც.
ცოტა ხანს უკან კიდევ მივარდა გმირი:
— ვინ არის შენი მხსნელი? მე თუ სხვა ვინმე?
— შენ, გენაცვალე, შენ. მაგას რაღა კითხვა უნდა.
— ჰო და, არ დაივიწყო!
— მე? ჰკითხა მჭედელმა.
— შენც... ორივე...
— ორთავეო?! — გაიკვირვა გმირმა და ულვაში გაისწორა, — როგორ-ლაც არ მახსოვს...
და დაუწყო მატრონას წამება. დღეში ასჯერ დააყვედრებდა:
— ხომ გაგათავისუფლე, სულელო!
და უფრო უკმეხად:
— ვინ არის შენი მხსნელი? მე თუ?..
შეჰხედა მატრონამ:
განზედ გადგა დაღვრემილი მჭედელი, თავის საქმეს მოჰკიდა ხელი... ქურდები ქურდობენ, ვაჭრები ვაჭრობენ, ძველებურად მიდის ყველაფერი, როგორც ბიძია ნიკიტას დროს იყო... და გმირი კი თავისას არ იშლიდა წამდაუწუმ შეჰყვირებდა:
— რა ვარ მე შენი?
და ტყლაშან! — გაჰკრავდა ალიყურს, მისწვდებოდა ნაწნავებში.
ფეხქვეშ ეგებოდა, უალერსებდა, ჰკოცნიდა მატრონა:
— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო გარიბალდო იტალიელო, კრომველთ ინგლისელო, ბონაპარტო საფრანგელო.
და მთელი ღამე ჩუმად ტიროდა:
— ღმერთო, ღმერთო! მე მეგონა მართლა შეიცვლებოდა რამე და ხედავთ, რა გამოვიდა?

. . . . . .

ნება მიბოძეთ, მოგაგონოთ, რომ ეს ზღაპარი გახლავთ.

(დასასრული)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ჩანგა

ს ე ი ზ ი ფ ი

მოთხრობა

ი. ალლაძის თარგმანი

თავი I

პირველად ალუჩა გაიფურჩქნა. შეიმოსა ყვავილებით, გეგონებოდათ თეთრი ფარვანებიაო.

ვაშლისხეს კვირტები დაებერა, მოემზადა გასაშლელად და მოთეთროვარდისფერ ფოთლების გამოსაშვებად.

ჰაერი გაიჭედა ფუტკრის ბზუილით, ისინი წინ და უკან დაფრინავდენ და პირველ ყვავილებზე სხდებოდენ.

სადღაც ბულბულის ხმა გაისმა. მას, თითქოს ეჯიბრებაო, თხილიანიდან გამოეხმაურა ნახშირივით შავი შაშვი.

ვაკეში ბოლავდა ცისფერი კვამლი. გლეხები სწვავდენ შარშანდელ ჩალას და თამბაქოს ღეროებს. ამზადებდენ მინდვრებს მოსახნავად.

სიმინდის მტერი — ჭრელფრთება ჩხიკვი, გრძნობდა რა თესვის მოახლოებას, სიხარულით გაჰკიოდა, თხმელიდან მიწაზე ეშვებოდა და უმალ უკანვე ბრუნდებოდა.

გადაიშალა ნათელი და თბილი გაზაფხული.

თემირის ეზოში გოგო და თმახუჭუჭა, მუცელშიშველა ბიჭუნა თეთრ პეპელას დასდევდენ, რომელიც მათ ცხვირწინ დაფრინავდა.

რაღაცამ დაიწკრიალა. ბავშვები შეჩერდნენ. თვალები ეზოს კარებს მიაპყრეს.

იქ თემირი გუთანს მოათრევდა.

გაოცებული ბავშვები „საკვირველებას“ დააშტერდენ. დაივიწყეს პეპელა, რომელიც მაღალ ბალახში ჩაეშვა. მერე გოგო მოსწყდა ადგილს და ფაცხისაკენ გაიქცა, თან დედას ეძახდა. მას ბუტბუტით დაედევნა ბიჭუნა. ორივე ფაცხაში შევარდა.

ახალგაზრდა, ღონიერმა თემირმა გუთანი შუა ეზოში დაადგო და, გახარებულმა, ცქერა დაუწყო. გალესილი საკვეთი ბრწყინავდა, მზე ენთებოდა მასზე. შუქის ანარეკლი თემირის სახეზე დახტოდა.

ასია, თემირის ახალგაზრდა ცოლი, ფაცხიდან გამოვიდა და ქმრისაკენ გაემართა. ასიას უკან მისდევდენ ბავშვები. მასვე დაედევნა მამალი, რომელიც ფაცხასთან იდგა. მამალს მიბაძეს ეზოში გაფანტულმა ქათმებმა. დაინახა რა ეს კრუხმა, რომელიც ძროხის განავალთან ფუსფუსებდა, კრუხუნით თავი მოუყარა წიწილებს და ისიც დანარჩენ ქათმებს დაედევნა. პაწაწა ბუსუსებიანი წიწილები თეთრი ბურთებივით მიგორავდენ მწვანე ბალახში.

ყოველი ცოცხალი არსება, რომელიც კი თემირის ოჯახში იყო, მიეშურებოდა მისკენ, თითქოს სურდა მონაწილეობა მიეღო მის სიხარულში.

უკანასკნელი მივიდა თემირის ცალრქა ძროხა. მან უაზროდ დააშტერა გუთანს თავისი დიდრონი თვალები, შემდეგ დაიფრუტუნა, თავი გააქნია და გამხდარ ფერდებზე კუდის ცემით გაეშურა ლობისაკენ, სადაც წნულში დამწყვდეული იყო მისი ხბო.

ბავშვებმა ჯაჭვთან მიირბინეს და ხელი სტაცეს. ჯაჭვმა ხმამაღლა დაიწკრიალა. ბავშვებმა მხიარული სიცილი მორთეს. ეს წკრიალი სიმღერად გაისმა თემირის გულში.

თემირი ღარიბი გლეხი იყო. მისი ძაბრის მსგავსი ფაცხა, რომელსაც გადახურული ჰქონდა მჭვარტლით გაჟღენთილი შავი ჩალა, ბოძზე დაყრდნობილი იდგა, თითქო ჯოხზე დაბჯენილი მოგრეხილი ბაზალაო. ყველგან ჩალიდან ბოლი ამოდიოდა, თხემთან გროვდებოდა და სვეტად ცისკენ მიიწევდა.

ფაცხის უკან ფერდობზე მოსჩანდა სეიდიყის ოდა. მას ამშვენებდა ჩუქურთმის მსგავსად ამოჭრილი აივანი, ნაირ-ნაირი სახეებით მორთული ლაგვარდალი. სახურავზე მოსჩანდა მაღლა აზიდული სამმეტრიანი თეთრი საკვამლე მილი. როდესაც ოსტატები საკვამლეს უკეთებდენ სახლს, სეიდიყმა, ოსტატების პროტესტის მიუხედავად, ძალზე დააგრძელა მილი, რათა უცხოს შორიდანვე სცემოდა თვალში. გარდა ამისა, დიდი სასოფლო გზის მხრიდან აჩეხა თხმელის ხეები ზედასული ვაზებით, რადგან ეს ხეები ფარავდენ მის სახლს. კიბეც ახალნაირი გაუკეთა — მიხვეულ-მოხვეული და არა ისეთი, როგორსაც მის სოფელში აკეთებდენ. ყველაფერი ეს სეიდიყმა გააკეთა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ცოცხალი იყო ძველი მეფესაბჭოთა ხელისუფლების დროს სეიდიყი ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. უფრო მეტიც: ფიქრობდა — უმჯობესი ხომ არ იქნება დაამოკლოს ძალზე მაღალი საკვამლე მილი და შემოურგოს გზის მხრიდან სახლს სწრაფად მოზარდი თხმელები.

თემირი დიდხანს იდგა და შეხაროდა თავის გუთანს, რომელიც მან სოფლის საბჭოსაგან მიიღო. მისი აზრი სწრაფად მუშაობდა და ადგენდა გუთანთან დაკავშირებულ სხვადასხვა გეგმას. გაიხსენა თემირმა თავისი წარსული ცხოვრება. იმ დროდან, რაც კავის მოხმარება ისწავლა (თემირი ბავშვობისასვე დაობლდა), იგი სეიდიყს ჩაუვარდა ხელში. სეიდიყი მოხარული იყო მუქთა მომუშავეს, რომელსაც უკანასკნელ ძალას სწოვდა.

ერთხელ თემირმა კინალამ სიმინდით სავსე კალათა არ დასცხო თავში სეიდიყს. ყანაში, სადაც მოტეხილი სიმინდის გორა იდგა, ტარეს იყოფდენ. მეოთხედს სეიდიყი თემირს აძლევდა, სამ მეოთხედს თავისთვის იღებდა. სეიდიყი თავისი გაუმაძღრობით ცდილობდა მოეკლო იმ მცირედისთვისაც, რომელიც თემირს ერგებოდა: ამან ძალზე გააბრაზა თემირი, მაგრამ თავი შეიკავა.

წარსულის გახსენება ეკლად მოხვდა თემირს, თავი გააქნია, თითქოს უნდოდა მოეშორებია უსიამოვნო მოგონება. კვლავ გუთანს დააცქერდა და სიხარულით აივსო.

— აბა, რას იტყვი ამაზე? — მიმართა თემირმა მხიარულად თავის ცოლს. — ხომ ხედავ, როგორი დრო დადგა? ჩვენთვის, ღარიბებისათვის, საბჭოთა ხელისუფლება მაგარი ბურჯი იქნება. ახლა ხომ ჩვენთვის უნდა ვხნათ, ჩვენთვის! — სთქვა თემირმა და ალერსიანად დაჰკრა მხარზე ხელი ახალგაზრდა ცოლს. მან პასუხის ნაცვლად გაუღიმა. ქმრის სიხარული მასაც ედებოდა. — არა, არასოდეს! რაც უნდა ქნას სეიდიყმა, აღარ წავალ მასთან სახნავად! — სთქვა გადაჭრით თემირმა და მიბრუნდა იქითკენ, სადაც სეიდიყი ცხოვრობდა. თვალი შეავლო მის სახლს, მაგრამ მაშინვე ზიზღით პირი იბრუნა და თავის ფაცხას დააცქერდა. პირქვე დამხობილი გოდორივით გამოიყურებოდა მისი ფაცხა. სეიდიყის დიდ ოდასთან შედარებით იგი არარად მოსჩანდა. მაგრამ დღეს თემირის სიამაყე ეტყობა ფაცხასაც გადაედო: კვამლი, რომელიც სვეტად აყუდებულიყო ფაცხის თავზე, გადაიხარა და პირდაპირ და გაბედულად გაემართა სეიდიყის სახლისაკენ, თითქოს იერიში მიაქვს და ემუქრება: „დამაცადე, გაჩვენებ სეირს“-ო.

თემირმა გულში, შემჭვარტლული ფაცხის მაგიერ, პატარა ოდა ინატრა.

— თუ ცოცხალი ვიქნებით, უნდა ვიფიქროთ ოდაზე, — გამოეხმაურა ასია, თითქო მიუხვდა გულის ნადებს, და მობრუნდა. თვალი მოჰკრა ბიჭუნას, რომელიც საკვეთს მიჯდომოდა და პირზე ხელს უსვამდა.

— ნუ, ნუ ახლებ! ხელს გაიჭრი! — დაუყვირა დედამ.

— მე... ალაფელი... მინდა თითი დავადო... — ჩაიბუტბუტა თავის კილოკავზე პატარამ.

— გამიგონე! — ხელი წაავლე გუთნის ტარს! — მიმართა თემირმა ცოლს, თითონ კი დაავლო ხელი ჯაჭვს და მაგრა გაჰკრა.

ღრმად ჩაიჭრა საკვეთი ნიადაგში და შავი მსუქანი ბელტო გადმობრუნდა.

ბავშვებმა მხიარული სიცილი მორთეს.

— ხედავ? როგორ სჭრის! — სთქვა გახარებულმა თემირმა და გუთანი უკანვე ამოიღო.

— რა უნდა შევაბათ, მერე შიგ? ჩვენ ხომ არ შევებმებით ხვნის დროს? — ჩაფიქრდა ასია.

— ნუ სწუხარ! გუთანი კავი როდია. ვათხოვებ, მაგალითად, ქობლუხს ან კუნაჩს, ისინი კიდევ თავიანთ კამეჩებს მომცემენ ან შევერთდებით და ერთად დავამუშავებთ ჩვენ ყანებს. ხომ მიხვდი? — მიუგო თემირმა და

თვალი შეავლო კავს, რომელიც წეროსავით მოგრეხილი კისრით ფაცხასთან ეგდო.

— ხედავ? აგერ გდია ჩვენი კავი! — სთქვა თემირმა, მიუბრუნდა კავთან და მიათრია იგი გუთანთან. — დიდი წარსული გაქვს შენ, ბებერო კავო! — მიმართა მას თემირმა. — მე, მამაჩემი, პაპისპაპა შენით ვჩიჩქნიდით მიწას. ხომ ხედავ ამ რკინის გუთანს? რა დიდი საკვეთი აქვს! მზე თავის სხივებს ათამაშებს ზედ! შენ მიწას ჩიჩქნიდი, ის კი ბელტოებს სჭრის. ეს ახლა შენ შეგცვლის, შენ მაგიერ იქნება. დარჩი სახსოვრად! — სთქვა თემირმა, აიღო კავი და იქვე რცხილის ტოტზე ჩამოჰკიდა.

— დღესვე, დღესვე შევუდგები ჩალის აღებას ჩვენს მიწაზე! — სთქვა თემირმა, მივარდა ფაცხას, გამოაძრო შიგ ჩარჭობილი აჭაკუგა [1]), გაეშურა ლობისაკენ და თვალის დახამხამებაზე გადაახტა ზედ.

აპრიალდა მზეზე აჭაკუგა და თემირმა ერთბაშად, დაუსვენებლად, აიღო ჩალა ნაკვეთის ნახევარზე. მერე შეჩერდა. ცოლი და ბავშვები მოჭრილ ჩალას აგროვებდენ და კონებად აწყობდენ. თემირი ჩამოჯდა ერთ-ერთ კონაზე ხის ქვეშ და თამბაქო გააბოლა. წვრილი, ტრედისფერი ბოლი კლაკნით გაემართა ზევით და ჰაერში გაითქვიფა.

ფიქრებმა გაიტაცეს.

თემირი ფიზიკურად გრძნობდა — ახალი გუთანი როგორ აპობს მიწას ზოლებად... აი მუჭით აბნევს იგი სიმინდის ოქროსფერ მარცვალს... ფარცხავს... გამოჩნდა სიმინდის წვეტიანი, მწვანე დახვეული ფოთლები... მთელ მინდორს ჯაგარმოდებული მწვანე ნოხი მოეფინა... იზრდება სიმინდი... უფრო და უფრო ზევით მიიწევენ ღეროები... იმოსებიან მწვანე ფოთლებით... ზევიდან ფოთლებს ყვავილები გადმოჰყურებენ... ფოთლებიდან ფოჩებად ეშვებიან ქვევით ოქროსფერი ძაფები... ზევიდან მათ ოქროსფერი მტვერი ეპკურება... იბერება ტარო... იზრდება... იმოსება მწვანე ბუსუსიანი სამოსელით... მწიფდება... ყვითლდება... ეჩურჩულებიან ერთმანეთს ხმელი ფოთლები... დანავარდობს მათ შორის ნიავი... მღერის გამხმარი სიმინდის ყანა... დასასრულ, გულს ახარებს მოტეხილი ტაროების გროვა...

სეიდიყი კი არსად არის...

სიმინდის გვერდით ბიბინებენ თამბაქოს ამწვანებული მსუყე, წებოვანი ფოთლები... მწიფდებიან... ყვითლდებიან... იწყება ტეხა... კანაფზე ასხმა... ხმობა... შეკვრა...

სეიდიყი კი არსად არის...

ჭრელფრთება ჩხიკვმა თავზე დასჩხავლა. უსიამოვნო, ყურის მომჭრელმა ხმამ ფიქრებიდან გამოიყვანა თემირი.

გაიღიმა, წამოდგა და ცეცხლი წაუკიდა ჩალის კონას, რომელზედაც იჯდა, გაისმა ტკაცა-ტკუცი და ცეცხლის ალი ზევით ავარდა.

---

[1]) აჭაკუგა — ხის ტარზე წამოცმული რკინა, რომლითაც სიმინდის დარჩენილ ღეროებს სჭრიან.

— ბარაბანჯია! ბარაბანჯია! [1]) გადაბუგე, ცეცხლო, ძველი ხელისუფლება! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! — ჩაილაპარაკა თემირმა, მერე განზე გადგა, გაირბინა და გადაახტა კოცონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები ჟივილ-ხივილით მისცვივდენ თემირს.

— მოშორდით, მოშორდით ცეცხლს! დაიწვებით! — დაუყვირა ბავშვებს დედამ. — რას არ გამოიგონებ, შე კაცო! — მიმართა მან ქმარს.

თემირმა ყურადღება არ მიაქცია ცოლს, დასტაცა ხელი თავის ბიჭუნას და კვლავ გადაახტა კოცონს.

— მეც! მეც! — დაიყვირა გოგომ და მივარდა მამას.

მამამ ისიც გადაახტუნა.

ცეცხლი ხარბად ანადგურებდა ჩალას. შემდეგ იგი თანდათან შენელდა და რბილ, რუხ ფერფლად გადაიქცა.

— დაიჭი, წაუკიდე დანარჩენ კონებს! — სთქვა თემირმა და მიაწოდა ცოლს მოკიდებული ჩალა.

კვლავ აპრიალდა მზეზე აჭაკუგა.

* * *

გამოჩნდა მეზობელი ქობლუხი. უნდოდა მისალმებოდა თემირს, მაგრამ მისმა მარჯვე მუშაობამ ისე მოხიბლა, რომ ღობეს გადაეყუდა და ღიმილით შესცქეროდა.

თემირის ღონიერი დარტყმისაგან ფესვებიანა ამოვარდნილი ჩალა აქეთ-იქით ცვიოდა, ზოგი ზევით მიფრინავდა და მერე მსუბუქად ეშვებოდა მიწაზე.

როცა ბოლოში გავიდა, შეჩერდა და მოტრიალდა, რომ ახალი კვალი დაეწყო. მან უკვე ასწია აჭაკუგა, როცა ქობლუხმა გადასძახა:

— ბზია უუიტ, დად! [2]).

თემირმა ძირს დაუშვა აჭაკუგა, შეხედა და იცნო ქობლუხი.

— შენა ხარ, ქობლუხ! ბზია უბაიტ! [3]) — გაუხარდა თემირს მისი დანახვა, — რატომ არ გადმოხვალ?

ქობლუხი გადავიდა ღობეზე. თემირი მისკენ გაემართა.

— მახარებს შენი საქმე, თემირ! ვნახე გუთანი შენს ეზოში, — ჩაილაპარაკა მეზობელმა.

ნურც შენ მოგაკლდეს სიხარული — მიუგო თემირმა.

— ბზია უუიტ, ასია! — გასძახა ქობლუხმა თემირის ცოლს.

— ბზია უბაიტ! — გამოეხმაურა ასია, მიანება თავი მუშაობას და მისკენ წამოვიდა.

---

[1]) ბარაბანჯია — ჭიაკოკონა: 14 აგვისტოს ღამეს ანთებენ კოცონს და ხტებიან ზედ. ძველად სწამდათ, ვითომ კოცონზე ცოდვებს სწვავდენ.

[2]) ბ ზ ი ა უ უ ი ტ — კეთილად შენი საქმე. დ ა დ — საალერსო მიმართვა.

[3]) ბ ზ ი ა უ ბ ა ა ი ტ — კეთილი ნუ მოგაკლოს.

— დავსხდეთ ჩრდილში, — მიიწვია თემირმა მეზობელი.

დასხდენ თხმელის ძირში. ბავშვებმაც მიირბინეს. ქობლუხმა მუცელში თითი ატაკა მასთან მისულ შიშველა ბიჭუნას. ბავშვი ბანზე ვახტა და სიცილად გადაიქცა. მოეწონა ეს და კვლავ მიუახლოვდა ქობლუხს. მან ხელახლა ატაკა თითი შიგ ჭიპში. განზე გამხტარმა ბავშვმა უფრო ხმამაღლა მორთო სიცილი. გაეცინა გოგოსაც. ბავშვი კვლავ გაემართა ქობლუხისაკენ.

— ნუ ცელქობს — შეუტია დედამ. — არ მოისურვა პერანგის ჩაცმა. საფრთხობელა! — ჩაილაპარაკა ასიამ, თითქოს ბოდიშს იხდიდა ქობლუხის წინაშე.

— არაფერია... დეე ითამაშოს, — მიუგო ქობლუხმა და მიმართა თემირს: — შენ ახლა გუთანი გაქვს, თემირ... რას ფიქრობ: სეიდიყს მოუხნავ თუ შენთვი'ს იმუშავებ?

— ფეხსაც არ შევდგამ იმასთან! აღარ წავალ მასთან სამუშაოდ! — მტკიცედ მიუგო თემირმა.

— კარგს იზამ, დად. შეგიძლია ახლა შენთვის იმუშაო, — მოუწონა გადაწყვეტილება ქობლუხმა.

— მაგრამ მუშა საქონელი არა გვყავს, რომ გუთანში შევაბათ, — წარმოსთქვა მწუხარედ ასიამ.

— ცოცხალი მყავდენ მეზობლები და შესაბმელიც იქნება! — სთქვა თემირმა.

— სწორია, სწორი! ჩემ კამეჩებზე უარს არ გეტყვი. მართლა, მომაგონე, — ჩაილაპარაკა ქობლუხმა, უფრო მოხერხებულად დაჯდა, ამოიღო თამბაქოს ქისა, აბედი და ტალ-კვესი, გატენა ჩიბუხი და შეუდგა ცეცხლის გაჩენას. — მე, დად, ძალიან ბევრი ვიფიქრე...

— რაზე, ქობლუხ? — დაინტერესდა თემირი.

— რაზე?.. — ამ დროს აბედს ნაპერწკალი დაეცა და წაეკიდა. ავარდა წვრილი კვამლი, და აბედის სასიამოვნო სუნი ქობლუხის ცხვირს ეცა. ქობლუხმა მოკიდებული აბედი ჩიბუხში ჩასდო, ცერის ფრჩხილი დააჭირა და წევას შეუდგა. — იმაზე, დად, რაზედაც ჩვენი კომუნისტები და კომკავშირელები ლაპარაკობენ...

— რაზე ლაპარაკობენ?

— კოლმეურნეობაზე, დად, კოლმეურნეობაზე, — წარმოსთქვა ხმადაბლა ქობლუხმა და ხშირი წარბებიდან თვალი შეავლო ჯერ თემირს, მერე ასიას — სასაცილოდ ხომ არ ამიგდებენო. თავისი აზრი ჯერ არავისთვის არ გაუზიარებია.

— კოლმეურნეობაო, ამბობ შენ? მეც გამიგონია, ქობლუხ...

— გაჩუმდით, გაჩუმდით! ნუ ახსენებთ კოლმეურნეობას! — ჩაერია ასია. — ყეიმითხანმა ბევრი ცუდი გადმოგვცა კოლმეურნეობაზე!..

— მეხმა გადაბუგოს მისი თავი და ტანი! რა ესმის იმ გძელ ჯოხს! ჩიტის თავს!

— ნუ ამბობ, ნუ მაგას ყეიმითხანზე! — წამოიძახა ასიამ. — უბედურებას შეგამთხვევს. შეგაჩვენებს. ყველაფერი იცის! აკუდი [1]) ყველაფერს გადასცემს...

— თავი გაანებე, ერთი შენც! არაფერიც არ იცის! — შეაჩერა ოსმანმა.

მაგრამ ასია თავისას არ იშლიდა. მას სწამდა ყეიმითხანის მკითხაობა და მტკიცედ არწმუნებდა ქმარს და მეზობელს.

— ნუ დაიჯერებ! — შენ ნუ დაიჯერებ! — წარსულ პარასკევს ყეიმითხანმა ბებერ ფატმას უთხრა, რომ შენ მოხუც ოსმანს ტანზე დიდი ხალი აქვსო.

ქობლუხმა უნდობლად ჩაიღიმა. ეს არ ესიამოვნა ასიას. თუმცა მკითხავს დანამდვილებით არ უთქვას, სადა აქვს ხალი ოსმანს, მაგრამ ასიამ იცოდა, რომ ხალი მას ტუჩზედაც ჰქონდა.

— რამდენიც გიდ იცინე, ყეიმითხანმა კი პირდაპირ უთხრა ფატმას, რომ ოსმანს ზედ ტუჩზე აქვს ხალიო. უთხრა ისიც, რომ ოსმანი 30 წელიწადს იცხოვრებს, თითონ ფატმა კი — 29 წელიწადს.

ქობლუხმა გადიხარხარა. სიცილი აუტყდა თემირსაც. ასიამ თვალები დააშტერა მათ და არ იცოდა — გაეცინა თუ გაჯავრებულიყო.

— არაფერი მწამს, დად, მაგ ჩვენი მკითხავებისა და არც ბებერი კუდიანი ყეიმითხანისა, — მტკიცედ სთქვა ქობლუხმა. — გამტანჯეს, როდესაც შვილი ავად გამიხდა. მივმართე ყეიმითხანსაც და სხვებსაც. ყველა თავისას გაიძახოდა. ავაფრინე ბიბილო-მოჭრილი მამალი, დავკალი თეთრი ბატკანი, რომელსაც არც ერთი ზოლი არ ჰქონდა. მთელი კვირა ვეძებდი... სამჯერ შემოვატარე ავადმყოფის ირგვლივ ხბო... მოვაჭერი ამ ხბოს მარცხენა ყურის ნაწილი, შევახვიე გასანთლულ ჩვარში და მაგრა ჩავკეტე სკივრში... დავუკიდე თავით ავადმყოფს შელოცვილი ტაშტი... მაგრამ არაფერმა არ უშველა... ბოლოს, მოვიწვიე ექიმი და იმან მომირჩინა... ახლა, დად, მე მარტო ექიმებს ვუჯერებ. მკითხავებისაგან კი ზარალის მეტი არაფერია, — სთქვა ქობლუხმა და ხელი ჩაიქნია. — მაგრამ ავცდით ლაპარაკს. ჰოდა იმას ვამბობდი, დად — განაგრძო ქობლუხმა, — დიდხანს ველაპარაკე კოლმეურნეობაზე ჩვენ კომუნისტებს და კომკავშირელებს. კუჭირი, ჩემი შვილი, ნამდვილი კომკავშირელია. დიდხანს ვეკამათე იმასაც. დიდივით ლაპარაკობს. იქ, კომკავშირელებში, ის უფროსია, — სთქვა ქობლუხმა მამობრივი სიამაყით და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

ქობლუხის შვილი, აქტივისტი კომკავშირელი, გონიერი და ცოცხალი ახალგაზრდაა. თავიდან მიიღო მან აქტიური მონაწილეობა კომკავშირულ მოძრაობაში და ახლა იგი კომკავშირის უჯრედს მეთაურობს.

ქობლუხმა გამოიღო პირიდან ჩამქრალი ჩიბუხი, გამობღერტა ხელის გულზე, კვლავ ჩაყარა შიგ თამბაქო და განაგრძო სიტყვა:

— ჰოდა ვილაპარაკეთ, დად. დიდხანს ვიდავეთ. თითქოს არიან კიდეც და არც არიან მართალი. ქვას, რომელიც დიდხანს უმოძრაოდ გდია,

---

[1]) აკუდი — ლობიო.

ხავსი ეკიდება. ჩვენი საქმეც ასეა. აბა დაუკვირდი. მამაჩემი, პაპაჩემი, პაპიჩემის მამა, პაპიჩემის პაპა — ყველანი იქ ცხოვრობდენ, სადაც ახლა მე ვცხოვრობ. ჩიჩქნიდენ მიწას, დღესა და ღამეს ასწორებდენ, მაგრამ სიღარიბეს თავი მაინც ვერ დაალწიეს, ნაბიჯი ვერ გადადგეს [illegible] ამ მამაპაპის მიწას მეც. აი უკვე 50 წელიწადი შემისრულდა და წინ ვერ წავიწიე... შეგვჭამა მიწამ... ბოლო მოგვიღო... წელში ვერ გავწორებულვართ...

— სწორია, ქობლუხ, სწორი, — დაუდასტურა თემირმა. — აი მამაჩემი, ხაბჟკუთი, ძლივწვალებით ააგო ეს ფაცხა, ცხოვრობდა აქ, მთელი სიცოცხლე ნატრობდა ახალ, უკეთეს სახლს, მუშაობდა, როგორც კამეჩი, მაგრამ ამავე ფაცხაში მოკვდა.

— სამოთხე მის სულს! — წარმოსთქვა ქობლუხმა პატივისცემით ხაბჟკუთის სახელისადმი. — კარგი კაცი იყო, პატიოსანი...

— ჰოდა, განაგრძო თემირმა, — მამაჩემივით მეც ვნატრობ, დავიდგა ამ ფაცხის მაგიერ პატარა ოდა... მაგრამ ძალა არ მომდევს...

— ცხოვრება არ ვიცით, თემირ, ცხოვრება... — გააწყვეტინა ქობლუხმა, — თუ ჩვენ შორის ზოგიერთი გლეხი გამდიდრდა, იმათაც ხომ ეს სიმდიდრე შეიძინეს უპატიოსნო და არა პატიოსანი შრომით... თითონ ჩვენი შრომითაც ვერ ვსარგებლობდით, სხვებს მიჰქონდათ, იმათ, ვინც კისერზე გვაჯდა... დღეგრძელ იყოს საბჭოთა ხელისუფლება!.. კარგად მოექცა მათ...

თემირს გაახსენდა თავისი გუთანი.

— დღეგრძელ იყოს საბჭოთა ხელისუფლება! მაგარი ბურჯია ჩვენთვის...

— სწორედ რომ ბურჯია დად, ბურჯი. მაგრა უნდა ჩავჭიდოთ ხელი და აღარ დავეცემით. — ჩაილაპარაკა ქობლუხმა, გამოიღო ჩიბუხი პირიდან, გადააფურთხა განზე და განაგრძო: — წართმეული მიწები დაგვიბრუნა, კავი გუთნით შესცვალა... თუ ვიცოცხლებთ, ბევრ სხვა რამეს ვნახავთ.

— ამბობენ, ქობლუხ, რომ არის ისეთი გუთანი, რომელიც თვალის დახამხამებაზე მთელ მინდორს გადახნავს თურმე. ხომ არ გაგიგონია? — შეეკითა თემირი.

— ტრაქტორია ეგ, დად, ტრაქტორი.

— არ გინახავს?

— არა. გამიგონია.

— მერე, რას უბამენ? კამეჩებს? — ჰკითხა ასიამ.

— თავისით მუშაობს, დად, თავისით.

— თავისით? უკამეჩოდ? — გაასავსავა ხელები ასიამ და გაახსენდა ყეიმითხანის სიტყვები. — ჰო, ჰო, კინაღამ დამავიწყდა ყეიმითხანი ლაპარაკობდა მაგაზე, ეშმაკის ნაწილიაო შიგ, ეშმაკის ნაწილი...

— რა ეშმაკი, რის ეშმაკი, დად? ცეცხლი უკიდია შიგნით და ის ამოძრავებს, — გააწყვეტინა ქობლუხმა. — მაშ ასე, თემირ, დავუბრუნდები ჩემ სიტყვას... თავი დავანებოთ კოლმეურნეობაზე ლაპარაკს... მაგრამ,

დად, რატომ არ უნდა შეეერთდეთ ამ ახაბლაში [1]) მცხოვრებნი? რატომ არ უნდა ვეხმარებოდეთ ერთმანეთს? ხომ გახსოვს, როგორ დავეხმარეთ შარშან სელიმხანის ქვრივს? როგორ ძმურად, ერთსულოვნად ვმუშაობდით! რას იტყვი, დად?

ბიბლიოთეკა

თემირს მოეწონა ეს აზრი. მისთვის, რომელსაც მუშა პირუტყვი არ ჰყავდა, ხელსაყრელი იყო ეს.

— გონიერ სიტყვას ამბობ, ქობლუხ, გონიერს. რატომაც არა? უნდა შეეიკრიბოთ, ქობლუხ, მოვილაპარაკოთ. რას იტყვი? — ჰკითხა თემირმა.

— ჰო, მოვილაპარაკოთ, ავწონ-დავწონოთ... მოედანზე მოვიყაროთ თავი, მრუდე კაკალთან, — მიუგო ქობლუხმა და შეხედა მზეს. — ჩემი წასვლის დროა, — სთქვა მან და ერთხელ კიდევ ატაკა თითი იქვე მდგომ ბიჭუნას. ბავშვის სიცილ-კისკისზე ქობლუხი გზას გაუდგა.

ახალი აზრით აღფრთოვანებულმა თემირმა მხნედ და რწმენით აამუშავა თავისი აჭაკუგა.

თავი II

დილით სახლის კარი გაიღო და აივანზე სეიდიყი გამოჩნდა. ეცვა ღილებ-გახსნილი ახალუხი და ქუსლებ მოცვეთილი წუღები. მისი მარჯვენა თვალი შეკრულ წამწამებიდან მრისხანედ გამოიყურებოდა.

სეიდიყი მოაჯირთან მივიდა, ჩაახველა, ნახველი ენის წვერზე დაადგროვა და მაგრა გადააფურთხა. ნახველი მოაჯირს გადააფრინდა და შორს ეზოში დაეცა. შემდეგ თავი ასწია. გავარვარებული მზე სახეში მოხდა, თვალები ოდნავ მოჭუტა და მიმოიხედა: მის წინ, ქვევით, მოსჩანდა თემირის საცოდავი ფაცხა, კვამლი იქიდან ბამბის ქულასავით მოდიოდა პირდაპირ სეიდიყისაკენ. შორს მინდვრებს ოხშივარი ასდიოდა.

გლეხები სამუშაოდ გამოსულიყვნენ.

— მაშალახ! [2]) რა ამინდია!.. გაზაფხული მოვიდა!.. — სთქვა სეიდიყმა და თვალი მოჰკრა თხას, რომელიც, წინა ფეხებით ღობეზე შემდგარი, კორტნიდა თხმელიდან ძირს დაშვებულ ვაზს.

— რიტ! რიტ! აი მგელმა კი შეგჭამოს — დაუყვირა სეიდიყმა.

თხა ყურადღებას არ აქცევდა და არხეინად განაგრძობდა კორტნას.

— არა, ყურსაც რომ არ მიგდებს! აი, მენახოს შენი თავი ტოტზე თავდაღმა დაკიდული და ტყავ გადამძვრალი! რიტ! რიტ! — კვლავ დაუყვირა სეიდიყმა, მერე ორი თითი პირში ჩაიდო და დაუსტვინა. თხა, თითქოს სეიდიყის გასაჯავრებლად, უკანა ფეხებითაც შეხტა ღობეზე და უფრო ხარბად დაეწაფა ვაზს.

— შეხედეთ ერთი, ღობეზე შეხტა! აი გაგისკდეს ეგ მუცელი! — დაიყვირა სეიდიყმა. მერე გაახსენდა თავისი მწყემსი და ხმამაღლა დაუძახა: — ეი, ხაბაშ! — სეიდიყის უსიამოვნო, უკმეხი ხმა ნახევარ სოფელს

[1]) ახაბლა — სოფლის უბანი.

[2]) დიდება ალახს!

მოედო. ერთბაშად აიშალნენ ალვისხის ტოტებში მიმალული ბედურები და ჟრიამულით განშორდენ იმ ადგილს.

სეიდიყის ხმა ეკლად მოხვდა ხაბაშის ყურს. ხაბაში ამ დროს სამზარეულო სახლში თხის რძით სავსე სარძევეს აწვდიდა ხიკუჩს. სეიდიყის ქალიშვილს. გადასცა რა სარძევე, თითქოს კრაზანამ უკბინაო, სწრაფად გავარდა ეზოში. ხიკუჩმა თვალი მიადო ჭუჭრუტანას და დაუწყო იქიდან ცქერა თავის მამას და ხაბაშს. გულისცემამ მოუხშირა. არ ესიამოვნებოდა, რომ მამა ძალიან ხშირად უმიზეზოდ უჯავრდებოდა და უყვიროდა ხაბაშს.

ხაბაში ათი წლისა იყო, როდესაც მშობლები დაკარგა. სეიდიყმა ობოლი თხების მწყემსად აიყვანა ათი წლით.

ათი წლის შემდეგ უნდა მიეცა მისთვის იმის მესამედი, რასაც თხები მოიგებდენ. როდესაც სეიდიყი ბავშვს მოჯამაგირედ იყვანდა, განგებ მოწმედ მიიწვია ყველაზე უფრო მოხუცი მეზობელი ჩახმათი. სეიდიყი ფიქრობდა; ათი წელიწადი დიდი დროა, მანამდე მოხუცი მოკვდება, მოწმე აღარ იქნება, ვალდებულებას არ შეასრულებს, ხოლო ხაბაშს ეტყვის: „ათი წელიწადი გზრდიდი... ჩემგან არაფერი აღარ გერგება“-ო...

მაგრამ სეიდიყი შესცდა. პირობის ვადა ახლოვდებოდა, მოხუცი ჩახმათ კი არ კვდებოდა. ეს აცოფებდა ბებერ ობობას, ბრაზი ერეოდა, ბუზღუნს უმატებდა.

სეიდიყს ათასზე მეტი თხა ჰყავდა, მაგრამ ეშმაკმა ბებერმა საბჭოთა ხელისუფლების დროს ისინი ნაწილ-ნაწილად დაარიგა შორეულ ნათესავებში და თითონ ოცდაათ სულამდე დაიტოვა. ჩაიდინა ეს იმისთვის, რომ კულაკად არ ჩაეთვალათ.

— ვერა ხედავ, შე ოხერო, რას შვრება თხა! — შეუტია სეიდიყმა ხაბაშს, რაწამს იგი გამოჩნდა. — სად ეგდე აქამდე? რატომ არ გარეკე ფარა?

— ვწველიდით თხებს...

— ხმა გაიკმინდე! ლაპარაკობს კიდეც!.. გამშორდი თვალიდან!

ხაბაში გაიქცა თხისკენ.

— რიტ! რიტ! — გაისმა მისი ხმა. — აი, ძაღლმა კი შეგჭამოს შენ! რაღა სწორედ სეიდიყს მოხვდი თვალში, შე სამგლეკ, შენა! — და დაუსტვინა თხას.

სეიდიყი მუდამ უხეშად ეპყრობოდა ხაბაშს და ეს უსიამოვნოდ მოქმედებდა ხიკუჩზე. „არც ერთი ალერსიანი სიტყვა“, — გაიფიქრა მან, აიღო ცოცხი და შეუდგა იატაკის გვას.

სეიდიყმა პირი იბრუნა სახლის კარისაკენ და დაუძახა ცოლს:

— ეი შენ!

— რა გინდა? — მოისმა შიგნიდან ხმა და ფარეხში გამოჩნდა მოხუცი დედაკაცი. თავზე თეთრი ხილაბანდი ჰქონდა წაკრული. დანაოჭებულ სახიდან ალერსიანად გამოიყურებოდენ ცისფერი თვალები.

— მაშალახ! ხედავ, რა ამინდია? — მიმართა სეიდიყმა მოხუც ცოლს,— დროა ხვნა დავიწყოთ... წავალ დღეს თემირთან... უნდა შეუდგეთ ხვნას. ხომ ხედავ, როგორი ოხშივარი ასდის მინდვრებს... ხალხი გავიდა სამუ-

შაოდ... წელს, სიმინდის გარდა, მინდა ბევრი თამბაქო დავთესო... ფიქრობ ვერ გავწვდებით? თემირი, როგორც ყოველთვის, მოგვეხმაურებს მიწებს... დავიქირავებ ღარიბ ხალხს და ვამუშავებ თამბაქოზე... ფული?.. ხე! ხე! ხე! — ჩაიხითხითა სეიდიყმა, თვალი ჩაუკრა ცოლს, [illegible] და ფრთხილად წასჩურჩულა ყურში: — იცი, რა არის ჩაფლული ტახტის ქვეშ, სამზარეულო სახლში?.. ოქრო, ოქრო, ნაკვერჩხალივით რომ ბზინავს... გესმის, თვალყური ადევნე, ძაღლი არ შეძვრეს ტახტქვეშ. როცა ცხელა, უყვარს სიგრილეში ყოფნა... მოუქნელი ტყავი ეგონება და გადათხრის მიწას... ეჰ, საწყალი ნიკოლოზი, ჩვენი ძველი მეფე... სამოთხეში ამყოფოს ალაჰმა... ზოგიერთისთვის კარგი იყო!.. საბჭოთა ხელისუფლება კი ჩვენთვის არ არის... მაგრამ არაუშავს რა... გავაცურებთ... მე ხომ საბჭოს წევრი ვარ, ვაჟი და ქალი კომკავშირელები მყავან... ასე გავაჩანჩალებთ, სანამ ძველი დრო დაბრუდებოდეს!.. მაშ!.. ასე ლაპარაკობს ჭკვიანი ხალხი...

— მაგრე იყოს, — გააწყვეტინა ცოლმა, — მაგრამ შენ რას ღრიალებდი მთელი სოფლის გასაგონად? შენი ბებერი უსიამოვნო ხმისა მაინც არა გრცხვენია? რად აწუხებ ხაბაშს?..

— მოსამსახურე არ უნდა მოასვენო, თავის ქერქში არ უნდა დააყენო და მაშინ ძაღლივით გამგონი იქნება და უკეთ იმუშავებს. გესმის თუ არა, სულელო? — შეუტია სეიდიყმა და დააშტერა თვალი.

— ფუ! გაუსწორებელი ხარ! ერთი ბეწო სიბრალული არ მოგცა ღმერთმა! რას გადაეკიდე ხაბაშს?.. მუდამ კბილზე გადგია... შესაბრალისია... არა ჰყავს არც მამა, არც დედა... ობოლია... მუშაობაში კი ცეცხლია, ზარმაცი არ არის... გითხრას — არ გითხრას, სულ ერთია შენთვის, ყურში არ შეუშვებ! აი რა არის! — დაამთავრა მოხუცმა, გადააფურთხა და ოთახში შევიდა.

სეიდიყმა თვალი მოჰკრა ეზოში მიმავალ შვილს?

— საით, დად? — ალერსიანად გამოელაპარაკა სეიდიყი.

— კომკავშირის კრებაზე.

— წადი, წადი, წადი! გამოგვადგება... ჩვენ, შენი მშობლები, მოვხუცდით, დღეს არა, ხვალ აღარ ვიქნებით. მთელი ეს ქონება შენ დაგრჩება. შენი დაი ხიკუჩი აქ დამრჩენი არ არის. ფრინველია. დღეს აქ არის, ხვალ გაფრინდება. ყოველივე ეს შენ გეკუთვნის. ნუ გააბნევ. იცხოვრე ისე, როგორც მამამ და პაპამ გასწავლა. ისე წაიყვანე საქმე, რომ სთქვან — სეიდიყმა ღირსეული შვილი დასტოვა. ახლა კი წადი, ყური მახვილად გეჭიროს ყველაზე, რაც იქ, კომკავშირში ხდება და რაზედაც გელაპარაკებიან. დაიხსომე, რაც მამამ გითხრა. იყავ ჭკვიანი... წადი, დად, წადი! — დაარიგა სეიდიყმა, მიტრიალდა და სახლში შევიდა.

* * *

ხიკუჩმა, გაათავა რა დაგვა, აიღო დოქი და წყლის მოსატანად წავიდა. ხიკუჩი დედასავით კეთილი, გულთბილი ადამიანი იყო. გაათავა სოფლის სკოლა და ახლა კომკავშირში იყო. ცოცხლად ითვისებდა ყველაფერს, რა-

საც ასწავლიდენ და რასაც კომკავშირში ხედავდა. ასეთი არ იყო მისი ძმა: მას უფრო მამის ხასიათი მოსდევდა. სეიდიყი უფრო ახლო იყო ვაჟიშვილთან, ვიდრე ქალიშვილთან. „ჩემი გვარის გამგრძობია“-ო, ამბობდა იგი. ეს ახარებდა შვილის გულს. ის მოვალეობა, რომელსაც [illegible] ასრულებდა, ადიდებდა მას საკუთარ თვალში.

ხიჩუკი ეზოში გავიდა. მწვანე დანამული ეზო მზის სხივებზე ბრწყინავდა, ლივლივებდა. ნამი წვრილ გამჭვირვალე მძივებად ეკიდა ბალახის ფოთლებზე, მსხვილ ცრემლებად დაგროვილიყო მათ უბეებში, ალმასის მარცვლებად გაფანტულიყო ეზოში, ამასთან ისე ლამაზად, რომ დასახრელად და ხელის გულზე ასაკრეფად იტყუებდა კაცს. იცრემლებოდენ სველი ფოთლები.

მოხვდა თუ არა ხიკუჩის შიშველ ფეხებს დილის ნამი, ერთბაშად გაეფანტა მამის საქციელით გამოწვეული უსიამოვნება. ცელქობას შეუდგა, მიცურავდა ბალახზე, ირწყავდა ფეხებს უხვი ნამით. ღობესთან მივიდა, შეხტა ზედ, მცირე ხანს გაჩერდა, მერე გადაეშვა და ბილიკს დაადგა. შეჩერდა ტყით შემოსილ ღელესთან. ღელის ძირში წყარო ჩუხჩუხებდა. მისკენ ბილიკი მიიკლაკნებოდა.

ტყიდან წალდის ხმა მოისმოდა.

ხიკუჩი ერთხანს სმენად გადაიქცა. მერე ხტუნვით დაეშვა წყაროსკენ... ყინულივით ცივი წყაროს წყალი მიცურავდა ხის ქერქის ღარში და ცრემლივით გამჭვირვალე ეშვებოდა ძირს.

ხიკუჩმა ფეხი მიუშვირა, მაგრამ ისევ სწრაფად მოაშორა. შემდეგ ზევით აიხედა. წყაროს თავზე, ხის ტოტზე წითელ-კისერა ჩიტი დაინახა. შავი რგვალი თვალები უძრავად დაჰყურებდენ ქალს. ჩიტმა იგრძნო ხიკუჩის შეხედვა, შეხტა, შემოტრიალდა, შეჩერდა და კვლავ დააჭყიტა თვალები ქალს. ხიკუჩს გაეღიმა. მკერდზე გადმოფენილი ნაწნავი ზურგზე გადაიგდო.

ჩიტი ბუჩქებში ჩაეშვა.

ხიკუჩმა დოქი წყაროს შეუდგა. დოქმა ბუყბუყით იწყო წყლის ყლაპვა.

* * *

ამ დროს ხაბაშმა, რომელიც ტყეში თავის თხებს აძოვებდა, ჩაირჭო სარტყელში წალდი, ჩაიკეცა მუხლებში, დაიძაბა ფეხის ძარღვები, შეხტა და სტაცა ხელი რცხილის ტოტს. მერე ფეხები მიაბჯინა ხეს და ზევიდან მოექცა ტოტს. თავებ-აწეული თხები მოუსვენრად ადევნებდენ თვალს ხაბაშის მოძრაობას.

ხაბაში ცოყვივით სწრაფად აცოცდა ზევით და მიეყუდა ხის ტანს. მერე დაიფურთხა ხელის გულზე, ამოიძრო სარტყლიდან წალდი და შეუდგა შტოს ჭრას.

ხიკუჩმა, რომელიც წყაროსთან იდგა, ერთხანს ყური დაუგდო, მერე ხელები ტუჩებზე მიიდო და დაიყვირა:

— ხაბაშ! ო-ო-ო, ხაბაშ!

— ჰეი! ვინა ხარ? — გამოეხმაურა ხაბაში, შეჩერდა, ყურები ცქვიტა. სიჩუმე ჩამოვარდა.

ხიკუჩმა სული განაბა. გადასწყვიტა გამოხუმრებოდა.

ხაბაშმა გაიფიქრა — ყურმა მომატყუაო, აიქნია წალდი და მაგრა ჩაჰკრა შტოს. შტო დაიხარა, მაგრამ არ ჩავარდა. მაშინ ხაბაშმა მეორედ შემოჰკრა წალდი. შტო მოსწყდა, გადატრიალდა და წამწვეტებული წვერით მიწაში ჩაერჭო. თხები მიესიენ, ყველა მხრიდან შემოერტყენ და შეუდგენ ფოთლის ჭამას.

კვლავ მოისმა ძახილი.

— ვინა ხარ, ჰეი? — დაუყვირა ხაბაშმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— რას გაჩუმებულხარ, ვილაცა ხარ? დაყრუვდი თუ? — და გულმოსულმა ხაბაშმა ასწია წალდი, რომ მეორე ტოტისათვის შემოეკრა.

მოისმა ნაცნობი, წკრიალა სიცილი.

წალდი ზევით აშვერილი დარჩა: ხაბაშმა იცნო ხიკუჩი.

გული ძალზე აუტოკდა.

— შენა ხარ, ხიკუჩ? — დაიძახა ხაბაშმა, წალდი ძირს ჩააგდო, ტოტებით მარდად დაეშვა მიწაზე, დაავლო ხელი წალდს, გადაახტა თხას, რომელიც გზას ულობავდა, და მჩხვლეტავ ეკლებზე ხტუნაობით შურდილივით დაეშვა წყაროსკენ.

„რატომ მოვვარდი ასე?“ — გაიფიქრა ხაბაშმა და თავი დახარა, როდესაც ხიკუჩის გვერდით გაჩნდა.

— ხაბაშ, მორჩი შტოების ჭრას? — ჰკითხა ღიმილით ხიკუჩმა, წაავლო ხელი ნაწნავს და დაიწყო სალოკ თითზე მისი დახვევა.

— ჰო... არა... მოვრჩი... — მიუგო არეულად და დაუშვა თვალები. იქვე გვერდით რტო დაინახა. ანგარიშმიუცემლად აიქნია წალდი და გადასჭრა. რტო მათ შუა დაეცა. „ეს რაღა იყო?“ კვლავ გაიფიქრა.

ხიკუჩს გაეცინა.

„რატომ იცინის?“ — გაიფიქრა ხაბაშმა და თავაუღებლად თვალი შეავლო.

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ორივემ თავი დახარა.

ხაბაშმა დაინახა დახეული ჩუსტიდან კუს თავივით გამოყოფილი მარჯვენა ფეხის ცერი. შერცხვა. მარცხენა ფეხი დააფარა.

— რომ იცოდე, ხაბაშ, როგორ მორბოდი ახლა აქეთკენ! — გაიცინა ხიკუჩმა.

— განა რამე შემაკავებს! ტყე, ბუჩქები, ეკლები, შამბი, — ყველა ჩემი მეგობარია, — მიუგო ხაბაშმა და უკვე გაბედულად განაგრძო: — ტყემ გამზარდა, ხიკუჩ... ბავშვობიდანვე მივეჩვიე ტყეს. ჯერ კიდევ თითისტოლა ვიყავ, როდესაც კამეჩებს ვაძოვებდით მინდორში, ტყეში, რაც შეიძლებოდა შორს სიმინდის ყანებისაგან. ხომ იცი, რა დიდი მტერია კამეჩი სიმინდისა. მისთვის ღობე არ არსებობს, ან რქებით აანგრევს ან გადაახტება. მთელი დღე ვმწყემსავდით, საღამოზე კი შინ მოვერე-

კებოდით. დაბრუნებისას ვიწექით მათ ზურგზე და შევყურებდით ცას, ღრუბლებს, რომლებიც ასე გვანან ჩვენ თეთრ ბატკნებს.

— ბრუნდებოდით ტალახში ამოსვრილები, — ჩაუმატა ხიკუჩმა, რომელმაც ხაბაშზე ნაკლებ არ იცოდა ყოველივე ეს, ოღონდ ბავშვობისას ისიც დასდევდა კამეჩებს.

— სწორია. ტალახში ამოსვრილები და კამეჩის კუდით გვერდებნაცემები, მაგრამ უდარდელები... ეს იყო მაშინ, როდესაც დედა ჯერ კიდევ ცოცხალი მყავდა... — სთქვა ხაბაშმა და მწუხარებით განზე გაიხედა.

ხიკუჩმა შენიშნა ეს მწუხარება. თვალი შეავლო და სიბრალულით გაიმსჭვალა. მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება, რა ნაკლებად ზრუნავდენ ის და მისი დედა ხაბაშზე: დაგლეჯილი ჩოხა ნაფლეთებად იყო გადაქცეული, მხოლოდ სარტყელი ღა იმაგრებდა. თავზე დაგლეჯილი ნაბდის ქუდი ეხურა. მაგრამ თითონ ხაბაში ამ ნაფლეთებიდან, როგორც ოქრო ნაგავიდან, ლამაზ და ღონიერ ვაჟკაცად გამოიყურებოდა, შავი ულვაშები ახლად იკვლევდენ გზას მის ზედა ტუჩზე.

„მე და დედა მკვდრები ვართ მისთვის, არავითარ მზრუნველობას არ ვიჩენთ“, — გაიფიქრა ხიკუჩმა და გაუბედავად, თითქო სცხვენია თავისი სიტყვებისაო, სთქვა:

— მოგეცა, ხაბაშ, ჩოხა... დავაკერებდი...

ხიკუჩის სიტყვები თბილად მოხვდა მის გულს.

— ხელახლა დაიხევა ეკლებში, ხიკუჩ. ან რა საჭიროა? მე თითონაც დავაკერებ. ავაძრობ ბჟოლის ხეს კანს და გადავაბამ ნაფლეთებს.

— კანით? მართალს ამბობ?

— არა, ვიხუმრე. თუ მომცემ როდისმე ნემს და ძაფს, დავაკერებ...

— შენ თითონ დააკერებ?

— მე თითონ.

მაშ არ გინდა, რომ მე დაგიკერო?

— რას ამბობ, ხიკუჩ! შენ როგორ გაგსჯი!.. არა ღირს ჩემზე ზრუნვა.

— გაჩუმდი! — გააწყვეტინა ხიკუჩმა. — ვწუხვარ, რომ აქამდე ნაკლებ ყურადღებას გაქცევდი...

„რა კეთილი გული აქვს“, — გაუელვა თავში ხაბაშს. „ბედნიერი იქნება, ვისაც მისთხოვდება“, — გაიფიქრა ხაბაშმა, მერე მისდა უნებურად ახალი აზრი შეიჭრა მის გონებაში: „ჩემი... ცოლი... რომ იყოს...“ მაგრამ თითონვე შეეშინდა იმ აზრისა, მან ერთხანად უკან დაიხია, მერე ისევ დაუბრუნდა: „ჩემი ცოლი... ვინა ვარ მე?... ობოლი... მწყემსი... ცარიელ-ტარიელი... სეიდიყის ქალიშვილი?.. არა! არა!“ — ცდილობდა გაედევნა აკვიატებული აზრი, მაგრამ ის ხელახლა და უფრო გაბედულად უბრუნდებოდა.

მწუხარედ ჩაფიქრდა.

დოქი დიდი ხანია სავსე იყო. წყალი ბუყბუყებდა მის ყელში, ეშვებოდა ძირს, კენჭებიან კალაპოტზე, მისრიალებდა ამ კენჭებზე და იმალებოდა ქვემოდ, მაღალ ბალახში.

ხაბაში გაჩუმებული დაჰყურებდა ნაკადს. მის გონებაში ის უფრო და უფრო გადიდდა, გაგანიერდა და უზარმაზარ, შფოთიან მდინარედ გადაიქცა... ის ერთ ნაპირზეა, ხიკუჩი — მეორე ნაპირზე. ძალიან შორს, შორს არიან ერთმანეთზე, — ასე ეჩვენებოდა ხაბაშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხაბაშ! — დაარღვია სიჩუმე ხიკუჩმა.

ხაბაშმა თავი ასწია.

— რა, ხიკუჩ?

— რატომ კომკავშირში არა ხარ?

ამ მოულოდნელმა კითხვამ თავგზა დაუბნია და მან თვალები დაეჭყიტა.

— კომკავშირში?

— ჰო. რას მიყურებ გაკვირვებული? რა უნდა იყოს უკეთესი ახალგაზრდისათვის! აი მე უკვე წელიწადია კომკავშირში ვარ. ყველაფერს გვასწავლიან. ძალიან კარგია იქ, — ჩაილაპარაკა ხიკუჩმა და ნაწნავი უკან გადაიგდო.

— მე კომკავშირში?

— ჰო, შენ!

ხაბაშმა ხელი გადაისვა ოდნავ აშლილ ულვაშებზე, მერე გაიღიმა.

— რატომ იცინი?

— არ ვიცი, ხიკუჩ, რატომ მეცინება... კომკავშირი ალბათ კარგი საქმეა... ცუდი რომ იყოს, შენ არ იქნებოდი იქ... მაგრამ... თხები... სეიდიყი... — ბუტბუტებდა ხაბაში და მის სახეს სევდა ედებოდა.

ჩაფიქრდა ხიკუჩიც.

— მართლაც... მამა არ იზამს... — წარმოსთქვა მან მწუხარებით. — მაგრამ იქნებ სალიკვიდაციო სკოლაში შეხვიდე?

— ეგ რაღაა?

— სკოლაა დიდებისათვის, ვისაც არსად არ უსწავლია. გუშინ კომკავშირში გამოაცხადეს, რომ წერა-კითხვას ასწავლიან დიდებს, შენისთანებს.

— როგორ თუ ჩემისთანებს! განა ჩემოდენას შეუძლია ისწავლოს? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ხაბაშმა.

— შეუძლია. სამი-ოთხი თვის შემდეგ კითხვა გეცოდინება, წაიკითხავ წიგნებს, გაზეთებს...

— რა კარგია! აი მაშინ აღარ მომწყინდება! — წამოიძახა ხაბაშმა და სიამოვნებისაგან ხელების სრესას შეუდგა. — მთელი დღეობით და თვეობით მოწყენილი ხარ, მარტოდ-მარტო, უენო თხებთან... ეჰ! კითხვა რომ ვიცოდე, აი რას ვიზამდი: ჩავიდებდი თითებს პირში, დაუსტვენდი, გადავძახებდი ჩემ თხებს — „რიტ, რიტ! შიტ, შიტ!“ — მოვუყრიდი თავს. მე გაზეთით ხელში ტოტზე, ისინი ქვევიდან შემომცქერიან. და წაუკითხავდი გაზეთებიდან ახალ ამბებს.

— სიტყვასაც ეტყოდი, როგორც ორატორი კრებაზე.

— სწორედ.

ორივეს სიცილი აუტყდა. მერე გაჩუმდენ. ხიკუჩი ჩაფიქრდა. ეს ხაბაშმაც შენიშნა.

— ხიკუჩ, რად მოიწყინე?

— მამა არც იქ გაგიშვებს... სალიკვიდაციო სკოლაში.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მოვიგონე! ვიცი, ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ! — წამოიძახა უცბად ხიკუჩმა.

— როგორ?

— მე თითონ გასწავლი კითხვას...

— შეენ?

— ჰო, მე. არა გჯერა?

— არ ვიცი... სეიდიყი?

— ნუ ვეტყვით... ფარულად გასწავლი... თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ.

— მოიტა ხელი! — და გაუწოდა ხელი.

ხაბაში გადაახტა ნაკადს და მაგრა ჩამოართვა ხელი. ამ დროს ხიკუჩმა თვალი მოჰკრა წითელყელა ჩიტს, იმავე ტოტზე. იგი შავი ცოცხალი თვალებით ზევიდან დაჰყურებდა მათ.

— ხომ ხედავ ამ ჩიტს? ის იყოს ჩვენი პირობის მოწმე, — ღიმილით უთხრა ხიკუჩმა და ხელი მოაშორა.

ჩიტმა, თითქოს თანხმობის ნიშნად, დაიწრიპინა, შეტრიალდა და მეორე ტოტზე გადახტა.

ხიკუჩმა დოქს ხელი დაავლო, მაგრამ ხაბაშმა ჩამოართვა და ცალ ხელში დოქით ბილიკზე აირბინა.

ქალმა თვალი გააყოლა. გაიფიქრა... „რა ლონიერია“-ო და ისიც სირბილით გამოუდგა.

ხევის თავზე ხაბაშმა გადასცა დოქი ხიკუჩს, რომელმაც მხარზე შეიდგა იგი, გაუღიმა ხაბაშს, მიტრიალდა და გზას გაუდგა.

ხაბაში იდგა და მიმავალ ქალს უყურებდა. მერე გატრიალდა და ტყეში შეიმალა.

თავი III

თემირის ჭიშკართან სეიდიყი გამოჩნდა. თავზე რუხი ჩაბალახი ჰქონდა მოხვეული. ჩაკეცილი ჩაბალახის ერთი თავი ზევით იყო აშვერილი. შორიდან ისე მოსჩანდა, თითქო სეიდიყს რქა აქვსო. სეიდიყის მჭრელი თვალები მთელ ეზოს მოედო, ყოველ ნივთსა და საგანს მოებღაუჭა. დინჯად მიაბიჯებდა. ცდილობდა ყველაფერი შეენიშნა, არაფერი გამოპაროდა.

შუა ეზოში რაღაცამ გაიკრიალა. სეიდიყმა თვალები დაახამხამა. ერთი თვალი მოხუჭა, მეორე ბრჭყვიალა საგანზე შეაჩერა.

გუთანი დაინახა.

რათა უფრო დარწმუნებულიყო, ახლო მივიდა და ხელი შეახო.

რკინის გუთანი იყო.

სეიდიყმა გეზად შეხედა, შემოუარა და შეჩერდა. არ მოეწონა, არ მოელოდა გუთნის ნახვას აქ, თემირთან. თვალი მოჰკრა კავს, რომელიც იქვე რცხილის ტოტზე ეკიდა. შეშფოთებული კვლავ გუთანს დაამტერდა.

დიდხანს იდგა სეიდიყი დაფიქრებული, თან წამწვეტებულ წვერზე ხელს ისვამდა. თავი ასწია. მოშორებით, ლობის მეორე მხარეს, მზის სხივებზე აჭაკუგა ბრჭყვიალებდა. სეიდიყი იქით გაემართა.

— კეთილ შენი საქმე, დად, თემირ! — მიესალმა იგი.

— ნურც შენ მოგაკლოს კეთილი! ხომ არაფერი გინდა, სეიდიყ? ჰკითხა თემირმა და აჭაკუგას დაეყრდნო.

— ისე გამოვიარე... მაშალახ! რა საუცხოო ამინდია, დად! სწორედ სამუშაო ამინდია! — სთქვა სეიდიყმა და მიმოიხედა, მერე თვალები დახარა, თავის ჯოხის თავს დააცქერდა და ქვეშ-ქვეშ შეავლო თვალი თემირს.

— ამიტომ შევუდექი მეც მუშაობას, — მიუგო თემირმა. იგი ხვდებოდა სეიდიყის მისვლის მიზანს.

— კარგია, დად, კარგი მუშაობა... — სთქვა სეიდიყმა, დაჰკრა ჯოხი მიწას და გაჩუმდა. უცდიდა — ხომ არ ჩამოაგდებს თემირი ლაპარაკს გუთანზეო.

თემირი სდუმდა. მაშინ თითონ სეიდიყმა დაიწყო:

— თემირ, რა გაქვს, დად, იქ, ეზოში?

— განა ვერ დაინახე? რად მკითხავ?

— ვნახე... როგორ არა... მაგრამ სად იშოვნე?

— სოფლის საბჭომ მომცა.

— სოფლის საბჭომ?

— ჰო.

— დიახ... დიახ... მაგრამ დიდია, დად, ძალიან დიდი... ლონიერი კამეჩი უნდა, მაგარი... სუსტი კამეჩები ვერ გასწევენ, — ჩაილაპარაკა ეშმაკურად სეიდიყმა, თან თვალები მოჭუტა და თემირს დააცქერდა.

— მერე რა, სეიდიყ? მათხოვე შენი ლონიერი კამეჩები...

— გათხოვო?!

— ჰო.

— არ მესმის შენი სიტყვები, თემირ!.. განა ყველაფერი, რაც ჩემია, შენი არ არის, დად?.. შეაბი გუთანში კამეჩები და მოხანი ნოყიერი მიწები, როგორც ყოველთვის შვრებოდი... ვინ გიშლის? — სთქვა სეიდიყმა, დაებჯინა ჯოხის ორტოტიან თავს და გამომცდელის თვალით შეხედა თემირს.

— მე კი არ ვიცოდი! აი თურმე რა გიდევს გულში! პირდაპირი პასუხის მაგიერ, შორიდან უვლი საქმეს. რატომ უნდა წამოვიდე შენთან სახნავად, როდესაც საკუთარი გუთანი მაქვს? ამ გუთნით ჩემ ადგილებს დავხნავ...

— შენ ადგილებს?

— ჰო. რატომ გაიკვირვე?

— ხი! ხი! ხი! — ჩაიცინა ეშმაკურად სეიდიყმა. — დაუჯერე სეიდიყის გამოცდილებას. შენ ადგილებს ვერ მოხნავ — გაუტეხავი ყამირია, ქვასავით მაგარი. კავი არასოდეს არ მოხვედრია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გუთნით გადავაბრუნებ, სეიდიყ, გუთნით!

— გუთნით... კი... მაგრამ, თუ ბაზალას და ქობლუხის კამეჩების იმედი გაქვს, ისინი ადგილებიდანაც ვერ დასძრავენ მაგ გუთანს: ხომ იცი, რა გამხდარი კამეჩებია, გაძვალტყავებული...

— გეყოფა, სეიდიყ, გეყოფა! ნუ გააბი! მე გუთანი მაქვს, იმათ მუშაპირუტყვი ჰყავთ, შეევერთდებით და საერთო ძალ-ღონით მოვხნავთ ჩვენ ადგილებს. კმარა! სალაპარაკო შენთან აღარაფერი მაქვს! მხოლოდ ხელმიშლი მუშაობაში! — სთქვა თემირმა, მიტრიალდა და განაახლა მუშაობა.

სეიდიყი არ მიდიოდა. იდგა, თითქოს მიწას დაეკრაო.

— მაშ არ გინდა ჩემთან მუშაობა? — კვლავ დაიწყო სეიდიყმა.

თემირი პასუხს არ აძლევდა და მუშაობას განაგრძობდა.

— მაშ ასე... ჰმ... ლაპარაკიც კი აღარ გინდა ჩემთან... ამბობენ, დათვმა თავის აღმზრდელს უკბინაო, შენც ასე მექცევი... ახია ჩემ ბებერ თავზე! მე გაგზარდე...

თემირი აენთო.

— შენ გამზარდე? მენატროს შენთვის ასეთი გაზრდა! იცოდე, სეიდიყ, აღარ წამოვალ შენთან სამუშაოდ! აღარ მინდა შენთან მონობა!

— მონობაო, ამბობ?

— ჰო, მონობა.

— ხი! ხი! ხი! — ჩაიცინა კვლავ სეიდიყმა. — მონობაო! როდის იყავი ჩემთან მონად? რასაც დავიმუშავებდით, მომეტებული შენ მიგქონდა...

— ტყუი! — ვეღარ მოითმინა თემირმა.

— გაანებე თავი! — მიმართა ცოლმა თემირს.

— შენ ქალი ხარ და კაცების საქმეში ნუ ერევი! — შენიშნა სეიდიყმა ასიას და კვლავ თემირს მიმართა. — ეჰ, თემირ, აფურთხებ შენ ჩემ პურსა და მარილს... — დაიწყო სეიდიყმა, მაგრამ თემირმა გააწყვეტინა:

— არ ვიცი, სეიდიყ, რა პურსა და მარილს ვჭამდი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შენ ჩემმა შრომამ გაგამდიდრა...

გაკვირვების ნიშნად სეიდიყმა დაუსტვინა ამ სიტყვებზე.

— გასაოცარი საქმეა... შენი სიტყვები, თემირ, ესმის ღმერთს, რომელიც ზევით ზის, — სთქვა მან და თვალები ცისკენ აღაპყრო.

— გამშორდი შენი ღმერთით! გესმის! თორემ რაღაც მოხდება აქ!.. — გაჯავრდა თემირი.

— აი ხომ ხედავ, ხომ ხედავ... მემუქრები კიდეც! ალახ, ალახ!.. ნუ ამაყოფ, თემირ, რაც უნდა კარგი იყო, იცოდე ხაბეკუთის შვილი ხარ, ხაბეკუთის... [1]).

ამ სიტყვებზე თემირს ცეცხლი მოედო.

---

[1]) ხ ა ბ ე კ უ თ ი — მამაკაცის სახელია. ნიშნავს ქეციან კუტს.

— აი ნე გამოტვინებულო ბებერო! მამაჩემი შენსავით მდიდარი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ პატიოსანი ლარიბი იყო! — დაუყვირა თემირმა და მოლერებული აჭაკუგით გაემართა მისკენ.

სეიდიყი განაგრძობდა დგომას, მაგრამ როცა თემირი მიუახლოვდა, მიტრიალდა და ლობისაკენ გაეშურა. როცა ლობეზე გადავიდა, ჯოხით დაემუქრა თემირს და წავიდა.

— იცოდე, სეიდიყ, აღარ ვიმუშავებ შენთან. მე, ბაზალა, ყუნაჩი, ქობლუხი და სხვები ერთად დავამუშავებთ ადგილებს! — დაუყვირა თემირმა, მიტრიალდა და კვლავ ააპრიალა მზეზე აჭაკუგა.

* * *

ამ დროს თემირის ლობის მეორე მხარეს ხაბაში თავის ფარას მიერეკებოდა. მისი ყურადღება მიიქცია კომლმა. ლობე ხშირ მაღალ ბალახში იყო გახვეული და ეს საშუალებას აძლევდა დაენახა, რა ხდებოდა ლობის შიგნით.

გამოჩნდა დადაბლებული ადგილი ლობეში.

ხაბაშმა მიირბინა ლობესთან და როდესაც ზედ შეხტა, დაინახა მომუშავე თემირი. დაუყვირა:

— კეთილად შენი საქმე, თემირ!

— კეთილი მოქცეს! მოდი აქ! — მიიწვია თემირმა.

ხაბაში ლობიდან ჩახტა.

— რას აკეთებ, თემირ? — ჰკითხა ხაბაშმა, როცა მიუახლოვდა.

— ვერა ხედავ? ვმუშაობ.

— მუშაობ კი... მაგრამ... — ენა დაება ხაბაშს. პირველად ხედავდა ხაბაში, რომ თემირი თავის ადგილზე მუშაობდა.

— რამ გაგაკვირვა, ხაბაშ? გგონია ალბათ, რომ თემირი თავისათვის არ იმუშავებს? ხომ ასეა?

— მასეა... მუშაობ, მაგრამ რით მოხნავ ამ ადგილს? შენ ხომ არაფერი გაგაჩნია!

— აბა წამომყევი!

წავიდნენ. ეზოში გუთანმა ერთბაშად მიიქცია ხაბაშის ყურადღება.

ხაბაშმა მოიხადა ნაბდის ქუდი, მოკეცა, ხელი მაგრა მოუჭირა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო ყურება გუთანს. შემდეგ გარშემო შემოუარა და გაოცებულმა შეხედა თემირს. მან ღიმილით გასცა პასუხი.

— სეიდიყსაც კი არა აქვს ასეთი გუთანი!.. საიდან?

— სოფლის საბჭომ მომცა... მოდი, მოჰკიდე ტარს ხელი! — უთხრა თემირმა, თითონ კი ჯაჭვი დაიჭირა.

ხაბაშმა დაახეთქა ქუდი მიწას და მივარდა გუთნის ტარს.

— ნუ აწვები, კავი არ გეგონოს! — უთხრა თემირმა და გასწია ჯაჭვს.

საკვეთი ჩაიჭრა მიწაში და ბელტო გადმოაბრუნა.

— როგორ სჭრის! — წამოიძახა ხაბაშმა. — დესეტინას მოხნავს დღეში. სეიდიყის კამეჩები უნდა შეაბა?

— არა! სეიდიყს აღარ გავეკარები.

— როგორ?

— ისე! დღეს ჩემთან იყო სეიდიყი.

— აქ იყო? უყურე ერთი! ალღოთი გაიგო ალბათ ჩენი გუფნის ამბავი.

— მაშ! ნამდვილი მგელია. უნდოდა კიდევ მემუშავა, მაგრამ ალარ მომეშვა. ბოლოს გავაგდე.

— მაშ სეიდიყთან ალარ იმუშავებ? — სევდიანად წარმოსთქვა ხაბაშმა და ჩაფიქრდა.

— არა, არ ვიმუშავებ. რატომ მოიწყინე? არ მოგწონს თუ?

— ეჰ, თემირ, მე ჩემი დარდი მაწუხებს. შენ მოშორდი სეიდიყს. საკუთარი თავის ბატონი გახდი. მე კი მარტოდ-მარტო დავრჩი... მეგობარი დავკარგე...

— ნუ დაეცემი სულით, ხაბაშ! შენც დააძვრენ თავს სეიდიყის კლანჭებს. მალე გათავდება შენი მწყემსობის ვადა... მოშორდები... არ იცი, სად წახვიდე? ჩემი სახლი — შენი სახლია. სანამ მოეწყობი, ჩემთან იცხოვრე. ხომ გესმის? — სთქვა თემირმა, მხარზე ხელი დაჰკრა და მაგრა მიიკრა მკერდზე. — აიღე ქუდი. წავიდეთ.

სეიდიყის თხები ბალახს მისეოდენ ღობეზე. ზოგი ზედ ასულიყო, ზოგს ღობის წიგნით გადმოსვლა მოესწრო.

— რიტ! რიტ! აი, თქვე მგლის კერძებო! სეიდიყივით გაუმაძღრები ხართ! — დაუყვირა ხაბაშმა, გამოეთხოვა თემირს და გაიქცა თხებისაკენ.

დიდხანს იდგა თემირი და უყურებდა მიმავალ ხაბაშს. ერთად გატარებულმა მრავალმა წელმა მტკიცე მეგობრობის ჯაჭვით გადააბა თემირი ხაბაშს. ბავშვობიდანვე იცნობდა ხაბაშს — ობოლს. ეს ობოლი, როგორც თითონ თემირი, კლანჭებში ჩაუვარდა კულაკს — ძუნწს, რომელიც არავითარ ექსპლოატაციას არ ერიდებოდა. თემირმა გადასწყვიტა რაც არ უნდა დაუჯდეს, გაანთავისუფლოს მეგობარი სეიდიყის მაგარი კლანჭებიდან.

თავი IV

სეიდიყი თავის ეზოს კართან მივიდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჰკრა ფეხი. კარი გაიღო და ხმაურით მიეჯახუნა ღობეს.

მოღუშული და გაბოროტებული შევიდა ეზოში. თვალი მიმოავლო მთელ ეზოს, ეძებდა ცოცხალ არსებას, რომ ჯავრი ეყარა. ასეთ შემთხვევაში იგი ჩვეულებრივად თავს ესხმოდა ხაბაშს. მაგრამ, საბედნიეროდ, ხაბაში იმ დროს იქ არ იყო — თხები გაერეკა ტყეში. ეზოში არც ერთი ცოცხალი არსება არ აღმოჩნდა, ქათამიც კი არსად სჩანდა. თითქოს განგებ ყველანი მიმალულიყვნენ, რომ ბრაზმორეულ სეიდიყს თვალში არ სცემოდენ.

სეიდიყი სამზარეულოსკენ გაემართა. როდესაც შეშას გაუარა, მიწაზე თვალი მოჰკრა ცულს. ერთბაშად აენთო.

— ურწმუნო გიაური! ნამში დაუგდია ცული! თავში უნდა დასცხო იმ საძაგელს, იმას! — ჩაილაპარაკა გაცოფებულმა, მაგრამ უცბად გაახსენდა, რომ დილას ცული ეჭირა არა ხაბაშს, არამედ თითონ მას.

— სადა გაქვს თავი?.. თითონ მე ვჭრიდი დილას... — რა დაგემართა, სეიდიყ, გონება ხომ არ დაკარგე? — ჩაიბუტბუტა სეიდიყმა, მოიქნია ცული და ჩაურჭო იქვე მორში. მერე გადაალაჯა კარის დირეს და სამზარეულოში შევიდა.

მისი ცოლი გობთან იჯდა და ფქვილს ცრიდა. სეიდიყი ხმაამოუღებლად მიუჯდა კერას. კერაზე ჯაჭვით წყლიანი ქვაბი ეკიდა. წარბებ-მოღუშული დიდხანს იჯდა სეიდიყი უჩუმრად. ფქვილის ცრაში გართული, გაჩუმებული იყო მისი ცოლიც. უცბად მოხუცს მოეჩვენა, რომ ქვაბქვეშ შეშა ცოტაა. სახე აენთო. თვალი გადაავლო ჯერ ცოლს, მერე ქვაბს.

— მკვდარი ხომ არა ხარ! ფქვილს ცრი და ქვაბი კი ყინულივით ცივია! ფუი თქვენ გამჩენს? შეშაც კი ვერ შეგიწყვიათ! როცა ვაჟკაცი შინ არ არის, არაფრად ღირხართ! — დაიღრიალა, ასწია ფეხი და ჰკრა მუგუზალს. ნაპერწკლები აქეთ-იქით გაიფანტა, ცეცხლი ჩაქრა, ზევიდან რუხი ფერფლი ჩამოცვივდა.

— რა დაგემართა? ბრუციანი ხომ არ ხარ? ვერა ხედავ, წყალი დუღს?

— სად? — სეიდიყმა კისერი წაიგრძელა და ქვაბში ჩაიხედა.

წყალი ქვაბში ძალზე დუღდა.

— ჰმ!.. რა არ მოეჩვენება კაცს! — ჩაიბუტბუტა და თავი დახარა.

— რა დაგემართა დღეს, თითქო ძაღლმა გიკბინაო?

— ძაღლმა გიკბინაო!.. ძაღლს რომ ეკბინა, რა მიშავდა?.. მაგრამ კაცი რომ გიკბენს — ეს არის ცუდი, — მიუგო გაჯავრებულმა სეიდიყმა და თავი კარისაკენ მიიბრუნა. თვალში ეცა კვამლი, რომელიც თემირის ფაცხიდან მოდიოდა. ამან დღევანდელი უსიამოვნება გაახსენა. წარბები შეიჭმუხნა და პირი იბრუნა.

— ვინ არის, ასე რომ იკბინება? — ჰკითხა წყნარად ცოლმა.

— კბენა კი არა, კინაღამ შენ ბებერს თავიც გაუტეხეს!

— მერე, ვინ ჩაიდინა ეგ?

— ვინა და შენმა კარგმა კაცმა!

— ჩემმა?

— ჰო, შენმა!

— ვინ მაინც?

— შენმა თემირმა, — მიუგო ბრაზიანად სეიდიყმა.

— ალბათ შენ თითონ დააშავებდი... — სთქვა მოხუცმა და განაგრძო ფქვილის ცრა.

— მეე?

— ჰო, შენ!

— შე გამხმარო ნაფოტო, შენა! რას ამბობ, რასა ჰგავს შენი სიტყვები?

— მერე, რაზე მოგივიდათ ჩხუბი?

— გაამაყდა კაცი, აი რა არის!

— არასოდეს თემირი ამაყი არ ყოფილა. საიდან აიღე?

— ხომ ხედავთ, არც კი სჯერა! ალახ, ალახ! როგორ გააჩინე ამისთანა ადამიანი! გაიგე — გუთანი, რკინის გუთანი! [illegible] ყოფილა. დღეს როცა მასთან მივედი, კაცად არ ჩამაგდო. [illegible] აღარ წამოვალ შენთანაო. გესმის, სულელო, მონადაო. მერე აჭაკუგა მომიღერა, ძლივს გამოვასწარ, თორემ თავს გამიტეხდა. მაგრამ ვნახოთ, ვნახოთ უბადრუკ ხაბეკუტას შვილო, ვნახოთ! — დაემუქრა სეიდიყი.

— რას იზამ, შენი შვილი ხომ არ არის? როგორც უნდა, ისე მოიქცევა, სადაც უნდა, იქ იმუშავებს, — სთქვა და წამოდგა.

სეიდიყმა თვალი დააშტერა ცოლს.

— მეხის ღირსი ხარ, მეხის! რა გესმის შენ? მე კი მეშინია... — დაუწია ხმა სეიდიყმა.

— რისა გეშინია?

— კოლმეურნეობის, აი რის! აქა-იქ ჩვენ რაიონში უკვე გაჩნდა კოლმეურნეობები. ხომ არ ფიქრობენ ისინი, ვინც თემირს გუთანი მისცა, აქაც მოაწყონ კოლმეურნეობა?.. ხომ არ ფიქრობს უბედური თემირი კოლმეურნეობაში შესვლას?..

ჭიშკარში ცხენოსანი გამოჩნდა.

— გესმის? ვიღაც მოვიდა, ადექ ჩქარა! — წარმოსთქვა აჩქარებით ცოლმა.

სეიდიყმა გაიხედა და იცნო ახლად მოსული.

— ყაზილბაკია! — სთქვა და წამოხტა.

— რას ამბობ! — წამოიძახა მოხუცმა და შეუდგა სახლის მილაგებას.

სეიდიყმა დაივიწყა თავისი სიბერე, ახალგაზრდასავით წამოხტა და გაეგება სტუმარს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დად, ყაზილბაკ! — მიესალმა სეიდიყი.

— კეთილი არ მოგაკლოს ღმერთმა, სეიდიყ! — მიუგო ყაზილბაკმა და დააპირა ცხენიდან გადმოსვლა.

სეიდიყი უზანგს ეცა. ყაზილბაკი გადმოხტა ცხენიდან.

ტანით მაღალი იყო, ეხურა შავი ყარყუმის ფაფახი, ეცვა ვერცხლის მასრებიანი რუხი ჩოხა, სარტყელზე ეკიდა მოოქროვილი ხანჯალი.

ყაზილბაკი თავადი იყო. ჭალარა შერთული შავი წვერი ჰქონდა, მოკაუჭებული ცხვირის აქეთ-იქიდან გამოიყურებოდენ ღრმად ჩამჯდარი, მტაცებლური თვალები.

— მობრძანდით, დად, აქეთ, ოდაში, — სთხოვდა სეიდიყი თავადს.

— რატომ, სეიდიყ, რატომ, სამზარეულოშიც შემიძლია, — სთქვა ცბიერად ყაზილბაკმა და დაუმატა: — ახლა ჩვენ, თავადები და აზნაურები, აღარ ვარგივართ... რატომ სწუხდები...

— რას ბრძანებ, დად, ყაზილბაკ! ვიღაც სულელები თუ ამბობენ რამეს... ყურადღება როდი უნდა მიაქციო... ადამიანები არასოდეს თანასწორები არ

ყოფილან... თვით ალახმა დააწესა ასე, დად... ხსხვადასხვა სისხლია... განა დავიჯერებ, დად, ყაზილბაკ, რომ მოგრეხილ ბაზალახ ან ქეცანი ხაბჟკუტის და შენი სისხლი ერთნაირია. თუნდ მომკალ არ დავიჯერებ! მობრძანდით, დად, აქეთ მობრძანდით! — და ხელი [illegible] [illegible]ეიშვირა.

ყაზილბაკს მოეწონა სეიდიყის სიტყვები, დიდი [illegible] [illegible] [illegible]

სეიდიყის ცოლი ოთახიდან გავიდა. თითონ სეიდიყი გაუნძრევლად იდგა, ცდილობდა ყაზილბაკის ფიქრებისათვის ხელი არ შეეშალა.

— სინიდისს ქვეშ მითხარ, სეიდიყ, — მიმართა ცოლმა, — თუ როგორი ურთიერთობა და დამოკიდებულება გვქონდა ჩვენ თქვენთან? განა ჩვენ, თავადები და აზნაურები, და თქვენ, გლეხები, ძმურად არ ვცხოვრობდით, არ ვეხმარებოდით ერთმანეთს, არ გვქონდა ერთმანეთში ნათესაური კავშირი?

— ოქროთი ვაპობ შენ სიტყვებს [1]), ყაზილბაკ. მართალს ბრძანებ, დად, მართალს, — დაუდასტურა სეიდიყმა და გაიხსენა ის დრო, როდესაც თავადაზნაურები ძალაში იყვნენ, გაიხსენა, თუ როგორ გამოჰყვეს იგი თავადაზნაურებმა გლეხთა საერთო მასიდან, როგორ დაიახლოვეს, როგორ ჰყავდათ პატივში...

ასეთი ყურადღება თავადებისა და აზნაურების მხრივ ამაღლებდა სეიდიყს საკუთარ თვალში, სწორედ ამიტომ იგი სხვა „უბრალო" გლეხებს ზევიდან დაჰყურებდა.

— ეჰ, დად, ყაზილბაკ, თქვენით ვცხოვრობდი მე, — დაიწყო სეიდიყმა, — მთავრობაც თქვენი წყალობით მიცნობდა... მედალიც ამიტომ მივიღე... ახლა სადღაც სკივრის ძირში გდია... მეშინია ვატარო... ეჰ, დად!.. — კვლავ ამოიხვნეშა მოხუცმა.

— მართალი თუ გინდა, სეიდიყ, წავიდა კარგი დრო. ოდესღაც მთლიანი, განუყოფელი ხალხი დანაწილდა, დაქუცმაცდა... და ჩვენ მის მტრებად გაგვხადეს... მერე, ვინ ჩაიდინა ეს? ხომ იცი, სეიდიყ... — შეეკითხა გამოსაცდელად ყაზილბაკი.

— ვიცი, დად, ვიცი... ბოლშევიკებმა...

— დიახ, ბოლშევიკებმა! — წარმოსთქვა სიძულვილით ყაზილბაკმა. რომ შეეძლოს კბილებით დაგლეჯდა ამ მისთვის საძულველ ადამიანებს. და უძლური სიბოროტით განაგრძო: — ჩვენ ყველანი ძმები ვიყავით. სწორი არ არის?

— სწორია, დად, სწორი.

— ბოლშევიკებმა მოგვასიეს ღარიბი გლეხები, გადაგვამტერეს... მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდენ და ახლა ხელი მიჰყვეს შეძლებულებს და კულაკებს, ისეთებს, როგორიც შენ ხარ, სეიდიყ...

— მეე? რატომ მე? მე კულაკების სიაში არა ვარ, დად, ყაზილბაკ? — შეშფოთდა სეიდიყი და სახეზე ღიმილი გამოეხატა, მაგრამ მისი თვალებიდან შიში გამოკრთოდა.

— დღეს არა ხარ ჩაწერილი, ხვალ ჩაგწერენ, — მიუგო ყაზილბაკმა, ამასთან უკანასკნელი სიტყვა განსაკუთრებული სიმახვილით წარმოსთქვა.

— როგორ, დად?.. მე... სოფლის საბჭოს წევრი?..

— სოფლის საბჭოს წევრი? იქიდანაც გამომაგდებენ!.. — მოუჭრა შეუბრალებლად სიტყვა ყაზილბაკმა.

---

[1]) ამ ფრაზას მიმართავდენ მაშინ, როცა საპატიო კაცს სიტყვას აწყვეტინებდენ

— როგორ?..

— ისე, სეიდიყ, — დაიწყო იმავე შეუბრალებელი ტონით ყაზილბაკმა. — იტყვიან მდიდრულად ცხოვრობსო... თხის ფაფა ჭამსო... მწყემსი ჰყავსო... დიდი სახლი აქვსო... და კულაკი გახდები, — სთქვა ყაზილბაკმა წვერის გრეხით და სეიდიყს შეხედა.

ის კი ნაცემივით იდგა. თავადის სიტყვები სადგისივით ჩხვლეტდა, გაახსენდა ვაჟიშვილი — კომკავშირელი, ქალიშვილი — კომკავშირელი და თავისი თავი — სოფლის საბჭოს წევრი. რაღაც იმედმა გაუელვა, მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა.

— რა მაბადია, ყაზილბაკ? — დაიწყო მათხოვრულად წუწუნი სეიდიყმა. — აი ეს უბადრუკი სახლი, ოციოდე თხა ტყეში... — ამასთან მოაგონდა მთებში, ნათესავებთან მრავლად მიმალული თავისი თხები და განაგრძო: — მერე კიდევ მწყემსი — ობოლი, რომელიც ბავშვობიდან ავლზარდე... ახლაც ვზრდი... და თუ ამისათვის კულაკად ჩამწერეს... როგორ იქნება? ეხ ხომ უსამართლობაა, დად... — სთქვა სეიდიყმა და ვედრებით შეხედა ყაზილბაკს.

ის ყურს აღარ უგდებდა. მოაჯირზე თითებს აბაკუნებდა. გაახსენდა, როგორ ცხოვრობდა მეფის დროს, ნიკოლოზის დროს. მეფის მიერ ნაბოძებ მის თვალუწვდენელ მამულებში დილიდან საღამომდე მუშაობდენ გლეხები — მოიჯარადეები. თითონ კი უსაქმოდ იჯდა თავისი მშვენიერი სახლის აივანზე... ტკბებოდა, სუქდებოდა გლეხის შრომით... გაახსენდა გლეხთა სიმინდით პირამდე ავსებული დიდი ბეღლები... ოქრო ჩხრიალით ჩადიოდა მის უძირო ჯიბეებში... ახლა კი ქვიშაზე გამოგდებული თევზივით გარიყული იყო. მის დიდ სახლში სოფლის საბჭო იყო მოთავსებული. დაკარგა მთელი თავისი მამულები, უკვე დაჭრილი ჰქონდა ბრჭყალები, რომლებითაც შებოჭილი ჰყავდა გლეხები...

„კვამლივით გაქრა წარსული დიდება... ლანდი-ღა ვარ ახლა მე", — გაიფიქრა, გაიხსენა რა ყოველივე ამის ჩამდენნი. სიძულვილით აენთო, თვალები სისხლით აევსო, გულიდან ხრინწიანი, ჩახშობილი ოხვრა აღმოხდა. „ჰე!" კბილების ღრჭენით წარმოსთქვა და მრისხანედ დაჰკრა მუშტი მოაჯირს.

— რა არის, დად? რა დაგემართა? — შესწუხდა სეიდიყი.

ყაზილბაკს შერცხვა თავისი უხერხული საქციელისა.

— არაფერია... სეიდიყ... ფიქრებმა გამიტაცეს... — მიუგო და ნაძალადევად გაიღიმა, მაგრამ მის გულში ცეცხლი ენთო. ო-ო რომ შეეძლოს, მზად არის ზურგში ხანჯალი ჩასცეს მისთვის საძულველ ბოლშევიკებს. უძლურებით გაბოროტებული მაგრა შეტოკდა სკამზე.

კვლავ შორს წავიდა მისი ფიქრი, დასავლეთისკენ... გაახსენდა შვილები, ორი შვილი: ერთი დენიკინთან მსახურებდა, მეორე — მენშევიკებთან, მათთან ერთად წავიდნენ დასავლეთ ევროპაში... იქიდან მოელის ხსნას. იმედი გაელვიძა. გაიფიქრა: „აი მაშინ ვიძიებ შურს.... გადავუხდი სამაგიეროს ბოლშევიკებს!.." ო-ო, რა ცეცხლს დაატეხს მაშინ

ყელამტს, ხაკუცს, ოზამატს და სხვა გლეხებს, რომელთაც მისი მამულები დაინაწილეს!.. ცოცხლებს გააძრობს ტყავს!..

ღიმილმა გაითამაშა მის ტუჩებზე. წარბები გაეშალა სეიდიყსაც, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალს მისი სახის მოძრაობას.

— მუშაობა გვმართებს, სეიდიყ, მუშაობა, გულზე ხელი არ უნდა დავიკრიბოთ, — ჩაილაპარაკა ყაზილბაკმა.

— სწორედ, სწორედ... — დაუდასტურა სეიდიყმა, თუმცა ვერ გაიგო რაზე ელაპარაკებოდა სტუმარი.

— მაგრამ უნდა ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი, — განაგრძო ყაზილბაკმა, გაშალა ხელის თითები და დაანახვა სეიდიყს. — აი ასე უნდა ჩაერიოთ ხალხში ჩვენ, ყველანი, ვინც უკმაყოფილოა ამ ხელისუფლებით... ყველამ უნდა იმოქმედოს თავისი ნაცნობების, ნათესავების, მოგვარეების, ძიძიშვილების საშუალებით... გავლენა უნდა მოვიპოვოთ გლეხობაში, უნდა ავაღელვოთ, ავამხედროთ ისინი ახლანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ... ხომ გაიგე, სეიდიყ?

— გავიგე, დად, გავიგე...

— სასოფლო ყრილობებზე, სოფლის საბჭოებში აუცილებლად ჩვენი ხალხი უნდა გვყავდეს, — განაგრძობდა ყაზილბაკი. — საბჭოებზე გავლენის მოხდენას... დიდი მნიშვნელობა აქვს...

— სწორია, დად, სწორი... აი მე სოფლის საბჭოში ვარ და ზოგნი მაჯერებენ.

— ეგ არის საჭირო, ეგ... ჩემზე არ ვლაპარაკობ, სეიდიყ. ჩვენ, თავადები და აზნაურები, ახლა აღარაფერი ვართ, ჩვენ ბოლო მოგვიღეს.. თქვენზე ვლაპარაკობ... გვებრალებით თქვენ, გლეხები. თუ ბოლშევიკები საბჭოებს მთლიანად ხელში ჩაიგდებენ, გათავდება თქვენი საქმე. აი, მაგალითად, შენ, სეიდიყ...

სეიდიკი სმენად გადაიქცა.

— შენ ძველი ხელისუფლებისა და ალახის წყალობით კარგად ცხოვრობ. ჰოდა აი რას გიზამენ: მთელ შენ დოვლათს დაურიგებენ ზარმაცებს და ბოგანოებს, ისეთებს, როგორიც აგერ ის გატლეკილი მეზობელია, — და თითი გაიშვირა თემირის ფაცხისაკენ.

გაიხედა იქითკენ სეიდიყმაც. შუბლი შეიჭმუხნა.

— ასეა, ჩემო სეიდიყ. ამიტომ მაგრა უნდა ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი და ვიმუშაოთ, — სთქვა ეს და მრავალ მნიშვნელოვნად შეხედა სეიდიყს, — მალე დაბრუნდება ძველი დრო... მალე... უსათუოდ დაბრუნდება... და შენ ხელახლა ამოიღებ სკივრში დამალულ მედალს...

სეიდიყს ამ სიტყვებისაგან სიამოვნების ტალღამ დაუარა.

— მე კი, დად, უნდა გამოვტყდე, კინაღამ გავყიდე.

— როგორ თუ გაყიდე? ოქროსია?

— ოქროსია, დად.

— როგორ შეიძლება! ეგ მეფის წყალობაა... თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე...

სისულელის ჩადენას ვაპირებდი. კინაღამ შემაცდინა ეშმაკმა... მაგრამ ღმერთმა გონზე მომიყვანა... — ჩაილაპარაკა სეიდიყმა. ამ დროს კოლმეურნეობა გაახსენდა.

მართლა, დად, რას იტყვი კოლმეურნეობაზე? — ჰკითხა მან.

— კოლმეურნეობა?

— დიახ, დად... ბევრს ლაპარაკობენ...

— კოლმეურნეობა სიკვდილია თქვენთვის! ის სამუდამოდ მოულებს ბოლოს თქვენ ძველ ცხოვრებას... მოსპობს მამაპაპურ ჩვეულებებს, რომელსაც საუკუნეებით შევეთვისეთ... ფიქრადაც არ უნდა გაივლოთ... ღმერთმა დაგიხსნათ!.. მისი სახელით ხალხს უნდა აშინებდეთ...

ამ დროს კიბეზე ამოვიდა სეიდიყის მეზობელი ქობლუხი.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, ყაზილბაკ! — მიესალმა იგი.

— ნურც შენ მოგაკლოს ღმერთმა კეთილი! — მიუგო ყაზილბაკმა, ოდნავ წამომდგარმა.

ქობლუხი ასვლისთანავე ჩამოჯდა სკამზე.

ის, რომ ქობლუხს თავისუფლად ეჭირა თავი და ერთბაშად დაეშვა სკამზე, არ მოეწონა სეიდიყს. მან უკმაყოფილოდ გადაავლო თვალი მეზობელს.

— დიდი ხანია, ყაზილბაკ, აღარ გვინახავს შენი თავი ჩვენს ახალაში? — მიმართა სტუმარს ქობლუხმა.

— რას იზამ: ძალით ხომ ვერ მოგაწონებთ თავს! სთქვეს: ყაზილბაკ, ცუდი კაცი ხარო, და მეც ვზივარ სახლში, არავის არ უშლი, ოღონდ მე ნუ მახლებენ ხელს, — მიუგო ეშმაკურად ყაზილბაკმა.

— მუდამ ხომ არ ზიდავს კოკა წყალს, ყაზილბაკ! დიდხანს ისხედით ჩვენ კისერზე. გვეყოფა!

ყაზილბაკი აენთო.

— აი, ხომ ხედავ, როგორი ენა გაქვს!.. ალახ! ალახ! როდის ვისხედით თქვენს კისერზე?

— დაგავიწყდა, ყაზილბაკ?

თავისუფლად, ძალდაუტანებლად, როგორც თანასწორს, ელაპარაკებოდა ქობლუხი ყაზილბაკს. სეიდიყს ეს მეტად არ ესიამოვნა. იშმუშნებოდა, ერთ ადგილას ვერ გაჩერებულიყო, რაღაცა უხერხულობას გრძნობდა ყაზილბაკის წინაშე, მზად იყო დაეყვირა ქობლუხისათვის, მაგრამ თავი შეიკავა, აშკარად ვერ დაეჭირა მხარი ყაზილბაკისათვის.

— ერთი შენც, ქობლუხ, რა დროს ეგ არის!.. — ემუდარებოდა სეიდიყი. მაგრამ ქობლუხი ყურს არ უგდებდა.

— მაშ, ყაზილბაკ, ჩვენ ვისხედით თქვენს კისერზე და არა თქვენ ჩვენსაზე? ხომ ასეა?

— ალახ, ალახ! რა სიტყვებს ამბობ! განა არ ვეხმარებოდით ერთმანეთს?.. განა არ გვქონდა ერთმანეთში ნათესაური კავშირი? განა არ ვცხოვრობდით ისე, რომ სულს არ ვზოგავდით ერთმანეთისათვის?..

— მართალი არ არის ეგ! — მკვახედ მოუჭრა ქობლუხმა. — ვიცით ეგ ნათესაური კავშირი! გვახსოვს, ჩვენ, „ნათესავებს", როგორ მოგვქონდა თქვენთან მსუქანი დედლები, ბატკნები...

— გეყოფა, ქობლუხ, გეყოფა! რა დროს ეგენებია! — ემუდარებოდა სეიდიყი.

მაგრამ სოციალური უსამართლობით გულნატკენი ქობლუხი განაგრძობდა:

— ყოველი გლეხი ზრდიდა თქვენთვის ყოველწლიურად ყვერულებს. დიდება ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას! ჩვენ ახლა განთავისუფლებული ვართ უსიამოვნო მოვალეობისაგან — თქვენთვის მამლების დაკოდვისაგან! ბატონი გაქრა, ჩრდილი დარჩა! — დაამთავრა ქობლუხმა.

ყაზილბაკი გარეგნულად დამშვიდებული უსმენდა, მაგრამ მის გულში ზღვა ღელავდა. ქობლუხის უკანასკნელი სიტყვები სადგისივით მოხვდა. თვალებმა გაუელვეს, თითქო ღრმა ბუდეებიდან ამოვარდნას ლამობენო. ხელი უნებურად ხანჯალს წაატანა. უწინ ასეთი გაბედული სიტყვებისათვის იგი გლეხს შიგ გულში ჩასცემდა ხანჯალს. გონებაში გაუელვა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის იმედმა და ამან თავი შეაკავებინა.

— გაგონილა ასეთი რამე? — წარმოსთქვა მან, თან ძლივს იკავებდა თავს. — ეგ რომ კომკავშირელს ეთქვა, გასაგები იქნებოდა... მაგრამ შენ?.. როგორ მოგადგა მაგისთანა სიტყვები პირზე? შენ ფეხქვეშ თელავ ჩვენს სამღვთო ჩვეულებებს... განა ეს ჩვენი დაღუპვა არ არის? — სთქვა ეს და შეხედა სეიდიყს. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ თვალი გადაავლო ქობლუხს და უმწეოდ ხელები გაშალა. ყაზილბაკმა განაგრძო: — თუმცა მე საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ...

— მაგრამ ხელი არ მიგიწვდება! — მოუჭრა ქობლუხმა.

— დასწყევლოს ეშმაკმა! გაჩუმდები თუ არა? — აიმაღლა ხმა სეიდიყმა.

— ალახ! ალახ! ვის გაუგონია ასეთი სიტყვები?.. მართალია ჩვენი ანდაზა: მოძულებული კაცის ტუჩების ცმაცური ქუხილად მოისმისო. რაც არ უნდა ვთქვა, შენ ქუხილად მოგეჩვენება, — სთქვა ყაზილბაკმა.

— რასაც დასთეს, იმას მოიმკიო... არ გვიყვარხართ თქვენი საქმეების გამო...

— პირადათ მე რით გაწყენიე?

— მე კერძოდ ჩემზე არ ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ ყველა ჩვენზე, ვისაც თქვენ ჩაგრავდით... თუ გინდა, ჩემზედაც ვიტყვი: აღარ გახსოვს ჩემი მიწის ნაჭერი მდინარის ნაპირთან, შენ რომ გადმოგცეს?

— შეიძლება... შეიძლება... არ გედავები... მაგრამ მე დამნაშავე არ ვიყავი... მთავრობამ მომაკუთვნა.

— თუ ჩვენ, გლეხები, გებრალებოდით, განა არ შეგვეძლო ხელი აგეღო?

— კმარა, ქობლუხ!.. სხვა დრო ველარ გამონახე!.. ჩემ სახლშია — და ენა დაება, შეეშინდა, მეტი არ მომივიდეს და თავი არ გავამხილოო.

— იმის სიმღერას უნდა აჰყვე, ვის ნავშიაც ზიხარ... — დაიწყო კვლავ ქობლუხმა. — დიდხანს ვისხედით ჩვენ თქვენს ნავში, ყაზილბაკ... ჩვენი ცრემლითა და ოფლით იყო იგი სავსე... გულში ვიკლავდით ბოლმასა და ტანჯვას და ვიმეორებდით თქვენ სიმღერას...

— გაჩუმდები თუ არა? — ველარ მოითმინა სეიდიყმა და გააწყვეტინა სიტყვა ქობლუხს.

— დამეხსენ, სეიდიყ! რას ჩამაცივდი? მაშ ვაქო? მთელი საუკუნეები გაჩუმებული ვიყავით. ხომ ვერ გავჩუმდებით ახლაც, როცა ადამიანები გავხდით? — სთქვა ქობლუხმა და განაგრძო: — ქვაც კი სქდება გახურებისაგან. ჩვენ მოთმინებიდან გამოვედით და აი, ყაზილბაკ, დავამსხვრიეთ თქვენი ნავი... ავაგეთ ახალი ნავი, ჩვენი ნავი და მივცურავთ კარგი ცხოვრებისაკენ. თქვენ მზად ხართ ჩაძიროთ ჩვენი ნავი, მაგრამ ვერ შეესლებთ ამას...

ყაზილბაკი წამოხტა. მან სეიდიყს მიმართა:

— სეიდიყ, ერთი საქმისთვის მოვედი შენთან...

წამოდგა ქობლუხიც.

— სეიდიყ, მათხოვე, თუ კაცი ხარ, უნაგირი, — მიმართა მან სეიდიყს.

— წაიღე სამზარეულოშია... მოხუცი, მოგცემს, — უთხრა მან უკმაყოფილოდ.

— მშვიდობით! — სთქვა ქობლუხმა და კიბეზე დაეშვა.

მისი წასვლის შემდეგ სეიდიყმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— ჯანდაბას მაგისი თავი! მომკლა, დად, შენს წინაშე. რაღა ახლა მოეთრია, როცა ჩემთან ბრძანდები. ფუი! შემრცხვა შენი, ყაზილბაკ, თორემ კიბეზე ჩავუშვებდი. დაბრძანდი, დად, დაბრძანდი! — ეხვეწებოდა სეიდიყი.

— ნუ ფიქრობ მაგაზე, სეიდიყ, ნუ ფიქრობ... დამშვიდდი. თავისი თავიდან არ ლაპარაკობს ეგ, აშკარაა, ვიღაცამ გააბრიყვა... აბა, დროა წავიდე.

— სად? ბებერი იქ მცირე რამეს ამზადებს შენს გასამასპინძლებლად... მოითმინე!

— არ შემიძლია, სეიდიყ. მე შენთან თიკანისათვის მოვედი. ძალიან მჭირია.

— თიკანი არაფერია! მცირე ხანს მოითმინე, დად...

— მითხარი ფასი და თან წავიყვან, — და ყაზილბაკმა მათრახი აიღო.

— რას ბრძანებ? ფასს როგორ ავიღებ? ან ნებას როგორ მივცემ თავს, რომ შენ წაგაყვანიო? საღამოზე მე თითონ მოგართმევ ან ბიჭის ხელით გამოგიგზავნი.

— გაწუხებ, სეიდიყ...

— არა, დად, არა! ამით მხოლოდ მასიამოვნებ. ყოველთვის ეზად ვარ სამსახური გაგიწიო.

— რაკი არ იშლი, აგრე იყოს... კეთილი მოგცეს ღმერთმა! — და შეუდგა კიბიდან ჩასვლას.

სეიდიყი სირბილით დაეშვა კიბეზე და როდესაც სტუმარი ძირს ჩავიდა, ცხენი უკვე გვერდზე ედგა.

— ეი, სადა ხარ? მიბრძანდება ყაზილბაკი! დაუძახა ცოლს სეიდიყმა.

მოხუცი გამოვარდა სამზარეულოდან, რათა ეთხოვა თავადისათვის დარჩენილიყო.

— მიბრძანდები, ნან? — ჩაიბუტბუტა მოხუცმა.

— მეჩქარება, დედა. კეთილი ნუ მოგაკლოთ ღმერთმა! — სთქვა ყაზილბაკმა, აღვირი მოზიდა, ხელი წაავლო უნაგირის თავს, ფეხი ჩასდო უზანგში და თავისი ზორბა სხეული უნაგირზე მოაქცია. სეიდიყს მეორე მხრიდან უზანგო ეჭირა. შემდეგ თავადი ერთხელ კიდევ გამოეთხოვა და გაუდგა გზას.

სეიდიყი ცოლს მიუბრუნდა:

— წავიდა ქობლუხი?

— უნაგირი წაიღო და წავიდა.

— ნუღა დააბრუნოს ღმერთმა! თავი მომჭრა, თავი ყაზილბაკთან!.. ჩასჭიდა კბილი და აღარ მოეშვა. სოფლის საბჭოს წევრი რომ არ ვყოფილიყავ, კიბიდან ჩაუშვებდი... — ჩაილაპარაკა გაჯავრებით სეიდიყმა და დაუმატა: — ჰეიგიდი დროვ! რა ვაჟკაცი იყო ყაზილბაკი!.. ნამდვილი თავადი!.. რა ძალა და გავლენა ჰქონდა!.. შენც კიდევ! რა იყო, ისე უგულოთ რომ არ მიგეღო?..

— არ მომწონს ეგ შენი ყაზილბაკი... თავადობა დაკარგა... ბორგავს, შფოთავს, ცეცხლებს ჰყრის! უნდა ძველი ძალა დაიბრუნოს... აი რაშია საქმე! — მიუგო მოხუცმა და მიტრიალდა.

— ხმა გაიკმინდე, სულელო! ლაპარაკობს კიდეც! — დაუყვირა სეიდიყმა.

ყველაფერი, რაც ყაზილბაკმა უამბო, მძიმე ლოდად დააწვა გულზე სეიდიყს. თავადის წასვლის შემდეგ, აღარ იცოდა, რა გაეკეთებია და გზაბნეულივით ტრიალებდა ეზოში. როდესაც დაწყობილი შეშის წინ გაიარა, ერთი ღერი შეშა მოშორებით ეგდო. დაავლო ხელი და დაახეთქა სხვებს. მერე კუნძთან მივიდა, ამოაძრო შიგ ჩარჭობილი ცული, გაიდო მხარზე და სახლისაკენ გაემართა. მაგრამ შიგნით არ შევიდა, შემოუარა სახლს. გარშემო და კიბესთან გაჩერდა. კიბის ძირში პირუტყვის განავალი შენიშნა.

„კამეჩის თუ ძროხისაა?“ — გაიფიქრა და თავი ასწია. მისი თვალი კიბეს მოხვდა. შეღებილი კიბის გარეთი მხარე მოსვრილი და დაკაწრული იყო.

„კამეჩი ყოფილა. ვაჩვენებდი სეირს, აქ რომ შევსწრებოდი!“ — დაემუქრა გონებაში და ღობეს აჰყვა.

შენიშნა ცუდად ჩარჭობილი სარი. მოუქნია ცული და მაგრა ჩაურჭო. მერე მოშორდა ლობეს და შუა ეზოსკენ გაემართა. ცაცხვთან გავლის დროს, შენიშნა განზე გაშვერილი რტო. ერთი დარტყმით ჩამოფალა იგი ხეს. იქიდან ჭისკრისაკენ გაემართა, მისახურად.

— ეი, სეიდიყ! — მოესმა ამ დროს უცნობი ხმა.

— ეი!

— ხვალ სოფლის საბჭოს სხდომაა!

— ვინა ხარ?

— მილიციონერი ვარ, მილიციონერი!

— კარგი, დად, კარგი! — მიუგო სეიდიყმა და ჭისკარი მიხურა.

თავი V

მზის სხივი ალმაცერად შეიჭრა ფაცხის ჭუჭრუტანაში, დაეცა ბალიშზე და შეუდგა მასზე თრთოლით ხტუნაობას. შემდეგ ჩაცოცდა ქვევით, შეერია მძინარის ხუჭუჭა თმაში, შეხტა შუბლზე, ოდნავ ჩაცურდა და დაუწყო ლიტინი თვალებს. მწოლარემ ვერ გაუძლო მცხუნარე სხივის ძალას, წამწამები ააბამხამა, მერე თვალები გაახილა.

კუჭირი, ქობლუხის შვილი, კომკავშირის უჯრედის მდივანი, სწრაფად წამოდგა ლოგინში, თვალები მოიფშვნიტა, პირი მიიბრუნა და დახედა იქვე მამის საწოლს. ქობლუხი იქ ალარ იყო. თვალი შეავლო სარძევეს — თავის ადგილზე ეკიდა. მაშასადამე, მამა ჯერ არ შესდგომია წველას. ყური მიუგდო: ეზოდან მოისმოდა ძროხების ბღავილი და ხბორების გამოხმაურება...

კუჭირის მეტად ცოცხალ, გამობურცულ სახეს ამშვენებდა ხშირი, შავი ხუჭუჭა თმით შემოსილი თავი. ოდნავ კეხიანი ცხვირი, ცოცხალი, მხიარული თვალები, რომლებზედაც ფოლადივით ბზინავდენ შავად გაწოლილი წარბები, მიმზიდველად ხდიდენ ამ სახეს.

კუჭირი წამოხტა ლოგინიდან, სწრაფად ჩაიცვა ტანისამოსი, ასევე სწრაფად დაიბანა პირი, მივარდა ჭუჭრუტანას და გაიხედა ეზოში. მოკამკამე ნამიან ბალახზე ქობლუხი მიდიოდა ძროხებისაკენ, ეზოს კარის მეორე მხარისაკენ. მის დანახვაზე ძროხები ხბორებთან ერთად ძალზე ახმაურდენ.

კუჭირს გაახსენდა, რომ დანიშნულია პარტიული კრება კომკავშირის აქტივთან ერთად, რომელზედაც განხილულ უნდა იქნას საკითხი კოლმეურნეობის შესახებ. დააჭლო ხელი სარძევეს და ეზოში გავარდა.

ქობლუხი მოტრიალდა. ის იყო უნდა მოეთხოვა სარძევე, რომ დაინახა კუჭირი, რომელიც მისკენ მიეშურებოდა. გაეღიმა.

კუჭირმა მიირბინა.

— აი შე ძილის გუდავ!.. კომკავშირელი მაინც არ იყო!.. — გაეხუმრა მამა. — დაგვცინით ზოგჯერ ჩვენ, ბებრებს... ჩვენ კი ჩვენი საქმე ვიცოდით... ირაჟრაჟებდა თუ არა, ფეხზე ვიყავით... უწინ სასოფლო ყრილო-

ბებზე საქმეებს ჩვენ, ბებრები, ვწყვეტდით, ახალგაზრდობა კი ყურს გვიგდებდა.

— ახლა კი, — გააწყვეტია კუჭირმა, — ახალგაზრდობა სწყვეტს, ხოლო მოხუცები მოწიწებით ყურს უგდებენ, — გაეხუმრა კუჭირი და გადიხარხარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის მხიარულმა სიცილმა ღიმილი მოჰგვარა ქობლუხსაც.

— მართალი არ არის, მამა! — დაიწყო კვლავ კუჭირმა და სიცილი შესწყვიტა: — ჩვენ უფროსებს არ ვერეკებით... აი შენ, მაგალითად, სოფლის საბჭოს წევრი ხარ, სეიდიყიც, მისაც, ოსმანიც და კიდევ სხვებიც... ჩვენ მართლაც ვერეკებით იმათ, ვინც შეგნებულად ხელს უშლის ჩვენს მუშაობას, ვისაც არ უნდა შეიგნოს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სოფლად... ვინც ყურს უგდებს ათას სისულელეს და ჭორს და არა იმას, რასაც ლენინი და სტალინი გვასწავლიან... ჩვენ ვაშენებთ უკეთეს ცხოვრებას და ამ მუშაობაში ერთმანეთს უნდა ვეხმარებოდეთ მოხუცები და ახალგაზრდები.

— სწორია, — დაეთანხმა მამა. იგი გრძნობდა შვილის სიტყვების სიმართლეს. სიამოვნებას გვრიდა, რომ მისი შვილი ცეცხლივით მგზნებარეა და ჭკვიანურად ლაპარაკობს.

ქობლუხმა ჩამოართვა შვილს სარძევე, გააღო ეზოს კარი და მიუშვა ხბო ძროხასთან.

კუჭირმა განგებ, სიფრთხილისათვის არ ჩამოაგდო ლაპარაკი ღმერთზე.

ხბო შურდულივით მივარდა დედას და ხარბად დაეწაფა მის ვარდისფერ ძუძუებს. დროგამოშვებით ცხვირს აჰკრავდა ხოლმე, რომ მეტი რძე მიეღო.

ქობლუხმა მოაშორა ხბო და წველა დაიწყო. რძე შხუილით ჩადიოდა სარძევეში. ხბო ქაფიანი ტუჩებით გარს უვლიდა დედას, ეტანებოდა ძუძუს და უშლიდა წველას. ქობლუხმა რამდენჯერმე შემოჰკრა ცხვირში. მაგრამ ის თავისას არ იშლიდა, ფრუტუნებდა, იქნევდა თავს და კვლავ მიიწევდა ძუძუსაკენ.

კუჭირმა სტაცა ხელი უკანა ფეხებში და განზე გაათრია. ხბო შფოთავდა, ფეხებს აბაკუნებდა, მაგრამ განთავისუფლებას მაინც ვერ ახერხებდა. ბოლოს დაწყნარდა.

დედამ თავი მიიბრუნა და ლოკვა დაუწყო ხბოს.

გაათავეს წველა და ფაცხაში შევიდენ.

კუჭირმა სასწრაფოდ ისაუზმა და წასვლის დროს უთხრა მამას:

— მამა, დღეს აუცილებლად მოდი სოფლის საბჭოს კრებაზე.

კუჭირი გაიქცა. პარტუჯრედის მდივნის სახლთან დაიძახა:

— კუბრიცი შინ არის? კუბრიცი!

გამოვარდა ქალიშვილი.

— შენა ხარ, კუჭირ?

— მე ვარ. კუბრიცი შინ არის?

— არა. ძმა სოფლის საბჭოში წავიდა.

— დიდი ხანია?

— ეს არის ახლა. გზაში დაეწევი.

ბილიკი ქვევით ეშვებოდა, ღელეს გადადიოდა და მერე გორაზე ადიოდა. კუჭირმა გახედა ბილიკს და ზედ გორის თავზე თვალთან შეაკრა კუბრიცს. იცნო მისი ტყავის ქუდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბრიცი ოცდახუთი წლის ვაჟკაცი იყო. ერთი შეხედვით პირქუშ ადამიანად ეჩვენებოდა კაცს. გამობერილი შუბლი ჩამოწოლილი წარბებით მკაცრ გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს, მაგრამ ალერსიანი, ნათელი თვალები არბილებდენ ამ სიმკაცრეს. ორი წლის წინად კუბრიცმა პარტიული სკოლა დაამთავრა.

აღმართზე ასვლის დროს კუბრიცი ფიქრობდა პარტიის რაიკომიდან მიღებულ დირექტივზე. დირექტივი წინადადებას აძლევს პარტუჯრედს გააძლიეროს მუშაობა ღარიბ-ღატაკთა ჩასაბმელად კოლმეურნეობაში, რისთვისაც მან უნდა მიმართოს ახსნა-განმარტებას, დარწმუნებას და მაგალითის ჩვენებას, ამასთან გადაჭრით უნდა უკუაგდოს ამ საქმეში ძალდატანება, ბრძანებლობა. დირექტივს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე კომუნისტების აუცილებლად შესვლა და კომკავშირელების ჩაბმა კოლმეურნეობაში. კუბრიცმა გონების თვალი გადაავლო წინასწარ ჩატარებულ მუშაობას: განიხილეს საკითხი კოლმეურნეობის შესახებ ჯერ კომუნისტებთან და კომკავშირელებთან, მოაწყეს საუბრები ცალკეულ ღარიბებთან — აქტივისტებთან, აგრეთვე ღარიბ გლეხთა მთელ ჯგუფებთან ყოველ უბანში. „მაგრამ უბედურება ის არის, — ფიქრობდა კუბრიცი, — რომ ჩვენში გლეხები ცხოვრობენ არა თავმოყრილად, როგორც სხვა რესპუბლიკებში, არამედ მთელ სოფელში გაფანტულ ცალკე მეურნეობებად და ეს პირველ ხანებში გააძნელებს ერთ ადგილას შვიდი-ათი მეურნეობის გაერთიანებას და კოლმეურნეობის მოწყობას“.

ამ დროს უკანიდან სტვენა მოესმა. კუბრიცმა მიიხედა და ღელეს მეორე მხარეს, გორაკზე დაინახა კუჭირი, რომელიც დაეშვა ძირს, მერე სირბილით შეუდგა აღმართს და მალე გაწითლებული კუბრიცთან გაჩნდა.

— დილა მშვიდობისა! — მისვლამდე მიესალმა იგი.

— მშვიდობით იყავ! — მიუგო კუბრიცმა და გაუდგნენ გზას.

— მოვდიოდი და ერთ საქმეზე ვფიქრობდი, — დაიწყო კუბრიცმა, რომელიც წინ მიდიოდა. — მაგრამ შენმა სტვენამ გამაწყვეტინა ფიქრი.

— რაზე ფიქრობდი? — და კუჭირი გვერდში ამოუდგა.

— პარტიის დირექტივზე, რომელიც ახლა მივიღეთ.

— კოლმეურნეობის შესახებ?

— ჰო. დროა პრაქტიკულად შევუდგეთ ჩვენს სოფელში კოლმეურნეობის დაარსებას.

— დავძლევთ ამ სიძნელესაც, კუბრიც! ავიღებთ ციხე-სიმაგრეს! კოლმეურნეობა გვექნება! — რწმენით, კომკავშირული სილაღით წარმოსთქვა კუჭირმა.

— სწორია. მაგრამ ყური დამიგდე. ერთი დაკვრით ვერ ავიღებთ ციხე-სიმაგრეს. უნდა ავწონ-დავწონოთ ყველაფერი, გავითვალისწინოთ ჩვენი ძალები და მხოლოდ შემდეგ მივიტანოთ იერიში... მაშინ ციხე-სიმაგრეს უეჭველად ავიღებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე ხევი შეხვდათ. არსად არ იყო წყალზე გადასასვლელი. კუბრიცმა თვალი მიმოავლო, მონახა ვიწრო ადგილი და გადაახტა ნაკადს. მას კუჭირმაც მიბაძა.

— მართალი სთქვი, კუბრიც! — გაიცინა კუჭირმა. — შენ რომ აი ახლა შენი ძალა არ გაგეთვალისწინებია და განიერ ადგილას გადამხტარიყავ, უსათუოდ წყალში ამოჰყოფდი თავს.

გაეცინა კუბრიცსაც.

— რაიკომის განკარგულება მოითხოვს კომუნისტების აუცილებლად შესვლას კოლმეურნეობაში, აგრეთვე კომკავშირელების ჩაბმას. — კვლავ დაიწყო კუბრიცმა ლაპარაკი იმავე თემაზე.

— მერე რა? მოვთხოვოთ კომუნისტებს და კომკავშირელებს შევიდენ კოლმეურნეობაში. ვინც არ მოისურვებს, დაუყოვნებლივ გამოვრიცხოთ პარტიიდან და კომკავშირიდან! — განაცხადა გადაჭრით კუჭირმა.

— მოიცა, მოიცა! — გააჩერა კუბრიცმა. — გამორიცხვას ყოველთვის მოვასწრებთ. ჯერ უნდა დავარწმუნოთ. კომუნისტებთან ადვილად მოვაგვარებთ საქმეს. სიტყვას არ გავაჭიანურებთ. კომკავშირელებს კი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ისინი ჯერ არ მომწიფებულან. ისინი მშობლებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ერთნი დიდ გავლენას განიცდიან, მეორენი — ნაკლებს, მესამენი სრულიად განთავისუფლებულნი არიან ამ გავლენისაგან. ასეა, კუჭირ. თითოეულს ცალკე და განსაკუთრებულად უნდა მივუდგეთ, უნდა გავითვალისწინოთ ის პირობები, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან და თანდათან გადმოვიბიროთ.

— ეგ სწორია, — დაეთანხმა კუჭირი.

— მე ერთი რამეც მაწუხებს, — დაიწყო კვლავ კუბრიცმა. — ჯერჯერობით ძალიან გაგვიძნელდება ერთ უბანში შვიდი-ათი ღარიბი მეურნეობის გაერთიანება და ამნაირად კოლმეურნეობისათვის საძირკვლის ჩაყრა.

კუჭირს გაახსენდა კოლმეურნეობაზე ლაპარაკი მის ახალაში.

— იცი, კუბრიც, უკვე ჩაისახა კოლმეურნეობის დაარსების აზრი?

— სად? — შეეკითხა კუბრიცი და სწრაფად მიტრიალდა.

— ჩვენს ახალაში, — მიუგო მან ამაყად.

— რატომ აქამდე არ მითხარი?

— ვფიქრობდი, როცა საბოლოოდ გადაწყდება მეთქი...

— მიამბე, როგორ და რანაირად? — და კუბრიცის ხმაში მოუთმენლობა მოისმა.

— ამ აზრამდე ზოგიერთები მიიყვანა მამაჩემმა...

— ქობლუხმა? აი ყოჩაღ!

— და თემირმა, — დაუმატა კუჭირმა.

— თემირმა? ვისაც გუთანი მივეცით? კარგი ბიჭია! სამწუხაროა, რომ სოფლის საბჭოს წევრი არ არის...

— ახალი არჩევნების დროს უსათუოდ უნდა წამოვაყენოთ მისი კანდიდატურა, — დაუმატა კუჭირმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უსათუოდ, უსათუოდ... მერე?

— ღარიბ და საშუალო გლეხთა ჯგუფმა გადასწყვიტა ამ დღეებში შეიკრიბოს მრუდე კაკალთან და განიხილოს საკითხი საერთო ძალღონით თავიანთი ადგილების დამუშავების შესახებ...

— მერე, მერე?..

— ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს გუთანი... რაკი გუთანი დაინახეს, აღარავის უნდა კავის ხელში აღება...

ამ ამბავმა კუბრიცი ძალზე გაახარა.

— ხომ ხედავ? — ჩაილაპარაკა კუბრიცმა, — ეს უკვე ჩვენი მუშაობის შედეგია... გუთანიც გაეცნენას ახდენს, უღვიძებს საერთო ძალღონით დამუშავების აზრს... არა, რატომ აქამდე არ მითხარი?... — ველარ ისვენებდა კუბრიცი, და მისმა აზრმა ფრთები შეისხა: — მთელი ჩვენი გულისყური აქეთკენ უნდა მივმართოთ... დიდი მზრუნველობა უნდა გავუწიოთ ამ ახალ საქმეს... ახლავე, დასაწყისშივე... ყოჩაღ ქობლუხ! — გაიძახოდა აღტაცებული. — ნამდვილი ღარიბი გლეხია, აქტივისტი! რაც შეიძლება მეტი უნდა ავღზარდოთ ასეთი აქტივისტი და მაშინ საბჭოთა ხელისუფლება სოფლად მტკიცე იქნება... უნდა ჩავაბათ ქობლუხი პარტიაში...

— იქნებ უკეთესი იყოს გამოვიყენოთ ის როგორც უპარტიო აქტივისტი? — იკითხა კუჭირმა.

— ვითომ რატომ?

— რომ მეტი გავლენა მოვიპოვოთ და უკეთ გავატაროთ ჩვენი ღონისძიებანი უპარტიო გლეხთა შორის... — დაიბნა კუჭირი, რადგან დაინახა, როგორ დააშტერდა ამ სიტყვებზე კუბრიცი.

— შემცდარი ხარ, კუჭირ! — მიუგო მან. — ეშმაკობა არ ესაჭიროება კომუნისტურ პარტიას. მას ყოველთვის პირდაპირობით და სწორი პოლიტიკით გააქვს საქმე... თუ ჩვენ, კომუნისტები, და თქვენ, კომკავშირელები, სწორად გავატარებთ ცხოვრებაში ლენინის ანდერძს და სტალინის მითითებებს, სულ ადვილად მოვიპოვებთ ავტორიტეტს და გავლენას.. აუჩქაროთ!

გორას თავში მოექცნენ. ჩუმად მიდიოდენ. კუჭირი ფიქრობდა არასწორად გამოთქმულ აზრზე, ხოლო კუბრიცი — უკვე ჩასახულ კოლმეურნეობაზე... გზა ერთბაშად ეშვებოდა ქვევით. გამოჩნდა დილის მზის სხივებით გავარვარებული დიდი მოედანი. მის იქით — ამწვანებული მთის ფერდობები, რომლებიც თვალს ტკბილად ელამუნებოდენ. უფრო შორს თეთრად ბრწყინავდა ცივი ერცახუ [1]), ხოლო სამხრეთით — მწვანე ნაპი-

---

[1]) ერცახუ — მთის ქედის ყველაზე მაღალი მწვერვალი აფხაზეთში.

რებთან ნებივრობდა მზის სხივებში გახვეული ზღვა. მოედანზე, სოფლის საბჭოს შენობასთან, მოსჩანდა თავმოყრილი ხალხი — კომკავშირელები და გლეხები. იქიდან, ქვევიდან, მოისმოდა აღგზნებული კომკავშირული სიმღერა და პიონერთა დოლის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო ახალი ხალხი ახალი სიმღერით... ძველი, დაჩაგრული, ბნელი სოფელი იღვიძებდა საღათას ძილისაგან, იცვლიდა სახეს... ახალი იჭრებოდა ძველში, დახავსებულ ცხოვრებაში, ხდებოდა მისი გარდაქმნა... იშლებოდა და ირღვეოდა ძველი ყოფა-ცხოვრება... იქმნებოდა ახალი ყოფა-ცხოვრება... ხოლო მძლავრი კომკავშირული მოძრაობა ეუფლებოდა ახალგაზრდობას, აშორებდა მას მშობლების გავლენას, ძველი ცხოვრების წყობას. და ახალგაზრდობა გადაჭრით ამსხვრევდა ძველ ბორკილებს და საბოლოოდ დგებოდა ლენინური კომკავშირის რიგებში...

კუბრიცი და კუჭირი დიდხანს იდგნენ და იყურებოდნენ ქვევით... ეამამხნევებელი სიმღერა აღელვებდა მათ...

— ჰე, კუჭირ! — აღმოხდა კუბრიცს გულიდან. — შენ ბევრად ჩემზე ახალგაზრდა ხარ... არ იცი, რა იყო წინად... რა ხდებოდა მეფის დროს... ყველაფერს ფეხით თელავდენ... ახშობდენ... ანადგურებდენ... საბჭოთა ხელისუფლებამ დაამხო ეს ჯოჯოხეთი!... აგერ შეხედე, საბჭოს ირგვლივ თავმოყრილია კომკავშირი და სოფლის აქტივი. ესენი არიან ახალი ცხოვრების მშენებელნი სოფლად... ყოველ დღეს, ყოველ საათს მატულობს მათი რიცხვი... მძლავრად იზრდებიან, და ვერავითარი შავი ძალა ვერ შეაჩერებს ამ მოძრაობას!

— სწორია, კუბრიც, სწორი! — დაუდასტურა კუბრიცის სიტყვებით აღფრთოვანებულმა კუჭირმა. — გაიხსენე, როგორ იზრდებოდა კომკავშირი! ორი წლის წინად ჩვენს სოფელში ათიოდე კომკავშირელი იყო, ახლა კი მათ ასობით ვითვლით!.. — სთქვა და გახარებულმა თვალი გადაავლო ქვევით თავმოყრილ კომკავშირელებს.

— შორს მოწუწუნეები, რომლებსაც მუხლები ეკვეცებათ სიძნელეების წინაშე! — აიმაღლა ხმა კუბრიცმა. — რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ზოგჯერ ჩვენს ამხანაგებს თავი ვერ აუწევიათ და თავიანთ ცხვირს იქით ველარაფერი დაუნახავთ!.. ვერ მიმხვდარან, რომ ყოველი ნაბიჯი გვიახლოვებს მიზანს, აადვილებს სიძნელეების გადალახვას. მათ აშინებს ჩვენი ზრდის დროებითი სიძნელეები... ეჭვი ეპარებათ... ობივატელური ჭაობი უფრო და უფრო ითრევს მათ და უფრო და უფრო ეფლობიან ისინი ამ ჭაობში. ასეთი კაცი ველარ ახერხებს ჭაობიდან ამოსვლას და ლეში ხდება... შორს ჩვენგან ასეთები!.. აბა გავწიოთ!.. სამუშაო გვიცდის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოედანი სოფლის საბჭოს წინ გაყრუებული იყო გუგუნით, სიცილით, წკრიალა ხმებით.

კომკავშირული ახალგაზრდობა საბურთაოდ მოემზადა. მოთამაშენი ორ პარტიად გაიყვნენ. ერთ პარტიას ბურთი უნდა გაეტანა ერთ მხარეს, მეორეს — მეორე მხარეს. შუაში იდგა ორი ყმაწვილი. ესენი იყვნენ პარტიების წარმომადგენელნი. ერთს ბურთი ზევით უნდა აეგდო, მეორე უნდა ცდილიყო ისე შემოეკრა ჯოხი, რომ ბურთი თავის პარტიისაკენ გადაეგდო.

გადასცეს ბურთი ერთერთ წარმომადგენელს. მეორემ ჯოხი მოიმარჯვა, ძარღვები დაიჭიმა და ბურთის ასროლის მოლოდინში თავი ასწია. ახალგაზრდობა სულგანაბული ელოდა.

უცბად პირველმა ხელები აიქნია ზევით, მაგრამ ბურთი არ აისროლა. მეორემ ცარიელი ჰაერი გააპო. გაისმა ხარხარი.

— აისროლე, აისროლე! ახლა ველარ მოატყუებ! — და ყველა მოემზადა, რომ საჭირო მომენტში სცემოდა ბურთს.

ბურთი ავარდა. ვერ მოასწრო ბურთის ამგდებმა ჯოხის მოქნევა, რომ მეორის ჯოხი ძალუმად მოხვდა ბურთს, რომელიც თავზე გადაევლო ახალგაზრდობას და შორს მინდორში დაეცა.

მოზღვავებული ახალგაზრდობა ყიჟინით და სტვენით დაედევნა ბურთს. ამან მიიზიდა მოხუცთა ყურადღება, რომელნიც მოშორებით ისხდენ და თავიანთ ახალგაზრდობას იგონებდენ.

უცბად ბრბოდან გამოძვრა ერთერთი კომკავშირელი და ისარივით გაქანდა თავის მიზნისაკენ.

— წავიდა! წავიდა! — დაიყვირა ვილაცამ.

დაედევნენ გაქცეულს. ატყდა ყვირილი, ხმაურობა, სტვენა... მაგრამ აი გამოეყო დანარჩენებს ერთი ფეხმარდი ახალგაზრდა, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა ბურთიანს. ამან უკან მიიხედა, დაინახა რომ ეწეოდენ, და უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა. მაგრამ მდევარი თანდათან ამოკლებდა მანძილს. აჰა უკვე მიეტანა. უცბად ბურთიანმა ჩაიკეცა, მდევარი დაეტაკა და ყირამალა გადაეშვა. ფეხზე წამომდგარმა ბურთიანმა კვლავ მოძუძგა.

ვილაც სხვამ გზა გადაუჭრა დაეტაკნენ ერთმანეთს, და დაიწყო ბრძოლა. მიირბინეს სხვებმაც. შემდეგ თამაშობით გახურებული ახალგაზრდობა კამათით და ყვირილით დაუბრუნდა პირვანდელ ადგილს და თამაშობა თავიდან დაიწყო.

ბურთი ხელახლა ავარდა. ჯოხები ასცდა ბურთს და ერთმანეთს დაეტაკა. ბურთი მიაწოდეს და იგი კვლავ ავარდა. ამ ჯერად ერთი ჯოხიანის შემოკვრისაგან ბურთი გაფრინდა იქითკენ, სადაც მოხუცები ისხდენ,

დავარდა ძირს და მათ ფეხებთან მიგორდა. ერთერთმა მოხუცმა, ნაბდიანმა, სტაცა ხელი და მოკურცხლა.

ატყდა ხარხარი. ახალგაზრდობა ნაბადს დაებღაუჭა, მოხუცმა გაიხსნა წინ შესაბნევი. ნაბადი ყმაწვილებს შერჩა ხელში, მოხუცმა კი კვლავ მოკურცხლა. ატყდა უფრო ხმამაღალი სიცილი, სტვენა, ყვირილი... მალე დაეწივნენ და შემოეხვივნენ მოხუცს.

— ეჰ, დადრაა! როცა ახალგაზრდა ვიყავი, კი არ მივრბოდი, მივფრინავდი... ახლა ფეხები კუნძებად გადამექცა... — გაიხუმრა და ბურთი გადასცა. მერე წამოისხა ნაბადი და მოხუცებთან მივიდა.

— რა ამბავია, კობზაჭ, სირბილი მოგინდა? ახალგაზრდა გინდა გახდე? — შეხვდნენ ისინი ხუმრობით.

— გული ჯერ კიდევ ახალგაზრდობს, ძვლები კი... მოუძლურდა!.. — მიუგო მან სიცილით.

სოფლის საბჭოს აივანზე კუჭირი გამოჩნდა.

— კომკავშირის აქტივის წევრებო! მოდით აქ! — დაიყვირა მან.

მაგრამ ბურთაობაში გართულმა კომკავშირელებმა ვერ გაიგონეს. მაშინ მან დაუსტვინა და კვლავ დაუძახა. რამდენიმე ახალგაზრდა გამოეყო და სოფლის საბჭოსაკენ გამოემართა.

ჩრდილში რამდენიმე მოხუცი იჯდა. ერთერთმა მათგანმა გესლიანად ჩაიცინა წვერში:

— ჩვენ გვიბარებენ... თითონ კი საქმეებს სწყვეტენ... რა საჭირო იყო ჩვენი მოსვლა?..

— მართალს ამბობ, მართალს! — დაუდასტურა კუპაჭმა, რომელიც იქვე ჯოხს თლიდა.

— კომუნისტები და კომკავშირელები გადაწყვეტენ საქმეებს, ჩვენ კი ისე... — დაიწყო ბალნიანი კისრის ფხანით მეორემ, მაგრამ გააწყვეტინეს:

— აბა რას ამბობთ?.. მერე, ვინ არიან ისინი? უცხოები? ჩვენივე შვილები არიან... თუ ჯერ ისინი შეიკრიბენ და საქმეებზე ლაპარაკობენ, ალბათ ასე უნდა...

— რას ამბობთ, რას? კი არ უნდა გვწყინდეს, უნდა გვიხაროდეს, რომ ჩვენი შვილები ჩვენზე უკეთესები არიან! სირცხვილია! — ჩაილაპარაკა ბოხი ხმით მფილდიმ, სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ.

მფილდი წელში გაჭიმული იჯდა. ერტყა რკინის მსხვილ მასრებიანი სარტყელი, რომლის სიგანეც ერთ მკლავს უდრიდა. იქ, სადაც სიტყვებით ვერაფერს აწყობდა, მფილდი თავისი ძლიერი ხმით ცდილობდა გასულიყო ფონს.

— სწორია, სწორი!.. მართალს ამბობ, მფილდი! — მოუწონა მფილდს აზრი ყველა დანარჩენმა. შერცხვენილი მობუზღუნეები ჩაჩუმდენ.

სეიდიყი ამდროს მოშორებით იდგა და რაღაცას ეჩურჩუჩლებოდა თავის შორეულ ნათესავს, სოფლის საბჭოს წევრს მისას. დღეს სეიდიყი ყვე-

ლაზე ადრე მოვიდა, მან უკვე გაიგო, რაზე იქნებოდა ლაპარაკი სოფლის საბჭოში. მისა ღარიბი გლეხი იყო, მაგრამ სეიდიყის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მოხერხებული, ჭკვიანი და გავლენიანი მოხუცის ავტორიტეტი იმორჩილებდა მას. და სეიდიყმა გადაწყვიტა გამოყენებინა მისა თავისი მიზნებისათვის.

— შენ, დად, ჩემი ნათესავი ხარ... და რატომ უნდა დაგიმალო ის, რაც გულს მიღრღნის უკანასკნელ დროს? — მიმართა მან მისას.

— რაშია საქმე, სეიდიყ?

— ბევრნაირად ავწონ-დავწონე, — განაგრძო სეიდიყმა, თითქოს ვერ გაიგონა მისას კითხვა: სანამ იტყოდა რამეს, უნდოდა გაეგო მისას აზრი კოლმეურნეობაზე. — არ ვიცი, დად, კარგი იქნება ჩვენთვის თუ ცუდი...

— რა, სეიდიყ? — გაიმეორა მისამ კითხვა.

— კოლმეურნეობა, დად, კოლმეურნეობა... — მიუგო სეიდიყმა და ღრმაზროვანად თავი გაიქნია.

— კოლმეურნეობა?

— ჰო, დად, კოლმეურნეობა... შენ ჭკვიანი კაცი ხარ... ეს საქმე ახალია... ერთბაშად... აუწონ-დაუწონლად... არ ვიცი, ივარგებს თუ არა...

— რა, განა აქ კოლმეურნეობა იქნება?

— ფიქრობენ.

— ნუ თუ? — გაიკვირვა მისამ.

— შენ, მისა, ჭკვიანი კაცი ხარ... ყველაფერში ერკვევი... მაშ არ მოგწონს კოლმეურნეობა?

— არა, სეიდიყ, არ მომწონს, — მიუგო დაუფიქრებლად მისამ, რაკი დაინახა, რომ სეიდიყი კოლმეურნეობის წინააღმდეგი იყო. თითონ მისა ნაკლებად ერკვეოდა ამ საკითხში.

— მეც მასე ვფიქრობ, დად... ჯერჯერობით საჭირო არ არის... მაგრამ, ხომ იცი, ბევრია სულელი, მყვირალა... ყველაფერი ერთბაშად უნდათ... შეიძლება სწორედ დღეს მოხდეს ასე...

— განა დღეს ლაპარაკი კოლმეურნეობაზე იქნება?

— იქნება, დად, იქნება... — და, გაიხსენა რა ყაზილბაკის სიტყვები, განაგრძო: — კოლმეურნეობა, დად, სიკვდილია ჩვენთვის!.. ბოლოს მოუღებს ჩვენს ადათებს... მამაპაპურ ჩვეულებებს... სულელს რას გააგებინებ?.. ჭკვიანი კაცი არ უნდა დათანხმდეს... გესმის, მისა?

— მერე რა, სეიდიყ, ვთქვათ, რომ არ გვინდა, მორჩა და გათავდა!.. — მიუგო მისამ და მარჯვენა ხელი გაიქნია.

— ეგ კი... მაგრამ ვინ იტყვის?

— ვინ და მე, შენ, მესამე... ჩვენ, სოფლის საბჭოს წევრები!

— შენ შეგიძლია სთქვა, მისა... რადგან ღარიბი გლეხი ხარ... სიაში სწორედ ასე ხარ შეტანილი... მე კი საშუალო გლეხად ვარ ჩაწერილი, ზურგმაგარ გლეხად... თუმცა რა გამაჩნია?.. ვცხოვრობ როგორც ყველა...

მაგრამ თუ ვიტყვი, ვინმე გამომედავება... არიან ბოროტი ადამიანები... საშუალო გლეხიდან კულაკამდე დიდი მანძილი არ არის... ნომ ასეა?

— მასეა, მაგრამ... — ჩაიცინა მისამ და გაიფიქრა: „რატომ უნდა ვილაპარაკო კოლმეურნეობის წინააღმდეგ? იქნება ცუდი რამ მოჰყვეს ამას!“ მაგრამ ამ აზრმა მხოლოდ გაუელვა თავში, და ანგარიშმიუცემლად სთქვა: — ვიტყვით, ვიტყვით!..

— აგერ სელიმიც, შენი მეზობელი, აქ არის, — განაგრძო სეიდიყმა. — იქნებ მოელაპარაკო მას... და ორიოდე სხვასაც... საქმისათვის უკეთესი იქნება... ახლა კი წავიდეთ! — და შეუერთდენ სოფლის საბჭოს წევრებს, რომელნიც ცაცხვის ქვეშ ისხდენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

ეგნატე ნინოშვილი — დიდი სოციალური რომანის ავტორი

I

პირველსავე დიდ ნაწარმოებში ე. ნინოშვილმა ის ყალბი თეორია დაარღვია, რომელსაც მრავალი წლების განმავლობაში ქადაგებდენ ჩვენი თავად-აზნაურობის მწერლები. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელნი ქართველ ხალხს გვიხატავდენ როგორც ერთ ოჯახს, სადაც ყველა კლასები თითქოს ჰარმონიულ ურთიერთობაში იმყოფებოდენ და სულდგმულობდენ, ერთი სოციალ-პოლიტიკური ინტერესებით. ამ თეორიის წარმომადგენლები ისტორიულ სინამდვილესაც კი ამახინჯებდენ. ისინი თავგამოდებით იცავდენ იმ მოსაზრებას, თითქოს ჩვენში ბატონ-ყმობა კი არა, მამა-შვილური დამოკიდებულება არსებულიყო, თითქოს აქ არ ყოფილიყო თავად-აზნაურობის მიერ ყმა-გლეხობის შევიწროება, დაჩაგვრა.

ამ კლასიურს, წმინდა თავად-აზნაურულ თეორიას საკმაო წარმომადგენლები ჰყავდა ჩვენს ლიტერატურაში. საკმარისია დავასახელოთ ალექსანდრე ორბელიანი, ვახ. ორბელიანი, რ. ერისთავი, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვ.

ყველაზე უფრო მკაფიოდ კლასობრივი ჰარმონიის თეორია გამოსთქვა ი. ჭავჭავაძემ. აი რას წერდა იგი:

„ჩვენს ენაში სიტყვაც კი არ მოიპოება იმის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა „сословие" ნიშნავს. ახლანდელი სიტყვა „წოდება" გუშინდელი სიტყვაა, ახლა შემოგვყავს ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის ვარგა სახმარებლად თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგის მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობით, ძველს კანონებშიაც და წერილებშიაც არსად არ შევხვედრივართ. იქნება ეს იმის მიზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველ ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს — არა, და ერთს ამით ეჩაგრნა მეორე".. (ტ. VIII, გვ. 56).

„წოდების შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკისა, ცილება, რომელიც უალრესი მიზეზი იყო დაუძინებელი განხეთქილებისა

სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომ არც ზნეობრივად, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაშორებია გლეხებს, არ შეუკეტია თავისი თავი საკუთარი ინტერესებით, არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან, ერთი სიტყვით არ განსაკუთრებულა ერთს წყობად, ერთს დასად" (იქვე გვ. 59—60).

ამ ისტორიულად შემცდარი თეორიიდან გამომდინარეობდა ი. ჭავჭავაძე თავისი ცნობილი „ხმალისა და გუთნის" ფორმულის ჩამოყალიბებისას. ეს საერთო თეორეტიული ხასიათის დებულება ილიას მხატვრულ შემოქმედებაშიც გადაჰქონდა.

ე. ნინოშვილმა გაბედულად ნათელჰყო ამ თეორიის ნამდვილი ბუნება, მისი კლასიური საფუძველი და შინაარსი. ეს მან უპირველეს ყოვლისა მოიმოქმედა თავის ადრინდელ, მაგრამ საუკეთესო ნაწარმოებში „ჯანყი გურიაში". ეს რომანი ეგნატემ დროგამოშვებითი მუშაობით დასწერა 1888 — 1889 წ. წ.

„ჯანყი გურიაში" პრობლემათა აქტუალობით ყველაზე დიდი სოციალური რომანია ქართულ ლიტერატურაში. ამ პირველ სერიოზულ ნაწარმოებში ე. ნინოშვილმა უკვე მოგვცა ის მოტივები, ის მსოფლმხედველობა, რომელიც მან შემდეგ სხვა ნაწარმოებებში უფრო გააღრმავა და გააფართოვა.

„ჯანყი გურიაში" უკვე საკმაოდ მკაფიოდ არის გატარებული ნინოშვილის რევოლუციური შეხედულებები. ამ რომანში პირველად ეხედავთ მშრომელი მასის მოძრაობის ნამდვილ სურათს. აქ მთელი სიმართლით, რეალობით არის გამოხატული შევიწროებულ, დაჩაგრულ ხალხის ბრძოლის ეპოპეია. ამ ხალხს უკვე შეუგნია აუტანლობა იმ მდგომარეობისა, რომელშიაც ისინი არიან ჩაყენებული და რომ მხოლოდ იარაღით შეიძლება უკეთესი ცხოვრების მოპოება.

ე. ნინოშვილმა ისტორიული მასალების მიხედვით შექმნა „ჯანყი გურიაში". გასული საუკუნის ორმოციანი წლებში გურიაში მომხდარი რეალური ფაქტები უდევს საფუძვლად რომანს. ე. ნინოშვილი საერთოდ ნაწარმოებში არ სცილდება ისტორიულ სინამდვილის ფარგლებს, მაგრამ შინაარსის მიხედვით მას ამძაფრებს და მკვეთრ სოციალ-კლასობრივი ბრძოლის ფონზე იძლევა. ეგნატემ ეს რომანი ჩაგრულ გლეხობის მიერ მემამულეთა და ბიუროკრატიულ აპარატის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე ააგო. სწორედ ეს არის დამახასიათებელი, არსებითი მხარე ეგნატეს რომანისა.

1841 წლის ისტორიული მოვლენები ე. ნინოშვილმა ამ მოძრაობაში მომქმედ კლასების და წრეების ფონზე გაშალა.

II

მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში გურია მთლიანად ასოფლო-სამეურნეო ქვეყანას წარმოადგენდა. გლეხობის საქმიანობა-მეურნეობა დარგი სოფლის მეურნეობა იყო.

გლეხობის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ყმების რიცხვი გურიაში, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, გაცილებით მეტი იყო (საერთო მცხოვრებთა 68 პროც.). მათ მთელი სიმძიმით აწვა მებატონეთა ჩაგვრა-შევიწროება. თითოეული გლეხი ვალდებული იყო მებატონისთვის შინა-ყმა მიეცა და ამავე დროს მრავალი სახის ნატურალურ-ფულადი ბეგარა გადაეხადა.

გურიის თავად-აზნაურები მხოლოდ ყმა-გლეხების შრომით ცხოვრობდენ. თვითონ პირადათ არავითარ მეურნეობას არ მისდევდენ. ყმების ექსპლოატაცია გურიაში განსაკუთრებით სასტიკი და მძიმე იყო. ყმის ცხოვრების ყოველი მომენტი ბატონის სრულ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

გურიის თავად-აზნაურებში განსაკუთრებით იყო გავრცელებული ყმების გაყიდვა. იშვიათი იყო ისეთი თავადი, ან აზნაური, რომელიც ყმების გაყიდვას არ აწარმოებდა.

ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც აუტანელ მდგომარეობაში მყოფი ყმები ჰკლავდენ თავიანთ მებატონეებს, უწვავდენ მათ სახლკარს, აჭარაში გარბოდენ და იქ მაჰმადიანობას ღებულობდენ.

40-იან წლებში გურიაში უკვე ვითარდება სავაჭრო-ფულადი ურთიერთობა, იზრდება ვაზრები, სოფლის მეურნეობა სასაქონლო ხდება.

ფულადი ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვია თავად-აზნაურთა მოთხოვნილებების ზრდა. ბაზარზე ჩნდება ფუფუნება-განცხრომის საგნები, რომელთა შესაძენად საჭირო იყო ფული. თავად-აზნაურებისათვის ფულის შოვნის მთავარ წყაროს წარმოადგენდა ყმების გაძლიერებული ექსპლოატაცია, ნატურალური გადასახადის გადიდება და მისი შენაცვლება ფულადი გამოსაღებით.

გლეხობას ექსპლოატაციას უწევდა არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ თვითმპყრობელური სახელმწიფოც მრავალგვარი ფულადი გადასახადებით თუ ვალდებულებებით.

გლეხთა უკიდურესი ექსპლოატაცია თავად-აზნაურთაგან და თვითმპყრობელურ სახელმწიფოსაგან ხელს უწყობდა გლეხთა წვრილი მეურნეობის გაპარტახებას და განადგურებას, რაც 40—50-იან წლებში გურიაში ფართე ხასიათს ატარებდა.

III

გურიის 1841 წლის აჯანყება, რომელიც რამდენიმე თვეს გაგრძელდა, მასიური მოძრაობა იყო. ეს აჯანყება თავისი შინაარსით არსებითად სხვა ხასიათისა იყო, ვიდრე ყველა ის აჯანყებანი, რომელსაც ადგილი

ჰქონდა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის დასწყისში. გურიის აჯანყების მონაწილეთა, მისი ხელმძღვანელობის სოციალური შემადგენლობა და თვითონ აჯანყების პროგრამა მისი განვითარების მანძილზე ... ურთიერთობა რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენში მომხდარ სხვა აჯანყებებს.

რა მიზეზებმა გამოიწვია გურიის 1841 წლის აჯანყება?

როდესაც 1841 წ. გურიის აჯანყებაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ ყველას მის უმთავრეს მიზეზად ხუთი შაურის გადასახადის შემოღება მიაჩნია. მაგრამ სინამდვილეში ეს გადასახადი გაცილებით უფრო მძიმე იყო. გარდა იმისა, რომ გადასახადი ხუთშაურს აღემატებოდა, იგი მთელ მოსახლეობას უნდა გამოეღო, რაც ყოვლად შეუძლებელი იყო ისედაც გაღარიბებულ გლეხობისათვის. მაგრამ საქმე მარტო გადასახადს არ შეეხებოდა. გლეხობა დიდად უკმაყოფილო იყო აგრეთვე თავად-აზნაურობის და სამღვდელოებისაც.

თავად-აზნაურობის მცირე ნაწილის დაახლოვება პირველ პერიოდში ამ აჯანყებასთან გარკვეულ კლასიურ ინტერესებისაგან გამომდინარეობდა. თავად-აზნაურებს სურდათ, რომ გლეხების ექსპლოატაციაში მონაწილე არ ჰყოლოდათ. ასეთ მონაწილეს გლეხების ექსპლოატაციის საქმეში კი მაშინ თვითმპყრობელურ რუსეთის ბიუროკრატიული აპარატი წარმოადგენდა. ხაზინის სასარგებლოდ ყმა-გლეხების დატვირთვა უკმაყოფილებას იწვევდა თავად-აზნაურობაში იმიტომ, რომ გლეხობა ველარ ახერხებდა მებატონეთა გაზრდილ ვალდებულებათა შესრულებას.

გურიის 1841 წ. აჯანყებაში, როგორც ეს უკვე ზევით აღვნიშნეთ, პირველ ხანებში თავად-აზნაურების ნაწილიც ღებულობდა მონაწილეობას. მაგრამ თავის განვითარებაში აჯანყება თანდათან იწმინდება და მკვეთრ კლასიურ სახეს ღებულობს. აჯანყებულ გლეხობას ერთის მხრივ სურდა გაერეკა თვითმპყრობელურ რუსეთის აგენტები, ვინაიდან მათ შემოიტანეს გურიაში ახალი ჩაგვრა, უცხო და გაუგებარი ადმინისტრატიული აპარატი, თვითნებობა, ბიუროკრატიზმი, მრავალგვარი ვალდებულება და სხვ., ხოლო მეორე მხრივ მათ სურდათ ბატონ-ყმობის მოსპობა, ადამიანთა ექსპლოატაციის ამ უსაზიზღრესი ფორმის გადაგდება. აჯანყების განვითარების პროცესში თანდათან პირველ პლანზე მეორე მომენტი გამოდის — თავად-აზნაურთა ბატონობის თავიდან მოშორება. აქ კი თავად-აზნაურობამ, რომელსაც სურდა ეს აჯანყება გამოეყენებია რუსების გასარეკავად და გურიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, თავიანთი დაკარგული შეუზღუდავი ბატონობის დასაბრუნებლად, ისევ თვითმპყრობელურ რუსეთს შეაფარა თავი და იმასთან ერთად დაიწყო ბრძოლა ბატონ-ყმობასთან მებრძოლი გლეხობის წინააღმდეგ.

გურიის 1841 წ. აჯანყება მაშინ მოხდა, როდესაც ბატონ-ყმობამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, რომელიც უკვე წინააღმდეგობაში მოექცა საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესის ინტერესებს და დაცემის გზაზე დაექანა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, დაჩაგრულ კლასს მით უფრო მძიმედ უნდა ეგრძნო ამ წოდების ექსპლოატაცია. მომაკვდავ

საზოგადოებრივ კლასების გახრწნის და დაცემის ეპოქა ყოველთვის ხასიათდება გაბატონებულ კლასების გადაგვარებით და სრული პარაზიტიზმით. 40—50-იან წლებში ჩვენში უკვე ნათლად მოსჩანდა თავად-აზნაურთა დაცემა, ბატონყმური წყობილების ნგრევის პროცესი.

ყმა-გლეხებში იზრდება იმის შეგნება, რომ მათ თავიდან უნდა მოეშორებინათ პარაზიტ-თავად-აზნაურობის ბატონობა. გლეხები აწყობენ აჯანყებებს, რომლებიც მიმართული იყო ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. ამ აჯანყებებში ხშირად რამდენიმე ათასი გლეხი იღებდა მონაწილეობას. ამ აჯანყებებს მთავრობა ყოველთვის აქრობდა სამხედრო ძალით, ეგზეკუციებით და ციმბირში გადასახლებით.

დაქსაქსულ გლეხთა აჯანყებებს არ შეეძლოთ გადაზრდილიყვნენ რევოლუციაში, ვინაიდან ქალაქებში ჯერ კიდევ არ იყო დარაზმული თვითონ რევოლუციონური კლასი, რომელიც გააერთიანებდა და უხელმძღვანელებდა გლეხებს. ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე კი გლეხების ბრძოლა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ღებულობდა ცალკეულ აჯანყების ხასიათს, რომელიც მიმართული იყო თავისი უშუალო მჩაგვრელის — მემამულის და არა მთლიანად მთელი სისტემის წინააღმდეგ. უკეთეს შემთხვევაში ეს ბრძოლა ღებულობდა ჟაკერიის და პუგაჩოვშჩინის ხასიათს.

IV

არ შეიძლება სადაოდ ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გურიის 1841 წლის აჯანყების ნამდვილი ხელმძღვანელები თვითონ ღარიბ გლეხთა წრიდან გამოსული პირები იყვნენ, რომ ამ აჯანყების მამოძრავებელ ძალას მთლიანად გლეხობა წარმოადგენდა. თავად-აზნაურთაგან ამ აჯანყებას მხოლოდ რამდენიმე პირი თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა. მთლიანად კი თავად-აზნაურობის როლს ამ აჯანყების დროს კარგად ახასიათებს გენერალი გოლოვინი, რომელიც სწერდა, რომ ეს „კლასი თავისი მოვალეობის ერთგული დარჩა და გაგზავნილ ჯართან ერთად ხელს უწყობდა ჯერ ამბოხების დაწყნარებას, შემდეგ კი მეთაურთა დაჭერას“.

მიუხედავად გლეხობის თავგანწირვისა, აჯანყება მაინც დამარცხებით დასრულდა.

რა სახით გამოიყენა ნინოშვილმა ეს აჯანყება თავის რომანში?

ე. ნინოშვილი „ჯანყი გურიაში“ უსათუოდ იცავს ისტორიულ სინამდვლეს. მან „ჯანყი გურიაში“ ფაქტიურ მასალაზე ააგო. რომანის მოქმედ პირების უმეტესობა ისტორიულად ცნობილი პირები არიან (ა. შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დ ა დ ი ა ნ ი, თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე, ბ რ უ ს ი ლ ო ვ ი, თ ო ი ძ ე და სხვ.), აჯანყების განვითარების ქრონიკაც სინამდვილეს შეეფერება. რომანში ისტორიული სინამდვილე მარტო ფონს არ წარმოადენს.

როგორც სჩანს ე. ნინოშვილს 1841 წლის გურიის აჯანყების მასალები სრულად ჰქონია, ეს მასალები მას კარგად შეუსწავლია და მის საფუძველზე შეუქმნია „ჯანყი გურიაში“.

გარდა ისტორიული ფაქტების სისწორისა, ე. ნინოშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ისტორიულად მომქმედი კლასების როლს. რომანში მკვეთრად არის მოცემული ერთის მხრით ყმა-გლეხობა და მეორეს მხრით — თავად-აზნაურობა, მემამულეები. ნინოშვილი უყურადღებოდ არ სტოვებს პოლიციურ-ბიუროკრატულ აპარატის წარმომადგენლებს და მათ საქმიანობას.

რომანის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს კლასობრივ ბრძოლის ჩვენება გურიის ისტორიის გარკვეულ პერიოდში... პირველ პლანზე წამოწეულია სოციალური მომენტი. ბრძოლა რუსების განდევნისათვის რომანის განვითარების პირველ მომენტიდანვე სულ სხვა შინაარსში გადადის. ეს აჯანყება თავიდანვე გარკვეულ კალაპოტში ყალიბდება, რომლის ამოცანაც მდგომარეობდა ბატონყმურ ურთიერთობის მოსპობაში.

აჯანყების პირველ ხანებში გლეხობას გარკვეული, ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა არ ჰქონია. პირველად მათი აღელვების საბაბად გადაიქცა რუსეთის მთავრობის განცხადება, რომ ხაზინას ყოველწლიურად კომლზე ფული უნდა აძლიოთო. ამ გარემოებით მოხერხებულად ისარგებლეს მემამულეებმა და მათმა მოკავშირე ქობულეთელმა ჰასან-ბეგ თავდგირიძემ და ისედაც განწირული გლეხობა ააღელვეს. მაგრამ მოძრაობა თანდათან ფართოვდება, მისი პროგრამა შემდეგში ღრმავდება. მცირეოდენი ნაწილის გარდა ყველამ იცოდა, რომ მათი აჯანყების მიზანი ბატონყმობის მოსპობა და ახალ გადასახადზე უარის თქმა იყო.

გურულ გლეხთა ეს პირველი მასიური მოძრაობა ვიწრო შინაარსიდან თანდათან გაიზარდა ფართო რევოლუციურ ბრძოლად, რომელიც მიმართული იყო მთელი სოციალური სისტემის — ბატონყმობის წინააღმდეგ.

გურული გლეხობა შევიწროებული იყო როგორც მემამულეთა მიერ, ისევე სამღვდელოებისა და პოლიტიკურ-ბიუროკრატიული მართველობის მიერ. ამიტომაც იყო სწორედ, რომ გლეხთა მოძრაობა მთელი თავისი სიძლიერით მიიმართა ყველა ამ ძალების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, პირველ ხანებში მემამულენი ცდილობდენ გამოეყენებიათ თავიანთი ინტერესებისათვის გლეხთა მოძრაობა. მაგრამ როდესაც გლეხთა ბრძოლა ბატონ-ყმურ წყობილების წინააღმდეგ, მემამულეთა განუსაზღვრელი უფლებიანობის მოსპობისაკენ მიიმართა, მემამულეებმა გეზი შესცვალეს და თვითმპყრობელობას ამოუდგენ გვერდში, ვინაიდან ეს აუცილებელი იყო მათი კლასობრივი ინტერესებისათვის. ამ მომენტს ე. ნინოშვილი საკმაოდ მკაფიოდ უსვამს ხაზს რომანში

ე. ნინოშვილი მოვლენებს, ისტორიის, ისტორიული ეპიზოდების და არსებული ქრონიკის მიხედვით ანვითარებს. ძირითადში მას არ სჭირდებოდა ისტორიულ ფიგურებისთვის რაიმე ახალი ყოფითი ელემენტის ან ნიშნის მიმატება, რომელიც იყოს მხოლოდ მხატვრული „გამოგონება“. ამავე დროს ე. ნინოშვილი არ გამოდის ცივი მთხრობელის, მეთვალყურის როლში, არამედ იძლევა გამახვილებულ კლასიურ შეფასებას, მკვეთრ კოლიზიას. მისთვის გურიის 1841 წლის აჯანყება პოლიტიკური არგუმენტე-

ბის გამოულეველი არსენალია. ეგნატე უპირველეს ყოვლისა, იყო რევოლუციონერი და სწორედ ამ თვალთახედვით აინტერესებდა ეს მოძრაობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

„ჯანყი გურიაში“ ძირითად ხაზს წარმოადგენს სოციალურ-კლასობრივი კოლიზიის ჩვენება. აჯანყების მსვლელობაში სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან სხვადასხვა სოციალური ფენები, რომელთა შეჯახებაც მკვეთრს კლასობრივ სახეს ატარებს.

თავად-აზნაურობის ნაწილს, რომელიც ასე თუ ისე მონაწილეობას ღებულობდა აჯანყებაში, თავისი განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა. ეს მიზანი არ ეთანხმებოდა გლეხობის ინტერესებს. თავად-აზნაურობის ამ ნაწილს ეკუთვნოდა გაიძვერა აზნაური ი ვ ა ნ ე; ამ უკანასკნელის სიტყვები საერთოდ კარგად ახასიათებს თავად-აზნაურების როლს და მის ამოცანებს აჯანყებაში. ივანე თავის შინა-ყმა კოზიას მიმართავს:

— „... მარა ხომ გაგიგონია შენ, აბდალავ, ამღვრეულ წყალში თევზი უფრო დაიჭირებაო. ქვეყანა პაწას ეირ-დეირევა და ჩვენც რამეს გამოვღლეტთ. აგი მე თვითონაც ასჯერ მიფიქრია, მერე კიდევ მე კაი ჩინოვნიკი კაციდანაც გამიგონია: ქვეყანა თუ დაწყნარდა და დაჭკუიანდა, ბატონები შიმშილით მოკვტებაო“...

როგორც ვხედავთ, თავად-აზნაურობის იმ ნაწილს, რომელიც პირველ ხანებში აჯანყებასთან იყო, თავისი გარკვეული მიზნები ჰქონდა, მათ უნდოდათ აჯანყებული გლეხობა თავის საქმისთვის გამოეყენებიათ. მაგრამ გლეხობა, მისი ხელმძღვანელები შედარებით ჯანსაღად, შეგნებულად უყურებდენ თავად-აზნაურობის საქმიანობას აჯანყებაში. ამდენადვე ამ აჯანყებას არსებითად ამოძრავებდა და ხელმძღვანელობდა ისევ გლეხობა, მისი წრიდან გამოსული პირები (ბ ე ს ი ა და სხვ.). ამავე აზნაურ ივანეს სიტყვები სწორედ ამას ამტკიცებს:

— „წამო კოზიავ ჩემთან. ხედავ ამ ყურუმსაღა ბესიას თავის ჭკუაზე მიჰყავს თემი“...

— „ხედავ, კოზიავ, შებრუნდა დროი, აზნაურები ყაზახების ჭკუაზე ვიარებით“...

ივანეს ამ სიტყვებს აზნაური სიმონა, რომელიც აჯანყებულ გლეხების მხარეზეა, უპასუხებს:

— „რა ვუყოთ, ივანე, დღეს ჩვენ კრებაში ყაზახები უფრო ბევრი არიან, ჩვენ სულ მცირე, ჯობია, რომ დაუჯეროთ“...

ივანე კრებაზე ცდილობს დაარწმუნოს გლეხობა, რომ მათ არ იფიქრონ ბატონ-ყმობის უარყოფა. მაგრამ აჯანყებული გლეხობა გლეხ ბესიას უფრო უჯერებს და ენდობა, ვიდრე ივანეს.

„ჯანყი გურიაში“ ე. ნინოშვილმა გამოიყვანა ერთი მეტად საინტერესო პიროვნება — გ ი ო რ გ ი. იგი უნივერსიტეტში კურსდამთავრებული და რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენტია.

გიორგის სამოქმედო პროგრამა ნათელია. იგი მთლიანად თანაუგრძნობს გლეხობას, მისთვის გლეხობის მხოლოდ საერთო ინტერესები არსებობს. გიორგი მთელ სამოქმედო პროგრამას აძლევს გლეხობას:

— „ნამდვილი გაუმჯობესება გლეხობის მდგომარეობისა ხელოვნურად მაშინ იქნება, როდესაც ბატონ-ყმობა მოისპობა. მაგრამ ამასთან ერთად უნდა ვთქვათ, რომ მონობის მოსპობაზე თვითონ გლეხობამაც უნდა ამოიღოს ხმა, რადგანაც აგეთი დიდი ცვლილების მოხდენა თვითონ ერს ეკუთვნის სამოქმედოთ და არა მეფეს, გინდა ხელმწიფეს“...

გიორგის კარგად აქვს გათვალისწინებული ის გზა, რომლითაც უნდა წარიმართოს აჯანყებულ გლეხობის ბრძოლა. გიორგი გლეხთა ამ აჯანყებას გარკვეულ კლასიურ ამოცანებს უსახავს. მისი მიზანია, რომ გლეხობამ უპირველეს ყოვლისა თავისი იარაღი მჩაგვრელ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ მიმართოს. გიორგი მოვლენებს საღად და პირდაპირ უყურებს. მისთვის ნათელია, რომ ამ აჯანყებაში ერთმანეთის პირდაპირ უნდა დადგენ კლასები. გიორგი ეუბნება აჯანყებულ დელეგატებს, რომ გარდა რუსეთისა დღეს ბატონ-ყმობა არც ერთ სახელმწიფოში აღარ არსებობსო. ბატონ-ყმობის წინააღმდეგ საჭიროა შეერთებული ბრძოლა, კუთხური აჯანყება საქმეს ვერ უშველის, ჩვენი გლეხობა უნდა დაუკავშირდეს რუსების გლეხობას და ერთად იბრძოლონ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. გ ი ო რ გ ი ს სიტყვებში საღი რევოლუციური აზრებია. აი რა დარიგებას აძლევს გიორგი აჯანყებულ გლეხების დელეგატებს: „გლეხიკაცი ცუდ მდგომარეობაშია, ცალკე თავად-აზნაურობა იძსახურებს და ცალკე მთავრობა. არც ერთ რიგიან სახელმწიფოში, გარდა რუსეთისა, ბატონ-ყმობა არ არსებობს. მაგრამ... ადრე თუ გვიან... რუსეთში მიენიჭება გლეხებს თავისუფლება... მაშინ ჩვენ გლეხებსაც ეშველება და გადაეღება კისრიდან მონობის უღელი... ჩვენი გლეხკაცობა უნდა იყვეს შემყურე რუსეთისა და უნდა მოელოდეს იმავე ბედს, რასაც რუსეთის გლეხკაცობა. ვინიცობაა რუსეთის გლეხკაცობამ ნებაყოფილობით ვერა რა გამოიტანოს და აჯანყდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხკაცობაც ვერ დარჩება გულხელდაკრეფილი, მიხედავს რუსეთის მაგალითს და იომებს თავისუფლების მოსაპოებლათ“...

გიორგისთვის არ არის უცნობი რევოლუციური ბრძოლის გზაც. მან კარგად იცის, რომ მშრომელთა გასანთავისუფლებლად სხვა საშუალება არ არსებობს:

— „თუ კანონი და დაწესებულება მოსაწონი და საკეთილო არ არის, გლეხკაცებს შეუძლიათ იმისი უარყოფა და შეცვლა... მძლავრი და საშიშია, როცა ამოდენა ხალხი ხმას ამოიღებს, ხელს გაანძრევს. ვაი მათ, ვისაც იმათთვის უსამართლობა რამ უყვიათ! მოკითხვენ ძველს და ახალს ცოდვებს, მწარეთ მოანანებენ ყველა დანაშაულს“...

გიორგი აჯანყების დაწყნარებას კი არ ცდილობს, არამედ მას ბიძგსაც აძლევს თავისი რჩევა-დარიგებით, მოფიქრებული, ორგანიზებული მითითებით. გიორგიმ კარგად იცის, რომ გამოუცდელ გლეხთა მასებისათვის

ძნელია ბრძოლის წარმოება. ის ცდილობდა შეეცვალა აჯანყების მიმართულება, ე. ი. გლეხებს რუსების განდევნაზე უარი ეთქვათ და მხოლოდ ბატონ-ყმობაზე და გადასახადის შემცირებაზე ეზრუნათ.

გიორგის სოციალური პროგრამა მკაფიოდ არის გამოთქმული: ...„ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ ჯანყის მიზანი შესცვალოს, ეს ჩვენმა ხალხმა რუსებს კი არ გაუწიოს წინააღმდეგობა, არამედ მონობას, ანუ ბატონ-ყმობას. დიახ, გლეხკაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა ქონდეს მიზნათ აჯანყებას და არა რუსების განდევნა. მართალია, გაუნათლებელი, გლეხკაცის შრომით ცხოვრებას დაჩვეული თავად-აზნაურობა, დიდ წინააღმდეგობას გაუწევს ამ აზრს! იმათი ლტოლვილება ის არის, რომ ჩვენი ქვეყნიდან განდევნონ რუსები და შემდეგ წინანდებურად გაამთავრონ რომელიმე არამზადა, ხალხის შრომით გასუქებული თავადი, რომელიც თავის დღეში მონობის ქვეშ დაიღებს გლეხკაცობას, რომ ამით მოიგოს თავისი ბოძის, თავადაზნაურობის გული. დიაღ, ეს არის ჩვენი... თავად-აზნაურობის ლტოლვილება, მაგრამ ამას ადვილად მოეჭირება კბილი. საჭიროა მხოლოდ ხალხს ჩააგონოს კაცმა ჩვენი თავად-აზნაურობის ამგვარ მოქმედებას და გაგლეჯენ დიდი ხიდან გაჭედილს, გლეხკაცობის ყელზე მოხვეულ ჯაჭვს“.

აჯანყებული გლეხები ხედავენ, რომ გიორგი მათი თანამგრძნობია, თანამოზიარე და დამხმარე. აჯანყებულები სანამ აქტიურ ბრძოლას დაიწყებენ, რჩევა-დარიგებისათვის სწორედ გიორგის მიმართავენ. ეს უკანასკნელიც მათ საქმიან დარიგებას აძლევს. გლეხობისათვის გიორგის რჩევა-დარიგება სრულიად მისაღებია, მხოლოდ გაიძვერა და ავანტურისტ აზნაურ ივანეს არ მოსწონს მისი სიტყვები. ეს სრულიად გასაგებია და ბუნებრივი მოვლენაა. აზნაურ ივანესთანა ტიპებს ეს აჯანყება სულ სხვა მიზნისთვის თავის ბნელი საქმეებისთვის უნდათ. მაგრამ აჯანყების მსვლელობაში თავის მიზანს ვერ აღწევენ.

გიორგის სამოქმედო პროგრამა არ არის ვიწრო, შემოფარგლული. მას ფართე იდეალები აქვს. იგი გლეხობის განთავისუფლებას მოითხოვს ბატონყმობის მძიმე უღლისაგან. ამავე დროს იგი გარკვეულ სახელმწიფოებრივ სისტემის დამცველად გამოდის. გიორგი მომხრეა რესპუბლიკანური წყობილების. იგი ამას მკაფიოდ გამოსთქვამს შალიკაშვილთან საუბრის დროს.

გიორგის მოსაზრებას მთლიანად ეთანხმება გლეხი ბესია. ამ უკანასკნელის აზრითაც ბატონ-ყმობა დიდ უბედურებას წარმოადგენს გლეხობისთვის. აუცილებელია მისი მოსპობა. ამისათვის კი შეუნელებელი ბრძოლაა საჭირო.

გიორგის დახასიათებისას სრულიად ბუნებრივად ისმის ჩვენს წინაშე საკითხი, შეიძლებოდა თუ არა მაშინდელ გურიის ისტორიულ სინამდვილეში არსებულიყო გიორგისთანა პიროვნება? გადაჭრით უნდა ითქვას, არა! ე. ნინოშვილმა გიორგის სახით მოგვცა ისტორიულ ასპეკტში გადატეხილი თავისი შეხედულებანი. ეს გარემოება სწორად იყო აღნიშნული

ფ. მახარაძის მიერ. „ეს გიორგი გამოყვანილია რევოლუციონერად და სოციალისტადაც. მე პირადად საეჭვოდ მეჩვენება, რომ ასეთი პიროვნება მართლა ყოფილიყო იმ დროს გურიაში. შესაძლებელია, რამდენიმედ ამის მსგავსი ყოფილიყო, უფრო მართალი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ გიორგის პირით აქ ლაპარაკობს თვით ავტორი, ე. ი. ნინოშვილი“ ეს მოსაზრება, ჩვენის აზრით, მართალია.

გლეხი ბესია აშკარად გამოდის ყოველგვარი მონობისა და უპირველესად ბატონ-ყმობის წინააღმდეგ.

— „რავა გაბედე ბატონის წინააღმდეგობაო! რავა გავბედე რას მიქვია! დიდი საქმეა? იგი არა, ღმერთიც რომ იარებოდეს ფეხდაფეხ, თუ არ დამიჯდა, იმასაც კი გაუბედავ, თვარა კაცის რავა შემეშინდება! — უპასუხებს ბესია თავის შეყვარებულ ქალს.

— „რაც თავს მოვესწარი, მერე ბატონს ჩვენი ოჯახიდან არც შინა-ყმა გაუყვანია და არც რაი, — ეუბნება ბესია იმასვე.

გიორგისთან დაახლოვებამ უფრო მეტად გააფართოვა ბესიას შეგნება, მებრძოლი ბუნება. ამის შემდეგ ის უფრო იგებს თავის კლასობრივ ინტერესებს. სხვა ამხანაგებთან ერთად გლეხებში ეწევა აგიტაციას ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. თვითონ პირადად შედარებით თავისუფალია ბატონყმურ ურთიერთობისაგან. მისი ოჯახიდან მის შემდეგ რაც ის თავს მოესწრო, ბატონს არც შინა-ყმა გაუყვანია და არც სხვა ვალდებულება მიუღია.

დამახასიათებელია ბესიას გამოსვლა აჯანყებულთა შეკრებაზე. ბესია გლეხებს უხსნის თუ როგორ უნდა იმოქმედონ მათ, ვის წინააღმდეგ იბრძოლონ, ვის უნდა დაუპირისპირონ თავიანთი კლასობრივი ინტერესები. ბესია მოუწოდებს აჯანყებულ გლეხებს, რომ არ ენდონ მებატონეებს და მის აგენტებს. გლეხობისათვის გულშემატკივარია გიორგისთანა პირები, რომელთა რჩევასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. როცა ამ უკანასკნელს ივანე ცუდათ იხსენებს, მაშინ ბესია უხსნის ხალხს საქმის ვითარებას და ამავე დროს გარკვეულად სვამს საკითხს ბატონების წინააღმდეგ ბრძოლაზე:

— „...გიორგიმ გვილალატაო კიდევ, რომ ბრძანებს ივანე, იმიზაა, რომ გიორგი ჩვენს მხარეზეა, ყაზახების მწუხარებას ჩივა, უნდა რამე საშველი მოგვცეს მებატონე არ გვჭამდეს. ამის გულიზა ლანძღავს მას ივანე.

— „ღმერთმა უშველოს ჩვენი შებრალებიზა. ქრისტიანი იგი ყოფილა“ დაიძახა რამდენიმე კაცმა ხალხში...

— „...მშვიდობით მათო ბატონობავ. ეყოფიან რაც აქამდის ყვატყუილეს და გვჭამეს. დღეს გათავდა, დაემხო მათი ბატონობა.

— „დეიმფხო, დეიმფხო, აღარ გვყავს ბატონი და აღარც გვინდა, დაიგრიალა ხალხმა.

გაიძვერა ივანე ხედავს, რომ მისი პროვოკაცია არ გადის. არავინ უსმენს მას, რომ აჯანყება სულ სხვა ხასიათს ღებულობს, რომ გლეხობა უპირველეს ყოვლისა ბატონის წინააღმდეგ ილაშქრებს. ივანე სცდი-

ლობს შეებრძოლოს, იგი სცდილობს აჯანყებულ გლეხებს დაუმტკიცოს, რომ ბატონები მათი მამებია, ძმებია, რომ ბატონ-ყმობის უბრალოფა არ შეიძლება, მაგრამ აჯანყებულები სულ სხვა გვარად ფიქრობენ. ისინი ერთხმად უპასუხებენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „არ იქნება ივანე, ტყვილაი ჩივი, გათავდა დღეს ბატონობა".

— „დიდი სისხლი მოყვება, არ ივარგებს".

— „მოჰყვეს, მოჰყვეს, ეს გვწყურია ჩვენც".

ბესია აჯანყებულ გლეხების მეთაურია. გლეხები მას უჯერებენ, ენდობიან. ბესია გლეხების ნამდვილი ხელმძღვანელია. მან არ იცის დაღლა და უკან დახევა. იგი ყოველთვის იქ გამოჩნდება, სადაც მეტი თავგანწირვა და ბრძოლაა საჭირო. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ბესია აჯანყებულ გლეხობის კლასობრივი ინტერესების სადარაჯოზე სდგას და იქვე იღუპება.

გიორგი და ბესია წარმოადგენს „ჯანყი გურიაში"-ს მთავარ მომქმედს, მეტად საინტერესო გმირებს. მათ გარდა რომანში გამოყვანილია მთელი წყება დამახასიათებელ პირებისა. თითოეული მათგანი გარკვეულ სოციალურ წრის, მდგომარეობის და მისწრაფების გამომხატველია. თითოეულ მათგანს თავისი მკაფიო ინდივიდუალური გამოხატულება აქვს.

VI

ასეთია ამ მეტად მნიშვნელოვანი სოციალური რომანის საერთო სახე. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ რომანში ე. ნინოშვილმა ისე მოგვცა ეპოქის არსებითი შინაარსი, როგორც ვერც ერთმა მწერალმა ვერ შესძლო.

„ჯანყი გურიაში" ეგნატეს სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. იგი სრულად მხოლოდ ეგნატეს გარდაცვალების ათი წლის თავზედ იქნა გამოქვეყნებული.

როდესაც 1902 წლის დასაწყისიდან „კვალი" შეუდგა „სამწუხარო შედეგი"-ს ბეჭდვას, დაიბეჭდა მხოლოდ ხუთი პირველი თავი, შემდეგ კი რომანის ბეჭდვა აუკრძალავს ცენზურას.

ეს გარემოება გასაგებიც არის. „სამწუხარო შედეგი" თვითმპყრობელობისთვის დიდ საფრთხობელას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამ საუკეთესო ნაწარმოებს გვერდს უვლიდენ, არ აქცევდენ სათანადო ყურადღებას კრიტიკაში. ბურჟუაზიულ, თავად-აზნაურულ და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მკვლევართა და კრიტიკოსთათვის მიუღებელი იყო ამ რომანის მკვეთრი კლასობრივ-რევოლუციური ხასიათი. ამიტომ ისინი გვედრს უვლიდენ მას. მხოლოდ ჩვენს პირობებში და უპირველეს ყოვლისა მარქსისტულ-ლენინურმა კრიტიკამ აღნიშნა „ჯანყი გურიაში"-ს უდიდესი მნიშვნელობა, მისი რევოლუციური ხასიათი.

„ჯანყი გურიაში"-თ ე. ნინოშვილი ქართულ ლიტერატურაში გამოვიდა, როგორც დიდი სოციალური რომანის ავტორი. ამ რომანით მან დასვა და რევოლუციურად გადასჭრა ეპოქის არსებითი პრობლემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ჯეიშვილი

ტიციან ტაბიძე

რჩეული ლექსების გამოცემის გამო

როცა ამას წინად შემთხვევით სახელგამის წიგნის ბაზრობაზე ნაყიდ ქართველ მწერალთა I ყრილობის (1926 წ.) ანგარიშს ვათვალიერებდი, პრუსიის პოეტების აკადემიის ერთი საზეიმო სხდომა მომაგონდა, რომელსაც 1930 წელს დავესწარი. ამ სხდომაზე ერთი ფრაკში გამოსკვნილი ხელოვნების ქურუმი თითქმის სიტყვა სიტყვით იმასვე იმეორებდა პოეზიის ბუნების ღვთიურობაზე, შემოქმედების პროცესის შეუცნობლობაზე, პოეტის ყოველდღიურ პოლიტიკისაგან განდგომის შესახებ, რასაც ბევრი დელეგატი ამ ყრილობისა, რომელიც იმართებოდა ოქტომბრის რევოლუციის 8 წლის და საბჭოთა საქართველოს 5 წლის თავზე. რა უმნიშვნელოდ იყო განთავისუფლებული იმ დროს ჩვენი ლიტერატურული ატმოსფერა ბურჟუაზიული ლიტერატურის განსაზღვრულობისაგან. ტიციან ტაბიძე ედავება ერთ ერთ ორატორს: „თუ თქვენ გგონიათ, რომ შეიძლება მწერალს უთხრან: „რატომ არ სწერ", ან მოსთხოვოთ დასწიროს რამე კარნახით. რატომ ამას თქვენ თვითონ არ აკეთებთ.

ასე არ შეიძლება. ჩვენ ხელოსანს შეგვიძლია ვუთხრათ აკეთოს შეკვეთით, მწერალს არ შეიძლება ასე ვუთხრათ.

შემდეგ ის ამბობს, რომ ჩვეულებრივ ადამიანებივით არსებობისათვის ბრძოლა, პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმა, სამსახური, მუშაობა ჰკლავს პოეზიას, რომ პოეტი მარტო პოეზიის ღვდელმსახურებას უნდა აარულებდეს. მას უნდა დაიმოწმოს მთელი ლიტერატურა. ის ამბობს: „ლორდ ბაირონს ერცხვინებოდა ჰონორარის მიღება — მისმა სასტიკმა მტრებმა, როდესაც მას მოუნდომეს სახელის გატეხა ინგლისში, გამოაცხადეს, რომ მან თავის პოემებში ჰონორარი აიღო; ასეთი ფაქტები ბევრი იყო წარსულში არა მარტო ევროპაში, მოიგონეთ თუნდაც ტურგენევი რუსეთში. თვითონ აქ დამსწრე პატივცემული ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ცოცხალი მოწამეა ჩვენი და წარსული საუკუნის ნახევარი კულტურის ისტორიისა—როცა მას შეეკითხენ, რატომ არ სწერდა ია, მას ჰქონდა მწერლობაში ანტრაქტი — ნიკო ნიკოლაძემ საჯაროთ უპასუხა — მწერლობას უყვარს თავისუფლება, მე როტშილდის მოჯამაგირე ვიყავი და ამიტომ არ ვწერდი. (აქ იგუ-

ლისხმება მისი სამსახური როტშილდთან) — დღეს კი თქვენ იცით, როგორ მოტრიალდა ეს საკითხი. დღეს ისეთი მდგომარეობაა, რომ ყველა ცდილობს ადგილის შოვნას. მოჯამაგირეობა გახდა იდეალი".

ტიციანს მხოლოდ იმიტომ მოსწონს სამხედრო კომუნისტების ეპოქა, რომ ამ დროს მეცნიერების და ხელოვნების დარგში მომუშავენი იყვნენ ჩაწერილი იმ კატეგორიაში, რომლებიც მუშებთან ერთად იღებდენ პურს და პაიოკს (ულუფას). „მაგრამ შემდეგ კი" სჩივის ტიციან: „მოვიდა ნეპის ხანა და ყველა დაუბრუნდა ისევ დაწესებულებას და მწერლობა შერჩა მხოლოდ მათ, ვინც ტანჯვით არის მასთან გადაბმული".

ოქტომბრის რევოლუციამ ისეთ ურაგანად გადიარა ჩვენი ქვეყნის მშრომელების და მათ შორის ინტელიგენციის ცნობიერებაში, რომ იშვიათად თუ ვინმეს შერჩა ეს უბადრუკი ბურჟუაზიული შეხედულებები მეცნიერის თუ ხელოვანის საქმიანობის ზეკაციურ ბუნებაზე. მე მგონია რომ ინტელიგენცია კიდევ უფრო მეტად, ვიდრე სხვა კატეგორია მშრომელებისა, მადლიერი უნდა იყვნენ რევოლუციის ქარტეხილის, რომელმაც მეცნიერის და ხელოვანის საქმიანობა ჩამოიყვანა იმ ყალბ შეხედულებიდან აგებულ კვარცხლბეკიდან, რომელზედაც ის დგას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც ეს სახე ადამიანების საქმიანობის რაღაც ზეადამიანურად ითვლება. ამან არაჩვეულებრივად გაასადავა, გააჯანსაღა მშრომელი ინტელიგენტის ცნობიერება, მოუძებნა რა მეცნიერების და ხელოვნების შენობას მცურავ ქვიშის ნაცვლად მტკიცე გრანიტის საფუძველი სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობების. ამან მოუძებნა ჯანსაღი ორგანიზატორული, რეგულატიური საწყისი მის მსოფლშეგრძნობას, მის დამოკიდებულებას სოციალურ გარემოსა და თავის საქმიანობისადმი. რუსეთის ლიტერატურაში ისტორიულ განვითარებასთან დაკავშირებით ეს გარდატეხა გაცილებით უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ჩვენში და რომ ეს მარტო ტიციან ტაბიძის შემოქმედების განვლილ პერიოდა შეეხებოდეს, მასზე ამდენ ხანს არ შევჩერდებოდი. მაგრამ სამწუხაროთ ასეთ უბადრუკ, ისევ ბურჟუაზიულ ლიტერატურის თოფხანიდან ნათხოვარ დაჟანგებულ საჭურველს აჟღარუნებენ ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლის თავზე ლიტერატურის ზოგიერთი რაინდები, როგორც მაგალითად კ. გამსახურდია თავის წერილში „როგორ ვწერ" („სიტყვა და საქმე" № 3).

ჩვენი ლიტერატურისთვის ეს განწყობილებები, ეს მიდგომა ხელოვნებისადმი განვლილ საფეხურებს წარმოადგენს და რაც შეეხება გულწიწკობას ჰონორარისა და გასამრჯელოსადმი, რომელსაც ტიციანი ლორდ ბაირონს და ტურგენევს უქებდა, ვგონებ ესეც დასძლია ცისფერ ორდენის ყოფილ წევრებმა.

ტიციან ტაბიძე ლაპარაკობს ამავე ყრილობაზე ესენინის თვითმკვლელობის შესახებ, იმუქრება ვიღაცას მიმართ, ვიღაცას ჭკუას ასწავლის — „რომ საჭიროა მწერლობასთან სხვანაირი მიავლა და სხვ. იმავ 1926 წლის თებერვალში ის აქვეყნებს ლექსს — „სერგეი ესენინ".

ეს ლექსი მართლაც ტიპიური ცისფერ-ყანწელურია. ვის არ მიჰკედლებიან ცისფერი ყანწელები, ვის არ მიტმასნებიან, რომ სხვისი შარავანდედის ხარჯზე თავისი შემოქმედებისათვის შუქი მოეფინათ. ეს თვისება შერჩათ მათ ბოლომდის და ეს განმეორდა ვაჟა-ფშაველას „ბეღლის მჭამელის“ რუსულად თარგმანის დროს, როცა ცისფერ ყანწელების კარნახით შეცდომაში შეყვანილმა მთარგმნელებმა ეს სკოლა (ც. ყ. ა. ჭ.) თვითონ ვაჟა-ფშაველას ხაზის განმგრძნობათაც კი გამოაცხადეს.

აქაც ტ. ტაბიძე, თუმც ამ ლექსში აშკარათ ანტი-საბჭოთა, კონტრრევოლუციონური ინტელიგენციის მესაყვირედ გამოდის, მაინც სცდილობს, თუმც სირაქლემას მოუხერხებლობით, თავი სერგეი ენენინის ჩრდილს შეაფაროს.

ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს.

ამბობს ის, თუმც ესენინი და „ესენინშჩინა“ საერთოდ, განსაკუთრებით მისი თვითმკვლელობის შემდეგ საბჭოთა ლიტერატურაში დაცემულობის სიმბოლოდ გადაიქცა, თუმც მისი შემოქმედების საგრძნობი ნაწილი და განსაკუთრებით მისი ფინალი იყო მისი ანარქისტულ წვრილ-ბურჟუაზიულ გლეხურ ბუნების გამომჟღავნება, მაინც იმ პერიოდში ტ. ტაბიძის შემოქმედება მისგან ისე დაშორებული იყო, როგორც ცა დედამიწას, არა მარტო იმიტომ, რომ ის, როგორც ბუმბერაზი მთელი თავით მასზე მაღლა იდგა, რომ ის ეპოხალური პოეტი იყო (ისე, როგორც ვაჟას და ცისფერ ორდენის დაპირისპირების შემთხვევაშიც), არამედ იმითაც, რომ ესენინმა ოქტომბრის რევოლუცია მიიღო და გარდატეხა თავის შემოქმედებაში. მართალია გარდატეხა ის თავის წვრილ ბურჟუაზიულ, გლეხურ ბუნებაში, თავის ლიტერატურულ ბოჰემით დარღვეულ სულში, რომელიც საერთოდ დატვირთული იყო ბურჟუაზიულ მწერლობის ცეხურ ყალბი შეხედულებებით, რაც მას ათქმევინებდა: „Отдам всю душу октябрю и маю, но лиры милой не отдам“. „მაგრამ ის მაინც გაბედულად თუმც ისევ ბოჰემელის ისტერიულობით გაჰყვიროდა „Задрав штаны, погонюсь я за комсомолом“ და არა მარტო ამ ცალკეულ განცხადებაში, მთელს მის ოქტომბრის შემდგომ პერიოდის შემოქმედებაში ჩვენ გვაქვს ცდა და მრავალ გზით ფაქტები რევოლუციონურ ეპოქაათან მისვლის, მისი გაგების და მისი შეუდარებლად ნიჭიერ ხაზებში ასახვისა...

ასე რომ უბრალო მიტმასნება და „ატორღიალებაა“ ამ შემთხვევაში ტიციანის მიმართვა:

ღმერთი და სჯული... არა ვართ შორი,
მონღოლის სული გვიდგას ორივეს.

ამ დროს ტ. ტაბიძე და ესენინი ძალიან შორს იდგნენ ერთმანეთისგან. ესენინის თქმა. „Но лиры милой не отдам“, სიტყვა სიტყვით არ შეიძლება გავიგოთ. თუ არ ქნარი, პირველ რიგში სხვა ... და მისს ახალ ეპოქას პოეტისაგან რა უნდა მოეთხოვა, ესენინი ... ამ ... ამღერებს ეპოქის ჰანგებს, თუმც ამ ქნარის ზოგიერთი სიმები კიდევ გამოსცემდნენ ძველ ხმებს „Москва кабацкая“-ს და სხვას კიდევ უფრო ცუდსაც. ესენინის პოეზიის ამ უცუდეს მოტივებში ჰპოვა ტიციანმა თავისი თავი აი აქ შეხვდა „Москва кабацкая“ ცისფერ ორდენს. ამაზე სწერს ტიციანი საღერღელ აშლილი: „გამთენიისას ხაშის დიდ ქვაბში ხარშავდა კეპკას მთვრალი პაოლო“. თორემ განა ესენინი ამ სტრიქონებს ხელს მოაწერდა: ტიციანს დაეთანხმებოდა, რომ „არ გამოცვლილა ხომ პოეზია, მუზები ცისკრის კარებს აღებენ“. ესენინის შემოქმედება იყო რევოლუციურ ეპოქის პოეზია, მისი ცეცხლით დადალული, მიუხედავად იმ დიდი მანკებისა, ჩავარდნებისა და დაცემულობის განწყობილებისა, რომელსაც ის კვდება. ტიციან ტაბიძე კი და მთლიანად ცისფერ ყანწელების ორდენი ამ დროს, მიუხედავად ზოგიერთი დეკლარაციების და ლექსებისა, მაინც ბურჟუაზიულ ლიტერატურის, ბურჟუაზიულ პოეზიის ნიადაგზე იდგნენ. რას წარმოადგენდა ტ. ტაბიძის პოეზია იმ დროს, როცა ის პოეზიას ღვდელმსახურებად სახავდა და ასე უმართებულოდ ესენინს იმოწმებდა, მას გასძახოდა: „ღმერთი და სჯული... არა ვართ შორი“.

რა მოტივები, რა განწყობილებები ჰკვებავს მის შემოქმედებას. მას ბევრი ნაკადი ჰკვებავს და ამ მღვრიე მდინარებაში არც ისე ადვილია მის შემადგენელ ელემენტების გამოთავთავება. ქართველ რომანტიკოსების მოტივებია და ზოგჯერ მათი ნაწარმოებების, პირველ რიგში გრიგოლ ორბელიანის გადამღერება, ხშირად მათი განმეორება უფრო მდარე ვარიაციებში, ცდა დეკადანსის ლიტერატურის შემოქმედების ქართულ სინამდვილეში აკლიმატიზაციისა, აბსტრაქტულ პატრიოტული მოტივები, რომანტიული ბორიალი შორეული წარსულის ქიმერებს შორის. თუ რაიმეს ასახავს ტიციანის პოეზია ამ პერიოდში გარეშე სამყაროდან, ეს მხოლოდ ჩვენი იმ დროინდელი ლიტერატურის ბოჰემის განწყობლებებს, რომელიც თავისთავად, როგორც ხელოვნურად გადმონერგილი ჩვენს სინამდვილეში, უმნიშვნელო მოვლენას წარმოადგენდა. სხვა მხრივ ის იკვებება ჩვენი თუ უცხო ლიტერატურის წვენით, ის არ ასახავა პოეტის შეჯახებას გარეშე სოციალურ სამყაროსთან.

ეს სხვადასხვა მოტივები, სხვადასხვა მხრიდან მოტანილი, ხშირად ისეთ დავლურს უვლის მის ლექსებში, ხშირად ისე ირევა ერთმანეთში, რომ ლექსს არ აქვს რაიმე მიზანსწრაფვა, მას არაფერი აერთიანებს გარდა საერთო დაცემულობის განწყობილებისა.

ასეთი გადამღერების ნიმუშია „მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება“:

„ასე მოდიოდა გრიგოლ ორბელიანი ორთაჭალიდან
ცხელი ცოცხალით სავსეა ნავი.
ეს ხმაა ჭიჭყინასი ააე გულსაკლავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კრწანისიდან მოდიან თათრები...
დიდებულია ყაბახზე დილა,
ახალი მთების ვხედავ კუნძულებს,
ორბელიანთა გაუთხოვარ ქალების ძუძუებს.
სავსე ყანწები თამადას ელიან,
მესმის დაძალება „დალიე აიტან“:
ტიციან მქვიან, ვრჩები ტიციანათ
ლექსით და ღვინით ყველამ მიცანით,
ლექსება ვიტყვი, ცის ქუხილი რა არის...
საიათნოვას ზიგ საფლავში გაუტეხო ფიცარი“.

მაგრამ ეს ქუხილი უფრო თეატრის თუნუქის რახუნს ჰგავდა, რომლითაც ქარიშხლის ილიუზიის შექმნას ცდილობენ ხოლმე.

ლექსში „ორი აპრილი“ აბსტრაქტიული პატრიოტული რომანტიული განწყობილება ერევა დეკადანსის ლიტერატურის მოტივებს:

„თავზე დამნათის ჩემ ქალდეას ყველა ვარსკვლავი“
ვანქის ტაძართან სალოცავად მივედი მარტო,
მაშინ ტფილისმა კოშმარების გამიშვა მკლავი
განვლილ ცხოვრებას ეშაფოტი რომ აუმართო.
საკუთარ თავის და სამშობლოს ახალ შერცხვენის
ტანჯული ფიქრით სამუდამოთ მოვიქანცები.
ახ, მეგობრებო, ჩემი სული ჭვარტლია სხვენის
ცრემლით სავსეა ჩემი წილი ჩვენი ყანწების.
თქვენ იცით მხოლოდ, რისთვის მტანჯავს ასე ტფილისი
მისი სიბერე, მრუდე სახე და სიფილისი.

კიდევ უფრო დიდი აღრევა განწყობილების, კიდევ მეტი სუმბური სუფევს ციკლში ქალდეას ქალაქებში.

„ქ ა ლ დ ე ა ს მ ზ ე“-ში უფრო მეტად სჭარბობს აბსტრაქტიულ-პატრიოტული ბორიალი წარსულში.

„ძველი ქალდეა სწვავს ოცნებას
და ეძახის სულს,
ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ
დიდებულ წარსულს
გამობრწყინდება სიდონისკენ
გზა მიმავალი
თეთრ უდაბნოში გაიშლება
საკურთხეველი...
მესმის, მეძახის, ვხედავ მხედავს
ვიჩქარი მივქრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვირფას საფლავებს როგორც ქორი
დაფრინავს ფიქრი.
გრძელი შორი გზა, და ოცნება
უსაზღვრო გზებზე
ჩემი საფლავი ძველ ქალდეას
იქნება მზეზე“.

შემდეგ ეს პანეგირიკი ლექსში „ქალდეას ბალაგანი“. დეკადენტურ ბალაგანურ განწყობილებაში გადადის:

„ჩემი სამშობლო საქართველო
სხვა თეატრია.
ბევრი მინახავს ხეტიალში მე თეატრები
ვხედავ მოდიან ზღვა ლანდებათ ბრძენი მაგები.
მიმი, ჟონგლერი და დროგებით აქტიორებით.
არ მეშინია ძვირფას ძმებთან სულის წაგება
და ძველ პიესას მე ვთამაშობ განმეორებით
იყო თამარი და ძვირფასი მისი სამება
ამაზე იტყვის საქართველო მატიანებით
მხოლოდ შენ ტანჯვას, კოლომბინა, დ შენ წამებას
პიეროს მეტი ვერ იტირებს სხვა დანანებით.
ვერ ნახავ რაინდს ჩემზე უფრო, რომ უერთგულოს,
შენ წამებულ სულს,
კოლომბინა, შენ ტუბერკულოზს“.

თუ რამე შეაქვს ტ. ტაბიძეს დეკადენტურ ლიტერატურის მოტივებში, თუ ის ქმნის ერთგვარ „კოლორიტულ ფონს“, ან როგორც თითონ ამბობს „ლექსის საფენელს“ ამ დაცემულობის განწყობილებისათვის, ეს არის ორპირის კოშმარები, „ძველი თემა, გიჟი მღვდელი და მალარია“, ეს ის მუგუზალია, რომელსაც ის უმატებს ამ დეკადენსის ჯოჯოხეთს, დეკანდენტურ ლიტერატურის ყვავის საფრთხობელებს — ტუბერკულოზს, სიფილისს, შხამის ფიალას, ალკოგოლს, პროსტიტუტკას. ეს არის მთელი ამ პერიოდის შენამატი, ლექსი — „მაგი წინაპარი“ როგორლაც აერთებს ციკლს „ქალდეას ქალაქები“ ამ „ახალ თემასთან“.

„გრძელია ჟამი ღვდელმსახურების
რაც ჩემი გვარი
ვინ დათვლის წირვას რაოდენი
გამოიყვანეს...
ეხლაც ეზოს წინ დაღვრემილი
მოსჩანს საყდარი —
ეს გერბი არის ამაყ მგოსანს
რომ დამისახეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოცულობს მამა მწუხრის ლოცვას
მუნჯათ ვუცქერი
ფსალმუნი სულში შეფრინდება
და იმარხება
შავ ანაფორას მეწამული
გადაჰკრავს ფერი
და ვხვდები ახლა, თუ ქალდეა
რად მენატრება".

შემდეგ ეს ძველი თემა „გიჟი ღვდელი და მალარია" დაუსრულებლად გვხვდება, მკვდარი თუ ცოცხალი: „ღვდელი და მალარია", „ღვდელი და მალარია კუბოში" და სხვ. მათში გადაკვანძულია ავტოგრაფიული, ბავშვობისას განცდილი შთაბეჭდილებანი და დეკადანსის ლიტერატურისგან მოტანილი საღერღელ აშლილობის, დაცემულობის განწყობილებები. ასე ლექსში „ორპირის სეზონი".

„ორპირი ლპება, როგორც ლეში ლევიაფანის,
რიონის ფშანებს აედევნენ გრძელი ყანჩები,
მოიღუნება ჩემი სული — წნელი ლაფანის,
მხოლოდ ყანჩები — ჭაობების მჭლე ლამანჩები
ჩამორჩენილან ბაყაყები ღვრიე ბუშტებში.
იმათაც სცივათ ამონგრეულ ნოყო ბუდეში
მოაქვს ოქტომბერს გაცივება სურდო, ანთება
და დილიჟანსით აქ სეზონი ჩამობრძანდება.
ლოტრეამონის მალდაროორი, უშნო გომბეშო
კოსმიურ ტალახს დასტიროდა ჩვენ ორღობეში
ყველა პანთეონს, თუ მერგება, თვითონ დიდუბეს,
მე ვარჩევ მაინც ამ ორპირის გამომპალ ბუდეს".

შემდეგ ლექსშიც „ღვდელი და მალარია" ის ამ მალარიის კოშმარის პოეზიას ქალდეას ციკლის განწყობილებებს უერთებს.

„ძველი ორპირი, დანგრეული
სანაოები,
ეწყება მთვარეს ხაშმიანი
ცხელების სრესა.
მამის ოლარზე ობობების
ქსელი მოება. ღამეა თეთრი და შავია
ქალდეას მესსა.. .
...ატირდენ ერთად ბაყაყები
დამწრალ ფშანებში
თითქო ახველებს ჭლექის ხველით
Miss Lea Leel-ს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი ორპირი, დანგრეული
სანაოები
ქალდეას ზეცა ამართული
ვით ეშაფოტი“...

ასევეა ამ თემის შემდეგ ვარიაციებში „ღვდელი და მალარია“:

„გავა წლის თავი...
ოქტომბერი ბნელ ოლარებით
ჩემში ატირებს მამაჩემის
შავ ანაფორას.
იწვის ქალდეა,
გვეფარება ცხელ ანაფორათ
ყველა ცეცხლების ატრიალდა
ჩემში გრიგალი.

ლექსში „სატურნი და მალარია“.

„სიყრმიდან ვისმენ განუწყვეტელ მე ერთ რეკვიემს,
ვარსკვლავათ დასხდენ ბაყაყები ქალდეას ზეცას,
მკვდარი ბუზები ობობას ქსელს გამოერკვიეს
ასე მგონია, რომ ობობა პერანგათ მეცვას“.

და როგორც საერთო ემოციონალური ფონი მთელი ამ დომხალისათვის დაცემულობის განწყობილება, თვითმკვლელობის მოტივები თვითმკვლელობაზე ლრიალი ტიციანისთვის ხშირ განმეორებების გამო ერთგვარ პოეტურ ხერხად გახდა, მოხდა მისი ავტომატიზაცია. ის ხშირად ვერც ახერხებს სხვანაირად გამოხატოს გრძნობის ზენიტი, განცდის სიმძაფრე თუ არ დამბაჩაზე, ან საწამლავის ფიალაზე ხელის წავლებით ან თავის დახრჩობის დამუქრებით. თვით 1933 წელს დაწერილ ლექსში „ლექსი წელკავი“, რომელიც ბავშვობის დროის მოგონებაზეა აგებული, და რომელიც მიუხედავათ სათაურისა, ნაზი გრძნობებით არის გამთბარი, პოეტი ვერ იკავებს თავს, რომ დანას არ წაეტანოს.

„არ დავფქირდები არც ერთი წამი
ისე ჩავიცემ მე გულში დანას,
თუ ამ სინაზის და ჟრუანტელის,
ერთხელ მიმღერებ ბავშობის ნანას“.

ლექსში „მეწყერი მეწყერს“, რომელიც კავკასიის სიდიადეს, მის ჯანყის და ქარიშხალის სისასტიკეს აღწერს, ია მაინც თავს ვერ იკავებს, რომ ამ თვითმკვლელობის მოტივს გვერდი არ გაჰკრას:

„მეწყერი მეწყერს, ლანქერი ლანქერს
კლდე კლდეს ასკდება, ზვავს ღუპავს ზვავი
ცა მოწყალებით თავზე დამცქერის,
არ მემეტება მოვიკლა თავი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო მეტ ჭირვეულობით და თავმომაბეზრებელი აკვიატებულობით მეორდება ეს მოტივი ლექსებში: „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, „ანანაურთან“, „მეარღნეები და პოეტები“ და სხვ.

1927 წლამდის ტიციან ტაბიძის შემოქმედება ტრიალებდა ერთ გარკვეულ რკალში. ქართველ რომანტიკოსების გადამღერება, რუს და ფრანგ დეკანდენტურ პოეზიის მოტივების ჩვენა ლიტერატურაში გადმონერგვის ცდები. აბსტრაქტიულ პატრიოტული ბორიალი შორეულ წარსულში და ყველაფერი ეს საკმაო ერთფეროვნად, ერთ ტონზე. ყველაფერი ეს საკმაოდ დაშორებული იყო სოციალ-ისტორიულ გარემოს. მის შემოქმედებას ძალიან ვიწრო სოციალური ქვეაყრდენი ჰქონდა, ამიტომ არის რომ ამ პერიოდის ლექსებში იგრძნობა ვიწრო „ლტერატურული სალონების“ ატმოსფერა. ეს ლექსები დაწერილია არა ფართე საზოგადოებრივობისათვის. ტიციანი, როგორც კარის პოეტი ჩვენი საზოგადოებია ფეოდალურ ბურჟუაზიულ ნამსხვრევებს შეჰყეფს — მელიტები, კახეთის დედოფლები, წერეთლები, შერვაშიძეები, მკვდარი თუ ცოცხალი ორბელიანები, — აი ის სოციალური არე, რომელშიდაც ტრიალება პოეტის ფანტაზია. ამ გაყინვას ერთ წერტილზე პოეტი ალბათ თითონაც გრძნობს, როცა 1924 წელს ლექსში „უჟმური კვირა“ სწერს:

„ყველაფერი წინ მიდის, პოეზიის გარდა,
იწყება ლექსის უკულმა ელექტროფიკაცია“.

არ არის გასაკვირი, რომ თავისი შემოქმედების პოზიციებიდან მას პოეზია მართლაც გაყინულად მოსჩვენებოდა.

მხოლოდ 1926 წელს დაწერილ „ტფილისის ღამეში“ გრძნობს ის ამ რკალიდან გამოსვლის აუცილებლობას. ამ ლექსს, რომელშიდაც ძველი და ახალი ერთმანეთშია არეული, რომელშიდაც ის სწერს:

„ტივზე რომაა
სუფრა გაშლილი.
ღვინით გალეშილს ველევი კინტოს
მე მირჩევნია ჯორჯიაშვილი,
რომ გრიაზნოვი კიდევ დაფლითოს“.
ყოველი კვირა ჩემთვის ბზობაა
და ტფილისია იერუსალიმი
ოქროყანიდან რამდენი გზობა
ვირს მოსდევს ბავშვი ქრისტეს ტირილით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის შემდეგნაირად ასრულებს:

„ახლა მეც ვაქებ ინდუსტრიის ქარს,
მეც მინდა ძველი ქვეყნის დალეწვა...
ჯერ კიდევ ვზივარ ძველებურ ტივზე
ვსტირი შეკრული ფიქვის გედებით
არ შევჩერდები მე ამ მოტივზე
მე თვითონ ვცხოვრობ ამ იმედებით“.

და უნდა ითქვას, რომ ტ. ტაბიძეს გაუმართლდა ეს იმედი. ან უფრო სწორედ მან საგრძნობლად გაამართლა ეს იმედები. ტ. ტაბიძის პოეზიის მობრუნება სხვა მოტივებისკენ, მისი მობრუნება საბჭოთა სინამდვილისაკენ ეს იყო საერთოდ მისი მობრუნება სინამდვილისაკენ, რეალურად განცდილი გარე სამყაროსაკენ. და ეს პირდაპირ ხსნა იყო ტიციანის შემოქმედებისათვის. ამან მისი შემოქმედება გამოიყვანა იმ ჩიხისაგან, იმ რკალიაგან, რომელშიდაც ტრიალებდა თითქმის 12 წლის განმავლობაში 1916 წლიდან 1928 წლამდის. ტიციანის ენით რომ ვილაპარაკოთ, ამან მოხსნა მის შემოქმედებას ის „წყევა სიბერწისა“, უნიათო, უნაყოფო აბსტრაქტობისა, რომელიც გაყინვის წერტილზე ამყოფებდა მას მთელ ამ ხნის განმავლობაში.

ამ გარდატეხამ, ამ ჰანგის შეცვლამ მოგვცა ისეთი ეპოქის ამსახველი (თუმცა არა ყველა ერთთავად ეპოქალური) ნაწარმოებები, როგორიც არის მისი: „რიონი-პორტი“, „ფრონტებზე“ „ბუენოს-აირეს, ალეხანდრო და კასტილია“, ციკლი: „სომხეთი“, „გულდაგულ“, ახალი მცხეთა“ და სხვ.

ეს ათასგვარ გავლენათა გადახლართვა, როცა ტიციან ტაბიძის პოეზიას არ გააჩნია წამყვანი იდეა, როცა ის თითქოს წარმოადგენს პორტო-ფრანკოს, საცა ყველას თავისუფლად შეუძლია მოაყენოს თავისი გემი, ცხადია, თავის გავლენას სტოვებს ლექსის ფორმაზე; ეკლექტიურობა, დაუხვეწელობა, ბუნდოვანება. ძნელი მისაწვდომობა, აი რითაც ხასიათდება ტ. ტაბიძის ლექსი ამ პერიოდში და, როგორც ქვევით დავინახავთ, ეს უარყოფითი თვისებები მას მრავალგზით დღემდისაც შერჩა. აქ გვხვდება ჩვენ მთელი სტროფები, რომლებსაც თითონ ავტორიც ალბად რამდენიმე ხნის შემდეგ უცხო ლექსიკონებით თუ დაშიფრავს, ზოგ შემთხვევაში კი ლექსიკონიც არ უშველის საქმეს, ვინაიდგან მასში მისაწვდომი და გასაგები არაფერია. ის საერთოდ თავისუფალია აზრისგან.

„და ისევ უნდა, რომ ატირდეს ჩემში ლირიკა.
თეთრ კვირეების მოგონებას რომ მოერიდა
ლაფორგის ტაძარს ჯამბაზივით აყვა ბილიკათ
და დიდ გუმბათზე ობის ქსელით ჩამოეკიდა...
ჩემი ორპირი პატმოსია გაულხობელი.
რიონის ფშანი ნათლისღების დღეს იორდანე.

სტროფის, როგორც მთელის უაზრობა აქ გასაგებია, ვინაიდან აქ პოეტს ცალკე სიტყვა აინტერესებს როგორც კოლორიტული ლაქა, ან მუსიკალური ფრაგმენტი, მისტიურ განწყობილების შემომტანი.

ეს მანკი ხშირად შემდეგი პერიოდის ლექსსაც ახასიათებს.

ამ ეკლექტიურობას, დაუხვეწელობას და დაუწმენდელობას შინაარსის და ფორმის მხრივ პოეტი თითქოს თითონაც გრძნობს, როცა ერთ ლექსში ციკლიდან ქალდეას ქალაქები სწერს:

„გაფიზის ვარდი
ვე პროდონის ჩავდე ვაზაში
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს
და რაც შემხვდება, შემაჩერებს შორეულ გზაში,
ჩემს ღვრია ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს.
გრძნობის სიჭარბე მომეტებით გრძნობას ამკრთალებს
უვნებო ვნებით მინდა ვწვავდე ვნებიან თვალებს“.

პოეტის შემოქმედების დასაწყის პერიოდში, 1916 წელს დაწერილ ამ ლექსს პოეტი ასათაურებს: „L'art poetique“.

მწერლის ამ პოეტურ კრედოს გახსნაში უსათუოდ სწორადაა დაჭერილი ტ. ტაბიძის შემოქმედების ძირითადი შტრიხები. ტიციანის ლექსი მართლაც მღვრიე, დაუწმენდავი და დაუხვეწავია. გრძნობის სიჭარბე, განცდის მოუწესრიგებლობა დამახასიათებელია ტიციანის ლექსისათვის და ეს არა მარტო მისი შემოქმედების დასაწყის პერიოდისათვის, არამედ დღემდისაც. მაშ როგორ მიდის ეს მღვრიე ნაკადი მკითხველის ცნობიერებამდის? ტიციან ტაბიძე დიდი პოტენციის მქონე ლირიკული პოეტია. მის ლექსს ახასიათებს ძალიან მსუბუქი ტარება და მიუხედავათ იმისა, რომ ტ. ტაბიძის ლექსი სახსრებ დაშლილია, სტროფი ძალიან სუსტად არის შეკრული, რითმაც ხშირად ბანის მთქმელი და გაჯახირებული, ლექსს მაინც არ აკლია ერთგვარი სიცინცხალე, მე ვიტყოდი მზიურობაც.

სინათლე და სიმსუბუქე ხშირად ფარავს იმ საგრნობ დეფექტებს ფორმის დარგში, რომელიც ახასიათებს ტ. ტაბიძის ლექსს.

ტიციანს აქვს ერთი კატეგორია ლექსების, რომლებიც „აბუქსირო ფლოტის“ შთაბეჭდილებას სტოვებს: პოეტი თითქოს პლანერზე აჰყვება რომელიმე ხალხურ ლექსს, ან რომელიმე კლასიკურ პოეტს, გურამიშვილს, გრიგოლ ორბელიანს, ნ. ბარათაშვილს, ი. ჭავჭავაძეს, უმთავრეს სამუშაოს ამ შემთხვევაში სხვას ასრულებინებს, თითონ კი შემდეგ თავისგან დასძენს რამოდენიმე სტრიქონს. ეს გუგულივით სხვის ბუდეში ბარტყების ჩეკა ყველაზე უფრო მეტად მოსჩანს ლექსში „თაფარავნელი ჭაბუკი.

„თაფარავნელი ჭაბუკი,
ასპინძის ქალსა ჰყვარობდა
ქალი ანთებდა სანთელსა
სანთელი კელაპტარობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასე მიდის ლექსის სამი მეოთხედი ხალხურ ლექსის ხარჯზე, მხოლოდ დასასრულში დასძენს პოეტი თავის „დასკვნას“:

„ჭაბუკი ისევ გაცოცხლდა
მოდის და მოუხარია
ცალ მკლავზე, ელექტრო აცვამს,
მარჯვენას რკინის ხარია
მხოლოდ სულმყრალი ბებერი
საფლავში უფრო მყრალია.
არცა ჩაქრება არას დროს
გიზგიზა ცეცხლია ქარბუქი
ახალი საქართველოა
თაფარავანელი ჭაბუკი“.

ასევე პოემაში „თვრამეტ წელში“ და სხვა.

რასაკვირველია რომელიმე სტროფის ჩაქსოვა ლექსში ხალხური ლექსიდან თუ რომელიმე მწერლიდან არ არის დასაძრახისი. ამ ხერხს პოეზიის იაეთი, ბუმბერაზებიც კი მიმართავდენ, როგორც იყვნენ გოეტე და ჰაინე. ამ უკანასკნელს თავის ცნობილ ლექსში „სილეზიელი ფეიქრები“ შეუდარებელის ოსტატობით აქვს ჩაქსოვილი ხალხური თქმა და ორგანიულად შერთული ლექსში, მოქცეული მის მდინარებაში, შეწყობილი მის რიტმთან, მეტრთან და რითმებთან. აქ კი ნასესხები ლექსი ხარდანის როლს ასრულებს, რომელსაც საკუთარი დანამატი უხერხემლო ლობიოს ყლორტივით ეგრიხება.

ერთი რამ უსათუოდ აღსანიშნავია ტიციანის ლექსში. რაც უნდა დუნე და მოწვებული იყოს, ლექსის მდინარება, რაც უნდა სახსრებდახსნილი იყოს სტროფი, ბანის მთქმელი და გაჯახირებული რითმა, შემთხვევითი ხელწამოკრული სახე, მაინც თითქმის ყველა ლექსში გვხვდება სტრიქონები, რომელსაც ლექსი მთლიანად ჭაობიდან ამოჰყავს. ავიღოთ მაგალითისთვის ლექსი „მცხეთა“. ლექსი აგებულია ისტორიულ დაპირისპირებაზე და რემინისცინებზე. აქ ისტორიულ სახეების დახვავება, ისტორიულ წარსულში რომანტიული ხეტიალი ლექსის წამყვან მოტივს არათუ მატებს რამეს, პირიქით ადუნებს მას. აქ ერთი ისტორიული მოგონება მეორეს სცვლის.

„რუსის ისპრავნიკს კაპასი ცოლი
მშვიდად უშლიდა წინ აქ პასიანსა
და აზიაში შეჭრილი სოლი
იმპერატორი ვესპასიანი,
ნადავლს ყნოსავდა როგორც აფთარი
ნაზონის ლექსებს ისმენდა მტკვარი“.

და შემდეგ მოსდევს ერთ ტონზე:

„და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც
აბიათარი კვართით დამარხეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავჩალუნული ათასი მუშა
მიაყოლებენ მტკვარს ახალ არხებს
და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც —
უწყალო კერპი იდგა არმაზის
დღეს სუხიშვილი ტფილისია მუშა
ელექტრო სადგურს უშენებს ბაზისს.
და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც
ძველ დინასტიათ დაგროვდა ფერფლი.
ელექტროს ცეცხლში დგას ჯვრის ტაძარი
ფანტასტიური და ეიფელი".

ეს რომანტიულ აბლაბუდაში გახვეული ისტორიული სახეების აღრევა, სადაც საბრძოლო რევოლუციონური განწყობილებები დეკადენტურ, სიმბოლისტურ სახეებით წყალდება და ბაცდება, უსათუოდ ნიჭიერად, სალოზუნგოთ მოკვეთილ სტრიქონებით სრულდება.

ვინ დახრის დროშას მაღალ ტარიანს
როცა ის მოაქვს პროლეტარიატს.

ლექსი „რიონი-პორტი" ერთ ერთი საუკეთესო ლექსთაგანია, რომელიც თქმულა სოციალისტურ მშენებლობაზე ჩვენში. ემოციონალური აღრმე, სახეების კონკრეტობა, ზეუბორკავი მდინარება, რომელიც მის წინანდელ ლექსებში ყოველთვის ერთნაირის სიმძლავრით არ მჟღავნდებოდა, აქ ამ ცოცხალ კონკრეტულ მასალაზე ლაღად იშლება. ძველი ცხოვრების, ძველი ორპირის კოშმარებს ახალი მზიური მომავლის იმედები აცვლის.

ტიციან ტაბიძის ლექსებში „რიონი-პორტი" ყველაზე უფრო მდიდარია კონკრეტული სახეებით, უშუალო განცდებით. აქ პოეტს იმანაც უშველა ალბათ, რომ რიონის ჭაობების კოშმარები სულ სხვა ნიშნით და სხვა განწყობილებებით წარმოადგენდა საკვებ ნიადაგს ტიციანია მიერ ქართულ პოეზიაში უცხოეთიდან შემოტანილი დეკადანსის პერიოდის ლიტერატურის მოტივების აკლიმატიზაციისათვის. მაგრამ აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო სამოაის გადაბრუნებასთან. ლექსი თავიდან ბოლომდე გამთბარია სიხარულის და ზეიმის განწყობილებით. თუმც ზოგიერთ სტრიქონში ვხედავთ გამარტივებულ ნამუშევრის ნიმუშებს — როგორც მაგ.

„ამ დროს ხალხისთვის ვინ მოიცლიდა
რამე ეწამლა, ეცა ნუგეში...
პირიქით ლუკმას პირში აცლიდა
სურდათ დაელპოთ ამ მყრალ გუბეში.
ამიტომ იყო აოფელი მალე
საფლავის ქვებით რომ დაირაზმა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ მთლიანად ეს საკმაოდ გრძელი და ისიც აღწერილობითი ლექსი ჩუხჩუხით მოსჩქეს და სახეებიც ხშირად აკვიატებულის ფიზიანერულობით დგება მკითხველის წინაშე:

„მე ახლაც ვხედავ დაკონკილ საბნებს,
მზისგან რომ ადის ოფლი ოხშივრად.

და შემდეგ:

„თვალწინ მიდგება თავებწაკრული
ფხალის ნეშოში ბალღი და ქალი
და ცხელებისგან პირგაძაგრული,
მესმის საწყლების ცივი კანკალი.

აქ ძალიან ნიჭიერად არის გამოყენებული ისტორიული დაპირისპირება და ეკსკურსი, ადგილობრივი კოლორიტი, ავტობიოგრაფიული მომენტები. იმერეთის გაძვალტყავებულ ღარიბ გლეხობის ყოფის სიდუხჭირე და სივაგლახე, მათი გაუსაძლისი სიღატაკე და სიბეჩავე ერთის კალმის მოსმით არის მოცემული ამ დაკონკილ საბნებში, ფხალის ნეშოში თავებწაკრულ ქალებისა და ბალღების სახეები არ არის პირველი ხელში მოყოლილი სახე. ის არის დანახული კონკრეტულად, განცდილი მთელი არსებით, ამიტომაც იბეჭდება ის ასე მკვეთრად მეხსიერებაში. განცდის უშუალობა მოსჩანს თვით სტროფების შეუჩერებლივ მდინარებაში, განსაკუთრებით დასაასრულში.

„გადაშრებიან ესე ფშანები,
ველარსად ვნახავთ დაგუბულ რუებს
და მოტორების რკინის ლაფშები
მუხაყრუასაც გადააყრუებს
მაშინ გახდება მართლა საჩინო
ეს იმერეთის კუთხე პატარა
მგონი რომ ბედმა გადაგვარჩინოს,
მგონი ჩვენ ცაზე გამოიდარა.
დღეს ჩემი გული ჭალადიდია
გულში სხვა გული გემად დაცურავ
დღეს ძველი ქვეყნის პანაშვიდია,
მიწა ქალამნად, ცა ქუდად მხურავს.

აქ წარსული ისეთსავე შავბნელ ფერებშია დასახული, როგორც მისწინანდელ „ორპირულ“ ლექსებში. მაგრამ ეს მაინც არავითარ შემთხვევაში არ არის ძველი თემა — გიჟი ლდდელი და მალარია, ეს არ არის მკითხველის კოშმარულ სახეებით მისტიფიკაციის, გაბრუების ცდა. ლექსს აქვს პერსპექტივა — ახალი მშენებლობის პროცესში მყოფი სამყაროს — მას აქვს სხვა ემოციონალური ფონი — ამ მშენებლობის პათოსი და ამიტომ ამ შავბნელ წარსულის სახეები გამაბრუებელ კოშმარის შთაბეჭდილებას არ სტოვებენ.

ის რაც მარქსმა სთქვა ფილოსოფოსებზე, რომ მათ საკმაოდ ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ შეეცნოთ ქვეყანა, საჭიროა მისი გარდაქმნაო — ეს თეზა ხელოვნების, ლიტერატურის მიმართაც სავსებით სწორია. არ არის საკმარისი წარსულის თუნდაც კოშმარულ ფერებში-ბრალეული წინად, სანამ ტიციან ტაბიძის შემოქმედება მოწყვეტილი იყო რევოლუციონურ ეპოქას, როცა ის არ სცოცხლობდა ამ ეპოქის პერსპექტივებით, მაშინ ამ ორპირის კოშმარების ხატვა მისთვის თვით მიზნად იყო ქცეული, ის სტკბებოდა ამ კოშმარებით, ამ ლეშით კვებდა ის თავის დეკადენტურ, რეალ ცხოვრებას მოწყვეტილ და ცნობილ ბიბლიურ ღელვის ხესავით უნაყოფო პოეზიას.

სულ სხვა აზრს, სულ სხვა პოეტურ ღირებულებას აძლევს ის ახლა იმ სახეებს, რომლებიც თითქოს გახუნდა და მოიცვითა წლების განმავლობაში.

ამიტომ წარსულის კოშმარიდან მომავალ ეპოქისაკენ იმედის ხიდი არის გადებული:

„ახალ ეპოქის უდიდეს ეპოსს,
ალარ სჭირდება უკვე მედეა.
პოეტს სხვა ცეცხლი გულს მოედება,
თუ თავის თავის მოიმედეა
ახალ სიმღერებს გულში აგვინთებს
ბედნიერების ახვა დაპირება.
დღეს სხვა აზრი აქვს საგნებს და ნივთებს
და ზღაპრად იქცა ოქროს ტრირემა.

მაინც იმ გიგანტურ ამოცანების წინაშე, რომელსაც ისახავს ჩვენი ეპოქა, ის ერთგვარ შიშს გრძნობს:

„მე თუ ვერ ვაქებ ინდუსტრიის ქარს,
მიტომ რომ ფეხი ამ ფშანში ჩამრჩა
სხვა კაცი ამას უფრო მოიხმარს
ამ ახალ კაცის მე ვარ ქამანჩა.
ალბად სადღაც ზის ის უსახელო,
იქნებ ნიფხავი ჯერ არც კი ეცვას,
მაგრამ გახანილი აქვს მას საყელო,
ღია თვალებით უყურებს ზეცას“.

მიუხედავად ამ შიშისა ლექსის დასასრული იმედიან ტონზე ჟღერის:

„ჩვენი ბავშვობის ოცნება ახდა,
ვხედავთ ორპირში ორთქლმავალ გემებს,
ახლო გაიარს ეზო და სახლთან
და საბჭოების მზეს მოგვაგებებს“.

მენშევიკურ ეპოქის ამსახველი პოემები „ფრონტებზე“, „ალეხანდრო და კასტილია“ შემდგარია როგორც სხვადასხვა ნაჭრებისაგან შეკერილი საბანი — ქუჩის სიმღერები, მეგაზეთეების, მეპაპიროსეების ფაციძახილი, საპარლამენტო სიტყვები, ჯარისკაცების სიმღერები. მახალა ორივე შემთხვევაში უსათუოდ კოლორიტულია, ეპოქის მდინარეებიდან ამოგლეჯილი, მაგრამ მათი ორანჟირება და ლექსში მათი შერწყმა ძალზე სუსტია. ლექსი მთლიანად ერთობ მოშვებული და მოდუნებულია.

ასეთივეა „ალეხანდრო და კაატილია“. მაინც ამ უკანასკნელის ბოლო ნაწილი უფრო მწყობრი და მონოლიტურია, მასში ნაკლებია ეს გულგრილად მოშვებული ტონი.

როგორც ეპოქის დოკუმენტების მონტაჟი, ის უსათუოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

მართალია აქ არ გვაქვს საქმე ამ დოკუმენტების ორგანიულ ასიმილიაციასთან როგორც ეს არის მაგალითად ბლოკის „თორმეტში“ პლაკატის „Вся власть учредительному собранию“ ორგანიული შერწყმა პოემაში, აქ ისინი არ არიან გაერთიანებული ერთ მდინარებაში.

მაინც მიუხედავად ყველა ნაკლულოვანებებისა პოემა მდიდარია ეპოქის ამსახველი ცოცხალი, კონკრეტული სახეებით და სურათებით. შოვინისტური აგიტაცია პარლამენტის ტრიბუნიდან ტფილისში და ერევანში, ინგლისური იმპერიალიზმის ვერაგობა, ბაქოს საბჭოები, 26 კომუნარის ტრაგედია, კამათი ქუჩაში, ყავახანაში, ბოლშევიკური აგიტაცია და მენშევიკური სატუსაღო, საფრონტო „ჩასტუშკები“, პოპულიარული „журавей, журавей пташечка“ — ასევ საქვეყნოდ განთქმული ქუთათური მოხალისენი, ფრონტი, ქართულ და სომხურ სოფლების აოხრება, ოვანეს თუმანიანის უწედეგო ცდა შოვინისტურ ატმოსფერის შენელების, მეგაზეთე ბიჭების ყვირილი, „გამარჯვების“ ღრეობა ახალ კლუბში. ამ ქრონომონტაჟის კადრების ფაქტურა უსათუოდ დიდის ოსტატობით, ძალიან მსუბუქის ხელით, დაკვირვებულის თვალით არის შერჩეული.

ბრიტანეთის იმპერიალიზმის ვერაგულ პოლიტიკის მიერ დახლართული ძაფები მოხერხებულად აერთიანება ამ ფართე ტერიტორიაზე გადაშლილ მოქმედებას:

მიუხედავად იმისა, რომ ეს შემადგენელი ელემენტები ერთ ხმაზე არ ჟღერენ, რომ პოემას აკლია ემოციონალური სიღრმე, ეპოქის სურათი მაინც საკმაოდ მთლიანია და არც ერთი კადრი არ ვარდება ამ სურათიდან.

ასევე არის გამართული ამ ციკლის მეორე ნაწილი „ალეხანდრო და კასტილია“. ლექსის მდინარება აქაც ხშირად სუსტდება, სტრიქონები ძლივს მილასლასებენ და ხშირად ღობე-ყორეს ედებიან.

მაინც აქ საკმაოდ კოლორიტულ კადრებში არის მოცემული მენშევიკური საქართველო, როგორც პლაცდარმი იმპერიალისტურ სახელმწიფოების, მათი გასულობა. ინგლისელ ჯარისკაცების სადემონსტრაციოთ გადმოკიდებული სველი ნიხვები — ეპოქის ჰანგები „ნარი მიყვარს ნარი მე“. ტფილისი, როგორც თავშესაფარი ოქტომბრის რევოლუციისაგან გამოხვე-

წილ ელემენტების, ტფილისის ბოჰემა, თუმც ყველაფერი ეს ცალკად აკინძული, ნაფლეთებად და ნაგლეჯებად მოცემული, მაგრამ მაინც ცოცხალი და მარწმუნებელი. უფრო მთლიანი და ემოციონალურად უფრო მძაფრია პოემის მეორე ნაწილი, საცა თხრობა პოემის გმირის ბედს შეეხება. მაგრამ სამწუხაროდ ავტორი სწორედ აქ იჩენს იდეოლოგიურ დაბნეულობას. მთელი ეა ნაწილი გახვეულია რომანტიულ აბლაბუდაში, რომელიც ანელებს და აწყალებს პირველი ნაწილის განწყობილებებს. ამ ფანტასტიურ „გორელ არგენტინელზე", რომელიც დამშეულ მენშევიკების საქართველოს არგენტინელ პურით გაძღომაზე ოცნებობს, პოეტი ამბობს:

ვერ ნახავთ ვერსად ასეთ ვაჭარს,
ვაჭარს ღვთისნიერს,
მთელს ქვეყანაზე მარტო ერთი ჩვენი ქვეყანა,
გამოზრდის ასეთ პატიოსან კომისიონერს.

ეს ლექსი მთლიანად, რომელშიაც მოცემულია შეჯახება ბაქოს პროლეტარიატის ინგლისის იმპერიალიზმთან და მის დამქაშებთან მუსავატისტებთან, შეიდემან ნოსკეს ჯალათების ნადირობა გერმანიის პროლეტარიატის ბელადებზე, გააზრებულია როგორც „ეპიტაფია ამ ფანტასტიურ" პატიოსან კომისიონერის.

პოემა „როალდ ამუნდსენ" კომპოზიციურად ისევ სუსტია, როგორც „18 წელი" და „ალეხანდრო და კასტილია". აქ მწერალი მთის და ბრისას ერთად ახვავებს რაც სურათს უკარგავს ნაკვთოვანობას. შედარებები დაპირისპირებანი, ყოველგვარი ზომის და ხშირად საფუძვლის გარეშე არის გამოყენებული. გახა წიკლაური და მისი ქელეხი — უადგილოდ ჩართული არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი", რომელიც პოემის შინაარს სრულიად არ ეწლის, მეტად გაწელილი ბავშური მოგონებანი, ადუნებენ ლექსის მდინარებას, აწყალებენ იმ ემოციონალურად მძაფრ ადგილებს, რომლებიც უსათუოდ ბლომად არის მოცემული პოემაში.

პოემაში კარგათ არის გაშლილი საბჭოთა მფრინავების მონაწილეობა ნობილეს ექსპედიციის მონაწილეთა გადარჩენაში.

„შეერთდენ ერნი კავკასიისა
და იმღერიან ერთ სალამურში
სიმშვიდე ჩადგა ჩვენს ქვეყანაში
და აღარ ტირის შენი ანუში".

მიმართავს პოეტი ოვანეს თუმანიანს ლექსში „ახდა ოცნება პოეტებისა".

„ციკლი „სომხეთი", რომელიც დაიწერა ქართველ მწერლების დელეგაციის სომხეთში მოგზაურობასთან დაკავშირებით, გაჟღენთილია ჯანსაღი ინტერნაციონალიზმის, ერთა სოლიდარობის გრძნობით. ისტორიულ ქარტეხილებით გავერანებულ, მეფის რეჟიმის და დაშნაკების ბატონობით

განადგურებულ მხარის აღორძინება და აყვავება პოეტში ბულწრფელ აღტაცებას იწვევს. ის სწორედ სჭვრეტს იმ ძალებს, რომელსაც გამოჰყავთ ეს აოხრებული და გავერანებული კუთხე აღორძინების გზაზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბოლშევიკური იბრძვის წერაქვი,
და რაც ოცნებად კაცი სახავდა,
ჭირში და ოფლში წყეული შრომა
განთქმულ გმირობის საქმედ გამხდარა“.
(ლექსი „ქვათა ღაღადი“).

პოეტი გაბედულად დგება ერთა სოლიდარობის, კლასთა ბრძოლის თვალსაზრისზე:

„ვართ მოკავშირე იმ თაობისა,
რომელსაც მარტო სწამს კლასთა ომი
ბევრს ჩაეშალა ნავბნელი ზრახვა,
და წაუხდინეთ ბევრაც ნახტომი“.

მოძმე რესპუბლიკაში ის თავისთავს უცხოდ არა გრძნობს:

„მე უცხო თემში ვიყავი სტუმრად,
მაგრამ აქ უცხო არავინ არი.
ვისმენ ჩარენცის „ეპიურ დილას“,
მხიბლავს მარტიროს, მე, სარიანი,
და ქართულ ლექსით ალაპარაკდა,
ისაკიანია „აბულ-მაარი“.

მაგრამ ამ ციკლშიც ის თავს ვერ აღწევს მისი ლექსისთვის ჩვეულ კომპოზიციურ შეცდომებს, ძველ სახეებს და ხშირად ძველ განცდებს. ის ხშირად წინანდებურად მხოხავი მცენარესავით ეხვევა, ეყრდნობა ქართველ რომანტიკოსებს, ზოგჯერ ლექსი („სალამური რომ სალამურია“) გააზრებულია როგორც მათთან გაპაექრება, მაგრამ ის მაინც ვერ ახერხებს მათგან თავის საკმაოდ გამიჯვნას. ქართველ საბჭოთა მწერლების დელეგაციის წევრს საბჭოთა სომხეთის დედაქალაქში სხვა განწყობილებები იპყრობს, ვიდრე რუსულ აგრესიულ იმპერიალიზმის სატრაპს გრიგოლ ორბელიანს და ძმათა მათ, რომლებიც ხმალით უკაფავდნენ გზას თავის პურის მაჭმიერთ კავკასიის კლდეების გულისაკენ, ერევნისაკენ თუ ყარსისაკენ. ტ. ტაბიძე გრძნობს, რომ ქართულ საბჭოთა მწერლის ჩასვლა წითელ ერევანში ახვა არის, ვიდრე რუსეთის იმპერიალიზმის ურდოთა მეგზურის. ის ამბობს:

„ჩვენც ერევანის ვართ სიახლოვეს,
ვზივართ აქ ერთად სარდარის ბაღში,
ახალი ისმის აქ სადღეგრძელო,
უფრო ახალი ვაშა და ტაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინც თვალით ნახა ქვეყნის დაქცევა
და ავსებული ხევები მძორით
ნახა რომ იქცა ველურ უდაბნოთ
ველი მორწყული ოფლით და შრომით
განა არ გვმართებს, ამხანაგებო,
რომ ახვა თაობას ჩვენ ეს ვუამბოთ...
და არ იქნება ეს სადღეგრძელო,
ეს ცრემლი არის და ჟრუანტელი.

მაგრამ ამ ცრემლისა და ჟრუანტელის, ომის და ჟლეტის ამ რემარკისებურ განცდას იქით პოეტი მაინც ვერ მიდის. ის თუმც აქ სხვა ჰანგზე ეხმაურება გრიგოლ ორბელიანს, ვიდრე თავია შემოქმედების დასაწყის, ცისფერ-ყანწელურ პერიოდში, მაგრამ მაინც ვერ იმეტებს მას იმისათვის, რომ პირში მიახალოს, გამოამჟღავნოს მისი როლი რუსულ იმპერიალიზმის ექსპანსიაში.

ამ ციკლის სხვა ლექსებში „ქვათა ღაღადი", „ლაჟვარდი ლაჟვარდს" და „ავტოდორი დიდ უდაბნოთა" იმდენად სჭარბობს რაღაც არქაულ-ბიბლიური განცდები და სახეები, რომ მკითხველი სავსებით ჰკარგავს დროისა და სივრცის შეგნებას, მან არ იცის სად იმყოფება ის, აწმყოში თუ წარსულში. და ეს რომანტიულ ლირიული აბლაბუდა ბურავს და აბნელებს ჯანმრთელ ნტრიხებს, თანადროულობის, ჩვენი ბრძოლისა და მშენებლობის სურათებს.

„და მეცოდება მე ჩემი თავი,
როგორც საწყალი ჩიტი ნიბლია,
როცა ამ ველზე წამოქცეულა,
გილგამეში და თვითონ ბიბლია".

შემდეგ ლექსებშიც ვერ ართმევს ის თავს ბიბლიურ სახეებს. ამ არქაულ-ბიბლიურ სახეებია ტყვეობაში მოქცეულს მას უძნელდება სოციალისტურ მშენებლობის კონკრეტულ სურათების, კონკრეტულ სახეების მოცემა.

„განა თუ მართლა ტყვილად ხატია
გერბზე ნამგალი და ან ჩაქუჩი
გამოიცვალა ადამიანი
და გაიტეხა ბუნება ურჩი

ამბობს ის ლექსში „ქვათა ღაღადის", მაგრამ ამ ახალს და გამოცვლილს ის მაინც ძველ სახეში ჭვრეტს:

„განა არ ვიცი
რომ დაშნაკებმა
სულით ხორცამდე
ხალხი გაყვლიფეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რა ვუყო,
რომ ვხედავ კიდევ,
ასურულ ლურსმნის იეროგლიფებს
და არამაისს ერზეკიანსაც,
სახე მიუგავს ასურბანიპალს“.

განა არ არის ამ შემთხვევაში მართებული „უწყალო კრიტიკოსის“ შენიშვნა, რომ პოეტი ისევ ძველ გზებს სტკეპნის, თუნდაც ამ შემთხვევაში ფორმის დარგში.

ეს სოციალისტური „ქვათა ღაღადია“, ეს ბიბლიური „აწ და მარადის“, სოციალისტური მშენებლობის ახალ კიდობანის ჭედვასთან შედარება ერთ ლექსს გვაგონებს რევოლუციის პირველ წლებში რომ მღეროდენ ჩვენში „ქრისტე აღსდგას“ ხმაზე:

„აღსდგა მუშა მკვდრეთით,
თოფებითა, კეტებითა,
თვითმპყრობელი ნიკოლოზი ძირს,
გაუმარჯოს თავისუფლებასო“.

ახალი აზრის ამგვარად ძველ სამოსელში გახვევა, „ახალი ღვინის ძველ გუდებში ჩასხმა“ დამახასიათებელი იყო რევოლუციონურ ლიტერატურის ჩანასახ პერიოდისათვის. ეს უკვე განვლილ პერიოდათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ლიტერატურაში და მისი განმეორება არავითარ შემთხვევაში სასურველი არ არის.

სხვა რომელ ქვეყნის მგოსანს ექნება, მიზანი აზრი უფრო ნათელი, ამბობს ის ლექსში „სალამური რომ სალამურია“:

„ჩვენ კავკასიის ხალხთა პოეტებს,
ერთი გზა გვაქვს და ერთი მანძილი
რომ სოციალიზმის აშენდეს ფუძე
და ხალხს ელირსოს მშვიდობის ძილი“.

თითქოს აქ პოეტს გარკვეული აქვს ის ფართე შარაგზა, რომლითაც უნდა მოდიოდეს მისი შემოქმედების განვითარება.

მაგრამ ამავე პერიოდში, ამ დიდ ამოცანებით და იდეებით ნაკარნახევ ლექსების გვერდით პოეტი იძლევა მთელ ციკლს ლექსებისას „ოქროყანა“, „მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი“ და ბევრი სხვა ცალკეული ლექსები, რომლებიც ამ „ნათელი მიზნებით და აზრებით თითქოს ვერ კმაყოფილდებიან, რომლებიც „წმინდა“, უსაგნო ლირიკისაკენ მიისწრაფიან და ხშირად ძველ, ძირითადში პოეტის მიერ დაძლეულ დაცემულ განწყობილებაში არიან დაწერილი. ამ ლექსებს არ ახასიათებს დიდი მხატვრული დახვეწილობა. იგივე მოუწესრიგებელი მოზვავება განწყობილებების, იგივე ამორფიულობა განწყობილებებში, როგორც დასაწყის პერიოდის ლექსებში, აქ ვერ დაიჭერთ ერთ ძირითად, წამყვან ხაზს, გარდა საერთო, ზოგად, საღერღელ აშლილობის განწყობილებისა.

„ციკლში „ოქროყანა“ ის თავს რაღაც გარიყულად გრძნობს, რაღაც წუწუნის, საყვედურის და სამდურავის ტონი გამოაჭვივის ამ ლექსებში:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწარეა ლუკმა საქართველოში
პოეტებისთვის უფროა მწარე
მინდა მეც ავდგე და ჯოხით ხელში,
ჩამოვითხოვო სამშობლო მხარე“, — სჩივის ის ამ ლექსებში.

რას იზამს კაცი ზოგჯერ ჩივილიც ავტომატიზაცია ქმნილ პოეტურ ხერხად იქცევა ხოლმე, თორემ ამ საყვედურის უსაფუძვლობას მტკიცება ვგონებ არ სჭირდება.

ამ მოთენთილ, მოდუნებულ განწყობილებით დაწერილ ლექსებში გვხვდება შიგა და შიგ მსუბუქი ფუნჯით დახატული სურათები, მაგ. შემოდგომის პეიზაჟი ოქროყანაში.

მაგრამ ლანდშაფტების სილამაზე, ბუნების მოვლენის ციძლიერე მასში ყოველთვის რაღაც კნინობით, ვნებით განწყობილებას იწვევს.

„შენ რომ ხელი გკრან ისიც წაგაქცევს, ამას ტყვიების მეხი ღარავდა“, ამბობს ის ქოროღლის ციხეზე ლექსში „ოქროყანა“.

„ოქროყანიდან დავყურებ შენ ბჭეს
და სიხარული ძვალრბილში მივლის,
ასეთი ბედი რომ მომანიჭეს,
პატარა ძაღლი გიცავდე ტფილისს“...

ასეთ უსაგნო, უძარღვო ლირიკის წინააღმდეგ ის თითონ ილაშქრებს ერთ ლექსში.

„ვის უნდა მერე შენი გოდება
გადმოღვარული ცრემლის ლექსებით“ — ამბობს პოეტი.

ლექსები „მუხრანის ველზე ლექსი“, „მეწყერი მეწყერს“ დასაწყისში, თუმცა წარმოადგენენ უსაგნო პეიზაჟურ ფერწერის ნიმუშებს, არ არიან მოკლებული ერთგვარ დინამიურობას, იმედიან რიტმს, სახეების კონკრეტობას და სიმკვეთრეს, მაგრამ ორთავ ლექსის დასასრულში კავკასიის ბუნების სიდიადე, მოზვავებული ჯანყი და ნამქერები პოეტში დაკნინებულ, დეკადენტურ განწყობილებას იწვევენ.

ეს უსაგნო საპეიზაჟო ლირიკა, რომელიც ამ დაკნინებულ საღერღელ აშლილ და დაცემულ განწყობილებებით სრულდება, მხოლოდ ამ ციკლის მესამე ლექსში „წინეთ თუ ერთი იყო მთრეხელი“ ჰპოებს ერთგვარ იდეოლოგიურ ფერმენტს...

...„და ვეკითხები ამ დაბურულ
სკვითების ღამეს
რა იქნა ჩვენი ჭაბუკობა
და გატაცება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ გადაფისა ასე გული
მშრალი ბალღამით.
და არ გვაცალა შთაგონების
დავაჟკაცება“.

მიმართავს ტ. ტაბიძე ლექსში „ილაიალი“ (1925 წ.) ალი არსენაშვილს.

დღეს ტ. ტაბიძის შემოქმედების განვითარებისთვის ოდნავ თვალის გადავლებაც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, თუ რა უმართებულო იყო ტიციანის წუწუნი, რომ მას არ აცალეს „შთაგონების დავაჟკაცება“.

ამ პერიოდში ტ. ტაბიძის შემოქმედება იკვებებოდა გახრწნის პროცესში მყოფ დეკადანსის ლიტერატურის მძორით და თუ მისი „შთაგონების“ და შემოქმედების განვითარება ამ გზით წავიდოდა, ის დარჩებოდა თავისი ფორმით და შინაარსით ისეთი მკვდარშობილი, ეპიგონური, ბერწი და უნაყოფო, როგორიც ის იყო ტიციან ტაბიძის პოეზიის „გასაბჭოების პერიოდამდე“ (1927 — 28 წლამდე). ახალი ეპოქისკენ მობრუნებამ, ახალი სამყაროს მხატვრულ (და არა მარტო დეკლარატულ) აღქმამ ტიციან ტაბიძის შემოქმედებაა გადუშალეს განვითარების ახალი გზები.

თავის შემოქმედების ამ პერიოდში მან მოგვცა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისა, რომლებზედაც ზევით იყო საუბარი. მაგრამ ამ პერიოდის ნაწარმოებებში მაინც უხვად გვხვდება ფორმის მხრივ დაუხვეწავი, შინაარსის მხრივ ზოგადი, გენერალური, საპროგრამო ნაწარმობები. ახალმა ეპოქამ, ახალმა სამყარომ ბევრი მისცა ტ. ტაბიძის შემოქმედებას. ტიციანმაც მისცა ამ ეპოქას ბევრი რამ. მაგრამ პოეტს არ აქვს უფლება უთხრას მას — ბარი-ბარს — ჩვენ გასწორებული ვართო. ახალ ეპოქას, სოციალისტურ საზოგადოებაა მშენებლობის ეპოქას აქვს უფლება და საფუძველიც მოსთხოვოს პოეტს ამ საპროგრამო ლექსების განაღდება, ამ პროგრამის განხორციელება.

განა თუ მართლა ტყვილად ხატია
გერბზე ნამგალი და ან ჩაქუჩი.
გამოიცვალა ადამიანი.
და გაიტეხა ბუნება ურჩი.

ამბობს პოეტი ლექსში „ქვათა ღაღადი“ და ეს ახალი ეპოქა მოითხოვს პოეტისაგან, რომ მან ეს გამოცვლილი, ახალი ადამიანი მოგვცეს კონკრეტულად, შინაარსის შესატყვის ფორმებში, და არა ასურბანიპალების და ნაბუხოდონოსორების წამოსასხამში და ნილაბში, მოგვცეს ეპოქა კონკრეტ სახეებში და ფერმებში, იმუშაოს ფორმის დახვეწაზე და თემატიკის, შინაარსის დაკონკრეტებაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ალხაზიშვილი

საქართველოს სახვითი ხელოვნება დღევანდელ ეტაპზე

საქ. მხატვართა კავშირმა ყოფ. სამხატვრო გალერეაში ა. წ. 6 მაისს გახსნა დიდი გამოფენა „საქართველოს საბჭოთა მხატვრობის 13 წელი". ამ გამოფენაში მონაწილეობას ღებულობს საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა მხატვარი, მოქანდაკე და გრაფიკი. გამოფენილი პროდუქციის სიმრავლით და ხარისხობრივი მხრითაც ეს გამოფენა სრულიად განირჩევა აქამდე მოწყობილ სხვა გამოფენებისაგან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ასეთი ვრცელი გამოფენა ჯერ არ ყოფილა მოწყობილი.

აღნიშნული გამოფენა ნათლად მოწმობს, რომ 13 წლის განმავლობაში ქართულმა მხატვრობამ საკმაო შემოქმედებითს ზრდას მიაღწია, და რომ მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში შესაძლებელია ხელოვნების ასეთი განვითარება. ამავე დროს გამოფენა ცხადად გვიჩვენებს თუ რანაირი ბრძოლა დასჭირდათ საბჭოთა მხატვრებს, რომ უკუეგდოთ ძველი ესთეტიზმის გზა, განთავისუფლებულიყვნენ ფორმალიზმისაგან და დაცემის ხანაში მყოფ საზღვარგარეთელი ბურჟუაზიის მრავალი „იზმებისაგან". გარდა ამისა გამოფენა გვიჩვენებს, რომ მხატვრობის უმრავლესობა დღევანდელ საბჭოთა მასალაზე მუშაობს და ცდილობს შეძლებისდაგვარად ჩაებას დიდ სოციალისტურ აღმშენებლობაში.

23 აპრილის ცეკას ისტორიული დადგენილება დიდს შემოქმედებით პასუხისმგებლობას მოითხოვს მხატვრისგან. დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ მხატვრობა იდეოლოგიის ისეთივე დარგია, როგორც ლიტერატურა. მხატვრობა სახეებით აზროვნებაა და სურათი წარმოადგენს სოციალურ მოვლენას. დადგენილებამდე არსებული მხატვართა ორგანიზაციები, რომელნიც აფერხებდენ ჩვენი მხატვრობის იდეურ და ტექნიკურ ზრდას, ლიკვიდირებულია და დღეს საბჭოთა მხატვრებს, ერთიან საბჭოთა პლატფორმაზე გაერთიანებულებს, შესაძლებლობა აქვთ გამოააშკარავონ ყოველგვარი პოტენციალური შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

დღეს უკვე აღარავინ კამათობს საბჭოთა თემატიკაზე მუშაობის აუცილებლობაზე. დღის წესრიგში სდგას საკითხი მხატვრის ცოდნის და კულტურის ამაღლების შესახებ. ზოგს მეტისმეტად მარტივად და ვულგარუ-

ლადაც ესმის საბჭოთა თემატიკაზე მუშაობა. სრულიად საკმარისი არ არის მხატვარმა თავის სურათის ობიექტად აიღოს რომელიმე საბჭოთა ქარხანა, საკითხი დგას იმის შესახებ, თუ რანაირი მხატვრული ტექნიკით და ფერწერითი ტექნიკით განასახიერებს იგი ამ ობიექტს. საკითხი დგას მხატვრის მიერ თავის მხატვრული ტექნიკის დაუფლების შესახებ. ეს დებულება უმთავრესად ჩვენს ახალგაზრდა მხატვრებს ეხებათ.

მეორეს მხრივ ზოგიერთი მხატვარი, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამდისაც იყო ცნობილი, როგორც მხატვრობის ოსტატი, სწორედ ამ თავის ძველ ოსტატობას ვერ იყენებს სათანადოდ ახალ თემატიკასთან შეფარდებით. რასაკვირველია, ჩვენი მხატვრობის ძველი ოსტატები, ყველა მუშაობს დღევანდელ თემატიკაზე, სათანადო მსოფლმხედველური გარდატეხა მათაც ეტყობათ, მაგრამ მათი მხატვრული ოსტატობა ჯერ კიდევ არ არის ჩვენს სოციალურ სინამდვილესთან ორგანიულად დაკავშირებული. საბჭოთა სინამდვილის ასახვა უნდა იყოს ორგანიული, იდეური და რეალური. რაში გამოიხატება მაგალითად ჰოლანდური სკოლის მხატვრების ოსტატობა? ჰოლანდელებმა თავიანთ ტილოებზე გამოხატეს ბურჟუაზიულ რევოლუციის, ნიდერლანდების სავაჭრო კაპიტალის რევოლუციის იდეები. ჰოლანდური მხატვრობა არის ჰოლანდური ბურჟუაზიის ხელოვნება, ხელოვნება ჯანსაღის, აღმავალი კლასის, ეგრედ წოდებული მესამე წოდების. აქედან — ჰოლანდური მხატვრობა გამოხატავს ერთი კლასის იდეოლოგიას. სწორედ ამით არის ჰოლანდური მხატვრობა აგრეთვე მეტად ნაციონალური მხატვრობა, რადგან გამოხატავდა რა თავის ხელოვნებაში ერთი კლასის, ბურჟუაზიის, იდეებს და მისწრაფებებს, იგი (მხატვრობა) მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხთან, მასებთან, ამით შეინარჩუნა მან თავის ნაციონალური სახე და ხასიათი

სწორედ ასეთი ოსტატობა სჭირდება საბჭოთა მხატვარს. მისი მხატვრობა უნდა გამომდინარეობდეს საბჭოთა სინამდვილის რევოლუციონური პრაქტიკიდან, პროლეტარიატის, როგორც აღმავალი კლასის, რევოლუციონური მსოფლმხედველობიდან. სოციალისტური რეალიზმი პირველყოვლისა მხატვრის მსოფლმხედველობის საკითხია. ის დაკავშირებულია მის რევოლუციონურ აქტივობასთან, კულტურასთან და ცოდნასთან. და მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის გზით შეიძლება ცნობილი ლოზუნგის „ნაციონალური ფორმით და სოციალისტური შინაარსით“ მხატვრული განხორციელება ჩვენს სინამდვილეში.

სწორედ ასეთი გადიდებული მოთხოვნილებებით უნდა მიუდგეთ აღნიშნულ გამოფენას, რადგან 13 წელი საკმაო დროა იმისთვის, რომ ქართულ მხატვრობას თავისი სახე გამოემჟღავნა. ამიტომ ჩვენს გარჩევაში დავიცავთ თითოეულ მხატვრისადმი დიფერენცირებულ მიდგომას. საჭიროა თითოეულ მხატვრის შემოქმედების კრიტიკული ანალიზი, მისი მიღწევების და ნაკლის აღნიშვნა, მისი შემოქმედების გზის გამორკვევა სწორედ იმ პრობლემების გაშუქების საფუძველზე, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.

ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ გამოფენა არ იძლევა ამა თუ იმ მხატვრის ზრდის პროცესის ჩვენებას 13 წლის განმავლობაში. გამოფენა არ ატარებს რეტროსპექტიულ, ისტორიულ ხასიათს. ეს ამ გამოფენაზე ვერ დაინახავთ მაგ. ლადო გუდიაშვილის მხატვრულ გზას 13 წლის განმავლობაში. გამოფენა იძლევა უმთავრესად უკანასკნელი რამოდენიმე წლების ნამუშევარს. რაც შეეხება თვით მხატვრებს, აქ წარმოდგენილია თითქმის ყველა თაობის მხატვრები, როგორც ძველი ოსტატები, ისე გამოუცდელი ახალგაზრდობა, რომელიც მოწაფურ მდგომარეობას არ გასცილებია.

ჩვენ არ შევუდგებით ისეთი ცნობილი მხატვრების დახასიათებას, როგორც მაგალითად განსვენებული ელ. მრევლიშვილი, ან გიგო გაბაშვილი, ან ევგენი ლანსერე. თითოეულ მათგანზე ცალკე სპეციალური წერილების და მონოგრაფიების დაწერა შეიძლება. თავის დროზე მათი პერსონალური გამოფენის შესახებ ჩვენს პრესაში სათანადო წერილები დაიწერა. რასაკვირველია, არც გიგო გაბაშვილი, არც ალ. მრევლიშვილი და ევგ. ლანსერე არ არიან აღნიშნულ გამოფენაზე საკმაოდ წარმოდგენილი. ეს არც იყო საჭირო ამ გამოფენაზე. მაგრამ ვსარგებლობთ რა იმ შემთხვევით, რომ რამოდენიმედ გ. გაბაშვილი და ალ. მრევლიშვილი წარმოდგენილი არიან ამ გამოფენაზე, ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ერთ გარემოებაზე, რომელიც იწვევს არა სასურველ გაუგებრობას მათი შეფასების დროს. რასაკვირველია ქართულ მხატვრობის ისტორია, ალბად თავის დროზე დაიწერება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგიერთ კრიტიკოსს რატომღაც წარმოდგენილი ყავს გიგო გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, როგორც ფეოდალური კლასის წარმომადგენელი ქართულ მხატვრობაში. ეს სრულიად არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. გაბაშვილი საქართველოში „რეპინიზმის" დაგვიანებული წარმომადგენელია. და ის გარემოება, რომ იგი ხატავდა ფეოდალურ კოშკებს, ხევსურთა ღრეობას ან სამარკანდის ბაზრობას, სრულიადაც არ ამტკიცებს გაბაშვილის ფეოდალურ კლასის წარმომადგენლობას. განა იმის გამო, რომ ლ უ ი დ ა ვ ი დ ი თავის გმირებს ანტიურ ტოგაში მოსავდა, ანტიურ მხატვრობის წარმომადგენლად ჩაითვლება? მართალია, გაბაშვილის ბურჟუაზიული რეალიზმი რომანტიულ ელფერშია გახვეული, მაგრამ განა ა ლ. ყ ა ზ ბ ე გ ი ან ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა ფეოდალიზმის წარმომადგენლები არიან ქართულ ლიტერატურაში?

ასეთივე გაუგებრობა არსებობს ა ლ. მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი ს შესახებაც. ადარებენ ეგნატე ნინოშვილს და სხვა. ალ. მრევლიშვილს არაფერი საერთო არ ჰქონდა მუშათა კლასთან. ეს ისტორიულად ასეც უნდა ყოფილიყო. ალ. მრევლიშვილი „ნაროდნიკული" მოძრაობის დაგვიანებული წარმომადგენელია ქართულ მხატვრობაში. აქედან გამომდინარეობს მისი სურათების „დაბალი ღობე", „ღალა", „კანცელარიის წინ" და ამგვარი სოციალური ნაკადები. ალ. მრევლიშვილი ეგ. ნინოშვილის კი არა, ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს და ნ. ლ ო მ ო უ რ ი ს პარალელური მოვლენაა

ქართულ მხატვრობაში. აქედანვე გამომდინარეობს ალ. მრევლიშვილის მხატვრობის სიუჟეტურობაც.

ზოგს წარმოდგენილი აქვს სიუჟეტი როგორც მხოლოდ-ლიტერატურის კათეგორია, ამიტომ ზოგიერთი მხატვარი შეგნებულად გაურბის სურათში სიუჟეტის გადმოცემას. ასეთი მხატვრები კმაყოფილდებიან სურათში მხოლოდ ერთი რომელიმე სტატიური მოვლენის გადმოცემით. ეს, რასაკვირველია, შემცდარი აზრია. ამისაგან წარმოსდგება სწორედ აღნიშნული გამოფენის უმეტეს ნაწილში ესკიზური ხასიათი. ესკიზები და ეტიუდები უფრო მეტია, ვიდრე დასრულებული მთლიანი სიუჟეტის სურათები. ჩვენი მხატვრობა უნდა იყოს იდეური და ჩვენი ეპოქის დონეზე მყოფი. ამისთვის კი უბრალო ილუსტრატიულობა არა კმარა. იდეის და პრობლემის განსახიერება შეიძლება უკეთესად სიუჟეტის საშუალებით. ალ. მრევლიშვილი თავის „ნაროდნიკულ" იდეებს დიდის ოსტატობით გამოხატავს სიუჟეტიან სურათებში. ამით სრულიად არ იდევნება მხატვრობის სპეციფიკა. საჭიროა ჩვენმა მხატვრებმა დასვან საკითხი სოციალისტური სიუჟეტის შექმნის შესახებ. ჯერ კიდევ გოგენი ამბობდა, რომ ყოველ საგანში არსებობს წინააღმდეგობა მისი პლასტიური და სიუჟეტური შინაარსის შორის. სოციალიტური რეალიზმი სწორედ ამ ორი ელემენტების პლასტიურობის და სიუჟეტურობის წონასწორობას, ერთიანობას მოითხოვს. არც ერთი, არც მეორე ელემენტი არ უნდა სჭარბობდეს; ეს არის სწორედ მხატვრობის ოსტატობა.

აკადემიკოსი ევგ. ლანსერე წარმოდგენილია გამოფენაზე სამი სურათით: „ნატურ-მორტი". „პარიზის ქუჩის რემონტი" და „ნაგაის ველები". ლანსერე მეტად ცნობილი მხატვარია, და ამ სამი სურათით არ შეიძლება მისი დახასიათება. ჩვენ გვინდა მხოლოდ ახალგაზრდა მხატვრების ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. აი პატარა სურათი „პარიზის ქუჩის რემონტი", მაგრამ რაოდენი სიცოცხლით და ოსტატობით არის იგი გადმოცემული! და განა ჩვენი სინამდვილე არ იძლევა ასეთივე მასალას? ჩვენი მხატვრები უმთავრესად სოფლის თემატიკას ჰკიდებენ ხელს. რასაკვირველია, საკოლმეურნეო თემატიკის მართალი, რეალისტური გადმოცემა მხატვრობაში აუცილებელი და საჭირო საქმეა. მაგრამ რატომღაც სრულიად მივიწყებულია ქალაქის ყოფა-ცხოვრება, ქალაქის პეიზაჟი. ავიღოთ თუ გინდ თემა, ქუჩის რემონტი. განა ჩვენს ირგვლივ საკმაოდ არ არის გაჩაღებული ქალაქის აღმშენებლობა: ახალი სახლების აშენება, ქუჩის გალამაზება, ტრამვაის ლიანდაგის გაყვანა და სხვა მრავალი. განა ეს არ არის ღირსი საბჭოთა მხატვრის მიერ ტილოზე განსახიერებისა? საჭიროა ჩვენმა მხატვრებმა შემოქმედებითი ყურადღება მიაქციონ ამ მიეწყებულ თემატიკას. 23 აპრილის ცეკას ცნობილი დადგენილება მოითხოვს მხატვრისაგან თემატიურ მრავალნაირობას, სხვადასხვაობას და არა ერთ რომელიმე თემატიკაში ჩაკეტვას, რაც უმეტეს შემთხვევაში ქმნის ერთხელ გამომუშავებულ მოსაწყენ ტრაფარეტს.

ქალაქის პეიზაჟის გადმოცემის მხრივ აღსანიშნავია ორი სურათი სხვადასხვა მხატვრისა. ელენე ახვლედიანის „ბაზრის ქუჩა“ უსათუოდ დიდი ოსტატობით არის შესრულებული. მართალია მას ანრი რუსუ-ს ეტრილლოს გავლენა, მაგრამ ეს არ არის უბრალო მიბაძვა, პირამედ თემასთან შეფარდებული გადამუშავება. „ბაზრის ქუჩა“ არ წარმოადგენს ძველი ტფილისის იდეალიზაციას. პირიქით, მხატვარს მეტად მხატვრულად და მოხდენილად აქვს წარმოდგენილი ახალი საბჭოთა ქალაქის აღმშენებლობის შეჭრა ამ ძველ უბანში (საბჭოთა აფთიაქი, ტრამვაის ლიანდაგი და სხ.). ჩვენ კარგად ვიცნობთ ე. ახვლედიანის ძველ ნახატებს — პარიზის ქალაქის პეიზაჟებს. საჭიროა მხატვარმა ეს თავისი გამოცდილება მოახმაროს სოციალისტური ქალაქის რეალისტური პეიზაჟების შექმნას. მხატვარი ამას შესძლებს. ამის თავდებია მისი სურათი „ბაზრის ქუჩა“.

სამწუხაროდ იგივე არ ითქმის კულეშის მიერ შესრულებულ სურათის შესახებ „სანაპირო ქუჩის მშენებლობა“. ეს არ არის მხატვრობა. თემა მეტად გაუბრალოვებულია და ნერ არის რეალისტურად დაძლეული. ე. ახვლედიანის „ბაზრის ქუჩა“ რომ უბრალო ფოტოგრაფია ყოფილიყო, იგი ვერ მიაღწევდა თავის მიზანს. ეს სურათი კი ფოტოგრაფიაა, ისიც მეტად ცუდი. არა კმარა მხატვარმა ესა თუ ის სურათი გადმოგვცეს. სურათში, საჭიროა საგნების მხატვრული კომბინაცია იმ მიზნის განხორციელებისათვის, რომელიც მხატვარს ჰსურს მიაღწიოს. კულეშის სურათში არც საგნების უბრალო გადმოცემაა და არც მათი მხატვრული კომბინაცია. ასეთივეა მისი (სხვა ჟანრის, მაგრამ იმავე მეთოდით შესრულებული) სურათი „დიღომის წითელი ქარავანი“...

პორტრეტის პრობლემა თანამედროვე მხატვრობაში მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას. ამ მხრით ჩვენი გამოფენა მეტად ღარიბია. მაგრამ ზოგიერთი ტენდეციები ამ ჟანრის დაუფლების მაინც არსებობს.

ენგრმა სთქვა: „портрет — пробный камень живописца“. მართლაც პორტრეტი მეტად ძნელი ჟანრია. ამიტომ არის, რომ მრავალი მხატვარი გაურბის მას. სამწუხაროდ ჩვენში ჯერ არ არის შექმნილი პორტრეტის კულტურა. მართლაც გიგო გაბაშვილი შესანიშნავი პორტრეტისტია, მაგრამ მისი პორტრეტისტიკა არ გასცილებია ბურჟუაზიულ პორტრეტის მიერ დაკანონებულ შტამპებს: ინდივიდიალური პორტრეტი ნეიტრალურ ფონზე. ასეთივეა გამოფენაზე წარმოდგენილი გ. ზაზიაშვილის „ზაქარია ჭიჭინაძე“. რეპინი, გაბაშვილი, ზაზიაშვილი — ასეთია ხაზი მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თვითონ ბურჟუაზიულ პორტრეტისტიკაში არსებობს განსხვავება. ავიღოთ მაგალ. რეპინის ცნობილი „პორტრეტი მ. მუსორგსკისა“ (1881) და შევადაროთ მისი მოწაფის სეროვის „პორტრეტს „რიმსკი-კორსაკოვი“ (1898). მაშინ როდესაც მუსორგსკი მოცემულია ნეიტრალურ ფონზე ინდივიდუალიზებური მხოლოდ ფსიქოლოგიურის დახასიათებით, სეროვის რიმსკი-კორსაკოვი მოცემული სათანადო გარემოცვაში, რომელიც გარეგნულად ხსნის და ახასიათებს ადამიანს. აქ დახასიათება მოცემულია ამხსნელი ატრიბუტების მიერ (ნოტები და სხვა).

ასეთ ტლანქ (გარეგნულ) დახასიათებას არაფერი საერთო არა აქვს სოციალისტური პორტრეტის შექმნასთან. რასაკვირველია, ჩვენ არ უარვყოფთ ინდივიდუალურ პორტრეტს, სადაც მოცემული იქნება [illegible] მხოლოდ ფსიქოლოგიური დახასიათება, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა პორტრეტში სოციალური დახასიათების მოცემა. რეპინის (ჩვენში გაბაშვილის) პორტრეტი იძლევა ადამიანის შინაგან ბუნებას ლოგიურ კათეგორიებში, სეროვის პორტრეტი იძლევა ადამიანის გარეგან დახასიათებას თითქმის უიდეოთ. მაგრამ ამით არ ამოიწურება ბურჟუაზიული პორტრეტის პრობლემა. ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიამ დიდი რევოლუციის შემდეგ შექმნა ისეთი ძლიერი პორტრეტისტი, როგორც ლ უ ი დ ა ვ ი დ, რომელიც თავის შესანიშნავ ინდივიდუალურ პორტრეტებს უკეთებს სოციალურ აქცენტს. მის რეალისტურ პორტრეტში სოციალური განუყრელია ინდივიდუალურისაგან. ასეთივეა ჰოლანდური პორტრეტი 17 საუკუნისა, რომელიც იძლევა შესანიშნავ მაგალითს მთელი ეპოქის გამოხატვისა მისი წარმომადგენლების სახით. და მართლაც ჰოლანდიურმა მხატვრობამ შექმნა პორტრეტის ერთი სახე, რომელიც ჩემის აზრით უნდა შემოვიდეს საბჭოთა პორტრეტის მხატვრულ პრაქტიკაში, ეს არის ჯ გ უ ფ უ რ ი პ ო რ ტ რ ე ტ ი, სადაც მხატვარი იძლევა ერთი რომელიმე ცეხის ან გილდის ოსტატების, ხელოსნების ან სამხედრო პირების ჯგუფურს კორპორატიულ პორტრეტს, რაც არ არღვევს სურათის კომპოზიციურ მთლიანობას. რატომ არ შეიძლება ჰოლანდიელების მსგავსად შეიქმნას ჯგუფური პორტრეტი მაგ. რომელიმე საბჭოთა ქარხნის დამკვრელების, ან კოლმეურნეობის წევრების, ან წითელარმიელების? ასეთ პორტრეტებს ჰქმნიდენ წარსულში ისეთი გიგანტები, როგორც რ ე მ ბ რ ა ნ დ ტ ი, ფ რ ა ნ ს ჰ ა ლ ს ი და სხვა. და საბჭოთა მხატვრობამ მათგან უნდა ისწავლოს კრიტიკულის გადამუშავებით სოციალისტური პორტრეტის შექმნა.

როგორ სწყვეტენ პორტრეტის პრობლემას ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, და კ. სანაძე? ლ ა დ ო გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი მეტად ორგანიული მხატვარია, იგი ძლიერია სწორედ იქ, სადაც თავის თავს არ ღალატობს. „ფიროსმანიშვილის პორტრეტი“ შესრულებულია გუდიაშვილის ჩვეულ ტონებში და ეკუთვნის იმავე რიგს, როგორც უწინ დახატული „ბარათაშვილი“, „რუსთაველი“. მხოლოდ იმ განსხვავებით, რაც უსათუოდ მხატვრის გარდაქმნას ამოწმებს, რომ „ფიროსმანიშვილში“ ნაკლებად არის მოცემული დეფორმაცია და მეტი ცდაა რეალიზმისკენ მიახლოვებისა. მაგრამ ეს პორტრეტია ისეთის ფსიქოლოგიურის დახასიათებით, როგორც ნიამორი, რომელიც იძლევა „საწყალი ნიკოლას“ შინაგან ბუნებას.

ე ლ ე ნ ე ახ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს „აჭარელი“ (1927 წ.) უფრო რეალისტურია, საერთოდ უნდა ითქვას, რომ რეალობის გრძნობა ყოველთვის ახასიათებს ე. ახვლედიანის სურათებს. თქვენ ხედავთ პირველ პლანზე ახალგაზრდა აჭარლის რეალისტურ პორტრეტს, რომელიც მოცემულია პეიზაჟურ ფონზე. პეიზაჟი არ არის გაუპიროვნებული, აბსტრაქტული, პირიქით, გორაკიანი ნაძვის ტყე და მოჩუხჩუხე წყარო იძლევა აჭარელის ძლი-

ვერ დახასიათებას. აქ სურათი არ გაიყოფება ორ ნაწილად, როგორც პორტრეტი ისე ფონი განუყოფელი და განუყრელი ნაწილებია ერთი კომპოზიციურ მთლიანობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური პორტრეტის შექმნის ცდას წარმოადგენს ასევეთვე კ ო რ ნ ე ლ ი ს ა ნ ა ძ ი ს „აჭარელი მეთევზე“ და „აჭარელი მესტვირე“. ორივე სურათი იძლევა პირველ პლანზე ინდივიდუალურ სახეებს, მხოლოდ ეს სახეები მოცემულია სათანადო პეიზაჟის ფონზე, რომელიც მოწოდებულია სოციალურად დაახასიათოს პორტრეტი. „აჭარელი მეთევზეში“ ეს უფრო მიღწეულია, ვიდრე „აჭარელ მესტვირეში“. საქმე ის არის, რომ პირველში მოცემულია მეთევზის დახასიათება სოციალურ გარემოსთან მისი დამოკიდებულების გამოსახვით. აქ მოცემულია სოციალური დახასიათება ადამიანის პეიზაჟურ ფონის საშუალებით. ეს რასაკვირველია არ არის ახალი სიტყვა პორტრეტურ მხატვრობაში. ჰოლანდურ სკოლაში მრავალ სურათს იპოვით, სადაც მოცემულია პორტრეტის კომბინაცია ნატურმორტულ ან პეიზაჟურ ნაწილებთან (მაგალითად ვ ა ნ-დ ე რ-ჰ ე ლ ს ტ ი და სხვა), მაგრამ სანაძე არ ჰბაძავს ბრმად ამ შემთხვევაში ჰოლანდელებს, არამედ ქმნის კომპოზიციას რეალური საბჭოთა შინაარსის საფუძველზე. სოციალური პორტრეტი უნდა იძლეოდეს ახალი ადამიანის ჩვენებას მის სოციალურ პრაქტიკაში. ამ მხრივ კი შედარებით სუსტია „აჭარელი მესტვირე“, სადაც მესტვირეს ყავისფერი პეიზაჟის ფონზე უჭირავს სათანადო ატრიბუტი (სტვირი), რაც წარმოადგენს ადამიანის ერთად-ერთ გარედან დახასიათებას.

საჭიროა ჩვენმა მხატვრებმა მეტი ყურადღება მიაქციონ პორტრეტულ ჟანრს ინდივიდუალურის და ჯგუფურ პორტრეტების შექმნის მხრივ. ჩვენი ხანა არის პირველ ყოვლისა სოციალისტური ადამიანის ყოველმხრივი განვითარების და გაფურჩქვნის ხანა. და ჩვენი მხატვრები ვ ა ნ-გ ო გ ი ს ა ვ ი თ უნდა გაიძახოდენ: „მე მინდა ადამიანი ვხატო, მხოლოდ ადამიანი, ვინაიდან ამ ორფეხა ცხოველზე უფრო საინტერესო არაფერი არ მეგულება“. გამოფენაზე კი ჩვენ ნაკლებად ვხედავთ ადამიანის სახეს. არიან მხოლოდ ფიგურები გაბნეული ან საკოლმეურნეო და ან ინდუსტრიალურ პეიზაჟებში. ჩვენ კი ვიცით ფრანგი პეიზაჟისტის ნ ი კ ო ლ ა პ უ ს ე ნ ი ს სიტყვები, რომ ადამიანი საცოდავად გამოიყურება იქ, სადაც ბუნებას პირველი ადგილი უკავია. პეიზაჟი ვერ მოგვცემს ინდივიდუალიზებურ სახეებს, თუ კი იქ მთავარი პეიზაჟია. აქ ისევ ჰოლანდელებს უნდა მივმართოთ და შევქმნათ ისეთი პორტრეტები, როგორც ზემოდ იყო ნახსენები. განა ჩვენი კოლმეურნეობა არ იძლევა მთელ გალერეიას კოლმეურნეთა სახეებისა? ჩვენ უნდა გვყავდეს საბჭოთა ვ ა ნ-ო ს ტ ა დ ე (ჰოლანდელი მხატვარი), რომელმაც გლეხთა სახეების მთელი გალერეია მოგვცა.

პეიზაჟი გამოფენის მთავარ ღერძს წარმოადგენს. უხვად არის წარმოდგენილი საკოლმეურნეო პეიზაჟი, ნაკლებად — ინდუსტრიალური. ეს არის გამოფენის სიძლიერეც და მისი სისუსტეც. საერთოდ უნდა ითქვას,

რომ არა მარტო მხატვრობა, არამედ ჩვენი ხელოვნების სხვა დარგებიც (როგორც მაგ. ლიტერატურა, კინო) უმეტეს შემთხვევაში საკოლმეურნეო თემატიკაზე მუშაობს. ეს რასაკვირველია ძლიერი მაჩვენებელია ჩვენი ხელოვნების მუშაკების საბჭოთა ახალი მასალის დაძლევისა. მაგრამ ამავე დროს თითებზე ჩამოსათვლელია ინდუსტრიალურ თემატიკაზე გაკეთებული კარგი რომანი, კინო ფილმი ან მხატვრული სურათი. საჭიროა ამასაც ყურადღება მიექცეს და ეს თემატიკური გარღვევა შეივსოს. მხატვრობა ამ მხრივ უფრო ჩამორჩენილია.

დავიწყოთ ინდუსტრიალურ თემატიკიდან. რა არის წარმოდგენილი გამოფენაზე და ვინ მუშაობს ინდუსტრიალურ პეიზაჟის შექმნაზე? პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს შემოქმედებითი მიღწევა ისეთი მხატვრების, როგორც ლ. გუდიაშვილი და ე. ახვლედიანი, რომლებმაც თავიანთი ძველი თემატიკური რკალი გაარღვიეს და ინდუსტრიალური პეიზაჟების ნიმუშებს მოგვცეს.

ლ ა დ ო გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ს მსოფლიო სახელი აქვს. მისი მრავალი სურათი ამშვენებს მოსკოვის, ჩიკაგოს, პარიზის და მადრიდის გალერეებს და მუზეუმებს. მხატვრობის ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა მორის რეინალმა მონოგრაფია დასწერა გუდიაშვილზე. 1919 წლიდან 1925 წლამდე ლ. გუდიაშვილი პარიზში მუშაობს და მონაწილეობას ღებულობს ევროპის სამხატვრო გამოფენაზე. გუდიაშვილს ნახატის (рисунок) დიდი ტექნიკა აქვს. გარდა ამისა იგი ფერწერის პირველ ხარისხოვანი ოსტატია. გუდიაშვილის პირველი გამოსვლა, როგორც მხატვრისა, 1914 წელს ეკუთვნის. ჩვენ არ შეუდგებით მისი 20 წლის შემოქმედებითი გზის დახასიათებას. ეს არც შედის ჩვენს ამოცანაში. ჩვენ გვსურს მხოლოდ ის ავღნიშნოთ, რომ ამ ოცი წლიდან ცხრა წლის მუშაობა მოდის საბჭოთა სინამდვილეში (1925 წ.) და უნდა ითქვას, რომ გუდიაშვილი ამ ცხრა წლის განმავლობაში მეტად მძიმე ტემპით უახლოვდება საბჭოთა თემატიკას და თანდათანობით სძლევს იმ ძველ ტვირთს, რომელიც ასე ორგანიულად ჩამჯდარი იყო მის შემოქმედებაში. საქმე ის არის, რომ გუდიაშვილი ძლიერია იქ, სადაც იგი ორგანიულია. მაგალითისათვის ავიღოთ გამოფენაზე წარმოდგენილი მისი სურათები „ბოროტი ოჯახი“ (1929) და „უმწეო“ (1930). ეს ორი სურათი შეიძლება მხატვრის მიერ ათი წლის წინადაც ყოფილიყო გამოფენილი. ამით ტრადიციული წარმოდგენა გუდიაშვილზე არ დაირღვეოდა. ამ სურათებში გუდიაშვილი ორგანიულია, გუდიაშვილია. მაგრამ ორგანიულობა როდია მარადიული კათეგორია. ყოველი მხატვარი სოციალური, ისტორიულად გაპირობებული არსებაა. გოეთე ამბობდა, რომ ის, რასაც ჩვენ მხატვარში ვსთვლით ორიგინალურად, ორგანიულად და მის პირად მიღწევად, უფრო მხატვარზე მსოფლიოს, ბუნების და საზოგადოების განუწყვეტელი ზედმოქმედების შედეგიაო. აქედან ორგანიულია ის, რაც გაპირობებულია ამა თუ იმ ეპოქით, ეპოქის მამოძრავებელი ძალებით, მხატვრის იდეური გარდაქმნა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა გარემოცვაში უკუაგდოს თავისი ძველი ორგანიულობა, რომელიც

ახალ პირობებში თავის ორგანიულობას ჰკარგავს, და ხელახლა ორგანიულად დაუკავშირდეს ახალ საბჭოთა თემატიკას. „ბორბალი ოჯახი“ და „უმწეო“ — ძველი გუდიაშვილია. „ბაკურიანის ანდეზები“ და „ფერომარგანეცის ქარხანა“ — ახალი გუდიაშვილია, ... სავსებით არ განთავისუფლებულა ძველი „ორგანიულობისაგან“, ძველი ნაშთებისაგან, ძველი ტვირთისგან. ამბობენ, რომ ეს „ძველი ტვირთი“ კულტურაა, და როდესაც ჩვენ მოვითხოვთ ძველი ტვირთისგან განთავისუფლებას, ეს ნიშნავსო იმ კულტურისგან განთავისუფლებას, რომელიც ახასიათებს გუდიაშვილსო. მაგრამ საკითხავია რომელი კულტურისგან? გუდიაშვილის ძველი კულტურა წვრილბურჟუაზიული კულტურაა და ამ კულტურისგან საჭიროა განთავისუფლება, რათა მხატვარი ახალი სოციალისტური კულტურის მწვერვალებს დაეუფლოს. მაგრამ ლენინის სიტყვით „Пролетарская культура не является выскочившей неизвестно откуда... пролетарская культура должна явиться закономерным развитием тех запасов знания, которые человечество выработало под гнетом капиталистического общества, помещичьего общества, чиновничьего общества“.

ცხადია, რომ ეს „ცოდნის მარაგი“ თავის სპეციალობაში, მხატვრობაში ისეთ ძველ დახელოვნებულ ოსტატს, როგორც გუდიაშვილია, უფრო მეტი აქვს, ვიდრე რომელიმე ახალგაზრდა მხატვარს. უკანასკნელმა უნდა შეისწავლოს და შეითვისოს ეს „ცოდნის მარაგი“. ლ. გუდიაშვილისათვის კი საჭიროა მხოლოდ უწინდელი ცოდნის და კულტურის გადამუშავება ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. რა არის კონკრეტულად ძველი გუდიაშვილის ზემოხსენებულ სურათებში? აქ წამოიჭრება საკითხი დეფორმაციის შესახებ. კანონიერია თუ არა დეფორმაცია საბჭოთა მხატვრობაში, როგორც განსაკუთრებული მხატვრული ხერხი? ამის შესახებ საბჭოთა ხელოვნების ცნობილ თეორეტიკოს — ი. მაცას თავის წიგნაკში: „Творческие вопросы советского искусства“, მოყვანილი აქვს სიტყვები, რომელიც არ შეიძლება არ გავიზიაროთ. მაცას აზრით არსებობს სამნაირი დეფორმაცია: პირველი — „наиболее худший вид деформации, когда она делается ради определенных религ.-мистич. стремлений художника“. ასეთი იყო დეფორმაცია მაგ., გოტიურ, ბიზანტიურ, ძველი ქართული და სხვა რელიგიურ ხელოვნებაში. დეფორმაციის მეორე სახე, როდესაც „деформация перестает быть деформацией и дает художеств. образное обобщение“. (ასეთი იყო, მაგალითად, ჰოლანდური მხატვრობა). გუდიაშვილის მხატვრობის დეფორმაცია არის მეორე სახის დეფორმაცია, როდესაც მაცას სიტყვით „во что бы то ни стало надо выкручивать реальные формы, потому что если не будет таких выкрутас, то не будет оригинальности, не будет новизны, и тогда скептический, усталый и иде-

ологически разоруженный буржуа не будет покупать вещей. Так было это после военного периода и до военного периода, когда именно эта деформация стала в центре художественных задач на капиталистическом западе". (იგულისხმება კუბიზმი, ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი და სხვა). დეფორმაციის ასეთ მაგალითს წარმოადგენს „ბოროტი ოჯახი" და „უმწეო". „ბაკურიანის ანდეზიტი" არის ცდა ახალი საჭირო თემატიკის განსახიერებისა. ძირითადში მხატვრის მიერ ამოცანა დაძლეულია, მაგრამ „ძველი ტვირთი" მაინც იჩენს თავს მუშების ფიგურების (წინა პლანზე ზურგით მაყურებლისაკენ არაბუნებრივ პოზაში მჯდომი მუშების დაკლაკნილი ფეხი) „დეფორმაციაში". თავისთავად „ბოროტი ოჯახი" ფორმალურად შესანიშნავად არის გაკეთებული, მაგრამ იგი ნეიტრალურია. უფრო ბიოლოგიური ამბავია („ბოროტება", როგორც ასეთი!). ვიდრე სოციალური, მიუხედავად იმ დიდი ოსტატობისა, როდესაც სამივე თავის დაგრეხილ ყბებით მხატვარი აღწევს განსაკუთრებულ ექსპრესიას.

მაგრამ სოციალური რეალიზმი, უარყოფს რა დეფორმაციის პირველ და მეორე სახეს (იხილე ზემოდმოყვანილი ი. მაცას კონცეპცია), სრულიად არ ქადაგებს რეალურ სინამდვილესთან პასიურ ემპირისტულ მიდგომას. ამ მხრივ დეფორმაციის საკითხები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ხელოვნების პირობითობის საკითხთან. ჩვენი „დეფორმაცია" უნდა გამომდინარეობდეს რეალური შინაარსის მოთხოვნილებიდან. დეფორმაცია, როგორც ცალკე პირების, საგნების ან მოვლენების დახასიათების მაქსიმალური გამოსახულების საშუალება. საბჭოთა მხატვრის „დეფორმაცია" ეს არის რეალური სინამდვილეში აქტიური, შემოქმედებითი მიდგომა, როდესაც საგანი ღებულობს განზოგადოებულ, კონცენტრირებულ სახეს და გამოხატავს სოციალისტურ სიმართლეს. ა. ლუნაჩარსკის სიტყვით „Правда есть развитие, правда есть конфликт, правда есть борьба, правда есть завтрашний день и нужно ее видеть именно так".

ლ. გუდიაშვილის უკანასკნელ სურათებში ჯერ კიდევ თავს იჩენს ძველი ფორმების გავლენა, ძველი ფორმა აქა-იქ ზეგავლენას ახდენს ახალ, სოციალისტურ შინაარსზე. აქედან გარდაქმნის პროცესის დაუმთავრებლობა. ეს პროცესი გუდიაშვილის შემოქმედებაში გრძელდება დიდის ტკივილებით, ბრძოლებით და წინააღმდეგობებით, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ მხატვარი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა.

ელენე ახვლედიანი ცნობილია როგორც მხატვარი 1918 წლიდან. მუშაობდა იტალიაში და პარიზში. მონაწილეობას იღებდა პარიზის, ჰოლანდიის, ბრიტანეთის და ამერიკის გამოფენებზე. მის მხატვრულ პროდუქციას აუცილებლად ეტყობა ევროპის მხატვრული კულტურის გავლენა. მაგრამ ევროპაში ე. ახვლედიანი არ გაუტაცნია კუბიზმს და ფუტურიზმს. ე. ახვლედიანს არასდროს არ უღალატნია ქვეყნის რეალისტური ათვისებისათვის. გარდა ამისა იგი, მიუხედავად მრავალი ევროპული გავლენისა, ყოველთვის ნაციონალური იყო. მაგრამ ეს ნაციონალური არასდროს არ

იყო დეკადენტურად დეფორმირებული, პირიქით მის ქართულ და პარიზის პეიზაჟებში და პორტრეტებში ყოველთვის ხედავთ რეალისტურ შეგრძნობას. შესანიშნავი და ძლიერი პეიზაჟისტი ე. ახვლედიანი ამ გამოფენაზე იძლევა მისთვის სრულიად ახალი ჟანრის ნიმუშს — ინდუსტრიალურ პეიზაჟს — „კრეკინგი ბათომში“ (1934 წ). ამ სურათში გრძნობთ სოციალისტური აღმშენებლობის ინდუსტრიალურ გიგანტს. მეტად მარტივი და გასაგები კომპოზიცია გამამხნევებელ, მხიარულ ტონებშია მოცემული ქარხანა ამუშავების პროცესში იმყოფება, როდესაც ცა დასერილია ბოლით. უყურებ ამ ბოლს და გაგონდებათ ენგრის სიტყვა რომ „ყველაფერს აქვს ფორმა, ბოლსაც კი“. მაგრამ მხატვარი ამით არ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გამოიჩინოს მეტი შემოქმედებითი სითამამე და სოციალისტური ქალაქის პეიზაჟის გვერდით შექმნას ინდუსტრიალური პეიზაჟები.

დახელოვნებულ და ძველი მხატვრებისათვის მეტად ძნელია თემატიური, რეკონსტრუქცია. ამის დამამტკიცებელია თუ გინდ ძველი მხატვრის ბ. ფოგელის სურათები ინდუსტრიალურ თემატიკაზე „ზაჰესი“ და „ზუგდიდის სახერხი ქარხანა“. რამდენად შესანიშნავად და მხატვრულად აქვს ფოგელს მოცემული ოთხი ნატურმორტი, აგრეთვე ბორჯომის და ჯვარის მონასტრის ეტიუდები, იმდენად ინდუსტრიალური პეიზაჟები მეტად სუსტი და უფერული გამოუვიდა მას.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მხატვრების უმეტესობა სამწუხაროდ არ მუშაობს ინდუსტრიალურ თემატიკაზე. მხოლოდ ერთად-ერთი ნიმუში აქვს წარმოდგენილი გამოფენაზე მხატვარ იორამ მამალაძეს „ფერომარგანეცის საღუმელო კორპუსი“. იორამ მამალაძე მეტად საინტერესო მხატვრად გვევლინება. მას აქვს გრძნობა ფერადულობის, ემჩნევა ცდები ფერწერითი ტექნიკის დაუფლებისა და სოციალისტურ აღმშენებლობას ისე გამოხატავს, როგორც შეეფერება ჯანსაღ, ოპტიმისტურ აღმავალ კლასს, რასაც ნათლად შევამჩნევთ თუ კი შევადარებთ ლ. გუდიაშვილის „ფერომარგანეცის ქარხანას“ ი. მამალაძის „ფერო-მარგანეცის“ ღია გამამხნევებელ ტონებს.

გამოფენის დიდი ნაწილი, მიძღვნილია საკოლმეურნეო თემატიკისადმი. ახალგაზრდა მხატვრები ქმნიან საკოლმეურნეო პეიზაჟებს, მაგრამ ეს არ არის პასიური პეზაჟი, საბჭოთა პეიზაჟი უსათუოდ უნდა იყოს გაჟღენთილი შრომის პროცესების ჩვენებით, შრომის პათოსით. პეიზაჟი, არა როგორც უბრალო დეკორატიული პანნო, სადაც ბუნება პანთეისტურ ხაზებში ბატონობს ყველაფერზე. მშრომელი ადამიანი ებრძვის ბუნებას. ლამობს მის საბოლოოდ დამორჩილებას. ამის შესანიშნავ საეპოქო მაგალითებს იძლევა ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის ყოველდღიური პრაქტიკა და საბჭოთა მხატვარი მოვალეა ასახოს ეს პროცესები სოციალისტურ პეიზაჟების შექმნით.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მხატვარი კოტე გრძელიშვილი. ის ჯერ ახალგაზრდა მხატვარია (დაიბადა 1902 წელს), და მხოლოდ 1929

წელს დაამთავრა ტფილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. მაგრამ მისი შემოქმედებითი ზრდა ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში აშკარაა. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღვნიშნეთ მისი საუკეთესო სურათი „რამის პლანტაცია ნოსირში“ („ბაზ. „ეროვნების“ № 162 $^{13}/_{7}$—33 წ.). ეს სურათი საინტერესოა როგორც ცდა სოციალისტური პეიზაჟის ნაციონალური ფორმებით გადმოცემისა. და მართლაც ჩვენი პეიზაჟი ხომ განსხვავდება სხვა ქვეყნის პეიზაჟებისაგან. მაგრამ არის თუ არა ეს განსხვავება აღნიშნული ჩვენი მხატვრების მიერ? სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჩვენს პეიზაჟებში უმეტეს შემთხვევაში ვერა გრძნობთ მზეს. საქართველო ცნობილია როგორც მზის ქვეყანა. აქეთ მოდის ყოველ ზაფხულს მთელ საბჭოთა კავშირიდან მზის აბაზანების მისაღებად მრავალი მშრომელი, რუსი მხატვრებიც მზის „დასაჭერად“ აქეთ მოილტვიან. ევროპის საუკეთესო მხატვრები, როგორც დელაკრუა, გოგენი, მატისი აღმოსავლეთში მოგზაურობდენ თავის ტილოებზე მზის ოქროს აღსაბეჭდავად. ჩვენი მხატვრები კი მზიან ქვეყნის შუაგულში სხედან, და მკრთალს, მოღუშულს, მოშავო პეიზაჟებს იძლევიან. საიდანაც ყოველგვარი მაჟორული, მხიარული ჯანსაღი ტონები განდევნილია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველ მხატვართა წინაშე უსათუოდ უნდა დაისვას მზის პრობლემა. კ. სანაძის, თ. აბაკელიას, ა. კოპალიანის სურათებში სრულიად ვერა ვგრძნობთ მზეს. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ კ. გრძელიშვილის სურათებში თუ იგრძნობთ აქაურ მზეს. „რამის პლანტაცია ნოსირში“ მოცემულია სამხრეთის ატმოსფერა, ამით არის გაჟღენთილი მთლიანად პეიზაჟი. მზეს გრძნობთ ცენტრში დიდის გემოვნებით დახატულ ხეების სიმწვანეში. პლანტაციაში მომუშავე კოლმეურნე გლეხის ფიგურებში, დასიცხულ ყვითელ გზაში, სადაც ყურადღებას იპყრობს მაყურებლისკენ ზურგით მოქცეული მიმავალი კოლმეურნე ალისფერი მანდილიანი ქალის ფიგურა. და როდესაც ამ სურათიდან გადავდივართ გრძელიშვილის უკანასკნელ სურათზე „ჭალადიდის ჭაობების დაშრობა“, თქვენ გრძნობთ მხატვრის უტყუარსა და ტექნიკურ ზრდას. ამ სურათში ადამიანის შრომა იმარჯვებს და იპყრობს ბუნებას. სურათი გაჟღენთილია სოციალისტური შრომის პათოსით და ამ მხრივ იგი უსათუოდ ჩვენი ეპოქის ძლიერი მხატვრული დოკუმენტია. მაგრამ სურათი ფერწერითი ტექნიკის მხრივაც მეტად საინტერესოა. კოლხიდაში ყოფნამ მხატვარს საშუალება მისცა „plein air“-ის საიდუმლოების გაგებისა. მეტად დამახასიათებელია აგრეთვე ჩვენი მხატვრების მიერ პლენერის პრობლემის უგულვებელყოფა. სუბტროპიკული მხარე ჩვენი ქვეყნისა მდიდარ მასალას აძლევს მხატვარს პლენერის გადმოსაცემად.. გძელიშვილის ამ სურათში ვგრძნობთ გამჭვირვალე ჰაერს. მის კოლხიდის პეიზაჟში ვგრძნობთ ატმოსფერულ ნიუანსებს, ფერის ფიბრაციას. აქ არ არის სინათლის და ჩრდილის კონტრასტი სურათი გაკეთებულია ნათელი ტონების კონტრასტზე, ამის წყალობით მაყურებელი გრძნობს რაღაც თავისებურ ფერების „წკრიალს“. მაგ-

რამ ეს მაინც იმპრესიონისტული პეიზაჟი არ არის. პლენერის გადმოცემა სრულიად არ წარმოადგენს მარტო იმპრესიონიზმის მონოპოლიას. პირიქით, გრძელიშვილის პლენერი რეალისტურად არის ათვისებული. ფერის და ხაზის თანასწორუფლებიანობა იძლევა პლენერის, რეალისტურ გაგებას. ამით არის ძლიერი გრძელიშვილის პეიზაჟები, ამით განირჩევა ეს მხატვარი სხვა ახალგაზრდა მხატვრებისაგან. ეს არის უსათუოდ მისი მიღწევა და მაჩვენებელი მისი უდავო შემოქმედებითი ზრდისა. მხატვარმა მომავალში უნდა განაგრძოს ამ გზით სიარული და შექმნას უდიდესი ტილოები.

კ ო რ ნ ე ლ ი ს ა ნ ა ძ ე იმავე ახალგაზრდა მხატვრების ჯგუფს ეკუთვნის, როგორც კ. გრძელიშვილი. დაიბადა 1907 წ., მუშაობდა მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში და 1929 წელს ტფილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერითი ფაკულტეტი დაამთავრა. კ. სანაძე უმთავრესად ჩვენი ქვეყნის საკოლმეურნეო თემატიკაზე მუშაობს, განსაკუთრებით სუბტროპიკულ მასალაზე, ჩაის, რამის, ციტრუსების, ლიმონის, მანდარინისა და სხვა. გამოფენაზე კ. სანაძე თითქმის მთელ ერთ კედელზე იძლევა მრავალ სურათს აჭარისტანის ცხოვრებიდან. სანაძე ცნობილია როგორც ფერების ოსტატი, და მართლაც სანაძის სურათებში ფერი სჭარბობს ხაზს. კონტურის პრობლემა მას არ აინტერესებს. და უკვე დამკვიდრდა აზრი, ვითომ სანაძე ჰოლანდიური (ან ფლანდრიული) მხატვრული მემკვიდრეობის მიმბაძველი ყოფილიყოს. სანაძეს ახასიათებს ფერის, კოლორიტის გაბატონება ხაზზე, კონტურზე. მაგრამ განა ამით ხასიათდება ჰოლანდიური სკოლის საუკეთესო მხატვრობა? მართალია ფერის პრობლემა მეტად აინტერესებდა ჰოლანდიელებს, მაგრამ არასდროს ჰოლანდიური სკოლის წარმომადგენლებს ხაზის კულტურა არ დავიწყებიათ. მაგალითად ავიღოთ თუნდაც ჰოლანდიელები: ფრანს ჰალსი, რემბრანდტი, ვერმეერი, პიტერ დე-ჰოხ, ჰობემა, რუისდალი ან ფრანდრიელი სნეიდერსი, რუბენსი, ტენირსი და სხვ. ყველა ეს მხატვრები მარტო ფერწერის დიდი ოსტატები კი არ იყვნენ, არამედ არა ნაკლები დიდი ოსტატები ხაზისა. მართალია, სანაძეს მრავალ სურათს რემბრანდტისებური ბნელი კოლორიტი ახასიათებს, მაგრამ რემბრანდტის „სიბნელე" ყოველთვის გასხივებულია სინათლის შუქებით. ამ მხრივ ანალოგიის გატარება სანაძის და ჰოლანდიური მხატვრების შორის მეტად ცალმხრივად მიგვაჩნია. თუ მივიღებთ მხედველობაში სანაძის ფერწერითს ტექნიკას, მაშინ სანაძე უფრო ვ ე ნ ე ც ი ე ლ ი სკოლის მხატვრებს შეედრება, ვიდრე ჰოლანდიურს. და მართლაც ავიღოთ თუნდაც კოლორიტის მსოფლიო ოსტატი ტ ი ც ი ა ნ ი. ცნობილი ვაზარი ტიციანის მუშაობის შესახებ ამბობს: „изображения живых и природных вещей... воспроизводил, как только мог лучше, при помощи цвета и пятен резкого или легкого тона, так как он это видел в природе, не пользуясь предварительным рисунком, ибо он считал непреложным, писать прямо краской... есть истинный и лучший способ работы"...

რას ამბობენ ტიციანის შესახებ მისი თანამედროვე მხატვრები. მაგ., სებასტიან დელ-პიომბო: „если изучил бы рисунок, он создал бы поразительнейшие вещи, имея в виду его прекрасное мастерство колорита“. ან და მიქელ ანჯელო ამბობდა, რომ მას ეშინოს ტიციანის მანერა და კოლორიტი, მაგრამ ყოველთვის ნანობდა, რომ ვენეციაში თავიდანვე არ ასწავლიან კარგ ხატვას. და მართლაც ტიციანის მანერა არის ფერწერა ნაკვთებით (мазковая манера). რასაკვირველია ტიციანი დიდსა და მიუწვდომელ ფიგურას წარმოადგენს მსოფლიო მხატვრობაში, და ჩვენ სრულიად არ გაგვყავს ანალოგია ტიციანისა და სანაძის შორის. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ტიციანის ფერწერის მანერა უსათუოდ გადმოღებული აქვს სანაძეს. მთავარი ფერი, ასე ვთქვათ, ძირითადი ფერი სანაძის სურათებში მწვანე ზურმუხტის ფერია, ფერწერაში ცნობილი, როგორც ტიციანისებური ფერი, რადგან იგი იყო ტიციანის უსაყვარლესი ფერი. შემდეგ — სანაძეს ახასიათებს დეტალების უქონლობა, რაც ქმნის საშუალებას სურათის აშენებას ლოკალური ტონებით მეტად მარტივი კომპოზიციის ფარგლებში. ასეთივე მანერა ახასიათებს ვენეციელ სკოლის მეორე დიდ კოლორისტს ვერონეზეს. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დიდი კოლორისტი ე. დელაკრუა, რომელიც დიდ თაყვანს სცემდა ტიციანს, ვერონეზეს და რუბენსს, ყოველთვის ამბობდა, რომ „краска ничто, если она не соответствует сюжету“ ან და „краска занимает меня всегда, но рисунок является моей постоянной заботой“. სანაძეს ხშირად ავიწყდება დელაკრუას ეს მოსაზრებანი და არ აქცევს სათანადო ყურადღებას ხაზის კულტურას, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ენგრის ცნობილი აფორიზმი: „живопись есть на три четверти рисунок“, მით უფრო ახლა, საბჭოთა სინამდვილეში, როდესაც მხატვრის წინ დგას საკითხი სოციალისტური რეალიზმის დაუფლებისა და როდესაც ნახატი (рисунок) აღიარებულია სახვითი ხელოვნების წამყვან ელემენტად, რადგან ნახატი გამოხატავს შინაარსს, იდეას, აზრს, ურომლისოდაც ჩვენ მივიღებთ მეტად ლამაზს ფერად მოზაიკას ან და იმპრესიონისტულ „განწყობილებას“ მხოლოდ. ასეთია მაგ. სანაძის ორი სურათი „მწყემსი“ და „მეთევზე“, ორივე შესრულებული იმპრესიონისტული „დამდნარი ფორმების“ ხერხებით.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, თითქოს სანაძე უკრიტიკოდ და უკომენტარიოდ იყენებდეს უწინდელ დიდი ოსტატების მანერას. სანაძეს არ ავიწყდება სეზანის არსებობაც. თუმცა ისიც იმეორებდა რომ „нет линий, ни моделировки, есть только контрасты (იხ. დელაკრუას: „в природе все контраст“), когда есть богатство цвета, есть и полнота формы“, მაგრამ მაინც ქმნიდა ფორმის სკულპტურობას, ვრცეულობას (об'емность). სამწუხაროდ ეს აკლია სანაძეს. ის იღებს სეზანის სამ ფერს: მწვანეს, ლურჯს და ნარინჯს და აძლიერებს მათს ფერადოვნებას. სანაძის ლურჯი ფერი უფრო ლურჯია,

ვიდრე სინამდვილეში, მწვანე უფრო მწვანეა და ნარინჯი (ფერის, ფორთოხლის ფერი) უფრო ნარინჯია. დელაკრუა ამბობდა ინგლისელ პეიზაჟისტის კონსტენბლის შესახებ, რომ „[illegible] был прав, когда утверждал, что превосходство его лугов происходит от того, что его зеленое само составлено из большого количества разных зеленых“. ფერადის გაძლიერების ასეთი ხერხი სანაძის პეიზაჟებსაც ახასიათებს. ავიღოთ მაგალითად „აჭარელი ქალები“: ორი ქალი კუთხეში, ზედ ფორთოხალი და ეს მსხვილი პლანის კადრი ჩაბეჭდილია პეიზაჟის ზურმუხტოვან ხალიჩაში. სიღრმეში მოსჩანს კაცების პატარა ფიგურები და ასეთივე პატარა ურემი. შემდეგ სეზანისებური „ჩაის პლანტაცია“, დიდი სურათი „აჭარელი კოლმეურნენი დემონსტრაციაზე“, რომელიც მეტად ცივ ტონებშია შესრულებული, სითბოს სრულიად არ გრძნობთ, რაღაც ეს ფიგურები უფრო ტრაგიულია, ვინემ დემონსტრაციაზე მიმავალი მხიარული კოლმეურნენი, რომელთაც თავიანთი მომავალი სჯერათ, ან და „ბახმაროელი ჩალანდარი“, სადაც შესანიშნავად არის გადმოცემული მოღუშული ცა, რომელიც ეს-ეს არის ჭექა-ქუხილით უნდა დაასკდეს ბახმაროს. სურათი ისეთი თავისებური ხელოვნებით არის გაკეთებული, ისეთ ცივ ტონებშია, რომ მართლაც გრძნობთ მისგან გამონადენ სიცივეს. სანაძის ფიგურებს და პეიზაჟებს ფერების გადმოცემით უსათუოდ რაღაც ტრაგიულობა ახასიათებს. სანაძის ფერები, მიუხედავად ტონის სიცივისა, მოუსვენარი, ამაღელვებელია! აქედან იბადება ქვეყნის რომანტიული შეგრძნობა. სანაძის ძირითადში რეალისტური შემოქმედება იძლევა რომანტიულ აფერადებას. სანაძეს ახასიათებს საბჭოთა სინამდვილის რომანტიული ათვისება. იგი ღებულობს ჩვენს სინამდვილეს პათეტიურ, აწეულ ტონებში. მაგრამ ამავე დროს სანაძის რომანტიულობა სოციალისტური რეალობის კონკრეტობაზეა აღმოცენებული.

სანაძის სურათებში ფერების ორკესტრაციას გრძნობთ. ფერი და არა სინათლე — ეს სეზანის მოთხოვნილება მას ფართედ აქვს გამოყენებული, მაგრამ სანაძეს სეზანის კომპოზიციური მონუმენტალობა აკლია. ამ მხრიც დამახასიათებელია სანაძის ორი საუკეთესო სურათი „აჭარელი რძალი“ და რით ეს ბრალდება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. პირიქით, ეს უფრო ხის ტიკინებია, ვიდრე მადონები. აჭარელი რძალის სახე ქარვისე-„გულიკომაც ჩადრი მოიხსნა“. აჭარელი რძალის და საერთოდ აჭარელი ქალის სახის გადმოცემაში სანაძეს უკიჟინებენ „მადონობას“. ჩემის აზბური ფორთოხლის ფერისაა. ასეთი სახე შეიძლება სულაც არ არსებობდეს აჭარაში, ისევე, როგორც სანაძისებური პეიზაჟები. მაგრამ „გულიკო“ ხომ იგივე „აჭარელი რძალია“. წარმოიდგინეთ, რომ სანაძის „აჭარელი რძალი“ გაცოცხლდა და გულიკოთ გადაიქცა. გულიკო უფრო მატერიალური, ცოცხალი სახეა, ვიდრე „აჭარელი რძალი“. გულიკო უფრო აჭარელი, უფრო ნაციონალური სახეა, ვიდრე აქამდე სანაძის მიერ მოცებული აჭარელი ქალების უსიცოცხლო და უსხეულო სახეები, და თვი-

თონ სურათიც მთლიანად მოცემულია სანაძისათვის სრულიად უწვეულო ტონებით. ღია, მხიარული, გამამხნევებელი ფერები შეიჭრა სანაძის პალიტრაში და „გულიკომაც ჩადრი მოიხსნა“ უსათუოდ სანაძის შემოქმედებაში ძლიერ სურათად უნდა ჩაითვალოს.

თ ა მ ა რ ა ა ბ ა კ ე ლ ი ა (დაიბადა 1905 წ.) მეტად მრავალმხრივი მხატვარია. იგი მოქანდაკეა, მხატვარი, გრაფიკი და დეკორატორი. 1929 წელს დაამთავრა ტფილისის სამხატვრო აკადემია ქანდაკების დარგში მოქანდაკე ი. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. და მართლაც მის სურათებს უსათუოდ ახასიათებს პლასტიკის და ნახატის პრიმატი. მისი საკოლმეურნეო პეიზაჟები „ბროწეულის კრეფა“, „ჩაის კრეფა“, „ლიმონის კრეფა“ და სხვ., რომელიც ჩვენი ქვეყნის სუბტროპიკულ ნაყოფიერებას იძლევა, უფრო — თუ შეიძლება ასე ითქვას — „ფერწერითი ბარელიეფებს“ წარმოადგენს, ვიდრე სურათებს ამ სიტყვის უბრალო გაგებით. საერთოდ ქანდაკისებური ტენდენციები იწვევს აბაკელიას სურათების დეკორატიულობას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პ ო ლ გ ო გ ე ნ ი ც მოქანდაკე იყო და აქედან მას ფიგურების გამომეტყველი და კონტურული ხაზები შერჩა. აბაკელიას ფიგურები თითქოს იწონიან და გაქვავებულან რიტმიულ მოძრაობაში. მუქი ყავისფერი ტონი შემოფარგლულია ძლიერი საკონტურო ხაზით. აქედან გამომდინარეობს აბაკელიას სურათების მონოქრომია და ერთტონობა. ამაშია უსათუოდ საშიშროება მხატვრის მიერ „თავისი“, „ილუზორული“ ქვეყნის შექმნისა და არა კონკრეტული რეალობისა, მთელი თავისი ფერების სიუხვით და სიმრავლით. მართალია ეს ერთტონობა ქმნის აბაკელიას, როგორც მხატვრის ორიგინალურ სახეს, მაგრამ ქვეყანა როდია ამოწურული ერთი ტონით. აბაკელიას როგორც მხატვარს სწორედ ეს ფერადულობის სიმდიდრე და სიუხვე აკლია. იგი არ იძლევა ჩვენი ცხოვრების მრავალნაირობას. თავისი მხატვრული შემოქმედების წინსვლისათვის აბაკელია უსათუოდ უნდა შეებრძოლოს ერთი ტონის გაბატონებას და ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრების სათანადო ეკვივალენტი უნდა მოგვცეს.

ა. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ც მუშაობს საკოლმეურნეო თემატიკაზე. გამოფენაზე მას წარმოდგენილი აქვს დიდი ზომის პეიზაჟები. აღსანიშნავია, რომ კოპალიანი პეიზაჟის პრობლემის გადაწყვეტას სურათის ოდენობით ლამობს. ეს შემცდარი შეხედულებაა. სივრცის პრობლემა პეიზაჟში სინათლის და ჰაერის პრობლემასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს. — ამ მხრივ „ჩაქვის ჩაის მეურნეობის“ პონორამული კომპოზიცია არ იძლევა სივრცის და სიღრმის პრობლემების გადაწყვეტას. ამ პეიზაჟში მოცემულია მასალის ჰორიზონტალური დალაგება, ჰორიზონტალური ხაზების გასწვრივ. მაგრამ ჯერ კიდევ სეზანი ამბობდა, რომ: „линии параллельные горизонту дают ощущение шири... линии перпендикулярные к нему дают глубину. Но природа постигается нами в ее глубине“. კოპალიანის პეიზაჟებს სწორედ ეს სიფართოვე (ширь) ახასიათებს და არა სიღრმე, რადგან იგი თავის პეიზაჟებს ჰორიზონტალურ ხაზებში აგებს. ამ მხრივ მისი პეიზაჟი „აგარაკი მუაში“ (ქვემო სვანეთი) უფრო ცხოველი და და-

მაჯერებელია, ვიდრე „ჩაქვის მეურნეობა“. შემდეგ კოპალიანის ფერწერა მეტად პრიმიტიულია, საჭიროა მეტი მხატვრულობა, მხატვრული გამოსახულობის მეტი პირობითობა და კონცენტრაცია. [illegible] ტული მიდგომა არ გამოდგება. მოვიგონოთ იმავე სენაზილიანის „я хотел скопировать природу, но это мне не удалось“. სოციალისტურ რეალიზმს არ სჭირდება ბუნების, რეალური სინამდვილის ასლი. აქ საჭიროა მეტი მხატვრული გამომგონებლობა, არ უნდა დავივიწყოთ მ. გორკის სიტყვები „факт еще не вся правда, он только сырье, из которого следует выплавить, извлечь настоящую правду искусства“.

დანარჩენ მხატვრებში საინტერესოა დარეჯანა ძნელაძე, რომელიც „კოლმეურნე ქალების“ ფიგურებში იძლევა რაღაც რუბენსისებურ გამომეტყველებას („სქელი ფორმები“). იორამ მამალაძეს პეიზაჟებში „პიონერები სოფლად იმერეთში“ და „დაფნის სანერგე იმერეთში“ ფერწერის კარგ კულტურას გრძნობთ... ფერი მოცემულია ნაკვეთებათ, რომელიც კომპოზიციურად შეხამებულია ერთმანეთში. ცხადია მხატვარს კიდევ დიდი მუშაობა მართებს სინამდვილის რეალურად ასახვისათვის და იმისთვის, რომ ფერადიულობამ არ გაიტაცოს იგი (მაგ. კოლმეურნეების სახეების მხოლოდ ფერად ლაქად წარმოდგენა). კარგია რ. ლორისმელიქოვის „ხე-ტყის დამზადება აფხაზეთში“, სადაც მოცემულია აფხაზეთის პეიზაჟის პერსპექტივაში მუშათა ფიგურების მოძრაობა წინა პლანზე.

შ. მარადაშვილის ორი სურათი „ქალი სახედრებით“ და „ახალი სოფლის ყოფა“ ფიროსმანიშვილის მანერით და ტრაქტოვკით აქვს გაკეთებული. მხატვარს სამწუხაროდ ჯერ არა აქვს კიდევ საკუთარი სახე. შეიძლება ეს ითქვას მესამე სურათის შესახებ „ყველაფერი ადამიანისათვის“, მაგრამ იგი დატვირთულია რაღაც მისტიური ალეგორიებით და ძალიან მოგაგონებთ იერონიმ ბოსხის ცნობილ ალეგორიებს.

ი. რომანიშვილი წარმოდგენილია უკვე ცნობილი სურათებით (გამოფენა „პირველი ხუთწლედი მხატვრობაში“) „სამუშაოდან დაბრუნება“, „ტრაქტორი მნიდვრად“, კარგად დამუშავებული პეიზაჟი გიტაცებთ მშვენიერ კოლორიტით. სამწუხაროა რომ ახალგაზრდა მხატვარმა ახალი არაფერი წარმოადგინა. საყურადღებოა ქ. გიორგაძის „წითელ არმიელები აჭარაში“ ფერების შეხამებით და ფიგურების კომპოზიციურად სწორი დალაგებით. აღსანიშნავია დ. წერეთლის „კალოობა ქართლში“ და „სიმინდის რჩევა ქვიშხეთის კოლმეურნეობაში“. კარგად არის შესრულებული ა. თენეიშვილის პეიზაჟები „დასვენება“ და „ანასეულის ჩაის მეურნეობა“. ლ. ქიქოძის „დასავლეთ საქართველოს პეიზაჟი“ თავის ხერხებით ძალიან მოგვაგონებს პაულ კლეს ექსპრესიონისტულ პეიზაჟებს, სადაც ხეების მაგიერ მოცემულია ჩხირების მსგავსი სამკუთხედები. მისივე „საკოლმეურნეო ბაზრობა“ უფრო „лубок“-ს წარმოადგენს, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს.

გიგო შერბაბაჩიანის. „ზანგეზურის კალო“-ს ყვითელ ტონებში გრძნობთ ჩვენებურ მზეს, მაგრამ ეს უფრო გვალვის მომასწავებელი მზეა, რომელიც ჭირნახულის ამოწვას უქადის ქვეყანას, [illegible], როგორც ცხოვრების საციცოცხლო ძალა და ენერგია. [illegible] ალსანიშნავი არიან ალ. ციმაკურიძე („წითელ-არმიელები სოფლად“ და „სიმინდის რჩევა“) და ა. ბაჟბეუკ-მელიკოვი, რომელმაც საშუხაროდ მხოლოდ ერთი სურათი წარმოადგინა „კალო მთებში“. სურათი მხატვრისათვის ჩვეული და ნაცადი ოსტატობით არის შესრულებული. გასაოცარია ფაქტურის გადმოცემის მხრით, იმდენად ოსტატურად არიან ფერები დალაგებული დაწყობილი და არა შეღებილი. ასეთივე ფაქტურით მუშაობს მხატვარი ნალბანდიანი თავის სურათში „კალოს ლეწვა კოლმეურნეობაში“. ამავე მანერით არის შესრულებული მისი ნატურ-მორტები, სადაც ისე გრძნობთ ჭურჭლის და თასების მატერიალურობას, თითქოს სურათის სიბრტყიდან ამოძრობას აპირებენო.

გარდა ინდუსტრიალურ და საკოლმეურნეო პეიზაჟებისა გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი პეიზაჟი, რომელიც არ გამოხატავს რომელიმე შინაარსს, არამედ მოცემულია როგორც ლანდშაფტი. ამ პეიზაჟების რიგში პირველი ადგილი ეკუთვნის ელენე ახვლედიანს. შუაში ვიწრო ქუჩა ორი ფიგურით კომპოზიციურად კარგად გადმოგვცემს მშვენიერი ფერებით შესრულებულ „თელავის“ (1927) ლანდშაფტს. „აბასთუმანი“-ს სპეციფიური მთიანი პეიზაჟი დიდის ოსტატობით აქვს გადმოცემული მხატვარს. მრავალ პლანებიანი პეიზაჟი ცენტრში ღია მწვანე ფერით და ზევით პატარა ზოლი ცისა, რაც თითქმის ახვლედიანის ყველა პეიზაჟს ახასიათებს. „ზამთარი სოფელში“ საინტერესოა ტონალობით. თეთრი ცა, თეთრი თოვლი, ცოცხის მსგავსი შიშველი ხეებით ყველა ეს გაცოცხლებული ადამიანის მოძრავი ფიგურებით. „პეიზაჟი სილნაღის გზიდან“ (1934) თითქოს ოთხსართულიანია. ფერების შეხამებით, შესანიშნავი ტონალობით, განსაკუთრებით შუაში ორი ალისფერი ბუჩქის გადმოცემით ეს პეიზაჟი მთელ გამოფენაზე ერთ-ერთ საუკეთესო პეიზაჟად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა ე. ახვლედიანს გამოფენაზე წარმოდგენილი აქვს მრავალი ნახატი ფანქრით და აკვარელით.

საინტერესოა შალვა მაყაშვილის პეიზაჟური ეტიუდები, მეტადრე მთის რაჭის ეტიუდებში № 88, რომელიც დიდი ემოციით არის შესრულებული, აგრეთვე სოფელ ღების ეტიუდი № 85, სადაც წინა პლანზე მოცემულია მოხუცი რაჭველების ტიპაჟი. შ. მაყაშვილი უსათუოდ დიდი მომავლის მხატვარია, საჭიროა მან განაგრძოს ამ გზით მუშაობა, რათა შექმნას პორტრეტული პეიზაჟები, სადაც პორტრეტი და პეიზაჟური ფონი სწორუფლებიან კომპონენტებად იქნება წარმოდგენილი. კარგია ვლ. ბურდულის „მლეთის ეტიუდი“, სადაც მოცემულია ყავისფერ მოყვითალო კოშკები და მიწა. შერპილოვის პეიზაჟებში ალსანიშნავია ფერადის გრძნობა.

სამწუხაროდ ვალ. სიდამონ-ერისთავი ორ არის სათანადოდ წარმოდგენილი. ცნობილია, რომ მხატვარმა უკანასკნელ წლების განმავლობაში დიდი მხატვრული სამუშაო ჩაატარა კინო-წარმოებაში, სადაც მან 25 კინო-სურათამდე გააფორმა. ალბად ამ გარემოებას ხელი შეუშლია სიდამონ-ერისთავისთვის ახალი სურათების ჩვენებისათვის. ცნობილი „წითელი კავალერიის" გვერდით ჩვენ ვხედავთ სურათს „წითელარმიელები კოლმეურნეობაში" და ახალ ნაწარმოებს „ბაქოს ნავთის საოეწაოები", რომელიც კინო-ექსპედიციის ნაყოფია უსათუოდ.

გამოფენაზე მრავალი ისეთი სურათია წარმოდგენილი, რომლის გამოფენა ჯერჯერობით ნაადრევად და არა სასურველად უნდა ჩაითვალოს. მაგ. გაბრუაშვილის და როინიშვილის სურათები, გ. გაბუნიას ეტიუდები, ასლანოვის „ბამბის კრეფა". ი. გვანცალაძის და ა. მაყაშვილის სურათები. ახალგაზრდებს კიდევ დიდი მუშაობა და ტექნიკის დაუფლება მართებთ. ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ რეზო აბაზაძის საინტერესოდ შესრულებული „მაღაროს მუშები ძველად", სადაც ერთი ჩირაღდანის სინათლით გაშუქებულია მაღარო და მუშების ფიგურები. იმედებს იძლევა კიკნაძე. მისი „არსენა ყაჩაღი" ოლეოგრაფიას წააგავს და „ლენინის დედა გენერალთან" ფერადით და ნახატით კარგად არის შეხამებული.

გამოფენის დადებით მხარედ უნდა იყოს ცნობილი შალვა ძნელაძის და შალვა მამალაძის სურათების წარმოდგენა. ეს მხატვრები დიდი ხანია აღარ იღებდენ მონაწილეობას გამოფენაზე, რაც 23 აპრილამდე არსებულ სამხატვრო ორგანიზაციებში გამეფებულ არაჯანსაღ ატმოსფეროს უნდა მივაწეროთ. შალვა ძნელაძე უსათუოდ კულტურული და კარგი გემოვნების მხატვარია. მას წარმოდგენილი აქვს მთელი რიგი სურათების 1841 წლის გურიის აჯანყების დროიდან. ამ მხრივ მისი სურათები „დამარცხებულნი" ეგნატე ნინოშვილის ცნობილი რომანის „ჯანყი გურიაში"-ს ილუსტრაციას კი არ წარმოადგენს, არამედ სრულიად დამოუკიდებელ მხატვრულ ეტიუდებს. შეიძლება ეს სურათები რევოლუციონურ რომანტიზმის ნიმუშები ყოფილიყო, მხატვარ ძნელაძეს რომ თავისი თემატიკა მხოლოდ აჯანყების დამარცხების მომენტებით არ შემოეფარგლა. მხატვრული გემოვნებით და თანამედროვე მიდგომით აქვს შესრულებული ბ. ძნელაძეს აგრეთვე ესკიზები ბატონყმობის ეპოქიდან.

შალვა მამალაძე 1924 წლიდან მონაწილეობს გამოფენებზე. მან დაამთავრა ტფილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერითი ფაკულტეტი, სწავლობდა ხუროთ-მოძღვრების ფაკულტეტზედაც. დიდხანს მუშაობდა კინო-წარმოებაში როგორც კინო-არქიტექტორი და ამიტომ არის, რომ მისი „სახკინმრეწვის ეტიუდებში" მშვენიერად არის გადმოცემული კინო-ატელიეს სპეციფიკა, რაც გამოხატულია იისფერი ტონებით. გარდა ამისა შ. მამალაძეს ეკუთვნის მრავალი ნახატები ძველი ტფილისის სერიიდან.

განცალკევებით სდგას თემატიურად ბ. სემიონოვის ორი სურათი „ტილოს გათეთრება“ და „ქალი ცირკში“. ორივე სურათი საინტერესოა ექსპრესიით, კულტურით და მხატვრული გემოვნებით.

ჩვენ განგებ ბოლოში მოვაქციეთ მოსე თოიძის და ვ. კროტკოვის სურათები, რადგან მათი ზოგიერთი სურათი, რომლებიც ყველაზე საყურადღებოა, მათ მიერ გამოფენილ პროდუქციაში, არც ერთი ზემოხსენებული ჟანრის პროდუქციას არ ეკუთვნის. ეს არის პროლეტარიატის რევოლუციონური მოძრაობის გარკვეული მომენტების ფიქსაცია ტილოზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსე თოიძის ორი სურათი „ამხ. სტალინი წყალტუბოელ გლეხებთან“ და „ამხ. სტალინის სიტყვა წულუკიძის დაკრძალვაზე“. პირველი სურათი პატარაა, მაგრამ უფრო მეტის ოსტატობით არის გაკეთებული ვიდრე მეორე. უსახო მასა პირველ პლანზე, წულუკიძის ცხედარი, მღელვარე ცა და ხეები ვერ არიან ერთმანეთთან კომპანიურად წონასწორად დალაგებული. მოსე თოიძე საკმაოდ ცნობილი მხატვარია საქართველოში. მან 1900 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადემია, სადაც სწავლობდა რეპინის ფერწერითი კლასში. მაგრამ მოსე თოიძე არასდროს არ ყოფილა თავის მხატვრულ შემოქმედებაში რეპინისებური ბურჟუაზიული რეალისტი. უნდა ითქვას, რომ 80—90 წლებში, როდესაც მ. თოიძე შევიდა აკადემიაში, რეპინი უკვე სტოვებდა რეალიზმის პოზიციებს და ჯერ პლენერის, შემდეგ იმპრესიონიზმისაკენ გადავიდა. სეროვი, რომელიც თოიძესავით რეპინის მოწაფე იყო უკვე სავსებით იმპრესიონისტულ სურათებს იძლეოდა, ამიტომ თოიძე ქართულ მხატვრობის ისტორიაში უნდა ჩაითვალოს როგორც იმპრესიონისტი. ასეთი იყო მისი შემოქმედების პირველი პერიოდი. შემდეგში თოიძის იმპრესიონიზმმა აკადემიური ხასიათი მიიღო. ამას მოწმობს „სამოვრის მელოდია“ (1928), რომელიც კუსტოდიევის „купчиха на балконе“-ს მოგვაგონებს ემოციონალობით. ამ მიმართულების დამახასიათებელი სურათებია აგრეთვე „თევზის დუქანი“ და „სამჭედლო“, „მრისხანე ფეოდალი“ (1934) მეტისმეტად ოპერულ-დეკორატიულად არის გაკეთებული კომპოზიციის და ტონალობითაც.

რასაკვირველია ვ. კროტკოვის შემოქმედება ვერ ჩაითვლება ფერწერითი მხატვრობის ნიმუშად. კროტკოვი ნახატის კარგი ოსტატია, რომელიც თავის შესაძლებლობას უფრო პლაკატში, საგაზეთო ნახატში ან კარიკატურაში გვიჩვენებს, ვიდრე ფერწერითს სურათებში. ასეთია მისი ყოველდღიური მხატვრული რეპორტაჟი, ასეთივეა მისი „შმიდტი“. გამონაკლისს წარმოადგენს „ამხ. სტალინი დისკუსიაზე“, რომელიც მეტად კარგად არის შესრულებული, მხოლოდ კომპოზიციას აფუჭებს წინა პლანზე დახატული მელოტი თავი, რომელიც სულ არ არის საჭირო. სამსონ ნადარეიშვილი ძლიერია, როგორც გრაფიკოსი, ილუსტრატორი და დეკორატორი. ამიტომ არის რომ მისი „კლასიური მტერი“, სადაც ბიოლოგიური მომენტი უფრო არის ხაზგასმული, პლაკატურია, ისევე როგორც „წითელარმიელები მთიულეთში“. მისი სტიქია წიგნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფიკაა და ამ დარგში მან უნდა განაგრძოს თავისი ნაყოფიერი მუშაობა. დ. ქუთათელაძეც წიგნის გრაფიკოსია („ვარდნილი") მაგრამ ვიდრე გრაფიკაზე და ქანდაკებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა, რამოდენიმე სიტყვა ითქვას ლადო გუდიაშვილის სურათზე „სომეხ-თათართა ჟლეტა".

ჩვენ განგებ გამოვტოვეთ თავის დროზე გუდიაშვილის ეს სურათი, რომ მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება მიგვექცია ამ სურათისადმი. აქ გუდიაშვილი ძველის თავის ნაცადი და დახელოვნებული ოსტატობით გამოდის. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ამ ოსტატობამ ვერ იხსნა სურათის მეტად საპასუხისმგებლო თემატიკა. მხატვარმა სომეხ-თათართა ჟლეტის „საშინელებათა" ჩვენების დროს გადალახა მხატვრული რეალიზმის საზღვრები და მთელი რიგი ნატურალისტური დეტალებით დატვირთა სურათი. თქვენ ხედავთ ბაშიბუზუკის მსგავს თათარს. მათ ხელში უჭირავთ სამი მოელვარე ხმალი. სამივე ხმალი ერთი მკერდში, მეორე ქალის ძუძუში და მესამე პირში (!) არის ჩარჭობილი. ფიგურების დალაგება კლასიკურად არის მოცემული მთლიან კომპოზიციაში: შუაში ქალის ქანდაკისებური ფიგურა, მის მარჯვნივ და მარცხნივ ორი „თათარი" ათამაშებული ხმლებით. პერსპექტივაში ორი აგრეთვე „აღელვებული" სახლი თითქო ქანაობს და აგრეთვე მზად არიან ერთმანეთს შეებნენ. ზევით ნეიტრალურ გაფითრებულ ცის ზოლი თითქოს გულცივი და გულგრილი „ბუნება" უცქერის ადამიანთა დედამიწაზე „გაგიჟებას". ასეთია ეს სურათი. აქ სოციალისტური რეალიზმის ნასახიც არ არსებობს. ანალოგიისათვის ასახელებენ რეპინის ცნობილ სურათს „ივანე მრისხანის მიერ თავის შვილის მოკვლას", მაგრამ ჯერ კიდევ კრამსკოიმ სთქვა ამის შესახებ: „кровь тьма, а вы о ней и не думаете". სწორედ ოსტატობაც ის არის, რომ მაყურებელს სისხლი არ აგრძნობინო. გაიხსენეთ კლასიკური სურათი დელაკრუასი „ხიოსის ჟლეტა" (1824 წლის თათარ-ბერძენთა ჟლეტა), სადაც არავითარი ნატურალისტური დეტალები არ არის წარმოდგენილი. ლ. გუდიაშვილი რეალიზმით ვერ შეებრძოლა ნატურალიზმს, ამიტომ სურათი მხატვრის მარცხად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ დიდხანს არ შევჩერდებით გრაფიკის და ქანდაკების გამოფენილ პროდუქციაზე. ამისთვის სპეციალური წერილია საჭირო. მოკლედ აღვნიშნავთ გ. თოიძის მეტად საინტერესო სატირულ და კარიკატურულ ნახატებს. იმავე მიმართულებისაა გ. ურრო. აღსანიშნავია წიგნის გრაფიკა ლადო ქუთათელაძის და ლადო გრიგოლიასი. მ. სალარიძის გრაფიკა, დ. თავაძის ფერადი ნახატები, ე. კახიძის მკვეთრი ნახატები, ვ. წილოსანის წიგნის ყდების ნიმუშები. ნახატის დიდი ტექნიკოსია ირინა შტემბერგი, რომლის პროდუქციაში აღსანიშნავია „ტელმანის დაპატიმრება", ლერმონტოვის ილუსტრაციები და „ჯაზი". უფრო სუსტია ნ. ლორთქიფანიძის რომანის და-

სურათები. ლ ა დ ო გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი ძლიერია როგორც მხატავი (рисовальщик). შესანიშნავად არის შესრულებული „ხბრძნელ-სიცრუის“ და „ვეფხვის ტყაოსანის“ დასურათება. აგრეთვე კარგია „შორეულ ზღვაზედეს“ ილუსტრაციები. დ. კლდიაშვილის იმერეთს ნაკლებად გრძნობს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ საბა-სულხანის დასურათებაში მხატვარი უფრო მეტად თავისუფალი და დამოუკიდებელია, ვიდრე „ვეფხვის ტყაოსანის“, სადაც სპარსული მინიატურის გავლენა ძლიერია.

ქანდაკების ფრონტის სათავეში დგას ი. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ქანდაკების შესანიშნავი და ძლიერი პორტრეტისტი, რომელიც საქართველოში როდენის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს. გ. ს ე ს ი ა შ ვ ი ლ ი და ვ. თ ო ფ უ რ ი ძ ე, — მენიეს ტრადიციებს აგრძელებენ. მაგ. ვ. თოფურიძის ქანდაკება ფიგურის პოზით და დაყენებით მეტად წააგავს კ. მენიეს ცნობილ ქანდაკებას „Der Lastträger“. საინტერესო ცდაა შეძლებული კოლმეურნის ქანდაკების საშუალებით მოცემა ს ი ლ. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მიერ. მეტად თავისებური მოქანდაკეა ზ ა ქ რ ო მ ა ი ს უ რ ა ძ ე. ნ ი კ ო კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს „ფიზკულტურელში“ არის ცდა მოძრაობის რიტმის გადმოცემისა. „ნიკო ქუმსიაშვილი“ მეტად მიმსგავსებული სკულპტურული პორტრეტია. საყურადღებოა ნ ი ნ ო წ ე რ ე თ ლ ი ს და მ ა რ ო ც ე რ ც ვ ა ძ ი ს ქანდაკება. შ. მ ი ქ ა თ ა ძ ე ს ქანდაკება საინტერესოა სიმძიმის და წონის გრძნობით. სამწუხაროა, რომ ჩვენი მოქანდაკენი სრულიად არ აქცევენ ყურადღებას და არ მუშაობენ ისეთ მასალაზე, როგორც მაგალითად ქ ვ ა ან ხ ე, რომელიც ადგილობრივ მასალას წარმოადგენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. დუდუჩავა

გმირული რომანტიკის თეატრი

რუსთაველის თეატრის 10 წლის თავის გამო

ათი წლის მანძილზე ახალი სათეატრო კულტურისა და ახალი მხატვრული სტილისათვის ბრძოლაში რუსთაველის სახელმწიფო თეატრმა დაგროვა უდიდესი გამოცდილება, გამოიმუშავა თავისი შემოქმედებითი პრინციპები; ჩამოაყალიბა თავისი ფორმალურ-სტილისტური ორიენტაცია. რუსთაველის თეატრის არსებობის ათი წლისთავი ობიექტურად უნდა შეფასდეს როგორც საბჭოთა ნაციონალური თეატრის უდიდესი გამარჯვება, როგორც ჩვენი მხატვრული კულტურის მოძრაობის ერთერთი მნიშვნელოვანი თარიღი, როგორც პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება სათეატრო მშენებლობის საქმეში.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა არსებითად დასძლია ძველი ქართული თეატრის პრინციპები, უარყო პასიური ნატურალიზმის შემოქმედებითი მეთოდი, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალისტურ რეპერტუარს და შეუდგა იმ ნაციონალური ფორმის ძებნას, რომელიც შეეფერებოდა სოციალისტურ თემატიკას, და როგორც ასეთი განისაზღვრებოდა სოციალიზმის მშენებელი პროლეტარიატის მსოფლმხედველობით.

საკმაოდ ჰქონდა გარღვევები რუსთაველის თეატრს თავისი შემოქმედებითი ჩამოყალიბების პროცესში, არაერთხელ უჩენია თავი ნაციონალიზმის ინერციას თეატრის პრაქტიკაში, არაერთხელ ყოფილა თეატრი მაცდუნებელი ეგზოტიკის ტყვეობაში, მაგრამ ერთი რამ ეჭვს გარეშეა: თეატრი იგნებდა ზოგიერთ თავის შემცდარ შემოქმედებითი პრინციპს, აწარმოებდა ბრძოლას მათ წინააღმდეგ, დაუღალავად ეძებდა თეატრალურად მიზანშეწონილ შემოქმედებითი ხაზს, განსაზღვრავდა რა მას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის იდეოლოგიური განწყობებით. საბჭოთა საზოგადოებრივობამ გამოზარდა რუსთაველის თეატრი, იგი საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა და ამიტომ გადაიქცა სოციალისტური კულტურული რევოლუციის ერთერთ მძლავრ ფაქტორად.

თავისი ათი წლის იუბილეს რუსთაველის თეატრი ხვდება გარკვეული ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რომლებშიაც მოცემულია შედეგები და დასახულია თეატრის შემდგომი შემოქმედებითი ზრდის პერსპექტივები.

სცენიური ოსტატობის ახალი სისტემის შექმნა, საბჭოთა ეროვნული ხელოვნების მეთოდოლოგიის გამომუშავება, რევოლუციურ რეპერტუარზე გადასვლა — ნიშნავდა ძველი ქართული თეატრის შტამპებსა და სქემებში განმტკიცებული ყველა ტრადიციისა და ჩვევებისაგან განთავისუფლებას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორ-სამი წლის შემდეგაც კი რუსთაველის თეატრი ჯერ კიდევ იმყოფებოდა სათეატრო ხელოვნების ნაციონალიზმის მიერ შებღალული სტილის ტყვეობაში. საბჭოთა საზოგადოებრივობა, საბჭოთა თეატრალური კრიტიკა თეატრისაგან მოითხოვდა საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი იმ ქართული ნაციონალისტური თეატრის შემოქმედებითი პრინციპებთან, რომელიც შეყვარებული იყო — „ფსიქოლოგიურ დეტალებზე", იხრჩობოდა დახავსებულ შტამპებში და ეწეოდა ზოოლოგიური ნაციონალიზმის პროპაგანდას. თეატრი უნდა წარმოადგენდეს მასების პოლიტიკური აღზრდის მძლავრ იარაღს და თავისი სპეციფიური საშუალებებით უნდა ამტკიცებდეს ნებისყოფას სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ხოლო ამისათვის საჭირო გახდა თეატრის შემოქმედებითი ძალების ახალი განლაგება, და მართლაც: ისინი, რომელნიც ხედავდნენ თეატრში მომხდარ ცვლილებებს, მაგრამ აწარმოებდენ ბრძოლას მათ წინააღმდეგ, წავიდნენ თეატრიდან.

აქტიორთა კორპორაცია „დურუჯმა" თავის 1924 წლის 29 იანვრის მანიფესტში ოფიციალურად განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს აწარმოოს შეურიგებელი ბრძოლა ახალი მსახიობისთვის, ახალი სტილისთვის, ძველი ქართული თეატრის ყველა პრინციპის წინააღმდეგ. მაგრამ ეს კორპორაცია, რომელმაც ერთ დროს დადებითი როლი ითამაშა თეატრის მიერ ახალ მიმართულებათა თვისების საქმეში, შემდეგში გადაიქცა საშუალო საუკუნეების მაგვარ კასტად და ამით მივიდა თავისი თავის უარყოფამდე. კორპორაციას უნდა წარმოადგენდეს არა აქტიორთა ცალკე ჯგუფი, არამედ მთელი თეატრი მხატვრული მთლიანობისა და მისი პრინციპულ-იდეოლოგიური გეზისათვის. ასე დადგა საკითხი, ხოლო ასეთმა გარემოებამ ობიექტიურად წინასწარ გადაწყვიტა კორპორაციის ბედი: თეატრმა დაშალა კორპორაცია „დურუჯი", რითაც თავი დააღწია აქტიორთა კასტის დიქტატურას.

იწყება ახალი პერიოდი თეატრის ცხოვრებაში. დაიწყო ახალი სტილის ძებნა, გაჩაღდა შემოქმედებითი ბრძოლა სათეატრო ფრონტზე. თეატრში შემოსული ახალი მაყურებელი თავის კატეგორიულ მოთხოვნებს უდგენდა თეატრს: თეატრი არ უნდა იყვეს ლიტერატურის უბრალო ილუსტრატორი, მშრალი ფოტოკორესპოდენტი, ყოფაცხოვრების პასიური ამსახველი. თავის ემოციური ზემოქმედების ყველა საშუალებით, მთელი თავისი მხატვრული რესურსებით თეატრი ხალისიანად და დამაჯერებლად უნდა მეტყველებდეს სოციალისტური მშენებლობის გმირულ ყოველდღიურო-

ბაზე, ახალი ადამიანისათვის, ახალი სოციალისტური საზოგადოებისთვის ბრძოლის პათოსზე და ენტუზიაზმზე. ყოველივე ეს მოითხოვდა სათანადო რეპერტუარს და სასცენო ხელოვნების სრულ რეფორმას. მაგრამ ნაციონალური საბჭოთა დრამატურგიის თითქმის უქონლობამ (1923 წ.) აიძულა თეატრი მიემართნა დრამატურგ — ექსპრესიონისტებისათვის. იდგმება: „შპიგელმენში", „კაცი მასა", „ლონდა", „მალშტრემი" და სხვ. (რობაქიძე, როგორც დრამატურგი, გერმანელ ექსპრესიონისტების საკმაოდ მოსაწყენი პლაგიატორია). „მალშტრემში" „მიწის" კულტი დაპირისპირებულია კულტურისა და ცივილიზაციისადმი. ქალაქის „ცივილიზაცია" ახდენს ადამიანის „სულის" მექანიზაციას, ბრძოლა ქალაქის წინააღმდეგ ამავე დროს არის ბრძოლა ადამიანის განთავისუფლებისათვის, ბრძოლა მიწისთვის. პიესა დრამატურგიულად მეტად სუსტია, ხოლო იდეოლოგიურად წარმოადგენს სოფლის იდილიის სრულყოფის იდეის აპოლოგიას, რაც ბევრ რამეში გვაგონებს ჟან-ჟაკ-რუსოს მსოფლმხედველობას. ამ სპექტაკლში მარჯანიშვილი და ახმეტელი შეეცადენ შემოქმედებითი გზით დაეძლიათ ნატურალიზმი და მის მიერ განსაზღვრული სისტემა აქტიორული ოსტატობისა. მაგრამ თეატრის ექსპრესიონისტული დრამატურგიით გატაცების ეს პერიოდი მაინც უნდა ჩაითვალოს ახალი შემოქმედების გზის ძებნის პერიოდად, რომლის პროცესში თავს იჩენს სცენიური ოსტატობის ფორმალისტური რეციდივები („შპიგელმენშის", „მალშტრემის", და სხვ.). მაგრამ არც მეორე ხაზსაც, რომელიც დაისახა ამის პარალელურად — თეატრალური ესთეტიზმის ხაზს („მასკოტა", „ინტერესთა თამაში") არ შეეძლო დაეკმაყოფილებია ახალი მსმენელის და კულტურული რევოლუციის გაზრდილი მოთხოვნილებები.

„მასკოტის" და „ინტერესთა თამაშის" საუცხოვო დადგმა წარმოადგენდა სანახაობით კატეგორიას, რომელიც მოკლებული იყო ემოციურ გაჟღენთილობას და საჭირო სოციალურ დატვირთვას.

ამრიგად, ვერც გეზის აღებამ ევროპულ და გაქართველებულ ექსპრესიონისტებზე, ვერც ორიენტაციამ სანახაობით ესთეტიზმზე ვერ შესძლეს საბჭოთა ნაციონალური თეატრის ძირითადი ამოცანის გადაჭრა: სასცენო ხელოვნების იმ ნაციონალური ფორმის პოვნა, რომელიც გამოხატავდა სოციალისტურ შინაარსს ინტერნაციონალური აღზრდის ფუნქციებისათვის. მაგრამ ამ პერიოდმა ითამაშა ის დადებითი როლი, რომ წარმოდგენების შემოქმედებითი ორგანიზაცია განთავისუფლებულ იქნა ნატურალიზმისაგან, ხოლო აქტიორული ხელოვნების ოსტატობა პასიური ფსიქოლოგიზმისაგან, რაც არარად აქცევდა აქტიორის გარეგნულ ტექნიკას და უმორჩილებდა მას სულიერი ნატურალიზმის განწყობილებას.

ამ პერიოდში თეატრი იდეოლოგიურად ძირითადად გამოხატავდა ინტელიგენციის იმ ნაწილის მისწრაფებებს, რომელსაც თითქოს სძულდა კაპიტალიზმი, მაგრამ ეშინოდა პროლეტარული რევოლუციის. ამ ხაზით უკმაყოფილებას გრძნობდა თვით თეატრი, მწიფდებოდა შემოქმედებითი ბრძოლები თეატრის შიგნით.

აქტიორების დიდმა ნაწილმა რეჟისორ ს. ახმეტელის მეთაურობით ბრძოლა გამოუცხადა ესთეტიზმის ტრადიციებს, ისინი მოითხოვდენ ისეთ რიტმის დამკვიდრებას თეატრში, რომელიც გამოხატავდა რევოლუციის გმირულ მსვლელობას. ისინი უარყოფდენ გეზს ევროპის სასცენო ხელოვნებაზე („მასკოტა", „ინტერესთა თამაში") და მოითხოვდენ იმ ნაციონალური ფორმის ძიებას და პოვნას, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა სოციალისტური მშენებლობის გმირული რომანტიკის დამაჯერებლად ჩვენება ყველა ეროვნებისათვის.

შემოქმედებითმა უთანხმოებამ თეატრის შიგნით გამოიწვია განხეთქილება, თეატრიდან მიდის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო მოღვაწე კ. ა. მარჯანიშვილი — ცნობილი დადგმების — „ცხვრის წყაროს", „ჰამლეტის" და სხვ. ავტორი, ესთეტური სკოლის რეჟისორი, — იგი დგება მეორე სახელმწიფო თეატრის სათავეში. თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ნიჭიერი რეჟისორი ახმეტელი შეუდგა თეატრის შემოქმედებითი წმენდას იმ მიზნით, რომ დაემკვიდრებია სასცენო გამოსახულების ახალი სისტემა და აქტიორული ოსტატობის ახალი მეთოდოლოგია: ყურადღების ცენტრში თეატრმა მოაქცია ეგრეთწოდებული ნაციონალური რიტმის ძებნის ამოცანა, რომელიც შესძლებდა რევოლუციის რიტმის გამოხატვას.

რიტმის კანონები განსაზღვრავენ თეატრის ფორმალურ გეზს და ააშკარავებენ მის რაობას. მაგრამ თეატრი როდი ეწეოდა რიტმის შეთხზვას. „საჭიროა რიტმის ცხოვრებიდან ამოღება", სწერდა კუგელი — და არა მისი გამოგონება. ცხოვრებიდან ამ რიტმის ამოღებაში არ არის რაიმე მეტაფიზიკური, ეს არის ბუნებრივი ჯანსაღი რეალიზმის სფერო, ცხოვრების დაკვირვების და დაკვირვებათა შედეგების განზოგადოების ერთ-ერთი ფორმა, მაგრამ უდაოა, რომ თეატრის რიტმი განისაზღვრება მისი თემატიური იდეოლოგიიით, რაიც კარგავს თავის დამაჯერებლობას, თუ იგი არ იქნა მოცემული სასცენო გამოსახულებათა დამაჯერებელი საშუალებებით. ამ გამოსახულებათა განსაზღვრულ მომენტად ახმეტელს მიაჩნია რიტმი. მაგრამ, რასაკვირველია რიტმი არ შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ აქტიორების სხეულის მოძრაობაში. რუსთაველის თეატრი აქტიორის გარეგნულ ტექნიკას აგებს მის შინაგან ტექნიკასთან მთლიანობაში. ასე რომ რუსთაველის თეატრში რიტმი გაისმის როგორც მასების ძლავრი ენა, როგორც მისი სიტყვიერი იარაღი. თანამედროვე სოციალური დრამა აძევებს მინორულ მოტივებს და ინტიმურ კვანძებს, რაც ახასიათებდა წინანდელი ეპოქის თეატრებს. მასები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ქმნიან ისტორიას. მუშაობა და გლეხთა მოძრაობის პათოსი ერთის მხრით შეიცავს ძლიერ სიძულვილს ყოველივე სიმახინჯისადმი, ყოველივე ბურჟუაზიულისადმი, მეორე მხრით — კაცობრიობის ბრწყინვალე და სასიხარულო მომავლისათვის ურყევ ნებისყოფას. რევოლუციამ მოსპო ფამუსოვების, მალჩალინების, ხელსტაკოვების ისტორიული ნიღბები, როგორც საზოგადოებრივობის უმთავრესი საწყისი.

საბჭოთა დრამატურგიულ ლიტერატურაში მასა გამოყენებულია როგორც აქტიური, მოვლენების შემქმნელი კატეგორია. ამიტომ რუსთაველის თეატრმა ძირითადი შემოქმედებითი გეზი აიღო მასიური სცენების პრობლემისაკენ: ამის ბრწყინვალე ილუსტრაციას წარმოადგენენ ახმეტელის დადგმები: „რღვევა", „ანზორი", „ყვავლები". ეს დადგმები წარმოადგენენ თეატრალური კულტურის დღესასწაულს და რეჟისორ ახმეტელის და მისი აქტიორთა კოლექტივის დიდი ოსტატობის მაჩვენებლებს: მეზღვაურების გადაწყვეტილება იბრძოლონ კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ, გოდუნის უბრალო ბოლშევიკური არითმეტიკა („ისინი იქ მილიონებს ხოცავენ, რათა ათასებმა კარგად იცხოვრონ, ჩვენ კი მოვკლავთ ათასებს, რომ მილიონებმა რიგიანად, ადამიანურად იცხოვრონ"), ახმეტელმა ისე მაღალმხატვრულად, ისეთი შინაგანი სიმართლით გადმოგვცა, რომ სცენა მაყურებელს ორგანიულად იტაცებს და იპყრობს. მეზღვაურთა მასის ეს ფსიქოლოგია თეატრმა მოგვცა სასიხარულო ფენომენის და რევოლუციონური რომანტიკის ხაზებში. მაგრამ იმისათვის, რომ მთლიანად დაემკვიდრებია რიტმი და გადაექცია იგი რაღაც გრაფიკულ ნახატად, საჭირო შეიქნა სასცენო მოედნის რეკონსტრუქცია. ამ მიზნით ახმეტელმა იერიში მიიტანა აფერადებული ტილოების ტრადიციებზე ორ განზომილებიან მხატვრულ დეკორაციებზე, რომლებსაც მუხრუჭებში ყავდათ ჩაჭერილი აქტიორის სხეული და ბოჭავდენ მისი მოძრაობის თავისუფლებას, მის შემოქმედებით შესაძლებლობებს.

სხეულის სრული დამორჩილება აქტიორის ნებისყოფისადმი მოიხთოვდა მისი მოძრაობის გაშლას სამი განზომილებით, რაც მოასწავებდა სივრცის მხატვრულ-დეკორატიული დახასიათების მეთოდების განდევნას თავის მხრით. ამ გზას მივყევდით რეალობის კონსტრუქციის საჭიროებისაკენ, რაც იძლევა ილუზიას სამგანზომილიან სივრცისა. მაგრამ რა ელემენტებისაგან ქმნის თეატრი ნაციონალური რიტმის ცნებას? ცნობილია, რომ ნაციონალური ფორმა მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას. ეს გამომდინარეობს ლენინის სიტყვებიდან: „ძველი ნაციონალური კულტურიდან, — ამბობს ლენინი, — ჩვენ ვიღებთ მხოლოდ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს"... მაგრამ ამ ელემენტებსაც საბჭოთა კულტურა ღებულობს კრიტიკულად. სამწუხაროდ, არაკრიტიკულ უპარტიო დამოკიდებულებას ეთნოგრაფიის ცალკეული მომენტებისადმი ჩვენ ვხედავთ „ლამარას" დადგმაში.

პიესის ძირითადი იდეა შემდეგია: შეიძლება დასძლიო ყოველგვარი ბოროტება, ისეთიც კი, როგორიცაა სისხლის აღება, თუ ბუნებას შეიგრძნობ, როგორც გასულდგმულებულ კატეგორიას. მ ი ნ დ ი ა იმარჯვებს იმიტომ, რომ ალერსიანად ებაასება ყვავილებს, მიწას, ცას, გველებს, ეს პრიმიტიული პანთეიზმია. „ლამარა"-ს დადგმა, რომელიც მოცემულია პრიმიტიული პანთეიზმის ხაზებში, ამტკიცებს ნაციონალისტურ ეგზოტიკას და ბარბაროსული ცხოვრების უპირატესობას კულტურულის წინაშე.

სპეკტაკლის ბრწყინვალე ორგანიზაციამ და მსახიობთა საუცხოო თამაშმა (ვასაძე, ხორავა, წულუკიძე, დავითაშვილი, აბაშიძე) ვერ იხსნეს იგი იდეური დამარცხებისაგან. ამ ჟამად „ლამარას“ შეიძლება შევხედოთ, როგორც თეატრის განვლილ ეტაპს, რომელსაც თეატრი ალბათ უნდა დაუბრუნდეს.

სულ სხვანაირად გადასწყვიტა თეატრმა ნაციონალური რიტმის ამოცანა „ანზორში“. ამ სპეკტაკლში თეატრმა მიზნად დაისახა მხატვრულ სახეებში ეჩვენებია პარტიზანი ლეკების ბრძოლა რევოლუციისთვის, ბრძოლა თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ.

პარტიზანებმა ანზორის მეთაურობით ხელთ უნდა იგდონ ჯავშნიანი მატარებელი. პეტროვსკში უცდიან ჯავშანოს, მაგრამ როგორ ჩაივდონ იგი, როგორ გააჩერონ, ეს მათ „ტექნიკურად“ არ შეუძლიათ.

აი გამოჩნდა ერთი, რომელმაც თითქო გადასწყვიტა ეს ამოცანა: ვინმე უნდა დაწვეს ლიანდაგზე, მაშინ მემანქანე, ან გააჩერებს მატარებელს. ან დააჩქარებს სვლას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც გააჩერებს.

ვინლა დაწვება ლიანდაგზე. პარტიზანებს სიკვდილის არ ეშინიათ, მაგრამ მათ „არ სურთ მოკვდენ უიარაღოდ“, უბრძოლველად, მაგრამ გამოსავალი არ არის, „დეე მიგვითითოს ანზორმაო“, მაგრამ ანზორი ვერ მიუთითებს, იგი თითონ მზად არის მსხვერპლად მიიტანოს თავი.

პარტიზანები ამაზე არ თანხმდებიან: „ანზორი წინამძღოლია, იგი ესაჭიროება პარტიზანებს, ესაჭიროება რევოლუციას“. „კენჭი უნდა ვყაროთ“, — გაიძახის ძველი პარტიზანი.

„კენჭი ვყაროთ“, უპასუხებენ პარტიზანები და თეატრმა ძლიერი ცოცხალი ლოგიკის საშუალებით გვიჩვენა, რომ პარტიზანებისათვის, მათი მეტის-მეტად შემოფარგლული მსოფლმხედველობის, მათი წვრილბურჟუაზიული რომანტიკის გამო, რომელიც განსაზღვრული იყო მათი ქვეყნის ტრადიციებით და ზნეჩვეულებებით ჯავშნოსანის ხელში ჩაგდების ამოცანის გადასაწყვეტად მიცემულ დროში სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

ლეკებსა აქვთ ჩვეულება: ახალგაზრდა ქალი იცეკვებს და იმან, ვისაც იგი აირჩევს პარტნიორად ცეკვაში, თავი უნდა გასწიროს, ხოლო ამ შემთხვევაში უნდა გაწვეს ლიანდაგზე მატარებლის მოლოდნიში. მაგრამ მოცეკვავე ქალმა ყოველივე ამის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს.

რა თქმა უნდა, უაზრო და სასაცილოა ამ ჩვეულების იდეალიზაცია, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში, მთელ რიგ გარემოებათა გამო, პარტიზანებს სხვა გამოსავალი არ გააჩნდათ.

ისინი კენჭს ყრიან. ცეკვავს ყველაზე ახალგაზრდა ქალთა შორის (ქალები პარტიზანებს ეხმარებიან ბრძოლაში). პარტიზანების დაძაბულობის, გამოხმაურების მიხედვით ეს იყო „სიკვდილის ცეკვა“. მოცეკვავე ქალი აირჩევს ანზორის პირად მეგობარს — ახმას. ცეკვა მაშინვე წყდება ახმა მოიხსნის თოფს და უსიტყვოდ გაწვება ლიანდაგზე...

ჯავშნიანი მატარებელი ხელთ იგდეს, თეთრგვარდიელები ამოხოცეს, პარტიზანები გამარჯვებას ზეიმობენ.

რა თქმა უნდა ყველაფერ ამას გულუბრყვილობის ზეიმი აქვს, მაგრამ ვიმეორებ, ლეკი პარტიზანის სახეებით აზროვნება ამ გულუბრყვილო ფორმას არ გასცილებია. სასაცილო იქნებოდა ლეკ გლეხებისათვის თავზე მოგვეხვია ეგრეთწოდებული ევროპული მეთოდები ან პროფესიონალური რევოლუციონერების ტრადიციული მეთოდები. ეს იქნებოდა ხელოვნური, ნაძალადევი და აბსოლუტურად არადამაჯერებელი. კენჭის ყრის ლეკურმა ფორმამ პარტიზანებს საშუალება მისცა გადაეწყვიტათ ჯავშნიანი მატარებლის ხელში ჩაგდების ამოცანა, კონტრრევოლიუციის დამარცხების ამოცანა.

რა თქმა უნდა, მთების სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესში, კულტურ-სამეურნეო ზრდასთან ერთად, ეს ჩვეულებანი დავიწყებას მიეცემა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ აქტუალურ როლს ასრულებდენ მთიელთა ყოფაცხოვრებაში, ჯერ კიდევ მათ ფონზე მუშავდება მთიელთა სახობრივი აზროვნება:, და ხელოვნებამ მათ გვერდი არ უნდა აუაროს.

მთელი სპექტაკლი შესრულებულია განუწყვეტელი რიტმიული ერთიანობის საფუძველზე.

რიტმი ხაზს უსვამს და ააშკარავებს სახის შინაგან რაობას (განსაკუთრებით მესამე აქტი). აქ იგი თითქოს გამოდის სპექტაკლის „სამონტაჟო ნიშნის“ როლში, შინაგანი მონოლოგის მატარებლის როლში, რაც მთლიანად წვდება მაყურებელს.

საბჭოთა თეატრალური კულტურის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო რუსთაველის თეატრის მიერ შილერის „ყაჩაღების“ დადგმა.

მსოფლიო დრამატურგიის კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების ისტორიაში რუსთაველის მიერ „ყაჩაღების“ დადგმა იქნება საეტაპო მომენტი, რომელიც გვიჩვენებს პრინციპიალურად უტყუარ გზებს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი ძვირფასი და ჯანსაღი, რაც კი არის მსოფლიო დრამატურგიული აზროვნების ინვენტარში. როგორც ცნობილია, მარქსი ამბობდა შილერის შესახებ, რომ მას ახასიათებს თავისი სახეების ხელოვნება და განყენებულობა. შილერი როგორც „ყაჩაღებში“, ისე თავის სხვა პიესებში კონკრეტულ საზოგადოებრივ ტიპებს კი არ გვიხატავს, არამედ გვიჩვენებს განყენებულ სახეებს, როგორც ერთმანეთის საწინააღმდეგო „იდეათა რუპორებს“. ასეთებია „ყაჩაღებში“ კარლ და ფრანც მოორები. რუსთაველის თეატრმა და მისმა ხელმძღვანელმა ახმეტელმა გახსნეს რევოლუციური საწყისი პიესაში, ეჭვს ქვეშ დააყენებს ამ ტრაგედიის საუკუნოებრივი სასცენო ტრადიცია, ჩამოიყვანეს შილერი ოჩაფეხიდან და ხაზი გაუსვეს კონფლიქტების სოციალურ ხასიათს კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში. ყაჩაღების დიდი პათეტიკა და რომანტიული სულისკვეთება ახმეტელმა დაუმორჩილა იმ ატმოსფერის გახსნას, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის აფეთქების მომასწავებელი იყო. ამის შედეგად თეატრმა „ყაჩაღებში“ იშვიათი

ოსტატობით გვიჩვენა ბურჟუაზიის შეტაკება დრომოჭმულ ფეოდალიზმთან, რომელიც ისტორიის არქივს ბარდება. რუსთაველის თეატრის სცენაზე მძლავრი ხმით ამეტყველდა მე-18 საუკუნის გერმანია, ოდესაც საუკეთესო წარმომადგენლები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდენ ტირანების და ტირანიის წინააღმდეგ. რუსთაველის თეატრმა დასაჯა კარლ მოორი, დააყარა რა მას ქუდები, იმ კაპიტულანტობისათვის, რომელიც ჩაიდინა ახალგაზრდა ყაჩაღთა წინამძღოლმა. ბრძოლა გრძელდება — აი ამ სასჯელის აზრი. დადგმამ გვიჩვენა თეატრის დიდი მხატვრული კულტურა და შილერის სწორი პოლიტიკური გაგება.

თეატრი თავის შემოქმედებას ავსებს სტილისტური მშენებლობის თემატიკით. ამ თემატიკაში მან თავისი შემოქმედებითი პრინციპები გამოიმუშავა.

რუსთაველის თეატრის მსახიობი გაიზარდა მის მიერ სოციალისტური ინდუსტრიის რიტმის შემოქმედებით ათვისების გზით. იგი შეისწავლის ადამიანის გარეგნულ რეაქციებს და მათ თავის შემოქმედებითი ენით ამეტყველებს. შინაგან ტექნიკას რუსთაველის თეატრის მსახიობი მოძრაობაში ამჟღავნებს. ამით იგი უარყოფს როგორც „ბიომექანიკას", ისე პასიურ პსიქოლოგიურ ქექვასაც. თეატრის წინაშე უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები დგას. მან უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ ისპობა კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანის ფსიქიკასა და შეგნებაში, როგორ ყალიბდება ახალი ფსიქოლოგიური ტიპი, როგორ იქმნება უკლასო სოციალისტური საზოგადოება.

ჩვენი პარტიის ბელადმა ამხ. ს ტ ა ლ ი ნ მ ა მწერლების შესახებ თქვა: „მწერალი უნდა გახდეს ადამიანის სულის ინჟენერი". ბელადის მითითება პირდაპირ ეხება თეატრსაც.

10 წლის იუბილე მისთვის უნდა გადაიქცეს ფაქტორად შემდგომი შემოქმედებითი გაქანებისათვის, მის მიერ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის სავსებით დაუფლების საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო ეულის იუბილე

27 მაისს ხელოვანთა სასახლეში საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრივობამ ზეიმით აღნიშნა პოეტ სანდრო ეულის საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მუშაობის ოცდახუთი წლის თავი.

სანდრო ეულის პოეტური მუშაობა თავიდანვე მტკიცედ იყო დაკავშირებული პარტიისა და მუშათა კლასის რევოლუციონური ბრძოლის ხანგრძლივ პრაქტიკასთან და იმ დიად ამოცანებთან, რომელსაც ანხორციელებს გამარჯვებული პროლეტარიატი ჩვენს ქვეყანაში.

თავისი მოღვაწეობის 25 წლის მანძილზე სანდრო ეული მტკიცედ იდგა რევოლუციის პოეტის საპატიო სადარაჯოზე და თავისი შემოქმედებით ხელს უწყობდა მუშათა კლასის მიერ წარმოებულ დიად ბრძოლას.

სანდრო ეული საქართველოს პროლეტარული ლიტერატურის ერთ-ერთი აქტიურ ორგანიზატორთაგანია, სხვებთან ერთად ის არის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოს პროლეტმწერლობის ასოციაციისა და მისი ხელმძღვანელი მთელი რიგი წლების განმავლობაში.

სანდრო ეული დაიბადა 1890 წელს სოფ. ზომლეთში (გურიაში). მამა მისი ტყის მუშა იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახი იმყოფებოდა აუტანელ სიღარიბეში.

თავისი ნიჭისა და გულმოდგინების წყალობით ახალგაზრდა სანდრომ შესძლო ცხოვრებაში გზის გაკაფვა. სოფლის სკოლაში ის წარჩინებით სწავლობდა. შემდეგ მეზობელი გლეხების შემწეობით და დახმარებით მან ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში განაგრძო სწავლა. 1905 წელს მოწაფეთა არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის სანდრო სასწავლებლიდან იქნა დათხოვნილი. ამის შემდეგ იწყება შრომისა და ბრძოლის მძიმე დღეები. 1907 წელს სანდრო ჩაქვში მუშაობს შავ მუშად. 1908 წელს სანდრო — ფოსტალიონად მსახურობს ჩოხატაურში. 1909 წელს მას ვხედავთ ფოთში, სადაც იგი უახლოვდება ნავთსადგურის მუშებს. ამის შემდეგ მიემგზავრება ბაქოს, სადაც ორი წლის განმავლობაში იგი იცვლის რამდენიმე საქმეს: სანდროს ვხედავთ გაზეთის გამყიდველათ, ბალახანის ელსადგურის შავმუშად, რკინისგზის დარაჯათ, შოლარის წყალსადენის მუშათ და სხვ.

ბაქოშივე, 1910 წელს სანდრო ეული იწყებს რევოლუციონურ მუშაობას. მას აპატიმრებენ და ათავსებენ ბაილოვის სატუსაღოში. ამ დროს

რედაქტორობს ქართულ საპოლიტიკო-სალიტერატურო ჟურნალ „წყაროს“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და უახლოესი თანამშრომელი თითონ არის.

მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის დროს სანდრო ეული ითვლება პარტიის ორგანოს „კომუნისტის“ ოფიციალურ რედაქტორად. 1920 წელს მენშევიკები აპატიმრებენ სანდროს; იგი ზის ქუთაისისა და ბათომის ციხეებში, საიდგანაც თავისუფლდება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ.

მენშევიკების დიქტატურის დროს სანდროს ინიციატივით საქართველოში არსდება ლიტერატურული ჯგუფი, რომლის მიზანს შეადგენს რუსეთის პროლეტარულ მწერლობასთან დაახლოვება და გაცნობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად სანდრო ეული რამდენიმე ამხანაგთან ერთად იწყებს საქართველოს პროლეტართა ასოციაციის ჩამოყალიბების საქმეს.

1921 წლის 17 დეკემბერს საფუძველი ეყრება საქ. პროლეტ. მწერ. ასოციაციას. მისი ხელმძღვანელობა ეკისრება სანდრო ეულს. ამ დროს ასოციაციის ორგანო იყო ჟურნალი „ქურა“, რომელსაც რედაქტორობდა სანდრო ეული. მისივე ხელმძღვანელობით და უახლოესი თანამშრომლობით ამ პირველ წლებში გამოიცა ასოციაციის გაზეთები: „ქარხნის ჰანგები“, „5 მაისი“, „ორიონი“.

ს. ეული ჩვენი ჟურნალის „მნათობის“ დაარსების ერთი ინიციატორთაგანია, მისი სარედაქციო კოლეგიის მუდმივი წევრი და უახლოესი თანამშრომელი.

ს. ეული აგრეთვე დამაარსებელია და რედაქტორი მთელი რიგი სხვა გამოცემებისაც, როგორც მაგ. სამხატვრო-სახელოვნო ჟურნალის „ხელოვნების“, „ნიანგის“, წითელ არმიის გაზეთ „წითელი მხედრის“ და სხვ.

ს. ეულის პირველი ლექსების წიგნი „რევოლუციის საყვირი“ გამოვიდა 1921 წელს. მას მოსდევს წიგნები: „ქარხნის ტრიუმფი“, „ათი წელი“, „ახალგაზრდა საქართველო“, „შრომისა და ბრძოლის ჰანგები“, „ლენინი“, „ახალგაზრდობას“, „რჩეული ლექსები და პოემები“, „დიად დღეებზე“ და სხვ.

სანდრო ეული პოეზიის გარდა მუშაობს სატირისა და დრამატურგიის დარგშიდაც. მას ეკუთვნის პიესები „გზა“, „აღთქმული ქვეყანა“, „მთავარი“ და სხვ.

სანდრო ეულის უკანასკნელ პოეტურ ნაწარმოებებს წარმოადგენენ პოემები „ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი პ ა რ ტ ი ა“ და ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა დ მ ი მიძღვნილი პოემა „ფ ო ლ ა დ ი ს პ ო ე ტ ი“.

პოეტი კვლავ განაგრძობს ნაყოფიერს შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ მუშაობას პროლეტარული ლიტერატურისა და კულტურის ფრონტზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ჯაბადარი

მოგონებანი[1]

რას წარმოადგენდა ტფილისის თვითმართველობა?

1884 წლიდან ქალაქის საქმეებს გულმოდგინედ ვადევნებდი თვალყურს. ხშირად ქალაქის საბჭოს სხდომებსაც ვესწრებოდი. 1901 წელს ხმოსნად ვიყავი არჩეული. წინადადება მომცეს გამგეობის წევრად არჩევისა. ეს დიდი ამბავი იყო, რადგან სომხის ბურჟუაზია პოლიტიკური მოსაზრებით თითო-ოროლა ქართველს და, ორიოდე რუსს ირჩევდა, რათა ადმინისტრაცია დაეკმაყოფილებინათ. ხმოსნების არჩევა სოლოლაკის ზნეობრივად გახრწნილ ბურჟუაზიის ხელში იყო. საქალაქო დებულებით არჩევნებში მონაწილეობის მიმღებს ქონებრივი (საქალაქო გადასახადებიდან თავისუფალი) ან სავაჭრო ცენზი უნდა ჰქონოდა. სავაჭრო ცენზის ოდენობა ოთხმოცდაათიან წლებში შეცვლილ იქმნა, არჩევნების უფლება მიეცა მხოლოდ პირველ და მეორე გილდის ვაჭრებს. წვრილ მოვაჭრეს ეს უფლება ჩამოერთვა. ამისთანა სავაჭრო ცენზის პატრონები ტფილისში უმეტესი ნაწილი სომხობა იყო. ესენი სცდილობდენ ტფილისის თვითმართველობა ხელში ჰქონოდათ, რადგან ამასთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა მათი ქონებრივი ინტერესები.

საქალაქო დაწესებულების მოსამსახურეთა დიდი უმეტესობაც სომხობა იყო. სხვადასხვა სამუშაოების მოიჯარადრენიც სომხები იყვნენ და სხვ. რა თქმა უნდა გამგეობის ზოგიერთი წევრი პატიოსანი იყო, ხოლო დანარჩენი წევრნი ხელს აფარებდნენ ავაზაკობას, ქურდობას, მექრთამეობას. ამ ნიადაგზე შეტაკება ჰქონდათ ქალაქის თავს ევანგულოვს — ბურჟუაზიის ყურმოჭრილ ყმას, და გამგეობის წევრს ალ. არღუთინსკის. პირველი იყო ვიწრო შოვინიზმით გაჟღენთილი, სოლოლაკის სომხობის ყურმოჭრილი ყმა, ხოლო მეორე სოციალ-რევოლუციონერებში გაწრთვნილი პატიოსანი ადამიანი. აქ არ მოვიყვან იმის მაგალითებს, თუ მთელი თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში სოლოლაკის ბურჟუაზია რა დახმარებას უწევდა საიდუმლოდ თუ ცხადად თავიანთებს.

აი ამათ ხელში იყო ჩემი კონცესიის საქმე. ტექნიკის კომისიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ კონცესიის ხელშეკრულების პროექტის განხილვა, რამდენიმე ჩემი კარგი ნაცნობიც იყო, მაგ. ინჟენერი ენფიანჯიანცი, რომელიც კომისიის თავმჯდომარე იყო. ეს ინჟენერი თურმე

[1]) დასასრული. იხ. „მნათობი" № 4.

დაინტერესებული იყო ნიკოლაევის ქარხნის ელექტროძრავები დაედგა ქალაქის ელექტროსადგურში (ტრამვაისათვის). მანამ ეს საქმე არ დააბოლოვებინა, ქალაქის მმართველობაში ჩემ მიერ წარდგენილ ხელშეკრულების პროექტს გზა არ მისცა. ამან ეს საქმე ორი წლით დააგვიანა, და შემდეგ ჩემ საქმეს შეუდგა. ერთ საღამოს მის ბინაზე (ენფიანჯიანცისა) დანიშნულ კომისიის კრებაზე მარტო ერთი წევრი მოვიდა. კრება არ შესდგა. მოსულმა წევრმა ღიმილით მითხრა (ჩემი დიდიხნის ნაცნობია).

— შენ არ იცი ამისთანა საქმეების წარმოება, მე და ტიგრანას (ენფიანჯიანცი) მოგვეცი თითოს ორმოცდა-ათი ათასი მან. და შენი საქმეები ერთ თვეში იქნება გათავებული.

ენფიანჯიანცმა გაიღიმა. მიუხედავად ამისა (ეს წინადადება ხუმრობაში ჩავუტარე) დიდის დაგვიანებით პროექტი მაინც გავასინჯვინე. ასეთი იყო თვითმართველობის შემადგენლობა. აქ უნდა აღვნიშნო, რომ გამგეობის წევრთა უმრავლესობა პატიოსანი ხალხი იყო, მაგ. პოპოვი, ხოსროევი, პავლე და ალექსანდრე არღუტინსკები, ივანენკო, ჟურული.

კონცესიებისა და სხვა საქმეების გამო კიდევ რამდენჯერმე ვიყავი ევროპაში. 1914 წ. უკვე მაისის შუა რიცხვებში ჯერ ბრუსელში წავედი. ზაფხულში ევროპაში ძნელია დიდ საქმეებზე მოლაპარაკება, რადგან დიდი ფირმების პატრონები სააგარაკოდ მიდიან ხოლმე. იმ ზაფხულს ჩემი შვილები დასასვენებლად შვეიცარიაში წავიყვანე. აქ ვცხოვრობდით ინტერლაკენში, მონტრეში, ბეატენბერგში. მეტი ხანი ვცხოვრობდით ტიუზენში, რომელიც ქ. ვევეს თავზეა, მთაზე. ჟენევის ტბის და იმის ნაპირებზე მდებარე ქალაქებს გადასცქერის. ინტერლაკენი პატარა, კოპწია ქალაქია, ძალიან პატარა, სუფთა. რამდენიმე სასტუმროა, სადაც ყოველთვის ბევრი უცხოელია დასასვენებლად მოსული. დიდ სასტუმროებში ცხოვრება ძვირია. შვეიცარიაში რამდენჯერმე ვიყავი და სადაც კი გავიარე და ვიცხოვრე, ყველა ადგილები გულდადებით დავათვალიერე. არემარეს, ადგილმდებარეობას, მთებს, ხეებს, წყლებს, ველებს, ფლორას და სხვ. ვადარებდი საქართველოს ადგილებს. ბუნებით, ველებით, სხვადასხვა ზონის ტყეებით და ალპიის საბალახეებით შემოსილი მთები, სხვადასხვა ზონის მცენარეულობით, გადასახედებით, უხვად მომდინარე მთის მდინარეებით, ბუნებით და ჰავის სხვადასხვაობით, საკურორტე ადგილების სიუხვით, სხვადასხვა მინერალური წყლების სიმრავლით და სიუხვით საქართველო ჭეუდარებელია. შვეიცარიას ამშვენებს ტბები, ტბების ნაპირებზე ქალაქებია გაშენებული. საქართველოს დიდი ტბები (გარდა პალიასტომისა) ისეთ მაღლობებზეა, სადაც მუდმივი ცხოვრება შეუძლებელია. შვეიცარია სავსეა სასტუმროებით, რომლებიც ხელმოკლე კაცისთვასაც ხელმისაწდომია. ჩვეულებრივ მიუვალ მყინვარებზედაც კი პატარა სასტუმროებია. ყველგან გაყვანილია გზები ან ელექტრონისა ჩვეულებრივი, ან ელექტრონისა კბილებიანი, ფუნიკულიორი, მავთულის საჰაერო გზები, ფეხით და ეტლით სავლელი. ყოველგან სისუფთავეა, სიფაქიზე, ყველგან კარგად მოვლილი მწვანე ალაგები.

ყველა ამას საქართველო მოკლებულია. საქართველოში არამც თუ ახალ — ძველ სააგარაკო ადგილებში ცხოვრებაც ძალიან გაძნელებულია.

1914 წ. ტიუზენში ივლისში პეტერბურგიდან ორი ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი მოვიდა დასასვენებლად. იმავე სასტუმროში ცხოვრობდა ორი ხანშიშესული ინგლისელი ქალი, რომელნიც მთელი დღე დასეირნობდენ. ამ დროს ივნისში ბოსნიაში ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი მოჰკლეს, და მსოფლიოს ომის ცეცხლი მოედო.

იმ ორ დას, რომელთაც ზემოთ ვახსენე, პეტერბურიდან დედის დეპეშა მოუვიდათ. სწერდა საჩქაროდ დაბრუნებულიყვნენ. ქალებმა ეს ტელეგრამა ცუდ ნიშნად ჩასთვალეს: დედაჩვენი უბრალოდ არ დაგვიბარებდაო. ის თურმე სამეფო კარის მახლობელი ვინმე იყო, ხოლო ამ ქალების ძმა — რუსეთის კრეისერის კაპიტანი. მაშ ცხადია, ომს ელიანო.

იმავე სასტუმროში ორი ინგლისელი ქალი იდგა. ამ დეპეშის მიღების მეორე დღესვე წავიდნენ. ჩვენ შვარცვალდზე ვაპირებდით გავლას. წაკითხული მქონდა ამ გზის ქება, სილამაზე. 29 ივლისს წავედი ჩემი ოჯახით ბაზელში, სადაც ერთ ღამეს დავრჩით, რათა შვარცვალდი დღისით გაგვევლო. ბაზელში ჩემი შვილის მეგობარი და ამხანაგი პიანისტი დებურგინიონი შეგვხვდა. მან გადმოგვცა, გერმანიაში მობილიზაცია დაიწყოო, ამის შემდეგ ბაზელში დარჩენა აღარ შეიძლებოდა. დილით ადრე ერთი მატარებელი გადიოდა. ამით წავედით სტრასბურგამდე, იქიდან კი ბელგრადამდე მიმავალი მეორე მატარებლით უნდა წავსულიყავით.

შვარცვალდი მთა-ტყიანი ადგილია. რკინის გზა ტყეებსა სჭრის, მთებში თვრამეტი თუ ოცი გვირაბი გავიარეთ. გზა მართლა ლამაზია, მაგრამ ქართველს არც გერმანიის და არც შვეიცარიის ბუნების სიმდიდრე არ გააკვირვებს. ჩვენი ბუნება ბევრად უფრო ლამაზია. ჩვენი უბედურება ის არის, რომ დღევანდლამდე საქართველოს მშვენიერი ადგილები მიუვალია, ველურ მდგომარეობაშია.

ღარიბ შვეიცარიას არ შეეძლო თავის თანხებით მოკლე ხანში მთელი შვეიცარია დამუშავებულ, კულტურულ სააგარაკო ქვეყნად გადაექცია. როდესაც შვეიცარიამ თავის დამოუკიდებლობა აღადგინა, მაშინ ის ძალიან ღარიბი ქვეყანა იყო. შვეიცარიის მთავრობა და ქალაქები იძულებულნი იყვნენ კონცესიები გაეცათ რკინის გზების გასაყვანად, ჰიდრო ელექტრო-სადგურების ასაშენებლად, სასტუმროების ასაშენებლად, ფუნიკულიორების გასაკეთებლად. კონცესიები გაცემული ჰქონდათ 30 — 50 წლით, შემდეგ კი ყველა ქონება ქალაქების მმართველობათა და მთავრობის ხელში გადადიოდა. ამ სისტემამ 50 წლის განმავლობაში აყვავებული, მრეწველობით განვითარებული ლამაზი შვეიცარია შექმნა, სადაც ზამთარზაფხულამდის უამრავი ხალხი მოდის ამერიკიდან, ინგლისიდან და სხვა ქვეყნებიდან. უცხოელებისაგან შვეიცარიელები ისე არიან დავალებულნი, რომ ზოგიერთ საკურორტო სასეირნო ყვავილნარებში და ბაღებში სკა-

მებზე აწერია: „უცხოელთათვის“, ე. ი. იმ სკამებზე მკვიდრნი არა სხდებიან, რათა უცხოელებს დასასვენებელი ადგილები არ დააკლდეთ.

ღამის მეათე საათი იყო, როცა სტრასბურგში მივედით. ჩვენის გზის სადგურის წინ პატარა ფართობია, შუაგულზე ყვავილ-ბაღია, სადგურის პირდაპირ სასტუმროა, ჩვენი ბარგი ბაზელიდან ბრიუსელში გავგზავნეთ, თან მხოლოდ საკვები გვქონდა. ღამე სასტუმროში უნდა გაგვეტარებინა და მეორე დღეს სტრასბურგის დათვალიერების შემდეგ შუადღის მატარებლით ბრიუსელში წავსულიყავით. სადგურიდან რომ გამოვედით, ბევრი სამხედრო პირი დავინახეთ, რაღაც გაუგებარი ფუსფუსი იყო. ჯარისკაცები შეიარაღებულნი დადიოდნენ. სასტუმროს რესტორანში ვახშამი მოვითხოვეთ. ვახშამი კი მოგვიტანეს, ხოლო გაგვაფრთხილეს, რომ 10 საათამდე უნდა დაგვეთავებია, რადგან ნაბრძანები ჰქონდათ რესტორანიც და სასტუმროც 10 საათზე დაეკეტნათ. რესტორანის მსახურმა აგვიხსნა განკარგულების საიდუმლოება; საომარი დროის წესები გამოაცხადეს და მობილიზაცია დაიწყესო. ამბობენ, ომი უკვე გამოცხადებულიაო. მეორე დღეს დილით ადრე ავდექით, რომ რაიმეს ნახვა მოგვესწრო. სტრასბურგელებიც დილაადრიან ამდგარიყვნენ, ქუჩაში გამოსულიყვნენ, ყველას სახე დაღონებული ჰქონდა. ჩვენი სასტუმროს ახლო ბანკი იყო. დილაადრიან ბანკს ხალხი მისდგომოდა. გრძელი კუდი იყო ხალხისა, რომელსაც ბანკში შენახული ფულის გამოტანა უნდოდა თურმე. ქალაქში განთქმული სტრასბურგის საკათედრო ტაძრის სანახავად გავიარეთ. სხვა ბანკების წინაც ბევრი ხალხი იყო, რომელიც ღელავდა. შუადღისას რკ.-გზის სადგურზე წავედით, ბილეთები ბრიუსელამდე მოგვცეს. დიდი მოძრაობა იყო რკინის გზის სადგურებზე. გზები მთავრობის განკარგულებით სამხედრო უწყების ხელში გადადიოდა. საღამოზე მეცში მივედით. მეცი დიდი სადგურია. რკინის გზის მოსამსახურენი რეტიანებივით მიიზლაზნებოდნენ აქეთ-იქით. ბაგაჟი ბაქანზე უპატრონოდ ეყარა. სამხედრო პირები ბაქანზე თანდათან მატულობდა. ჩვენ ვუცდიდით ბელგიაში წასასვლელ მატარებელს. ამ დროს გამოაცხადეს, რომ მეციდან მატარებელი აღარ წავალ. ამან ძალიან შეგვაფიქრიანა. ასეთი განკარგულება სრულიად მოულოდნელი იყო. იქვე ნორიახლოს მგზავრთა დიდი ჯგუფი იდგა. ინგლისელები იყვნენ, სხვადასხვა აგარაკებიდან ბრუნდებოდნენ. ვიფიქრე, — ინგლისელებთან ომის შესახებ ლაპარაკი არა ყოფილა, გარდა ამისა ინგლისელები ქართველები არ არიან, რომ მათ ანგარიში არ გაუწიონ და შინ დასაბრუნებელი საშუალება არ მისცენ. წავედით და ჩვენც იმ ჯგუფს შევუერთდით. ინგლისელებმა რამოდენიმე კაცი აირჩიეს და სადგურის კომენდანტთან გაგზავნეს ბელგიაში წასასვლელად მატარებლის მოსათხოვად. გავიდა ერთი საათი და პირველი და მეოთხე კლასის მატარებელი მოგვართვეს. რასაკვირველია, ჩვენც ინგლისელებთან ერთად შევედით ვაგონში. მატარებელი დაიძრა. ღამის 11 საათი იქნებოდა, როდესაც ბელგიის ტერიტორიაზე სადგ. არლონში მივედით. იქიდან გერმანიის მატარებელი აღარ მოდიოდა. იმ ღამეს არლონში უნდა დავრჩენილიყავით. მეორე დღეს დილით ადრე

გერმანიიდან კიდევ მოვიდა მატარებელი, რომელმაც კვლავ მოიყვანა კურორტებზე დარჩენილი მგზავრები, მათ შორის ბევრი სასულიერო პირი იყო. ისინი ყველას ყურადღებას იქცევდენ. მერე [illegible] ითომც ღვთის მსახურები გერმანიის სამხედრო ჯაშუშები [illegible] მათ ბელგიის პოლიცია აპატიმრებდა. არლონიდან ბრიუსელში ბელგიის მატარებლით წავედით. გზაზე ბელგიის სადგურებზე შეიარაღებული სამხედრო პირების მოძრაობა იყო. ბელგიაში 1-ლ აგვისტოს შევედით და იმავ დღეს საღამოს გაზეთებიდან გავიგეთ, რომ პირველ აგვისტოს გერმანიას რუსეთისთვის ომი გამოეცხადებინა. ბრიუსელში უბაგაჟოდ მოვედით. ჩემი უფროსი შვილი გიორგი ერთი დღით ბელგიის საზღვართან დარჩა იმ განსრახვით, რომ იქ ჩვენი ბარგი მოეკითხა. ყველას ტანისამოსი და თეთრეული ჩემოდნებში და ერთ სკივრში გვქონდა. გიორგი მეორე დღეს ხელცარიელი მოვიდა. გული დავიმშვიდეთ, ვიფიქრეთ, არა დაიკარგებარა, ყველაფერი მოგვივა, რადგან ბელგია ნეიტრალი სახელმწიფო იყო და მატარებლების მისვლა-მოსვლა არ უნდა შეწყვეტილიყო. მაგრამ 4 აგვისტოს გერმანიამ ბელგიის ნეიტრალიტეტი ვადალახა და ომი გამოუცხადა.

ჯერ გერმანელები ბრიუსელში არ შემოსულიყვნენ, როდესაც რუსეთის საელჩოს მივმართე სამგზავროდ ფული მოეცათ სესხად. საელჩოს მდივანმა მითხრა: რად გეჩქარებათ წასვლა. წაბრძანდით ოსტენდში (ზღვის პირას ძვირი კურორტია, სადაც მდიდარი ინგლისელები და ამერიკელები დროს ატარებენ ქალალდის და „რულეტის" თამაშობაში), იქ ორი-სამი კვირა გაატარეთ, და მანამდე ომიც შესწყდებაო. ეს ძველი რუსული პოლიტიკური სიბეცე იყო. ზოგმა სახელმწიფომ თავის ქვეშევრდომების წასაყვანად ანტვერპენში გემები გამოგზავნა. მაგალითად, ჟამბლუს აგრიკულტურულ ინსტიტუტში ერთი ბრაზილიელი სტუდენტი სწავლობდა. ბრაზილიის საგანგებო გემი მოვიდა და ისიც და რამოდენიმე სამხრეთ ამერიკელი წაიყვანა.

მანამ ბელგიიდან წასასვლელად სხვა რამეს მოვიფიქრებდი, უკვე ხმა გავრცელდა, რომ ორ დღეში გერმანიის ჯარი ბრიუსელში შემოვაო. ორი დღის წინ საღამოზე ანსპაკის ბულვარის ერთ რესტორანის წინ ვისხედით ჩვენს ნაცნობებთან და ცივ წყალს შევექცევოდით (ჩვეულებრივი წყალი ერთი ნაჭერი ლიმონით, შაქრით და ყინულით ძალიან არის გავრცელებული). მაშინ ხმა გაავრცელეს, გერმანელებს ბრიუსელის წყალსადენის წყალი სათავეში მოუწამლავთო. ამ ხმამ ისეთი ამბავი ასტეხა რესტორანში, რომ საზარელი სანახავი იყო. ზოგს შიშისაგან მართლა გულის რევა მოუვიდა. ჩვენ საჩქაროდ გავემართენით ნინისკენ, რომ ჩვენები გაგვეფრთხილებინა, თუმცა არ ვიყავით დარწმუნებული, რომ ეს მართალი იქნებოდა. გზაზე ნაცნობებს ზარს ვურეკავდით და ვაფრთხილებდით. ნახევარი საათის შემდეგ ველოსპიედიანი პოლიციელნი გამოჩნდნენ, რომელნიც საყვირებს უკრავდნენ. ამ ხმაზე გამოსულ ხალხს წყლის მოწაბვლის ამბავს ეუბნებოდნენ და თან უმატებდნენ, რომ ლაბორატორიებში ანალიზებს აკეთებენ და ამის შედეგს ამაღამვე შეგატყობინებთო. ბრიუ-

სელის ხალხი ამ ამბავმა სულ ქუჩაში გამოფინა. ვისაც კი ებანერა, შიშისგან ისინიც ავად გამხდარიყვნენ. შუაღამე იქნებოდა, რომ კვლავ გაისმა საყვირის ხმა. პოლიციელები ხალხს ამშვიდებდნენ — [illegible] ტყუილია, ლაბორატორიამ არაფერი არ აღმოაჩინაო. [illegible] ბრიუსელის გაზეთებში ქალაქის თავის დე-მაქსის მომართვა იყო დაბეჭდილი. დე-მაქსი ამშვიდებდა ხალხს, ბრიუსელი კარგად არის გამაგრებული, გერმანიის ჯარის შემოსვლის შიში ნუ გექნებათო. მეორე დღეს დილით ჩვენმა შინამომუშავე დედაკაცმა მოირბინა — შიშისაგან გაფითრებული იყო. შემოსვლის უმალვე დაიძახა: ბრიუსელში შემოვიდნენ, ავენიუ ლონშანზე უამრავი ჯარი მოდისო. ეს ავენიუ ჩვენს ახლოს იყო. მაშინვე წავედით ავენიუზე. იქ ჯერ დავინახეთ ქვეითი ჯარი, მერე არტილერიაც, ცხენოსანიც. ორ საათს ვიდექით, ვუყურებდით და ჯარს ბოლო არა უჩანდა. იმ დილით ბრიუსელში გერმანიის ჯარი რამდენიმე გზით შემოვიდა და უმალვე გაემართა — ნაწილი საფრანგეთის საზღვრებისაკენ, ნაწილი ანტვერპენისაკენ. უნდა აღვნიშნო, რომ ბელგიის ჯარი და მცხოვრებნი გერმანელ ჯარებს ყოველ ნაბიჯზე უწევდნენ წინააღმდეგობას და ებრძოდნენ. ბრიუსელში გერმანელებს თავი კარგად ეჭირათ, არსად არავითარი ინციდენტი არა ყოფილა. ბრიუსელში მშვიდობიანი შემოსვლა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, შედეგი იყო შეთანხმებისა ბრიუსელის ქალაქის თავისა (ბელგიის სამხედრო შტაბის თანხმობით) და გერმანიის ლაშქრის მთავარ სარდლის შორის. ანტანტის გაზეთებში კი საშინელ ამბებს სწერდენ გერმანიის ჯარის მიერ ბრიუსელის აკლებაზე. ჩვენ იქ ორი თვე ვიყავით, ამ ხნის განმავლობაში ბრიუსელში არაფერი საშინელება არ მომხდარა. თუ რამდენად იყვნენ დარწმუნებული გერმანელები სწრაფ გამარჯვებაში, ეს იქიდან სჩანს, რომ ჯარის შემოსვლის დღესვე გერმანიიდან მატარებლები მიდიოდა წარწერით „ნახ პარი" — პარიზისკენ. ასეთი იყო მათი ლოზუნგი. გერმანიის შემოსვლის დღიდანვე ბელგიური გაზეთების გამოცემა მოისპო. მხოლოდ გერმანიის სამხედრო ორგანიზაციის მიერ გამოცემული ომის ბიულეტენები იბეჭდებოდა. ჩვენ ბრიუსელში მოვემწყვდიეთ. გერმანელებმა გზა მოგვიჭრეს და მხოლოდ ჰოლანდიის გზა იყო გახსნილი, მაგრამ ჰოლანდიაში გადასვლას ფული სჭირდებოდა. რომელიც ჩვენ არა გვქონდა. გარდა ამისა ეს გზა სახიფათო იყო. ასე მოვწყდით მთელ ქვეყნიერებას.

ბელგიაში სამხედრო გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ვენერალი ფონ-დერ-გოლცი, რომელიც წინათ სტამბოლში იყო ოსმალეთის ჯარის მოსაწყობად. ბელგიიდან გასვლა მხოლოდ იმის ნებართვით შეიძლებოდა. გერმანიის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს, რასაკვირველია, არამც თუ ნებას არ აძლევდნენ გასვლისას, პირიქით, ყველას თვალყურს ადევნებდნენ. მაშასადამე, ჩვენ, რუსეთის ქვეშევრდომნი, ან უნდა გავპარულიყავით, ან და ბედს დავმორჩილებოდით. მე და ჩემ მეუღლეს მაინც შეგვეძლო მიგვეღო წასვლის ნებართვა, მაგრამ ჩემს ახალგაზრდა შვილებს არამც თუ ნებას არ მისცემდნენ, შესაძლო იყო ისინი საკონცენ-

ტრაციო ბანაკშიც გაეგზავნათ. ბელგიაში ბელგიელებს, როგორც დაპყრობილთ, უფრო ლმობიერად უყურებდნენ, ვიდრე რუსეთის პასპორტიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ყოველდღე მივდიოდით მახლობელ გამზირზე—ავენიუ ლონშანზე, ხან სადმე კაფეში, სადაც ბელგიელები იკრიბებოდნენ და ათასნაირ ხმებს ავრცელებდნენ. ბელგიელების ჭორებმა რუსეთის ჯარი ერთ თვეში ბერლინთან მიიყვანა, ანტვერპენში გემებიდან ცხენოსანი უაზახთა დივიზია გადმოსხა და დღედღეზე ელოდნენ გერმანელების დამარცხებას. ხშირად ბრძოლის ამბები ცხარე კამათსაც იწვევდა. ამასობაში გერმანელებმა ანტვერპენსაც შემოარტყეს ალყა. ზარბაზნების გრიალი ბრიუსელში ფანჯრებს აზანზარებდა. ომი ღვივდებოდა, არც ანტვერპენში, არც ოსტედში, რასაკვირველია, რუსის ჯარი არა სჩანდა.

ფონ-დერ-გოლცს სამოქალაქო საქმეებსითვის თანაშემწედ ვიღაც ინჟენერი-ეკონომისტი ჰყავდა. საჭირო იყო წინასწარ გაგვეგო, თუ რამდენად საიმედო იქნებოდა ჩვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ქალაქის თავი დე-მაქსი გერმანელების დროსაც პირველ ხანს იმავე თანაშრომლობაში დარჩა და თითქო გენერალ-გუბერნატორი კარგი თვალით უყურებდა. დე-მაქსსა და ჩვენ კარგი საერთო ნაცნობები გვყავდა, ამათი საშუალებით დე-მაქსმა ჰკითხა გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს, რომელიც თურმე ქართველებს კარგად იცნობდა (ჟიათურაში მარგანეცის საქმეებზე ყოფილა) შესახებ ბელგიიდან წასვლის ნებართვის მიღებისა. გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს ეთქვა: თუ სანდო ოჯახია და ახალგაზრდა ყმაწვილები ჩვენ წინააღმდეგ არ იბრძოლებენ, შეიძლება ბერლინში ნება დართონ დანიაში ან შვეიცარიაში წასვლისაო. ამ ხანებში ბრიუსელში იყო გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი, რომელსაც კარგი განწყობილება ჰქონდა გერმანიის სამხედრო შტაბთან, ფონ-დერ-გოლცთან. ხშირად იმათთან ერთად ერთი ავტომობილით მიდიოდა ხოლმე ბერლინში, იმპერატორის სასახლეშიც თვაისუფლად შედიოდა და ვილჰელმს ნახულობდა ხოლმე. გიორგის მაშინ პოლიტიკური კავშირი ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ საქმეების გამო. იმასაც გავუზიარე ჩვენი განზრახვა. მაჩაბელმა ეს საქმე ითავა. თხოვნა მივეცით გენერალ-გუბერნატორს და პასუხს ველოდით. სამი კვირა გავიდა, იმედი გვეკარგებოდა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ გენერალ-გუბერნატორს გიორგის მეოხებით კარგი დასკვნა გაეგზავნა. ბერლინიდან შეჰკითხებოდენ ტელეგრამით, თუ რას წარმოვადგენდი მე. ბერლინშიაც გიორგის კარგი აზრი მიეცა და ბოლოს ნებართვა მოგვივიდა გერმანიაზე გაგვეცლო დანიამდე. ამ შემთხვევაში ჩემმა წარსულმა მიწველა (რევოლუციაში მონაწილეობის მიღებამ და სხვა). ეს ნებართვა კარგ დროს მოგვივიდა, რადგან უფულობამ ძალიან შეგვაიწროვა. ჩემმა სახლის-პატრონმა და ჩემი შვილის ილიას მეგობარმა ბანკირმა ჰუტრომ ამისთანა გარემოებაში იწვიათი დიდი გულკეთილობა გამოიჩინა. როცა გაიგო, რომ გერმანელები ბელგიიდან წასვლის ნებართვას გვაძლევდნენ, სესხად ფული შემოგვთავაზა. ამან ძალიან გაგვამხნევა,

თორემ წამოსვლას ვერც კი მოვახერხებდი. ამ დროს ბელგიელები ბევრ სანუგეშო ცნობას ავრცელებდნენ, თუმცა არც ერთი არ ასრულდა გარდა მარნაზე გერმანელების ჯარის დამარცხებისა, რომელმაც ომის ბედი გადასწყვიტა. საკვირველი ის არის, რომ გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე ეკონომისტი სერიოზულად არწმუნებდა ყველას, რომ ომი 6 თვეზე მეტ ხანს არ გაგრძელდება, რადგან ფინანსები არც ერთ სახელმწიფოს არ ეყოფა. ვილჰელმსაც ასე ეგონა, როდესაც თქვა: 6 კვირაში პარიზში ვიქნები და ამა და ამ რიცხვს ამა და ამ რესტორანში ვისადილებო. მაშინ თითქმის ყველა იზიარებდა ამ აზრს.

ერთ დილას ესპანეთის საკონსულოდან შემატყობინეს [1]), თქვენს სახელზე ტფილისიდან ფული მოვიდაო. რასაკვირველია, იმავე დღეს წავედი და 750 ფრანკი მივიღე. ამან ცოტა გაგვაძხნევა.

წამოსვლის ნებართვის იმედი აღარ გვქონდა. მაგრამ ერთ დღეს ზარი დაგვირეკეს და გერმანელმა ჯარისკაცმა გენერალ-გუბერნატორისგან კონვერტი მოგვიტანა. უიმედოდ გავხსენი კონვერტი. ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც კონვერტიდან ბელგიიდან წასვლის ნებართვა ამოვიღეთ. ყველანი ცალ-ცალკე ვიყავით ჩამოთვლილი. ნებართვაში ჩადებული იყო ცალკე ცნობა, რომ სამხედრო მატარებელი ჩრდილოეთის რკინის გზის სადგურიდან დღეს საღამოს 5 საათზე გადისო. იყო 2 საათი როდესაც ეს ნებართვა მივიღეთ. ჩემოდნების, საბნებისა და პლედების სყიდვა უნდა მოგვესწრო. ჰუტრომ 7.000 ფრანკი გვასესხა. ნაწილი ოქრო მოგვცა (გერმანული მარკები და ინგლისური სტერლინგები), ნაწილი ქაღალდისა და 700 ფრ. ვერცხლის ფული. ეს უკანასკნელი იმ მოსაზრებით მომცა, რომ ვერცხლის ფულს საზღვარგარეთ უფრო მიიღებენო. სანოვაგის ყიდვა ველარც კი მოვასწარით გარდა შოკოლადისა. მატარებელს ძლივს მივუსწარით. მატარებელი შესდგებოდა მეოთხე კლასის ვაგონებისაგან. წინა ვაგონებში მსუბუქად დაჭრილი გერმანელები იყვნენ, მატარებლის მეორე უკანა ნახევარში — ტყვეები (ბელგიელები), ამათ შუა ერთი ვაგონი მთლად ჩვენს განკარგულებაში იყო.

მატარებელი დაიძრა.

ბრიუსელიდან გავედით. მატარებელი ძალიან ნელა მიდიოდა, გერმანიიდან მომავალ სამხედრო მატარებელს აძლევდა გზას. ეს მატარებლები დატვირთული იყო ჯარისკაცებით, სურსათით, სამხედრო მასალით, სამხედრო ეტლებით და სხვა. შორიახლოს ზარბაზნების გრიალი მოისმოდა. გავიარეთ დანგრეული ლუვენი. გზადაგზა ხშირად ვხედავდით ახლად მოჭრილს ადამიანის ხელფეხს, რომელიც გადაყრილი იყო სასანიტარო მატარებლიდან ოპერაციის შემდეგ. სანიტარულ მატარებლებში საოპერაციო ვაგონები ჰქონდათ. იქ გზადაგზა გადაუდებელ ოპერაციებს აკეთებდნენ. ამისთვის მატარებელს მოკლე ხნით აჩერებდენ, რადგან გზაში ბევრი დრო

[1]) რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა ბელგიაში ესპანეთის კონსულს ჰქონდა მინდობილი.

გვქონდა, ჩვენ დავათვალიერეთ გერმანელების სანიტარული მატარებელი-სანოვაგის პუნქტები და ყველგან დიდი სისუფთავე და წესრიგი ვნახეთ.

ბრიუსელიდან აახენამდე ჩვეულებრივი მატარებელი [illegible] საათის სავალი იყო. ჩვენ კი სამოც საათს მოვუნდით. პირველ [illegible] ეთქმის არ გვძინებია. როდესაც სამგზავროდ მივდივარ ხოლმე, თან უეჭველად მიმაქვს სანთელი. ხშირად ჩემს შვილებს და მეუღლეს სიცილად არა ჰყოფნიდათ ეს ჩვეულება, მეტადრე ევროპაში მოგზაურობის დროს, როდესაც ვაგონები ყოველთვის კარგად არის ხოლმე განათებული. ამ ღამეს კი მე დავცინე და სამაგიერო გადავუხადე. სამხედრო მატარებელი ყოველთვის გაუნათებელი დადის. პატარა ჩემოდნიდან სანთელი ამოვიღე და ავანთე. ამ სინათლეს მტერი ვერ დაინახავდა, ჩვენ კი სინათლეში მხიარულად ვგრძნობდით თავს. მეზობელ წინა ვაგონში მყოფმა დაჭრილებმა სინათლე დაინახეს, დაინტერესდენ, შემოიხედეს და რა დაინახეს, რომ ვაგონში ჩემს გარდა ქალები და ყმაწვილებიც იყვნენ, დარჩენის ნება ითხოვეს. შემოსულებს სხვებიც მოემატნენ. სინათლე ხომ არა გვშურდა, მაგრამ ამავე დროს ცოტაოდენ ხიფათში ვიყავით. საქმე ის არის, რომ ჩემს შესახებ ბერლინში ცნობა ჰქონდათ, როგორც რევოლუციონერისა, მაშასადამე, საქართველოში მე გამოვადგებოდი რევოლუციონური მოძრაობის გაღვივებაში. ამასთანავე ნათქვამი გვქონდა, რომ გერმანიის ტერიტორიაზე ჩვენ ქართველი მაჰმადიანები ვართ, ოსმალები. რუსის ქვეწევრდომობაც და რუსული და ფრანგული ენაც უნდა დაგვემალნა, მანამ გერმანიის ტერიტორიაზედ ვიყავით. მაშ მხოლოდ ქართულად უნდა გველაპარაკნა. ჩემი რძალი ბელგიელი ქალი „გუვერნანტად" დავსახეთ. ცხადია, რომ სხვების გასაგონად ჩვენ მხოლოდ ქართულად უნდა გველაპარაკა, ან ჩუმათ ვყოფილიყავით. მე ვაგონის კომენდანტად გამოვაცხადე ჩემი თავი და ბრძანებაც გავეცი — ან ჩუმად იყავით სხვებთან, ან ქართულად ილაპარაკეთ, მხოლოდ უფროს შვილს შეეძლო გერმანელებთან ლაპარაკი გერმანულად ან ფრანგულად. ეს ენა ზოგმა იცოდა. რაკი ჯარისკაცებმა დაინახეს ჩვენი მათდამი თანაგრძნობა, დაიწყეს ომზე ლაპარაკი. იმათ ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ჯარისკაცთ ფრანგებისადმი სიძულვილი სრულიად არა ჰქონდათ და კარგად ახსენებდნენ მათს სიმამაცეს. ქვეითი ჯარი სუსტია, სამაგიეროდ კარგი ცხენოსანი ჯარი ჰყავთ და ჩვენზე უკეთესი არტილერია. თუ ზარბაზნის პირველი ყუმბარა დანიშნულ ადგილას არ დაეცა, მეორე უეჭველად ასწორებს ამ აცდენას და მოწინააღმდეგეს სამართებელივით პარსავსო. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგებისაგან იყვნენ დაჭრილნი, ცუდად არ იხსენიებდენ მათ. აქედან საერთო აზრის და დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ომის ამტეხი კლასი ყოველ სახელმწიფოში ღვარძლით არის სავსე, ხალხი კი ძალას ემორჩილება, თორემ აბა რა აქვს გერმანელს ფრანგთან ან ბელგიელთან სამტრო! მრავალ მილიონ მეომარს, სულაც არა აქვს გამორკვეული ბრძოლის მიზანი. საერთო მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როდესაც ყველა სახელმწიფოებისაგან შედგენილი იქნება შე-

ერთებული შტატები, ერთხელ და სამუდამოთ აღნიშნული იქნება საზღვრები და მოსპობილი იქნება შტატებ-შორის ომები.

დაჭრილი გერმანელები გამხიარულდენ, პატარა შოთას და შალვას (ჩემი შვილები) ქალალდს ეთამაშებოდენ და ართობდენ. ნოვერთმა მათგანმა პატარა ყმაწვილების დანახვაზე სამშობლოში დატოვებული თავიანთი პატარა შვილები მოიგონა და ამიტომ უალერსებდენ პატარებს. დაიწყო იმ დროს გავრცელებული „პუპსიკი"-ს მღერა. შუალამე გადასული იყო, რომ დასაძინებლად წავიდნენ. მატარებელში სამნეო ნაწილიც მე მებარა. როცა გერმანელი დაჭრილები ჩვენთან იყვნენ, მე ჩვენებს „ვახშამი" დავურიგე — პატარა ნაჭერი შოკოლადი და პატარა ნაჭერი პური. რადგან პური გამოგველია, გიორგიმ დაჭრილებს მიმართა — იქნება თქვენ მეტი პური გაქვთ, მოგვყიდეთო. ერთი დაჭრილთაგანი თავის ვაგონში გავიდა და ერთი დიდი პური გამოგვიტანა. ფული ვაძლიეთ, მაგრამ არ გამოგვართვა. რაკი პური მივიღეთ, მე ყველას მოვუმატე ულუფა, რადგან ნახევარზე მშივრები ვიყავით. ნახევარი პური მაინც მეორე დილისათვის გადავანარჩუნე.

გათენდა დილა. ისევ ბელგიის ტერიტორიაზე ვიყავით. დილით ერთ სადგურზე (სადგურის სახელი აღარ მახსოვს) გავჩერდით. იქ გერმანელებს ფრიად სუფთა საკვები პუნქტი ჰქონდათ. პუნქტზე ყველაფერი თეთრად იყო შეღებილი. თეთრად ჩაცმული ქალები დაჭრილ სალდათებს საუზმეს ურიგებდნენ. ჩვენი ყმაწვილები რომ დაინახეს, — მოუტანეს რამოდენიმე ბოთლი რძე, თეთრი პური და შოკოლადი. ასე ვიარეთ აახენამდე. აახენში თვით რკინის გზის სადგურზე მოწყობილი იყო სადოსტაქრო კაბინეტები, სადაც მატარებლით მოყვანილ დაჭრილებს ოპერაციებს უკეთებდენ.

აახენის ახლოს ჩვენი მატარებელი სამ საათს იდგა. მანამ მეორე მატარებლიდან დაჭრილებს გაიყვანდნენ და დააბინავებდენ, ჩვენი მატარებელი სადგურზედ არ შეუშვეს. ძლივს ჩვენც გვეღირსა სადგურზედ შესვლა და ჩვენი „საწოლ ვაგონიდან" სადგურზე გადასვლა. უკვე დალამებული იყო. სადგურის დიდ დარბაზში ჯგუფად ვიდექით და გიორგის ვუცდიდით, რომელიც წავიდა იმის გასაგებად, თუ როდის გავიდოდა მატარებელი დანიისკენ, და აგრეთვე სასტუმროს მოსაძებნელად. გვინდოდა მოსვენებით გაგვეტარებინა ის ღამე. მანამ გიორგი დაბრუნდებოდა, გერმანელები ჩვენს ჯგუფს შემოეხვივნენ. ცნობისმოყვარეობით გვიყურებდნენ და უკვირდათ. ვინ ვიყავით და რანაირად გავჩნდით იქ. მე განგებ ხმამაღლა დავიწყე ლაპარაკი ქართულად. მინდოდა გამეგებინებინა, რომ ჩვენ რუსები არ ვიყავით. არც ერთს ჩვენთაგანს არც ეტყობოდა რუსობა. თითქმის ყველას აღმოსავლური იერი გვქონდა. გვკითხეს, საიდანა ხართო. ჩვენ ქართულად ვეუბნებოდით, გურჯები ვართ, ოსმალეთის მხრიდანო. მათ თავიანთ მოკავშირედ ჩაგვთვალეს და სიამოვნების ღიმილი მოუვიდათ. შემდეგ გაკვირვებით შეხედეს ჩემს ბელგიელ რძალს, იგი პატარა ყმაწვილების გუვერნანტად გამოვაცხადე. ამ ლაპარაკში გიორგიც დაბრუნდა. რადგან მატარებელი კელნში დილით გადიოდა, ჩვენ იქვე ახლო სასტუმროში წავედით.

მეორე დღეს ააბენიდან გავედით. მდგომარეობა იმისთანავე იყო, მხოლოდ ქართულად შეგვეძლო ლაპარაკი. შუადღისას მივედით კელნში. აქ სამი საათი უნდა მოგვეცადნა. ზევით უკვე ვთქვი, რომ ჩვენ დიდი ბაგაჟი დაგვეკარგა. კელნის სადგურზე ვისადილეთ. ამის მერმე გიორგი კელნის სადგურის კომენდანტთან მივიდა და განუცხადა ბაგაჟის დაკარგვის ამბავი. კომენდატმა უთხრა, დაათვალიერეთ ბაგაჟის საწყობები და თუ თქვენსას იცნობთ, აქვე მიიღებთო. გიორგის დაეთვალიერებინა საწყობები, სადაც ყველა ქვეყნის და ქალაქის ბაგაჟი ცალცალკე ელაგა, მაგრამ ჩვენი ბაგაჟი არსად არ აღმოჩნდა. დამავიწყდა მეთქვა, რომ ბრიუსელიდან აგვისტოს პირველ რიცხვებში ქალაქ ვერვიეში ერთ ცნობილ კომისიონერს წერილი მივწერეთ და ჩემოდნების გასაღებებიც კი გავუგზავნეთ, რომ ჩვენი ბაგაჟი საბაგაჟოში გაესინჯვინებინა და ბრიუსელში გამოეგზავნა. პასუხი ვერ მივიღეთ გერმანელების ბელგიაში შემოსვლის გამო.

გიორგიმ კელნში სადგურის კომენდანტს ფონ-დერ-გოლცის ქალალდი უჩვენა, სადაც ეწერა: ყველგან დახმარება აღმოუჩინეთო, და ვერვიეში კომისიონერთან ტელეგრამის გაგზავნის ნებართვა სთხოვა. ტელეგრამაში გიორგი კომისიონერსა სთხოვდა ბაგაჟი, სტოკჰოლმში გაეგზავნა გიორგის სახელზე, რადგან გიორგი იქ უნდა დარჩენილიყო. ტელეგრამა გავგზავნეთ, ბაგაჟის პოვნის იმედი კი აღარა გვქონდა.

ოთხი დღის დამშეულებმა კელნში მადიანად ვისადილეთ, საგზაოთაც კალათით სახელდახელო საჭმელი და თეთრი პური წავიღეთ, ჩავსხედით დანიისკენ მიმავალ მატარებელში, ვახსენეთ ალლაჰი, როგორც „თურქებმა“ და წავედით. კილის არხთან გავლის დროს ვაგონის ფანჯრებს ფარდები ჩამოაფარეს, აგვიკრძალეს ფანჯარაში გადახედვა და რათა ბრძანება არ დაგვერღვია, ყოველ კუპეში ჯარისკაცი დააყენეს. გერმანიის უკანასკნელ სადგურზე უნდა გავეჩხრიკეთ და შევეწუხებინეთ. საზღვარზედ გერმანელები უცხოელებს ძალიან სასტიკად ეპყრობიანო — ამის შესახებ ხმები დიდიხანია დადიოდა. ვამდრუპში დღისით მზისით მივედით. აქ უფრო დიდი სიფრთხილე გვმართებდა, რადგან გერმანიიდან მომავალ უცხოელებს, ეშვის თვალით უყურებდენ, ეშინოდათ ჯაშუში არ გაჰპარვოდათ. სიბრთხილე უნდა გამეორკეცებინა, რომ ყმაწვილებს არა წამოსცდენოდათრა. ხანდახან დიდრონებსაც ავიწყდებოდათ დისციპლინა. ამ სადგურზე კი ბევრი ჯაშუში უნდა ყოფილიყო, რომელნიც სადგურზე მყოფ მგზავრებს თვალყურს ადევნებდნენ. რკინის გზის დარაჯებს მგზავრები თითოთითოდ მიჰყავდათ სადგურთან იქვე პატარა სახლში, სადაც, როგორც მერე გავიგეთ, თურმე ყველას ატიტვლებდნენ და ძალიან გულმოდგინედ სჩხრეკავდნენ ქალებსაც და კაცებსაც. ამან ცოტა შემაფიქრიანა. იმისი კი არ შემეშინდა, რომ გვიპოვიდენ რაიმეს, არამედ იმისი, რომ ყმაწვილებს არ შეშინებოდათ და არა წამოსცდენოდათ რამე. ფონ-დერ-გოლცის ქალალდში გარკვევით ეწერა — ყველგან დახმარება აღმოუჩინეთ და ბარგს ნუ გაუჩხრეკავთო. დიდი დისციპლის ადმინისტრაცია უნდა იყოს, რომ

იმისთანა სახიფათო დროს პოლიციამ თავი შეიკავოს და გენერალ-გუბერნატორის წინადადება დაუბრკოლებლივ შეასრულოს.

ჩვენი ჯერი მოდგა. ლაპარაკი ყველგან — ბრიუსელიდან დანიის საზღვრამდე, გიორგის ჰქონდა მინდობილი. თუმცა ჯაშუშები, როგორც მერე აღმოჩნდა, ფრანგულადაც ლაპარაკობდნენ. მაინც გიორგი გერმანულად ელაპარაკებოდა, (მაშინ ამ ენაზედ მდარედ ლაპარაკობდა). ესეც ერთნაირი ტაქტიკა იყო, რომ ცოტა ელაპარაკნა და პასუხის მოფიქრებისთვის მეტი დრო ჰქონოდა. გიორგი დარაჯს გაჰყვა იმ სახლში, სადაც საზღვრის პოლიცია იყო. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა. ფონ-დერ-გოლცის ქალალდმა თურმე გასჭრა, გიორგი არც გაატიტვლეს და არც ბარგი გაგვიჩხრიკეს. მაინც ჩვენს ახლოს ორი ჯაშუში ტრიალებდა — ერთი მათგანი უფრო ხნიერი იყო. მატარებელში ჩაჯდომის დროც მოახლოვდა. მესამე კლასის ვაგონები იყო, კუპეებად დაყოფილი. მათ ერთმანეთში გასავლელი კარი ჰქონდა. რაკი დავინახე, რომ ის ორი ჯაშუში ჩვენ გვითვალთვალებდა, ჩვენებს ვუთხარი, ყველანი ერთ კუპეში დამსხდარიყვნენ მჭიდროდ, რომ მეტ კაცს იქ შესვლა არ შესძლებოდა. ამასთანავე დავავალე დაეხიათ და ნელ-ნელა გადაეყარათ ყველაფერი, რაც რუსულ ენაზე იყო დაწერილი — პასპორტები, წერილები და სხვა. ეს ჩემმა მეუღლემ იკისრა, და დიდი სიფრთხილით შეასრულა თურმე. მეტადრე გზაზე გადაყრა იყო სახიფათო, რადგან ლიანდაგის ორივე მხრივ ჯარისკაცები ყოველ ორმოცდაათ — ას ნაბიჯზე იდგნენ.

მე და გიორგი მეზობელ კუპეში შევედით. ის ორი ჯაშუშიც ჩვენთან შემობრძანდა. ხნიერი მე მომიჯდა, ახალგაზრდა — გიორგის. მე გერმანულად დამიწყო ლაპარაკი, მე თავი გავუქნიე, ვანიშნე, არ მესმის მეთქი. მერე ფრანგულად დამიწყო გამოკითხვა: ვინა ვარ და საიდან მოვდივარ. მე ყვლავ თავი გავუქნიე, მივუბრუნდი გიორგის და ხმამაღლა ქართულად ვუთხარი: ეს მამაძაღლები ჯაშუშები არიან, ფრთხილად იყავი. უთხარი, რომ მე მხოლოდ ჩემი დედა-ენა ვიცი, რომ ევროპაში სამკურნალოდ ვიყავ. ჩემ ლაპარაკს გაკვირვებით უსმენდნენ. გიორგიმ მოკლედ გადასცა ჩემი ნათქვამი და უთხრა, რომ ჩვენ თურქები ვართ. ახალგაზრდა ჯაშუშმა (ცოტა ნასვამი ბრძანდებოდა) წამოაყრანტალა: იქნება თქვენ მუშები ხართო? გიორგიმ ეს გადმომცა. მე შუბლი შევიკარი, ვუჩვენე გაჯავრება და გიორგის კი ვუთხარი — უჩვენე ამ მამაძაღლებს გენერალ-გუბერნატორის საბუთი (იმ მოწმობაში ყველანი დახასიათებული ვიყავით და წლოვანებაც იყო აღნიშნული). ახალგაზრდა ჯაშუშმა ფონ-დერ-გოლცის ქალალდი გადაშალა, ხელმოწერა და გენერალ-გუბერნატორის ბეჭედი გასინჯა და ცოტა მოლბა. დაიწყო გვარებისა და სახელების კითხვა, გაათავა ქალალდი, დაუბრუნა და მერე სხვა ლაპარაკი გაბა: მე აქ ახლო ვცხოვრობ. ამ შუალამისას დანიაში წასვლას სჯობია მე მეწვიოთ (13 სული. მე პ. ყიფიანის ოჯახიც მომყავდა და ერთი სტუდენტიც), კარგად გაგიმასპინძლდებით და ხვალ დილით წადითო. გიორგიმ დიდი მადლობა და უარი მოახსენა. მატარებელი ერთი წუთით გაჩერდა. ჯაშუშები გადახტნენ თუ არა, მატა-

რებელი დაიძრა და სამი წუთის შემდეგ უკვე დანიის საზღვარზე ვიყავით.

თავისუფლად ამოვისუნთქეთ. გიორგიმ ჯაშუშებს კარგად შეეკურთხა. მატარებელი დანიის რკინის გზის სადგურზე გაჩერდა, ვაგონიდან გამოვედით. ერთმანეთს გერმანიიდან უხიფათოდ გამოსვლას ეულოცავდეთ. ყველანი მხიარულად ვიყავით. ვისაც ეს გამოუცდია, მხოლოდ ის გაიგებს ჩვენს მხიარულებას. სადგურის ახლოს სასტუმრო იყო. შხაპი წვიმა მოდიოდა. ჩვენ ფეხით წავედით სასტუმროსაკენ, ოთახებში დავაწყეთ ჩვენი ბარგი და სასტუმროს რესტორანში ჩავედით. ეს სასტუმრო თურმე მონადირეებისთვის ყოფილა. რესტორანში ისეთი ბოლი ტრიალებდა თამბაქოსი, რომ ძნელი იყო იქვე მოშორებით რამეს გარჩევა. მოშორებით კი მეორე ოთახში, რომელიც პირველ ოთახისგან თაღით იყო გაყოფილი, დიდი თეთრი ქანდაკება იდგა დიანასი, ნადირობის ღმერთისა. ეს ქანდაკება, თამბაქოს კვამლის ბურუსში გახვეული, რაღაცა მისტიურ მოჩვენებას წარმოადგენდა. გახარებულებმა, რომ განსაცდელიდან მშვიდობით გამოვედით, მეორე ოთახში ირმის მწვადებით ვივახშმეთ.

მეორე დღეს კოპენჰაგენში ჩავედით. იქ რუსეთის კონსულისაგან რამე ქაღალდი უნდა მიგვეღო რუსეთში შესასვლელად. ჩვენი პასპორტები, როგორც ზემოთა ვთქვი, გზაზე მოვსპეთ. გარდა ამისა, ტფილისში ტელეგრამა უნდა გამეგზავნა გერმანიიდან თავის დაღწევის შესახებ. კოპენჰაგენში ბლეგიის ფულიც უნდა დაგვეხურდავებინა. ზევით ვთქვი, რომ ბელგიის ბანკმა 700 ფრ. თეთრი ფული გამოგვატნა, რომ დახურდავება არ დაგვჭირებოდა. გვითხრა, ვერცხლის ფულს უფრო ადვილად და მეტად დაახურდავებენო. კოპენჰაგენის ბანკში კი თეთრ ფულში უფრო ნაკლები მოგვცეს, ვიდრე ბელგიის ქაღალდის ფულში, ვითომ იმიტომ, რომ თეთრი ფულის ბელგიაში გაგზავნა დასახურდავებლად ქაღალდის ფულის გაგზავნაზე უფრო ძნელიაო. ბანკი მაშინ როგორ ანგარიშობდა და რას ფიქრობდა — არ ვიცი, ეს კია, რომ ომში ჩაბმული სახელმწიფოების ქაღალდის ფული, გარდა ინგლისისა და ამერიკისა, ყველა ბონებად გადაიქცა და თავისი ძირითადი ღირებულება დაჰკარგა.

კოპენჰაგენში რუსეთის კონსულთან წავედი (მელნიკოვი იყო), დაწვრილებით ავუხსენი ჩვენი მდგომარეობა. დავუმალე, რასაკვირველია, რომ ბლეგიიდან თავისუფლად გამოვიარეთ გერმანიაზე ფონ-დერ-გოლცის მოწმობის წყალობით, რადგან ამას ეჭვის თვალით შეჰხედავდა. ვუთხარი, რომ ჰოლანდიის საზღვარზე ფარულად გადავედით მეთქი. მელნიკოვი კეთილი კაცი აღმოჩნდა, ყველას საერთო ქაღალდი მოგვცა. ომის ამბებით სრულიად არ დაინტერესდა. ახლა უფრო თავისუფლად ამოვისუნთქეთ, რადგან რუსეთში შესასვლელი ოფიციალური ქაღალდი გვქონდა. ამის შემდეგ ორი დღე კიდევ დავრჩით ქალაქის დასათვალიერებლად. კოპენჰაგენიდან შვეციაზე და ფინეთზე ავიღეთ გეზი.

კოპენჰაგენი ზელანდიის კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილზეა, კატეგატის არხის პირად. აქედან შვეციაში წასვლა გემით შეიძლება. დაახლოვებით ორი საათის სავალია. არც კოპენჰაგნში, არც სხვა ქალაქების სადგურებზე

და არც თვით ქალაქებში არავითარი საომარი დროის მოძრაობა არ იყო. არა სჩანდა ჯარის მოძრაობის შედეგები. სრული მშვიდობიანობა სუფევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემმა შვეციის ქალაქ მალმოში მიგვიყვანა. ... სტოკჰოლმამდე და ლულეომდე სრულიად სხვა სურათი იყო. შვეციაში სერიოზული მობილიზაცია იყო „ყოველ შემთხვევისათვის". მალმო სუფთა პატარა ქალაქია, მაგრამ დაღვრემილია. ჩრდილოეთის ბეჭედი აზის. სახლები ერთი სტილისა, ტლანქი შენობები. ამ ქალაქს კარგი ნავთსადგური აქვს და ეს ჰგვრის მას ცოტაოდენ სიცოცხლეს. სტოკჰოლმში იმავე დღესვე წავედით. სტოკჰოლმი სრულიად ევროპული პატარა ლამაზი ქალაქია. სახლები ჩვეულებრივი ევროპულია. ბევრი წყალია, არხები, პატარა ლამაზი გემები ზოგან ტრამვაის მაგივრობას ასრულებს. ეს ძალიან აადვილებს მცხოვრებთა მიმოსვლას. ძალიან ბევრი მცენარეა — ჭალები, პარკები, ბაღები, ყვავილნარები. სტოკჰოლმშიც ჩვეულებრივი მშვიდი მოძრაობა იყო.

ნასადილევს ერთ-ერთი რესტორანიდან გამოვდიოდით, კარებში რამოდენიმე შვედები შეგხვდა. შეგვატყვეს, რომ უცხოელები ვიყავით და დაიწყეს ლაპარაკი გერმანულად. აღმოჩნდა, რომ ესენი გერმანოფილები იყვნენ. რაკი გაიგეს, რომ ჩვენ რუსები არ ვიყავით, დიდი თანაგრძნობით გვისურვეს კარგი შედეგი ამ ომისა და გამარჯვება.

სტოკჰოლმში ელჩი უნდა მენახა, რომ საგზაო ფული გამომერთმია, რადგან ბრიუსელში მიღებული ფული ტფილისამდე არ გვეყოფოდა. საელჩოში მდივანს ვთხოვე ელჩისათვის ეთქვა, რომ ბელგიიდან მოვდივართ და მინდა ელჩი ვნახო-მეთქი. ელჩმა დაუყოვნებლივ მიმიღო, თუმცა მისაღებ ოთახში ბევრი ხალხი უცდიდა. ეს ყურადღება იმით აიხსნება, რომ ომის დროს ბელგიიდან წამოსულს იქაური ამბები ეცოდინებოდა, ეს კი ელჩს აინტერესებდა, რომ პეტროგრადში შეეტყობინებინა. ერთ საათზე მეტი ვილაპარაკეთ, ბევრი რამე გამომკითხა გერმანელების შესახებ, გზაზე რა ჯარები მოდიოდა, გერმანიის მატარებლები რითი იყო დატვირთული და სხვა. როდესაც ბრიუსელის ამბავი ვუთხარი, რომ იქ შემოსული გერმანელი ჯარი კარგად იქცეოდა, რომ გარდა ორი მცირე ინციდენტისა, არავითარი სერიოზული ინციდენტი არა ყოფილა-მეთქი — ცოტა გაუკვირდა. აქ სხვა ამბავი მოჰქონდათო, ბრიუსელი ააოხრესო, ბევრია დახოცილებიო და სხვ. მე ვუთხარი, რომ ბრიუსელში ვიყავი ომის დაწყების დღიდან და თვით ბრიუსელში სრული მშვიდობიანობა იყო დაცული. რაც შეეხება ლუვენს — მართალია, იქ ზოგი რაიონი დანგრეულია. (შარლეროუაში ქუჩებზედაც იყო ბრძოლა, რადგან იქ საფრანგეთის ჯარი მოვიდა ბელგიელების საშველად მეთქი). თითქო დაიჯერა. სესხად ფული მომცა, რომელიც ტფილისში გადავიხადე.

სტოკჰოლმში ლამაზი პატარა დრამატიული თეატრია. ერთ საღამოზე გამოცხადებული იყო „როსმესჰოლმი". ვიფიქრე: აქ პიესის სამშობლოში, იგი კარგად უნდა იყოს დადგმული თავის დეტალებით, მსახიობნიც თავი-

ანთ როლებს კარგად უნდა ასრულებდნენ-მეთქი. პატარა თეატრი სავსე არ იყო. მაშასადამე სტოკჰოლმელებს ან პიესა არ მოსწონთ, ან ამსრულებელნი, თორემ რითი აიხსნება ასეთი გულგრილობა? ამ ქალაქში 350.000 მცხოვრებია. ქალაქში უმაღლესი სასწავლებელია, ადგილობრივ ... ცენტრია. ორი მოქმედების შემდეგ თეატრიდან წავედით, რადგან არც პიესის დადგმა, არც მსახიობთა თამაში დამაკმაყოფილებელი არ იყო. სცენის მოწყობილობაც კი სრულიად მარტივი გამოდგა. სტოკჰოლმში კარგი ეტნოგრაფიული მუზეუმია, სადაც დიდი განყოფილებაა შვეციის და ნორვეგიის ოჯახების მოწყობილებისა, მანეკენები სხვადასხვა ტანსაცმელით, საოჯახო ნივთებით, ავეჯით და სხვა. სცენის შესაფერისად მოწყობისათვის რეჟისორს თავის მტვრევა და შორს ძებნა არ დასჭირდება.

რამდენიმე დღის შემდეგ სტოკჰოლმიდან რუსეთისაკენ გავემგზავრეთ. მატარებელი საღამოზე გადიოდა. მესამე კლასის ბილეთები გვქონდა. ვაგონები კარგია და სუფთა. მესამე კლასის ვაგონებშიაც, რომლებიც ღაშე მიმოდიან, დასაძინებლად რბილი ტყავგადაკრული საწოლებია. ყოველ კუპეში სამი საწოლია, ერთმანეთზე მიწყობილი, მეორე კლასის კუპეში კი ორი საწოლია. თვით კუპეში ადგილი არ არის სამგზავრო ბარგის დასაწყობად ან პალტოების დასაკიდებლად. ბარგისთვის და პალტოებისთვის სამყოფი ადგილი ვაგონების კორიდორია. ამან ძალიან შეგვაფიქრიანა. ერთხელ უკვე დავკარგეთ ყველა ტანისამოსი და თეთრეული, როდესაც შვეიცარიაში და ბელგიაში მივდიოდით. ბრიუსელში ძლივს შევიძინეთ სამყოფი საცვლები, პალტოები და ჩვენი ბარგი-ბარხანა კორიდორში რომ დაგვეტოვებინა და კუპეში დაგვეძინა, განა ადვილი წარმოსადგენი არ იყო უარარაოდ დარჩენა? ადგილობრივი მცხოვრებნი ყველა კორიდორში აწყობდა თავის ბარგს, პალტოებსაც იქვე ჰკიდებდნენ, რადგან ვაგონებში თბილოდა და პალტოებით ყოფნა საჭირო არ იყო.

ადგილობრივ წესებს ჩვენც დავემორჩილეთ, ყველა ჩვენი ავლადიდება კორიდორში დავაწყეთ, და გადავწყვიტეთ რიგ-რიგათ დაგვეჭირა თვალი ჩვენ ბარგზე. ჩვენის აზრით ეს საჭირო იყო უფრო იმიტომ, რომ შვეციაში ამ დროს მობილიზაცია მიდიოდა და ვაგონებში გაწვეული ჯარისკაცები შემოდიოდნენ და გადიოდნენ. ორი სადგური გავიარეთ, ყველა სადგურზე ჯარისკაცების რიგი შემოდიოდა, რიგი მიდიოდა. სხვა კუპეებში ყველანი კარშეხურულებში იყვნენ ჩვენს გარდა. ჩვენ ფხიზლად ვიყავით და, თუმცა ვიწექით, მაინც ცალი თვალი კორიდორისკენ გვქონდა, ამავე დროს ვამბობდით: ცხადია, აქ ქურდობისა არ ეშინიათ, თორემ ასე უპატრონოდ კორიდორებში ბარგს რად დასტოვებდნენ? ჩვენც კარები მოვიხურეთ და „ფხიზლად" დავიძინეთ. ღამით მაინც რამდენჯერმე გავაღე კარი და ჩვენს ბარგს შევხედე. ყველა თავის ადგილას იყო. ბარგს რომ აზრი და გრძნობა ჰქონოდა, ძალიან დაგვცინებდა. დილით პირის დასაბანად გავედი და ვნახე, რომ კორიდორში ახლა სულ სხვა ხალხი იდგა. ვაგონის ბოლოში დიდ განყოფილებაში პირსაბანი იყო მოთავსებული ხუთი თუ ექვსი ადამიანისათვის. იქვე ხარიხაზე იმდენივე ძალიან გრძელი პირსახოცი ეკიდა, თავი

და ბოლო ერთმანეთზე გადაკერებული. ამ პირსახოცებით იწმენდნენ პირს, ხოლო რადგან პირსახოცები გრძელი იყო, მშრალი ადგილებიც სამყოფი იყო. კუპეში დავბრუნდი და გაკვირვებულმა ჩვენებს ნახული ამბავი. მაშინვე წარმოვიდგინე რუსეთის რკინის გზებით მოგზაურობა, სადაც დაკეტილ კუპედანაც იპარავენ ბარგს, სადაც ზოგიერთს გზებზე მთელი ღამე ვაგონებში ჟანდარმები დადიოდენ ქურდების წინააღმდეგ, სადაც ვაგონის თავიდან და ფანჯრიდან ჩანგლებით იტაცებდნენ ბარგს. ერთხელ ამნაირად კუპედან ჩანგლით საბანში შეხვეული პატარა ბალღიც კი მოიპარეს — ნივთი რამ ეგონათ.

ადრე ადგომამ და კორიდორში გამოსვლამ დიდად მასიამოვნა. სტოკჰოლმიდამ რკინის გზა ტყეებსა სჭრის. მას შემოდგომის იერი ჰქონდა. დღე მოწმენდილი იყო, მზე თავის სხივებს ჰფენდა ტყეებს, სხვადასხვა ფერის ფოთლები, მზის სხივებით განათებული, საოცნებო სანახავი იყო. შიგადაშიგ წერტილებში და ალაგ-ალაგ მწვანე მხიარული ფერის ბალახით შემოსილი პატარა მინდვრები აგვირგვინებდნენ მშვენიერ სურათებს. საღამო ხანს ქ. ლულეიში მივედით. ღამე აქ უნდა მოგვეცადნა, დილით ღამიანათ ლულეიდან ფინეთისაკენ გემი გადიოდა.

სასტუმროში წავედით, ლულეი პატარა ქალაქია. რამდენიმე კარგი სასტუმროა, ოთახები ძალიან კარგათ არის მოავეჯებული, ელექტრონით კარგად განათებული, თბილი საპირფარეშოები, სადაც ტერმომეტრებიც კი არის, რომ ზამთარში საჭირო ტემპერატურა დაიცვან. ამისთანა პატარა ქალაქებში ასე მოწყობილი სასტუმრო არსად არ არის. ისიც შორეულ კუთხეში. ლულეო არც სავაჭრო და სამრეწველო ქალაქია, არც დიდი ნავთსადგური. ბოტნიკურ ყურეს პირას მდებარეობს. მაშ რისთვის ან ვისთვის არის ასე მდიდრულად მოწყობილი სასტუმროები? ამის პასუხი სასტუმროს გამგემ მოგვცა. თურმე ზამთრობით მდიდარი ამერიკელები და ევროპელები მოდიან და აქედან ჩრდილოეთისაკენ ნორდკაპში მიემგზავრებიან, სადაც მთელი დღედაღამე მზეა და ჩრდილოეთის მყინვარე ზღვა და ნორდ-კაპის არე-მარე ლამაზ სანახაობას წარმოადგენს. რასაკვირველია, მდიდარ ამერიკელ-ინგლისელებს კარგად უმასპინძლდებიან სასტუმროების პატრონები.

გათენებისას პატარა გემით ფინეთისკენ გავემგზავრეთ. ქარი იყო, ბოტნიკური ყურე ძალიან ღელავდა, ციოდა, გემზე ერთი დიდი კაიუტა იყო, სადაც მგზავრები იატაკზედაც კი ისხდნენ. გემი იმდენად ძველი და უვარგისი იყო, რომ ერთ მხარეზე დგომა მგზავრებისა, საშიში იყო, გემი იქით გადაიხრებოდა და გემის ეგრედ წოდებული კაპიტანი მგზავრებს სთხოვდა გემის მეორე მხარეზედაც მდგარიყვნენ. გემი ერთ მხარეს არ გადაიზნიქოსო. გემზე საჭმელი არ იყო და არც თავშესაფარი გარდა ერთი საერთო კაიუტისა. კიდევ კარგი, რომ არა წვიმდა. ქარისგან და ზღვის ღელვისგან შეწუხებულნი 10 საათის შემდეგ ტორნეოში მივედით. ეს პატარა ქალაქი ფინეთის საზღვარზეა. შვეციის უკანასკნელ ნავთსადგურების პაპარანდას და ქ. ტორნეოს შუა პატარა მდინარე ტორნეო ჩამოდის, რომელიც ამ

ადგილას შვეიცარიას და ფინეთს საზღვრავს. მდინარეზე საცალფეხო ხიდია. გამოვედით თუ არა ხიდზე, (მაშასადამე ფინეთში შევედით), რუსის ჟანდარმი დაგვიხვდა. პასპორტები მოგვთხოვა. რადგან მაშინდელ ომს ბევრი გამოექცა და ჩვენსავით ერიდებოდნენ რუსეთის ქვეშევრდომის გამომჟღავნებას, ამიტომ პიროვნების დამამტკიცებელი საბუთებიც თითქმის ყველას კონსულებისაგან ჰქონდათ. ჩვენმა ქალალდებმა ეჭვი არ გამოიწვია (ჟანდარმი ტომით ფინელი იყო).

ღამე ტორნეოში დავრჩით. მეორე დღეს დილით მატარებლით პეტროგრადისაკენ წამოვედით. პეტროგრადის წინ ბელოოსტროვის სადგურზე ჟანდარმებმა კვლავ მოგვთხოვეს „დოკუმენტები". აქ-კი ჟანდარმები რუსები ბრძანდებოდნენ. ყველა საბუთები თავიანთ კანცელარიაში წაიღეს. მანამ დოკუმენტებს განიხილავდენ, ბარგის შესახებ გამოგვკითხეს. ბარგი არ გაუსინჯავთ, მხოლოდ უცხოეთის ჟურნალ გაზეთები გვთხოვეს, მთავრობას უნდა იქაური ამბები გაიგოსო.

ღამე უკვე პეტროგრადში ვიყავით, ხოლო ორი კვირის შემდეგ ტფილისში ჩამოვედით. აქ გაზეთებში ამოკითხული უამრავი ლეგენდა დაგვახვედრეს ომის შესახებ.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლ. ციცაძე, ვლ. ასათიანი

ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია

1933 წ. გამოვიდა პროფ. კ. კეკელიძის „ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია“, რომელიც მეტად აქტუალურ საკითხებს აყენებს.

ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის ცდა არამც თუ ახალია, არამედ საკმაოდ ძველია და პროფ. კ. კეკლიძე პროფ. ცაგარელის პერიოდიზაციიდან არც დიდათ შორს წასულა. პროფ. კეკელიძე წერს: „წინამდებარე შრომას შემიძლია შევხედო, როგორც ცდას, რომელსაც მიზნად აქვს ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია მარქსისტულ სოციოლოგიის მიხედვით“ (გვ. 7). ასე თავმდაბლურად უყურებს ავტორი მის ცდას. მაგრამ თუ რამდენადაა გამართლებული ეს ცდა, დიალექტიკურ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობის დაცვის თვალსაზრისით — ამას თვით ნაშრომის განხილვა დაგვანახებს.

„პირველი პერიოდი ძველი ქართული მწერლობისა, რომელსაც მე ვუწოდებ „ადრინდელი ფეოდალიზმის“ პერიოდს გრძელდება დღიდან მწერლობის დაწყებისა მეცხრე საუკუნის გასვლამდე (888), როდესაც ქართლში აღდგენილ იქნა მეფობა და და მასთან ერთად ფეოდალიზმიც ახალ ფაზისში შევიდა“ (გვ. 8).

მართლაც, ფეოდალიზმი სრული თავისი სახით ჩამოყალიბებისა და თავის შესაძლებლობის გაშლის ფაზისშია და თავის სრულ დასრულებულ გაფორმებას მე-10 საუკ. იღებს. ამრიგად ფეოდალიზაციის პრროცესს მე-8 საუკუნის დასასრულს ფეოდალური სამთავროების ჩამოყალიბება მოჰყვა. მაგ. ივ. ჯავახიშვილი სწერს: „მე-8 საუკუნის დასასრულს, საქართველოს მიწაწყალი ოთხს სხვადასხვა სამფლობელოს ეჭირა“... და სხვ. (ქართ. ერის ისტორია გვ. 369).

წინა ხანის ფეოდალური სამთავროები მე-9 — 10 საუკუნეში სავსებით დამთავრებულ-ჩამოყალიბებულ სახეს იღებს და წინა ხანის ფეოდალიზაციისა და ქრისტეანიზაციის განვითარების დასრულებულ სახეს იძლევა. თავის თავად ცხადია, რომ ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა ასეთ დასრულებულ სახეში უფრო ადვილი შესასწავლი და გასაგებია მისი შინაგანი იდეოლოგიური და სოციალური მოცემულობით, ვიდრე პროცესის დასაწყისში ან რომელიმე მის დაბალ ფაზისში. ცნობილია, რომ მთლიანობაში და მის დასრულებულ სახეში მოვლენის შესწავლა აფრო ადვილია, ვიდრე სხვა რომელიმე დაუმთავრებელ საფეხურზე.

— „განვითარებული სხეულის შესწავლა უფრო ადვილია, ვიდრე სხეულის უჯრედისა“, — გვასწავლის მარქსი. მე-10 საუკუნეში ფეოდალური სამთავროები ჩამოყალიბებულ დამსხვილებული სახით არსებობს და ქრისტიანული იდეოლოგიაც სრულ გარკვეულ სახეს იღებს. ამრიგად, მე-9 — მე-10 საუკ. ჩვენში ფეოდალური სამთავროებისა და ქრისტიანულ იდეოლოგიის ბატონობის პერიოდია, რომელშიც ქრისტიანული იდეოლოგია უაღრესად ფრთებს შლის. ამ საზოგადოებაში სავსებით ბატონდება სამღვდელოება და მტკიცდება კლერიკალიზმი. ამრიგად მე-5 საუკ. დაწყებული ქრისტიანული იდეოლოგია მე-9 — მე-10 საუკ. კლერიკალზმში იღებს თავის დამთავრებულ სა-

ხეს და თავის სრული რაობით გვევლინება. ბუნებრივია, — ფეოდალიზაციის პროცესს ფეოდალიზმის ჩამოყალიბება უნდა მოყვეს და ასევე „ადრინდელ ფეოდალიზმს“ აგიტაციურ-ქრისტიანულ მწერლობას: „წმ. შუშანიკისა“ და „აბო ტფილელს“ წამებას ბუნებრივად, შთლიანი თავის სახით ქრისტიანულ-კლერიკალურ ტენდენციურ მწერლობის ჩამოყალიბება უნდა მოყოლოდა. მე-9 — მე-10 საუკ. ფეოდალიზმის ჩამოყალიბება და ქრისტიანობის გამტკიცება თავის მხატვრულ გაფორმებას ამ ხანის ძეგლებში პოულობს. ქრისტიანობა ამ პერიოდში საკვლევით გავრცელებული და გამტკიცებულია. ის ახლა წინა ხანის აგიტაციურ ფაზიდან გამოსულია და დიდ ფეოდალებსა და მეფეებსაც კი, ქიშპობას უწევს, ღვთისა და ხალხის სახელით. თვით ეკლესია ჩვენში მე-9 — მე-10 საუკ. უკვე ფრიად მსხვილ საფეოდალოს წარმოადგენს. მას აქვს დიდი მამული და ჰყავს ყმები. ქრისტეანული იდეოლოგიის წარმომადგენლები, ისე შეეზარდნენ ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებულ ფეოდალიზმს, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად და იდეოლოგიურად, რომ საკვლევით მას დაეუფლონ და მეფეებიც კი თავის ნება სურვილს დაუმორჩილეს. მე-9 — მე-10 საუკ. მეფეები და ერისთავთ-ერისთავები იმდენად არიან სამღვდელო პირების გავლენის ქვეშ, რომ არამც თუ მიწებსა და ყმებს აძლევენ ეკლესიას, არამედ თვით აშენებენ დიდ მონასტრებსა და საყდრებს. ფეოდალიზმის ჩამოყალიბებას და ქრისტეანიზმის იდეოლოგიის განმტკიცებას ნატურალური მეურნეობა უწყობს ხელს. ნატურალური მეურნეობის დროს მართალია, არსებობს გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ ის ნატურალური ხასიათისაა, რის გამო სამეურნეო ცხოვრებაზე ვერ ახდენს გავლენას და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება მეტად ნელი ტემპით მიდის, თითქოს ერთ წერტილზეა შეჩერებული. ასეთი სამეურნეო ცხოვრება ჩვენშიაც და ყველგან ხელს უწყობდა მეტაფიზიკურ, კლერიკალურ, ერთ წერტილზე შეჩერებულ იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, რომელიც ევროპაში „სქოლასტიკის“ სალეხწოდებით არის ცნობილი. მართალია, „სქოლასტიკა“ ჩვენში მთელი თავისი სახით, როგორც ევროპაში, რომელიც ინკვიზიციამდეც კი მივიდა, ვერ ჩამოყალიბდა თავისი ხანმოკლეობისა და სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ მისი ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ცდა მე-9 — მე-0 საუკუნეში ძალიან დიდია.

გაბატონებულმა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ სცნო საერთოდ მეფე, ფეოდალი და ის ღვთისაგან გაჩენილად და დაწესებულად გამოაცხადა, რის გამო ქრისტიანული რელიგია გაბატონებულ წოდებისა თუ კლასის რელიგიად იქცა. სამაგიეროდ, ქრისტიანული რელიგია მეფეებისაგან და გაბატონებულ წოდებისაგან მისი წესების მტკიცედ დაცვასა და დამორჩილებას მოითხოვდა. რამდენადაც ქრისტიანულ რელიგიაში ფეოლალიზმი თავის იდეოლოგიურ გამოხატულებასა და გაფორმებას ჰპოულობდა, იმდენად ფეოდალები რელიგიის მესვეურებს ემორჩილებოდნენ. მართლაც, ეს ცდა მე-9 — მე-10 საუკ. ძეგლებში ნათლად იხატება. მე-9 საუკუნიდან, როგორც ფეოდალიზმის ჩამოყალიბებასთან, ისე რელიგიის გაბატონების ახალ უმაღლეს ეტაპთან გვაქვს საქმე. ამისათვის მე-9 — მე-10 საუკ. რელიგიისათვის თავდადება კი არ არის საჭირო, როგორც ეს ადრინდელ ფეოდალიზმის პერიოდში იყო საჭირო, არამედ პირველ რიგში დგას სამღვდელო პირისთვის ავტორიტეტის შექმნისა და მისი სხვა ადამიანებისაგან განსხვავების საკითხი, როგორც ეს „გრიგოლ ხანძთელის“ ცხოვრებაშია გამოხატული. აი საით მიდიოდა ქრისტიანიზაციის პროცესი და როგორ სახეს იღებდა ის. რელიგიის წარმომადგენლები ახლა რელიგიის გავრცელებისათვის ბრძოლას კი არ საჭიროებენ, არამედ თავის თავის ავტორიტეტისათვის და თავის პრივილეგიების გამტკიცებისათვის იბრძვიან; მე-10 საუკ. მწერლობა სწორეთ ამ ფონზე იშლება და ამისათვის არის მისი ყურადღება მე-9 საუკ. საეკლესიო მოღვაწეობისადმი მიპყრობილი. მე-9 — მე-10 საუკ. ფეოდალიზმის დამკვიდრება და ეკლესიის გაბატონება მწერლობასაც თავისებურ ელფერს — კლერიკალურ ფეოდალურ, ხასიათს აძლევს. ავტორიტეტული სასულიერო პირები — გრიგოლ ხანძთელი და საბა იშხნელი მეფეებსაც კი ეტოქებიან და იმორჩილებენ; საერთოდ ამ პერიოდში სასულიერო პირები საერო პირებს ხმასაც არ აღებინებენ. აი რას ამბობს ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი: „თუნდაც რომ ცამდის მართალ-

ყოფილიყო მთავარი, ან სხვა ვინმე, ერისკაცი, ჩარეულიყო საეკლესიო საქმეში და სამართლიანი მსჯელობა გამოეთქვა, მაშინვე მას თავის ქერქში ჩაეყენებინენ, ეგ შენი საქმე არ არის, შენ არ გეკითხებაო"... (გვ. 403 ქართ. ერის ისტორია) „მაგრამ თუ სამღვდელოება და მონაზვნები ერისკაცებსა და მთავრებს საეკლესიო საკითხებში ჩარევის ნებას არ აძლევდა, თითონ ისინი თავიანთ ზნეობრივ და სარწმუნოებრივ მოვალეობადა სთვლიდენ ადამიანთა ცხოვრებაში ჩარეულიყვნენ ყოველთვის". (იმავე გვერდზე ჯავახ.).

ამრიგად, მე-9 — მე-10 საუკ. სქოლასტიკის ელემენტები ძლიერად გვაქვს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე მწერლობაში. მე-5, 6, 7, 8, 9 და 10 საუკუნ. დაცილება ერთი მეორისაგან შეუძლებელია თავისი იდეოლოგიური ერთგვაროობისა და ერთგვარი პროცესის განვითარების მიმდინარეობის გამო.

ტაოკლარჯეთის სკოლა, ეს წმინდა გამგრძელებელი და ჩამოყალიბებული სახის მიმცემია 5 საუკ. დაწყებულ იდეოლოგიური მიმართულებისა და არა პირიქით, როგორც პროფ. კ. კეკელიძე ამბობს: „კლასიკური" პერიოდი ქართული მწერლობისა არ შეიძლება დაწყებულ იქნეს მეათე საუკუნეზე ადრე, ვინაიდან ტაოკლარჯეთის სკოლა, ეს საფუძველმდებელი ქართული ლიტერატურული კლასიციზმისა, მართალია მერვე-მეცხრე საუკუნეებში ჩაისახა, მაგრამ ლიტერატურულ მუშაობას მეათედან შლის, მეცხრე საუკუნეში ის ჯერ კიდევ იმდენად სუსტია, რომ აქ ვერ მოუხერხებიათ დაწერა გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებისა", როგორც უკანასკნელში ნათქვამი... არ შეიძლება ეს პერიოდი მეათე საუკუნეზე გვიან, მეთერთმეტეში, როგორც ამდენხანს იყო მიღებული, იქნეს დაწყებული, ვინაიდან „კლასიკური" „ამ პერიოდს მარტო იმიტომ არ ეწოდება, რომ როგორც ფიქრობენ, მეთერთმეტე საუკ. საერო ლიტერატურა იწყება. განა ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიაში ბევრია უფრო მეტად „კლასიკური" ძეგლები, ვიდრე „ცხოვრება" გრიგოლ ხანძთელისა განა თუ ორგინალური ჰიმნები მიქელ მოდრეკილის კრებულისა? მაშინ რა უყოთ ან სად წავიღოთ მეათე საუკუნე" (გვერდი 32).

ახლა შეუდგეთ მე-10 საუკ. ძეგლის განხილვას, რომლითაც პროფ. კ. კეკელიძე აცილებს მე-10 საუკუნეს მის წინახანიდან: ავიღოთ: „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა". გრიგოლ ხანძთელი დაბადებიდანვე არაჩვეულებრივ ადამიანად არის მიჩნეული, აშოტ კურაპალატი და მეძავი დედაკაცი, საბა იშხნელი და „სარწმუნოებრივ ზნეობრივი ხასიათის კოლიზია ზენონის დის სამეჯნურო ხლართებისა" განა იმას მოწმობს, რომ ავტორი რომანული ამბების გადმოცემით არის დაინტერესებული, თუ პირიქით, სამღვდელო პირის ავტორიტეტისა და გავლენის გასაძლიერებელ საგიტაციო საშუალებად უნდა გამოიყენოს ეს ფაქტები, რომ საზოგადოებას დაანახვოს მეფე და სხვა საერო პირის ზნეობრივად დაცემისა და დაქვეითების შესაძლებლობა. მაგრამ სამღვდელო პირი ავტორის აზრით შეურყეველი დამცველია სარწმუნოებრივ და ზნეობრივ ნორმებისა. აი, რა თვალსაზრისით არის მაშინდელი საზოგადოებრივი მოვლენები ასახული; ამიტომაც ძეგლის სოციალ-იდეოლოგიური მოცემულობა ისეთივეა, როგორც წინა ხანისა მხოლოდ უფრო დასრულებულ სახეში. ამრიგად, ავტორს საზოგადოებრივი ცხოვრების საერო მხარეები კი არ აინტერესებს, არამედ მისი სარწმუნოებრივ ზნეობრივი ინტერპრეტაცია და სასულიერო პირის როლის იდეალიზაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიმართულებით აინტერესებს ავტორს ყოველგვარი საზოგადოებრივი მოვლენების გაშუქება და გამოყენება.

ლიტერატურის პერიოდიზაციას საფუძვლად უნდა დაედვას ძეგლების სოციალ-იდეოლოგიური მოცემულობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მტკიცედ განვასხვაოთ საეკლესიო და საერო მწერლობა ერთიმეორისაგან. თუ სოციალ-იდეოლოგიურ მოცემულობას არ ავიღებთ საფუძვლად ლიტერატურულ ძეგლების პერიოდიზაციისათვის, მაშინ ჩვენ რა უფლება გვაქვს საერო ხასიათის მწერლობა გამოვრიცხოთ მე-10 საუკუნემდე. განა მანამდე საერო ხასიათის სიგელ-გუჯრები, საქმიანი წერილები და მიმართვები არ იწერებოდა, ან ჯუანშერის ეამთა აღწერა საერო ხასიათს არ ატარებს?

„მწერლობა“ საერთოდ ფართო ცნებაა, და თუ მწერლობის ხასიათს, მის სოციალ-იდეოლოგიური შინაარსის წამყვან როლს, ანუ დომინანტურ სახეს არ მივიღებთ მხედველობაში, სწორ მარქსისტულ დიალექტიკურ-მატერიალისტურ თვალსაზრისით ლიტერატურის პერიოდიზაციას ვერ მოვახდენთ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შეფასებას, მის მაღალ საერო ხასიათის ღირსებას პროფ. კ. კეკელიძე, საფუძვლად უდებს არა სოციალ-იდეოლოგიურ მოცემულობას, არამედ მხატვრულ გაფორმებას, სტილსა და ენას, რითაც ის მართლაც განსხვავდება მის წინა დროის ძეგლებისაგან, მაგრამ ეს განსხვავება „გარეგნული“, ფორმალურია, რომელზედაც ემყარება ყოველგვარი იდეალისტი, და რომელიც ლიტერატურის განვითარებას იხილავს არა სოციალურ-იდეოლოგიურ მოცემულობის საფუძველზე, არამედ ენანრისა და სტილის მიხედვით. მე-10 საუკ. ეს ძეგლი, არამარტო სტილისტურად ატარებს დამთავრებულ, გამართულ სახეს, არამედ იდეოლოგიურადაც, და ის უშუალო: „ძვალი ძვალთაგან და ხორცი ხორცთაგან“ მთლიანი სახეა თავის წინა ხანის ძეგლების მხატვრული ენისა, გამოსახვის ფორმებისა და სოციალ-იდეოლოგიური მოცემულობის განვითარებისა. პროფ. კ. კეკელიძეს ეს ძეგლი, არა მარტო გარეგნულად, ფორმის მხრივ, არამედ თავის სოციალ-იდეოლოგიური მოცემულობის მხრივაც რომ განეხილა წინა ხანის ძეგლებთან დაკავშირებით, ამ ძეგლს არამც და არამც საერო ხასიათის ძეგლად არ ჩათვლიდა და არც იკითხავდა „მაშინ სად წავიღოთ მე-10 საუკუნე“, მისთვის საეჭვო არ იქნებოდა რომ მე-10 საუკუნე მის წინა საუკუნოების სოციალ-ეკონომიურ და იდეოლოგიური ვითარების დასრულებულ სახეს წარმოადგენს. რა უყოთ, რომ მე-10 საუკუნეში მხატვრული გამოსახვის ფორმები ჩამოყალიბებული და განვითარებულია, განა ასე არ არის ამ საუკუნეში ფეოდალური საზოგადოებრივი წყობა და ქრისტიანული იდეოლოგია სრული თავის სახით ჩამოყალიბებული და გაფორმებული? მე-5 საუკუნეში დაწყებულმა ფეოდალიზაციისა და ქრისტიანიზაციის პროცესმა მე-10 საუკუნეში ამდაგვარი ჩამოყალიბებული და დამთავრებული სახე მიიღო. და რა გასაკვირია, რომ სამწერლო ენა და მხატვრული ხერხები განვითარებულიყო და ჩამოყალიბებულიყო თვით სოც.-ეკონომიურ და იდეოლოგიურ ვითარებასთან ერთად.

ამრიგად, მე-5 საუკუნიდან მე-10 საუკუნემდე ერთი განუკვეთელი: ფეოდალიზმის ჩამოყალიბების პერიოდია და ეს სახელწოდება უნდა მიეცეს მას. ამ პერიოდის მწერლობას კი: ფეოდალიზმის ჩამოყალიბების პერიოდის საეკლესიო მწერლობა, რადგანაც წამყვანი როლი სასულიერო მწერლობას ეჭირა. პროფ. კ. კეკელიძის თერმინი: „ადრინდელი ფეოდალიზმის პერიოდი“ ამ მთლიანი (5 — 10 ს.) პერიოდისათვის არ გამოდგება, რადგანაც ადრინდელ ფეოდალურს თვით ფეოდალური უნდა მოყვეს ბუნებრივად და ამ ერთი მთლიანი პროცესის ერთიმეორისაგან დაცილება და განკვეთა არ არის სწორი, არ შეიძლება პროცესი მის დამასრულებელ, დამგვირგვინებელ მოვლენას მოსწყვიტოთ. ეს მოვლენის არა მთლიანობაში შესწავლა იქნება, არამედ ცალკეულად — მეტაფიზიკურად და დიალექტიკურად.

პროფ. კორნელ კეკელიძის შეხედულება: „საერო მწერლობის დასაწყისი მე-10 საუკუნეზე ადრე არ შეიძლება“ და მეათედან უნდა დავიწყოთ, არავითარ საფუძველზე არ ემყარება. ჩვენ მხოლოდ სოც.-ეკონ. ვითარების განხილვა გვაბედვინებს მე-11 საუკუნის მიჩნევას საერო ფეოდალურ მწერლობის დასაწყისად, თორემ სხვა ხელის ჩასაჭიდი არაფერი არ მოგვეპოვება. დაასახელოს თუ გინდ პროფ. კ. კეკელიძემ ზუსტი დათარიღებით მე-11 საუკ. რომელიმე საერო ხასიათის ნაწარმოები, შეიძლება მე-11 საუკ. კლერიკალურ ფეოდალური იდეოლოგიის შერყევას და ახალის გამომუშავებასა და ათვისებას მოუნდა. მეთერთმეტე საუკუნეში სავაჭრო კაპიტალის განვითარება და წვრილი საფეოდალოების გაერთიანება ბიძგს იძლევა ფეოდალურ მონარქიის ჩამოსაყალიბებლად. რის გამო სოც.-იდეოლოგიურად პირველიდან განსხვავებული სრულიად ახალი პერიოდი იწყება. ამ მეორე პერიოდს უმჯობესია: „ფეოდალური მონარქიის პერიოდი“ უწოდოთ და არა ბატონ-ყმური ფეოდალიზმის პერიოდი, როგორც პროფ. კ. კეკელიძე ფიქრობს. 11 საუკ. ჩვენში სავაჭრო კაპიტალის განვითარება და წვრილი

საფეოდ. განვითარება არყევს ნატურალურ მეურნეობას და მაზე დამყარებულ ფეოდალურ სამთავროებს თავის საეკლესიო კლერიკალური იდეოლოგიითურთ. ახალი ვითარება შესაძლებელს ყოფს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, მეფის უფლების გაძლიერებას. ურჩი თავადების ალაგმას და აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბების ცდას. ყალიბების ცდას.

ახალი სოციალ-ეკონომიური ვითარება თავის შესადარ ახალ სოციალისტურ-იდეოლოგიას მოითხოვს და იწყება უცხოეთიდან (მეტადრე სპარსეთიდან) ანტი ქრისტიანული იდეოლოგიის გადმონერგვა, რადგანაც სოციალ-ეკონომიური ვითარებისდაგვარობა ხელს უწყობდა სპარსეთთან კულტურულ ურთიერთობის განმტკიცებას. ასევე ვრცელდება ნეოპლატონიზმი ბიზანტიიდან. 11-ე საუკ. აღებმიცემობის განვითარება ერთ კუთხეს მეორეს უკავშირებს და ეროვნულ და სახელმწიფოებრივ გაერთიანების შეგნებას ქმნის.

ახლა ავიღოთ და განვიხილოთ ეს ორი პერიოდი იდეოლოგიურად. მაგ. მე-9—10 საუკუნეში საეკლესიო პირებია გაბატონებული და მეფე და საერო პირები მათ გავლენის ქვეშ არის როგორც ამას გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება მოწმობს; მე-11 საუკუნეში პირიქით, საეკლესიო პირებსა და იდეოლოგიას გავლენა დაუკარგავს და წოდებრივობა და სიმდიდრე გაბატონებულა. მაგ.: „საეპისკოპოსო ხარისხი მაშინ დიდებულ აზნაურთა გვარიშვილებს ეპყრათ; ამ თანამდებობას მეფე ბაგრატ 4 თურმე ჰყიდდა და რა კი ეკლესიას ასეთი უკანონობა შემოეპარა რასაკვირველია, ეპისკოპოსობას ღირსეული კი არ მიიღებდა, არამედ ვინც უფრო მდიდარი იქნებოდა“ (ივ. ჯავახ. ქართ. ერის ისტორ. გვ. 500). ამრიგად, თუ საეკლესიო იდეოლოგია და სამღვდელო პირები ბატონობდენ მე-9 — 10 საუკუნეში, 11 საუკუნეში პირიქით, ის მეფის სავაჭრო საგნად ქცეულა, იმდენად დაუკარგავს მას მნიშვნელობა. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ 11 საუკუნეში ახალ სოც.-ეკონომიურ ვითარებასა და იდეოლოგიასთან გვაქვს საქმე. და 9 — 10 საუკ. ფეოდალური წყობა და იდეოლოგია დიდათ განსხვავდება 11—12 საუკ. სახელმწიფოებრივ წყობიდან და იდეოლოგიიდან. საჭიროა ჩაუკვირდეთ, ახლა თუ, რად დასჭირდა პროფ. კ. კეკელიძეს ადრინდელი ფეოდალურ პერიოდიდან პირდაპირ ბატონ-ყმური პერიოდზე და საერთო მწერლობაზე გადასვლა. და 10 საუკ. მე-11-ე საუკუნისათვის იდეოლოგიურად მიკუთვნება.

განვიხილოთ როგორ ამტკიცებს ამ დებულებას და როგორ იმარჯვებს აქ ავტორი თავის „დიალექტიკას“. „საერო მწერლობა ჩვენში არც ისე დაშორებულია სასულიერო მწერლობისაგან, როგორც ეს პირველი შეხედვით შეიძლება ეჩვენოს კაცს, ის დიალექტიკური განვითარებაა სასულიერო მწერლობისა და კანონზომიერად წარმოიშობა მისგან“ (გვ. 36). „ამნაირად დიალექტიკური ბუნება ქრისტიანიზმისა, გამახვილებული ნეოპლანტონიზმისა და სუფსიზმის სოფლმხედველობით, შესაძლებელს ხდიდა, ზემოაღნიშნულ ნიადაგზე და პირობებში, სასულიერო მწერლობის საეროში გადასვლას“ (გვ. 39). აქ გარკვეულათ იმ აზრთან გვაქვს საქმე, რომ ლიტერატურა თავის თავად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, როგორც ეს ბრიუნეტერს და ჩვენში კიტა აბაშიძეს მიაჩნდა და თავისი განვითარების ცალკე კანონებს მიაწერდნენ, რაც ყოვლად შემცდარი ამბავია. სოციალ-ეკონომიური ვითარების განვითარებისა და ცვლილებების დიალექტიკაზე არის დამოკიდებული საერთოდ ლიტერატურა. და ლიტერატურას არავითარი თავისი ცალკე განვითარების დიალექტიკა არ გააჩნია. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ ის ზედნაშენი კი არ უნდა იყოს სოციალ-ეკონომიური ვითარებისა და სხვადასხვა ზედნაშენის გავლენას კი არ უნდა განიცდიდეს და იცვლებოდეს მისი ზეგავლენით, არამედ საკუთარ თავის თავად დამოუკიდებელი არსი უნდა იყოს თავისი საკუთარი „დიალექტიკით“ არსებული.

დიალექტიკა ყოველივე არსებულის განვითარების კანონია. თვით ქრისტე, ქრისტიანობა თავის თავად რეალურად არსებულს წარმოადგენს? მარქსი გვასწავლის: „რელიგია ადამიანის ბუნდოვანი წარმოდგენაა სინამდვილის“. ქრისტე მითია და ქრისტიანიზმი მითიური ლეგენდარული ამბავია, რომელიც ხალხის განუვითარებლობისა და შეუგნებლობის ნიადაგზე წარმოიშვა. ასეთს, არარსებულს „ფანტასტიურს“ — შეუგ-

ნებლობის ნიადაგზე წარმოშობილს შესაძლებელია გააჩნდეს თავისთავად სინამდვილეში არსებულის დიალექტიკური კანონები? ცხადია არა. და ასეთი არა სწორი, არა რეალური და არა მეცნიერული ელემენტის საშუალებით შეგვიძლია ჩვენ ავხსნათ სინამდვილის განვითარება და აღმოვაჩინოთ ჭეშმარიტება, და მას მივაწერთ: სინამდვილის „დიალექტიკური ბუნება", როგორც პროფ. კ. კეკელიძე ფიქრობს — „დიალექტიკური ბუნება ქრისტიანობისა"-ო. ქრისტიანიზმში დიალექტიკური ბუნება კი არ არის ამ ქვეყნიურისა და ზექვეყნიურის სახით მოცემული, არამედ დუალიზმია. ღმერთი ადამიანად სავსებით არადროს არ გადაიქცევა, როგორც კ. კეკელიძე „ამტკიცებს", არამედ ის მიიღებს ადამიანის სახეს მხოლოდ. და ადამიანიც რაც არ უნდა დიდი წმინდანი გახდეს, ღმერთად ვერ გადაიქცევა. ადამიანი, რო ღმერთად იქცეოდეს და ღმერთი ადამიანად, როგორც პროფ. კეკელიძე ამბობს, ეს ქრისტიანულ რელიგიაში კიდევ მეტ წინააღმდეგობას შეიტანდა და ქრისტიანული რელიგია არა მონოთეისტური იქნებოდა, არამედ პოლითეისტური, მაგრამ ამ ფაქტს პროფ. კ. კეკელიძე ანგარიშს არ უწევს და თავისი „დიალექტიკური" თვალხედვით გატაცებული ამბობს: „ქრისტიანობამ ღმერთ კაცის სახით (ქრისტეს) აღიარა შესაძლებლობა ღმერთის განკაცებისა და ადამიანის ღმერთად ქცევისა", რისთვისაც იმოწმებს ფსალმუნს: „ღმერთი ხარ შენო" (გვ. 38). ფსალმუნი ქრისტიანული თხზულება კი არ არის, არამედ წინაქრისტიანულია. ქრისტიანულ რელიგიაში წმინდანი, ანგელოზი, მოციქული არასოდეს ღმერთად არ ქცეულა. რომ იქცეს, მაშინ ხომ ქრისტიანობის დოგმა — ღმერთის სამ პიროვნება ირღვევა. ქრისტიანულ რელიგიაში. დიალექტიკაზე და ადამიანის ღმერთად ქცევაზე ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ პროფ. კეკელიძეს ყოველივე ეს „ქრისტიანობის დიალექტიკურ ბუნების" დასამტკიცებლად დასჭირდა, თორემ ეს ფაქტები მან კარგად უწყის. პროფესორ კ. კეკელიძის „დიალექტიკა" სრულიად ახალი სახის „თეოლოგიურ ხუცური დიალექტიკაა", რომელსაც მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ახლა განვიხილოთ პროფ. კეკელიძის მეორე დებულება: **„საერო მწერლობა დიალექტიკური განვითარებაა საეკლესიოს"** (ხაზი ჩვენია). თუ ეს ასე არის, მაშინ საეკლესიო მწერლობა უნდა მოხსნილიყო და გადასულიყო უშუალოდ საეროში. დიალექტიკა ასეთ ორგანიულ განვითარებაზე მიუთითებს. მაგრამ არც შუალებით და არც უშუალოდ ასეთი რამ ჩვენ არ გვაქვს. 11 — 12 საუკ. საეკლესიო მწერლობა თავის მხრით არ განაგრძობდა განვითარებას. ჩვენი საეკლესიო მწერლობა სწორედ 11 — 12 საუკ. მდიდრდება. ითარგმნება მრავალ ძეგლი, სწორდება ცუდი ნათარგმნები, შენდება ეკლესიები და ხდება საეკლესიო რეფორმა. ეს რეფორმა არა საეკლესიო მწერლობისა და ცხოვრების საეროში გადასვლაა, არამედ პირიქით, მისგან გამიჯვნაა. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა ამ მხრივ დიდ მნიშვნელოვანია საეკლესიო ცხოვრებისა და მწერლობისათვის. მე-11 საუკუნეში საეკლესიო მწერლობა საზოგადოების ფართო ფენებზე გავლენას კარგავს და სასულიერო პირების საკუთრებად იქცევა. ერის კაცს ის ნაკლებად აინტერესებს, საერო ცხოვრებამ თავისი საერო ხასიათის მწერლობა წარმოშვა, რომელმაც წამყვანი ადგილი დაიჭირა საზოგადოებაში. საეკლესიო ცხოვრება გამოეყო საეროს. და ასევე თავთავის გზით ვითარდება ორი სხვადასხვა ხასიათის მწერლობა. საეკლესიო მწერლობის პირს: ბერს, წმინდანს და მოციქულს დაუპირისპირდა პოეტი, ხელოვანი, მხატვრული გაფორმება საერო ცხოვრებისა და ფეოდალურ მონარქთა სამეფო კარის. სად არის აქ ერთი მეორეში გადასვლა, ან ერთი მეორის გაგრძელება? სასულიერო პირები პირიქით სდევნიან საერო ხასიათის მწერლობას. საოცარია ასეთი „დიალექტიკა" საიდან შეთხზა პროფ. კეკელიძემ. ჩვენი პირველი საერო ხასიათის ძეგლები ნათარგმნია. ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი და ვეფხის-ტყაოსანშიც არა ქრისტიანული იდეოლოგიის ტენდენცია მოსჩანს. ამრიგად, არსად არ სჩანს. რომ საეკლესიო მწერლობა საეროში გადასულიყოს: ჩვენთვის ახლა გასაგები ხდება, თუ რად დასჭირდა პროფ. კეკელიძეს 10 საუკ. მეთერთმეტისათვის მიკუთვნება და კითხვა „აბა სად წავიღოთ მე-10 საუკუნეო". მე-10 საუკუნის მე-9 საუკუნიდან დაცილებით და მეთერთმეტის მიკუთვნებით ავტორი ლამობს 10 საუკ. გამოყენებას საეკლესიო მწერ-

ლობის საერო"ში გადასვლისათვის. აი, როგორ უნდა გავიგოთ მისი სიტყვები: „დიალექტიკა მისი განვითარებისა"-ო. მარქსისტული შეფასებით პროფ. კ. კეკელიძის მსჯელობა არამც თუ დიალექტიკურია, არამედ სავსებით ანტიდიალექტიკურია, რაც ნაშრომში მარქსისტულ დიალექტიკად საღდება. 3 პერიოდს არა „ბატონ-ყმური ფეოდალიზმის პერიოდი" უნდა უწოდოთ, არამედ „ფეოდალური მონარქიის დაშლის პერიოდი". — ამ დროს ფეოდალური მონარქიის დაშლასა და დაცემასთან გვაქვს საქმე, რაც თავის მხრივ მწერლობაზეც მოქმედობს და მასაც დაცემის გზაზე აყენებს.

4 პერიოდს პროფ. კეკელიძე უწოდებს: „ფეოდალიზმის დეკადანსის პერიოდს" და მის ქვეშ ფრჩხილებში ათავსებს: „ბურჟუაზიული რენესანსის განთიადიო". თავის ლიტერატურის პერიოდიზაციას პროფ. კეკელიძე ბატონყმობის განვითარების საფეხურებს უდებდა აქამდე საფუძვლად, ახლა კი, მის პრინციპს გვერდი აუხვია და: „ფეოდალიზმის დეკადანს"-ი უწოდა. თუ ბატონყმობის განვითარების ეტაპს მისდევდა თავიდან პროფ. კეკელიძე, აქაც ხომ ბატონყმობაა და დაცემის პერიოდი არ უნდა გამოეყო და განესხვავებია სრულებით თავის პრინციპის თანახმად. მაგრამ აქ ცხადია, ქვეცნობიერად სხვა პრინციპს დაადგა, რომელზედაც საერთოდ ბოლო"ში ვილაპარაკებთ. ჩვენის აზრით ამ მეოთხე პერიოდს ფეოდალიზმის შინაგანი კრიზისის პერიოდი უნდა ეწოდოს; რადგანაც „დეკადანსი" ძალიან ფართო ცნების სიტყვაა და ამ პერიოდის სპეციფიკურ რაობას არ გვაძლევს. მეორე მხრივ, „ბურჟუაზიული რენესანსის განთიადი" კი არა, არამედ მისი თუ შეიძლება ითქვას მეტად მკრთალი დასაწყისია, რომელიც მე-17 — 18 საუკ. კაპიტალის სუსტ განვითარებაზე ემყარება, რომელსაც არ ძალუძს ფეოდალიზმის გარდაქმნა. 17 — 18 საუკუნეში აღებ-მიცემობის განვითარება აღრმავებს მხოლოდ ფეოდალიზმის შინაგან კრიზისს, რომელ"შიც მომწყვდეულია ჩვენი მაშინდელი მთელი საზოგადოებრივი წყობა. ამ კრიზისიდან თავის დაღწევა ვერ შესძლო შინაგანი ძალით ვერც ფეოდალიზმმა და ვერც ახალმა შემოჭრილმა ძალამ. და ამისათვის მათ წინა სდგება საკითხი ორიენტაციის ძიების და ევროპიულ ურთიერთობაში მონაწილეობის მიღებისა. ეს ძალა, რომელიც ფეოდალიზმის შინაგან კრიზისს იწვევს და საქართველოს მიაქანებს ახალი ევროპიულ-ბურჟუაზიული ურთიერთობისაკენ, ჩვენ"ში წარმო"შობილი ახალი ურთიერთობაა, რომელსაც თავის საკუთარ ფეხზე დადგომის საშუალება არ აქვს. ძირშერყეული და შინაგანი კრიზისით ძალა მიხდილი ფეოდალიზმი ნებდება მის საბოლოო განაჩენს, რასაც აგვირგვინებს 1783 წელს დადებული ტრაქტატი, რომელიც ფაქტიურად თავის რაობით 1801 წლიდან ხორციელდება. ამ ხანიდან იწყება ჩვენს საზოგადოებრივ წყობაში და მწერლოთაში სრულიად ახალი პერიოდი. პროფ. კ. კეკელიძე ამას ყურადღებას არ აქცევს და 17 — 18 და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს ერთ პერიოდათ თვლის; საკმაოდ ცნობილია, რომ 1801 წლიდან ფეოდალურ წყობას სცვლის რუსეთის ნახევრად ფეოდალური ბიუროკრატიული წყობილება. ჩვენი თავადაზნაურობა კარგავს პოლიტიკურ ბატონობას და მოხელე ხდება ბიუროკრატიული რეჟიმის. ამრიგად, საზოგადოებრივი ცხოვრების სიტუაცია იცვლება, მაგრამ ნელი ტემპით. აი, რას ამბობს ამ პერიოდის შესახებ ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე: „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი ისეთი ხანაა ჩვენ"ში, როცა ძველი ცხოვრების საფუძველი ძირიანად შეირყა; საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობა გადაცდა თავის ჩვეულებრივ გზაკვალს და იმავე დროს ახალი გზის აჩენა და გაკვლევა ერთბაშათ შეუძლებელი შეიქნა"... (ფ. მახარაძე — დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, გვ. 57 — 58).

მე-19 საუკ. პირველი ნახევარი, ამრიგად, განსხვავდება მე-17 — 18 საუკ. სოციალ-იდეოლოგიურ მოცემულობითი და ის ცალკე პრიოდათ უნდა გამოვყოთ. ეს ახალი პედიოდი რუსეთის ბიუროკრატიული წყობილების დამკვდრებით იწყება და მიდის თავის სპეციფიკური სახით მე-19 საუკუნის მე-60 წლებამდე. ამ პერიოდში ჩვენი ფეოდალური არისტოკრატია, პოლიტიკურ ბატონყმობას მოკლებული, უბრალო მოხელედ ქცეული უკმაყოფილოა და სასოწარკვეთილებაში ვარდება, წარსულს იგონებს და სხვ. „საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართველ თავადაზნაურობას სულ ერთიანად

წაერთვა ის ძირითადი უფლება, რომლის ძალით იგი, როგორც ფეოდალური წოდება, ქართველ მეფეებისა და მთავრობის დროს მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში. ქვეყნის მართვა-გამგებლობაში; იმის მაგივრად დაწესდა „ეროვნული „ჩინოვნიკების“ ბიუროკრატია“... და სხვა (ფ. მახარაძე — გვ. 27 — ბეჭდვითი ასოებით).

ამრიგად მეცხრამეტე საუკ. პირველი ნახევარი ეკონომიურად, პოლიტიკურად და გაბატონებული წოდების ახალი ყოფის მხრით სრულიად განსხვავდება მის წინა პერიოდიდან 17 — 18 საუკუნიდან და ის, ცხადია, ახალ პერიოდს წარმოადგენს. არამც თუ მარტო სოც. პოლიტიკური მხრით განსხვავდება ეს ორი პერიოდი ერთი მეორისაგან, არამედ ამ ორი პერიოდის მწერლობის იდეოფსიქოლოგიური რაობა სულ სხვადასხვაა. მე-17 — 18 საუკ. ჩვენი ფეოდალიზმი შინაგან კრიზისშია მომწყვდეული და გამოსავლის ძიების ცდაშია. ეს კრიზისი, მართალია, ჩვენს ფეოდალურ წოდებაზე ცუდათ მოქმედობს, რომელიც ერთგვარ ჩივილს მიმართავს სოფლისადმი, მაგრამ სარწმუნოებრივი მისტიციზმს იქით არ მიდის და თავის კლასისა და მდგომარეობის გამოსწორების ცდაშია. მე-17 — 18 საუკ. შინაგანი კრიზისი ჩვენში ფეოდალიზმს გასაქანს არ აძლევს ეკონომიურად და პოლიტიკურად. მას ერთად ერთი თავისუფალი „ბაასის“ ასპარეზი რჩება. ის ამ პერიოდში მართლაც ბაასობს წარსულზე, მომავალზე და თავის გამოსავალზე. ამ პერიოდის ჩივილი ცხოვრებისადმი და წუწუნი, არა რეალური სასოწარკვეთილებაა, პესიმიზმი და რომანტიზმი, არამედ ბაასია მხოლოდ, ცხოვრების სიძნელეებზე და გასაჭირზე. მე-17 — 18 საუკ. თვით საქართველოდან გადახვეწილი თავად-აზნაურობაც იმედს არ კარგავდა და თავზე დატეხილ უბედურებას დროებით, შემთხვევითი მოვლენად სთვლიდა, პერსპექტივას არ კარგავდა, სხვა რომ არა იყოს, ორიენტაციის იმედი მაინც ქონდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე ჩვენს ფეოდალურ წოდებას ყოველივე იმედი გაუცრუვდა. ეკონომიურად ნიადაგ შერყეული და პოლიტიკურად გარიყული ჩვენი ფეოდალური არისტოკრატია ახალ საგონებელშია, ახალი სევდა-დარდის მატარებელია, ყოველგვარ პერსპექტივის გარეშე სდგას და სევდის მორევში იძირება; რაც თავის მკვეთრ გამოვლენას ჩვენი ამ პერიოდის ფეოდალური არისტოკრატიის პოეზიაში — რომანტიზმში პოულობს.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ჩვენი მწერლობა და პოეზია უმთავრესად ეკონომიურად ნიადაგ შერყეული და პოლიტიკურად გარიყული ბიუროკრატიული რეჟიმის მოხელე ჩვენი ფეოდალური არისტოკრატიის ლიტერატურაა. ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნიდან ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მწერლობაში სრულიად ახალი პერიოდია მე-17 — 18 საუკუნის პერიოდიდან გარკვეულად განსხვავებული.

ლიტერატურის პერიოდიზაცია უნდა იყოს კონკრეტიული, უნდა იძლეოდეს ერთგვარ კლასიფიკაციას, ლიტერატურის ფსიქოიდეოლოგიური განვითარების საფეხურებს სოციალ-ეკონომიურ ვითარებასთან დაკავშირებით. მხოლოდ ასეთ პერიოდიზაციას ლიტერატურისას შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა. პროფ. კ. კეკელიძისეულ განყენებული სახის პერიოდიზაციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ის ლიტერატურის საფეხურების განვითარების სრულ სურათს არ იძლევა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ყოველივე წინა ნათქვამი ცხადჰყოფს იმას, რომ პროფესორ კ. კეკელიძის ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია მტკიცე მარქსისტულ დიალექტიკურ მატერიალისტურ მეთოდს არ ემყარება და არც თავის დანიშნულებას ამართლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
ვ. გაფრინდაშვილი — ეგ. ნინოშვილი (ლექსი)	3
ვ. იაშვილი — პუშკინის ლექსები	5
კ. გამსახურდია — მთვარის მოტაცება (გაგრძელება)	9
ს. თავაძე — ლექსი	45
აკ. ბელიაშვილი — ორი ეტიუდი	47
ს. შანშიაშვილი — სამნი (დასასრული)	61
გრ. აბაშიძე — ლექსი	96
გრ. აროსია — ლექსი	99
ე. პოლუმორდვინოვი — იღვიძებენ მთები (გაგრძელება)	102
მ. გორკი — რუსული ზღაპრები (დასასრული)	139
ს. ჩანბა — სეიდიყი	158

ლიტერატურა და ხელოვნება

შ. რადიანი — ეგ. ნინოშვილი	198
ალ. ჭეიშვილი — ტიც. ტაბიძე	209
შ. ალხაზიშვილი — მხატვართა გამოფენა	231
ალ. დუდუჩავა — რუსთაველის თეატრი	253
სანდრო ეულის იუბილე	261

მემუარი

ალ. ჯაბადარი — მოგონებანი (დასასრული)	263

ბიბლიოგრაფია

ვ. ცინცაძე და ვლ. ახათიანი — კეკელიძის წიგნის შესახებ	280

ბატქინბმ-ლენინგრადის
ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА
Инст. Марксизма-Ленинизма